მამული ენა სარწმუნოება

3

ქართლის ცხოვრება

ცხოვრება წმიდა მეფე თამარისი

•

ახალი ქართლის ცხოვრება

საეკლესიო გამომცემლობა
„ახალი ივერონი“
თბილისი
2012

ეძღვნება სოფლის მასწავლებელს

ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს:	**მაია რაფავამ** **გიორგი მაჭარაშვილმა**
რედაქტორი:	**ნათია ჯალაბაძე**
მხატვარი:	**სპარტაკ ცინცაძე**
გარეკანის გაფორმება:	**გიორგი წერეთელი**
ტექნიკური რედაქტორები:	**ირაკლი ხუციშვილი** **ნინო ბურდული**

© გამომცემლობა „ახალი ივერონი”

ISBN 978-99940-900-2-0
ISSN 2233-3428

ცხოვრება წმიდა მეფე თამარისი

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

ვინაიდან ღვთისმხილველი და მომავლის წინასწარმცნობი მოსე, [მიზეზად] თავისი ენაბრგვნილობის მომტანი, ეურჩა იმას, ვინც ის ისრაელებს მიუვლინა, მიერულა ურულოსა, როგორც მომავლის დამსახველს. როგორ გავბედო ამგვარი რამ მე, რომელსაც არ ძალმიძს ვილაპარაკო აღმატებულზე. თუკი ის [მაყვლოვანის], ცეცხლიდან სიტყვების [მომსმენი] და გადამცემი, კვერთხის გველად ქცევით და ხელის ფერის შეცვლით ვერაფერს აგებინებდა მოწინააღმდეგებს, მე როგორ ჩავბერო სულამიტის სახედ ახმიანებულ „ქებათა ქებას“, რომელსაც სიბრძნით გალობს მეიგავე სოლომონი, რომლისაგან წარმომავლობის შემსხმელად საკმაო არ არის ოლიმპიელთა გადმოცემები, — თამარისას ვამბობ, — ხელმწიფეთა სახელის და პირველი დავითის დიდების [მქონეს], [რომელიც] არსთა გამრიგე ღმერთის ხელითქმნილებით [იყო] აღტაცებული. რომელიც [2] ჩვილობიდანვე გამსჭვალავს სულსა და გულში ერთი კაცის ერთმთავრობას და ერთუფლებას, რომელიც

ერთი ღმერთის და სრული კაცის მიერ სრულ კაცად იქნა გამოჩენილი და გამობრწყინებული. ამიტომ ამან შეარწყო თავისი სულის წყარო ჭვრეტათა პირველ წყაროს — ქრისტეს, მამის ნათელს, რომელმაც შექმნა ხუთი მგრძნობელობა: ხედვა, სმენა, შეხება, გემო და ყნოსვა, გონების ასფოდელოდ (ბაღად) ქცევით, ისინი დაამორჩილა კლდესა მას — ქრისტეს, არ არის თავისი ნების შემქმნელი.

ეს იყო შვილი ძირითა და შთამომავლობით შესაფერისი და შემკული მშობლებისა. როგორც ხე ნაყოფით იცნობება და ნაყოფი — ხისგან, [ისიც იცნობება] დავითიანთაგან და ხოსროვანთაგან და პანკრატოვანთაგან, რომელთა სახელი მზეზე და მთელ ქვიშაზე და მის მიმდებარეზე უფრო ცნობილი იყო, რომელმაც ნებროთის ასაკში მოიპოვა ჰაოსის ძეთა სამთავროები, რომელთა შესხმა შეეფერება ომიროსს. ალექსანდრეს შესახებ გრძლად იმეტყველა პლუტარხოსმა, მწერლობაში ხელმწიფეების შესხმითი ისტორიების ზე წამომწევმა, დრო და დრო თუ როგორ ზეგარდმო ნებით ნათელივით გამოჩნდებიან ქვეყნის მფლობელები. თითოეული [თავისი] საქმის შესატყვისად მიიღებს სიტყვით და საქმით შემკობას, ზოგიერთი დასაგმობი [თავის] ბოროტ საქმეებში ძეგლად აღწერა.

ახლა მე ის, რაც მინახავს, ან ბრძენი და გონიერი კაცებისგან გამიგონია, უნდა გადავსცე ისტორიას და ვასილოგრაფს, რაც ნიშნავს „მოთხრობას მეფეთა შესახებ“. ვინაიდან ლუკა [თავისი] სიტყვის აღმავლობას იძლევა სეითის, ადამის და ღვთის შესახებ, მეც [3] ასევე უნდა დავიწყო სამგზის სანატრელი და სამებისგან ოთხად თანააღზავებული თამარის შესახებ, რომელიც ხელმწიფეთა შორის [ეთეროანი] იქნა, რომლის სახესა და სახელს [ჩემი] სიტყვა თავის ადგილას საცნაურ ჰყოფს.

მამა იყო გიორგი, მეფეთა მეფე, ძე დიმიტრი მეფისა (რომელსაც დავითიც ჰყავდა შვილი), ძესა დავითიანისა, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხარის მეციხოვნისა, ზღვართა დამდებლის და ზღვიდან ზღვამდე მპყრობელისა, რომლის დიდებით, სიმხნითა და გვაროვნობით ცხოვრებას აჩვენებს იოვანე ფილოსოფოსი ჭიმჭიმელის შესხმა-მოთხრობა.

დიმიტრის, შეტაკებებში მხნეს და ბრძოლაში მძლეს, ორი ძე ჰყავდა, რომელთაც სახელად დავითი და გიორგი ერქვათ. უმცროსი ძის გამომრჩევი [უფროსის] მაგინებელი და გამკიცხავი იყო, როგორც ისააკი — იაკობის მიმართ. ვედრების შემსმენელმა ღმერთმა დავითის დღეების შემოკლება მამის [დღეების დამთავრებაზე] ადრე აღასრულა. მამამ

[ღმერთმა] ძესთან [ქრისტესთან] ერთად სასურველი ძე, მამის მსგავსი, თავისთან აღამაღლა და ძის თანასწორ მოსაყდრედ გამოაჩინა: მზე — მნათობებს შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო — [მეფე] -მპყრობელებს შორის; აქილევსი, სამსონი და ნებროთი —გმირებს შორის; სპანდიარი, თაჰამთა და სიაოში — გოლიათებს შორის; სოლომონი, სოკრატე და პლატონი — ბრძენთა შორის.

[4] მამამ ამას [გიორგის] თავისი მეფობის დროს ცოლად მოჰგვარა ხუდდანის მეფის ასული, სახელით ბურდუხანი, თვით ისეთივე შესატყვისი პირ-მზე და ტან-ლომი ქმრისა! თვით მზეთა-მზე მშვენებით და [სხივ]მომფენობით, როგორც ითქმის მართლებსა და ცოდვილებზე, რომელსაც უყვარდა მართალნი და იწყალებდა დამნაშავეებს. მისი ქრისტესშემოსილობის გამო მაქვს შიში და რიდი, რომ მასთან [შესადარებლად] გარეშეთა ან ზოგიერთების სატრფიალო სახეები მოვიყვანო. [იგი] ეკატერინესა და ირინედ-ქცეული პენელოპეს, და თვით ცისა და ქვეყნის განმანათლებელი მარიამის სახე არის მადლით, სიბრძნით, შეწევნითა და მეოხებით, [ყველაფრით], გარდა ქმრის ყოლისა. ვაითუ, უზომო დაძაბვით გონების თვალი დაბნელდეს და სახეების ძებნაში ჩემდა საზიანოდ ორმო გავითხარო ისე, რომ გზებზე მარჯვნივ თუ მარცხნივ გადაუხვევლად მავალმა გზის ამგვარი გამრუდება დამაბრალოს!

ახლა ძალისა და შესაძლებლობის შესაფერისად დავიწყებ ასე. ნათელ-შემოსილი შვილის [თამარის] მამა გორგასლიანი, ვახტანგის ნეტარებათა აღმასრულებელი, რომელზედაც აღსრულდა დავითის მამობაში ვედრებით ღვთის აღთქმული, რომ „მისი ტომისაგან აღედგინა“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მასავით მპყრობელი. ამიტომ ვინმე მოლექსე ამგვარად დალექსავს:

[5] შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღვთისმაქებარისა,
შეიტყოს შენი, მზესავით შვების მომცემის, მტრების დამარცხება,
მუსულმანთა გამწყვეტისა, ქრისტიანთა განმამტკიცებელისა,
ვინც დაგბადა, მანვე იცის დაბადება ბუნებისა.

[შენ ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთჳს ღვთის მაქებარისა,
ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თჳთ მზეებრ მაშუებარისა,
მუსულმანთ ამწყუედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
ვინ დაგბადა, მანვე უწყის დაბადება ბუნებისა].

მან, როცა შვიდ სამეფოდ განწესებული მეფობის შარავანდედი მიიღო, ზენა პორფირითა და გვირგვინით შემკულმა, მკლავებიც აღიჭურვა ქრისტეს რჯულის მოწინააღმდეგების — აგარიანების, ისმაიტელების და მაჰმადიანების — შესამუსრად და დასამხობად.

თავდაპირველად, იმიერებისა და ამიერების, ზემოურებისა და ქვემოურების, დიდებულებისა და აზნაურების, სპასალარებისა და სპასპეტების, შინაურებისა და გარეშეებისთვის წყალობის მიმფენელმა [ლაშქარი] შეყარა და ქალაქ კაღზევანზე გაილაშქრა, დაიპყრო აშორნის, სომეხთა მეფედ წოდებული შაჰ-არმენის, ყველა კლდოვანი ხეობა და ქალაქი.

ამის შემდეგ ისევ შეკრიბა თავისი ლაშქარი და დიდ და სახელგანთქმულ ქალაქს [დვინს], მიადგა, რომელიც ახლა არის არარატის ძირას სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარი, მამული თრდატ გოლიათისა, რომელიც ოდესღაც გრიგოლ პართეველის მიზეზით ღორად იქცა. საბრძოლოდ მდგომმა და გამზადებულმა, ყველაზე წინ მიმქროლავმა, შეუტია იმათ, რომელნიც ქალაქგარეთ მოამწყვდია. თავისი ლაშქრის წამქეზებელმა აიღო და დაიპყრო ქალაქი. ტყვეებისა და საუნჯის სიმრავლემ ველებისა და მთების ზედაპირი დაფარა. სამეფო ქალაქი ტფილისი ისე გაივსო, რომ გამყიდველებისაგან ტყვეს თითო დრამად ან ხის საწყაოდ [6] ყიდულობდნენ. ამის შემდეგ სანადიროდ მთები და ველები მოიარა, როგორც იონათან მშვილდ-კაპარჭოსანმა, როგორც ჩუბინმა, აუცდენლად მსროლელმა, მტრისა და მხეცის სწრაფად მომსრველმა, არტემი[და]ს მსგავსად, რომელიც „მთაფოლოდ“ იწოდება, რომელიც ნიშნავს „მონადირე ღმერთს“.

ისევ ინება [ლაშქრის] შეყრა და გალაშქრება და მიმართა დიდ ქალაქს, ანისს, რომელიც ოდესღაც ბერძენ მეფეთა სახლი და რეზიდენცია იყო, რომელშიც დღევანდლამდე არის ათასერთი ეკლესია. ბერძნებისგან თავის არიდებით, და დროის შეცვლის შემდეგ [ამ ქალაქზე] დაყენებულ დიდგვაროვან გამგებლებს, ვინმე შადადიანებს, მეყსეულად მიუხტა. სამი დღე გაატარა ცხარე ომსა და ჰუნეთა ძგერაში. ბოლოს, სიტყვით და საქმით გატეხეს. შადადიანის გარდახვეწის შემდეგ, როგორც ეკალ-ბარდის ამომგდებმა და ელვათა შორის მეხის დამცემმა, თავისი სურვილისამებრ ხელთ იგდო ქალაქი, არ დაუბრუნებია და სადგომად, თავისი ტახტის შესანახად და გასამაგრებლად დაიკავა. [იქ] ივანე ორბელი, მანდატურთუხუცესი და ამირ-სპასალარი დატოვა,

დამხმარედ [მიუჩინა] სარგის მხარგრძელი და სხვა თემის დიდებული აზნაურებისგან შეწუხებული თავის სათამაშო და სასიხარულო სანადირო [ადგილებს] დაუბრუნდა.

ჯავრისაგან აგარიანები და ისმაილიტელები განრისხება-სიფიცხემ და ქედმაღლობამ შეიპყრო. შარიარმა, თავის თავს სულთანს რომ უწოდებდა, მოიწვია მთელი შამი, ჯაზირი და დიარბაგი გარდმანის თურქებთან ერთად: არდოხის ძე, [7] რომელიც პაპის მხრივ დიდგვაროვანი კუზის ძე იყო, რომლის მამამ, ლაშქრობებში სპათა სიმრავლით სახელგანთქმულმა, გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე გააქცია; სალდუხ სელჩუკიანი, რომელიც სულთნების გვარტომი იყო; მრავალ დიდ მეპატრონესა და სპარსეთის ფადიშაჰებთან ერთად, მხეცების მსგავსად კბილების ლესვით, დიდი და მიუწვდომელი ძალით და უამრავი ლაშქრით მოვიდა და ანისს მოადგა, ცხენების ძგერებითა და აბჯრის ჟღარუნით ყოველ დღე [ქალაქის] კარებთან იბრძოდა.

ეს შეიტყო ნაჭარმაგევში სათამაშო სახლში მყოფმა მეფეთამეფე გიორგიმ, მამაცმა კაცმა და ბრძოლებში გამოჩენილმა, იხმო გუნდი და გუნდი, ცხენოსნები და ქვეითები ერთმანეთთან დააწყო, როგორც ყველა ხილულის უპირატესობას, წინ დაუდგა ჩრდილოეთს და აღმოსავლეთს. და როგორც ითქმის, „გმირმა, გზად მოსწრაფემ, შეირტყა [იარაღი], გაემართა და სუფევდა“, ყურადღება არ მიაქცია [თავისიანების] მცირე [რაოდენობას], არ დაელოდა სახელგანთქმულ ლიხთს-იქითა ჭაბუკებს და ზოგიერთ აქეთურსაც, მინდობილი იყო წყალობათა შემძლებელს, როგორც ამბობს ალექსანდრე [ისკანდერ] მაკედონელის ისტორია. მოუწოდა ძალთა ძალას, რომელიც მეუფებს ცათა ცაზე და აღრიცხავს გარსმომდგარი მტრის სიმრავლეს. მტრის მახვილთა ელვა არ იყო განლეული, მთები გადაიარა, შირაკში ჩავიდა. ვეზირად ახლდნენ იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სვიმონ-ყოფილი, რომელიც სხვა საჭურველთან ერთად საქმის [ცოდნითაც] იყო აღჭურვილი და ლაშქრის სიმცირის გამო [ურჩევდა], ახლოს არ მისულიყო. არ დამორჩილდა მხნეთა მხნე და გოლიათთა გოლიათი, ჭეშმარიტად მიმღები მოწამეთა ღვაწლისა და გვირგვინისა, სეხნიობითაც მისი მსგავსი, გიორგი. მან თუ [8] ერთ გველეშაპს სძლია, ამან, უძლეველმა მხედარმა, ბევრზე ბევრი სახის ასპიტსა და იქედნეს სძლია გონების მოხმობით. სარკინოზთა ლაშქრის მხილველი გაემართა [მათკენ], თვალები ზეცად აღაპყრო, ილოცა და ევედრა, იოვანეს ძელი ცხოვრებისა [ჯვარი] მისცა წინ წასაძ-

ღოლად. მხურვალე გულებით ამხედრდნენ და ერთმანეთს ამხნევებდნენ. ცხოვრების შვილები სიკვდილს თავს არ არიდებდნენ.

მეფემ, ცხენზე მტკიცედ ამხედრებულმა, ხოსროიანი ხმით ღაღადებით და ჭკუის დარიგებით მიმართა მხედრებს: კაცნო, ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო, როგორი დიდი სიკეთეა საღმრთო რჯულისა და ქრისტეს სახარებისათვის სიკვდილი [ჩვენი], რომელნიც მარადიულად შევნატრით ქრისტეს კვალზე შემდგარებს და ბუნებით მოკვდავი სხეულით გარდაცვლილებს! ხედავთ, რამდენად უფრო სასახელოა ვაჟკაცურად სიკვდილი, ვიდრე ავადმყოფობისგან გამოფიტვით დაუძლურებაში [სიკვდილი], ვინაიდან კარგი მაგალითი და სახელი საუკუნოდ გაგვყვება გზაზე. ძველი მომთხრობელებისგან გვსმენია, თუ საღმრთო რჯულისთვის რამდენი თავდასხმა გადაიტანა ებრაელთა ტომმა არტარქსერქსის დროს, ელინებმა — როცა მათ შეუმცდარი სპასპეტი თემისტოკლე მიუძღოდათ მსოფლიოს მპყრობელი ძლევამოსილი არტარქსერქსის წინააღმდეგ, რომელმაც ზღვა უომრად ფეხქვეშ დაუგო თავის ლაშქარს, ხოლო ათენელების ერთი ქალაქის მიერ უკუქცეულ იქმნა. ახლა ჩემო ფრთოსანო ლომებო, ჩვენთვის ლახვარცემულისთვის ავიღოთ ლახვრები და შუბები და განვგმიროთ, ვისაც მისი ღვთაებრიობა არ სწამს!“

ბოლო ლოცვა წარმოთქვა და მოუწოდა თავის ამილახვარს, [9] ლიპარიტ სუმბატის ძეს, ბექა სურამელს, ქირქიშ აბულეთის ძეს და სამ ათას [მხედართან] ერთად მბრძანებელმა ღიმილით და სიცილით ლაღად თქვა: „მოყმენო, ის აჯობებს, ვინც უსწრაფესად დასცემს მედროშეს, მისი დაცემით დავცეთ ნავალის და, მსმენია, კიდარიდან ჩამოსულების, ბანაკი.“

ასე იმედიანად მოქადულმა ჩამოიარა რაზმები და მთელი წყობა, შუბები განალაგა აფროდისის მსგავსად, რომელსაც მტკიცე წყობა ჰქონდა.

და როცა [მტრებმა] იხილეს აქილევსური მკლავით დაცემული დროშა, ბასრად მჭრელი მახვილები, [თავიანთი] ცხენების ძალის შესაფერისად გაიქცნენ. ასე აღსრულდა ნათქვამი: ერთის მიერ დაემხობა ამირსპასალარები, დიდებულები და ლაშქარი. ამათ აქეთ და იმათ იქით სისხლის ღვარი ადინეს. თვითონ მეფე, ალექსანდრეს ბედითა და სიაოშის ვაჟკაცობით [მოსილი], მისდევდა [მტერს], იცვლიდა რაზმებს, ურტყამდა და მასაც ურტყამდნენ, ხოცავდა და ისროდა, მისი ბუმბერაზები ეხმარებოდნენ მას.

ხედავდნენ როგორც ისრაელის ერი, და მზეც, ვით ისო-ნავეს დროს, დადგა, ვერ დამმორჩილებელი განგებით ეტლების სრბოლას, მათ დევნაში ჩაესვენა.

უკან დაბრუნებულებმა იხილეს უამრავი დახოცილი და გაწყვეტილი ხელმწიფეები და დიდებულები, ლომი აზნაურები და მონები,, კარვებისა და სამეფო სადგომების სიმრავლე; თვალმარგალიტის, ოქროჭედილისა და უჭედელის, აქლემების, ცხენების, ჯორებისა და ყოველგვარი განძის, ამქვეყნიური საუნჯისა და მონაპოვრის სიმდიდრე, აღსარიცხად შეუძლებელი. უამრავ ცოცხალთან ერთად იხილეს ოთხ მკვდარზე ზრუნვა. [მეფემ] უბრძანა ათასობით ამ მდგომარეობაში მყოფთა მიმართ იმავეს გაკეთება, რომ ორმოებთან დაეწყოთ [მათი გვამების] შეგროვება.

[10] მეფე კონსტანტინემ იხილა თავისი საყვარელი ვეზირები, სპასალარები, ხელისუფალნი და თავადები, დიდებულები და აზნაურები, მონები და რაინდები. მთელმა ერმა შეჰღაღადა მას და დაჭრილებმა და ნაცემ-ნაგვემებმა ასე მიმართეს შემოსილ ხელმწიფეს: „მშვიდობა [შენდა].“ რა სახით აღიწერებოდა, თუ როგორ იშვებდნენ მხიარულები და ღვთისა და ღვთის მიერ თავის სახედ გაჩენილი პატრონის მმადლობელები, მამა ძის მპოვნელი და ძე — მამისა, ძმა — ძმისა და ნათესავი — ნათესავისა, პატრონი —ყმისა და ყმა — პატრონისა. გამარჯვებულები და ყველაფრით აღვსილნი სიხარულით იღიმებოდნენ, ერთმანეთს ამბორს უყოფდნენ.

მეფობდა რა ამგვარ სიხარულსა და განცხრომაში, თვით მეფემ, თავის ლაშქართან ერთად მყოფმა, თაყვანი სცა ზენა განგებას, უგალობდა არა რჯულის სიმტკიცეს, არც მამაკაცის ძლიერ ფეხებს, არამედ ზენა ხვედრსა და ზე წმიდის განგებას, სიმდაბლით მიწაზე დაეცა უფალი ღმერთის, საბაოთის ძალების წინაშე და ცრემლებისგან დამშვიდებული, დასასვენებლად დაჯდა და უამრავი ნადავლიდან ძალზე მცირე აიღო.

და ამნაირად, იარაღითა და განძით აღვსილმა, ხელმწიფეების, დიდებულების, აზნაურებისა და მონების შემკრებელმა, ანისის კარებთან სამი დღე დაჰყო, ქალაქზე იზრუნა, იქ ამირა დააყენა, ლაშქარი აყარა და მხიარული სახით მახარობელი გამოაგზავნა ფილოსოფოსებისა და პატრიარქის წინაშე, რომლის ლოცვა შემწედ თან ახლდა. და თვითონ ნათელი პირით პირველად თავისი გამზრდელის, დედოფალთ-დედო-

ფალ თამარის, წინაშე მივიდა, რომელმაც [სახე] ჯერ ცრემლებით დაივლტო, შემდეგ კი — უზომო სიხარულით. და კვლავ, შეურცხვენელი პირითა და ახოვანი სახით თავის ცოლს შეხვდა.

ამგვარ დიდებაში, აღზევებასა და აღმატებულებაში [11], რომელიც ყველაფრით გასცილდა მამა-პაპათა საზღვრებს, ხმა გაისმა შამის, ჯაზირის, სომხეთისა და არზრუმის ლაშქართა, ხელმწიფეებისა და დიდებულების ამოწყვეტის შესახებ. [ეს] ესმათ ხვარასნისა და ერაყის სულთანს, დიდი ბაბილონის მპყრობელს, სარკინოზობის ცრურჯულის მდებელ ხალიფას და სპარსეთის ვარაზგ ათაბაგს. იხმეს და შეკრიბეს ისლამისტები, გაიხსენეს და მოძებნეს ზოროასტრის, რომელიც იყო პირველი მეფე და ვარსკვლავთმრიცხველი სპარსელთა შორის, ცეცხლისგან გალეული ძვლები, რომელთა შესახებ ასე ითქვა: „სანამ ესენი გექნებათ, არ დაკნინდება სპარსელების მეფობა“. რანში შეიყარნენ, სომხეთის ქვეყნის ქვემო მხარისკენ გამოემართნენ და გაგის ციხეს მოადგნენ. ის აიღეს და მის გარშემო ყველაფერი მოაოხრეს.

ეს შეიტყო სახელგანთქმულმა და უძლეველმა მხედარმა, უებრო ჭაბუკმა გიორგი მეფემ, სასწრაფოდ შეკრიბა თავისი შვიდივე სამეფოს [ლაშქარი], იმერნი და ამერნი, გამოიყვანა ოსები და დიდძალი მხარეები, და გაემართა სულთნის წინააღმდეგ, რომელსაც აურაცხელი და უამრავი ლაშქარი ახლდა. აქეთაც მრავლად იყვნენ კარგი და რჩეული [მეომრები]. გამოემართნენ და მათი ლაშქრის [პირისპირ] გავიდნენ. როგორც კი ეს გაიგეს სულთანმა, ათაბაგმა და მათმა ყველა ფალავანმა და დიდებულმა, თქვეს: „დღეს ქვეყანაზე კაცი არ არის, პირისპირ შეებას გიორგის და მის ლაშქარს, თავი ავარიდოთ და გავეცალოთ!“ მთელი სანოვაგე დაყარეს, განსაკუთრებით გაგში მყოფებმა, გადაიარეს ეკლეციის წყალი. სწრაფმა გაქცევამ და შეხლა-შემოხლამ ისინი დააბრკოლა. [მათ] ლაშქრის მოწინავენი დაეწივნენ, ხოცვა დაუწყეს.

როცა ეს გაიგო სვეგანდიდებულმა, აქილევსის მკლავიანმა და მაგნიტის გულის მქონე ხელმწიფემ, მხეცივით შეუტია, მაგრამ გამარჯვებისთვის ასეთმა [12] მზად-ყოფნამ უქმად ჩაიარა. ზოგიერთმა დიდებულმა წინააღმდეგობა გაუწია, თვით იქამდე, რომ სადავეები დაუჭირეს, განსაკუთრებით კი ვარდან კოლონკელიძემ, ხანში შესულმა და ბრძოლებში ძლიერმა და გამოცდილმა კაცმა, რომელსაც იმ დროს ჰერეთის ერისთავობა ეკავა. შესაძლოა, ერთმანეთის შურმა და მტრობამ ყო [ეს], რადგან კარგი და სრულყოფილი ნამოქმედარის დაშლა ორი

მიზეზით ხდება: ან ძალის უქონლობით ან შურით. ხოლო ყველა ძალაზე ურჩეულესი და ყველაზე აღმატებული არის ღმერთი, როგორც ყველა ძალისა და მოქმედების დამბადებელი. არავის არ შეუძლია, შეებრძოლოს და ძალა წაართვას მის მიერ ყველაზე რჩეულად დაბადებულს, რადგან ძალებზე ზე მდგომი მიზეზებით შეიქმნა ის. თუ შურის მიერ დასამხობად დატოვე იგი, როგორ შეინარჩუნოს ყველაში გამორჩეულმა თავისი ზემქონებლობა და ბუნებათკეთილობა? რადგან სიკეთისთვის უცხოა შური, როგორც [ამას] მაგალითები ცხად-ჰყოფენ.

არ მიუშვეს ამის მთქმელებმა: „რადგან სულთანი მთელი თავისი ლაშქრით გაქცეულა, გაამაყებული ნუ თავხედობ ღვთის მიმართ“. ეს იყო — უმიზეზო მიზეზი, უსიტყვო სიტყვა, უქმი საქმე. ვინაიდან მეფე გონებით ბრძენი და მომსმენი იყო, დაემორჩილა [მათ], ლაშქარი დაშალა და ისევ თავის გართობას, სიხარულსა და ნადირობას დაუბრუნდა.

ამის შემდეგ სულთანი და ათაბაგი მთელი თავიანთი ძალებითა და ლაშქრით გელაქუნში ავიდნენ. ძალა შეიმატა, მოვიდა და ანისის კარებს მოადგა, [13] ხოლო ზემოდან — შაჰარმენი და არაბეთის ყველა ხელმწიფე. იმ დროს ანისს ამაგრებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე. მან, გარე მხარეების დამშლელმა, მარბიელმა და ამაოხრებელმა, საბრძოლო [იარაღები] და მანქანები მოამზადა.

ქვეყანაში ეს ამბავი რომ გახმიანდა, მეფემდე მიაღწია, რომელიც მონადირე და მხიარული, მცირე ლაშქრით ლორისა და დმანისის მთებს შორის იდგა. მასთან მოვიდა სულთნის მოციქული, კაცი მოგვი და ლაქუცა, საქმის მცოდნე, [იგი] ლაშქართა წყობას აკვირდებოდა და ზვერავდა. როგორც ნათქვამია იგავი ბუსა და ყვავების შესახებ ინდოელთა მიერ აღწერილ „ქილილა და დამანაში“, ამანაც ლაშქრის დაზვერვის შემდეგ, ყვავის მსგავსად, ფრთები შეისხა, აფრინდა, სულთანთან და ათაბაგთან მივიდა და ასე მოახსენა: აჰა, ჩვენი შურისძიების ჟამი. ახლა თუ არ მიხვალთ, სხვა [უკეთეს] დროს ვერ იპოვით“.

ვინაიდან იხილა მცირე [ლაშქრით] მდგომი, მკლავ-მაგარ და სვეამაღლებულ მეფეზე შემმართებელი ძალით განლაღებულმა ღამე იარა და განთიადისას მძინარეებს თავს დაესხა ისე, რომ [მეფემ] ძლივს მოასწრო შეიარაღება და ცხენზე ამხედრება. ივანე ამირ-სპასალარმა და სხვა დიდებულებმა ლამის მოტაცებით წამოიყვანეს და გამოემართნენ, თან ეუბნებოდნენ: „ნუ, მეფეო! ჟამი არის ომისა და ჟამი — გარიდებისა, ვინაიდან ყოველსავე საქმეს თავისი ჟამი აქვს. ოდესღაც ალექსან-

დრეც დედაკაცის მიერ დამარცხდა, ასევე სამსონი — დალილას მიერ და სოლომონი — სიბილას მიერ". [14] და ხელმწიფეთა დამარცხების სხვა მაგალითები წინ დაუყენეს. „ნუთუ რაღაცით განვარისხეთ შენი შარავანდედობის ზე-მპყრობელი და მამამ მამობრივად ჭკუა ასწავლა თავისი ძის თანასწორად აღზევებულ დავითიანის ძეს, ვინაიდან იგი, მეფე და წინასწარმეტყველი, უფრო მეტად, ღვთის ძის მამად განწესებული, საულის მიერ იდევნებოდა? ახლა ჩვენც ავიღოთ ჩვენს თავზე ეს გაქცევა, რომ ძლევის მომნიჭებელმა ჩვეულებისამებრ გამარჯვება მოგვანიჭოს."

ასე, იძულებით წამოყვანილი და გადმოსული ის და მისი მოყმეები რაზმში მრავალჯერ ნახეს,რომ უკუაქცევდნენ და ხოცავდნენ [მტრის] მეომრებს. მათ ისეთი ვაჟკაცობა, უცხო და საკვირველი საქმე აჩვენეს, რომ არც დიდებული, არც აზნაური, არც ყოჩაღი და რამით ცნობილი აზნაურის ყმაც კი არ გამოკლებიათ ლაშქარში, გარდა ერთი ჯვარისმტვირთველისა, ქანის ძისა და ერთი უბრალო აზნაური კაცისა, მაგრამ ჯვარი უვნებლად გამოიტანეს.

ო, გასაოცარი სიმხნე და სიქველე და უფლის ხელი! როგორ, რომელ ბრძოლებში, ძველად თუ ახლა, გაგონილა, რომ ასე უვნებლად გადარჩენილიყვნენ მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ? ამის შემდეგ მათი ხელიდან თავდაღწეულმა ისმაილიტებმა ასე განიზრახეს და თქვეს: „რადგან მოულოდნელად თავს დავესხით და ხელთ ვერ ვიგდეთ, ახლა მომლოდინენი [არიან] და მათი დევნა — აჩრდილის დევნაა და ქარების უბეში მოქცევა. ახლა რაც ღმერთმა მოგვცა, იმისი მმადლობელნი [ვიყოთ და] უკან დავბრუნდეთ ჩვენს სამშობლოში.

[15] ვინც ამას წაიკითხავს და გაიგებს, ეს ამ სახით გაითავისე: „საზღვარი დადე და ვერ გადალახავენ" [ფსალმ. 103, 9]. მზესავით დიდი ბასილი, კესარიელთა მნათობი, არსთა ქმნადობის ბუნებითმეტყველებისას „ექვსთა დღეთაში" ამბობს: „ჩიტი ალკუნი ზღვის ნაპირას დებს კვერცხებს, ზღვის შფოთვა და ღელვა-ტეხილობა ღვთის ბრძანებას ვერ გადავა და იცავს ალკუნის თესლს". ზენა განგებას რომ მიეშვა და სულთნის გაქცევას წინ არ აღდგომოდა, სარკინოზების ყველა მაღნარი (სიმრავლე) დაქცეული იქნებოდა. ასევე, მეფისა და მისი ლაშქრის მიმართ შიშისა და ვაჟკაცობის გამო რომ არ გაქცეულიყვნენ, დაპყრობილი იქნებოდა წარმტაცი არე და ადგილები.

ამის შემდეგ ანისი თავის თანამემამულეს უბოძა და თავის ყმად გაიხადა იგი. ელდიგუზ ათაბაგი შემოეხვეწა, სულთანსა და ქართველებს

შორის [შუამავლად] დადგა და ზავი ითხოვა. აქედან რუსუდან დედოფალი, მისი და, სულთნის ცოლყოფილი, ჩაუდგა [შუაში] და რამდენიმე ხნის მანძილზე მშვიდობა და ზავი ჩამოვარდა.

თვითონ მეფე სიხარულს, დასვენებასა და ნადირობას მიეცა. ზოგჯერ, ზამთრის პერიოდში, ლიხთ-იმერეთს გადავიდოდა და პონტოს ზღვამდე მიდიოდა. გამოვიდოდა და ინადირებდა ალანთა ქვეყანაში, რომელიც არის აფხაზეთი, ზოგჯერ კასპიის ზღვამდე [მიდიოდა]. ასე მეფობდა და იხარებდა ოლიმპიური მეუფებით.

ვინაიდან ამ სამეფოს ლაშქარი და დიდებულები უსაქმოდ იყვნენ, მათ [მეფეს] შეჰკადრეს: „ლაშქრობისა და რბევის გარეშე უსაქმოდ ვერ ვრჩებით“. ამის მსმენელმა მეფემ შინაურებს ზავი და ფიცი გამოართვა და ამნაირად გაილაშქრა: ლიხს-იქით [16] მყოფმა ლაშქრობა დათქვა, ერთი დრო დანიშნა და ტაოელებს, კლარჯებსა და შავშელებს ოლთისისა და ბანის დარბევა უბრძანა; მესხებსა და თორელებს — კარისა და აშორნისა; ამირ-სპასალარსა და სომხითარებს — მტკვარს აქეთ ვიდრე განჯამდე; თვითონ ხასაგანიანებთან, ლიხთ-იმერლებთან და ქართლელებთან ერთად — განძის ქვემოთ მტკვრის პირი იმიერ და ამიერ, ვიდრე ხოლთამდე; ჰერებსა და კახელებს — ალაზნის შესართავიდან ვიდრე შარვანამდე. ისეთი არნახული ლაშქრობა შეიქმნა, რომლის სიგრძეში [გაჭიმულობა] აქამდე არავის არ ენახა.

მის სწრაფად და მხნედ გადაადგილებას ვინღა იტყვის? შესაძლოა, ამბაკუმზე, დანიელზე ან ილიაზე უსწრაფესად, რომელმაც სინაზე ერთი ღრუბლიდან მოაგროვა წვიმა ან ელვის ეტლით [ცაზე] ავიდა? სწრაფმავალი ფეხების ან ფრთოსანი ვეფხვის, დანიელის მსგავსმა ერთ წამში დალაშქრა და აურაცხელი და მიუწვდომელი სიმდიდრით ერთი დღეღამის განმავლობაში გეგუთში გაჩნდა ისე, რომ იქ მყოფებმა ძლივს ირწმუნეს მისი იქ ყოფნა.

ხოლო ახლა ენა ან გონება თითოეული ამის მოყოლას თუ შეუდგება, აღწერილი მოსაწყენი იქნება სათქმელის გაგრძელების გამო. ვინაიდან ღვთის ცხებულს დავითიანობა და სოლომონიანობა გვარით მოსდგამდა, ქვეყნის ყველა მეფე სოლომონის მსგავსად ემორჩილებოდა მას.

ერთხელ მოვიდა ანდრონიკე კომნენი, დიდი მანოელ კეისრის, მთელი დასავლეთისა და საბერძნეთის მეფის, მამის ძმისწული, თავის მშვენიერ და სახებრწყინვალე ცოლთან, [17] შვილებთან და დისწულთან ერთად. ღმერთის მადლიერმა, როგორც მართებდა, ისე მიიღო და

მისი გვარიშვილობის შესაფერისი პატივი მიაგო. საკმარისად უბოძა ქალაქები და ციხეები, სადგომი გაუმზადა თავისი ტახტის ახლოს თავისი მამის დისწულის, აღსართანის, პირდაპირ, რომელიც შირვანისა და დარუბანდიდან ხირხალამდე ზღვის პირის მეფე იყო. მეფეს იგი შვილად მიაჩნდა, როგორც ერთი თავისი დიდებულთაგანი. ოდესღაც დარუბანდელი ხაზარების მიერ შეჭირვებული შარვანშა [მეფეს] შემოეხვეწა. მაშინ იმიერიდან და ამიერიდან ლაშქარი შეიყარა, თვით ბერძენთა მეფის ძმა ანდრონიკე წაიყვანა და დარუბანდის კარებამდე მივიდა. მოაოხრა მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა, აიღო ქალაქი შაბურანი. მეფეს, რომელიც ბრძოლას უმზერდა, და მის ლაშქარს ძალიან მოეწონათ ანდრონიკეს [ვაჟკაცობა]. ის ქალაქი თავისი მამის დისწულს, შარვანშას, უბოძა და იქიდან მოყოლებული, ბასიანის დამრბევი, რაც ადამიანის ძალისათვის შეუძლებელი იყო, მობრუნდა და გამარჯვებული თავის სამყოფლოში იშვებდა და ერთობოდა.

ზოგჯერ თავის ლაშქარსა და სპასალარებს ნახჩევნის კარებამდე აგზავნიდა, ზოგჯერ — დმანისამდე და ღაღვამდე, ზოგჯერ — ბარდავამდე და ბელაქნამდე. ამგვარ წარმატებებსა და ზეობაში საგანძური გაზარდა. მის მიერ მოგებული და მისი ტყვეებისაგან მონაგები უჯარმის ციხეში დადო, რომელიც ვახტანგ გორგასლის მიერ იყო აშენებული. თვითონაც, ლომთა ლომი და [18] გოლიათთა გოლიათი, იქ გარდაიცვალა. სანადირო ქორების და ძაღლების სიმრავლე, სილამაზე და აღკაზმულობა [რაც მას ჰქონდა], არასოდეს არავის არ ჰქონია და არც მომავალში ექნება ვისმე.

მთელი ქვეყნისა და ამქვეყნიური ცხოვრების ამგვარ სრულყოფილებაში გაიზარდა მისი ძმისწული, მისი უხუცესი ძმის, დავითის შვილი, სახელად დემეტრე, გარეგნობით ლამაზი, ყოველ საქმიანობაში მარჯვე, ნასწავლი, მათი გვარიშვილობის მსგავსი, მაგრამ რაც ყოველგვარ სიკეთესა და სწავლულებას, გარეგნულ უზადობასა და ახალგაზრდობას ამაოს ხდის, ის გახდა მისი მომსპობი და ცხოვრების გამამწარებელი: ღვთის მიმართ შიშის არ ქონა და ქრისტეს რჯულის მცნებათა წინააღმდეგ მოქმედება, რაც იყო ამ სამეფოს გვარის წარმომადგენელთა თანდაყოლილი უბედურება. როგორც მამამისმა, დავითმა, უღალატა და განუდგა რა თავის მამას დემეტრეს, ამოწყვიტა ამ სამეფოს დიდებულები — ზოგი განდევნით, ზოგი სიკვდილით, ზოგი პატივ-აყრით, ახლაც მის მსგავსად, ეშმაკი შეუჩნდა ამის გულსა და გონებას. ამის გამო განუ-

რისხდა ღმერთი ორბელებსა და მათ მომხრე ყველა ტომს: სამცხელებს, ჰერებს, კახელებს და [ყველას], სადაც კი მათი მოდგმა და ერთგული ვინმე იყო დარჩენილი. შეიქნა განდგომა, ბრძოლა, ხოცვა, სისხლი და რბევა. სამართლის მომქმედმა ღმერთმა, რომელიც [ბოროტებას] არ დაუშვებს, აბესალომს უფლება არ მისცა [ეჯობა] დავითისთვის, რაზეც წმიდა სახარებაში ნათქვამია: „უკეთუ შვილმა მშობელს უთხრას „კორბან" — „ძღვენი", ჩემგან სარგებელი გეყოს, სიკვდილით მოაკვდინა". ამის გამო გიორგიმ, მძლეთა მძლემ, ლაშქარი შეკრიბა და ქალაქ თბილისიდან სომხეთის მთებში [19] მყოფ [მტრებს] მიაშურა, დაიფრინა, გააქცია, ლორის ციხეში შელალა და ყველა ციხე და სიმაგრე წაართვა. დემეტრეს ჩამოშორდა ორბელთა ძმა და ახლობელი სარგის მხარგრძელი შვილთან და ძმისწულთან ერთად. მეფემ ტკბილად და სიყვარულით მიიღო იგი და მისი გვარიშვილობის [შესაფერისი] ნდობა გამოუცხადა. მოარბია ტაშირი და ლორეს კარი და აგარებში დაიბანაკა. გაგზავნა ლაშქარი, რომელიც მისი ერთგული იყო და სხვა მხრის [მეომრები]: მესხები, თორელები, ქართლელები, სომხითარები და თვით თავისი გაზრდილი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი, და ჰერეთის ქვეყანაში მივიდნენ. იმ მხრიდან მოვიდნენ ჰერეთის ერისთავი და ყველა ჰერი სრულიად ლეკებითა და კავკასიელებით. შეიქნა ფიცხელი ომი და შეხლა-კვეთება, რადგან [ბრძოლაში] გამოცდილი და ლომივით ჭაბუკები იყვნენ. ამ [ბრძოლაში] სძლია მსჯავრისა და სიმართლის მქონემ, და ჰერები, დიდებული აზნაურები და ლეკები გააქციეს. შეიპყრეს ხმლით დაჭრილი გრიგოლ ასათის ძე, რომელსაც ცხენი მოუკლეს, უკვალოდ დაიკარგა ომის დროს. შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე, რომელიც თავიდანვე საფლავის გამთხრელად ითვლებოდა, ასევე [შეიპყრეს] შოთაც, ართავაჩოსძის ძე. ესენი, როგორც წინასწარ განზრახვით შინაგამცემელნი, ხელში ჩაიგდეს და წამოსულებმა გამარჯვებულ, აღმატებულ მეფესთან მოიყვანეს. დიდი სიხარულით ფრიად გაიხარეს. ვინაიდან ხედავდა გამარჯვების მომნიჭებელ ღმერთს.

მაშინ აგარაში მყოფი მეფე დაიძრა და ლორეს მოადგა. იქიდან სპარსეთში იყვნენ გაქცეულები ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნიც გიორგის მიერ იყვნენ ხელდასმული, და ანანია დვინელი, ზოგი — შაჰარმენთან, ზოგი — ელდიგუზის ძეებთან. [20] თუმცა უშველეს და გამოჰყვნენ, მაგრამ ქრისტეს მართლმსაჯულებამ უქმად უკან დააბრუნა. ამასობაში ლო-

რეში მდგომებს ძალა გამოეცალათ. დემეტრემ თოკი გამოაბა, ციხიდან გამოიპარა და თავის ბიძას მიაშურა. ციხეში დარჩენილი ამირსპასალარი და სხვები მათი ბედისა და სვის შესაფერისად გამოიყვანეს. [მეფემ] ლორე აიღო და თავისთვის დაისაკუთრა. იმავე დროს კმაყოფილი და განდიდებული წამოვიდა თავისი ურჩებისა და მტრების წინააღმდეგ და მათი საქმეების შესაფერისი მისაგებელი მიაგო. თვითონ ნაჭარმაგევში მოვიდა და მტრებზე რისხვის დამცემი, იხარებდა და იშვებდა.

ამის შემდეგ, მეორე წელს, ღანუყიდან ნაჭარმაგევში მობრუნებულმა მთელი თავისი სამეფო შეყარა. შვიდივე სამეფოს შემყრელმა მოიწვია დედოფალთ-დედოფალი, თავისი ბედნიერი და სვიანი ცოლი ბურდუხანი და შვილი, მათი თვალების ნათელი და ბრწყინვალება, ყველა მეფის სამკაული და ყველა ხელმწიფის გვირგვინი, თამარი.

[21] მეფობის მიმნიჭებელი ზენა ხვედრის განწესებითა და გამორჩევით, განგებითა და გაგონებით, ყველა პატრიარქის და ეპისკოპოსის, იმიერი და ამიერი დიდებულების, ვეზირების, სპასალარებისა და სპასპეტების თანადგომით მეფედ გამოაცხადა თამარი. და მარჯვნივ დაისვა მეფე და დედოფალი. [იგი] იყო შემკული და შემოსილი სხვადასხვა ფერის ოქროვანი სამოსლით, ბისონითა და ოქროქსოვილით. უწოდა მას ღმერთის მთა, მთა გლუვი, მთა გრეხილი, თავზე დაადგა ოქროს გვირგვინი, ოფაზის ოქროსი, შემკული იაგუნდით, ზურმუხტითა და სმარაგდით. ხალხის გამორჩეული მდიდრები ზეიმობდნენ მასთან ერთად. თვითონ მეფემ, რომელმაც მას ერთგულება და ერთსულობა შეჰფიცა, რომელიც, ცრემლად დაღვრილი, ევედრებოდა ღმერთს, აკურთხა ისე, როგორც აკურთხებდნენ [შვილებს] აბრაამიდან ისაკამდე, ისაკიდან — იაკობამდე, იაკობიდან ვიდრე იოსებამდე. როგორც ჰაერში ჩანს უღრუბლო მზე, ისე [ჩანს] დღევანდლამდე მამის კურთხევა დავითის მსგავს საყვარელ, ნანატრ და მშვიდ შვილზე, რომელიც ლოდივით გამოვიდა დანიელის მიერ ხილული მთიდან, იმატა, იმატა და შემდეგაც იმატა, ვიდრე არ გახდა დიდი მთა, ლოდი ქვაკუთხედი და არა — დაბრკოლების ლოდი. შემუსრა ოქროსა და ვერცხლის, რკინის, რვალისა და თიხის ყველა ხატი და ყველა კერპი, ზოგი უხილავ ძალთა, ზოგი ხილული მოწინააღმდეგეებისა და მებრძოლების ძეგლები და ქანდაკებები.

[22] ამის შემდეგ კეთილდღეობასა და სვებედნიერობაში მოიწია ამ ქვეყნად მოვლენილთა [გადასახდელი] ვალი, მაგრამ განწესებული ცხოვრების ტრიალის უდროო და გამოუსწორებელი შემცირებით.

გარდაიცვალა თამარის დედა, დედოფალი ბურდუხანი, ღმერთის ძის დედის დარი. რომელი ენა გამოთქვამს, თუ რა უზომო ვაება და გლოვა შეიქმნა, რაც მოიწია, იმის სადარი? მაგრამ რაც მოიწია, იმის პატივსაცემად და დასამტკიცებლად მხოლოდ ამას ვიტყვით.

გეგუთში მყოფ მეფეს მოახსენეს ეს თავზარდამცემი ამბავი. ოქროსთმიანი აბესალომის მსგავსად, თმა და წვერი დაიგლიჯა, ნაკადულივით ცრემლების ღვრით და ათასჯერ და ათი ათასჯერ მკერდში მჯიღის ცემით, თავის მოკვლამდე მისულმა, თმები აღიკვეცა და ასეთი შემუსრვილი გულით შეხვდა საყვარელი და ტკბილი დედით დაობლებულ თავის [შვილს], რომელსაც თავისი გარეგნობის ნათელი ცისკროვნება ბნელად გადაქცეოდა. ერთმანეთის ხვევნისას ორივეს თვალებიდან ცრემლთა ნაკადი სამოთხის [მდინარე] გეონის მსგავსად დიოდათ. ვინაიდან ასეთი გახდა ქართლის ქვეყანა, კვლავ ნუგეშმცემელი და დამამშვიდებელი საყვარელი და ლამაზი შვილისა, ორმხრივად უზომოდ იმედის მიმცემი ექმნა: სიყვარულის მინიჭებით და გლოვის შეწყვეტით. ქართლი დატოვა და ქვემო [მხრისკენ] წავიდა. როცა გლოვისა და მომხდარი უბედურების დრო გავიდა, მონადირე, როგორც წესი იყო, კვლავ შეუდგა გართობას მთასა და ბარში. [იგი] ბრძანებლობით ფლობდა აღმოსავლეთსა და [დასავლეთს], ჩრდილოეთსა და სამხრეთს. მას ძღვენს აძლევდნენ და ეძმობილებოდნენ ბერძენთა, იერუსალიმში [23] ალამანების, რომაელთა, ინდოელთა მეფენი და ჩინელები; ასევე ემორჩილებოდნენ ხორასნის, ბაბილონის, სირიის, ეგვიპტისა და იკონიის სულთნები. ამათ შემდგომნი — სკვითები, ხაზარები, ალანები, ხორასნელები, ხვარაზმშა, ბეირუთელები, აბისინიელები, არაბები, მიდიელები, ელამიტელები და შუამდინარის [მცხოვრებნი], ყველა ენა და მოდგმა — მაშრიყიდან მაღრიბამდე.

ამქვეყნიური სიუხვისა და დიდების უსაზღვროობაში, ევას დაწყევლისა და ადამის შეცთომილებათა გამო, სასჯელი მოიწია მართალ აღმსარებელთა მიმართ აბელ მართლიდან, ვიდრე ზაქარიამდე და მის ძმა იოვანემდე. ჯოჯოხეთი არგუნეს ჩვენს მკვლელსა და თვით თავის მკვლელს სამოელს, ცათა ციდან ქვესკნელის უფსკრულში ჩასულს, ანგელოზობისა და ნათელმოსილობის სიბნელედ მქცეველს და ეშმაკად გადაქცეულს, რომელსაც ხელთ უპყრია ისინი, ვისაც ღმერთი უყვარს და ისინიც, რომლებიც ღმერთს უყვარს. მისგან ცთომილი ადამიანების ხსნის მსურველმა ღმერთმა კაცობრივი სახით იმოქმედა, არა ძალის გა-

მოყენებით, რადგან ოცდაათი წელი იქმოდა ნიშსა და სასწაულებს და მეუფებდა ამ ქვეყანაზე, ცისა და ქვეყნის მეუფე და შემოქმედი. ამის შემდეგ თავის თავზე აიღო ცვალებადი და ხრწნადი სოფლის ცოდვები და შეცოდებანი, უკვდავმა სიკვდილი მიიღო, მაგრამ ჩვენგან მიღებული სხეულით, ჩვენი გადარჩენისათვის. ვინაიდან უკვდავმა უწინარეს საუკუნეთა ღმერთმა და ძემ არა უკვდავ ყო მის მიერ მიღებული სხეული, სხვა რა წარმოვიდგინო, სხვა რა ნუგეშინისმცემელი დავისახო, როცა მესმის ოთხი სტიქიონის მიერ სულის სხეულში დავანება? მზეთა მზე და ხელმწიფობის შარავანდედი, ახალი [24] ნებროთი, ალექსანდრე და აქილევსი მიწიდან ცაზე ავიდა. ესეც გარდაიცვალა ვნების მეშვიდე [დღეს], ისე „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“, ვინაიდან მან სხეულით, სიგლახაკითა და სიმდაბლით ცხოვრების ტრიალის ოცდაცამეტი წელი გაატარა, ხოლო ამან არა იმგვარად, მაგრამ როგორც ღმერთის ხატად გამოჩენილმა.

სამმნათობიერმა, მეფეთ-მეფისაგან მეფედ დასმულმა თამარმა, ქალაქ თბილისში, ისნის ციხე-სასახლეში მყოფმა, შეიტყო ეს საგოდებელი და უბედურებათა მოსაწევარი, კლდეთა გამხეთქი და კარის საბლის გამპობი, ციდან მანანისა და ვარსკვლავების ჩამომყრელი საშინელება. სამოთხის მსგავსი სამყოფელი ჯოჯოხეთს დაემსგავსა, შვებისა და სიმღერის ნაცვლად ვაებისა და გოდების ხმა გაისმა, მიუაჩრდილებელი ნათელის ნაცვლად ყოველი არსი და წარმოსახვითი არსი დაემხო. თამარი, ეთეროვანი სახე, უღრუბლო ჰაერი და უჩრდილო ნათელი, სიბნელეში ჩაიკეტა, თმებს იგლეჯდა, ცრემლების წყაროს სისხლის წყარო უსწრებდა. ამის შეკავების მიზნით პატრიარქი და დიდებულები სამშვილდეში წავიდნენ, საზარელი, საშინელი და სათქმელად ძნელი ამბავი აცნობეს და წამოიყვანეს მეფის და, რუსუდან დედოფალი, თავის გაზრდილთან ერთად. მათ მიეგებნენ. ურთიერთს მოეხვივნენ და სისხლ-გარეული ცრემლებით ლტობილნი სამეფო სასახლეში შევიდნენ. თვალები ზე აღაპყრეს და იხილეს ცამდე ამაღლებულის ტახტი გაბაონიანის ნათელი მზის და ჰალონიანის შუქ-მფენარი სვისა და ბედნიერებისაგან დაცლილი იყო. გარშემო მიმოიხედეს და იხილეს მიქაელ პატრიარქი ყველა ეპისკოპოსთან ერთად მდგარი, ვეზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარი და სხვა ხელისუფალნი: მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, მცველთუხუცესი ვარდან დადიანი, მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი, მსახურთუხუცესი აფრიდონი, ივანე... და დიდებულები, აზნაურები, მონები და რაი-

ნდები, იქვე იყო პორფირი, გვირგვინ-სკიპტრა და [მის მიერ] მარჯვედ ნახმარი იარაღი. ისევ მიმოიხედეს და წარმოუდგათ: მეომრებით სავსე სასახლის კედლები, რაზმები, ლაშქარნი, მებრძოლები, დანგრეული და ოხერქმნილი ქალაქები და ციხეები. და თვითონ ის ნახეს ტანად გორგასლიანი, აქილევსის მკლავით და გაბრწყინვებული პირისახით, გმირად საგონებელი კაცი. რომელი ენით გამოთქვან, ან როგორ გამოხატონ ის შეუდარებელი დღე? რა გლოვა, რა თავში ცემა, რა ვაება, რა ათასკეცი სისხლნარევი ცრემლის ნაკადი, რა მოთქმა და გახსენება ადამიდან მართალ აბელამდე, დავითიდან იონათანამდე და იაკობიდან იოსებამდე!

ამისთანა უნუგეშობა, საჭურვლის უქონლობა, ძაძის ჩაცმა და დაფენა, ყოველგვარი საკვებისგან განდგომა — ესენი, რაც აქამდე [ვთქვი].

ხოლო ამიერიდან გონების მოხმობით უნდა გამოვიჩინო შემართება, ბრძოლა. და როგორც ქვისა და რკინის დარტყმის შედეგად, უნდა გადმოვაფრქვიო სიყვარულის, ქების და სურვილის ცეცხლი, ცამდე აღვატყინო და ავამაღლო ალი [მისი]. მასში უნდა აღმოვაჩინო ცეცხლის ეთერი და ქვეყანა, ურჩების ცეცხლით მომსპობი, და მეგობრებისა და მოყვარეებისთვის ცეცხლივით ძლიერი და სასარგებლო. თუ მაშინ ნაბუქოდონოსორმა სამ ყრმათა შორის მეოთხედ იხილა სამებისაგან ერთი, აქ სამებასთან ოთხებად ჩანს [მათი] დარი და აღმატებული თამარი.

შვიდივე სამეფოდან შეკრებილმა მთხრობელ-მოლაპარაკეებმა დედოფალ რუსუდანს ჰკადრეს [26] და მოახსენეს: „დღეს შენ ხარ მისი მშობლების ნაცვლად. ვინაიდან ახალგაზრდა თამარს ვხედავთ არა ახალგაზრდული, არამედ მცოდნე, შეგნებული, გამჭრიახი და ბრწყინვალე გონებით, ტრადიციის თანახმად, თქვენი გამგონეა და პატივისმცემელი, შენ გხედავს თავისი მშობლების უჩინარ სახედ, — ურჩიე, უთხარი და მოახსენე, რომ შეწყვიტოს ამგვარი გლოვა და სადაც თქვენმა ძმამ და მისმა მამამ თავისი ზეობისა და კარგადმყოფობის დროს დასვა, იქ აღასრულოს თქვენი გვარ-ტომის ხელმწიფობისა და მეფობის გაბრწყინვება. ოლიმპიური გამარჯვებების მოპოვება და აღსრულება გაცნობიერებული რომ არ ჰქონოდა, მას, მეფობის გვირგვინსა და მშვენებას, არც ანდობდნენ დავითის ტახტსა და სოლომონის ბეჭედს. ახლა ვინაიდან მან ხელი უნდა მიჰყოს მეფობას და კურთხევით გვირგვინოსანი გახდეს, უნდა ამაღლდეს და თავის მამათა ტახტზე დაჯდეს ძელი ცხოვრების ამაღლებითა და წინამძღოლობით და მელქისედეკის

კურთხევით, [მსგავსად იმისა], რაც მან ჰყო აბრაამის მიმართ. მან უნდა დაიპყრას ქვეყნის მხარეები და მეფობდეს ზღვიდან ზღვამდე.“

ეს მოისმინა, მოიწონა და დაიჯერა დედოფალმა, ურჩია და მოახსენა თამარს, მეფესა და დედოფალს. [იგი] დაემორჩილა შვიდივე სამეფოს დიდებულების მიერ კადრებულ პირველსავე რჩევას, მოისმინა თხოვნა და იძულებული შეიქნა, დამორჩილებულიყო.

მამაპაპეულ ტახტზე აიყვანეს და დასვეს მზეთა მზე, ნათელთა ნათელი, ელვარება და სხვებისთვის მზესავით მანათობელი. მოიტანეს გვირგვინი. მგალობლებმა ხმა აიმაღლეს გამარჯვებით გვირგვინოსნობასა და ძლევამოსილ მეფობაზე, გაიხსენეს, როგორ გამოუჩნდა ჯვარი კონსტანტინეს ზეთისხილის მთაზე. ამგვარ შესხმასა და გალობაში, ვინაიდან წესი იყო სამეფო გვირგვინის ლიხთ-იმერეთიდან [მოწვეულის მიერ] დადგმა, მოიწვიეს ღირსეული და მადლშემოსილი მონაზონი, [27] ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ანტონი საღირისძე, რომ გვირგვინი მოერთმია. მეორე მხარეს, რაჭისა და თაკვერის ერისთავი კახაბერი. სახელოვანმა და დიდებულმა ვარდანის-ძეებმა, საღირის-ძეებმა და ამანელის-ძეებმა მოიტანეს და შეაბეს ხმალი. ამ დროს დაჰკრეს დაფ-დაფებს, [ჩაჰბერეს] ბუკებს, ქოსებსა და წინწილებს, ქალაქში ატყდა ერთი ზარი და ზეიმი, უიმედოდ ქმნილთა სიხარული და შვება და იმედი. შვიდივე სამეფოს ლაშქარმა თაყვანისცა, დალოცა და ადიდა. თითოეულმა დროულად დაიკავა თავისი ადგილი. შვიდმნათობიერი თამარი ადიდა მან, რომელმაც ექვს დღეში შექმნა და დაბადა ყოველი ხილული არსი და მეშვიდე დღეს დასვენება მისცა.

თამარის შესახებ ნათქვამია „დასვენება მშვიდ და წრფელ სულში“, მოხარულ იქნა თავისი აღზრდილის აღზევებისა. მხილველმა ნახა, რომ პირველ ნათელზე უმეტესი ნათელი იყო. „და კარგი იყო და ნათელს უწოდა დღე“. ამას უწოდა ოლიმპიელთა შორის დიდი ბედნიერების ნათელი. ამან სიბრძნის შვიდი სვეტი გაამზადა, მათზე შვიდი სამფლობელოს განმანათლებლად შვიდი მადლის ტაძარი და სადგომი ააგო. დღეში შვიდგზის ღვთის მადიდებელმა შვიდჯერ გაწმინდა სიტყვები მოაბადისა და მეფის მსგავსად, როგორც ამბობს ზოგს ესაია და ზოგს — დავითი. სოლომონის სიტყვების მსგავსად, „შვიდის პატივისმცემელი ნაწილს აძლევს მერვეს“, შვიდი სამწყსოს ერთად განმაბრწყინვებელი. ყოველ კვირაში შვიდჯერ და სამოცდაათ შვიდჯერ შეუნდობს დამნაშავეებს. ცის შვიდ სარტყელს [28] და სფეროს მნათობებს, რომ-

ელნიც არიან კრონოსი, ზევსი, აფროდიტე, ჰერმესი, აპოლონი და არესი —ამათ დაამსგავსა მიწიერი სფერო მგრძნობელობის ხუთი ორგანოს შვიდად გადაქცევით, მიუმატა რა მათ სული და გონება. ოდესღაც ზენა მნათობს ემსგავსებოდა ქვენა მნათობი გინდაც არაჩვეულებრივი და შეუდარებელი სილამაზით, გინდაც სიბრძნის სისავსით, გინდაც მზ-ესავით სიუხვითა და სხივების მოფენით მართლებსა და ცოდვილებზე, გინდაც გამარჯვებებით სძლევდა [ყოველგვარ] სიძნელეებს.

ჩანართი (V)

ამგვარად ასწავლა ხუთი საგრძნობელი, და სატანისა და გველის მხრივ ცთუნების გარეშე ღვთის შიშით შეიზღუდა ხედვა, ყნოსა, სმენა, გემო და შეხება. ბიწისაგან შეუხებელმა როგორც მილში, ისე უვნებლად გაიარა ეს მარად დაუდგრომელი და ქვენა გრძნობების გამღვიძებელი წუთისოფელი. ამგვარ დიდებაში და უზომო სიმ-დიდრესა და სიმაღლეში ისე ცხოვრობდა, თითქოს არაფერი არ ჰქ-ონოდა და ყველა ადამიანზე უმდაბლესად და უგლახაკესად თვლიდა თავის თავს, რადგან მუდამ ახსოვდა ხმა: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი ვფიქრობ წასვლას“. ნუთუ ამგვარ ღვთისმ-სახურებასა და კრძალვაში ეს ქვეყნიური მეფობა დიდების გარეშე და განუგებელად დატოვა? არავითარ შემთხვევაში! ყველა მეფეზე, ბრძ-ენზე და ფილოსოფოსზე უკეთესად განაგო, შეამკო, წარმართა ისე, როგორც შეუძლებელი იყო სხვა ადამიანის მიერ, როგორც ამბობს სა-მეუფო სიტყვა: „შეუძლებელია ორი უფლის მონება“. ამან, თავდაპირ-ველად სასუფევლის მეძიებელმა და ზენა სუფევის მოსურნემ, ქვენა დიდება და სიმდიდრეც უხვად და სრულად მიიღო აღთქმისაებრ იმისა, ვინც ტყუილი არ იცის: „პირველად ეძიეთ ღმერთის სასუფეველი და მისი სიმართლე და ყოველივე ეს შეგეძინება“. გონება ზემოთ მიმართა და მშვიდი სულით განიცადა მისთვის წილხვდომილი საქმის სიდიადე, ხედვა თავის წარმმართველს მიაპყრო. როგორც ფრთამალი ორბი, ზევით აფრინდა და თვალების გუგები [გარშემო] მიმოავლო.

თავისი გონების სივრცით ყოველი საღმრთო და საერო წესი და გან-გება შემოიკრიბა.

[29] ამათ და ამნაირ მნათობებსა და ზოდიაქოებს თუ ვინმე იკვლევს, ასაკთან ერთად უფრო და უფრო გაზრდის თავის შესაძლებლობებს. ავგუსტოვანი ზენა ხვედრისაგან შთამომავალმა გარდაქმნა თავისი

თავი, როგორც სამოთხე, ღმერთის ხელით დანერგილი და სურნელებით საყნოსელის მაცოცხლებელი. აქ კრეფდნენ გონებათა და სულთა, გრძნობათა და აღორძინებათა მონაძღვენს. გონება ღმერთად უქცევია და სული — არსთამხედის მჭვრეტელად, და იქ რჩება, შეუმცდარი სატანისა და გველის მიერ. აჰა, ის ჩანს, როგორც მილი, მცენარეზე გადმოდინებული ნაკადისა, და ისე, როგორც პითოდორა და კრიტია აშენებული [ძეგლებით] შეიცნობიან. ქაიხოსროს მგავსმა ხელმწიფემ ხელი მიჰყო წყალობის გაცემას და შეწყალებას, დარიგებას და დასაჩუქრებას. გახელილი თვალებით გახსნა მის პაპათა და მამათა მიერ მონაგები საგანძურები. უპირველესად, გარკვეული ნაწილი გადადო პირველისა და მარადიულისთვის, პირველისა ზეცისათვის და ჩვენი იმაქვეყნისათვის, რომლის მცნებანი, მაღლისა და უბიწოსი, გაითავისა ბიწისაგან დაცულ ადგილას დამდებელმა. დღევანდლამდე იმდენი გასცა, მშობლების დარად, რომლის რაოდენობა ურიცხვია და რიცხვი — განუზომელი. მოვალეები ვალისაგან გაათავისუფლა, ობლებს შემწეობა მისცა და ქვრივებს — ქორწინების უფლება. გლახაკები გააძლიერა და ძლიერები გაამდიდრა. დედოფალი რუსუდანი [მის] სწორად იქნა აღიარებული, თვით მისი და მისი გაზრდილის გამო, მისცეს საკუთრად ქალაქები, ხევები, სოფლები.

[30] სანამ ის წყალობას ურიგებდა შვიდივე სამეფოს ამიერებს თუ იმიერებს, ზემოურებსა თუ ქვემოურებს, ზოგიერთებმა დაიწყეს ძველებური, ადამიანთა დაუდგრომელობის შესაფერისი საქმეები. ზოგმა დიდებულმა ხელისუფალმა ასეთი ფიცი დადო: ვერ დავრჩებით ძველი ხელისუფლების და საქმის გამგებლების ფირმანის ქვეშ, ვინაიდან მათ მიერ გაძარცული ვართ და ბალიშზე ჯდომას მოკლებული, გვაროვანი და ნამსახური ოჯახები უპატიოდ და უსახელოდ გაძევებული ვართ უგვარო და უმაქნისების მიერ.

თუმცა ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარი, პატრონების მიერ გაზრდილი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, მაგრამ დამბლად წოდებული სენისგან ენა, ხელი და ფეხი წართმეული ჰქონდა. თამარ მეფეს ურჩიეს, [მისთვის] წაერთმია მთელი ქონება და სიმდიდრე, მაგრამ განზრახვა გაუცუდდათ, რადგან თამარი მოწყალე იყო და კეთილი. გაიხსენა მისი ერთგულება, სამსახური და ზრდილობა და არაფერი არ ჩამოურთმევია, გარდა თანამდებობისა და ლორესი. გარდაცვალებამდე ასე დიდი სიყვარულითა და პატივით ეპყრობოდა.

და კიდევ, აფრიდონი, რომელიც ღვთის მობაძაობით, აზნაურის ყმობიდან ადამიანი გახდა, მსახურთუხუცესობამდე ამაღლდა, თმოგვისა და სხვა ციხე-ქალაქთა პატრონობამდე აღზევდა, ლაშქრის ნებითა და სურვილით დააქვეითეს და დაამხეს. ბრძოლის დამწყებებმა ძალაუფლებისა და დიდებისათვის ერთმანეთს დაუწყეს ძიძგილი.

ერთიც საშინელი მოსაგონარი: ყუთლუ-არსლანმა, ჯორის მსგავსად ორი ბუნების მქონე ცხვარმა, როგორც ამას მზაკვარი გონება ჩაადენინებს ბიჭებს, [31] სპარსელების მიერ დაწესებული რაღაც წესი შემოიღო, ისნის ველზე, „საგოდებლის“ სანახებში, კარვის დადგმა ითხოვა და თქვა: „ იქ შევიკრიბოთ, განვაგოთ, რა გავცეთ და რა მივიღოთ, ვინ შევიწყალოთ და ვინ შევრისხოთ, შემდეგ [ეს] შევკადროთ და ვაცნობოთ თამარს, მეფესა და დედოფალს, მაშინ შესრულდება ჩვენს მიერ განგებული“.

როგორი საწყენიც ეს იყო — პატრონის ხელმწიფობის დასასრულის მომტანი — ისე იწყინა, გაიკვირვა და გაიგო გონებით აღსავსემ და სიბრძნის საუნჯემ. გადაწყვიტა მოქმედთა მეთაურის დაჭერა. ახლობლებისა და ერთგულთა თანამზრახველობით შეიპყრო ყუთლუ-არსლანი, მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც ამირსპასალარად და სომხეთში, ლორეში, სომეხთა მეფის ტახტზე დასაჯდომად ემზადებოდა.

როგორც კი ეს გაიგეს მასთან შეფიცულმა და მისი გამთიშველობისა და უკეთურების ხელისშემწყობებმა, შეიყარნენ და განუდგნენ თამარს. მტკიცედ დაადგინეს ახალი გეგმა ყუთლუ-არსლანის გასათავისუფლებლად და იქადოდნენ, რომ არ დაუშვებდნენ მისთვის რამე ზიანის მიყენებას. მოემზადნენ ისანზე თავდასასხმელად. მაგრამ ვინაიდან უფლის მარჯვენა და მაღალი მკლავი შეეწეოდა და თანამბრძოლ ექმნებოდა მის მებრძოლებს, [32] და მის ნაცვლად იარაღისა და ფარის ამღებელი, დასამხობად ეკვეთებოდა მის მოწინააღმდეგებს, ამაო გამოდგა მათი განზრახვა, როგორც აბიათარ მღვდლისა და იოაბ სპასპეტის განზრახვა, რომელნიც სოლომონის ძმას, ორნიას, შეუერთდნენ. თამარმა [ყუთლუ-არსლანთან] ორი საპატიო მანდილოსანი გააგზავნა: ხვაშაქ ცოქალი, ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის, დედა, და კრავაი ჯაყელი, ახლანდელი სამძივარების დედა. უბრძანა, ფიცის ქვეშ დანებებოდნენ და არავის არ დასჯიდა. დიდებულები დაემორჩილნენ პატრონის ბრძანებას, მასთან მოსულებმა მუხლმოყრით თაყვანი სცეს, პატრონისგან ფიცი მიიღეს და თავიანთი ერთგულებისა და მორჩილების პირობა მისცეს.

ისევ დაჯდა ღვთის მიერ ცხებული თამარ ცამდე ამაღლებულ ტახტზე აფროდიტეს მსგავსი მშვენებით და აპოლონის მზეებრი სიუხვით, საჭვრეტად სასიამოვნო — გულის წაღებამდე და ყველა მნახველის — ველად გაჭრამდე და თავისი ბრწყინვალე მარგალიტის დარი, ღვთივქმნული, შეუდარებელი გარეგნობით მნახველების თავდავიწყებამდე მიმყვანი. [იგი] ზრუნავს და ზრუნავდა ყველა იმაზე, ვინც ზრუნვას საჭიროებდა.

უპირველეს ყოვლისა, ქართლის კათოლიკოსის, ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის, მიქაელ მირიანის ძის და ამირსპასალარ გამრეკელ-თორელის გარდაცვალების შემდეგ, ორი — ვეზირი და სპასპეტი რომ აერჩიათ, შვიდივე სამეფოს დიდებულების თანადგომითა და თანხმობით ჭყონდიდლად, მწიგნობართუხუცესად და ვეზირად ბრძანა [33] მისი მამის გაზრდილის, ბრძენი და გონიერი, პატრონების ერთგული და გამგებლობის მცოდნე ანტონის დამტკიცება. ამირსპასალარად კი დაადგინა სარგის მხარგრძელი, დიდგვაროვანი და ბრძოლებსა და ახალგაზრდულ [შემართებებში] გაწვრთნილი, უბოძა ლორე, სათავადო და სამთავრო სომხეთში. მის ვაჟს, ზაქარიასაც, დალოცვით წყალობა უყო.

ჩანართი (V)

ზაქარია და ივანე, მხარგრძელის ძეები, მეფეებისთვის თუმცა ერთგული და ბრძოლებში დიდად გამოცდილი, სახელოვანი ადამიანები იყვნენ, მაგრამ სარწმუნოებით სომხები იყვნენ. ივანემ ზედმიწევნით იცოდა წმიდა წერილი, რომლის გამო შეიცნო თავისი რჯულის სიმრუდე, მოინათლა და ჭეშმარიტი ქრისტიანი გახდა, რასაც ქვემოთ ნათქვამი სიტყვები ცხად-ჰყოფენ.

მისი უმცროსი შვილი ივანე დარბაზის ყმად ითაყვანა. დაამტკიცა. ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა უბოძა და ხელში ოქროს კვერთხი მისცა, ტანზე ძვირფასი სამოსი ჩააცვეს. ოქროთი მოჭედილ სავარძლებში დასვეს, ზოგი მის მარჯვნივ, ზოგი —მის მარცხნივ. მეჭურჭლეთუხუცესობა დიდგვაროვან კახაბერ ვარდანის ძეს უბოძა, მსახურთუხუცესობა — ვარდან დადიანს, მცველთაუხუცესობა — მარუშიანს, ჩუხჩარეხის ძეს. ვინაიდან ორთავე ამათი მამები მოხუცებული იყვნენ, მამების პატივი მათ მიანიჭა და ბალიშებზე დასხა. ამილახვრობა გამრეკელ თორელს უბოძა, რომელიც სარგის მხარგრძელის შემდეგ ამირსპასალარიც გახდა.

იმ დროის ერისთავები იყვნენ: ბარამ ვარდანის ძე —სვანების ერისთავი; კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა და თაკვერის ერისთავი; ოთაღო შარვაშის ძე — [34] ცხუმის ერისთავი; ამანელის ძე — არგვეთის ერისთავი; ბედიანი — ოდიშის ერისთავი. ლიხს აქეთ: რატი სურამელი — ქართლის ერისთავი; ბაკურ-ყმა ძაგანის ძე — კახეთის ერისთავი; ასათ გრიგოლის ძე — ჰერეთის ერისთავი, რომელმაც ძალითა და მძლავრობით წაართვა [თანამდებობა] საღირ კოლონკელიძეს, მცირე ხანს ეკავა და მერე ითხოვა არიშიანის ადგილას ბალიშზე დაჯდომა და ჰერეთის ერისთაობა თავის შვილს, გრიგოლს გადასცა; სამცხის ერისთავად და სპასალარად განაწესეს ბოცო ჯაყელი. სხვა ხელისუფალნი, სამეფო სასახლისა და ტახტის წინაშე მდგომელნი, სასახლის წესების მიხედვით განაწესეს.

ამასთან ერთად ეპისკოპოსები და ტაძრები შესაწირავით გაავსო, ეკლესიები ხარკისა და ბეგარისაგან გაანთავისუფლა. მისი მეფობის დროს მიწის მუშაკები გააზნაურდნენ, აზნაურები — დიდებულები გახდნენ, დიდებულები ხელისუფალნი შეიქნენ., რაც ჩანს სამგზის სანატრელი თამარის [მეფობის] თერთმეტი წლის აღწერაში. მან დავითისეული სიმშვიდით, სოლომონისეული სიბრძნით, ალექსანდრესეული სიმხნითა და დღევანდელი საზრუნავის ხვალისთვის არ გადადებით, დაიკავა [ქვეყანა] პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სპერიდან დარუბანდამდე, კავკასიის ამიერ და იმიერ [მცხოვრებნი] ხაზარეთამდე და სკვითებამდე. [თავისი] ცხოვრებით ნეტარების მიმღები იქმნა, რომელიც ისეთ დიდ სიბრძნესა და გონიერების სიმშვიდეს ფლობდა, რომ თავისი გამგებლობის თორმეტი წლის მანძილზე არავის გაროზგვა არ უბრძანებია, ყოველგვარი სისხლის დაღვრისაგან, თვალების დათხრისა და სხეულის ნაწილების მოკვეთისაგან შორს იდგა, მტკიცე ნების მქონე, შიშისა და ზარის დამცემი, მშვიდობიანი და მშვიდობის მოქმედი, ხარობს და მეფობს თავის სამეფოში და სამფლობელოში. არავის არსად არ უნახავს, რომ მის გარდა ვინმეს ასე უვნებელად და მშვიდობიანად მოეთოკოს ადამიანთა ქედფიცხელობა და ურჩება.

ხოლო სხვა ჩვევების შესახებ, როგორიცაა: გამარჯვებები, საზღვრების მოვლა, მამაკაცებისა და მისი თანატომელების ვაჟკაცობა; ხან რაინდობა და მხედართა ქვეითი წვრთნები და ცხენოსნობა, გმირობად ჩასათვლელი, ხან მშვიდი და წყნარი საუბრები, — თუ რა და როგორი იყო, [ამას] წინამდებარე [თხრობიდან] გაიგებს მკითხველი.

თამარის პირველი ქმარი

კეთილი და ტკბილი პატრონის წყალობა და კეთილგანწყობა ლაშქრისა და რაინდების მიმართ სრული რომ ყოფილიყო, შეიყარნენ [მის ბედზე] დაფიქრებული [ადამიანები] და განიზრახეს გამოსავლის მოძებნა:

ქმრის მოყვანა, რომელსაც შეეფერებოდა, რომ თითქოს ყოფილიყო გმირებისა და გოლიათების, ან „გარეშედ“ წოდებული ელინების მსგავსად სისხლის დაღვრის, ან გადარეული მიჯნურების მსგავსად ველად გაჭრის დრო

როგორც თამთა — თუმიანისთვის,
როგორც ამირანი — ხორეშნისათვის,
როგორც ხოსრო-შანშა — ბანუისთვის,
როგორც მზეჭაბუკი — ხაზართა მზისათვის,
როგორც იაკობი — რაქელისთვის,
იოსები — ასანეთისთვის,
დავითი — ბერსაბესთვის და აბისაკისათვის,
როგორც პელოპი, მხნედ მებრძოლი, იპოდამისთვის, ონომაოს ასულისა,
როგორც პლუტონი — პერსეფონესათვის,
როგორც რამინი — ვისისათვის,
როგორც ფრიდონი — შაჰრინოს-არნავაზისათვის,
როგორც შადბერი — აინლიეთისათვის.

საჭირო იყო, რომ გამოჩენილიყო ვინმე: ან გმირთა მსგავსი გმირები, ან დიდებული და ვაჟკაცურად მებრძოლი მამამთავრების მსგავსი მამები, ან გარეშეთა (ელინების) მსგავსად შეყვარებულისათვის სისხლის დამნთხეველნი, ან მიჯნური ლომები და მზენი, ველად გაჭრილნი ამ მზისა და მზეზე უმეტესისთვის, და მათ მიერ მოთხრობილ მზედ და მნათობად აღიარებულებზე უფრო ბრწყინვალისა და უნათლესისათვის. მაგრამ ვინაიდან ძნელი მოსაფიქრებელი იყო, რადგან ღმერთს ამისი თანასწორი არ დაუბადია და მგონია, რომ არც დაიბადება, გამოჩნდა თბილისის მკვიდრი ვინმე თავადი, მეფეთ-მეფისაგან წყალობით ხელდასმული, ქართლისა და თბილისის ამირა, სახელით აბულასანი, რომელმაც თქვა: „მე ვიცი შვილი რუსთა მთავრის, ხელმწიფე ანდრია დიდისა, რომელსაც რუსთა სამასი მთავარი ემორჩილება. იგი მამის შემდეგ მცირეწლოვანი დარჩა, ბიძის, სავალათ წოდებულის, მიერ ექსორია –ქმნილი გადმოიხვეწა და ამჟამად ყივჩაღთა მეფის, სევინჯის, ქალაქშია.“

[37] მას მოუსმინეს და იხმეს ერთი ადგილობრივი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. იგი ცხენების სწრაფი ცვლით მივიდა [იქ], წამოიყვანა და დათქმულ დროზე ადრე მოიყვანა ლამაზი შესახედავი, კარგი აღნაგობის, გვარიშვილობით მნახველებზე შთაბეჭდილების მომხდენი [ვაჟკაცი]. მისმა მნახველებმა და გამცნობებმა — პატრიარქმა, დიდებულებმა, ვეზირებმა და მეომრებმა — თამარს მოახსენეს და მისი ნებართვის გარეშე ქორწილი მოამზადეს. თამარი გულწრფელი იყო და რჯულის მტკიცედ დამცველი. ზოგიერთები დამწუხრებულები ურჩევდნენ ქმრად ალექსის მოყვანას, რომელიც [მისი] ახლო ნათესავი და მამით ბერძენთა მეფის ძმისწული იყო. ის იმ დროს იქ იმყოფებოდა — და იმის შიშით, რომ ეს არ მომხდარიყო, ქორწინების საერთოდ არ მოსურნემ ითხოვა, რომ ქმრის შერთვისგან გაენთავისუფლებინათ. მაგრამ დედოფალმა და მეომრებმა აიძულეს, ეს გაეკეთებინა და როგორიც მისი ოლიმპიური დიდებულებისა და მეფობის ხვედრი და წესი იყო, ისეთი ქორწილი შედგა, შეუდარებელი და იგავმიუწვდენელი, მრავალნაირი სანახაობანი იყო, თვალ-მარგალიტის, ოქროჭედილისა და უჭედელის, სიმდიდრისა და ლარის, შეკერილისა და შეუკერავის ჩუქება და ბოძება. ერთი კვირა გრძელდებოდა სიხარული, გართობა, საჩუქრების გაცემა.

ხოლო მე ამ საწყენ და მძიმე საქმესაც გაუწყებ: მოსული იყვნენ ოსეთის მეფის შვილები, მშვენიერი და ლამაზი, ღირსეული და ჭაბუკობის განმასახიერებელი მოყმეები, მთხოვნელები: „ღირსი რომ ვიყოთ, [38] [თამარს] მოვეწონოთ და ზენა ბედს ვეწიოთ!“ და ვინაიდან მათ განზრახვას აღსრულება არ ეწერა, უკან თავის მამულში დაბრუნდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო თამარის სიყვარულსა და სურვილს, ბნედისაგან ლოგინად ჩავარდა და ნიქოზში, წმინდა რაჟდენის საყდარში გარდაიცვალა. იქვე დაკრძალეს.

და სხვა [ამბებს], თუ რამდენი ხელმწიფის ძე, ამაზე თავდავიწყებამდე გამიჯნურებული და გახელებული, თავის სურვილს რომ ვერ ერეოდა, ამას ქვემოთ ნათქვამი ცხად ჰყოფს.

ამის შემდეგ ლაშქრობა წამოიწყეს. რუსთა, და უფრო აფხაზთა მეფე თბილისიდან გავიდა. აღმართეს ძლევამოსილი და [ბრძოლებში] ნატარები დროშა, წინ წაიძღოლიეს მეფეთა სკიპტრის მფარველი ცხოველმყოფელი ჯვარი. პირველად ყარსისა და კარნიფორის ქვეყანაში გაილაშქრეს და ბასიანამდე მოარბიეს. გამარჯვებულები და

[ალაფით] სავსენი მობრუნდნენ და ღვთივგანათლებულ პატრონთან მოვიდნენ, აივსნენ სიყვარულითა და სიხარულით.

ამაზე უწინ არანისა და გელაქუნის თურქთა ლაშქარი ფარავნისა და ძაღლისხევად წოდებულ მხარეში მოვიდა. თავდამსხმელთა წინააღმდეგ გამრეკელი კახას ძე გამოვიდა და უძლეველი თამარის ბედის წყალობით, მცირე ლაშქარმა სძლია [მათ] დიდ ლაშქარს, გააქციეს, ამოწყვიტეს და დიდი ნადავლი მოართვეს თვითმპყრობელს.

იმავე დროს მოვიდნენ ცხენოსანი და ქვეითი კარნუქალაქელები, შამელები და გარმიანის თურქები, გაივსო შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა. აქეთა მხარეს შეიყარნენ ტაოელი გუზან აბულასანის ძე და მისი ქვეყნის ლაშქარი, ბოცო და მისი მხლებელნი, მიუსწრეს მესხებმა და მარბიელ-მოთარეშეებს იქვე შეებნენ. თამარის ბედმა და სვემ სძლია, იქაც გააქციეს და დახოცეს. იქიდანაც ურიცხვი ტყვე და ცხენი მოასხეს ღვთივგვირგვინოსანი, დღითიდღე აღმატებული და წარმატებული მეფის წინაშე. ამით ხარობდნენ, იშვებდნენ, ნადირობდნენ და ლაღობდნენ.

[39] ამის შემდეგ წავიდნენ სარგის და ვარამ მხარგრძელების ძენი, ჩინებული მოყმეები, უფროსები ზაქარია და ზაქარია, დალოცვილნი, და ივანე და სარგისი, დაულოცველნი, და ილაშქრეს დვინის ქვეყანაში. გამარჯვებულებს და ალაფით დატვირთულებს დვინელთა და სურმანელთა ლაშქარი წამოეწიათ. ლომის შემართებას ჰგავდა, ამიტომ საბოლოოდ გააქციეს. გამარჯვებულები და ალაფით დატვირთულები სახელოვნად მოვიდნენ მეფეებთან. მათ წყალობა მიაგეს და მადლი გადაიხადეს.

ამის შემდეგ გარკვეული ხანი ქვემონი ქვემოთ ლაშქრობდნენ, ზემონი — ზემოთ, შუანი — შუა და ყველგან გამარჯვება და ძლევა რჩებოდათ.

მეფემ, თამარის ბრძანებით, ლაშქარი შეკრიბა და დვინისკენ გაემართა, პართელების ქვეყანა მოაოხრა, ქალაქი აიღო, წამოიღო იქაური განძეულობა, ტყვეები წამოიყვანა და სვებედნიერ და ნათელ-ბრწყინვალე, თვალ-დაუღამებელ და დღე-მარადიულ, სულისა და სხეულის საწადელ და საშვებელ თამართან მოვიდა.

ზოგჯერ ლაშქრობებისგან ისვენებდნენ და მომლხენნი ჩვეულებისამებრ იმერეთის ქვეყანაში გადადიოდნენ. ზოგჯერ შირვანის საზღვრამდე ჩადიოდნენ. შარვანშა დიდი საჩუქრითა და ძღვენით მოდიოდა, ერთად ნადირობდნენ მინდვრებში და მხიარულები ისევ

გაიყრებოდნენ. საბოძვარს მრავლად უბოძებდა და ძმური პატივით გაისტუმრებდა. ისიც ყმასავით მონურად ემორჩილებოდა და ემსახურებოდა.

ამის შემდეგ დიდძალი ლაშქარი შეკრიბა და დაიძრა გელაქუნისაკენ, რიმელთანაც ბრძოლა ძალიან ძნელი იყო თურქმანთა ზღვის ქვიშასავით სიმრავლის გამო. თავს დაესხნენ, ამოწყვიტეს, ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და ნადავლი. წამოსულებს გელაქუნის მთელი თურქმენობა წამოეწია სირიელი დიდებულების, როსტომისა და [40] იალღუზ-ალფესის, წინამძღოლობით, რომელნიც იმ დროს თავისთან ჰყავდა ყიზილ-არსლან ათაბაგს. და როცა საბრძოლო წყობამ და რაზმმა ერთმანეთს შეუტია, თამარის მოყმეებმა თავისი აჩვენეს, მოხუცი ახალგაზრდას უსწრებდა და ახალგაზრდა — მოხუცებულს, პატრონი — ყმას და ყმა — პატრონს. გააქციეს, ამოწყვიტეს და დახოცეს. და თავიანთ სამეფოში მოვიდნენ, მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეფისა და დედოფლის წინაშე.

ამის შემდეგ, ასათ გრიგოლის ძის მიწვევით დიდი და სასახელო ლაშქრობა მოაწყვეს განჯას ქვემოთ ბელაქანამდე, შემდეგ — არაქსის ზემო პირას მასისამდე. იქაც, დიდი ლაშქრის დევნისას, თავი ისახელეს ამ სამეფოს ბუმბერაზებმა: მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა, ოთხივე მხარგრძელმა და სხვა დიდებულებმა და აზნაურებმა, თითონ მეფის დასწრებით, დიდი და მძიმე ომი გადაიხადეს, გააქციეს და იქიდანაც გამარჯვებულები და სიხარულით აღსავსენი დაბრუნდნენ.

ამგვარი მშვიდობის, გამარჯვებისა და ზეობის დროს თავი იჩინა ყოვლად უცხო და უმსგავსო, კაცის გონებისათვის შეუფერებელმა და დაუჯერებელმა საქმემ: სვე-უბედური რუსის, სკვითად წოდებულის, გულში სატანამ დაიბუდა, ხელმწიფეთა მზეს და მეფეთა ელვა-ცისკროვნება თამარს საწყენი სიტყვებით მიმართავდა. თავისი თავის იუდად მყოფელმა არ იცოდა, რა ექნა. დამარცხებული და შვიდ სულზე უბოროტესი პირველი [სულის] მიერ დამონებული, სოდომურ ცოდვასაც აჰყვა, ქცევით [41] დაქცეულ-განადგურებული და წარწყმედით წარწყმედილი. თამარ წყნარი და ნარნარი, საზრიანი და გონიერი ითმენდა ამ უცხო და ურიგო საქმეს. ასე გრძელდებოდა ორი თუ მეტი წელი უცხო განსაცდელის მოთმენაში.

როგორც კი ვეზირებმა და დიდებულებმა ეს გაიგეს, შეწუხებულებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ ეს ძველი მტრისაგან მოდიოდა, რომელმაც

ძმას ძმა მოაკვლევინა, მამას — შვილი და პირველი ადამიანი სამოთხიდან გამოაძევა, როგორც ახლა ამ ხილული სამოთხისა და უბრწყინვალესი ედემიდან შეუმზადებია გამოძევება, რადგან ძველი ხაკან სკვითის მსგავსად მოსდგომია მას. იქ თუ იგი ქალაქთა დედოფალს მოადგა, აქ ეს — დედოფალთა-დედოფალს და მეფეთა-მეფეს. ბოლოს, რაკი არ ენდობოდნენ ეშმაკთა მსახურებისაგან დაუძლურებულს [გიორგი რუსს], ჯერ კიდევ მოწყალე და განურისხებელმა თამარმა ცრემლების ღვრით გააძევა, მაგრამ აურაცხელი ლარი, სიმდიდრე და განძი [გაატანა]. ის, ვინც სიკვდილს იმსახურებდა, არავის დაანება სასიკვდინოდ, მზეებრი სიუხვით არავინ მიუშვა, რომ ის გაეძარცვათ. ნავში ჩასვეს და ზღვით კონსტანტინოპოლში ჩავიდა. გარკვეული დრო იქ იმყოფებოდა.

[42] ამის შემდეგ [თამარის] უფრო და უფრო მეტ, უკეთეს და უკეთეს ხელისუფლებასა და ხელმწიფობაზე ალაპარაკებს ყოველ უცხოელს საუფლო ხელი და მაღალი მკლავი, ბრძოლებში დამხმარე და გამარჯვების მომპოვნებელი, მის მამა-პაპათაგან, მით უმეტეს, მხოლოდ ბედზე მინდობილი წარმართებისაგან განსხვავებული ბედი და სვე.

მას ძღვენს აძლევდა ყველა მეფე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, მისთვის კარგავდნენ ჭკუას მისი სახებრწყინვალების შესახებ ამბის მცნობელნი. ბერძენთა მეფის მანუელის შვილი, პოლიკარპოს მოყმე, ყველაზე ადრე გაიჭრა და გახელდა [მისი სიყვარულით], ანდრონიკეს თავისი მეფობისა და ბერძნების ამოწყვეტის დროს რომ არ შეეპყრა და არ დაესაჯა იგი. მსგავსი იყო ასურეთისა და შუამდინარეთის ანტიოქიის მეფის შვილი, მას რომ შესძლებოდა სხადასხვა ბარბაროსებს შორის გზის გაკვალვა, წამში აქ აღმოჩნდებოდა. კიდევ, სულთან ყიზილ-არსლანის ერთი შვილთაგანი, [თამარის] ამბის სმენით გადარეული, ძლივს დააკავა მამამ, რადგან ეშინოდა, რჯულს შეიცვლისო.

ხოლო ახლოს მყოფებს იმგვარი ტრფიალება ჰქონდათ, რომ უღირსებს თავიანთი უღირსობის რიდი და სირცხვილი არ ჰქონდათ, არც ნათესავებს — ნათესაობის რიდი. როგორც მზის შუქი აშუქებს ციდან მიწიერებს, რომ მას უჭვრიტონ, ისე თამარის ხელმწიფობის შუქის ნათელი-ბრწყინვალება მიწიდან ეფინება ცის გუმბათს.

[43] ამის მცნობელი სალდუხის ძის ძე, სახელად მუტაფრიდანი, მშობლების უნებართვობის არად ჩამგდები და მაჰმადის სიამეთმოყვარეობის რჯულის უარმყოფელი, [მაჰმადისა], რომელმაც ადამიანების მიზიდვით თავის ნებაზე უმოძღვრა ადამიანებს ეს წუთისოფელი,

სურვილით და ტურფა გარეგნობის გაგონებით ძლეული, თვითმ-ფლობელის, ყველა მეფეზე უზენაესის, თამარის წინაშე მოვიდა თავ-ისი სამფლობელოდან დიდი ლაშქრით, მრავალი დიდებულით, ხოჯათი და საჭურისით, მონებით და მხევლებით, ბარგითა და სიმდიდრით, სახელმწიფოებისთვის საკმარისი ძღვენით, თვალ-მარგალიტთან, სა-განძურთან და ლართან ერთად ავაზებისა და ტაიჭების სიმრავლით. ხელმწიფის სახლის წესის შესაბამისად, დიდებულები პატივითა და სიყ-ვარულით მიეგებნენ, სამეფო სასახლეში მოიყვანეს. მისი პაპა, სალდუხ ეზდინი, ამის პაპას დემეტრეს, დიდსა და სახელგანთქმულ ხელმწიფეს, გორგასლიან ჭაბუკს, ოდესღაც ძალით და დიდი გარჯით ხელში ჩაეგდო და მოეყვანა. ამჟამად ამან [თამარმა] სიტყვით, და შესაძლოა, სიტყვის ღირსების გარეშე, მოიყვანა, როგორც მოხარკე მონა. ნელა, მშვიდად და ხანგრძლივ უმასპინძლა [მას], რომელმაც ნახვისთანავე რამინის მსგავსად ცრემლთა ნაკადი გადმოადინა. პატივით დასვა სელის სკამზე და შეიქნა ენით უთქმელი მხიარულება, როგორც შეეფერებოდა ამ სახ-ლის დიდებული მოყმეების ნადიმსა და ენაწყლიანობას, მრავალგვარი სანახაობის, მომღერლებისა და მოთამაშეების განწყობილებას. უამ-რავი იყო ძღვენი, საბოძვარი და შესამოსელი. ამგვარ სიყვარულში, პა-ტივსა და ბოძებაში ზამთარი სომხითში და თბილისში გაატარა. ძალიან მოსწონდა სანადირო ადგილები და თავად პატრონის მოყმეები [44], რომლის სიკეთის შესახებ საუბარი კაცთაგან შეუძლებელია. გაზაფ-ხულის პირზე წაიყვანეს და სანადირო ადგილები, მინდვრები, მოედ-ნები და კახეთისა და რანის ქვემო მხარეები აჩვენეს. რანის დიდებული მოყმეები და მოლაშქრეები, რომელთაც ეს ყველაფერი მოსწონდათ და აქებდნენ, ერთობოდნენ, ხარობდნენ, ადიდებდნენ და ელოდნენ თავ-იანთი უკვდავ-ქმნილი პატრონის [გადაწყვეტილების მიღების] დროს.

ვინაიდან ლაღი და ამაყი თამარი შეუფერებელ შესატყვისობაზე ამაღლდა თავისი გონების ფრთოვანებით, სამეფო ქალაქში შემო-სულებმა მისი ტრფიალის ქედმაღლობა მოთოკეს. სელჯუკიანის შვილი საულის საპირისპირო მდგომარეობაში აღმოჩნდა: მან მამის სახედრე-ბის ძებნაში მეფობა ჰპოვა, ამან მეფობის და ზესთა მეფეთა მეფობის მძებნელმა, ჰპოვა ის, რაც საულის დანაკარგს შეეფერებოდა.

იყო ვინმე ხარჭის ნაშობი, თითქოს მეფის შვილად აღიარებული. მთქმელებმა, ამაო რომ არ ჰგონებოდათ, უფრო მეტიც, გამაუქმე-ბლებმა, ქორწილი გადაწყვიტეს, შერთეს და სახელოვანი ქორწილი

გადაიხადეს. მრავალნაირი სამოსი უბოძეს, ცხენები და აკაზმულობა სხვა საქონელთან და სიმდიდრესთან და ლართან ერთად და თავის სამყოფელში, არზრუმში, გაგზავნეს, მაგრამ როგორი ცრემლითა და გლოვით, კაცთა ენით არ ითქმის.

ამის შემდეგ, ვითომდა სტუმრად, მოვიდა აღსართან შარვანშა, რომელიც სიყვარულისაგან გონებიდან იყო გადასული. ისლამის ძველი და ახალი რჯულის მიხედვით [45] თავისი გვარისგან განდგომილი, თავისი რჯულის უარსაყოფად გამზადებული, აურაცხელი ქრთამის ფასად ევედრებოდა ყველა თანამდებობის პირს, მოძღვარს და კათოლიკოსს. მაგრამ, მართლაც, ამაო და უკეთური ხდებოდა ეშმაკის ზრახვა, რადგან თამარს მტკიცე და თავის ზენაარ ბედს მინდობილი სული ჰქონდა, და გონება, სიტყვის მშობელი, იმ უმაღლესი გონების მიმართ ჰქონდა მიპყრობილი და მეფურად იღებდა ღვთის სიტყვის შვიდწილ განწმედილ ტაძარს. ყველას, ეშმაკისაგან დამარცხებულს და [საეშმაკო] საქმისათვის წამქეზებელს, სატანის მზაკვრობის მიმდევარს, არცხვენდა. როგორც შეეფერებოდა, ისეთი პატივით გააგზავნა [იგი] და დიდ ძღვენთან ერთად თბილად დაარიგა: „კვლავ ნუ ინებებ ამგვარი რამის თქმას“.

მეორე ქმრის ამბავი

მატულობს თამარ სვებედნიერი ხელმწიფის ზარ-ზეიმი, მოყმეები ლაშქრობენ, მთასა და ბარში არის გამარჯვება, სიხარული, სიყვარული, შვება და ნადირობა, მაგრამ გულშემატკივარნი წუხდნენ და განიცდიდნენ უმომავლობას და შვილის არყოლას. და სანამ შვიდივე სამეფო საქმის ამგვარ შეჭირვებას შეეპყრო, ღვთის განგებით, რომელიც მდაბალთ აამაღლებს და თავხედებს შემუსრავს, რომელიც წმიდა სახარებაში ამბობს: „არა რომლებმაც მე გამომარჩიონ, არამედ რომლებიც მე გამოვირჩიე,“ იპოვეს გზა, და როგორც დავითი, რომელსაც გამოჩენა მოუნდა, ამბობს: „ყველაზე პატარა ვიყავი მე ჩემ ძმებს შორის და უმცროსი მამიჩემის სახლში. ხოლო თვითონ უფალმა ინება და მცხო ზეთი თავისი ცხებისა“, და შემდეგი.

დედოფალ რუსუდანის სახლში იყო მოყმე, შთამომავალი ეფრემის ძეთაგან, რომლებიც ოსები არიან, ბრძოლაში შემმართებელი და ძლიერი

ვაჟკაცები. იგი დედოფალ რუსუდანს, ვინაიდან მისი ნათესავი იყო მამის დის, დავითის ასულის, ოსეთში გათხოვების შედეგად, აღსაზრდელად თავის სახლში მოეყვანა. იქ მიმავალ-მომავალნი ხედავდნენ, რომ მოყმე ფერ-სახით მშვენიერი, ბრტყელ-ბეჭიანი, სახით ლამაზი, ტანად ზომიერი იყო და ორივე გვარის მხრიდან ხელმწიფობისთვის [შესაფერისი].

სამეფოს მკვიდრებმა შეჰკადრეს და მოახსენეს დედოფალ რუსუდანს, თუმცაღა მისი ნებაც იყო. მისი დახმარებით ვეზირებმა და დიდებულებმა მოახსენეს და ვედრებით მიმართეს თამარს და უთხრეს შემდეგი: „ზენა განგება რომ არ იყოს მის ქმედებაში, თქვენი მეფობა ხედავს, თუ რამდენგზის რამდენი მოყმე, ბერძნების და რომაელების, სულთნებისა და სკვითების, სპარსელების და ოსების ხელმწიფეთა შვილები ცდილობდნენ, მაგრამ სამართლიანად ჩაიშალა, რადგან შეუძლებელი იყო [ეს მომხდარიყო] საუფლო ბრძანების გარეშე.“

[47] მაშინ თამარმა, რომელიც მშობლის დარად ენდობოდა თავის მამის დას და მისგან დიდ წყალობამიღებულ ლაშქარსა და მეომრებს, ბრძანებით თქვა: „ღმერთია ჩვენი მოწამე, რომ არასდროს არ ყოფილა ჩემი გული ქმრის მოწადინე, არც ადრე და არც ახლა. ჩემი უმომავლობა რომ არ ემუქრებოდეს ტახტს, რომელიც პირველად ღვთის მიერ და შემდეგ მშობლების მიერ არის ჩემთვის რწმუნებული, ახლაც ამის მთხოვნელი ვარ“.

არ მოეშვნენ და დედოფალს შეჰბედეს. წავიდნენ იმიერი და ამიერი დიდებულები, წამოიყვანეს დედოფალი და მისი გაზრდილი დავითი, ღვთის რჩეული და თბილისის სანახებში დიდუბის სასახლეში მოვიდნენ. იქ გადაიხადეს მათი ხელმწიფობისა და ამაღლებული სახელის შესაფერისი და საკადრისი ქორწილი. დედოფალი რუსუდანი, ყოველგვარი სიბრძნით სავსე, მოქმედებდა: აქეთ [თავად] ბაგრატიონი, ბაგრატიონთა ამაღლებული გვარის შესაფერისად აწყობდა სახლის [დარბაზებს], ქვემოთ, ხორასნისა და ერაყის სულთნების რძლობის შედეგად გაცნობიერებული, იქაურ სანახაობასა და გართობას აწყობდა. გალაღებულნი ხარობდნენ, გლახაკები მდიდრდებოდნენ, იყო მგოსნებისა და მოთამაშეების შეჯიბრება, სანახაობათა მჭვრეტელი ხალხის სიმრავლე, და ამასთანავე სანახაობათა შესრულება. მოსაყოლად შეუძლებელია, თუ როგორ ბედნიერებაში, სვიანობაში ბედნიერი და გამარჯვებული იქნა [48] თამარის დღეკეთილობა დავითიან მოყმესთან, დავითთან, ერთად. ამას გაიგებ წინამდებარე პირდაპირი მოთხრობებით.

დავითმა ერთი წლის მანძილზე გაუსწრო ყველა მშვილდოსანს, ცხენოსანს, მოცურავეს, მოასპარეზეს, მწიგნობარსა და ხელთ საქმეში ყველა გაწაფულს. რომ როგორც დღეს ჩანს, [ქვეყნის] შიგნით ვინ იყო მისი მასწავლებელი ან თანამოსწავლე? ხოლო თუ უცხო ქვეყნიდან მოსულა, მისებრი არავინ არ გამოჩენილა.

მშვიდობისა და მათ მიერ მტრების დამარცხების შემდეგ, ერთხელაც [თამარმა] შეიტყო, რომ ძნელბედი და უბედური რუსი კონსტანტინოპოლიდან წამოსულა და ეზინკის ქვეყანაში, ქალაქ ყარსში მოსულა.

იმჟამად მეჭურჭლეთუხუცესის შემცვლელი, რჯულით ბარბაროზი და ქცევით ტარტაროზი, კეთილი და ალერსიანი პატრონების მიერ გალაღებული, გარკვეული საქმისთვის მოციქულად გააგზავნა. და ქალაქ ყარსში მისვლისას, რუსი და იგი ერთმანეთს შეხვდნენ. შეუერთდნენ იქაურები, რათა რუსი სასახლეში დაებრუნებინათ. მისგან სარგებლის მიღების მოსურნენი შეევედრნენ ამ დიდ მოციქულს, რომელიც აქედან იყო წასული. მაშინ გაიგეს ამ სამეფოს მკვიდრებმა, და უფრო კი — ეშმაკმა, რომელიც ყოველთვის იბრძვის, როგორც ადამიანთა გულების სიცრუე დავითის გაოცებას [იწვევს], რომელნიც მისი მეფობის თანამოზიარე და მისგან უხვი და გულითადი წყალობით სავსე იყვნენ, იმათაც ჩაიდინეს ყველა ძველსა თუ ახალზე უბოროტესი საქმე. [49] ამ სამეფოში თუ ვინმე ნებსით თუ უნებლიეთ პატრონებს განდგომია, ქვეყნის დასაბამიდან არსად არავის უნახავს ის წარმატებული და გამარჯვებული, მაგრამ ეგრეც მომხდარა თავისიანებისა და ნაშიერების, ამ სახლის შვილებისა და ძმების მიზეზით. მაგრამ ეს საიდან და როგორ?

პირველად გუზანი შეუერთდა, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, რომელიც პატრონს ძველი მეფეების, ტაოელი დიდებულების ადგილას ჰყავდა გამწესებული. აქედან — ბოცო, სამცხის სპასალარი, ყოველგვარ ზომაზე მეტად შეწყალებული, სხვა მესხ დიდებულებთან და აზნაურებთან ერთად, ივანე ციხისჯვარელის გამოკლებით, რომელსაც ყვარყვარესაც უწოდებენ. იგი თავის სამფლობელოში გამაგრდა, როგორც შეეფერებოდა მას, რომელსაც ახსოვდა სულას ერთგულება, რომელიც მან ბაღვაშის წინააღმდეგ გაუწია ბაგრატს. ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, პატრონი ლიხს აქეთ ორბეთისა და კაენისა, ლიხს იქით ნიკოფსიამდე —უდაოდ დიდი ქონებისა. თვითონ მაგარ და მტრებისგან მიუვალ ქვეშის ციხეში იმყოფებოდა. იგი, თითქოს პატრონის სურვილით, რაღაც პატარა]საქმისთვის] წავიდა და გეგუთში მივიდა. შეკრიბა მთელი

სვანეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, ქვემო იმერეთი, რაჭა, თაკვერი და არგვეთი. შეიერთა სანიგები და ქეშიგები და დიდებულები და ქვეყნის ლაშქარი დააფიცა, რომ რუსს გაამეფებდნენ და მას მეფედ გახდიდნენ.

ქვეყნის ლაშქარი გააგზავნა და გუზანთან მივიდნენ. იქიდან რუსი წამოვიდა [50], შეიკრიბნენ და სამცხეს მიაშურეს. მიეგებნენ ბოცო და მისი მომხრენი. მთა გადაიარეს და გეგუთში ჩავიდნენ. ო, დიდი და ადამიანის გონებისთვის წარმოუდგენელი საშინელება! ვინ ან ვისი ტახტის მოზიარე უნდა დაჯდეს დავითიანის ტახტზე?

მაშინ ქალაქში მყოფი თამარი, წარმოუდგენელი და უაზრო საქმით გაკვირვებული, პირველად, ჩვეულებისამებრ, ზენა წყალობას შეევედრა და ბრძანება გასცა თავის ერთგულ ერისთავებზე, ვინც შეიკრიბნენ სპასალარები და დიდებულები ჰერეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, სომხითიდან და სამცხიდან. მომხდარით გაკვირვებულებმა ფიცით შეჰკადრეს, რომ ეს საქმე მათი ნებართვის გარეშე იყო მოწყობილი და როგორც კი დააჯერეს, რომ ყველაფერი მათ გარეშე მოხდა, მძაფრად გამხნევდა მათი გულები ერთგულებისა და თავგანწირვისთვის. თვითონ თამარი მეუფებრივი ძალაუფლებით და ოქრონექტარი სიტყვებით მრავალჯერ ცდილობდა მცხოვრებლებისაგან ჭეშმარიტი მიზეზის დადგენას. ხან თევდორე პატრიარქს და ანტონი ქუთათელს, რომელიც იმ დროს მხოლოდ ერთადერთი, თვით სისხლის დაღვრამდეც კი, დარჩა მისი ერთგული ლიხთ-იმერეთში, და სხვა ეპისკოპოსებს აგზავნიდა, ხან — შინაურ ეჯიბსა და მესტუმრეთუხუცესს, მაგრამ მათგან ვერაფერს ვერ იგებდა.

მაშინ შეიკრიბა ღვთის წინააღმდეგ მებრძოლთა კრებული, აიღეს მახვილები და ლახვრები და გამოემართნენ ღმერთშემოსილი პატრონის წინააღმდეგ. მათი ნახევარი იმასთან ერთად, ვისი გამეფებაც უნდოდათ, [51] ლიხის მთიდან გადმოვიდა. ამოწყვიტეს და ააოხრეს ქართლი და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოვიდნენ. მეორე ნახევარმა, დადიანის წინამძღოლობით, რკინისჯვარი გადაიარა, ციხისჯვარში ჩავიდა და ქალაქი ოძრხე დაწვა. იქ შეიყარნენ ბოცო და მესხები, ვინც მათი მომხრენი იყვნენ. ღმერთის უკითხავად ამგვარი საქმის ჩამდენებმა, შვილების მზეგრძელობას უხმეს. გადაწყვიტეს პირველად ჯავახეთის, თმოგვისა და ახალქალაქის აღება, შემდეგ თრიალეთისა და სომხითისა, რადგან ქურდვაჭრის იქით მთელი სომხითი გამდგარი იყო: გაგის პატრონი ივანე ვარდანის ძე; კაიწონის პატრონი მაყა (კაე-

ნი თითონ ვარდანის [საკუთრება] იყო), სხვა მისი ქვეყნის აზნაურიშ-ვილები, გარდა ზაქარია ვარამის ძისა. იგი ერთგული კაცი და გამოც-დილი ჭაბუკი იყო. ყველა ამათ აგარაში შეყრა დათქვეს და იქიდან მათი და ზემო-ქართლში მყოფთა ქალაქის კარებთან მოსვლა, სადაც იმყოფებოდა მზეთა მზე, ნათელთა ნათელი, უმანკო ტარიგი, ქრისტეს მსგავსი, მშვიდი, დავითიანებრი გონებით ზენა განგებას მინდობილი და მისი გულმოწყალე წყალობების მოიმედე [თამარი].

ამირსპასალარ გამრეკელს, ოთხ მხარგრძელს და სხვა თორელებს, ზემოურებს და ქვემოურებს უბრძანა წასულიყვნენ და ჯავახეთის მხარ-ეში წინ შეგებებოდნენ [მტერს], იქვე ეცნოთ მათი ძალა, უფრო კი ღმერთის მართლმსაჯულების ძლიერება. მივიდნენ მტკვართან, რადგან ისინიც იქ მოსულიყვნენ. შეუერთდნენ მის ერთგულად დარჩენილი მესხები. აქეთ ესენი, მტკვართან მისულები, და ისინი იქიდან ხიდზე შეიბნენ.

[52] შეიქნა ომი და სროლა. იმ დღეს დაღამებამ და წყალში ყოფნამ გაჰყარა [მებრძოლები]. როცა დაღამდა, შეიყარნენ და მოითათბირეს: „ვხედავთ, რომ ამათი ლაშქარი მხეცებივით იბრძვის, ვინაიდან შებ-მის ძალა და ღონე არა გვაქვს, სიმაგრისაკენ გავეცალოთ და იქიდან ვეცადოთ თავდასხმასა და გამარჯვებას“.

სიმამაცის მომნიჭებელმა [ღმერთმა] თამარის ლაშქარს ამცნო, დაუყოვნებლივ შებმოდნენ და ედევნათ [მტერი]. ხიდი გადაიარეს და მიაშურეს მთას, სახელით ტორნაძიას, რომ რაიმე სიმაგრე ენახათ. იქ ვერ გაჩერდნენ, გაერიდნენ და ნიალის ველს და ხინგრისის წყალს მიაღწიეს. თმოგვსა და ერუშეთს შორის ატყდა ომი, როგორც იმიერ და ამიერ მოყმეებს შეეფერებოდათ, რომელიც ძველი გოლიათებისა და ჭაბუკების ომს მოგაგონებდათ, რომლებზეც ცვიოდა წვეტიანი და გალესილი ისრები, [იდგა] ხმლების ტრიალი და შუბების ხეთქება. ომი გაგრძელდა, თამარის ბუმბერაზებმა და მოყმეებმა გაიმარჯვეს, ზოგი გაქცეული შეიპყრეს, დახოცეს და დაატყვევეს. ამათგან არავინ არ მომ-კვდარა, არც დაჭრილა, გარდა იმისა, რომ დაიჭრა ივანე სარგისის ძე.

მხიარული სახითა და გაბრწყინებული გულით მობრუნდნენ. [მოწინააღმდეგების] ვედრებისა და აღთქმის შემდეგ, რომ პატრონს არას დაუშავებდნენ, თავისუფლება მისცეს და არ დევნეს. მოვიდ-ნენ ღვთივგვირგვინოსან მეფესა და მეფეთ მეფესთან. [მან] ღმერთს ჯეროვანი მადლობა შესწირა და გაბრწყინვებული სახით, ალერსიანი თვალებით და მინდობილი [53] გულით მოინახულა თავისი მოყმეები.

ვინაიდან გაიგეს ეს ამბავი მახარებლის, სარგის ვარამის ძის, მოსვლამდე, მასთან მყოფებმა თვით ჭიაბერ მანდატურთუხუცესმა, ჰერელებმა და კახელებმა, დიდებულებმა და აზნაურებმა, ყიფჩაღების შემომატებით და შეკრებილმა ქართლის ერისთავებმა და ქართველმა დიდებულებმა დავით სვებედნიერი მეფის წინამძღოლობით, გადაწყვიტეს თავდასხმა ქართლში მყოფებზე, რომლებთანაც ერთად იყო ზოგი ქართველი, მთელი კავკასიისა და მთიულების დიდი სიმრავლე.

მათ როგორც კი გაიგეს ზემო ლაშქრის ამოწყვეტა და გაქცევა, სასწრაფოდ გადაწყვიტეს გადასვლა. მობრუნდნენ და თამართან მოვიდნენ და თხოვეს სომხითიდან გასვლა და აღუთქვეს მისი მეფობისაგან განდგომილებთან და ურჩებთან შებრძოლება. ქრისტემოსილი ხელმწიფე, ღმერთის აურაცხელ წყალობას შეჩვეული, დათანხმდა.

ესეც იცოდეთ, რომ ღვთის შეგონებათა სივრცე ფრიად დიდია, რადგან კეთილ და სიკეთის მრწმუნებელ ადამიანებს სიკეთეს მიუვლენს სასწაულებრივი მინიშნებით და გამარჯვების მინიჭებით, რადგან კეთილი სულისთვის ღვთისმოყვარეა და მისი ახლობელი, როგორც ამბობს ბერძენთა მჭვრეტელობა-მოძღვრების სინათლე პლატონი: „სიკეთე კეთილთათვის არის სიკეთე, ხოლო იგივე სიკეთე ბოროტთათვის ბოროტებაა“.

ხოლო ახლა საჭიროა და უფრო მეტად გააზრება, რომ ნათქვამი არ დავივიწყოთ და ზენა წყალობანი განვჭვრიტოთ, რათა ამგვარი წყალობების ულეველობით დავხუჭოთ თვალი.

[54] ხოლო როცა განდგომილებმა შეიტყვეს ღვთის მიერ მათი ახლობლების შერისხვა, ზოგმა ციხეები და სიმაგრეები, და უფრო ადრე, რჯულისმიერი [წესები] მიატოვა, რადგან ასეთი უმგვანი საქმე იკადრეს თამარის მიმართ. ზოგი ყელზე თოკ-მობმული მოვიდა, ზოგმა თავისი ბიძა მოკლა და ასე მოვიდა. იქაც ჩვეულებრივი გამარჯვება მოხდა: უკან დაბრუნებული იდგა აგარათა ტყეში, მონადირე და მონადიმე, მხიარული და ერთგულებისა და ახლობლების შემწყალებელი.

წყალობა უყო ზაქარია ვარამის ძეს და უბოძა გაგი ქურდვაჭრიდან განჯამდე, ქალაქები, ციხეები და სოფლები: მრავალი — საკუთარ მფლობელობაში, მრავალი — სანახევროდ. წყალობა უყო ივანე სარგისის ძეს და უბოძეს მსახურთუხუცესობა, სამეფო სასახლის საპატიო თანამდებობა, და კაენი და კაიწონი გელაქუნთან და სხვა მრავალ ხარკის მომცემ ქალაქთან და ციხესთან ერთად. შეიწყალეს და დალო-

ცეს სხვა მრავალი დიდებული. მობრუნდნენ და გამოემართნენ თავიანთ სასახლეში და კარ-მიდამოში, ნაჭარმაგევში.

ლიხთ-იმერელმა დიდებულებმა მოინანიეს შეცოდებანი და შენდობა ითხოვეს, ითხოვეს ცხოველი ხატები და თვითონ დედოფალი რუსუდანის, კათოლიკოსის, მანდატურთუხუცესისა და სასახლის სხვა ეპისკოპოსების მათთან ყოფნა. გადმოვიდნენ სვანი დიდებულები და მოხევეები და გადმოიყვანეს მეფე-ყოფილი რუსი. დედოფალმა მტკიცე აღთქმა მისცა, რომ უპირველისად, რუსს უვნებლად გაუშვებდა და შემდეგ, იმ დროს დაშვებული შეცოდებისთვის არას მოკითხავდა. დედოფლის წინამძღოლობით ნაჭარმაგევში მოვიდნენ და რუსი, ივანეს მინდობილი, წავიდა, თავის სვეუბედურ გზაზე გაემართა. შეიქნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა ისეთი, რომელიც არავის არსად არ ეხილა.

[55] „ერთად ძოვდნენ ლომი და ხარი, ვეფხვი თიკნებთან და მგელი ცხვართან ერთად ხარობდა“. თამარის სახელი მთელ ქვეყანაში განდიდდა. დავითი ალექსანდრეს ბედის [მქონე] თამარის ბრძანებითა და რჩევით ლაშქრობდა და ზეგარდამო [ძალების] შეწევნით იმარჯვებდა.

ამ დროს გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი. მის შვილებს არაფერი დააკლეს, გარდა თმოგვისა. ამირსპასალარობა უბოძეს ზაქარია მხარგრძელს, სარგის ამირსპასალარის ძეს, სომეხთა მეფის ადგილზე მჯდომს, ლორეს პატრონს, სპასპეტობის ღირს მოყმეს დამატებით ქალაქი რუსთავიც მისცეს. ჭიაბერ მანდატურთუხუცესს დამატებით უბოძეს ჟინვალი, ქალაქი და ციხე, მთიულეთის დიდ ნაწილთან ერთად. წყალობა უყო სარგის ვარამის ძეს, დალოცეს და უბოძეს თმოგვი. ქვემო წირქვალელები, ზარტიბის ძენი, გრიგოლოს ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი და კახეთის თავკაცნი, თორღას ძენი — თითოეულს თავის წესისამებრ წყალობა უბოძეს: ზოგნი — ახლად დალოცვით, ზოგნი — [მამულის] მიმატებით. ასევე ქართლელები, სომხითარები, თორელები, მესხები და ტაოელები.

გუზანმა, რომელმაც ადრეც წაიწყმიდა თავისი თავი, ახლაც დაიპყრო ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ციხე და შაჰარმენის ქვეყანაში წავიდა. [მასთან] სამძივარიც [წავიდა] სხვა აზნაურიშვილებთან ერთად, რომლებთან იყო მეღვინეთუხუცესიც, რომელიც თავის თავს კლარჯეთისა და შავშეთის მემკვიდრედ თვლიდა. კოლას მთაზე გავიდნენ. წინ მოეგებნენ ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელები, კალმახელები, შესანიშნავი და პატრონის მიერ შეწყალებული მოყ-

მეები. რომ შეიყარნენ, გაიგეს, რომ გუზანის შვილი და შაჰარმენის ლაშქარი მისულიყვნენ გუზანის ცოლისა და შვილის წასაყვანად და ციხეებში თურქების დასაყენებლად. [56] თუმცა [მოწინაარმდეგების] ლაშქარი დიდი იყო და თორმეტი დროშის ქვეშ იდგა, ხოლო ესენი — მცირე რაოდენობის [იყვნენ], მაგრამ ახსენეს ქრისტეს რჯული, თამარის ბედი და სამართალი, და შეებნენ. მათი სიმრავლისა და დარაზმულობის გამო ძალიან გაუჭირდათ ომის წარმართვა. ბოლოს ისინი გააქციეს, ამოწყვიტეს, გუზანის ცოლ-შვილი ხელთ იგდეს. უკან დაბრუნებულებმა აიღეს ციხეები და სიმაგრენი. ქვეყანა უკან დაიბრუნეს და თამარის წინაშე მოვიდნენ, რომელმაც წყალობის ნათელი მიჰფინა და მათი სიმხნისა და გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა. მოყმეებმა სახელი მიიღეს, პატრონებმა — სარგებელი.

ღვთის ამგვარ წყალობათა შორის ორი კარგი საქმის გამჟღავნება გამომრჩა: ლოცულობდნენ მთხოვნელნი ღვთისა და ხატების წინაშე პირმშოთა ძლიერებით მომგონებელნი. ხოლო ვინაიდან წყალობას მოგვრის „დამრეკავს გაღებით, მთხოვნელს ბოძებით, მეძიებელს პოვნით“, როგორც ეს შეემთხვა სარას, გინდა რაქელს, ან ელისაბედს და განსაკუთრებით, ანას, და გავბედავ, მარიამს, თამარი, განწმედილი გონებით და სხეულის სანთლით ღვთის ტაძრის აღმბეჭდველი, მხურვალე გულით და განათლებული სულით, დაფეხმძიმდა. ტაბახმელის ბეთლემად გადამქცეველმა იქ შვა ძე, ღვთის ძის დარი [57], სახელად თავისი ახოვანი მამის, გიორგის, სახელი უწოდა. რომლის სახით უკვდავთა ნაწილის ყვავილი აგვიყვავილდა.

სამებით სრული ღვთის ამგვარ ყურადღებას, თამარის პირველ დაფეხმძიმებას და გორგასლიანი ძის დაბადებას სიხარულის ან ღვთისადმი მადლობის სათქმელად რა შეეფერებოდა? ხარობდნენ, იშვებდნენ, ზეიმობდნენ ამქვეყნიურ სამოთხეში, ტყვეთა გამანთავისუფლებელები, ეკლესიებისთვის შესაწირავის გამღებნი, მღვდლებისთვის შემწირველნი და მონაზონებისთვის მიმცემნი, გლახაკთა მოწყალენი, ერთდროულად ღვთის მადიდებელნი, შვიდივე სამეფოს ლაშქართან ეპისკოპოსების დამყენებელნი. თვით დედოფალმა რუსუდანმა და მისმა გაზრდილმა დავით მეფემ და თამარის დამ და ამ სამეფოს ყოველმა მკვიდრმა, მოგვების მსგავსად, დაიწყეს მიძღვნა და ჩუქება. [ქვეყნის] გარეთ ამის გამგონე ბერძენმა მეფეებმა, სულთნებმა, ათაბაგებმა და სპარსეთის ამირებმა მდიდარი ძღვენი და განძი გამოაგზავნეს.

ამგვარ დღეკეთილობაში ერმა ნახა ახალი ყრმა, საუკუნეებზე ადრე განწესებული, რომ ყოფილიყო ძე მეფისა, მეფე, ცხებული შვილი დავითიანი. როცა ბუნებრივად ლამაზი დაიბადა და გამოჩნდა, თავის თავში ატარებდა თავის მშობელთა სახესა და მსგავსებას, მნათობები იფარავდნენ მას. ბრწყინვალებდა ზენა სფეროს სული, ბედი ბედს ემატებოდა და კეთილდღეობა —კეთილდღეობას. მეფეთა მხრივ გამარჯვებები მატულობდა. ისეთი ლაშქრობა მოეწყო, როგორიც არცერთი ბაგრატოვანის მიერ არ ჩატარებულა.

პირველად ლაშას, რომელიც „ქვეყნის მანათობელად“ ითარგმნება აფსართა ენაზე, ბედზე და ხვედრზე შეიკრიბნენ, გაეშურნენ დიდ და ძველ ქალაქ ბარდავში. გაანადგურეს არანი, ნებროთის ომების მსგავს მრავალრიცხოვან ომებში აიღეს ჰეროსის ძმის, ბარდოსის, მამული და სამფლობელო. ტყვეთა სიმრავლითა და აურაცხელი საუნჯით ავსილებმა 3000 ტყვე გაანთავისუფლეს თამარისა და მისი ძის დღეგრძელობისათვის.

იქიდან წამოსულებმა, ერთი თვეც არ დაუსვენიათ, სასწრაფოდ გაილაშქრეს არზრუმში, ქალაქ კარინის კართან. იქ იყო მრავალი ომი, ცხენების შეჯახება, აბჯართა ხეთქება. მათ ეხმარებოდნენ სურმანელი, კარელი და შიგნით ნასრ-ადინ სალდუხის ძე და მისი ორი ძე უამრავი ქვეითი და ცხენოსანი ლაშქრით. ცისკრის ბინდში მივიდნენ და ომი დაიწყეს. ღამის ბინდმა გაყარა [ისინი]. ის ღამე რომ მიილია, ლაშქარი მოვიდა უთვალავი და აურაცხელი ალაფით. შიგნით მყოფები მხეცებივით აღრჭიალებდნენ კბილებს და თმა-წვერს იგლეჯდნენ, როცა ხედავდნენ: ზოგნი — დატყვევებულ ცოლებს, ზოგნი — შვილებს, ზოგნი — [წართმეული] ჯოგისა და რემის სიმრავლეს და ტიროდნენ: „საიდან ჩემზე ამგვარი შერისხვა, რადგან არასოდეს გვინახავს ქრისტიანთა მოდგმა ჩვენი სამყოფლის სანახებში“.

[59] როცა გათენდა, ჰკრეს ბუკსა და დაფდაფებს და ქალაქებში შეიქნა ერთი ზარი და მოთქმა. როცა დარწმუნდნენ, რომ მათი სისხლი დაიღვრებოდა, გამოვიდნენ ქალაქის ბჭეებიდან, გააწყვეს ქვეითი და ცხენოსანი რაზმები, გადმოდგნენ ბანებსა და შუკებში ისრისა და ქვების სროლით. როცა დავით მეფემ და მისმა ლაშქარმა იხილა, რომ ისინი გულმოცემულად გამოვიდნენ, იარაღი მოითხოვეს, ცხენებზე ამხედრდნენ, შუბები მოიმარჯვეს. მისვლისთანავე მეხის-ტეხასავით დაატყდნენ თავს, აიღეს და დასცხეს. კატებივით მხდალნი თავისი ჯარით შეიხვეწნენ [ქალაქში], ერთმანეთს ხოცავდნენ, ცოლების მიერ

გაკილულები, გასაკიცხი და შესაფურთხი გახდნენ ბიბთა, ელიმე-ბისა და საჭურისების თვალში, კილავდნენ და აგინებდნენ მაჰმადის რჯულმდებლობას. მეფე დავითი და მისი ლაშქარი მოტრიალდა და მხიარულნი მოვიდნენ თავიანთ ქვეყანაში, იქიდან ძლევამოსილები და აქედან თამარის საშოდან ამობრწყინებული, იაკობის ვარსკვლავის მსგავსი ვარსკვლავის მხილველნი, რომელმაც იწინასწარმეტყველა ბედნიერება, იწინასწარმეტყველა გამარჯვებები, იწინასწარმეტყ-ველა ნათელი.

ხოლო მე, რომელიც ვერიდები გაგრძელების გამო [თხრობა] მოსა-ბეზრებელი არ გახდეს, არ მინდა გამოვტოვო უკანასკნელი, ადრეულ-ზე უკეთესი ომების და გამარჯვებების ამბავი. გული აიძულებს და აამოქმედებს გონების იარაღს, რასაც წარმოადგენს ამგვარ თხრობა-თა მეტყველი და გამომთქმელი ენა. ერთხელაც შეიკრიბნენ და გელ-აქუნში გავიდნენ, [60] ხაჩიანი ჩაიარეს და ყარყრისის ქვეყანაში ჩავიდ-ნენ, ბელაქანამდე მიაღწიეს. მოარბიეს მთელი არეზი და განჯის კარი ამოიარეს. კარებთან დიდი შუღლი ატყდა, მაგრამ გააქციეს და ქალ-აქში შეიკეტნენ. ყარყრისიდან შამქორამდე ექვსი დღე იარეს. დღე არ გასულა, რომ [მტრის] ლაშქარი არ მოწეოდათ და არ შებმოდნენ. ყველ-გან ძლევამოსილები და გამარჯვებულები შემობრუნდნენ და მთელი ქვეყნის სიხარულთან [თამართან] მოვიდნენ.

ორი ძმა, სარგისის შვილები, ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი, ლორიდან არაქსის ნაპირების დასარბევად წავ-იდნენ. იქიდან სამეკობროდ და ქარავნების საძარცვავად წამოსული იყო დვინელების, ბიჯნელების და ამბერდელების ლაშქარი. ამათ არ იცოდნენ, შუა გზაში შეიყარნენ, ერთმანეთს ეკვეთნენ. ომზე და მამა-ცურად ბრძოლაზე უფრო საქებელი იყო მათი ქველობის სულისწამღე-ბი აღტყინება. [ნადავლით] სავსენი და სახელოვანნი მოვიდნენ დავით სვეამაღლებულთან და თამარ ღვთივდადგინებულთან.

ამის შემდეგ კაენის პატრონმა, ივანე მსახურთუხუცესმა, დავითი წააქეზა დიდი და სასახელო ბრძოლის დასაწყებად: დიდი გელაქუნის, სპარსი-ბაზრის და გორალაუქის დასარბევად. დღითი-დღე აღმატებ-ული, წარმატებული და ომსა და ლაშქრობებში გამოწრთობილი მოყმე გაჰყვა მას. თავს დაესხნენ, ხელთ იგდეს ქვიშასავით ურიცხვი ტყვე, ჯოგი, აქლემი, ძროხა და ცხვარი. სადაც კი ლაშქარს, ან თავისი დედ-აწულის დასახმარებლად მაშველს გადაეყრებოდნენ, ხოცავდნენ,

გააქცევდნენ, მუსრავდნენ. სპარსი-ბაზრის განადგურების შემდეგ, [61] სულთნის მოედანზე გართობა და ასპარეზობა გამართეს, რაც არავის არასდროს არ უქნია.

იგივე რუსი, ამ სამოთხიდან გაძევებული, კაენის მსგავსად არა ძმის მკლველი, არამედ თავისი თავისა, ღირსი არ იქმნა და [მას] სამოთხეში, ქალაქ კონსტანტინოპოლში, ყოფნაც მოეშალა. არა ყოველი მხრივ მტერ-გაწყვეტილი მეფე, არამედ იალქნებდაწყვეტილი, იგი ათაბაგთან მივიდა და მისგან არანის ქვეყანაში თავისი ბედის შესადარი სამყოფელი მიიღო. შეკრიბა განჯისა და არანის ლაშქარი და იქიდან კამბეჩოვანის ქვეყანაში მოვიდა, იქ მინდვრები მოარბია და უამრავი ტყვე და ნაძარცვი აიღო.

მაშინ ხორნაბუჯის პატრონმა, საღირ მახატლის ძემ ეს გაიგო, მცირედი ლაშქარი შეკრიბა და თავის განწირვის მიზნით სამ შვილთან ერთად დაეწია. ერთი ორს კი არ ებრძოდა, არამედ —ათს, ორი — ოცს, მაგრამ თამარის ბედმა და სიმართლემ ღვთის უხილავი რისხვა დასცა [მტერს] და როგორც გედეონის შესახებ გაქვს გაგონილი, მცირედნი დაეწივნენ და გააქციეს, ჩამოყარეს და დახოცეს. რუსმა ძლივს გააღწია.

ხოლო თქვენ, მსმენელებმა, ესეც იცოდეთ, თუმცა მისი [თამარის] გულისთვის მხეცივით ველად გაჭრილების მიმართ [იგი] მძვინვარე ულმობელობას იჩენდა, მაგრამ იხილეთ, თუ როგორი მშვენიერი და ანდამატური მიმზიდველობით იზიდავდა მხეცთა გულებს. ოდესღაც შარვანშას [62] ლომის ბოკვერი გამოეგზავნა, მან გაზარდა. ისეთი დიდი და საზარელი გახდა, რომ მისნაირი არც ველური, არც მოშინაურებული [მხეცი] არავის არ უნახავს. დარბაზში რომ შემოიყვანდნენ, თამარ ღვთივ-განათლებულისკენ ისეთი ლაქუცით, ალერსით და აღტაცებით იწევდა, რომ მიუხედავად მსახურების მიერ ორმაგი ჯაჭვით დაკავებისა, ვერ იჭერდნენ, სანამ თავს კალთაში არ ჩაუდებდა და ლოკავდა, როგორც მოწამეთა ძველი ცხოვრებები მოგვითხრობენ. ზოგჯერ დაიჭერდნენ და დააბამდნენ, თვალებიდან წყაროსავით გადმოღვრილი ცრემლები მიწას ალტობდა.

მტრებისა და მხეცების ამგვარ ძლევაში, შინაური თუ გარეშე მოწინააღმდეგებისა და ურჩების დამხობაში აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე გავარდა შიში და ზარი, სახელი ოთხბუნება და ოთხკუთხა სულის ანგელოზებისა.

ამ დროს მუჰლიდებმა მოკლეს ახლახან გასულთნებული ყიზილ-არსლან ათაბაგი. მთელი სპარსეთის მფლობელად სამი შვილი ფა-ლავანდი დარჩა, რომლებსაც მამამ და ბიძამ ქვეყნები ასე გაუყვეს: უფროსს, ხუტლუ-ინანჩის — ერაყიდან ხორასნამდე და ბაბილონამდე. შემდგომს, ამირ-ბუბაქარს — ადარბადაგანი სომხეთამდე. უმცროსს, ამირ-მირმანს — არანი კასპიის ზღვიდან გოგჩის ზღვამდე. როგორც მრავალხელისუფლებიანობისას ხდება, [63] მათ შორის შური და ბრძოლა ატყდა. ამირ-ბუბაქარმა სძლია და უფროსი ძმა განდევნა, იგი ათაბაგად დაჯდა. უმცროსი ძმა არანიდან, ამირ-მირმანი შარვანშას დაესიძა. [ამირ-ბუბაქარი] თვით შარვანშას და მას ბელაქნის კარზე თავს დაესხა და გააქცია, თვითონ კი გარკვეულ დრომდე განდიდებული და გალაღებული დარჩა. ხოლო ვინაიდან შარვანშა და ამირ-მირმანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რადგან იმ ხანებში შარვანის სახლზე ღვთის რისხვაც მოიწია, „რომელიც შეაზანზარებს სამყაროს, შეძრავს მთებს და კვამლად აქცევს“. შერყევით შეარყია და ძირს დასცა შამახიის ზღუდეები და ციხეები, შიგნით მყოფი ყველა თან დაიტანა, მათ შორის დაიღუპნენ შარვანშას ცოლი და შვილები. ამის გამგონ-ეთ, თავში წაიშინეს, თავზე ნაცარი დაიყარეს, მიმოიხედეს გარშემო, ვერავინ ნახეს მათი მხსნელი და მაცხოვარი, მხოლოდ ღმერთი და ღვ-თის მიერ ღმერთქმნილი დავითი და თამარი. [მათ] შესავედრებლად მოციქულები გამოაგზავნეს ურიცხვი ძღვენით და ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტით და ეს ითხოვეს: „ვინაიდან თამარის ალექსანდრეს მსგავს ბედს, სიბრძნით გამორჩეულეობასა და ძლიერებას, დავითის მსგავს სიმხნესა და სიქველეს, ლაშქართა უებრობას დიდი ძალა აქვს, ისეთი, რომ მთელი სპარსეთი დაიპყროს, — ამიტომ მთელი სპარსეთის პატრონად დასვით თქვენი ასული, რომელიც თქვენი შუქმფინარობის ბრწყინვალება და თქვენი სიბრძნის შესატყვისი ნათელი და საამო ნაყ-ოფია“.

[64] სიძობა არ აღირსა, მაგრამ შველისა და ხელის შეწყობის იმედი მისცა. ბრძანება გასცა, შიკრიკები და მალემსრბოლები იმიერ და ამიერ ლაშქრის შესაკრებად გააგზავნა. იმ დროს ყივჩაღთა მეფის, სევინჯის, ძმა, სავალათი, მეფის სამსახურში აქ იყო. დიდი ლაშქარი შეკრიბეს და დასებად განეწყვნენ. მისი სიმრავლით გაივსო მტკვრის ნაპირი, ალ-გეთის ნაპირი, ქციის ნაპირი და ქურდვაჭრის ნაპირი, ოთხივე მდინარე თბილისიდან ყარაღაჯამდე.

მაშინ მოვიდნენ ამირ-მირმანი ფალავანდის-შვილი და აღსართან შარვანშა მთელი არანის დიდებულებითა და მონა-სპით. სვებედნიერი და ღვთივაღმობრწყინვებული ხელმწიფენი დადგნენ აგარის ჭალებში. მისი ნებამყოფლობის პატივისმცემლებმა დიდი ზარითა და პატივით მოიწვიეს რუსუდან დედოფალი. რომელმა პირმა ან ვისმა გონებამ და ენამ აღმოთქვა დიდების ზარების, კარვებისა და ფარდაგებიანი საფარების, კოშკებისა და სამონადირეო შემოღობილი ადგილების ქება და ბესელიელის, გინდაც სოლომონის მსგავსი მოკაზმულობა და შემკულობა ღვთის ტაძრისა, სადაც იმყოფებოდა ღვთის მიერ ღმერთქმნილი, ღმერთებს შორის ღვთის მსგავსად გამკითხველი [თამარი], რომელსაც გარშემო მიმოეფრქვია სამოთხის სურნელება და შვება, ფუტკარივით [65] დაწაფებოდა ვარდის ბუტკოს, ყვავილ-მცენარეებს, ელისეს მინდვრის მცენარეთა სურნელებას? ან ვის ერგო ბაყათარისა და თარხანის, ეფრემისა და დიდებული ბუმბერაზების და მოყმეების, როსტომისა და გივის მსგავსი დავით მოყმის ქება?

შეიკრიბნენ გონების წამღები ზარ-ზეიმით. დარბაზობა დაიწყო. ოქროჭედილ ტახტზე დასხდნენ თვითონ თამარი, დავითი და მათი ძე გიორგი, თავიანთი გვარ-მოდგმის ძლევამოსილებისა და გვირგვინოსნობის განმადიდებელნი და მასახელებელნი, მისთვის ღვაწლის გამწევნი. როგორ უნდა ითქვას: „შევიწყალო ეს ადამიანები.“ ზეადამიანურმა კაცთმოყვარებამ საყვარელ ადამიანებს, რომელნიც დასაბამიდან [არსებულ] ღვთის განგებულებას — კაცად ქცევით კაცთა ხსნას — ბაძავდნენ, [უბიძგა] მისი ზენა მკლავისა და ძალის შეწევნით სიკვდილისა და განდევნისაგან ეხსნათ ვედრებითა და ხვეწნით მათ ფეხებთან მუხლმოდრეკილები.

პირველად ქალაქ თბილისიდან გამოსულებს წინ ოსები და ახალი ყივჩაღები მიეგებნენ. ამის შემდეგ — ჰერელები და კახელები. შემდეგ — ქართლელნი. შემდგომ — მესხები და თორელები, შავშ-კლარჯტაოელები. შემდგომ — სომხითარები. შემდეგ — აფხაზები და სვანმეგრელ-გურულები, რაჭველ-თაკვერელ-მარგვეთელებთან ერთად. კარვის კარებთან — ხელისუფალნი და სასახლის კარისკაცები.

[66] ვინაიდან შარვანშა ახლობელი და ნათესავი იყო, პირველად ის შემოვიდა, თაყვანი სცა. წესისამებრ მოიკითხეს და თავის ადგილას დასვეს. მის შემდეგ მოვიდა ამირ-მირმანი, სულთნის ძმისწული და ფალავანდის შვილი. დედამისი ხორასნის მემამულის, ინანჯანის, ასული იყო, რომელიც ახლა ტუღრილ სულთნის ცოლია. პატივითა

და ზარ-ზეიმით შემოიყვანეს. მოიკითხეს და პატივით დასვეს. დაუტ-კბნენ, როგორც საყვარელ შვილს, კარგ და შესახედაობით მშვენიერ მოყმეს. მოიყვანეს დიდებულები, ზოგნი ელდიგოზის შვილები, ზოგნი მათი შვილების შვილები, მათგან თაყვანისცემა მიიღეს და შესატყვისი პატივით მოიკითხეს.

შეიქნა ენით უთქმელი სიხარული. გაოცებულებმა, მათ ფიცით აღ-უთქვეს: „ადამიანის თვალებს არ უნახავს, არც ძველ და არც ახალ წიგნებში წაგვიკითხავს თამარის სახება და მისი ცხოვრებისა და ქცე-ვის მსგავსი რამ“. [მათ] მოეწონათ თვით მეფე დავითი, დიდებულები, მათი რაინდები, და მხიარულებმა და იმედიანებმა განაცხადეს: „გავი-მაგროთ გული და თვალებიდან მოვიშოროთ მწუხარება! ჭეშმარიტად შეუძლია ჩვენი ხსნა და სამშობლოში ჩვენი დაბრუნება“.

მაშინ შეიქნა პურობა, პურობის შემდეგ გაიმართა ნადიმი, [იყო] გამოუთქმელი სიკეთე და სილამაზე, მხიარულება, მგოსნებისა და ჯამბაზების თამაში. ისინი, ის ორივე და მათი ლაშქარი, ძვირფასი სამოსლით შემოსა. ერთი კვირა დაყვეს, ყოველ დღეს მხიარულებაში ატარებდნენ: მათი მხრივ დასაჩუქრება, ამათგანაც ძღვნობა, ნადირო-ბა, ბურთაობა. ისმოდა თვით ამირ-მირმანის, [67] მისი დიდებულებისა და მონა-სპის ასეთი ქება: „ამათი მსგავსი მობურთალები არ არსებო-ბენ ერაყში, ადარბადაგანსა და ირანში“.

მეფემ უბრძანა თავის ამირსპასალარ ზაქარიას, ივანე მსახურთუხუ-ცესს, გრიგოლ ჰერეთის ერისთავს და სხვა მოყმეებს, და მოედანზე გავიდნენ. იქიდან ჩამოვიდა ამირ-მირმანი თავისი დიდებულეებითა და მსახურებით, და თვითონ თამარი, საჭვრეტად ბრწყინვალე და ნათელმ-ფენი სახით. ისმაიტელნი, თავიანთ ცოდნაში დარწმუნებულები და მძლე-მებრძოლნი, მალე დამარცხდნენ დავით მეფისა და მისი მოყ-მეების მიერ, და დამარცხებულები და მჭმუნვარენი შებრუნდნენ.

ამ სიხარულსა და შვებაში იარაღდებოდნენ და ომისათვის ემზადე-ბოდნენ შუღლის მოსურნენი. მოვიდნენ და აცნობეს ათაბაგს, რომელ-საც ნახჭევანიდან მოყოლებული მთელი სპარსეთის [ძალები] შეეკრიბა, არანში მოსულიყო, ხალიფას მისთვის გამოეგზავნა თავისი დროშა და ლაშქარი, ყველაფერ ამასთან ერთად ათასი ხალიფური ოქრო.

მაშინ თამარის წინაშე შეიკრიბა ყველა ვეზირი, მთელი ლაშქარი და თვითონ შარვანშა. გადაწყვიტეს ბრძოლა და ერთი დღეც არ დაუყოვნებიათ თითოეულს თავის მხარეში. თვითონ შარვანშამ და

ამირ-მირმანმა იქ ითხოვეს სიტყვა მდაბალი და გამარჯვებული, მძლე და წარმატებული და სვიანი თამარისგან.

[68] დავითი გაემართა, წინ ჯვარი წაიმძღვანა და ბედნიერად ნატარებ ბაგრატოვანთა და უფრო მეტად, გორგასლიან დროშას გაჰყვა.

მისულებმა ელეკეცის მდინარესთან დაიბანაკეს. იქიდან აიყარნენ და შამქორის სიახლოვეს მოვიდნენ პირველ ივნისს, ხუთშაბათ დღეს, როცა პარასკევი თენდებოდა, როცა ჩვენმა ღმერთმა, ქრისტემ შემუსრა მტრის ძლიერება და დაამარცხა ორთავიანი ურჩხული.

აქაც იხილეთ ჯვრის ძალა და ძლიერება და პარასკევის პატივისცემა. როგორც კი გათენდა, მოვიდნენ წინამავალი მზვერავები და აცნობეს: „ჩვენი თვალით ვნახეთ ათასეულები და ათი ათასეულები, უამრავი რიცხოვნობა, როგორც კალია და ზღვის ქვიშა, შამქორიდან ვიდრე შოთის მთამდე და ვარდანაშტამდე, განჯის კარამდე თვალები ვერ მისწვდება, რომ განიცადო და წარმოიდგინო.

როცა მეფემ და მისმა ლაშქარმა, შარვანშამ და ამირ-მირმანმა და იმათმა ლაშქარმა გაიგეს, თავდაპირველად გახარებულები იყვნენ და ღვთის მმადლობელნი, რომ მტერი ახლოს დაიგულეს, მაგრამ მალე გაკვირვებამ შეიპყრო, რომ მტერმა განჯისა და არანის ჭალების დატოვების შემდეგ მაგარი მთების საფარველი არ დაიტოვა და სწრაფად გამოემართა მათთან საომრად. მაგრამ ისინი შეგნებულად და მოფიქრებულად მოვიდნენ ამ ადგილას ჯერ თავიანთი სიმრავლისა და აურაცხელობის იმედით და შემდეგ, ხევისა და სიმაგრის სივიწროვის გამო”.

[69] მაშინ მეფე აღიჭურვა, ჯაჭვ-მუზარადი აისხა და ამხედრდა ზერდაგზე, რომელიც თავისი სახელგანთქმულობის გამო ვახტანგ ხაჩენელისგან ჰქონდა შეძენილი ერთი ციხისა და სოფლის, ჭარმანის, საფასურად. მოყმე ამირ-მირმანმა, როგორც მოსიმახოს უცთომელმა მსროლელმა და კენტავრისაგან განსწავლულმა, შუბი აიღო, მშვილდ-კაპარჭი შეირტყა.

იმ დროს ანტონი მწიგნობართუხუცესიც იქ იყო, გარეგნობით და გვარტომობით რჩეული ადამიანი. [დავითმა] მას უბრძანა წინ ეტარებინა ჯვარი, რომელიც არის მეფეთა სკიპტრა და ჯაჭვ-მუზარადი. ერთმანეთის გამხნევებით და მათთვის ვნებული ქრისტეს მოგონებით, თვალები ღვთის მიმართ აღაპყრეს. მის მიერ შეწყნარებულებმა ვედრებით თაყვანი სცეს, [მას] შეავედრეს თავიანთი სული და სხეული. ერთმანეთს შეახსენებდნენ [თავიანთი] პაპებისა და მამების სიმხნესა

და გამარჯვებებს: თუ ძველად, დავითის დროს, ოცდაჩვიდმეტი გმირი როგორ ებრძოდა უცხოტომელებს და როგორ დაამარცხეს ისინი, ასევე ვახტანგის დროს — ვახტანგის ლაშქარმა. და როგორ გაერთიანდა ახალი დავითის ლაშქარი იერუსალიმში [ძველი] დავითის ლაშქართან, ახლა კი მისი შვილის, თამარის, დავით წინასწარმეტყველის შემდეგ ოთხმოცდამეერთე ცხებული შვილის, [ლაშქარი].

ლაშქრის სპასპეტები ამბობდნენ: „თუ მაშინ იყვნენ სახელის მაძიებლები და ისტორიაში ქება –შესხმისთვის თავის დამდებნი, ახლა ჩვენ ვაჯობოთ [მათ] და [70] მაქებარებსა და შემსხმელებს ქება გამოვსტაცოთ, დავავიწყოთ და გადავფაროთ მათი ომები. მოვიგონოთ ისინი, რომლებმაც რჯულისა და ქრისტეს კვალზე შედგომის გამო თავს დაიტეხეს გახურებული რკინა, მარწუხი და სხვა სატანჯველი. [მოვიგონოთ] გოლიათი გმირები, რომელნიც სახელის ძიებაში სიკვდილს არ ერიდებოდნენ, [მოვიგონოთ] მიჯნურები, რომელნიც თავიანთი მნათობების გამო ყოვლად უწყალოდ ეკიდებოდნენ თავიანთ სულსა და სხეულს. აჰა, ჩვენც ხელი მივმართოთ ხმალს და სული — ღმერთს.“

ჩაჰბერეს ბუკებს და ზარსა სცეს. რაზმები წესისამებრ დააწყვეს. რაზმის მარჯვენა წვერმა მთას მიუწია, მარცხენამ — მტკვარს. გაემართნენ და მივიდნენ შამქორის სიახლოვეს, გარს შემოერტყნენ. ქალაქთან მიახლოებისთანავე ომის წინ რაზმი ორად გაჰყო. მეფემ რაზმითურთ შამქორი მარჯვნივ დატოვა და გაეშურა შამქორის მხარეზე მდინარის გადასალახად. უმცირესმა რაზმმა [ქალაქის] კარებთან, ხიდთან ატეხა ომი და სროლა. ვაჟკაცურად გახსნეს ძნელი და ვიწრო გზა და შეეჯახნენ ისლამისტთა მოწინავე რაზმს, რომლის ზარყიჟინა — უზომო, და რიცხვი — ურიცხვი იყო სმენისა და თვალთა მზერისათვის. შეიქნა ომი და ბრძოლა, მაგრამ არა მთელი ლაშქრისა, არამედ მხოლოდ მოწინავე რაზმებისა, რომელთაც ყივჩაღთა ენით „ჭალაში“ და „დასნაჭტდა“ ჰქვია.

გრძელი გზის გამო ომი გაგრძელდა, რადგან მეფემ და მისმა რაზმებმა ბექობებისა და ქვა-ღორღის მიზეზით დააყოვნეს. ზაქარია ვარამის ძეს ცხენი მოუკლეს და სხვა მრავალ დიდებულსაც დაუჭრეს. ეს შეიტყვეს მხარგრძელებმა, სარგისის ძეებმა, ზაქარია ამირსპასალარმა და ივანე მსახურთუხუცესმა, გამოეშურნენ, [71] როგორც ფრთოსანი ვეფხვები, და მიუსწრეს გაჭირვებისაგან კინაღამ უკან დახეულებს. მიმოიხედეს და ნახეს: უახლოვდებოდათ მეფე და მისი

რაზმი, გორგასლიანი დროშა, რომელიც სინდეთში შესვლის შემდეგ შეურცხვენლად მოდიოდა, ყოვლად პატივცემული იყო ზენა განგებისაგან. და მათ, ადრე მოსულებმა, ლაშქრის და რაზმების ნახევარი გადალეკეს. სანამ მეფე მოვიდოდა, ათაბაგის რაზმი გამაგრდა.

მეფე რომ ნახეს, ღვთის უხილავი რისხვა და მეფის [ლაშქრის] ხმლები და შუბები დაეცათ თავს, რომელიც მუსრს ავლებდა მათ რაზმებს. და აჰა, [მეფის] მისვლამდე გააქციეს. ისრები სისხლით დათვრნენ და ხმლები მათი მტრების ხორცს ჭამდნენ. მეფე აქილევსის მსგავსად იქცეოდა. მდავრიშ ერთმა ნაწილმა განჯის შუამთამდე მიაღწია, მეორე ნაწილმა — გელაქუნის მთამდე. ერთი ათასს კი არ დევნიდა და ორი — ათი ათასს, არამედ ერთს ათასი აჰყავდა ტყვედ და ორს — ათი ათასი — ხელმწიფეები, დიდებულები და აზნაურები. მაგრამ მხოლოდ ათაბაგმა ერთ მონასთან ერთად მოახერხა თავის დაღწევა.

სამი ქალაქი ხელთ იგდეს, როგორც არის სარკინოზთა ლაშქრის წესი, ქონა ქალაქების და სიმდიდრისა: ერთი ათაბაგისა, მეორე — ათაბაგის ძის, ბეშქენ ქველისა, ერთიც — სათმაზ ეზდინის ძისა, რომლის მამის ქონების სიუხვეზე სპარსეთში ასეთ რამეს ამბობდნენ: „ჰათემ თაიელისა“. დროშაც წაართვეს, ხალიფასაგან [72] გამარჯვების ნიშნად გამოგზავნილი. მადლიანი და ჭეშმარიტი პირის მიერ კურთხეული საქმის ამგვარი გამარჯვება აჩვენეს. მეფე ცხენდაცხენ დევნისაგან უკან მობრუნდა, წინ ანტონი ვეზირი მიეგება, ხელაპყრობით ღვთის მადიდებელი, და თვითონ ათაბაგის ლარითა და საგანძურით ავსებული, რომელსაც მონაზნობის მორიდების გამო მახვილი არ მოუღია, მაგრამ სამი ჭაბუკით მისულმა სამასი ჯორი და აქლემი წამოასხა.

მაშინ მოვიდნენ მადიდებელი რაზმები, სპასალარები, სპასპეტები, თვითონ შარვანშა და ამირ-მირმანი, მხიარულად გადმოხტნენ ცხენებიდან, მეფესა და მის ბუმბერაზებს თაყვანი სცეს, დალოცეს და ქება შეასხეს. იმ ღამეს დაიბანაკეს იმათ [მტრის] სადგომში, რომელიც არ იცნობებოდა იმათ მიერ, ვინც გუშინ ნახა. მადრასების ნაცვლად ეკლესიები აღმართეს, [მუეძინების] ყივილის ნაცვლად ზარებს ჩამოკრეს, მოლების ნაცვლად ისმოდა მღვდლების ღაღადისი ადონაის მიმართ: „ უფალო, საბაოთ ძალთა!“

როცა გათენდა, შამქორელები მოვიდნენ და კლიტეები მოართვეს. ქალაქისა და მისი მიმდებარე ქალაქებისა და ციხეების ამღებელმა ყველაფერი ამირ-მირმანს უბოძა, რომელიც მას ეთაყვანა. თვითონ

განჯისკენ გაემართა და ქალაქთან ახლოს მივიდა. გამოეგებნენ დიდებულები, დიდ-ვაჭრები, მსაჯულები და კანონმდებლები. მიწაზე დაემხნენ, თაყვანი სცეს, დავით მეფეს ქება შეასხეს და ცრემლების ღვრით შეავედრეს თავიანთი თავი და შვილები. ქალაქის კარები გახსნეს, ძვირფას ქსოვილებს უფენდნენ [73] სულთნის სასახლის კარებამდე, თავზე ოქროსა და ვერცხლს, დრამასა და დრაჰკანს აყრიდნენ. როცა სასახლეში შევიდა, ადგა და სულთნის ტახტზე დაჯდა.

გაიმართა დარბაზობა. ამირ-მირმანი და შარვანშა — თითოეული თავის ადგილას [დასვეს]. ასევე ვეზირები, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი და მომდევნონი ყველა თავისი წესისამებრ, როგორც იყო მიღებული, ჯდომისა და დგომის წესი, დასვეს. რომელმა ენამ გამოთქვა მაშინდელი ზარ-ზეიმი ან ვისი გონება მისწვდა მეფობისა და სულთნობის ერთად ქმნას, ათაბაგის ძისა და შარვანშას ყმად ყოლას, მთელი მუსულმანობის დამორჩილებას ან იმათ ნახვას, რომელნიც ამას აცდნენ, რადგან მოვიდნენ და მიწამდე თაყვანი სცეს? შეიქნა დროისა და იმ დღის შესაფერისი პურობა და ნადიმი.

მახარობლად მანდატურთუხუცესი ჭიაბერი გამოგზავნეს. ტაბახმელაში მოვიდა და თამარს მოახსენა გამოუთქმელი სიხარულით აღსავსე საქმე. [მან] აუღელვებელი და მშვიდი, სათნო სულით და ლმობიერი გულით ღმერთს მადლობა და ჯეროვანი ქება შესწირა.

ქალაქში შესვლა გადაწყვიტეს და სასახლეში მივიდნენ. მოვიდა მეფე და მასთან ლაშქარი, ღვთის წყალობით, მიუწდომელი სახელით და გამოუთქმელი სარგებელით სავსე. მოიტანეს აურაცხელი საჩუქარი, ძღვენი და განძი: ადამიანი — ხელმწიფე-აზნაურებიდან მონებამდე — თორმეტი ათასი, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი. სხვადასხვა დროშის, განძეულის [74], ოქროსი და ლარის აღრიცხვას ვინ შესძლებდა? თამარმა მოწყალება გამოიჩინა: ხალიფას დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა მოიპოვა, დიდ მონასტერში გაგზავნა ხახულის ღვთისმშობლის ხატთან, მსგავსად მათი მამის პაპისა: მაშინ მან დიდგორის ველიდან გაქცევის დროს დორბეზე სადაყაის ძის კისრიდან აგლეჯილი ძვირფასი თვლებით შემკობილი ოქროს მანიაკი გაგზავნა. ძღვნის შეწირვისა და ვედრების მიზეზით, ამანაც [თამარმა] შეთხზა ხუთეული იამბიკო ოცდახუთ სტრიქონად:

***

ცათა ცის დამწყებია ღმერთმთავრობა,
საუკუნითგან არის ძე, პირველი და მარადიული,
სულმა ღმერთმა სრულ ყო მოქმედების უნარის,
სამებით სრულმა ერთი ღმრთეებით
ქვეყნიდან პირველი, პირმშო ადამიანის.

შენ მიერ მისთვის მრუდის მომწესრიგებელი
მრუდი იქცა ვნების მიმართ უვნებელი,
ივნო და პირველი ვნება უვნებელ ყო.
შენგან შობილმა ჩვენ ღირს გვყო ხელმეორედ დაბადებად
სიბნელიდან ნათელში, ნათელთა მზერად.

[75] შენგან, ქალწულო, რომლისთვისაც დავითი
როკავდა, ღვთის ძის შენს ძედ ყოფნას,
მე, თამარ, მიწა შენი და შენ მიერი
ღირს მყავ შენგან ცხებას და სიახლოვეს.
აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს

შუა მფლობელი ნადავლს შენ მოგართმევ,
ხალიფას დროშა მანიაკს
ზედ დავურთე, ცრუ რჯულის მოძღვრის გამარჯვებისკენ
წამძღოლი,
დავითმა, ეფრემის ძეების მსგავსად მოისარმა
იარაღი აისხა, მოსრა სულთანთან, ათაბაგთან ერთად.

ირანში იბრძოდნენ ჩემი [ბრძანებით] მის ლაშქართან
ჩვენი მხედრები, შენი მსასოებელნი, რძალო,
დახოცეს, გაწყვიტეს აგარიანთა მოდგმა.
იქიდან მოტანილ საუნჯეთაგან ერთს ამას
შენ შემოგწირავ! მეოხ მეყავ ძესავით, ღმერთო!

***

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კუალადი.
სულმან მან ღმერთმან სრულ ყო მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაებითა,
მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა.

შენ მიერ მისთჳს დრკუსა მის განმგებელი
დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო.
შენგან შობილმან. ჩუენ ღირს-გუყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთჳს დავით
როკვიდა, ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად.
მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თჳსობასა.
ედემს, ღადითად, სიმხნით, და ჩრდილოეთით

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთმელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღურისა ღაზოდ მძღუანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მჴედარნი, მოსავნი შენნი, სძალო;
მოწყლნეს, მოსწყჳდნეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოსმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას.
შენდა შევწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო!

ვინაიდან თამარი მზესავით უხვი იყო და ყოვლად უჭკნობ საჩუქარს ღებულობდა, ამის გამო თითოს დასჯერდა და აიღო საპატრონო,

ხმელეთისა და ზღვის პატრონმა. მადლი და წყალობა გადაიხადა და ლაშქარი დაითხოვა, ხოლო ტყვეებსა და დაპყრობილებს მწყემსივით ედგა. თვითონ იშვებდნენ, იხარებდნენ, ნადირობდნენ. ოლიმპიური გამარჯვებით სუფევდნენ ბედნიერი და სვიანი თამარი და დავითი ორ ნათელმოსილ და ბრწყინვალე შვილთან ერთად.

[76] ახლა ვთქვათ ეს მძიმე და საწყალობელი [ამბავი]. ვინაიდან აგარიანთა მოდგმას სიბრძნედ და ცოდნით აქვს გრძნებისა და მოგვობის საქმე, ნასწავლი იუნიტანისაგან, რომელიც ნებროთმა ზღვის კიდეზე იხილა კიროსის და დარიოსის დროს, იქიდან მოყოლებული [ისინი] ჯადოქრები, მომწამვლელნი და ღვთის უარმყოფელნი არიან. ახლაც ათაბაგყოფილმა და ნახჭევანში გადახვეწილმა ბუბაქარმა დიდძალი ოქროს დაპირებით ერთ ვინმეს შეაგონა თავისი ძმის, ამირ-მირმანის, მოწამვლა და მოკვდინება. სასიკვდილო წამალი მისცეს და დასნეულდა. გაგზავნეს კაცი მაცნე და იქიდან დიდი შიშითა და ძრწოლით, ასპიტის მსგავსი კბილების ძაგძაგით, ძლივს მოვიდა კაპისის მთასთან, განჯის სიახლოვეს. შეიტყვეს დასტურად მისი სიკვდილი.

ბუბაქარი განჯაში მოვიდა. ამირ-მირმანის ყმები გავიდნენ და შეებრძოლნენ, ზოგი დახოცეს, ზოგი გააქციეს. თვითონ [მეფემ] განჯა შემოიმტკიცა და გამაგრდა. შიშის გამო დიდი ხანი არ დაუყოვნებია იქ და ამირ-მირმანის სიკვდილი არც გაუგია, ისე წავიდა. ყურადღება არ მიაქცია ყოველივეს სიმცირეს, გაემართა და შამქორამდე მივიდა. იქ არანის მტირალი დიდებულები შეეგებნენ, თავზე ნაცარს იყრიდნენ, მოახსენეს: „ის აღარ არისო. სიმაგრეები მიუტაცნიათ, ბუბაქარს ამ ქვეყანაზე არავინ დაუდგებაო“.

მეფე დიდებულებთან ერთად შემობრუნდა და თამართან მოვიდა. ალექსანდრეს მსგავსად, როგორც მან დასდო დიდი პატივი პორეს იმით, რომ მის აკლდამაში იჯდა, ასევე ესეც, ნათელი და პირველნათელზე უბრწყინვალესი, შავებით შეიმოსა და ცხარე ცრემლებით გამოიტირა [ამირ-მირმანი]. ამირ-მირმანის დიდებულებს, სახლეულსა და მონებს დიდი პატივითა და სიყვარულით ექცეოდნენ..

[77] ივანე მხარგრძელი მამაცი და ომებსა და ლაშქრობის საქმეებში გამოცდილი იყო, გაემართა და მცირედი ლაშქრით გელაქუნში მივიდა. ჩაუსაფრდა, როგორც მტრის კვალზე დადარაჯებული დათვი, როგორც ლომის ლეკვი, როგორც ისრაელის ძეები — ბენიამინის ძეებს. მარჯვე ყმა არავინ იახლა თან. ივანემ, რომელიც ჩასაფრებული იყო, შორს იხი-

ლა ურიცხვი, მის ლაშქარზე ათჯერ მეტი ლაშქარი, რომელიც განჯიდან მოდიოდა და სურმანში, დვინის ქვეყანაში, მიდიოდა მასისისა და შურის გვირაბების გავლით. თვითონ ბალშანი, ელდიგუზ ათაბაგის გაზრდილი, ჭაბუკი ლომი, დვინისა და სომხითის პატრონი, სურმანელის ძმა, სურმანელთა ლაშქრით; ალი შურიშამი, ახოვანი, მარჯვე კაცი, ასევე დროშის პატრონი. ვინაიდან ივანე გულუშიშარი იყო, არად ჩააგდო თავისი ლაშქრის სიმცირე და მტრების სიმრავლე, გამოუხტა და მიმოფანტა, როგორც შევარდენმა — წეროები და როგორც ლომმა — კანჯრის ჯოგი, დახოცა, ამოწყვიტა და მათ თავზე ღვთის რისხვა მოავლინა. დაატყვევა თვითონ ბალშანი, მისი ლაშქარი და დროშები, ცოცხლად გადარჩენილი ოთხი კაცი. თვითმპყრობელებმა დიახაც გაიხარეს, დიდი წყალობა გასცეს და ღმერთს ჯეროვანი მადლი შესწირეს.

მეფე იმიერთა და ამიერთა ლაშქრით განჯის ქვეყანაში გაეშურა, თამარი დვინამდე ჩავიდა. მასთან სამსახურისთვის შარვანშა მივიდა. ლაშქარი გააგზავნა, შემობრუნდა და აგარებში დადგა დიდებითა და სუფევით. [ლაშქარი] განჯის კარს მიუახლოვდა. არანი დაიპყრეს და ამოწყვიტეს, ქალაქის კარებთან ოცდახუთი დღე დაყვეს. ივანე მსახურთუხუცესმა დიდი ლაშქარი და ურიცხვი ალაფი შინ გააგზავნა, ხაჩინელი დიდებულები მეფესთან მოიყვანა. არანის დამპყრობლები [78] და განჯისა და სხვა ქალაქებისგან ხარკის ამკრეფნი ძლევამოსილნი დაბრუნდნენ [თავიანთ] სამეფოში, თან წამოიყვანეს შარვანშა. საბოძვარი უბოძეს, მრავალფეროვან სამოსელში შემოსეს და შინ პატივით გაუშვეს.

წავიდნენ ლიხთ-იმერეთში. პონტოს ზღვასთან მისულებს საზრუნვი გაუჩნდათ, კარგად და ძლიერად შეიარაღდნენ, ვინაიდან ძაღინის ხევის არტანის ქვეყანა პალაკაციო თურქებს აეღოთ.

თამარს, გონიერსა და ბრძენს, არ ავიწყდებოდა ყაბოს მაძიებელი კეკაოსი. მარბიელმა [ლაშქარმა] ბასიანამდე და ყურაბებამდე მიაღწია, [ალაფით] აივსნენ და დაიბანაკეს ადგილს, რომელსაც „სისხლის მუცელი“ ერქვა. ძველად, ოდესღაც ნათქვამისა და მქონელის მსგავსად, ახლაც ჩანდა მათი ქვეყანა და სამყოფელი, როგორც „სისხლის მუცელი“.

ამგვარ ძლევასა და გამარჯვებებში იყო თვითონ მეფეთა მეფე.

იგი მადლობის გარეშე არ ტოვებდა იმას, ვისაც მისთვის გამარჯვება მოჰქონდა. თამარი დიდ-ბუნება იყო უსაჩინოეს სკიპტრის-მპყრობელთა შორის.

ამის გამო უდიდეს საქმეებს შეეჭიდა, რომელთა მოსაყოლად მე, უმეცარი და უგუნური, ვერ ვპოვებ სიტყვებს გამოსათქმელად. და ვინაიდან დიდი კეთილი საქმეების დავიწყების საშიშროება გაჩნდა, ვერ შევძელი დადუმება, რომელთა [აღწერა] აღემატება არა მხოლოდ ჩემს, არამედ, მგონია, ძველი მწერლების ძალებს. ამიტომ ჭეშმარიტი სიტყვა ამბობს: „ეძიებდე ღვთის სასუფეველს და მის სიმართლეს, და ეს ყოველივე შეგეძინება“.

ამის მსმენელმა და კეთილად გამგებმა თვალები მაღალ ღმერთს მიაპყრო, აიმაღლა ყოვლად ბრძენი და კეთილად შემცნობი გონება, რომელიც მთლიანად შეუერთდა ყოვლის მხედველ მაღალ [ღმერთს] და ნათლად მხედველი თვალები განუწონა, რომ შეიცნოს და მხოლოდ მას ხედავდეს.

ვერ აცდუნა იგი ამ სოფლის სიამეებმა, არც გვირგვინის მეფობამ და სკიპტრამ, არც პატიოსანი ქვების უხვად ქონებამ, არც ლაშქართა სიმრავლემ და ესოდენმა სიმამაცემ, რასაც ნათქვამი გააცხადებს. არ შეიცვალა, ვერც სიმდიდრემ ვერ შეიტყუა, როგორც ოდესღაც ძველად მრავალი მეფე და ყველაზე მეტად ამ სანატრელის მამა, ყველა ბრძენზე უპირატესი და უაღრესი სოლომონი. ეს იმ ბრძენზე უფრო ბრძენი აღმოჩნდა, რომელმაც ისე შეიყვარა ღმერთი იგი და შორს განუდგა ამქვენიურ საცდურებას. ამან ისმინა ჭეშმარიტი სიტყვის ხმა და შეიტკბო იგი. განსაცვიფრებლად ჩვეოდა ღამ-ღამობით მღვიძარება, ლოცვა, მუხლ-მოყრა და ზეზეულად ცრემლებით ვედრება ღვთისა. ღამეს ხელსაქმარზე ატარებდა, რომელიც გლახაკებისთვის იყო განკუთვნილი. მხოლოდ ერთს ვახსენებ.

ლოცვასა და ხელსაქმარზე დაღლილს, ბუნების წესის შესაბამისად, მცირედ მიეძინა. ამ თვლემაში, სიზმარში იხილა რაღაც საყოფელი, სახილველად ლამაზი და სიკეთე-აღმატებული ადგილი, ყვავილებით, სიმწვანითა და ხეებით გამშვენებული. მნახველთათვის ფრიად სასურველი იყო, სამოთხის მსგავსი სიკეთისა და მშვენიერების გადმოცემა შეუძლებელი იყო. ამ ადგილას იყო შესაფერისი ტახტები და სარკმლები, ოქროთი, ზოგი ვერცხლით პატიოსნად შემკული, [80] თითოეული ადამიანისთვის, მის მიერ ჩადენილი საქმეების შესაფერისად, სხვადასხვა ფერად მოკაზმული. ზედა მხარეს იყო ყველა საკარცხულზე უფრო ღირსეული ტახტი, პატიოსანი თვლებითა და მარგალიტით შემკული. ამ სამოთხეში შეიყვანეს ჭეშმარიტად იქ ყოფნის ღირსი მეფე თამარი. სავარძლები რომ იხილა,

თავის გულში გაიფიქრა: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემია ეს უზენაესი და ყველაზე ღირსეული საჯდომი“. მაშინვე გაემართა იქ დასაჯდომად, მაგრამ წინ დაუდგა ვიღაც ნათლით მოსილი კაცი, ხელი მოჰკიდა, შეხედა და უთხრა: „ის საჯდომი შენი არ არის, რადგან შენ ძალა არ შეგწევს, მას დაეპატრონო“. მეფემ ჰკითხა: „ვინ არის ჩემზე ღირსეული, რომ დაიკავოს ის ყველაზე ღირსეული ტახტი?“ მან უპასუხა: „ის ტახტი შენს დიასახლისს ეკუთვნის, მისი ხელებით მოქსოვილი აცვია იმ თორმეტ მღვდელს, რომლებიც შესაძრწუნებელ და საშინელ ტრაპეზზე წარდგებიან უსისხლო და პატიოსანი მსხვერპლის შეწირვის ჟამს. ამიტომ იგი შენზე უმაღლესია. თუმცა შენ მეფე ხარ, შენთვის საკმარისია ეს დიდება, რადგან შენი სამყოფელი აქვეა“. და უჩვენა უფრო ნაკლები და მდარე [ტახტი].

როცა გაიღვიძა, ბრძანა, მასთან მოეყვანათ ის დიასახლისი. მან აღიარა თორმეტი მღვდლისთვის სრული კვართისა და ფილონის მოქსოვა და მღვდლებისთვის მათი ჩუქება. ამის შემდეგ ამანაც დაიწყო ალექსანდრიიდან ვაჭრების მიერ ჩამოტანილი მატყლისგან ქსოვა და სამოსლის კერვა, ვიდრე თორმეტ ცალს არ შეასრულებდა.

ესეც ნათქვამია, თუმცა სიტყვა არ შემორჩენილა, რომ თავისი ხელით აკეთებდა იმის საფასურს, რასაც დღიურად ჭამდა. [81] გლახაკებს ურიგებდა არა სამეფო შემოსავლიდან, არამედ თავის ხელითსაქმარს ყიდდა და იმ ფასს გლახაკებს ახმარდა. საეკლესიო ლოცვისას ლოცვის წესი სრულად სრულდებოდა ისე, როგორც ტიპიკონი ასწავლიდა და პალესტინის მონასტრის განწესება მოგვითხრობდა, ყველაფერი სრულად. სასახლის კარზე მყოფთაგან წირვას ვერავინ ვერ დააკლდებოდა: საღამოს, დილას და სამხარზე, როგორც ნათქვამია.

სამართლიანობის შესახებ რად მჭირდება თქმა? რადგან მის დროს არ იყო დაჩაგრული, არც მტაცებელი, არც ყაჩაღი და მპარავი. ამბობდა: „მე ვარ ობოლთა მამა და ქვრივთა მსაჯული“. მოწყალების [ნიმუშად] საკმარისი იქნება ვარდან დადიანი, გუზანი, რომელიც მხოლოდ დააბრმავეს, ბოცო ბოცოს ძე და მათი მომხრე დიდებულები და აზნაურები, რომლებიც შეიწყალეს.

ვინაიდან უდიდესი საქმეები გვიდევს წინ, როგორც ნათქვამია, „ვინ მომცეს მე მტრედის ფრთები?“ რომელმა მეისტორიემ მომცეს მე ღვთისმოყვარე თამარის წინაშე საოცარი და აღმატებული სიხარულით ყოველი ქართველისა და მართლმადიდებლის ამმაღლებელი სასწაულის ქმნა?

მეფესთან სამსახურის გასაწევად მოვიდა ორი ძმა, სარგის ამირსპასალარის ძენი, რომელნიც იმ დროს მეფის მიერ დიდად განდიდებულნი იყვნენ: ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი. ყველა ახლობელი მეფესთან იყო: [82] იოანე კათოლიკოსი, ღვთივსულიერი, ანგელოზების თანამოღვაწე კაცი, მცირე ეპისკოპოსები და საქართველოს სხვა წარჩინებულებიც იყვნენ შეკრებილი. იოანე კათოლიკოსი უსისხლო მსხვერპლს სწირავდა. მან ჟამისწირვა აღასრულა. ჟამისწირვის აღსრულებისას ყველა ღირსი მიდიოდა სეფისკვერის საჭმელად. ზაქარია ამირსპასალარს უნდოდა შეხებოდა და სეფისკვერი აეღო. მაგრამ მღვდლებმა არ მისცეს, რადგან სარწმუნოებით სომეხი იყო, ერთი შეჩვენებულთაგანი. სირცხვილის დასაძლევად ზაქარიამ სეფისკვერის აღება და შეჭმა იკადრა., რისთვისაც ცეცხლივით ანთებულმა კათოლიკოსმა მრისხანედ ამხილა და უთხრა: „მართლმადიდებელი თავისი ნებით არავინ არ იკადრებს მღვდელთმსახურების დროს თქვენთვის, შვიდგზის წყეული სომხებისთვის, სეფისკვერის მიცემას, მიტაცებით კი ძაღლი თუ მიიტაცებს“. სირცხვილნაჭამი ზაქარია თავის კარავში წავიდა.

დარბაზობაზე, პურობის დროს, ზაქარია ამირსპასალარი ცოტა ურწმუნო სიტყვებს ამბობდა, რადგან სიტყვებით ჰგმობდა ჩვენს სარწმუნოებას. ღვთივსულიერი კათოლიკოსი პასუხობდა და უხსნიდა. ზაქარია წინააღმდეგობას ვერ უწევდა და ეუბნებოდა: „მე, მეომარი, კარგად არ ვარ განსწავლული, რომ შენ გიპასუხო, ამიტომ ჩვენი სარწმუნოების მოძღვრებს მოვუხმობ, რომლებიც ჩემს ნაცვლად ჩაგაგდებენ სირცხვილში“. იოანე კათოლიკოსმა უპასუხა; „იყოს ქრისტეს და მარადის ქალწული ღვთისმშობლის ნება, რომლებიც შეარცხვენენ მათ უარისმყოფლებს“.

ამ სიტყვებზე ზაქარიამ კაცი გააგზავნა თავიანთ კათოლიკოსთან და ეპისკოპოსებთან, ყველა ვარდაპეტთან და მეცნიერთან. ივანე [83] კი უშლიდა და ეუბნებოდა: „დაეხსენ მაგის გაკეთებას, რადგან ვიცით, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება ეს არის“. მაგრამ ზაქარიამ არ ისმინა.

მოვიდა ვანის კათოლიკოსი და ყველა ვარდაპეტი. გამართეს სამსჯავრო. ერთ მხარეს დაჯდა დედოფალი, [ზეციური] დედოფლის მლოცველი, დავით მეფე და საქართველოს წარჩინებულები, მეორე მხარეს — ზაქარია და ივანე მხარგრძელები. მოუწოდეს იოანე კათოლიკოსს, შევიდა და აღმოთქვა ეს ფსალმუნი: „აღდეგ, ღმერთო, საჯე შენი სჯა, გაიხსენე უგნურთა მხრიდან შენი ყვედრება“. როცა შევიდა,

მეფეები წამოდგნენ და პატივით გვერდით დაისვეს. სომეხმა მეცნიერებმა და ვარდაპეტებმა ასევე წესისამებრ პატივი მიაგეს.

მოკითხვის შემდეგ, დრო რომ მოვიდა, ყველანი დადუმდნენ და სომხებმა, რომლებიც კეთილად მოხსენებული იყვნენ, მჭერმეტყველურად და ვრცელი სიტყვებით დაიწყეს თავიანთი სარწმუნოების შესახებ ლაპარაკი. ზეგარდმო ნიჭით აღსავსე კათოლიკოსი გონიერებით უხსნიდა და ბრძნულად პასუხობდა, რომ მათი ნათქვამი გაებათილებინა და საკუთარი დაემტკიცებინა. სიტყვისგება საღამომდე გაგრძელდა.

ისტორიის გაგრძელების შიშის გამო დავკმაყოფილდები შემდეგის თქმით: როგორც იცით სომხების სიტყვა-პასუხის უნარი, ძლიერი ღაღადი იწყეს, პაექრობის შესაფერისი გამარჯვება დარჩებოდათ. ამის გამგონე იოანე კათოლიკოსმა, ღვთისმეტყველის მოსახელემ, შესაძლოა სული წმიდის მიერ აღვსებულმა, ან მართალ სარწმუნოებაზე მინდობილმა, არ ვიცი, დაიწყო შეუვალი სიტყვების ბრძნად წარმოთქმა. ოდესღაც დიდი ელია, ღვთის მლოცველი, მსხვერპლს ცეცხლიდან გადმოხედავდა. [84] ნახეთ, თუ რამდენად უფრო მეტად მისაღებია უსისხლო მსხვერპლი, კაცქმნილი ღმერთის სისხლი და ხორცი, ძროხის მსხვერპლზე, რომელიც აჩრდილს ბუზებს უგერიებდა. იმდენად უბრწყინვალესი და უზენაესია, რომელიც ახლა მოხდა და ითქვა, ვგონებ, სული წმიდის მეოხებით, მისი მსახური კათოლიკოსის პირით. მან თქვა:

„თარგამოსის სახლეულნო, რომელნიც შეკრებილი ხართ მართალი სარწმუნოების მოწინააღმდეგედ და მტრად! იცით, რომ კაცთა მოდგმას ეშმაკი დაეუფლა? გონების თვალის დამშრეტმა ის მისნებს დაუმონა. უვიცები და ღვთის უარმყოფელნი მსხვერპლს სწირავდნენ კერპებს, ხახვს, ნიორს და ჯინჭარს. მაგრამ ღმერთი, რომელიც თავის მიერ დაბადებულებს არ ივიწყებს, ელაპარაკა აბრაჰამს და შემდეგ, მის შთამომავლებს. შემდეგ მოსეს მისცა რჯული და სამართალი. ბოლოს უმეტესი წყალობით აღძრული, ზეციდან გადმოვიდა ერთი სამებისაგანი, ძე და სიტყვა, ქალწული მარიამისგან ხორცი შეისხა და ადამიანების მსგავსი გახდა, რადგან ქალწულის სისხლისაგან მიიღო კაცობრივი სხეული და გონიერი სული, ადამიანთა შორის ტრიალებდა და ყოველივე განგებული აღასრულა. როცა იმ შესაძრწუნებელ ნებსით ჯვარცმას ელოდა, თორმეტ მოწაფესთან ერთად სერი მიიღო და პასექი შეასრულა. როცა შესრულდა, ახალი განმაღმრთობელი საიდუმლო დაიწყო: აიღო პური, გატეხა, მოწაფეებს მისცა და უთხრა: „მიი-

ღეთ და ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი ცოდვათა მისატევებელად“. ასევე სასმელიც: „დალიეთ ამისგან, ეს არის ჩემი სისხლი“. ადრე ის ამბობდა: „თუ ადამიანის ძის ხორცს არ შეჭამთ, არ გექნებათ ჩემთან ნაწილი“. და ისევ ამბობდა; „ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი [85] ჭეშმარიტი სისხლია.“ და მრავალია ამნაირი სიტყვები. ახლა მიპასუხეთ: „გწამთ მახარებელთა ამნაირი სიტყვები?“ ხოლო მათ მიუგეს: „უცილობელია, რომ თავისი ხორცი და სისხლი მოგვცა, რათა მარადიულად ვჭამდეთ და ვსვამდეთ. ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის, რომ ქრისტეს ღმერთად აღმსარებელნი მის ხორცს ვჭამდეთ და მის სისხლს ვსვამდეთ“.

კათოლიკოსმა ისევ საზეიმოდ განაცხადა: „კეთილი, შვილებო, რადგან აღიარეთ, ახლა ესეც გწამთ, რომ ახალი რჯული და ახალი პასექი იყო ის სერობა და ყველანი, რომლებიც ქრისტეს ღმერთად და კაცად ვაღიარებთ, მღვდელვმსახურობთ ქრისტეს ვნებების მოგონებით; ვჭამთ მის ხორცს და ვსვამთ მის სისხლს, ის არის ჩვენი რჯული და ახალი მცნება?“.

სომხებმა მიუგეს: „ესეა, ამის უმეცარი არავინ არ არის“.

კათოლიკოსმა თქვა: „ახლა იცოდეთ, თუ თქვენი სარწმუნოება უკეთესია, თქვენ მიერ შეიცვლება პური უფლის ხორცად. თუ ჩვენია უმჯობესი, ჩვენ მიერ მღვდელმოქმედებული შეიცვლება უფლის ხორცად“.

მათ თქვეს: „ეგრეა“.

კათოლიკოსმა მოსასმენად საშინელი სიტყვა თქვა: „საქმით გამოვაჩინოთ, არა სიტყვით!“.

მათ თქვეს: „რასაც აკეთებ, გააკეთე“.

კათოლიკოსმა უთხრა: „ერთ ძაღლს მოგცემთ და სამ დღეს გაცლით, რომ ღამე ლიტანიობასა და ღვთის ვედრებაში გაატაროთ. ძაღლი სამი დღე უჭმელად დატოვეთ. ერთი ძაღლი მე მომეცით, სამ დღეს უჭმელად დავტოვებ, ღამეს ლიტანიობითა და ღვთის ვედრებით გავათენებ და გამოჩნდება მართალი სარწმუნოება. მესამე დღეს აღვასრულებ უსისხლო მსხვერპლს და ჩემი ხელით მოვიტან სეფისკვერს. თუმცა ეს უკადრებელია, მაგრამ წინ დავუდებ იმ ძაღლს, [86] რომელიც თქვენ გყავთ. ასევე მოიტანეთ თქვენი სეფისკვერი და იმ ძაღლს, რომელიც მე მყავს, წინ დაუდეთ. რომლისაც შეჭამოს [ძაღლმა], მისი რწმენა არ არსებობს. თუ თქვენს შეჭამს, თქვენ გრცხვენოდეთ, თუ ჩვენს შეჭამს, ჩვენ ვიქნებით შერცხვენილი“.

როცა მეფეებმა და ერმა ეს გაიგეს, განცვიფრდნენ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. გონზე რომ მოვიდნენ, კათოლიკოსს უთხრეს: „ეს რა თქვი, მოსასმენადაც საშინელებაა“. კათოლიკოსი უფრო ჯიუტად იდგა თავისაზე. თუმცა სომხებს არ სურდათ, ძაღლები მაინც გაცვალეს ერთმანეთში და თავიანთ კარვებში წავიდნენ.

ძლიერ აღელვებულმა მეფემ კათოლიკოსს მიმართა: „რა თქვი ეს, იმდენად გასაკვირია, რომ ვის შეუძლია ამისი გაკეთება, მოფიქრება და გაგება? კათოლიკოსმა დამშვიდებით უპასუხა: „ეს საქმე ჩემ თავში დარწმუნებულმა კი არ წამოვიწყე, არამედ ქრისტე ღმერთის იმედით, რომ მორწმუნეებს აჩვენოს, თუ ვისი სარწმუნოებაა მართალი და ვინ არიან მართლ-აღმსარებელნი და ვისი მღვდელმსახურებით შეიწირავს [ღმერთი] უსისხლო მსხვერპლს და ვის ხელებს განუჩენს ღვთის ტარიგი თავისი თავის დაკლვას, ანუ ვინ ვჭამთ მის ხორცს და ვსვამთ მის სისხლს. მართლმადიდებლობის მინდობით ცხად ვყოფთ ჭეშმარიტებას. მეფეო, შემეწიეთ შენ და თითოეული ქართველი!“ მოისმინეს რა კათოლიკოსის სიტყვები, გაოცდა მეფე და მთელი ერი, და თავ-თავისთვის დაიშალნენ.

პარასკევი დღე იყო. დაიწყეს ლიტანიობა: ცალკე მეფემ, კათოლიკოსმა და მთელმა სამღვდელოებამ (ეპისკოპოსები ცოტანი იყვნენ, რადგან მეფეს კრება არ ჰქონდა მოწვეული), და ცალკე სომხებმა და ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ორივემ ღამე გაათია. შაბათს კვლავ დაიწყეს ლიტანიობა და [87] ორშაბათი გაათენეს. მზე ამოვიდა და ყველანი ეკლესიაში გაემართნენ, ცრემლებით ევედრებოდნენ ღმერთს. ორივე მხარეს გაამზადეს წმიდა ტრაპეზი. ორივე კრებული ტიროდა. როცა უსისხლო მსხვერპლის შეწირვა აღასრულა, კათოლიკოსმა ფეშხუმით აიღო ჩვენთვის განკაცებული ქრისტე ღმერთის შესაძრწუნებელი ხორცი, წამოვიდა კრებულისკენ, გზადაგზა ამბობდა: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, ცანი და ქვეყანა სავსეა მისით“.

მოუწოდა სომეხ ეპისკოპოსებს, მხარგრძელებს და მათი სარწმუნოების მიმდევრებს და უთხრა: „აწ ისმინეთ, თარგამოსის სახლო! იცით, რომ ჩვენთვის განკაცებულმა ღმერთმა თავისი ხორცი მოგვცა საჭმელად და თქვა: „ჩემს ხორცს თუ არ შეჭამთ, ცხონება არ გექნებათ, ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონრად?“ მოციქულიც ამბობს: „ეს პური, რომელსაც გავტეხავთ, ქრისტეს ხორცის ზიარება არ არის?“ ახლა,

თუ თქვენი სარწმუნოება ჭეშმარიტია, ეს პური ქრისტეს წმიდა ხორცი იქნება; თუ ჩვენი სარწმუნოება მოსწონს, ჩვენ მიერ იქნება კურთხეული სრულიად უფლის ხორცად. ნუ იქნება, რომ რომელიმემ უარყოფა იკადროს. მოიყვანეთ ძაღლი, რომელიც მე გადმოგეცით. თუმცა საკადრისი არ არის, ამ წმიდა პურს წინ დავუდებ. თუ ძაღლი მიუახლოვდება და შეეხება, არარა არის ჩვენი სარწმუნოება. მოაყვანინეთ თქვენი ძაღლი, დავუდვათ თქვენ მიერ კურთხეული პური. ნახეთ რა იქნება და მაშინ გამოჩნდება, ვისი სარწმუნოება მოსწონს ქრისტეს“.

თუმცა სომხებს არ სურდათ, მაგრამ სიმართლეზე პასუხი არ ჰქონდათ. იძულებული იყვნენ, კათოლიკოსისთვის ეთქვათ: „შენ შეგფერის, აღასრულო შენ მიერვე განწესებული საქმე“. [88] შემოვიდა ხალხის სიმრავლე სანახავად, თუ რა იქნებოდა. ამის მნახველმა კათოლიკოსმა თქვა: „მე ვიზამ“. ბრძანა, რომ ხალხი შორს და გარშემო დამდგარიყო, რათა ყველას დაენახა ღვთის დიდებულება. ხალხი მოშორებით დადგა.

წამოდგა [სათანადოდ] შემოსილი იოანე კათოლიკოსი, ხელთ ეპყრა შიშის დამცემი ის საიდუმლო, ხორცქმნილი და მღვდელთმსახურებით გამზადებული. განცვიფრებული და შეძრწუნებული მეფე და მთელი ხალხი უმზერდა მას. კათოლიკოსი იდგა, როგორც შეურყეველი და ლამაზად აგებული გოდოლი, მტკიცედ იდგა მშვენიერი სახით. ბრძანა, მოეყვანათ სამი დღის უჭმელი ძაღლი. მოიყვანეს შიმშილით გალეული ძაღლი. წამოდგა იოანე კათოლიკოსი და საზეიმო ხმით ბრძანა: „ქრისტე მეუფეო, ადამიანთა ხსნისათვის განკაცებულო, ჩვენთვის ჯვარცმულო, დაფლულო და აღმდგარო და ზეცაში მამასთან ამაღლებულო, რომელმაც მოგვეცი შენი ხორცი, რომ შენდა მოსახსენებლად ვყოფდეთ; შენ, მეუფეო, მოგწონს ქართველთა სარწმუნოება, მოგწონს ეს ჩვენი სარწმუნოება, შეუხებლად და მიუკარებლად დაიცავი ჩვენ მიერ მღვდელმსახურებული შიშის დამცემი ეს შენი ხორცი; შენ შეიწირე ეს უცვლელი და აჩვენე ამ ერს ჭეშმარიტი გზა. მოხედე ამ მსხვერპლს და შეარცხვინე ჩვენი მოწინააღმდეგები“.

როცა ეს ითხოვა, მოშიებული ძაღლის წინ დადო ამ შიშის დამცემი უსისხლო მსხვერპლის ნაჭერი. [ძაღლმა] პური რომ ნახა, მიახტა, როცა მიუახლოვდა მიუახლებელს, მან მაშინვე საშინლად დაიყეფა და პირი არ დააკარა წმიდათა მას წმიდას. ეს გასაოცარი სასწაული რომ ნახეს, გაუკვირდათ მეფეს და მთელ ხალხს. კათოლიკოსმა და მთელმა ხალხმა ხმამაღლა შესძახეს: „დიდ ხარ შენ, უფალო, საკვირველ არიან შენი სა-

ქმენი!“ და [89] სიხარულის ცრემლებით ხმა აიმაღლეს ღვთის სადიდებლად. უღონოებაში ჩავარდნილი სომხები გაკვირვებულები იდგნენ.

მაშინ კათოლიკოსი შეევედრა მეფეს, რომ ხალხი გაეჩუმებინა. და როცა ხმები მიწყნარდა, ნათელმოსილი სახით მიმართა სომეხ მოძღვრებსა და მხარგრძელებს: „მოისმინეთ და იცოდეთ: ღმერთი, უხილავი და მიუახლებელი და ყოველივე ბოროტისაგან შეუხებელი, უბოროტოა და მან თვითონ ბრძანა ამ წმიდა პურის ხორცად ქცევა. ნუ გიკვირთ, რადგან მანვე თქვა: „იყოს ნათელი და კვლავ გამოჩნდა ნათელი“, „ხმელეთი — და გამოჩნდა.“ იმავე სიტყვამ არარასაგან შექმნა ხმელეთი. სახისმეტყველებითად კი არ არის მისი ხორცი, არამედ ჭეშმარიტად. მას რა უნდა შეხებოდა? მისი ხორცი და პური ან ორივე ერთია, ან ერთერთი უმჯობესია“.

სომხებს, მართალია, არ სურდათ, მაგრამ ძალაუნებურად უნდა გაეკეთებინათ ეს. როცა მღვდლები დადგნენ და მოიყვანეს ძაღლი, რომელიც კათოლიკოსს ჰყავდა, და მათი მსხვერპლი მიუგდეს, [მან] მაშინვე პირი დაავლო. ქართველებმა მხიარული ხმით მადლობა გადაუხადეს ღმერთს, აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ამბობდნენ: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან შენი საქმენი!“ შემოსილი კათოლიკოსი თავის ცხენზე შესვეს, ხელთ ლანგარზე [დადებული] სეფისკვერი ეკავა, თან მიჰყვებოდნენ წარჩინებულები, ლაშქარში მიმოდიოდნენ და ასოცდამერვე ფსალმუნს გალობდნენ: „მრავალგზის მავიწროებდნენ ჩემი ყრმობიდან მე ჩემი მტრები და ვერ მერეოდნენ. ბეჭებზე მცემდნენ ცოდვილები და გააგრძელეს მათი ურჯულოება. უფალმა დაამსხვრია ცოდვილთა ზურგები. [90] შერცხვებათ და უკუ იქცევა სიონის ყველა მოძულე. უგალობეთ უფალსა, რადგან დიდებით დიდებულია, უფალმა შემუსრა მებრძოლები, უფალია მისი სახელი“.

ასე მხიარული სახით შემოიარეს მთელი ბანაკი. სომხები, როგორც ბაყაყები ტბის გარეშე, თავდახრილები უხმოდ იდგნენ, როგორც ძველად ასტარტეს მღვდლები. ხოლო თუ რაოდენი სიხარული, ღვთის იმედი და მადლობა მოიწია ქართველებზე, ამის მოყოლა შეუძლებელია. როცა შევიდნენ, მეფემ და კათოლიკოსმა დიდი სერობა გამართეს.

შერცხვენილი სომხები მხარგრძელთა კარავში წავიდნენ. ივანე მსახურთუხუცესმა თავის ძმას, ზაქარია ამირსპასალარს, უთხრა: „მე დავა არ მინდოდა, ქართველებს მართალი სარწმუნოება უკავიათ, რა გვიშლის, რომ მართალი სარწმუნოება მივიღოთ და ქართველი კა-

თოლიკოსის მიერ ნათელ- ვიღოთ?“ მან უპასუხა: „ვიცი, ძმაო, რომ ქართველებს მართალი რჯული აქვთ, მაგრამ რომელიც [განკითხვის] დღეს განიკითხება, მას მოსთხოვონ, მე არ შევუერთდები ქართველებს!“ ივანემ ეს მოისმინა და უთხრა: „მიკვირს შენი სიბრძნის გამო, რომ უმჯობესს ვერ არჩევ. მე არ შევუერთდები შენს გადაწყვეტილებას, ქართველების სარწმუნოებაზე მოვინათლები“.

რა საჭიროა სიტყვები? მოვიდა და ჩვენს სარწმუნოებაზე მოინათლა იოანე კათოლიკოსის მიერ. სომხების დიდი რაოდენობაც მოვიდა ნათლისღების მიზნით. შეიქმნა დიდი სიხარული. ზაქარია თავის ურწმუნოებაზე დარჩა.

ამგვარი საჩუქარი და პატივი მიჰმადლა თამარს მის მიერ სათაყვანებელმა ღმერთმა, მაგრამ არც მას დაზარებია ღვთის სათნო საქმეების კეთება. ამიტომ წამოიწყო მისი გამარჯვებების ხელისშემწყობის, ზე-კურთხეული ვარძიის ღვთისმშობლის საყოფლის შენება, ზემო ვარძია ქვემო ვარძიით შეცვალა, [91] კლდეში გამოკვეთა თვით წმინდა ეკლესია, და მონაზონთა სამყოფელო სენაკები, რომლებიც მტრისგან მიუვალი და მიუდგომი გახადა. პირველად ვარძიის [შენება] მის სანატრელ მამას, გიორგის, ჰქონდა დაწყებული, მაგრამ არ დაუსრულებია და ისე დატოვა. ამან დაასრულა და ყოველნაირად შეამკო, მრავალი და დიდი სოფლები შესწირა, უზრუნველყო ტრაპეზის დიდი შემოსავლები, იმდენი, რომ ყველაფრის მოყოლა ძნელია. თუ ვინმეს ნებავს ამის გაგება, ნახოს ვარძია და მის მიერ გაკეთებული საქმეები და ნაშენები გამოქვაბულები. ვინაიდან თამარ მეფემ განიზრახა უბიწო და გასაოცარი, სასწაულთმოქმედი ვარძიის ღვთისმშობლის მსახურება, ამიტომ ადრინდელზე უფრო განდიდდა მისი მეფობა.

ხოლო ისმინეთ მისი სხვა საქმეების, მონასტერთა აშენებისა და შეწირულობის შესახებ. არა მხოლოდ საქართველოში ააშენა მონასტრები, არამედ პალესტინაში, იერუსალიმში პირველად ააშენა მონასტერი. და კიდევ, კვიპროსზე შეამკო ღალია და უყიდა სამფლობელოები, მონასტერი ააშენა და პატიოსანი მონასტრის ყველა წესით შეამკო. და კიდევ, კონსტანტინოპოლში ააშენა მათი მეტოქი. გრძელია მოსაყოლად, რა წყალობაც უხვად მიჰფინა საბერძნეთსა და მთელ ელადაში არსებულ მონასტრებს. საქართველოში პატარა მონასტრიდან დაწყებული საყდარ-ეკლესიები არ დაუტოვებია, რომ წყალობით არ აევსო.

ასე კეთილად იყო მიპყრობილი საუკუნო გონების მიმართ, რისთვისაც წყალობა-მომნიჭებელი [ღმერთი] დღე-კეთილობაში წარუმართავდა საქმეებს. ყველა გარშემო მყოფი მეფე, ქალაქი [92] და ამირა ძღვენითა და ხარკით იმადლიერებდა მის მამაც მეომრებს. ურჩებს არბევდნენ.

აქამდე ყარსი თურქებს ჰქონდათ. ალყის შემოსარტყმელად ლაშქარი გააგზავნა. თურქებმა გაიგეს, ყარსი დატოვეს და გაიქცნენ. მეფემ აიღო, ყარსი დაისაკუთრა და მის მცველად ივანე ახალციხელი დატოვა და მონაპირედ გაამწესა. მასვე უბოძა ათაბაგობა და ამირთაამირობა. ამის გამო თურქებს დიდი წყენა შეემთხვათ. დიდი ზარალი მიაყენა [თურქებს], რადგან მათ გარშემო ქვეყნები წაართვა, მიიღო და დაისაკუთრა. მეფესთან მახარობელი გამოგზავნა და მადლობა დაიმსახურა. ივანესვე უბოძა კარული და მისი ქვეყანა. თამარის სამეფო წარმატებული ხდებოდა და დღითი-დღე იზრდებოდა. ყველა სულთანს მეფის შიში და ძრწოლა ჰქონდა.

უდიდესი საქმეები გამომიჩნდა, ამ საქმეების სიდიდის გამო გონება დამიუძლურდა მოსათხრობად, რადგან შეუფერებელია ჩემთვის ამათი თხრობა, მხოლოდ ადრინდელ მწერლებს თუ [შეეფერება].

ეს ესმა სელჯუკთა დიდ სულთანს, რუქნადინს, რომელიც სხვა ყველა სულთანზე უმაღლესი და უდიდესი იყო, რომელიც ბატონობს დიდ საბერძნეთში, აზიასა და კაპადოკიაში ვიდრე პონტოს ზღვამდე. მან თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს მოუწოდა. შეიკრიბა ორმოცჯერ ათიათასი კაცი, რომელიც არის ოთხასი [93] ათასი. მეფესთან მოციქული გამოაგზავნა და წერილი გამოატანა, რომელშიც ეს ეწერა: „მხოლოდ ღმერთზე უმდაბლესისა და ყველა მხარის მპყრობელის! ყოველი დედაკაცი რეგვენია, შენ ქართველებისთვის გიბრძანებია მუსულმანების დასახოცად ხმლის აღება. ესაა ხმალი, რომელიც ბოძებულია დიდი მოციქული მაჰმადისთვის, მისი ერის თავისათვის. ვაგზავნი მთელ ჩემ მხედრობას, რომ გავწყვიტო მაგ ქვეყნის ყველა მამაკაცი. ცოცხალი ის დარჩება, რომელიც წინ მომეგებება, ჩემს კარავს თაყვანსა სცემს, თქვენ სასოება ჯვარს ჩემ წინ დალეწავს და მაჰმადს აღიარებს“.

მეფის პასუხი რუქნადინს

მინდობილმა ყოვლისმპყრობელი ღმერთის ძალას, მარადის ქალწული მარიამის [მიმართ] სასოებით მლოცველმა და პატიოსანი ჯვრის

მვედრებელმა წავიკითხე ღვთის განმარისხებელი შენი წერილი, რუქ-ნადინო, და შევიცანი შენი სიცრუენი, რომელთა განმსჯელი მხოლოდ ღმერთი იქნება! შენ ვირით დამტარებელთა ოქროს სიმრავლეზე ხარ მინდობილი, ხოლო მე არც [94] სიმდიდრეზე და არც ჩემი ლაშქრის ძალაზე, არამედ ყოვლისმპყრობელი ღმერთისა და წმიდა ჯვრის ძალაზე, რომელიც შენ დაჰგმე. ვაგზავნი მთელ ჩემ მხედრობას შენს დასახვედრად. იყოს ნება ღვთისა, ნუ — შენი! მისი სამართალი, ნუ — შენი!“

როცა მოციქული მოვიდა და მეფე თამართან შეიყვანეს, წერილი გადასცა, წარუდგა და უკადრებელი სიტყვები წარმოთქვა: „თუ თქვენი მეფე რჯულს დატოვებს, სულთანი ცოლად შეირთავს. ხოლო თუ რჯულს არ დატოვებს, სულთნის ხარჭა იქნება!“ ეს თავხედური სიტყვები რომ წარმოთქვა, წამოდგა ზაქარია მხარგრძელი და სახეზე მუშტი დაჰკრა. როგორც მკვდარი დაეცა და ეგდო. როცა ასწიეს, ფეხზე დააყენეს და ცნობაზე მოვიდა, ზაქარიამ უთხრა: „მოციქული რომ არ ყოფილიყავი, თავხედური საქციელისთვის პირველად ენის მოკვეთა იქნებოდა შენი სამართალი და მერე — თავისა. ახლა შენთან ლაპარაკი არ ღირს. ეს წერილი რუქნადინს გადაეცი და უთხარი: „ჩვენ მზად ვართ საბრძოლველად და დასახვედრად, დაე, აღსრულდეს ღვთის სამართალი!“

წერილი მისცა, შემდეგ შემოსეს და საჩუქარიც უბოძეს, მწვავე პასუხით გაგზავნეს. მაშინ მოუწოდეს იმერთა და ამერთა ლაშქარს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ჯავახეთში შეიკრიბნენ. თამარი ვარძიაში წავიდა ვარძიის ღვთისმშობლის [95] წინაშე. ცრემლებით შეავედრა დავით სოსლანი და თავისი ლაშქარი. ვარძიიდან გაატანა თავისი სვიანი და ბედნიერად ნატარები დროშა. ლაშქარი გაემართა. წინამძღოლებად იყვნენ ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ორი ძმა, შალვა და ივანე ახალციხელები, თუმცა შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხვა თორელები და გაემართნენ ბასიანის მხარეს. თამარ მეფე ოძრხეში მოვიდა. მას ახლდნენ შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსების გამომთქმელი და მოღვაწებით განთქმული; სალოსად წოდებული და წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული ევლოგი. თამარ მეფე ამათთან იმყოფებოდა დღე და ღამე ლოცვით, ფსალმუნების გალობით, უძილოდ ღამისთევით. ყოველ დღე-ღამე ლიტანიობდა, არ ისვენებდა. ბრძანა ყველგან საყდრებში, მონასტრებსა და სოფლებში ლიტანიობა და ღვთისადმი ვედრება [აღევლინათ].

ხოლო დავით მეფემ ის გააკეთა, რომ უნდოდა ზევითკენ წასულიყო, სადაც დაბანაკებული იყო [სულთანი] [96] ბასიანის ადგილას, რომელსაც ბოლოსციხე ეწოდებოდა. მივიდნენ სულთნის ბანაკთან. არ დაითვლებოდა მათი ცხენების, ჯორების, აქლემების, კარვებისა და სადგომების რიცხვი. მინდორი ძლივს იტევდა მათ კარვებს და იქ მყოფებს, ქართველებზე ბევრად მეტი იყვნენ. სულთანი მშვიდად და უშიშრად იდგა. დავითი და ქართველები მიუახლოვდნენ, დააწყვეს რაზმი, სადაც წინამძღოლად იყვნენ ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ახალციხელები შალვა და ივანე, და სხვა თორელები. ერთ მხარეს [იყვნენ] აფხაზები და იმერლები, მეორე მხარეს — ამერნი და ჰერ-კახელები. ასე წყნარად მიდიოდნენ. სულთანს დარაჯები არ ეყენა, მაგრამ სულთნის კაცმა იხილა, რომ მოვიდა ურჯულოთა ურიცხვი ლაშქარი. მათი მეფის იმედი წახდა, ისინი შედრკნენ, ჯოგი მოასხეს, შეიარაღდნენ, ცხენებს მოახტნენ, ბარგი და კარვები დატოვეს. კარვებიდან რომ გამოვიდნენ, საბრძოლოდ დაეწყვნენ. ორთავე მხარის პირველი რიგები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ატყდა ფიცხელი და ძლიერი ბრძოლა. ძველად თუ მომხდარა ასეთი მამაცური ომი.

ომი დიდხანს გაგრძელდა, გაწყდნენ მებრძოლები ორივე მხარეს, უფრო მეტად სულთნის ლაშქარი წყდებოდა. ომი ისე გაგრძელდა, რომ ცხენი მოუკლეს ივანე მსახურთუხუცესს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, მამაც ვაჟკაცს, თაყაიადინ თმოგველს, და სხვა მრავალ თავადს. [ქართველებს] კინაღამ გასაქცევად [97] გაუხდათ საქმე. საქართველოს მამაცი ვაჟკაცები ქვეითად დარჩნენ რაზმებში. მებრძოლებმა ქვეითად მყოფი თავ-თავიანთი პატრონები რომ ნახეს, სასიკვდილოდ თავი გადადეს, ცხენებიდან ჩამოხტნენ და თავიანთ პატრონებს გვერდით დაუდგნენ, ქვეითნი —ქვეითებს და ასე შეიქნა ძლიერი ომი. და როცა დავით მხნემ ეს იხილა, იმის შიშით, რომ ცხენოსან ქართველებს ქვეითი ქართველები არ გადაეთელათ, მან ერთ მხრისკენ გაარიდა თავი, ზაქარია მხარგრძელმა — მარჯვენა მხრისკენ და როცა ქართველებს მოშორდნენ, მათ სპარსელების მხარეს მიაშურეს. და როგორც მონადირე გაეკიდება ნადირს, ისეთი სისწრაფით დაესხნენ თავს, ერთ მხარეს დავით სოსლანი და მეორე მხარეს — ზაქარია, მაგრამ ვინც უფრო ახლოს იყო, უწინარეს ის მივიდა. იმ წუთში მივიდა დავითი და მისი ლაქარი და როგორც ცხვარში მგლები, ისე შეცვივდნენ სულთნის ურიცხვ ლაშქარში. პირველივე შეტაკებაზე და

ხმლების დაჯახებაზე წყალობა-აურაცხელმა ღმერთმა მოხედა ჯვარის მოსავებს და ვარძიის ღვთისმშობელმა განადიდა დავითის და თამარის დიდება. ამხელა სიმრავლე უცბად შეირყა, იძლია და დაიფანტა. იმას ჰგავდა, თითქოს თვალუწვდენელი ტყით დაბურული მაღალი ადგილი მიწითურთ მოირღვა და დაზვავდა. სადაც თვალი მისწვდებოდა, ყველგან ტყესავით ხშირი ლტოლვილი ლაშქარი ჩანდა.

ქვეითად მყოფი მამაცი ქართველები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ცხენებზე შესხდნენ და ღამის დადგომამდე დევნიდნენ [მტერს], ხოცავდნენ, ძირს ყრიდნენ და ტყვედ აჰყავდათ. ისინიც მთელი ჯარით ვერ ეტეოდნენ [იმ ადგილას] და ერთმანეთს ქელავდნენ.

[98] ამ ამბების მთხრობელს კვლავ დადუმება მომინდა. გაკვირვებული ვარ, თუ როგორი წყალობით მოხედა თავის სამკვიდრებელს ღმერთმა და ვარძიის ღვთისმშობელმა, როგორ უვნებლად დაიცვა მას შევედრებული ქართველი ხალხი და ასე წარმოჩენილი ერი ისე, რომ ამ სიმრავლეში არც ერთი საჩინო, მეფის მიერ გამორჩეული კაცი, არ მომკვდარა. როგორ ივლტოდა [მტრის] მრავალრიცხოვანი ლაშქარი და როგორ უვნებლად დაიცვა თამარის ლაშქარი! აივსნენ ოქროთი, ვერცხლით და პატიოსანი თვლებით. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემის რაოდენობას, რომელიც დაყარეს, ვინ აღრიცხავდა? კარვის საფენებით, შესამოსლით, ლარის შეკვრებით სავსე იყო მათი ბანაკის ადგილსამყოფელი. ისე თავზარდაცემულები გარბოდნენ, რომ სისწრაფეში არ მიხედეს კარვებისა და ფარდაგების სიმდიდრეს. თითო ცხენით გარბოდნენ, მარქაფას ტოვებდნენ.

ასე ძლევა-შემოსილები, ღვთის მადიდებელნი, შემობრუნდნენ და მათ კარვებში დადგნენ. როგორც რიყის ქვა, ისე იდო შაქრის გორები. იმ ადგილას წყაროები იყო: მოვიდოდა კაცი და მუზარადს საფენს ამოფხრეწდა, შაქრით გატენიდა, წყლით აავსებდა და სვამდა. ამგვარად, სახელოვანი დავითი თავის მზესთან გაემართა.

უკვე ვთქვით, რომ თამარ მეფის ოძრხეში ყოფნის დროს მას თან ახლდნენ [99] იოვანე შავთელი და ევლოგი, ღმერთს ევედრებოდნენ, ღამეს ათენებდნენ ლაშქრის გამარჯვებისთვის [ლოცვაში]. ერთ დღეს შავთელი და ევლოგი თამარ მეფესთან ისხდნენ. უეცრად ევლოგის რაღაც საოცრება დაემართა: ზემოთ დაიწყო ყურება. როცა უყურებდა, უეცრად მწუხარე სახით იგი სამჯერ დაეცა ძირს, მაშინვე ადგა და წამოიძახა: „აჰა, ღვთის წყალობა მოიწია თამარის სახლზე!“ გაიქცა

და ავიდა მთაზე, რომელსაც არაგანი ჰქვია. მაშინ შავთელმა უთხრა: „იცოდე, მეფეო, რომ სალოსმა ჩვენება იხილა, მაგრამ ჩვენება კეთილი მგონია“. ჩაიწერეს დღე, ღამე და საათი.

მოწყალე ღმერთმა წინასწარ დასახა ყველა ნივთის შექმნა ჩვენი უკანასკნელი ხსნისათვის. მოწყალემ იმავე დღეს თავისი აღდგომით დასახა ჩვენი ხსნა. ამნაირად სახელგანთქმულები, მხიარული სახეებით, ვარძიაში მოვიდნენ, თამარიც მივიდა და ჯეროვანი მადლობა შესწირეს [ღმერთს].

ამგვარ დღითი-დღე წარმატებებსა და განდიდებაში იმყოფებოდა ყველა სკიპტრის-მპყრობელზე უბრწყინვალესი თამარი. უფრო და უფრო უმატებდა ღვთისმსახურებას, ეკლესია და მონასტრების შენებასა და შემკობას, ობოლთა და ქვრივთა შეწყალებას და სამართლის მოფენას. ამგვარად იშვებდნენ და ხარობდნენ სამეფოში. დროდადრო აფხაზეთში გადავიდოდნენ და იქაურ საქმეებს განაგებდნენ. ნადირობდნენ მშვენიერ სანადირო ადგილებში — გეგუთსა და აჯამეთში. შემდეგ ქართლში, სომხითში გადმოდიოდნენ, დვინში შეჩერდებოდნენ. ხარკით მოდიოდნენ განჯელები და ზემოთა ქალაქელები. გაზაფხულზე ამოივლიდნენ სომხითიდან, [100] ნახჭევანელებს ხარკი მოჰქონდათ. წავიდოდნენ კოლაში, არტაანის თავში, იქიდანაც მოჰქონდათ ხარკი კარინის-ქალაქიდან, ეზინკიდან და სხვა ქალაქების ადგილებიდან.

ასეთ სიხარულს მწუხარება მოსდევს.

მწუხარება მოიწია, რადგან გარდაიცვალა დავით სოსლანი, ყოველგვარი ღვთიური და კაცური სიკეთით აღსავსე კაცი, შესახედავად მშვენიერი, ხოლო ბრძოლებსა და ომებში მამაცი, გულოვანი, უხვი, მდაბალი და სიკეთეაღმატებული. ორი შვილი დატოვა: ყრმა ლაშაგიორგი და ასული რუსუდანი. იტირეს, იგლოვეს და ყველა თანამემამულეს მწუხარება დაუტოვეს.

იმ ხანებში, საკმაოდ ხანგრძლივად, ყველგან მშვიდობამ დაისადგურა. მეფე გეგუთში იმყოფებოდა, რადგან წმიდა მარხვა იდგა. ორივე მხარგრძელი მეფესთან იყო. როგორც კი არდაველის სულთანმა [ეს] შეიტყო, ქრისტიანების სამტროდ აღიძრა, მოუწოდა თავის ლაშქარს, გამოემართა და ანისი ააოხრა, რადგან იცოდა, რომ მხარგრძელები შინ არ იმყოფებოდნენ. წამოვიდა, არაქსის პირი ამოიარა. უჩუმრად ანში მოვიდა. გზა და გზა არავინ დაურბევია და დიდ შაბათს საღამოს ქალაქ ანისში მოვიდა. და როცა ცისკარი დადგა და ძელსა ჰკრეს და

ქალაქის კარები გააღეს, მყის მიესივნენ ქალაქის კარებს, ცხენოსნებმა შეუტიეს. ქალაქის კარების დაკეტვა ვერ მოასწრეს. ქალაქში შეცვივდნენ, იწყეს ხოცვა-ჟლეტა, დატყვევება. ხალხის უმრავლესობა ეკლესიაში იყო, როგორც შეჰფერის ქრისტიანეთა რჯულს. ზოგი სასახლეში გამაგრდა, ზოგმა გამოქვაბულებს (რომლებსაც „ქარტუნს“ ეძახიან) მიაშურა. [101] და რომელიც გაერიდა, ან ციხეში, ან ქარტუნში შევიდა, რადგან გარშემო სამი მხრიდან კლდოვანი და ქვებიანი ქარაფი იყო.

ამგვარად ხელთ იგდეს ქალაქი, თორმეტი ათასი კაცი ეკლესიებში ცხვარივით დაკლეს, გარდა იმათი, რომლებიც ქუჩებსა და მოედნებზე დახოცეს. ასე საშინლად მოაოხრეს ანისი, და ტყვითა და ალაფით სავსენი შინ გაბრუნდნენ.

ანისის მოოხრების ამბავი ახალ-კვირიაკე დღეს გეგუთში აცნობეს თამარ მეფეს, ზაქარია ამირსპასალარს და ივანე მსახურთუხუცესს. გაიგეს და დიდად შეწუხდნენ. მწუხარებამ მოიცვა და რა ექნათ, არ იცოდნენ. მათი გულები ცეცხლივით იყო ანთებული. მწუხარებითა და გულისწყრომით მოცული მეფე და მისი მეომრები სპარსელებთან საბრძოლველად გაემზადნენ.

მაშინ მხარგრძელებმა მეფეს უთხრეს: „ ბოროტება მოიწია ჩვენზე. ღვთის მცნების გარდასვლის გამო. ჩვენი ცოდვების გამო უბოროტესად დაიხოცა ამდენი სული ქრისტიანე სარკინოზების მიერ. მაგრამ ვევედრებით ღვთის წყალობასა და პატიოსან ჯვარს, რომ არ დაუშვას სარკინოზთა მიერ ჯვრის მოსავთა სრული მოსპობა, არამედ შური ვიძიოთ, გავემზადოთ, რომ სანაცვლო მივუზღოთ, მათი ბოროტება მათვე დაუბრუნდეს. მეფეო, აუწყე შენს მოლაშქრეებს, რომ მოემზადონ არდაველის სულთნის წინააღმდეგ. წავიდეთ ანისში და სადაც სპარსელები ვნახოთ, შევიპყრათ. ბევრი ნუ წავალთ, მხოლოდ მცირე [რაოდენობა], რადგან ბევრი რომ წავიდეთ, გაიგებენ და სიმაგრეებში შევლენ. მცირე ლაშქარი დამახმარე. როცა [მათი] შეგინებული მარხვა მოვა, მზად იყვნენ, როცა ჩვენ გაგაგებინებთ.“ მეფეს მოეწონა მათი ნათქვამი და ბრძანება გასცა, რომ მისი ლაშქარი მზად ყოფილიყო.

[102] მხარგრძელები ანისისკენ წამოვიდნენ და სამზადისს შეუდგნენ. მოახლოვდა მათი ბილწი რჯულის მარხვა. მეფესთან ლაშქრის მთხოვნელი კაცი გამოუშვეს. მან მესხებს, თორელებს, თმოგველებს, ჰერ-კახელებს, სომხითარებს ბრძანება მისცა; ქართლელები არ

წაიყვანეს იმის გამო, რომ არდაველში მყოფებს არ გაეგოთ. შეიკრიბნენ ანისში და არდაველისკენ გაემართნენ. გადაიარეს გელაქუნი, ჩაიარეს ისპიანი, გავიდნენ ხვაფრიდის ხიდზე და არდაველს მიაშურეს. დრო ისე გამოზომეს, რომ აიდი გათენებულიყო, რომელიც არის მათი აღდგომა. იმ ღამეს არდაველს გარს შემოერტყნენ. როცა მათი ბილწი ქადაგების მქადაგებელმა ხმა ამოიღო და გახშირდა მუეძინების ყივილი, მხარგრძელებმა ყოველი მხრიდან ცხენოსნებით შეუტიეს, შეცვივდნენ და უომრად ხელთ იგდეს ქალაქი, თვითონ სულთანი, მისი ცოლები და შვილები და სულთნის ქალაქის მთელი სიმდიდრე. ისე აივსნენ აურაცხელი სიმდიდრით, თვალ-მარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით, ოქროს და ვერცხლის ჭურჭლით, შესამოსლით, ფარდაგებითა და ძალიან მდიდარი ქალაქის ყოველგვარი ქონებით, რომ ამის გადმოცემა ძალიან ძნელია. აივსნენ ცხენებით, ჯორით, აქლემით. საქონელი თვით მათვე სახედრებს ძლივს აჰკიდეს და გამოემართნენ. არდაველის სულთანი მოკლეს, მისი ცოლები და შვილები დაატყვევეს და წამოიყვანეს. თორმეტი ათასი რჩეული კაცი მიზგითებში მოკლეს ისე, როგორც მათ ჩაიდინეს ანისის ეკლესიებში. ხალხის უმრავლესობა დახოცეს [103], სხვები დაატყვევეს. ამოიარეს იგივე გზა და ასე ძლევამოსილები, დიდად ნუგეშცემულები ანისში მოვიდნენ. მოვიდნენ მეფეთა-მეფესთან, მზეთა-მზესთან და დედოფალთ-დედოფალთან. მოიტანეს ძღვენი და საბოძვარი, აავსეს ყოველი მთავარი, თვითონ მეფე და ყველა მასთან მყოფი. იმ ხანებში მეფე კოლაში იდგა. მთელი ქვეყანა გაივსო სიმდიდრით, ოქროთი, ვერცხლით, თვალით, მარგალიტით, რაც მოიტანეს ზაქარიამ და ივანემ, რომლის გამო დიდად მადლიერმა მეფემ მრავალი ციხე, ქალაქი და მიწა უბოძა. ღვთის მადიდებელნი ასე იშვებდნენ. მეფე ნებიერად იმყოფებოდა და გარშემო მყოფებისგან ხარკი და ძღვენი მოსდიოდა.

მაგრამ სხვა უდიდესმა საქმეებმა იჩინა თავი. მხარგრძელები, ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი, და ვარამ გაგელი მეფესთან მოვიდნენ და მოახსენეს: „ძლიერო ხელმწიფევ, გვირგვინოსანთა შორის ყველაზე გაბრწყინვებულო, ნახე და დაათვალიერე შენი სამეფო, გაიგე შენი ლაშქრის სიქველე და სიმამაცე. გაიგე, რომ შენს ლაშქარში მრავალი ახოვანი, მამაცი და რჩეული ვაჟკაცია, არ არსებობს მათი მოწინააღმდეგე. თქვენი მეომრების საქმეები უბრალოდ დავიწყებას რომ არ მიეცეს, ბრძანოს თქვენმა მეფობამ, რომ ავამხე-

დროთ ისინი ერაყის, რომ-გურის (რომელიც ხორასანია) წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ყველა ლაშქარმა შეიტყოს ჩვენი ძალა და სიმხნე. უბრძანე საქართველოს ლაშქარს— მზად იყვნენ ხორასანზე გასალაშქრებლად. თუმცა არავინ ქართველთაგანი ჯერ არ ყოფილა ხორასანში და ერაყში, ბრძანე, რომ შეიარაღდნენ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და მზად იყვნენ“.

[104] როცა მეფემ მხარგრძელების ნათქვამი მოისმინა, მოუწოდა სამეფოს ყველა წარჩინებულს, ამერსა და იმერს და ამცნო მათი ნათქვამი. როცა მხარგრძელების მიერ ლაშქრად გაწვევა გაიგეს, ყველას მოეწონა მათი ნათქვამი და გადაწყვიტეს ლაშქრობა. დაიწყეს სამზადისი.

შემოდგომა მოიწია, ყველანი თბილისში მეფესთან მოვიდნენ. [მან] დაათვალიერა თავისი ლაშქარი, ნახა [ისინი] კარგი და წესიერი აბჯრით აღკაზმულები, მოეწონა მათი აბჯარი და საუკეთესო ცხენები, მეომრების რაოდენობა და სიმხნე, სპარსელებზე შურისძიებით განწყობა. გამოიტანა სვიანად ნატარები, გორგასლიანი და დავითიანი დროშა და ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა. დალოცა დროშა და ლაშქარი და სპარსეთში გააგზავნა. დროშა ზაქარია ამირსპასალარს მისცა და სპარსეთისკენ გაეშურნენ.

ჩაიარეს ნახჭევანის პირი და გავიდნენ ჯუღასა და არაქსში, გაიარეს დარდუზის ვიწრო ყელი და მარანდში ავიდნენ. გაიგეს თუ არა მარანდელებმა, კლდეებში გაიხიზნენ. ესენი მარანდში რომ მივიდნენ, კაცი ვერ იპოვეს, ეგონათ მარანდის მთებში იმყოფებოდა ადარბადაგანის ლაშქარი. ამიტომ შეარჩიეს ხუთასი რჩეული მხედარი დიდებული და აზნაური. მხედართმთავრად თაყაიადინ თმოგველი დაუყენეს. გაეშურნენ, მარანდის აღმართები აიარეს, ავიდნენ მარანდის თავში ვაკეზე და დადგნენ იმ მთაზე, რადგან ზაქარიას ასე უცნობებია: „არავინ არ ჩაერთოს ბრძოლაში, სანამ იგი და მისი ლაშქარი სრულად არ მივიდოდა იმ მთაზე. თუ დიდ ლაშქარს ნახავენ, აცნობონ ზაქარიას და რასაც ის უბრძანებს, ის შეასრულონ“.

დადგა ხუთასი წარჩინებული კაცი. ისინი მთიდან დაინახეს მარანდელებმა, რომელნიც შეხიზნული იყვნენ მაღალ კლდეებსა და ნაპრალებში, რომლებიც [105] მარანდის მთის ზემო მხარეზეა, სხვა მთებზე უმაღლესია და სავსეა ქვითა და კლდით. მარანდელებმა მცირე ლაშქარი ნახეს, შეიარაღდნენ და ყვირილითა და გნიასით შემოესივნენ, რადგან სიმცირის გამო არად ჩააგდეს. ამათ შეუტიეს ისე ძლიერად და

გააქციეს ისე, რომ მხოლოდ მცირედი გადაურჩათ. უმრავლესი მოკ-ლეს და სხვებს დიდხანს დევნიდნენ.

ლაშქარი ავიდა. ნახეს ნაომარი მინდორი, დახოცილი ადამიანებითა და ცხენებით სავსე და არც ერთი არ იყო ქართველი. ღმერთმა ისეთი ძლევა მისცა [ქართველებს], რომ ხუთასი შუბი ხუთას კაცსა და ცხენ-ზე იყო [დარჭობილი]. ნახეს და გაუკვირდათ. უკვირდათ, რომ ერთი ქართველი ვერ ნახეს. გაოგნებული და დადარდიანებული ზაქარია ფიქრობდა და არ იცოდა, რა მოემოქმედა. მცირე ხანი დარჩნენ. გა-მოჩნდნენ დევნისაგან უკან მობრუნებული მოლაშქრეები. ზაქარიამ ნახა და სიხარულმა შეიპყრო. ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს, რომ არც ერთი ქართველი არ მომკვდარა და ისეთი გამარჯვება მოიპოვეს, რომ ხუთას კაცს ხუთასი შუბი ხუთასი ცხენისა და კაცისათვის უძგე-რებია, ხუთასზე დასობილი [შუბები] ნახეს.

მიუხედავად ასეთი გამარჯვბისა, ძლიერ უსაყვედურეს თაყაიდინს, განსაკუთრებით ზაქარია ეუბნებოდა მკაცრ სიტყვებს, რომ ისე ჩაება ბრძოლაში, სხვებს არ გააგებინა.

გამხიარულებულები და გამარჯვებისთვის ღვთის მადიდებელნი წა-მოვიდნენ და გაემართნენ ქალაქ თავრიზისკენ. გადაიარეს დევსოფნად წოდებული მთა. როცა თავრიზის მცხოვრებლებმა ქართული ლაშქრის მისვლა გაიგეს, შეშინდნენ და თავრიზის ყველა მკვიდრი ძრწოლამ შეი-პყრო. თავრიზის ხოჯებმა, ყველა წარჩინებულმა და მათმა მომხრეებმა გადაწყვიტეს, რომ ხარკის მიცემით, ძღვენით, ხვეწნით [106] და ზენაა-რი ღმერთის ვედრებით მოეგოთ ქართველი თავადებისა და მოლაშქრე-ების გული. მოციქული გამოაგზავნეს და მშვიდობა ითხოვეს, ითხოვეს, არ აეოხრებინათ მათი ქალაქი. აღუთქვეს ძღვენი: ოქრო და ვერცხლი, უამრავი თვალი პატიოსანი და ძვირფასი მარგალიტი. გაუკვირდათ ქართველ წარჩინებულებს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებსაც. აღუ-თქვეს მშვიდობა, და რომ მათ ქვეყანაზე უვნებლად გაივლიდნენ. ფი-ცით სიტყვა მისცეს. მოვიდნენ მოსამართლეები, ხოჯები, დერვიშები და თავრიზის ყველა თავადი. მოიტანეს ოქრო და ვერცხლი, ლარი, ცხე-ნები, ჯორი და აქლემი, თვალ-მარგალიტი, შესამოსელი, ლაშქრისთვის საკმარისი სურსათ –სანოვაგე. გამდიდრდა ყველა, დიდი და მცირე.

ქალაქში მცველები დააყენეს და წავიდნენ. გაიარეს ადარბადაგანი, მიაშურეს მიანას. მიანის მელიქმა შეიტყო ქართველების მისვლა და თავრიზელების ნამოქმედარი. მანაც მშვიდობა ითხოვა და ურიცხვი

საქონლის მიცემა აღუთქვა. ზაქარიამ მოუსმინა და მოიხმო მშვიდობის დასამყარებლად. იმანაც მოიტანა ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ქვები, ყოველგვარი სიმდიდრით გაავსო. მიანში მცველები დატოვეს და მიანა დატოვეს და მშვიდობით წამოვიდნენ.

მიაღწიეს პატარა, ალიზის გალავნით გამაგრებულ ქალაქ ზანგანს. ქალაქი ძლიერ გაამაგრეს და ფიცხელი ბრძოლა დაიწყეს. რადგან ომი გაგრძელდა, ქალაქის ზღუდე ადგილ და ადგილ გაინაწილეს, რომ საძირკველი შეეთხარათ. დაიწყეს გალავნის თხრა. ყველაზე ადრე მესხებმა მარჯვენა მხარეზე გათხარეს გალავანი (ალიზისა იყო), პირველები შევიდნენ ქალაქში, დაიწყეს ხოცვა და ჟლეტა, ვინც კი მეომარი იყო. მესხები [107] საქონლით გაივსნენ. ყოველი მხრივ გათხარეს გალავანი და შემოვიდნენ, დაატყვევეს და აივსნენ საქონლით. დადგნენ და მცირე ხანს შეისვენეს. შემდეგ ამხედრდნენ და ხორასანში წავიდნენ და საღამოს მივიდნენ პატარა სოფელ-ქალაქ მუსულმანში, რომელიც მოაოხრეს. იქ ცოტა დაისვენეს.

შემდეგ გაემართნენ ქალაქ ხორასნისაკენ და ყაზმინს რომ მიაღწიეს, ყაზმინისა და აჰვარის მახლობლად, მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მოარბიეს და აივსნენ საქონლით. მათი საქონელი მათსავე სახედრებს აჰკიდეს. ადამიანებს არა დაუშავეს, მამაკაცები და პატარა ბიჭები ტყვედ წამოიყვანეს. გაემართნენ, ლტოლვილებს დაეწივნენ, აქაც აივსნენ ოქროთი და ვერცხლით, მათი ცოლების სამკაულებით და რომ-გურის სიღრმეში შევიდნენ, რომელიც არის ხორასანი.

რა საჭიროა გრძელი სიტყვა? ქალაქ გურგანამდე მიაღწიეს და ის ქვეყანა მოარბიეს. ალაფით ისე იყვნენ დატვირთულები, რომ ვერ გადავიდნენ.

გამარჯვებული და ძლევამოსილი ქართველები შემობრუნდნენ. ქართველთა მოდგმისა არავინ იყო იქ სალაშქროდ მისული, არა მეფე, არა თავადი. ვერც ხორასნის, ვერც ერაყის სულთანი, ვერც რომელიმე ტომი, ვერავინ ვერ აღუდგა წინ სპარსეთში შესულებს. ურიცხვი და უზომო სიმდიდრით მობრუნდნენ და ერაყის მხარეში მივიდნენ. ვინაიდან გურგანის ქვეყნის ამბავი, რაც იქ ქართველებმა მოიმოქმედეს, [108], ასევე ერაყის სულთნის სიკვდილი არავის არ ჰქონდა გაგებული, ვიღაც კაცი მისულა მიანას სულთანთან და ასეთი სიცრუე ეთქვა: თუ როგორ მოვიდა თვითონ დიდი სულთანი და გილანელები, ყოველი მხრივ გზა შეუკრეს ქართველებს, დახოცეს და ამოწყვიტეს, თითქოს

იმ უამრავი ლაშქრიდან ერთი კაციც არ გადარჩენილა, მთხრობელიც კი არ მისულა საქართველოში.

ეს რა გაიგეს მიანის მელიქმა და მიანელებმა, გაიხარეს, ქართველების მიერ დატოვებული მიანის მცველები დახოცეს და ძელზე ჩამოჰკიდეს. იმ მცველებიდან ერთი კაცი დაიმალა ქალაქში და როცა გამარჯვებული ქართველები მიანში მოვიდნენ, მიანის სულთანი წინ მიეგება ძღვენით, უნდოდა თავიანთ მიერ ჩადენილი საქმის დაფარვა. ზაქარიამ მიმოიხედა, მოიკითხა მის მიერ დატოვებული მცველები. მათ უთხრეს: „თავრიზში წავიდნენო იქ დატოვებულ მცველებთან". მოვიდა დამალული მცველთაგანი, აუწყა მიანელების მიერ ჩადენილი [საქმე], მცველების დახოცვა, ტყავის გახდა და ძელზე დაკიდება. მელიქი პირდაპირ ამხილა. ისინი უსიტყვოდ იდგნენ.

ეს რომ ზაქარიამ და ივანემ გაიგეს, საშინლად გამწარდნენ და გაბოროტდნენ. შეიპყრეს მელიქი და მისიანები და ყველანი სიკვდილით დასაჯეს. ის თვითონ და მისი შვილები მოკლეს, ტყავები გააძვრეს და საყივარაზე, რომელსაც მინარეთს უწოდებენ, ჩამოჰკიდეს, ქალაქი მოაოხრეს, დაწვეს, დაატყვევეს. ხოლო რაც იქიდან სიმდიდრე წამოიღეს, იმის აღრიცხვაც კი შეუძლებელია.

[109] გაუყვნენ გზას, რომელიც ადარბადაგანზე გადიოდა, მოვიდნენ და მოეგებნენ პირველად უჟენიდან, მერე ურიცხვი ძღვენით თავრიზელები [შემოხვდნენ]. აურაცხელი სიმდიდრე მოართვეს, რომლითაც გაივსო მთელი სამეფო. თვითონ მეფეთა-მზისა და მზეთა-მზისათვის უძვირფასესი, ძნელად საპოვნელი თვლები და უცხო ჭურჭელი გამოატანეს. მშვიდობით დატოვეს ადარბადაგანში მყოფნი და ადარბადაგანის ქალაქები, გამოიარეს არაქსი, შემოიარეს ნახჭევანის პირი და თბილისში მოვიდნენ მეფესთან. გამხიარულდა მეფეთა მეფე, ღვთის მმადლობელი, მხიარული სახით, ზარ-ზეიმით შეეგება. ბუკ-საყვირების ხმა იდგა. ასეთი გამარჯვება ძველად არ მოუპოვებია არცერთ მეფეს და არცერთ მთავარს.

შევიდნენ ისანში. მეფე სამეფო ტახტზე დაბრძანდა. ამირსპასალარი შეუძღვა. თავადები შევიდნენ და წესისამებრ დასხდნენ. შემოიტანეს ურიცხვი ძღვენი და მეფის წინაშე დადვეს. მეფე გაოცდა: ქართველთაგან არავის არ ენახა ესოდენი სიმდიდრე და აურაცხელი თვალ-მარგალიტი. თამარ მეფეც ღვთის მიმართ დიდ მადლიერებას ავლენდა: ასრულებდა ლიტანიობას და ღამისთევას, მრავლად წყალო-

ბდა ობლებსა და გლახაკებს, ლაშქარს დიდი განძი გაუნაწილა, ისე-დაც გამდიდრებულები კიდევ უფრო აავსო. ასეთი გამარჯვების გამო ღმერთს დიდ მადლობას სწირავდნენ.

დიდი მწუხარება მოიწია. გარდაიცვალა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის ამირსპასალარისა, დიდად გამოჩენილი და ყოველი სათნოებით სავსე კაცი, გამარჯვებული, მხნე და მამაცურად მებრძოლი, ლორის თემის მთავარი. [110] იგლოვა მეფემ და საქართველოს ყოველმა მცხოვრებმა, რადგან მასავით მხნე მთავარი არავინ იყო იმ ხანებში. წარმოშობაც ხელს უწყობდა: ნათესავი იყო არტაქსერქსე მხარგრძელისა. სარწმუნოებით სომეხი იყო, მაგრამ ყოველი საღმრთო და კაცური სათნოება უხვად ჰქონდა [მინიჭებული]. და ამრიგად, დაკრძალეს მხნე მამა, ერთი შვილის დამტოვებელი, რომელსაც შ'ა (შანშა) ერქვა.

მაშინ მეფემ მოუწოდა ზაქარიას ძმას, ივანე მსახურთუხუცესს. უნდოდა მისი ძმის პატივში აყვანა, ამირსპასალარის პატივის ბოძება. ამით გაკვირვებულმა ივანემ მეფეს უთხრა: „ეს პატივი, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინე, დიდად დიდია და მე მისი ღირსი არ ვარ. შემეწიე იმით, რომ ჩემი ძმის სახელით მე არ მომიხსენიონ, რომ არ შემრცხვეს მის ნაცვლად დგომა. ათაბაგის პატივი მიბოძე. საქართველოში მეფეებთან წესად და თანამდებობად არ არის ათაბაგობა. ამით განადიდე ჩემზე შენი წყალობა, რომ ახალი და უაღრესი პატივის ღირსი გამხადო და ათაბაგობა მიბოძო. ათაბაგი სულთნების წესია, ათაბაგი მეფეებისა და სულთნების მამად და გამზრდელად იწოდება. ჩემს წინაპრებთან შედარებით, ამით განადიდე შენი წყალობა". მეფემ აღასრულა და უბოძა ათაბაგობა, რომელიც არ არსებობდა საქართველოს მეფეების კარზე, არც არასდროს უბოძებიათ ვინმესთვის. მსახურთუხუცესობა უბოძა ვარამს, ზაქარია გაგელის ძეს, საპატიო და ლაშქრობებში გამარჯვებულ კაცს. ასე იმყოფებოდნენ ისინი მეფის წინაშე.

[111] თამარ მეფე ზამთრობით დვინში იმყოფებოდა, ზაფხულობით — კოლაში და ცელის ტბაზე, ზოგჯერ აფხაზეთში — გეგუთსა და ცხუმში გადადიოდა.

იმ ხანებში მთიულებმა — ფხოველებმა და დიდოელებმა განგომა დაიწყეს. დიდოელები დამხრჩვალსა და მოუხარშავ [ხორცს] ჭამენ და რამდენიმე ძმას ერთი ქალი მოჰყავს ცოლად. ზოგნი რაღაც უჩინარ ეშმაკს სცემენ თაყვანს, ზოგნი — უნიშნო შავ ძაღლს. ხოლო ფხოველები ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანებად აცხადებენ თავს.

მეფემ მოუწოდა ათაბაგს და ყველა მთიელს: დვალებს, ცხრაზმელებს, მოხევეებს, ხადელებს, ცხავატელებს, ჭართელელებს, ერწოთიანეთელებს, ისინი ივანე ათაბაგს გადასცა და გააგზავნა [განდგომილთა] წინააღმდეგ. ივანე გონივრულად მოიქცა: ავიდა ხადის მთაზე, მთის წვერი გადაიარა, მიადგა ფხოველებისა და დიდოელების მთას, რაც არავის არ უქნია არც ადრე და არც შემდგომ. მის ერთ მხარეს აღმოჩნდა დურძუკეთი, მეორე მხარეს — დიდოეთი და ფხოვი.

ათაბაგის მისვლა რომ შეიტყვეს, დურძუკელების მეფენი ძღვნით მოვიდნენ, ლაშქარი გამოიყვანეს და გვერდით დაუყენეს. ზემოდან დაიწყეს ბრძოლა, რბევა, კლვა, დატყვევება და დაწვა. უამრავი დიდოელი და ფხოველი გაწყვიტეს. სამი თვე: ივნისი, ივლისი და აგვისტო იქ გაატარეს. ათაბაგის მიერ შევიწროებულებმა მძევლები მისცეს და სამსახურის ნიშნად ხარკი და სიმტკიცის პირობა აღუთქვეს. მძევლები წამოიყვანეს, ზავი დადეს. ამგვარად გამარჯვებით მოვიდა ივანე მეფესთან [112] და მოახსენა: ძლიერო მეფევ, აღსრულდა შენი ბრძანება. მოვაოხრე შენი ურჩი დიდოეთი და ფხოვი". მეფემ დიდი მადლობა უძღვნა და უფრო მეტ პატივში აიყვანა.

ყველგან იყო მშვიდობა, წარმატება, ღვთივდაცვული თამარის სამეფოს განდიდება. მისი მოლაშქრეები დასვენებაში, ნადირობასა და ბურთაობაში იყვნენ, ხოლო თავადები და წარჩინებულები მეფეს ახლდნენ, ისვენებდნენ და მეფის მხრივ საბოძვარებით ივსებოდნენ.

როგორც დიდი კონსტანტინეს ძმისწულის, ივბიმიანოსის, შესახებ არის დაწერილი, — რაც ანგელოზმა ივბიმიანოსის სიკვდილის გამო უთხრა ერთ მონაზონს, რომელიც ასე იგლოვდა მას: „რატომ მოაკლო ღმერთმა ქრისტიანებს ამგვარი მეფე, რომელსაც ყველას დასანახავად ანგელოზმა გვირგვინი დაადგა?" ანგელოზმა უთხრა: „რას ნიშნავს, ბერო, შენ მიერ ღვთის მსჯავრის გამოძიება? აწ გიბრძანებს, დაეხსენ ბოროტებას. არ იცი, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ყველა ქვეყანა რომ მართლმადიდებელი ყოფილიყო, ისიც კი არ იქნებოდა მისი მეფობის ღირსი, არა თუ მხოლოდ საბერძნეთი?" — ახლაც ასევე იქმნა ამ დიდი მეფის საქმე: არა თუ მხოლოდ საქართველო, მთელი სამყარო არ იყო ღირსი მისი მეფობისა.

ამიტომ მოხედა რისხვით მოწყალე ღმერთმა თავის სამკვიდრებელს: თამარ მეფე გარდაიცვალა, როცა იგი ტაბახმელაში იმყოფებოდა. მოიწია დიდი და [113] საქართველოს ყველა მკვიდრისთვის ენით

გამოუთქმელი მწუხარება. ათაბაგი და ყველანი, საშინლად გამწარებულები, ქვითინებდნენ, თავზე ნაცარსა და მტვერს იყრიდნენ. იყო ტირილი, ატადესის კალოს მსგავსი, და გოდება, იერემიას გოდების მსგავსი იერუსალიმის მოოხრებისას. და ასეც უნდა ყოფილიყო! ყველგან ატეხილი გოდებისა და ტირილისაგან დაოსებულები იყვნენ სამეფოს მკვიდრნი. ყვებოდნენ მისი წარმოუთქმელი სიკეთის, გამარჯვებებისა და მოწყალების, სამართლიანობისა და სიუხვის, სიმდაბლის შესახებ. [იგი] მათ სამკვიდრებელში, გელათში წაასვენეს და დაკრძალეს პატიოსან სამარხში. სამეფო თავის ძეს, ლაშას, დაუტოვა.

არსენი ამბობს იყალთოელი:

მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი,
ჭაბუკი, ქალწული, ებგური საებგურო;
აღკრი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,
მეგჳპტელი ცხენი, ლაზარე, ქუდი.

იოანე ამბობს ჭიმჭიმელი:
თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგნა დაყიყა ჯამსისი,
დავით, — ვთქუა, — ზესთა განდიდნეს, მით ჴრმალი ჴორცსა ჭამს მისი,
აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ჴამს ისი.

დიდება ღმერთსა!

ტექსტი ძველი ქართულიდან
ახალ ქართულზე გადმოიტანა
მაია რაფავამ

ბეჩი ეგნატაშვილი

ახალი ქართლის ცხოვრება

პირველი ტექსტი[2]



ეფე დემეტრე თავდადებულის ძის, ღვთივგვირგვინოსანი მეფე გიორგის დრომდე[3] ქართველი ერის ისტორია[4] დაწერილი იყო. ხოლო მეფე გიორგის ძის, ბაგრატ მეფის[5] [დროინდელი ამბები] აღარ იყო აღწერილი, ვიდრე ბაგრატის ძე მეფე გიორგიმდე[6]. ხოლო ამ ბაგრატისა და მისი ძის კონსტანტინეს [მეფობის ისტორია] დაწერილი იყო[7], ძველ წიგნებში ვნახეთ და ქვემოთ მის მიხედვით ვწერთ. ის ამბები კი, რაც მანამდე მოხდა[8], გუჯრებიდან[9], სპარსელებისა და სომხების ისტორიებიდან[10] გადმოვიღეთ და აღვწერეთ. მეფე ალექსანდრეს, მისი ძის, მეფე კონსტანტინესა[11] და მომდევნო [დროის ისტორია] ძველი ხალხისა მეფე როსტომამდე[12] დაწერილი გვაქვს სპარსელების ისტორიის, ქრონიკებისა[13] და გუჯრების მიხედვით. ხოლო მეფე როსტომის აქეთ [რაც მოხდა, იმ] ხალხისგან გვაქვს დაწერილი, [ვინც] საკუთარი თვალით ნახა [მომხდარი] და მის ომებში იყვნენ. რაც კი საეჭვო იყო, არ გამოვიყენეთ, ხოლო ნამდვილი ისტორიის დაწერა მეფე ბაგრატის დროიდან დავიწყეთ.

მეფე ბაგრატ ბაგრატიონის ისტორია [14]

მაშინ, როცა ზეობდა ღვთივგვირგვინოსანი მეფეთ მეფე ბაგრატი, მთელი საქართველო მისი საბრძანებელი იყო. იმ დროს საკათოლიკოსო[15] [საყდარზე] იჯდა ელიოზი[16] – კაცი ღირსეული. მაშინ გამოჩნდა თურქეთში[17] ერთი კაცი, სახელად თემური, [მას] ლენგიც შეარქვეს. კოჭლი იყო. სპარსულად[18] „ლანგი“ კოჭლს ნიშნავს. ამიტომ ეწოდა თემურ-ლენგი[19]. თემურ-ლენგი ჩინყიზის გვარისა[20] იყო. [ხოლო] ჩინყიზი ეწოდა შემდეგი მიზეზის გამო: თურქეთში ცხოვრობდა ერთი ქალი, მრავალი ხალხისა და ულუსის[21] უფროსი. მას ამგვარი საქმე შეემთხვა: დაორსულდა ქალი, ქმარი კი არ ჰყავდა. ეძნელებოდა ეს ამბავი მის ხალხსა და ულუსს. შეიკრიბნენ იმ ქალის სასახლეში, მიუგზავნეს შუაკაცი და ასე შეუთვალეს: „ჩვენი პატრონი და მთავარი ხარ, რატომ ჩაიდინე ეს საძრახისი[22] საქციელი“. ის კი უარობდა და ასე პასუხობდა: „თუ დაიჯერებთ ჩემს სიტყვებს, იცოდეთ, რომ ჩემთან მამაკაცი არ ყოფილა, ხორციელ კაცთაგან არა ვარ ფეხმძიმედ. ხოლო თუკი არ გჯერათ, დააყენეთ ჩემთან თქვენი სანდო მეთვალყურენი და მე ცხადად ვაჩვენო [მათ], ვინც მოდის ჩემთან“. დააყენა მცველები ხალხმა და მისმა ულუსმა. და ნახეს ნათლის მსგავსი, ბელიარის[23] საცდური[24], რომელიც ღამე მივიდა ქალთან და მსგავსი მსგავსთან დაწვა. ეს ამბავი რომ გაიგეს, დაიჯერა მისმა ულუსმა და ხალხმა. ყოველ ღამე მოდიოდნენ იმ ქალთან, [ასე] ხდებოდა და ამბობდნენ: ეს ნამდვილად ასეაო. როცა ქალმა მოილოგინა, ვაჟი შეეძინა. გაიზარდა ის ბიჭი, უწოდეს ნათლის ძე. გაამეფეს და თავის პატრონად გაიხადეს. მას შემდეგ უწოდეს [მის მოდგმას] ჩინყიზი და დღემდე მიიჩნევენ დიდებულ გვარად.

იმ დროიდან მოკიდებული მეფობს მისი მოდგმა. თემურ-ლენგიც მათი მონათესავე იყო, რომელიღაც ულუსის პატრონი[25]. დრო რომ იხელთა თავისი წადილის ასასრულებლად, მოკლა თურქების მეფე, ამოწყვიტა მისი ყველა ვაჟი, თვითონ დაეუფლა მთელ თურქეთს და ყოველივეს დაეპატრონა. ამის შემდეგ გაძლიერდა თემურ-ლენგი, თავისი საქმისთვის ხელსაყრელი დრო ნახა და დაიპყრო რომელიღაც ქვეყანა[26]. კარგად მიდიოდა მისი საქმეები, როგორც არის ამ წუთისოფლის ჩვეულება. სარწმუნოებით იყო სუნიტი[27]. გამოემართა და მოვიდა სომხეთში. მოაოხრა სომხეთი, ტყვეობა და დიდი უბედურება დაატეხა

თავს, რადგან ძალით დაეუფლა და თავის საბრძანებლად გაიხადა. იქიდან წავიდა და მიადგა კარს[28]. დაიპყრო და ყველა ამოხოცა. არავის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი მხედრობის სიმრავლის გამო. იქვე დაიბანაკა და გამოიზამთრა. მკაცრი ზამთარი იყო. იმხანად შეუერთდა [მას] ათაბაგიც[29]. დიდი პატივი სცა ათაბაგს.

ზამთრის შემდეგ წამოვიდა ქართლზე, რადგან ასეთი იყო მისი სურვილი. ქრისტეს აქეთ 1393[30] [წელს] გადმოიარა აბოცი[31], ააოხრა და დაარბია ყოველივე. ჩამოიარა თრიალეთი, რომელსაც ახლა საბარათიანოს უწოდებენ იქაურები[32] და ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა. იმათაც მუსრი გაავლო, იმ ადგილის მკვიდრთ და დაანგრია იქაური ციხესიმაგრენი. როგორც კი გაიგო [ამის შესახებ] მეფე ბაგრატმა, თბილისის ციხეში გამაგრდა. ეს ამბავი რომ შეიტყო თემურ-ლენგმა, უფრო მეტად გამძვინვარდა. ვერ იგუა ბაგრატ მეფისგან წინააღმდეგობის გაწევა. წამოვიდა და მოადგა თბილისის ციხეს. უბრძანა სარდლებს, მხედართმთავრებსა[33] და მთელ მის ჯარს, რომ ძლიერ ებრძოლათ. მრისხანედ შეუტიეს თბილისის ციხეს. გამოვიდა [სიმაგრიდან] მეფე ბაგრატი და მთელი ქართველობა[34], ეკვეთნენ ერთმანეთს, ფიცხლად იბრძოდნენ ქართველები. იქიდან და აქედან გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა, ორივე მხრიდან ძალზე ბევრი ხალხი დაიხოცა. უფრო ბევრი თემურის მხედრობა გაწყდა, მაგრამ [მაინც] ვერ აიღეს თბილისის ციხე.

შემდეგ თემურ-ლენგმა ამგვარი ხერხი იხმარა: გააკეთეს რკინის ჩელტები[35], აიფარეს მისმა მეომრებმა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით შეუტიეს ციხეს. ძალით გატეხეს და აიღეს ციხე[36]. [თემურმა] შეიპყრო მეფე ბაგრატი და ყველა, ვინც ციხესიმაგრეში იმყოფებოდა. თვითონ დაეუფლა ციხეს და დაატყვევა ბაგრატ მეფე[37]. მაჰმადის რჯულის მიღება აიძულა თემურ-ლენგმა, მაგრამ მეფე არ დაჰყვა და პატიმრად ჰყავდა.

ყარაიაში[38] წავიდა თემურ-ლენგი სანადიროდ. ინადირეს, ინადიმეს და ბევრი [ნადირი] დახოცეს. შემდეგ იქიდან ყარაბაღში წავიდნენ და დაპატიმრებული ბაგრატ მეფეც თან წაიყვანეს. ბარდაში[39] რომ ჩავიდა, რამდენიმე ხნით იქ გაჩერდა. მაშინ თემურ-ლენგმა ერთი თავისი რჩეული ყმა დაადგინა სარდლად, მისცა მას მრავალრიცხოვანი ლაშქარი და გამოგზავნა შიდა ქართლში[40], რადგან თვითონ თემურ-ლენგი არ შემოსულა შიდა-ქართლს. უბრძანა, ციხე-ქალაქების შემუსვრა და ყოველი იქ მცხოვრების, მამაკაცისა თუ დედაკაცის, მახვილით

ამოწყვეტა. მაშინ იყო ქორონიკონი ქრისტეს აქეთ 1393[41] [წელი]. მოვიდნენ მისი ლაშქრები, გააჩანაგეს და დაარბიეს მთელი საქართველო[42]. შემუსრეს და დაანგრიეს მცხეთის წმიდა კათოლიკე ეკლესია[43]. იქიდან ქვათახევში გადავიდნენ, შეიპყრეს იქ მყოფი ხალხი – მამები და დედები, მღვდლები, დიაკვნები და მონაზვნები და შეამწყვდიეს ქვათახევის ღვთისმშობლის წმიდა ტაძარში. შიგნიდან წაუკიდეს ეკლესიას ცეცხლი და დაწვეს [ყველა], ვინც კი იქ იმყოფებოდა. დღევანდელ დღემდე მოჩანს წმიდა ეკლესიაში იატაკზე მათი დამწვარი სახეები. აიყარნენ იქიდან და ზემოთ წავიდნენ. სადაც ნახეს ხალხი თუ შენობები, ყველას მუსრი გაავლეს და დაარბიეს. მიადგნენ რუისს[44], ისიც დაიკავეს და იავარქმნეს. საძირკვლიანად დაანგრიეს წმიდა ღვთაების ეკლესია. მოაოხრეს მთელი [ის] მხარე. წამოვიდნენ იქიდან, ჩამოიარეს კახეთი და ისიც ააოხრეს, გადაწვეს და წავიდნენ.

გარკვეული დროის მანძილზე იქ დარჩა[45] [თემურ-ლენგი]. წავიდა იქიდან და შაქში[46] ჩავიდა. მთელი იქაური მოსახლეობა მიემხრო – დიდებულები და მდაბიონი, კავკასიელები[47], ლეკები, შირვანელები და გილან-მაზანდარანელები[48]. თან ჰყავდა დატყვევებული მეფე ბაგრატი. ისევ ცდილობდა თემურ-ლენგი, ლიქნითა და მრავალი პატივის შეპირებით გადაეყვანა ბაგრატ მეფე მაჰმადის რჯულზე. მაშინ ბაგრატ მეფემ წინასწარ გადაწყვიტა და ასეთი ხერხი იხმარა: დაჰყვა მათ ნება-სურვილს, ოღონდ არა წრფელი გულით, არამედ იმ საქმის გამო, რასაც შემდგომი სიტყვა გაუწყებს. დამორჩილდა თემურ-ლენგს და გადავიდა მაჰმადის რჯულზე. მაშინ დიდი სიხარულით გაიხარა თემურ-ლენგმა, გადაეხვია ბაგრატ მეფეს და დიდი პატივი სცა. მისცა საჩუქრები და სამეფო შესამოსელი, საწოლი და საბანი მისი დიდებულების შესაფერისი. მეტად დაიახლოვა და ბევრ სიკეთეს უკეთებდა. იმხანად მრავალმა ქართველმა მიატოვა თავისი სარწმუნოება და გადავიდა მაჰმადის რჯულზე. მაშინ ძალზედ დაღონდა მეფე ბაგრატი და გულში ამბობდა: „არ მივცემ ჩემს თვალებს ძილსა და არ დავასვენებ ჩემ ხორცს, სანამ შურს არ ვიძიებო ამათზე“ და ღმერთს მიანდო საქმე. უფრო მეტად კი მის მიერ რჯულის მიტოვებისა და [სარწმუნოებისგან] ქართველთა განდგომის გამო წუხდა.

ასეთი გამოსავალი მონახა: რადგან თემურ-ლენგი ძალიან ენდობოდა და იჯერებდა ბაგრატ მეფის სიტყვას, უთხრა თემურ-ლენგს: „რაკიღა კარგად დავრწმუნდი შენი რჯულის სიმტკიცეში, ახლა მეც

გევედრები [ნება დამრთო], რომ მთელი საქართველოს მოსახლეობა სრულად დავუმორჩილო თქვენს რჯულს. თუ გსურს თქვენს რჯულზე მათი გადმოყვანა, მომეცი ახლა თქვენი მრავალრიცხოვანი მხედრობა. წავალ ჩემს თემებსა და სამეფოებში, მოვუხმობ მთის ადგილებში მცხოვრებ ხალხს – მთიულებს[49], ოსებს, დვალებს[50], სვანებს, აფხაზებს და ყველა იქ მყოფს მე მივაღებინებ თქვენს რჯულს“. თემურ-ლენგმა რომ მოისმინა ბაგრატ მეფის ამგვარი ჩანაფიქრი, დიდი სიხარულით გაიხარა, მისცა ურიცხვი საბოძვარი და ლაშქარი, დაახლოებით თორმეტი ათასი. დაუდგინა სარდალი და გამოგზავნა მეფე ბაგრატი საქართველოში.

საქართველოს არემარეს რომ მოუახლოვდნენ, მაშინ [ბაგრატმა] გამოგზავნა რჩეული და სანდო აზნაური, რუს ეგნატაშვილთაგან[51] და საიდუმლოდ მოსწერა მეფე ბაგრატმა გიორგის თავის ძეს შემდეგი: „მე მოვდივარ თემურ-ლენგის ჯარით, თქვენც შეკრიბეთ საქართველოს მხედრობა. ჩასაფრებულები წინ დაგვიხვდით ერთ საძნელო ვიწრო გზაზე. მეც მოვალ თქვენთან და შუაში მოვიქციოთ. მახვილით გავავლოთ მუსრი და შური ვიძიოთ იმის გამო, რაც უწინ თითონ გაგვიკეთეს“. გიორგი ისე მოიქცა, როგორც მამამისმა მოსწერა – შემოიკრიბა საქართველოს რჩეული მხედრობა და ერთ ვიწრო გზაზე გამაგრებულ [ადგილზე] ჩაუსაფრდა.

როცა ბაგრატ მეფე და თემურ-ლენგის მოლაშქრენი მივიდნენ, მაშინ ბაგრატ მეფე გაიქცა თავის ძესთან. დაირაზმნენ [მათ] პირისპირ და შეუტიეს ქართველებმა, როგორც ლომებმა. გაიმართა ძლიერი ბრძოლა. მუსრი გაავლეს და ამოწყვიტეს ყველა თათარი. თორმეტი ათასი კაცი მოკვდა თათრების მხრიდან, საქართველოს ჯარს კი არაფერი დაშავებია. შური იძიეს უწინდელის გამო და შინ დაბრუნდა გამარჯვებული მეფე ბაგრატი და მისი ძე გიორგი.

ეს რომ შეიტყო თემურ-ლენგმა, ძალიან შეწუხდა და დადარდიანდა ამ ამბის გამო. იქვე[52] დაიბანაკა იმ ზამთარს. მარტის თვე რომ დადგა, თემურ-ლენგმა შეკრიბა მრავალრიცხოვანი [ჯარი] და მეტისმეტად გასასტიკებული ისევ ქართლის წინააღმდეგ წამოვიდა. დატოვა შაქისი და ჩამოვიდა ბარდავში[53], იქ დატოვა მძიმე ბარგი, რომელიც [ბრძოლაში] არ დასჭირდებოდა. გადაარჩია მებრძოლი მხედრები და პირადად წამოვიდა აურაცხელი მოლაშქრით. მოადგა მდინარე მტკვარს. მტკვარზე ნავებით [გაკეთებული] ხიდი გადო და ზედ გაიარეს. მოვიდა

შარვანის შაჰი[54], ჯარით შემოუერთდა თემურ-ლენგს და გამოემართა საქართველოს წინააღმდეგ.

მაშინ გაზაფხულის პირი იყო და ძალიან ციოდა, წვიმდა და თოვდა. თემურ-ლენგი საქართველოში რომ შემოვიდა, ბაგრატ მეფე და ქართველებიც მომზადებულნი დაუხვდნენ. შეუტიეს ერთმანეთს და ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. ძალზე ბევრი ხალხი დაიხოცა ორივე მხრიდან. თათრები ორჯერ უფრო მეტი გაწყდნენ ამ ომში. ჯარის სიმრავლით გაიმარჯვეს თათრებმა. გაბრუნდნენ ქართველები და გაიქცნენ ციხესიმაგრეებში შეხიზნულ თავისიანებთან. ზოგიერთები შეიპყრეს, დახოცეს და ამოწყვიტეს. ყველას მახვილით გაავლეს მუსრი. ქართველებმა წინასწარ იცოდნენ თემურ-ლენგის მოსვლის შესახებ და ყველანი კავკასიის მთებში იყვნენ თავშეფარებული. თათრები კვალში ჩაუდგნენ, შემოვიდნენ საქართველოში, მოითარეშეს, აიკლეს და გადაწვეს წმიდა ეკლესიები, დაარბიეს ქვეყნები[55], მაგრამ ხიზნები ვერ ჩაიგდეს ხელში. ამის შემდეგ გაბრუნდა თემურ-ლენგი უკან. მერე ისევ ყარაბაღში ჩავიდა და გარკვეული ხნით იქ გაჩერდა.

იმხანად გარდაიცვალა მეფე ბაგრატი. მის ნაცვლად გამეფდა გიორგი, მისი ძე. კათოლიკოსი იყო ელიოზი. გარდაიცვალა ელიოზ კათოლიკოსი და მის ნაცვლად აღსაყდრდა კათოლიკოსი გიორგი[56].

მეფე გიორგი, 69[57]

და დაეუფლა მეფე გიორგი სრულიად საქართველოს, იმერსა და ამერს[58]. როცა თემურ-ლენგმა შეიტყო, რომ საქართველოში ძალაუფლება მეფე გიორგიმ აიღო, ძალზედ გაწყრა, რადგან [გიორგის მამას] ბაგრატ მეფეს მისი მხედრობა ჰყავდა ამოწყვეტილი და მისთვის სამაგიერო ჰქონდა გადახდილი. ამის გამო მეტად გადაემტერა. მრავალრიცხოვანი მხედრობით წინ გამოუშვა თავისი სარდალი ყარალათი. თვითონაც უკან გამოჰყვა და ურიცხვი ჯარით გამოემართნენ საქართველოს წინააღმდეგ. ბევრი საჩუქრები დაურიგა თავის მებრძოლებს და შემოიმტკიცა.

ჩამოვიდა და ყარაბაღში დადგა. ჯარით აივსო ყარაბაღი. მოადგა საქართველოს საზღვარს და წერილი გამოუგზავნა მეფე გიორგის. ასე შემოუთვალა: „მე ვარ შენი მეფე. მოდი ჩემთან და შემირიგდი. მოგცემ მრავალ საჩუქარს და დიდ პატივს მოგაგებ. ხოლო, თუკი არ დამემორჩილე-

ბი, ვუბრძანებ ჩემს ჯარებს და მთლიანად ავაოხრებ შენს ქვეყანას“. როცა დესპანი მოვიდა და წარდგა მეფე გიორგის წინაშე, ასე უპასუხა მეფემ: „მე შენს მეფეზე ნაკლები არა ვარ. [მას] არც ჩემი ქვეყნის აოხრება შეუძლია. და, თუკი არ შეასრულებს იმას, რაც უთქვამს, კაცი კი არა, დედალი იქნება“. წავიდა თემურ-ლენგის ელჩი, მიიტანა ეს ამბავი და ძალიან შეაქო გიორგი მეფე; [შეაქო] მისი და მისი მხედრობის ლაზათი და მხნეობა.

ეს სიტყვა რომ მოისმინა თემურ ლენგმა, მეტად გამძვინვარდა, აიყარა და წამოვიდა ურიცხვი ჯარით. ეს რომ გაიგო მეფე გიორგიმ, – მაშინ მასთან იყვნენ იმერნი და ამერნი, მესხები და მთელი საქართველოს [მხედრობა], – ისიც აიყარა და წამოვიდა. ეკვეთნენ ერთმანეთს და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. ძლიერი ქარი ქროდა და თემურ-ლენგის ლაშქარს სახეში აყრიდა მტვერს. მეტად გამხნევდნენ ქართველები და, როგორც ცეცხლი მოედება ხოლმე თივას, ისე შეუტიეს, მუსრი გაავლეს და იმდენი მებრძოლი ამოუწყვიტეს თემურ-ლენგს, რომ ასეთი მარცხი და ზარალი არასოდეს განუცდია მის მხედრობას. ძალიან კი შეაძრწუნეს თემურ-ლენგი და მისი მოლაშქრენი, მაგრამ სიმრავლის გამო [ადგილიდან] ვეღარ დაიძრნენ, იქვე იდგნენ. შეწუხდა თემურ-ლენგი, თავი გამოიდო და ხმამაღლა მოუწოდა თავის მხედრობას. მაშინ კი გამხნევდნენ თემურ-ლენგის მებრძოლები და [ომისთვის] გადადეს თავი. დიდი ომისა და დაღლილობის გამო მეტი აღარ შეეძლოთ ქართველებს, გაეცალნენ და გაიქცნენ. მიმართეს მთებსა და სახიზრებს.

თემურ-ლენგი კი მოადგა თბილისის ციხეს[59]. შიგნით ცოტაოდენი ქართველები იყვნენ და გაამაგრეს ციხე. ალყა შემოარტყა, აიღო ციხე და მისი გალავნები. [ასევე] მის გარშემო არსებული ქართლის ყველა ციხესიმაგრე[60] დაიპყრო და შიგ თავისი მეომრები ჩააყენა. ხორასნელები ჩააყენა შიგ, თვითონ კი აიყარა, წამოვიდა და მუხრანში დადგა. რაც კი ეკლესიები და შენობები ნახეს მისმა ჯარისკაცებმა, ყველა დაარბიეს.

მაშინ ზოგიერთი ქართველი ეახლა [თემურს]. აიყარა და მიადგა ჯანიბეგის[61] ადგილს. იგი ქართლის მთავარი იყო. ჩადგა [მის მამულში] და დაუწყო რბევა. ჯანიბეგმა ვეღარ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და ისიც ეახლა. რამდენიმე ხნით დარჩა თემურ-ლენგი და მთელი ქართლი ააოხრა. გიორგი მეფის ხელში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო მისი შეპყრობა. ჯანიბეგი რომ ეახლა, აიყარა და წავიდა იქიდან.

ჩავიდა, სადაც თავისი ბარგი და მძიმე ტვირთი ჰქონდა [დატოვებული]. მაშინაც არ შეეშვა საქართველოს რბევას – გამოგზავნა ხოჯა[62]

შიხალი და თან გამოატანა მრავალრიცხოვანი მხედრობა. ერთ მხარეს, ჯანიბეგის მამულისაკენ, ამირჯანშა გამოგზავნა და ურიცხვი ლაშქარი გამოატანა. თითოეულ მხარეს [თავისი] სარდლები გაგზავნა ურიცხვი მხედრობით. უბრძანა, ვისაც ნახავდნენ მის ურჩსა და განდგომილს, ყველასთვის მუსრი გაევლოთ და დაერბიათ მათი მამულებიც. ასეთი ბრძანება გასცა: „ვინც შეიპყრობს მეფე გიორგის და ჩემთან მოიყვანს, აურაცხელ წყალობასა და საჩუქრებს მივცემო“.

წამოვიდნენ მისი მხედართმთავრები და მოლაშქრენი, დაარბიეს მთელი ქვეყანა, მაგრამ მეფე გიორგი ვერ შეიპყრეს. გიორგი მეფის ზოგიერთი ყმა დაიჭირეს, ეკითხებოდნენ, სად არისო მეფე გიორგი, მათ კი არაფერი იცოდნენ და ვერაფერი გაიგეს მეფის შესახებ. გაბრუნდნენ და მივიდნენ თემურ-ლენგთან. მოახსენეს მეფის ვერ შეპყრობის შესახებ. მეტისმეტად დადარდიანდა თემურ-ლენგი. აიყარნენ იქიდან და წავიდნენ, ყარაბაღში ჩავიდნენ.

იმხანად ჯალაის ქვეყნის სულთანი იყო თ[ა]ირი[63]. რჯულით მუსლიმი იყო. როცა თემურ-ლენგი ჩავიდა მის სამფლობელოში, თაირ სულთანმა წინააღმდეგობა გაუწია და ბევრი ზარალი მიაყენა თემურ-ლენგის მხედრობას. შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო და წამოვიდა მეფე გიორგისთან[64]. გიორგი მეფემ დიდი პატივი სცა, ეკითხებოდა ხოლმე და უსმენდა მის მონათხრობს.

როცა დაინახა მეფე გიორგიმ თემურ-ლენგის ასეთი ძალმომრეობა, გადაწყვიტა დაზავებოდა და დამორჩილებოდა მას. შიკრიკი გაგზავნა და მოიხმო ის კაცი, რომელიც იყო ჩამოსული, რჯულით მუსლიმი, სახელად ისმაილი. იგი განაწესა თემურ-ლენგთან [თავის] დესპანად. ეს ამბავი რომ შეიტყო თაირ სულთანმა, დაჟინებით ურჩევდა [მეფე გიორგის], არ მისულიყო თემურ-ლენგთან და არ დაზავებოდა. მეფემ არ დაუჯერა, გაგზავნა ის კაცი და დამორჩილების ამგვარი პირობა შეუთვალა [თემურს]: „გეახლები და დაგემონები, შენი მორჩილი გავხდები, მშვიდობა დავამყაროთ და ხარაჯას[65] გადაგიხდი“. მივიდა დესპანი, გაიგო თემურ-ლენგმა ეს პირობა, ჭკუაში დაუჯდა და ძალზედ გაუხარდა. გამოაბრუნა შუაკაცი და ასე შემოუთვალა [მეფეს]: „თუკი მეახლები და შემირიგდები, მეც გაპატიებ შენს დანაშაულს“. თავისთვის კი ასე იფიქრა და თქვა: მომატყუებსო მეფე გიორგი, არ მოვაო ჩემთან[66].

მაშინ გამოილაშქრა ივანე ათაბაგის[67] წინააღმდეგ იმიტომ, რომ დიდი ერთგულებით ემორჩილებოდა [იგი] მეფე გიორგის. როცა თემურ-

ლენგს ბრძოლა გაუმართა მეფე გიორგიმ, მაშინ ივანე ათაბაგიც თან ახლდა. ამის გამო ძალიან ემტერებოდა მას. გამოემართა ზემო ქართლის წინააღმდეგ[68], ჩამოვიდა და ააოხრა ქვეყანა, მრავალი სული ამოწყვიტა, დალეწა წმიდა ეკლესიები, ხატები და ჯვრები. ვინც კი შეიპყრო ქრისტიანი, მაჰმადის რჯულის მიღება აიძულა. ვინც დაემორჩილა, თან წაიყვანა, ხოლო ვინც არ დაჰყვა, მახვილით გაავლო მუსრი.

იქიდან გადმოვიდა და მანგლისში[69] ჩამოვიდა და ორი თვე გაჩერდა იქ. მოვიდა [მასთან] მაჰმადის რჯულის ხალხი, რომელიც ქართლის საზღვრებთან ცხოვრობდა. როგორც კი ქართველები თემურ-ლენგისგან დროს იხელთებდნენ, ჩადიოდნენ მაჰმადიან თათრებთან, რომლებიც ქართლის საზღვართან ესახლნენ და არბევდნენ ხოლმე. მათ შესჩივლეს [თემურ-ლენგს]: „მრავალი უბედურება გვინახავს იმ ქართველებისგან, რომლებიც ჩვენთან ახლოს ცხოვრობენ. დიდი გაჭირვება და რბევა გადაგვხდა მათგან. დაგვეხმარეთო ამის გამო“. შეებრალა თემურ-ლენგს, მოიყვანა ერთი სარდალი, რომელსაც სახელად ამირ შიხ ნურადინი ერქვა და უბრძანა, რომ [საომრად] გასულიყო თავისი მხედრობით. ის რომ გამოემართა, ორი დღის შემდეგ, სხვა მხედართმთავარს უბრძანა, წამოსულიყო და მოშველებოდა მას. ისიც რომ ჩამოვიდა იმ ქართველების სამკვიდრებელში, რომლებიც თავს ესხმოდნენ[70] თათრებსა და მათ თემებს, ხუთი დღის განმავლობაში იბრძოდნენ. სიმრავლის გამო გაიმარჯვა თემურ-ლენგის მხედრობამ. აიღეს ადგილები და ციხესიმაგრენი, მაგრამ ტყვეები ვერ ჩაიგდეს ხელში. იმ ადგილის ყველა ნაგებობა დაარბიეს, გადაწვეს და დაბრუნდნენ თემურ-ლენგთან.

ამ დროს ფრანგების ელჩი ჩამოვიდა[71], რადგან [თემურის მებრძოლებს] კეისრის შვილი ჰყავდათ შეპყრობილი, ისიც თემურ-ლენგისთვის მიეგვარათ. შეუყვარდა [თემურ-ლენგს] და შეიწყალა მისი სილამაზე და სიჭაბუკე. მისცა საჩუქრები, სამეფო ტანსაცმელი და გაუშვა თავის სამეფოში.

ორი თვის შემდეგ აიყარა მანგლისიდან, წავიდა და მიადგა არაგვის ხეობას[72]. შევიდა იქ, აიღო, დალეწა და დაარბია არაგვის ყველა ციხესიმაგრე, მაგრამ ხალხი ვერ შეიპყრო. გადაწვა [იქაურობა] და წავიდა.

დაიპყრო სიასის ქვეყანა[73] და სხვა მრავალი მხარე. მაშინაც არ დაიოკა გულისწყრომა ქრისტიანთა მიმართ. გიორგი მეფე ისევ დაეუფლა ქართლს. თემურ-ლენგმა რომ შეიტყო, ისევ განიზრახა თავისი

ლაშქრის შემოსევა. გამოგზავნა თავისი ძე, სულთანი ჰუსეინი, ფირ მაჰმად ამირ შიხი, აბუბექირი, მისი თავადები – ჯანშა და თემურ ხაჯა აღბუღა, სეიდ ხაჯა, შიხ ალის შვილი, [ასევე] სხვა მრავალი თავადი და ურიცხვი მოლაშქრე. გამოემართნენ, ჩამოვიდნენ და მოადგნენ ერინჯაგის ციხესიმაგრეს, რადგან იმხანად იგი ქართლის მეფეს ეჭირა. დიდხანს გაჩერდნენ [იქ]. გარკვეული დროის შემდეგ შეწუხდნენ ციხესიმაგრეში მყოფნი, გამოვიდნენ და ჩააბარეს ციხე. ციხესიმაგრეში მყოფი მრავალი [სული] გამოვიდა და შეწყალება ითხოვა. წამოიყვანეს ციხისთავი და უფროსი მეციხოვნე, თემურ-ლენგს მიჰგვარეს. თემურ-ლენგის ძეები კი გამოემართნენ ქართლში, ჩამოვიდნენ მანგლისში.

ეს რომ მეფე გიორგიმ შეიტყო, დესპანი გაუგზავნა, შერიგებისა და დაზავების თხოვნა შემოუთვალა, რომ ეშუამდგომლათ მამამისთან. თემურ-ლენგის ვაჟებმა დაუჯერეს და აცნობეს თემურს გიორგი მეფის ვედრება. თემურ-ლენგმა შეისმინა [მეფისა] და შეწყვიტა ბრძოლა. აცნობა [ამის შესახებ] თავის ვაჟებს და თავისთან იხმო. წავიდნენ, მივიდნენ[74] თემურ-ლენგთან და თავი დაანებეს ქართლს.

შემდეგ თემურ-ლენგის ძეებმა ისევ ბაღდადზე გაილაშქრეს. მივიდნენ და აიღეს ბაღდადი. დაიპყრეს არაბეთის მრავალი თემი და გაივსნენ ნადავლით. მოისურვა თემურ-ლენგმა თავრიზის ალყაში მოქცევა და წამოვიდა იმ ციხე-სიმაგრის სანახავად, რომელიც უწინ აიღეს, [რომელსაც ერქვა] ალინჯა[75]. გაემართა ურიცხვი ჯარითა და ჭრელი კარვებით. მივიდა და ნახა ალინჯას ციხე.

წამოვიდა და მოვიდა გელაქუნის ტბასთან[76]. გიორგი მეფემ რომ გაიგო, გამოუგზავნა თავისი ძმა[77] და მრავალი ძღვენი. ასე შემოუთვალა: „სადაც გვიბრძანებთ, იქ ვილაშქრებთ თქვენთვის და თქვენს მორჩილებაში ვიქნებით, [ოღონდ] ამიერიდან დაიოკე შენი გულისწყრომა ჩვენზე“. დაინდო თემურ-ლენგმა [საქართველოს მეფე], მიიღო მისი ძღვენი და ასე შემოუთვალა: „მიპატიებია შენი დანაშაული, ამიერიდან კი აღარ მისცეთ თავს უფლება, რომ დაარბიოთ და შეაწუხოთ ის მუსლიმები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან ცხოვრობენ. და იყოს მშვიდობა ჩვენ შორის“.

იქიდან აიყარნენ და ბარდაში ჩავიდნენ. იქ გაჩერდა [თემურ-ლენგი]. ერთი წელი რომ გავიდა, თავისი ყველა საქმისგან მოიცალა თემურ-ლენგმა. [მერე] გულში თქვა: „ვნახოთ, შემისრულებს თუ არა მეფე გიორგი იმ დანაპირებს, რასაც შარშან შემპირდა. ახლა გავიგებ, თუ შემისრულებსო“. წამოვიდა და დაბანაკდა მანგლისში. იმ ადგილს

მარტიანა ერქვა, ხოლო მის თავადს – ესაია. მას პირობა ჰქონდა მიცემული თემურ-ლენგისთვის, რომ ეახლებოდა, მაგრამ არ იყო მასთან მისული. თემურ-ლენგი რომ მოვიდა, შეწუხდა ეს თავადი, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა ხლებოდა. ასეთი გამოსავალი მონახა, შეეხვეწა შარუხს, თემურ-ლენგის ძეს და შუამავლად გაიხადა. წავიდა, ბევრი სიმდიდრე წაიღო ძღვნად და მივიდა თემურ-ლენგის ძესთან. მან მიიყვანა ეს თავადი თემურ-ლენგთან. თემურ-ლენგმა რომ დაინახა, სიბრაზით უთხრა: როგორ გაბედე ჩემი ურჩობაო. მაშინ დაეხმარა მისი ძე, აპატიებინა, შეაწყალებინა მამამისს და ხალათიც აშოვნინა. იმ თავადს ერთი ასული ჰყავდა, თემურ-ლენგის ძემ აბუბექირმა გამოართვა და ცოლად შეირთო. მას შემდეგ მოყვრები გახდნენ და თემურ-ლენგიც ენდობოდა.

მერე აღბუღა ათაბაგმაც, ივანეს[78] ძემ, აიღო კარგი ძღვენი და მივიდა თემურ-ლენგთან. შეიწყალა თემურ-ლენგმა, მისცა ხალათი და დაასაჩუქრა. ეახლნენ თავადები მეზობელი სომხითიდან, სამცხიდან და კარიდან. ეს რომ გაიგო მეფე გიორგიმ, მრავალი ძღვენით გამოგზავნა თავისი ძმა კონსტანტინე და მოკრძალებული სიტყვებით შეუთვალა მორჩილება. ძალიან ესიამოვნა თემურ-ლენგს და შეიწყალა.

იქიდან ქურთისტანის მხარეს წავიდა და დაიპყრო ქურთისტანი. მაგრამ მაშინაც არ დაიოკა იმ ბოროტმა საქართველოზე თავისი გულისწყრომა. ქვეყნის გათათრება უნდოდა. ჯავრი ჰქონდა ბაგრატ მეფის საქციელის გამო და ბოროტს განუმზადებდა საქართველოსა და უფრო მეტად კი მეფე გიორგის. თავიდან ჯერ შირვანის პატრონი შიხ ბარაიმი გამოგზავნა. იგი იმიტომ გამოგზავნა, რომ შეეტყო, საქართველოს გლეხობისა და ბეგრის გადასახადი და მეფე გიორგის წილი [ამ შემოსავლიდან]. თვითონაც წამოვიდა და ჩამოვიდა კარში. მეფე გიორგიმ რომ შეიტყო, ის კაცი გაუგზავნა, სომხითის თავადი რომ იყო, სახელად ესაია. შეუთვალა: „რაც კი პირობა მოგვიცია, ყველაფერი შეგვისრულებია, ურჩობა საერთოდ არ გაგვიწევია. არც იმაზე შეგეწინააღმდეგებით, რასაც ამის შემდეგ გვიბრძანებ. შეისმინე ჩვენი ხვეწნა-მუდარა და შეიბრალე ჩვენი ქვეყანა. ნუ შემოხვალ და ნუ დაღუპავ ამ მხარეს. მოსავლის აღების დროა. ახლა რომ მოხვიდეთ, საერთოდ გაჩანაგდება ეს ქვეყანა“. თავადი ესაია გიორგი მეფის ყმა იყო. გაგზავნა იგი და საჩუქრებიც[79] გაატანა მეფემ. ძღვენი მიართვა, მაგრამ არ აიღო თემურ-ლენგმა, რადგან ძალიან ჯავრობდა. ასე შემოუთვალა [გიორგის]: „თუ

გინდა ამ ქყეყნის გადარჩენა, მოდი ჩემთან და გათათრდი. თუ გათა-
თრდები, არც ხარკს მოგთხოვ, მაგ ქვეყანასაც მოგცემ შეუვალობის
პირობით და სხვა მრავალ საბოძვარსაც. ხოლო, თუკი არ გათათრდე-
ბი, დაიდე ჩემი ხარკი, მოდი ჩემთან და მოგცემ მაგ ქვეყანას. როგორც
კეისრის შვილი გავუშვი, შენც ასევე არაფერს გავნებ და მშვიდობით
გაგიშვებ. ისიც ხომ შენი რჯულისა იყო. ხოლო თუკი არ მოხვალ, ჯავრს
ვიყრი შენზე და შენს ქვეყანაზე. შენც მოგისწრაფებ სიცოცხლეს და
[მაგ] ქვეყანასაც. თუ მოხვალ, ვფიცავ მაჰმადის თავს, რომ კეისარზე
უკეთეს პატივს შენ გცემ და მშვიდობით გაგიშვებ. ხოლო თუ არა, მაშინ
ტყვეობაში ჩაცვივდებიან შენი ძეები და ასულები“.

დესპანი რომ წამოვიდა, თემურ-ლენგმა თავისთვის იფიქრა: „ვიცი,
მოსავალს რომ აიღებენ და ციხესიმაგრეებში დაიგულებენ, მერე აღარ
მოვლენ ჩემთან“. ამ მიზეზით არ შეისმინა მეფე გიორგის ხვეწნა-მუ-
დარა და გამოემართა მრავალრიცხოვანი მხედრობით, რადგან მიზეზი
უნდოდა გიორგი მეფის შესაპყრობად. ეს რომ მეფე გიორგიმ გაიგო,
მთელი ქართლი გაიხიზნა, მოიმკეს მოსავალი და თან წაიღეს. წამოვი-
და თემურ-ლენგი, შემოვიდა შიდა ქართლში და რამოდენიმე ხნით [იქ]
გაჩერდა. ვერაფერს გახდნენ, გაუჭირდათ, წამოვიდნენ და მოადგნენ
ბირთვისის ციხეს. [იქ] იყო ციხისთავი, სახელით ნაზალი, ოცდაათი დი-
დებული თავადი, ასევე აზნაურები და ქართლის მსახურნი[80] მრავლად.
თემურ-ლენგის მეომრებს იმ ციხის შიში ჰქონდათ, რადგან ქართველე-
ბისგან მრავალჯერ ენახათ დიდი უბედურება. როგორც კანჯარი[81] ლომ-
თაგან, ისე თრთოდნენ ქართველების [შიშით], რადგან ერთი ქართველი
ათ მათგანს განდევნიდა [ხოლმე]. ციხის შეუვალობისა და [იქ არსებუ-
ლი] სანოვაგის სიმრავლის [შესახებაც] იცოდნენ. თავის მრჩევლებთან
ერთად ითათბირა თემურ-ლენგმა. არჩევდნენ, თუ რა მოეხერხები-
ნათ ციხისათვის. მათ ასე უთხრეს: მთელმა ქვეყანამ იცის, რომ თუკი
შემოადგება თემურ-ლენგი რომელიმე ციხეს, არ შეეშვება, ვიდრე არ
აიღებს[82]. და გადაწყვიტეს ციხის ალყაში მოქცევა და აღება.

მაშინ შემოადგნენ თემურ-ლენგის მეომრები ციხესიმაგრეს,
[იქიდანაც] გამოვიდნენ მეციხოვნე მებრძოლები და შემოუტიეს თე-
მურ-ლენგის მხედრობას. თემურ-ლენგს უკან ჰყავდა ჯარი ჩასაფრე-
ბული. ზურგის მხრიდან გაერიდნენ თათრები [ბრძოლის ველს]. მაშინ
შეუტიეს მეციხოვნეებმა, ამოწყვიტეს და ძალზედ დააზარალეს. მე-
ტისმეტად გამძვინვარდა თემურ-ლენგი, ბრძანა, [ციხის] ორივე კუთ-

ხეში კოშკის აგება. თვითონ ციხის კარს მიადგა და იქაც ბრძანა კოშ-
კის აგება. ერთი კვირის გასვლის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ უშიშრად
იყვნენ მეციხოვნენი, ციხე მეტად მაგარი იყო და ვერ შევიდოდნენ შიგ.
იქ ერთი კლდე იყო, იქიდან მონახეს ვიწრო ასაძრომი. თემურ-ლენგის
ჯარში იყო ერთი ეგვიპტელი კაცი, სახელად ბეგიჯაგი[83]. მან მოახერხა
და ფარულად ღამით ავიდა ციხეში. თან აიყვანა ერთი თხა და იქ და-
კლა, რათა გაეგოთ მეციხოვნე ქართველებს ციხეში თემურ-ლენგის
მოლაშქრეთა შემოპარვის შესახებ. ქართველები [მაინც] უშიშრად
იყვნენ. უჩვენა ამ კაცმა [თემურს] ციხეში ასასვლელი. მაშინ გაიხარა
თემურ-ლენგმა და ბრძანა ბამბისა და აბრეშუმისაგან ოსტატურად
დაეწნათ კიბე. ისევ ის კაცი აგზავნეს [ზევით], უწინ ვინც ავიდა. მან
კიბის ერთი წვერი კლდის მაგარ ქიმს გამოაბა. ღამით შევიდა თემურ-
ლენგის ჯარი. აივსო ციხესიმაგრე ჯარით. მაშინ ჯარის ერთი ნაწი-
ლი წავიდა და ციხის კარი გაუღო თემურ-ლენგსა და მის ლაშქარს. ეს
რომ გაიგეს ქართველებმა, გულმესისხლედ შეებნენ და თავგნწირვით
იბრძოდნენ. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა, თემურ-ლენგის მრავალი
მებრძოლი ამოწყვიტეს, [მაგრამ] ბოლოს გამარჯვება თემურ-ლენგს
დარჩა მხედრობის სიმრავლის გამო და აიღო ციხე. მიჰგვარეს თემურ-
ლენგს მრავალი გადარჩენილი დიდებული აზნაური. ყველას მოჰკვე-
თეს თავები. იმ ციხისთავსაც მოჰკვეთა თავი, ნაზალი რომ ერქვა, მისი
ცოლი კი შირვანის პატრონს მისცა. ციხის ამღებს მრავალი წყალობა
უყო. თავისი ჯარი ჩააყენა ციხეში. ციხისთავად დააყენა [ერთი კაცი],
სახელად მაამადი. მრავალი მცველი ჩააყენა. უბრძანა, გარშემო [არ-
სებული] წმიდა ეკლესიები დაენგრიათ და აეოხრებინათ, ხოლო, ვისაც
ნახავდნენ, მთლიანად გაევლოთ მუსრი და ამოეწყვიტათ.

წავიდა იქიდან და მეტჯერ აღარ ჩამოსულა თემურ-ლენგი საქართ-
ველოში. ისევ გამოვიდა გიორგი მეფე, დაეუფლა თავის ქვეყანას, სა-
ქართველოს და იყო უშიშრად. დაასრულა თემურ-ლენგმა საქართვე-
ლოს აოხრება და წავიდა სხვა ქვეყნის დასაპყრობად. ბევრი გოლია-
თური საქმე გააკეთა თემურ-ლენგმა. მისი თავგადასავალი ვრცლად
არის აღწერილი სპარსეთის ისტორიაში. ჩვენ კი ყველაფერი დავწერეთ
საქართველოში მისი მოსვლისა და საქართველოს აოხრების [შესახებ],
რომლის მსგავსი განსაცდელი საქართველოს არასოდეს გადახდენია,
რაც ამან დაატეხა თავს. თემურ-ლენგის წასვლის შემდეგ ქართლს
ისევ მეფე გიორგი დაეუფლა.

ხოლო თემურ-ლენგმა დაიპყრო ქურთისტანი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზის ადარბადაგანი და შეიპყრო ბურსაში მჯდომი ხონთქარი, რომელსაც სახელად ბაიაზითი[84] ერქვა. იგი იყო ო[ს]მანის[85] მოდგმისა. მუჰამედის გამოჩენის შემდეგ [ასპარეზზე] გამოვიდა ერთი კაცი, სახელად ოსმანი, რჯულით სუნიტი. მან დაიწყო ავაზაკობა, ყაჩაღობით ბევრი ქონება იშოვა და ამით მრავალი ხალხი შემოიკრიბა. დაიპყრო არაბეთი, სატახტო ქალაქად გაიხადა ბურსა[86] და იქ დაჯდა. ხონთქარ ბაიაზითის დრომდე ბურსას მისი ძეები განაგებდნენ. ხონთქარი ბაიაზითი შეიპყრო თემურ-ლენგმა, ჩასვა რკინის გალიაში[87] და რკინის გალიით დაატარებდა. მისი სამფლობელო თემურ-ლენგმა დაიპყრო. კეისარმაც მოართვა ძღვენი თემურ-ლენგს და ხარაჯა გადაუხადა. დაიპყრო რუსეთი, წამოვიდა და თურქეთში ჩამოვიდა. იქ მოკვდა და ბოროტი ბოროტად მოისპო. მაშინ გაუნაწილა თავის ძეებს [დაპყრობილი] თემები და ქვეყნები: ზოგს ინდოეთი მისცა, ზოგს ხორასანი და ზოგს ადარბადაგანი[88]. მას შემდეგ მისი ძეები მეტჯერ აღარ შემოსულან საქართველოში, რადგან შუღლი და მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. დაიწყო საქართველომ აღორძინება. გარკვეული დროის შემდეგ მიიცვალა მეფე გიორგი.

მეფე დავითი. 70[89]

ქრისტეს აქეთ 1355[90] [წელს], მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე დავითი. მაშინ კათოლიკოსი იყო ბასილი[91]. კარგად და მშვიდობიანად იმეფა დავით მეფემ გარკვეული ხნით და გარდაიცვალა.

მეფე ალექსანდრე. 71[92]

ქრისტეს აქეთ 1362[?][93] [წელს], მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ძე ალექსანდრე. მაშინაც ისევ ბასილი იყო კათოლიკოსი. მიიცვალა ბასილი კათოლიკოსი და აღსაყდრდა დორათეოზი[94]. მშვიდობიანად და კარგად იმეფა ამ ალექსანდრემ და გარკვეული დროის შემდეგ მიიცვალა.

მეფე გიორგი. 72[95]

ქრისტეს აქეთ 1393[96] [წელს], მის ნაცვლად გამეფდა გიორგი, მისი ძე. იმხანად კათოლიკოსი იყო გიორგი[97]. გარდაიცვალა გიორგი კათოლიკოსი და აღსაყდრდა ელიოზი[98]. გარდაიცვალა ელიოზ კათოლიკოსი და აღსაყდრდა მიქაელი[99]. გარდაიცვალა კათოლიკოსი მიქაელი და

აღსაყდრდა დავითი[100]. კარგად და მშვიდობიანად იმეფა გიორგიმ და გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა.

მეფე ალექსანდრე, 73[101]

ქრისტეს აქეთ 1412[102] [წელს], მის ნაცვლად [სამეფო ტახტზე] ავიდა ალექსანდრე[103], მისი ძე. იმხანად კათოლიკოსი იყო დავითი. მიიცვალა კათოლიკოსი დავითი და აღსაყდრდა ელიოზი[104]. მიიცვალა ელიოზ კათოლიკოსი და აღსაყდრდა თეოდორე[105]. გარდაიცვალა კათოლიკოსი თეოდორე და აღსაყდრდა შიო[106]. ალექსანდრე მეფემ გადააჭარბა ქართლის სხვა მეფეებს [თავისი] სიკეთით, რადგან განათლებული და ღვთისმოშიში კაცი იყო. გული შესტკიოდა წმიდა კათოლიკე ეკლესიის[107] აოხრების გამო, მაგრამ არ შეეძლო აეშენებინა, რადგან ქვეყანა თემურ-ლენგისგან იყო გაპარტახებული და სიმდიდრე აღარ გააჩნდა. ამგვარი გამოსავალი მონახა: დასავლეთ და აღმოსავლეთ [საქართველოს], ზემო ქართლისა და კახეთის [მოსახლეობას] კომლზე[108] ექვსი შაურის[109] [გადახდა] დააკისრა. ყოველწლიურად ამ ხარკს[110] ახდევინებდა და ამით დაიწყო მცხეთისა და რუისის ღვთაების საყდრის მშენებლობა. ბევრს იღწვოდა, რამოდენიმე ხანში დაასრულა [მშენებლობა] და შეამკო ყოველგვარი სამკაულით. შესწირა სოფლები და აგარაკები დასავლეთ და აღმოსავლეთ [საქართველოში], ზემო ქართლსა და კახეთში. იმეფა კარგად და მშვიდობიანად და გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა ამ წუთისოფლიდან.

მეფე ვახტანგი, 74[111]

ქრისტეს აქეთ 1419 [წელს],[112] მის ნაცვლად გამეფდა ვახტანგი, მისი ძე. მაშინ კათოლიკოსი იყო შიო. გარდაიცვალა ვახტანგი მშვიდობით. ძე არ ჰყავდა.

მეფე გიორგი, 75[113]

ქრისტეს აქეთ 1445[114] [წელს], მის ნაცვლად [სამეფო ტახტზე] ავიდა გიორგი, მისი ძმა. იმხანად კათოლიკოსი იყო დავითი[115]. მაშინ განრისხდა ღმერთი ქრისტიანებზე და ქრისტეს აქეთ 1445[116] [წელს], კონსტანტინოპოლი დაიპყრეს ოსმალებმა. თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ, ხონთქარ ბაიაზითის ძეები ისევ დაეუფლნენ თავის სამკვიდრო მამულს. მას შემდეგ გაძლიერდნენ, დაიწყეს ბრძოლა კონსტანტინოპოლისთვის

და დაიპყრეს კონსტანტინოპოლი. მათი თავგადასავალი ვრცლად არის დაწერილი მათ ისტორიაში[117]. იმხანად ოსმალები ებრძოდნენ კონსტანტინოპოლს. ხოლო სპარსელებს ერთმანეთში შუღლი და მტრობა ჰქონდათ. საქართველო კი იყო მშვიდობითა და მოსვენებით. გარდაიცვალა მეფე გიორგი და მის ნაცვლად გამეფდა ბაგრატი, მისი ძე.

მეფე ბაგრატი[118]

ამ ბაგრატ მეფის დროს ყაენმა უზუნ-ჰასანმა[119] გამოგზავნა თავისი მხედრობა. ყაენი უზუნ-ჰასანი იყო თურქმანთა მოდგმისა. თემურ-ლენგის ძეების გარდაცვალების შემდეგ მან დაიპყრო თავრიზი და სხვა მრავალი მხარე. ბევრი უბედურება მოუტანა სომხეთის მოსახლეობას და ქართლამდეც მოაღწია მისმა ლაშქარმა. რაც იმ დროს მოხდა, ან რაც ბაგრატ მეფემ მოიმოქმედა და რაც მოხდა მეფე ალექსანდრეს დრომდე, ყველაფერი ძველი ქართლის ცხოვრების[120] მიხედვით გვაქვს ქვემოთ გადმოცემული. ალექსანდრე მეფის ისტორია და ყველაფერი იმ დროს [მომხდარი] ძველი გუჯრებიდან და სპარსეთის ისტორიიდან გვაქვს გადმოწერილი.

ღმერთის სახელით დავიწყოთ ბაგრატის მეფობის ისტორია, 76[121]

ქრისტეს აქეთ 1455[122] [წელს], ბაგრატ მეფეთ მეფის ზეობის ჟამს, კათოლიკოსი იყო დავითი[123]. იმხანად მეტად დაწყნარებული დრო იყო ქრისტიანებისთვის. მაშინ მოღვაწეობდა დიდებული[124] ყაენი ჰასან-ბეგი[125], ორივე საყაენოს მფლობელი. დიდი თემურ-ლენგის შემდეგ საქართველო აღარასოდეს დარბეულიყო, [იყო] აღმშენებლობა და სიწყნარე. ამ დროს საქართველოში არ იყო არც ხარაჯა, არც მალი, არამედ საქართველოს ყველა სამეფო და კუთხე გათავისუფლდა თურქების მონობისაგან.

ბაგრატი იყო დიდებული [და] სახელოვანი მეფე. მას ეკუთვნოდა ქართლი და სომხეთი; [მისი] ყმები იყვნენ ლორეს, კახეთის, შირვანისა და სამცხის პიტიახშები[126]; [გამგებლობაში] ჰყავდა იმერლები, ოდიშის მკვიდრნი, გურულები, აფხაზები, ჯიქები, სვანები და კავკასიის მთიულები.

იმხანად განდგნენ დადიანი[127] და გურიელი[128] და განდგომილებაში მიიმხრეს ოდიშის მცხოვრებნი და აფხაზები. გაერთიანდნენ და აღარ

ემორჩილებოდნენ ბაგრატ მეფეს. იწყინა მეფემ, შეკრიბა [მხედრობა], წავიდა და ცხენისწყლთან დაბანაკდა. იქიდან ისინი მოადგნენ რაზმით და ბრძოლა გამართეს. ღმერთმა ინება და გაიქცნენ დადიანი და ოდიშის მცხოვრებნი. დახოცეს, დაატყვევეს და ამოწყვიტეს ქართლელებმა. უკან გაჰყვნენ, მათ სამკვიდრებელში ჩადგნენ, გადაწვეს და დააქციეს ციხესიმაგრეები. გამობრუნდნენ გამარჯვებულები და თან წამოიყვანეს ტყვეები და მძევლები – ამის გამო მოუცლელი იყო მეფე.

დაირაზმა ყაენი უზუნ-ჰასანი და შემოვიდა სომხეთში. მეფე კი ლიხს იქით იყო და ქართლის [მხედრობაც] თან ახლდა. [უზუნ-ჰასანი] მოადგა საბარათიანოსა და ორბეთის ძირს. მეტად კარგად დაუხვდნენ ბარათაშვილები[129], გამაგრდნენ და ვერაფერი დააკლეს. მოვიდნენ და აიღეს თბილისი. თვითონ ყაენი მუხრანში გაჩერდა. გაივსო ქართლი [მტრის] ლაშქრებით. მოაოხრეს ქართლის მთელი არემარე. თავისთან უხმო ყაენმა ბარათაშვილებს, მოიპოვა მათი ნდობა, შეხვდა [მათ] და შეიწყალა. მისცა მრავალი [ძღვენი], ყელამდე აავსო. ამასობაში, ღმერთმა [სასჯელი] დაუშვა, [რადგან] ეწყინა საქრისტიანოს ამოწყვეტა. უკურნებელი სნეულება დაემართა ყაენს. აიყარა და წავიდა, გამოუშვა შეწყალებული ბარათაშვილები და მრავალი ძღვენი მისცა.

ამავე დროს კონსტანტინე წავიდა თათრებში. ქართველ წარჩინებულთაგან სხვამ ვერავინ გაბედა თათრებში წასვლა და ბატონის ხლება – მეტად ერთგულები იყვნენ მტკიცედ იდგნენ ბარათაშვილები. სწორედ ისინი წაჰყვნენ და ემსახურებოდნენ [ბატონს].

ღვთის განგებით მოკვდა ყაენი. მიატოვეს თათრებმა თბილისი და სომხითი. [ისევ] ბაგრატ მეფემ დაიკავა. თავს დაესხნენ ბარათაშვილები, დააწიოკეს ელები[130], ბევრი თათარი ამოწყვიტეს, [რომლებსაც] ყაენი მფარველობდა. ამის შემდეგ ყაენის ტახტზე ავიდა იაღუ-ბეგი, ჰასან-ბეგის შვილი. ამასობაში გავიდა დრო, წუთისოფელმა არ მოიკლო თავისი ბეგარა – რაჭაში გარდაიცვალა მეფე ბაგრატი. დიდი გლოვა და სიმწუხარე იყო სამეფოში. აიღეს და დაკრძალეს გელათში, მათ საძვალეში.

მეფე კონსტანტინე, 77[131]

ქრისტეს აქეთ 1461[132] [წელს], ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, მის ნაცვლად ტახტზე ავიდა კონსტანტინე, მისი ძე[133]. იმხანად კათოლიკოსი იყო დავითი. ზეობდა, როგორც კარგი მეფე, აღარ იყო თათრებისგან შეწუხება. დაიმორჩილა იმერლები, მეგრელები, აფხაზები, ემსახურე-

ბოდა [სამცხის] ათაბაგი და კახელებიც ემორჩილებოდნენ. საერთოდ, არავინ აწუხებდა ქრისტიანებს, იყო მშვიდობა და სიწყნარე.

შემდეგ კი, როგორც არის ეშმაკის წესი და ჩვეულება, კეთილისმოძულე ეშმაკმა თათრები გამოიყვანა ქრისტიანების წინააღმდეგ. შეკრიბა თურქმანების ურიცხვი სიმრავლე და წამოვიდნენ სამცხეზე. მოვიდნენ და მოადგნენ ტაშირს[134]. აცნობეს ქართლის მეფეს, რომ ქვემო ქართლის მკვიდრნი შეიჭრნენ სამცხეში და ყაენმაც თავისი ერთი თავადი მიაშველა ლაშქრით. ჩადგნენ სამცხეში და იავარყვეს მათი ქვეყანა. მოადგნენ ახალციხის ციხეს, დიდი ხანი ებრძოდნენ. ვეღარ გაუძლო ციხესიმაგრემ, გატეხეს, გადაწვეს ქალაქი და ხელში ჩაიგდეს მეციხოვნე მესხი წარჩინებულები. მერე აიყარნენ და მოადგნენ აწყურის ციხე-ქალაქს. დაეთათბირნენ მეციხოვნეებს, შეჰპირდნენ უვნებლობას, რომ არ დაანგრევდნენ საყდარსა და ციხესიმაგრეს. ამ პირობაზე გამოვიდნენ და ჩაბარდნენ. ამავე დროს ბრძანა ყაენმა, რომ სომხითი დაერბიათ. ბარათაშვილი გაგზავნა, ფარულად გამოვიდა მისი რჩეული ლაშქარი და მოულოდნელად თავს დაესხა [თათრებს] დმანისსა და ქვეშის ხევში[135]. წამოიყვანეს ტყვეები და უამრავი ნადავლი. საქვეყნოდ ცნობილი გახდა ბარათაშვილების [ამბავი] – მცირე ლაშქრით გზა გადაუღობეს [თათრებს]. ღმერთმა ინება და ისე გაიმარჯვეს, რომ ერთმა ქართველმა ასი და ორასი [მტერი] მოკლა. დახოცეს და ამოწყვიტეს, ტყვედ ჩაიგდეს, ცოტანიღა გაექცნენ, ვისაც კარგი ცხენები ჰყავდათ. რჩეული [მებრძოლი იყო] სულხან ბარათაშვილი, უვნებლად გადარჩა. ერთი ისეთი წარჩინებული მოკლა, ყაენის კარზე იმისი დარი სხვა არავინ იყო. სხვები კი იმდენი დახოცა, თვლა არ ჰქონდა. ვინც გაექცნენ, ყაენთან მივიდნენ. [ყაენს] ძალზედ ეწყინა, დაღონდა ლაშქრის ამოწყვეტის გამო. ამის შემდეგ აიყარა ყაენი, წავიდა და დაატყვევა აწყურის ღვთისმშობელი, მოსახლეობა და ვინც კი [აწყურის] ციხეში იყო. მრავალი სული წაასხეს. გაბრუნდა ყაენი თავის საყაენოში.

ამასობაში გავიდა ცოტა ხანი, ყაენმა გამოგზავნა ხალიბეგი და დაიწყო ქაოზიანისა და არჯაყელის ციხეების აგება. არ მოეწონათ ბარათაშვილებს [ეს ამბავი] და ნება არ მისცეს – დაუწყეს სამაგიეროს მიზღვა და მტრობა. გაგულისდა ყაენი, ლაშქარი მოაშველა ხალიბეგს, შეიკრიბნენ და მოადგნენ თბილისს. მრავალი დღის განმავლობაში ებრძოდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, რადგან მტკიცედ იდგნენ. ყოველდღიურად იმართებოდა ბრძოლები, მაგრამ ციხის ასაღებად ძალა არ შესწევდათ.

მაშინ შეიკრიბნენ ბარათაშვილები, შემოუთვალეს მეფე კონსტანტინეს და დახმარება ითხოვეს მისგან. ცოტაოდენი აზნაურიშვილებითა და ლაშქრით გაგზავნა მეფემ ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახი ჯავახიშვილი. ბარათაშვილები წინ გაუძღვნენ, მივიდნენ და თავს დაესხნენ ჭანდრებში[136] მდგომ თათრების განაპირა [ლაშქარს]. განდევნეს და ისე ამოხოცეს, რომ ამბის წამღები თუ გაექცათ სადმე, თორემ სხვა ერთიც არ გადაურჩათ. ყელამდე აივსნენ აბჯრებით, ალაფითა და ბარგით.

ეს რომ გაიგეს ქალაქში მდგომმა თურქმანებმა, შეეშვნენ თბილისის ციხეს და ქვემოთ ჩაუყვნენ. კუმისის ბოლოს გზა გადაუჭრეს, შეებრძოლნენ მეწინავე ლაშქარს. გაექცნენ [თათრები]. ისე ხოცავდნენ, რომ თათრებს თავებსა ჭრიდნენ და ვენახის ღობეებსა და სარებზე[137] აცმევდნენ. შემდეგ განრისხდა ღმერთი, ზემოდან ჩასაფრებული მტერი დაესხა[138], შუა გზაზე შეხვდნენ და რაც მაშინ ქაიხოსრო ბარათაშვილმა და ჯავახმა გააკეთეს, უწინდელი დროის გმირებსაც არ ჩაუდენიათ. ულუსის ლაშქარში ხმალთაკვეთებით შევიდნენ. [ქართველთაგან] ცოტაოდენი მოლაშქრენი დაშავდნენ, თვითონ კი უვნებლად გადარჩნენ ღვთის ნებითა და შეწევნით.

ამის შემდეგ თურქმანთა შერცხვენილი ლაშქარი ორბეთის ძირს დადგა. ცდილობდნენ თათრები, მაგრამ ყოველთვის ბარათაშვილები და ორბეთისძირელნი იმარჯვებდნენ. ამის გამო ადგნენ ხალიბეგი და ყაენის სხვა თავადები, მივიდნენ და დახმარება სთხოვეს ყაენს, რადგან უკვე ერთი წელი იყო გასული [რაც აქ იმყოფებოდნენ]. მიაშველა ლაშქარი, გაძლიერდა [ხალიბეგი] და წამოვიდა სომხითსა და ორბეთის-ძირზე. მოაშურა კოჯრის ციხეს, ალყაში მოაქცია, აუტეხეს ომი და თოფის სროლა. დიდი ხნით შიგნით მოიმწყვდიეს სოლაღაშვილები. დიდხანს გასტანა ბრძოლამ. გადამეტებულმა თოფის სროლამ შეაწუხა [მეციხოვნენი], ცოტათი ციხეც დაანგრია. ვეღარ გამაგრდნენ ამის გამო, რადგან დამხმარეც აღარ ჰყავდათ. ერთ ღამეს აღარ თოვდა, გამოვიდნენ ციხიდან, ციხე ცარიელი დაუტოვეს და თვითონ მთებსა და გამაგრებულ ადგილებს შეაფარეს თავი. რომ გათენდა, ნახეს თათრებმა დაცლილი ციხე, შევიდნენ და ვერავინ იპოვეს. მიადგნენ და დააქციეს. მეფემ რომ შეიტყო ციხის აღების ამბავი, გული დაწყდა, რადგან დარაზმული ნიჩბისის წყალთან იდგა [და ვერ მიეშველა].

ამის შემდეგ ადგნენ თათრები და მოადგნენ თბილისის ციხეს. ყოველდღე იმართებოდა ბრძოლები. ებრძოდნენ, უშენდნენ თოფებს, მა-

გრამ ძალა არ ჰყოფნიდათ ციხის ასაღებად, რადგან [მეციხოვნეებს] ბარათაშვილები უმაგრებდნენ მხარს. მოუწოდებდა მეფე კახელებს, მაგრამ არ უშველეს, იმერლები განდგომილები იყვნენ და აღარც მესხები დაეხმარნენ. ამის გამო ომი ველარ გაბედა მეფემ. დიდი ხანი იყვნენ ქალაქს მომდგარნი. მობეზრდათ ბრძოლა თათრებს. ციხეს ვერაფერი დააკლეს. მერე შეამზადეს ლაშქარი და გადაწყვიტეს ორბეთის ძირის დარბევა. აარჩიეს ათას ხუთასი კაცი და დანარჩენი ქვეითი მოლაშქრე მრავლად. ცისკრის ჟამს მოულოდნელად დაეცნენ ორბეთის-ძირს. ააწიოკეს და ამოწყვიტეს მთის სოფლები, [ხელში ჩაიგდეს] საგანძური, ტყვეები და ურიცხვი ნადავლი. ამასობაში გაიგეს [მომხდარი] ენაგეთში მყოფმა ბარათაშვილებმა. მათთან იყვნენ ქაიხოსრო თურმანიძე და კიდევ მეფის სხვა ყმები ცოტაოდენი. [ბრძოლის] ხმა გაისმა და ისე შეუტიეს, როგორც ვეფხვებმა. ერთი მხრიდან სულხან ბარათაშვილი და მისი ძმები წამოვიდნენ, ხოლო მეორე მხრიდან სხვა ბარათაშვილები. წამოეწივნენ და შეებრძოლნენ, განდევნეს და ხირხალას ხევში შეიმწყვდიეს. ისე დაუწყეს ხოცვა, როგორც ქათმის ვარიებს. ღმერთმა ქრისტიანებს მისცა გამარჯვება. ურიცხვი ამოხოცეს, რადგან არ განიცდიდნენ [მათ] სიკვდილს. სისხლის ნაკადული მოდიოდა. ვინც სიკვდილს გადაურჩა, ხელში ჩაიგდეს. მერაბ ბარათაშვილმა ერთი ისეთი თავადი დაატყვევა, რომ ყაენის კარზე მასზე უკეთესი არავინ იყო და ყაენის ახლობელიც იყო. ისეთი გამარჯვება მისცა ღმერთმა ბარათაშვილებს, რომ თითო ყმა ქალს სამი-ოთხი მუსულმანი მოჰყავდა ყელზე დოლბანდ [შემოჭდობილი][139].

თავდაპირველ შებრძოლებას ვერც ქაიხოსრომ მოუსწრო, ვერც ჯავახმა, ვერც ქავთარ სოლაღაშვილმა და ვერც სხვა წარჩინებულებმა. ზურგიდან თავს დაესხნენ ნარჩევი, შედარებით[140] დიდი [ტანის] მდევრები და მოლაშქრენი. აქედან არც ამათ დაუთმეს გზა. ბრძოლა გამართეს. ოცი კაცი ხმლით გადაუდგა წინ სამასამდე თათარ მოლაშქრეს. ღმერთმა ინება და გადარჩნენ. ორ-სამჯერ დაუჭრეს ცხენები, დაცემულები ისევ ამხედრდნენ. ჩვენ ქართველთაგან ერთი თურმანიძის მეტი არავინ დაგვაკლდა, ისიც ჯარმა გადათელა ფეხით. დიდი ულუსის ჯარიდან შედარებით ცოტანი[141] წავიდნენ მაცნედ, სხვა ყველა ხელში ჩაიგდეს [ქართველებმა]. ეს რომ გაიგეს ქალაქში[142] მყოფმა [თათრებმა], შეშინდნენ და ციხეს ალყა მოხსნეს. ბარათაშვილებს რომ არ გაემარჯვათ, [თათრები] ქალაქსაც ძალით დაიპყრობდნენ

და ქართლშიც ითარეშებდნენ. ინება ღმერთმა და წყალობით მოხედა ბარათაშვილების თავდადებას. მას შემდეგ ვეღარ ბედავენ თათრები ძალმომრეობასა და რბევას. ღვთის შეწევნით გატყდნენ და შეშინდნენ. კონსტანტინე მეფე იყო ბაგრატ მეფის ძე. მანაც კარგად იმეფა, როგორც ამას მისი ისტორია მოგვითხრობს. და გარდაიცვალა კონსტანტინე მეფე, ქრისტეს აქეთ 1404[143] [წელს].

მეფე ალექსანდრე, 78[144]

ქრისტეს აქეთ 1468[145] [წელს], გამეფდა ალექსანდრე, მისი ძმა. იმხანად კათოლიკოსი იყო დავითი. მიიცვალა დავითი და აღსაყდრდა ნიკოლოზი[146]. [ალექსანდრემ] კარგად იმეფა, რადგან მის დროს თათრები დაუძლურებული იყვნენ. იმეფა მშვიდობიანად და გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა.

მეფე კონსტანტინე, 79[147]

ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ორმოცდათორმეტ[148] [წელს], მის ნაცვლად ტახტზე ავიდა კონსტანტინე, მისი ძე. კათოლიკოსი იყო აბრამი[149]. ამანაც კარგად იმეფა. მაშინ ათაბაგი იყო ყვარყვარე[150]. არ ემორჩილებოდა მეფე კონსტანტინეს. ყვარყვარე ათაბაგის ერთი ვაჭარი აბრეშუმის შესაძენად ჩავიდა არეშის ქვეყანაში[151]. რომელიღაც იქაური ვაჭარი და ყვარყვარეს ვაჭარი წაეკიდნენ ერთმანეთს. აჯობა არეშელმა ვაჭარმა, გალახა კიდეც და აბრეშუმიც წაართვა. სიამაყით ეს მოაძახა: „[თუ] წახვალ და შენს პატრონს მოუყვები შენს უბედურებას, შენმა ბატონმა დუქანი არ დამინგრიოს და ჩემს დუქანზე ყურით არ მიმაჭედოსო“. ესე რომ მოექცნენ იმ ვაჭარს, საჩქაროდ წამოვიდა ათაბაგთან და ყველაფერი, რაც შეემთხვა, აცნობა ყვარყვარეს. ეს რომ შეიტყო ყვარყვარემ, ხუთასი რჩეული მოლაშქრით წამოვიდა განრისხებული, გადმოიარა ფარავანი და ჩამოიარა დმანისზე. ორბელიანებმა მასპინძლობა გაუწიეს. წავიდა, ჩაიარა ხუნანზე[152], გადალახა მტკვარი და ჩავიდა არეშში. [თავისი] ვაჭარი წაიმძღვარა წინ [და ისე მიადგა] არეშელი ვაჭრის სახლს. შეუსია ხალხი, გამოიყვანეს ის კაცი, მიიყვანეს და თავის დუქანზე ყურით მიაჭედეს. წიხლიც ჰკრა იმის დუქანს და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მას ჰქონდა ნათქვამი. აბრეშუმიც გამოატანინა იმ ვაჭარს და უშიშრად წამოვიდა.

შემოვიდა კახეთში, გამოიარა ყარაიაზე, გაიარა მცხეთა და ჩავიდა შიდა ქართლში. ხოლო შიდა ქართლის [წარჩინებულებმა] არ ისურვეს

გზის მიცემა. კონსტანტინე მეფემ არაფერი იცოდა ამ საქმისა და მისი მგზავრობის შესახებ. ამიტომ შიდა ქართლის [დიდებულებმა მეფის] ნებართვის გარეშე არ ისურვეს მისი გაშვება. შეიკრიბნენ [მდინარის] გაღმა და გამოღმა მცხოვრები ციციშვილები, უფრო მეტად ზაზა ციციშვილი მეთაურობდა. გზაზე დაუხვდნენ ათაბაგს ქართლელები და აცნობეს, რომ არ გაატარებდნენ. ეს რომ გაიგო ათაბაგმა, გამოუგზავნა შუაკაცი და ასე შემოუთვალა: „მე თქვენს მამულში არაფერი არ წამიხდენია, თქვენი არაფერი არ მიმაქვს, ჩვენსა და თქვენ შორის ხომ არანაირი მტრობა არ არის, ძმობისა და მეზობლობის მეტი თქვენთან სხვა საქმე არა მაქვსო. ჩემს მტერს სამაგიერო გადავუხადე და ჩემს გზაზე მოვდივარ, თქვენ რას მემართლებით, გზაზე წინ რად მიდგებითო“. ქართლელებმა ყური არ უგდეს და დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ქრისტეს აქეთ 1484[153] [წელს], 12 აგვისტოს, ძლიერი ბრძოლა გაიმართა არადეთში, [იმ] გორაკზე, რომელსაც მას შემდეგ სისხლის ჯვარი ჰქვია[154] და დღევანდელ დღემდე სისხლის ჯვრად არის სახელდებული. ისეთი ბრძოლა გაიმართა, რომ მთელი საჭურველი და საომარი იარაღი შემოემტვრათ, იქიდან თუ აქედან დაიღალნენ ბრძოლით, ორივე მხარეს ბევრი ხალხი დაიხოცა. გაიმარჯვა ათაბაგმა იმიტომ, რომ უსამართლოდ ედავებოდნენ და სიმართლე მის მხარეზე იყო[155]. მაშინ ერთი შალიკაშვილი გაუხედნავ[156] კვიცზე იჯდა. ეს შალიკაშვილი და მაჩაბელი შეხვდნენ ერთმანეთს. შალიკაშვილმა შუბი უგმირა და ფარის ზურგი გაუხეთქა, მხარში გაუტარა და გადმოაგდო ცხენიდან. ასე შემოსძახა: „გაუხედნავ კვიცზე არ ვმჯდარიყავ, აწყურის ღვთისმშობლის მადლმა, შიგ [გულში] გაგთხრიდიო“. მაშინ წამოიჩოქა მაჩაბელმა, ხმალი იშიშვლა, შემოჰკრა [მის] ცხენს, თავი მოჰკვეთა, უნაგირზე დაარჭო და შეუძახა: „[ცხენიდან] ჩამოგდებული რომ არ ვყოფილიყავი, სპარსის წმიდა გიორგის [მადლმა] შუაზე გადაგჭრიდიო!“

გამოედევნა ათაბაგი, გაიქცნენ ქართლელები. მეორე მხარესაც მრავალი დაიხოცა. მაშინ წავიდნენ მესხები, ხოლო ათაბაგი ერთ ადგილზე, ბრძოლის ველის მახლობლად, დასასვენებლად ჩამოქვეითდა ცხენიდან. მესხი ამილახორი მოწყენილი იჯდა ათაბაგთან. ათაბაგმა ჰკითხა: „რისთვის ხარ მოწყენილი, ნუთუ ბრძოლაში ვერავინ ჩაიგდეო ხელში“. ამილახორმა მოახსენა: „მე ერთ კაცს ხმალი შემოვკარი და სამკლავიანი ხელი მოვკვეთეო. თუ გინდათ, წამოდით, გაჩვენებთო“. წავიდნენ, ნახეს ძეძვის [ეკლებში] ეგდო სამკლავე-საჭურველიანი

ხელი. მაშინ დაიჯერა ათაბაგმა და წავიდა შინ. ეს რომ შეიტყო მეფე კონსტანტინემ, მეტად დაღონდა, მაგრამ ვეღარაფერი მოახერხა. რამოდენიმე ხანი იმეფა რიგიანად და გარდაიცვალა.

მეფე დავითი, 80[157]

მის ნაცვლად გამეფდა დავითი, მისი ძე. ამ დროს უკვე აღარ იცვლებოდნენ არც ერისთავები და არც თავადები. ყველანი ხეობების, სანახების, თემებისა და [მათი] ადგილების მფლობელები გამხდარიყვნენ. ვისაც [მეფე] მამულს მისცემდა, სამუდამოდ აძლევდა. ყველანი ძალგულოვნად იყვნენ: მთავრები, ერისთავები და თავადები. ამ ალექსანდრე და კონსტანტინე [მეფეების] დროს, განდგნენ იმერლები, მეგრელები და გურულები; აღარც ათაბაგი იჩენდა მორჩილებას და კახეთიც განდგა.

თვითონ ძველ [დროში] დაწერილი რომელიღაც [წიგნი] ვნახეთ, კონსტანტინეს ისტორია. იქ ეწერა[158], რომ სპარსეთის ლაშქრის შემოსევის დროს [ესენი] აღარ შველოდნენ [მეფეს]. ის კი ვერ გამოვარკვიეთ, იმერეთისა და კახეთის მეფეები ვისი შთამომავლები არიან; ან კი რა უფლებით განაგებენ ამ ქვეყნებს. ზოგიერთმა იმერელმა თქვა, რომ: „როცა ალექსანდრეს მამა, ბაგრატ მეფე[159] ჩავიდა იმერეთში, მაშინ [სამეფო] ოჯახის წევრები დატოვა [იქ] და მას შემდეგ არიან [იმერეთში] მისი შთამომავლები[160]. ამ ბაგრატის შემდგომ რამდენი თაობა იყო, არ ვიცით, ხოლო იმერეთის მფლობელი ბაგრატის[161] ამბავი ქვემოთ გვაქვს დაწერილი.

კახეთის მეფეების წინაპარი იყო დავითი. არ ვიცით, ვინ იყო ამ დავითის მამა. დიდოეთამდე ჩამოიყვანეს დავითი[162] კახელებმა და მეფედ დაისვეს. გარდაიცვალა დავითი და გამეფდა ლევანი[163], მისი ძე. ლევანის შემდეგ კი მისი ძე – ალექსანდრე[164]. იმხანად კახეთის მეფეს ეკუთვნოდა: ლეკის მთის გადმოღმა თუშეთი. დიდოელები კი მათი სურვილისამებრ არ ემორჩილებოდნენ; [ეკუთვნოდა] ზემო ფშავი და თიანეთი, სადაც ფშავისწყალი უერთდება არაგვს. იქიდან, ვიდრე არაგვის გაღმა ხევძმარამდე; ხევძმარადან გაყოლებით ლილოს სერამდე, რაც კი სერზე ნაკადულები მოდიან, უერთდებიან მარტყოფის წყალს. [ამის] გაყოლებით, [ვიდრე] ამართულამდე; შემდეგ, ვიდრე აჯი-სუმდე, აჯისუდან, ვიდრე მტკვრის შესართავამდე; ამის ქვემოთ მტკვრის გაღმა მხარე, ვიდრე შაქისის საზღვრამდე.

ხოლო მეფე დავითის, კონსტანტინეს ძის, გამგებლობაში იყო: აჯისუს ზემოთ [მდებარე] უდაბნოები და სამგორის ქვევით [არსებული მი-

წები]; ლილო და ლილოს ქვემოთა [მხარე], ხევძმარას ქვემოთა [მიწები] და არაგვის გამოღმა მხარე, ფშავისწყლის აქეთ [არსებული მიწები], გუდამაყარი, ხევ-ხილაკასა და კასრისხევის აქეთა მხარე. წედისის მთის გადმოღმა [მიწები], კუდარო და ჭალის მთის გადმოღმა მხარე; ერწო, მშვილდაურისა და პერანგას გადმოღმა მხარეები; გორასძირას აქეთა მიწები, ლიჩი, ღოდორა, ქეფინისხევი და ჩხერის ციხე. ამის ზემოთ ასე გაყოლებით მთის აქეთა ხეობა დვირამდე; კოდიანის გადმოღმა მხარე, სადაც ნინოსხევი ჩამოდის; [შემდეგ] სამგორის გადაღმა, ცივწყაროს ხევდახევ მიჰყვება [საზღვარი] და გახშული-ბარშიამის მთას ჩამოუყვება ჯანელის ციხემდე, საღამოს [ტბის] თავში; ბორცვის ზემოთ [საზღვარი] სერებზე გადის სათხე-ქუნცელის თავზე, გადაივლის ხენჭურის თავს, [ვიდრე] პალაკაციოს მთამდე, რომელსაც თურქები იელდოღდის უწოდებენ; პალაკაციომდე სერებს ჩაუყვება [საზღვარი]. [ასევე] კარის ქვეყნის აქეთ [არსებული მიწები] ერევნის საზღვრამდე; [იქიდან] ჩაყოლებით ბამბაკი და ლორე, ვიდრე ყაზახის საზღვრამდე ეკუთვნოდა ქართლის მეფეს.

ხოლო იმერეთის მფლობელს [ჰქონდა]: წედისის მთის აქეთა [მხარე], დიგორის მთის აქეთა [ნაწილი]; ლენტეხი და თაკვერი, რომელსაც ახლა ლეჩხუმი ჰქვია; [მდინარე] ცხენისწყლის ქვემოთა გამოღმა [მხარე] და საჯავახოს აქეთა [მიწები], ფერსათის მთის ორივე მხარე, ვიდრე ქართლის საზღვრამდე.

დადიანი განაგებდა: ცხენისწყლის ქვემოთ [მიწებს], ლეჩხუმის ქვემოთა მხარეს, სვანეთს მთის გადმოღმა [მიწები]; აფხაზეთის ზემოთა მხარეს. აფხაზეთს ჯიქეთამდე შარვაშიძე განაგებდა. შარვაშიძე დადიანსის ყოველ ბრძანებას არ ასრულებდა მორჩილებით. დადიანი ასევე განაგებდა ზღვის ნაპირსა და რიონის გაღმა მხარეს.

გურიელს ჰქონდა [მდინარე] რიონის გაღმა მხარე, საჯავახო და იმის აქეთ გამოსწვრივ ღომის ციხის[165] გადმოღმა [მიწები]; ასევე აჭარა, ჭანეთი და რკინისპალოს აქეთა მხარე.

ათაბაგის სამფლობელო იყო: გურიელის საზღვრის ზემოთა [მხარე], ფერსათის მთის გადმოღმა [მიწები], დვირის ზემოთა [მხარე]; აქეთ ქართლის საზღვრამდე, იქით – კარის მიჯნამდე, [ხოლო] აზრუმისკენ გურჯი-ბოღაზის[166] აქეთა [მხარე].

ამის გარდა, საქართველოს მხარეები, ზოგი თავისუფალი გახდა, ზოგი სპარსელებმა მიიტაცეს, ზოგიც ხონთქარმა და ხაზარებმა.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს[167] შეეძინა ხუთი ვაჟი[168]. მათი სახელებია: უფროსი – დავითი, გიორგი, ბაგრატი, ალექსანდრე და მეხუთე მელქისედეკ მონაზონი, რომელიც იყო მცხეთის კათოლიკე [ეკლესიის][169] კათოლიკოსი[170]. ქრისტეს აქეთ 1504[171] [წელს], გარდაიცვალა კონსტანტინე.

დავით მეფე[172]

გამეფდა მისი ძე დავითი. იმხანად, ქრისტეს აქეთ 1514[173] [წელს], ხონთქარმა[174] გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ თავისი მხედართმთავარი მრავალრიცხოვანი ლაშქრით. ააოხრეს სამცხე, ჩამოვიდნენ იმერეთში და გადაწვეს ქუთაისი[175]. მოვიდნენ და ცეცხლს მისცეს გელათი. აიღეს ბევრი ნადავლი. ხოლო იმერეთის მფლობელმა ბაგრატმა[176] ვეღარ შეძლო მათთან დაპირისპირება. წავიდნენ და გაბრუნდნენ თავისსავე ქვეყანაში. მათი წასვლის შემდეგ დაბრუნდა იმერეთის მბრძანებელი ბაგრატი და ისევ დაეუფლა იმერეთს.

კახეთს კი ალექსანდრე[177] განაგებდა. წესიერი კაცი იყო, ორი ძე ჰყავდა. გიორგიმ, მისმა უფროსმა ვაჟმა, საფურცლის ჭალაში ღალატით მოკლა მამამისი ალექსანდრე, ხოლო [თავის] ძმას თვალები ამოშანთა[178]. ამის შემდეგ უწოდეს ავ-გიორგი და გახდა კახეთის მფლობელი[179].

ქართლის მეფე იყო დავითი. მის დროს კათოლიკოსი იყო ბასილი[180]. მიიცვალა ბასილი და აღსაყდრდა კათოლიკოსი დოროთეოსი[181]. დავითი ლმობიერი კაცი იყო, მშვიდი და ღვთისმოშიში. გამოვიდა ავ-გიორგი დავითის წინააღმდეგ, დავითმა კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა. მრავალჯერ დაარბია ქართლი, ვიდრე იმერეთის საზღვრამდე, თვითონ დავით მეფე კი ატენის ციხეში მოიმწყვდია. მრავალი დღის მანძილზე ებრძოდა, ვერ წაართვა ციხესიმაგრე და გაბრუნდა თავის მხარეში.

ასე უთხრეს დავით მეფეს მისმა ძმებმა: „ჩვენს მამა-პაპას კახეთი წაართვეს, ამჯერად კი ქართლის მიტაცებაც უნდათ. ახლა ჩვენც დავირაზმოთ მის წინააღმდეგ და ვებრძოლოთ მათ“. დავით მეფემ კი არ ისურვა [ბრძოლა]. მაშინ თქვა ბაგრატმა, მისმა უმცროსმა ძმამ: „მომეცი მუხრანი, როგორც საუფლისწულო და სადროშო.[182] ქსნის ერისთავი და არაგვის ხეობა იყოს ჩემი დამხმარე. ქრისტეს ძალას დავიხმარებ და მის თემობასაც ავიკლებ“. დაუჯერა მისმა ძმამ, დავით მეფემ და მისცა ყველაფერი, რაც სთხოვა. მოვიდა ბაგრატი, ააშენა მტვერის ციხე, რომელიც არის ციხისძირის თავში და იქ დადგა.

როცა [ამის შესახებ] შეიტყო კახეთის მფლობელმა ავ-გიორგიმ, შეკრიბა თავისი ლაშქარი, რამდენის [თავმოყრაც] შეეძლო, წამოვიდა და თავისი ძალებით მოადგა მტვერის ციხეს. სამ თვემდე ალყაში ჰქონდა მოქცეული. მერე კაცი გაუგზავნა ავ-გიორგიმ, ერთი სურა[183] ღვინო გაატანა და შეუთვალა [ბაგრატ მუხრანბატონს]: „მეფის ძე ხარ, იქნებ, უღვინოდ ხარ და გიჭირს, ეს დალიეო“. ეს სიტყვა რომ გადასცეს ბაგრატს, მას ახალი ორაგული ჰქონდა, ღვინის სამაგიეროდ თევზი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „კარგა ხანია უკვე, რაც ქსნის ნაპირზე დგახარ და ორაგული ვერ გიშოვია, ახლა ეს მიირთვი და წადი შენს ქვეყანაშიო“. [ორაგული] რომ მოართვეს ავ-გიორგის, მაშინ მიხვდა, რომ საჭმელი მათ უხვად ჰქონდათ. ჯარიც შეწუხებული იყო მრავალი დღის მანძილზე [ერთ ადგილზე] დგომით. და წავიდა თავის სამფლობელოში.

გარკვეული დროის შემდეგ ავ-გიორგიმ [ისევ] შეკრიბა თავისი ლაშქარი და წამოვიდა ზემო ქართლის დასარბევად. მოვიდა, დაარბია ზემო ქართლი, მობრუნდა გამარჯვებული და გამოემართა. ბაგრატმა, როცა გაიგო, მუხრანის მფლობელმა, შეყარა თავისი მხედრობა, და ჩაუსაფრდა იმ ხევში, რომელიც ძალისსა და ჭაპურს შორის მდებარეობს. ავ-გიორგის ლაშქარი წინ წამოვიდა, [რადგან] წამოღებული ნადავლი მოჰქონდათ. ხოლო ავ-გიორგი მცირე ამალით უკან მოდიოდა, ნადირობდა და არაფერი აფიქრებდა. როცა მიუახლოვდა [ადგილს], სადაც ბაგრატი იდგა, მაშინ გაბედულად შეუტია, შეიპყრო ავ-გიორგი და მისი მოლაშქრეებიც, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ. ქრისტეს აქეთ 1504[184] [წელს], ავ-გიორგი მტვერის ციხეში ჩააგდო, რომელიც მუხრანში მდებარეობს და აცნობა ეს ამბავი თავის ძმას, მეფე დავითს. [მეფემ] ეს რომ გაიგო, მეტად გაუხარდა. მალევე გარდაიცვალა ავ-გიორგი. ზოგი ამბობს დაახრჩვესო, ზოგი კი ფიქრობს, თავისით გარდაიცვალაო. [ბაგრატმა?] მცხეთის ჩრდილოეთით მთავარანგელოზის მცირე ეკლესია ააშენა და იქ დამარხეს. მას შემდეგ აცხადებენ კახეთის მეფეები, რომ მცხეთაში არისო ჩვენი საძვალე.

ავ-გიორგის შეპყრობის შემდეგ კახეთი დავით მეფემ დაიმორჩილა. გიორგის დარჩა მცირეწლოვანი ძე, რომელსაც ლევანი[185] ერქვა. წამოიყვანა [...] ის ბავშვი დედამისთან ერთად და ზრუნვით გადამალა გარსევან ჩოლოყაშვილთან, რომელიც იყო სახლთუხუცესი[186] და ენათესავებოდა მის დედას. [ეს] რომ შეიტყო დავით მეფემ, გაგზავნა

ბაგრატი, თავისი ძმა, ქსნის ერისთავი და ამილახორი, რომ კახეთის მოსახლეობა დიდიან პატარიანად გადაეჩხრიკათ და ეპოვათ ეს ბავშვი. წავიდნენ მოსაძებნად, დააშინეს და თავზარი დასცეს ყველას. დააფიცეს, რომ არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა ეს ბავშვი. ყველამ მისცა ფიცი, არაფერი ვიცითო.

შემდეგ მოვიდნენ სახლთუხუცეს გარსევან ჩოლოყაშვილის სახლში. გარსევანმა ასეთი ხერხი იხმარა: ეს ბიჭი, ლევანი, ისე გამოიყვანა, როგორც თავისი ყმის[187] ვაჟი. იმ დღისით ღვინის მწდედ იმსახურებდა ამ ბიჭს, როგორც ყმას.[188] მეორე დღეს საშინელი ფიცით შეჰფიცა ბაგრატს, რომ „სხვა არავინ მყავს იმათ გარდა, ვინც ჩემს სახლში თქვენ შეგხვდათ და თქვენი თვალით ნახეთ, არც დიდი კაცის შვილი და არც უგვაროსიო“. ამ ფიცით დააჯერა. ბაგრატი, [ქსნის] ერისთავი და ამილახორი რომ წამოვიდნენ, გარსევან ჩოლოყაშვილმა ვეღარ შესძლო თავის სახლში ლევანის დამალვა. წამოიყვანა იგი და ოჩონის ციხესიმაგრეში შეიყვანა, რომელიც მდებარეობს მდინარე ივრის სათავეში. ლევანთან შეიკრიბნენ და შეუერთდნენ [ციხის] შემოგარენში [მცხოვრები] კახელები და მთის ხალხი. [შემდეგ ლევანი] გამოემართა და ჩამოვიდა კახეთში.[189]

გაიგო ეს დავით მეფემ, შეკრიბა თავისი ლაშქარი და კახეთისკენ გაემართა. გადაიარა გომბორის [ქედი] და ჩავიდა კახეთში. ხალხი ისევ დავით მეფეს შემოეგება. ლევანი ვეღარ აღუდგა წინ, გაიქცა და შევიდა ციხესიმაგრეში, რომელიც მაღრანის თავში მდებარეობს. მეფემ დაიკავა ციხის მიდამოები და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა. ამ დროს მოვიდნენ ოსმალები და სამცხე ააოხრეს. სამცხეში ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა და შემოვიდნენ შიდა ქართლში. ქართლშიც ვერავინ აღუდგა წინ, რადგან [მხედრობა] კახეთში იყო სალაშქროდ. ეს ამბავი კახეთში აცნობეს დავით მეფეს. ეს რომ გაიგო [მეფემ], მაშინვე არ გაამხილა, რომ ამის გამო იქ ყოფნა აღარ შეეძლო. [უნდოდა] შეეჭირვებინა ციხესიმაგრეში მყოფი ლევანი და დედამისი.

გაუგზავნა დედამისს შუაკაცები[190] – ამილახორი და მთავარეპისკოპოსი და მოსთხოვა ციხის დანებება. ლევანის დედამ და ციხის მცველებმა, რომ შეიტყვეს შუაკაცების მოსვლა, ისეთ გაჭირვებაში იყვნენ, დანებების გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდათ. მთავარეპისკოპოსის შესვლის დროს, წამოდგა ლევანის დედა, რომ ამბორით შეჰგებებოდა. უჩუმრად უთხრა მთავარეპისკოპოსმა: „გამაგრდი, ამაღამ წავალთო“. ეს რომ გაიგო ლევანის დედამ, გაუხარდა და თავისიანებს ყველას

აუწყა. ყველამ გადაწყვიტა გამაგრება და არდანებება [ციხისა]. ეს რომ გაიგეს შუაკაცებმა, წამოვიდნენ და მოახსენეს მეფე დავითს მეციხოვნეთა ასეთი სიმტკიცის შესახებ. ვეღარ გაჩერდა მეფე და წამოვიდა. შემოვიდა ზემო ქართლში, შეებრძოლა ოსმალების ჯარს. ღმერთმა გამარჯვება მისცა მეფე დავითს, ამოწყვიტა ოსმალები და გაიმარჯვა. ოსმალები უკან გააბრუნდნენ თავის მხარეში.

ცოტა ხნის შემდეგ დავით მეფემ [ისევ] გაილაშქრა კახეთში. [ქართლში] დავით მეფის დაბრუნების შემდეგ, [ისევ] გამოსულიყო ლევანი, შეკრებილიყვნენ მასთან კახელები და თავის პატრონად გაეხადათ.[191] მაშინ ლევანი შვიდი წლის იყო. საგარეჯოში რომ ჩავიდა დავით მეფე, შეუერთდნენ საგარეჯოელები და იმის აქეთ [მცხოვრები] კახელები. წავიდა მეფე დავითი ქიზიყში. ლევანიც იქ იყო პატარა რაზმით. დავით მეფე რომ მივიდა, ქიზიყში გამართეს ბრძოლა. დამარცხდა დავით მეფე და გამობრუნდა თავის მხარეში. ლევანი კი დაეუფლა კახეთს[192] და ცოლად შეირთო გურიელის[193] ასული თინათინი.

თინათინზე ამბობენ, სიყმაწვილეში ასეთი ჩვენება უნახავს: „ერთი მთავარი წაგიყვანს ცოლად, როცა მიხვალო ერთ ადგილზე, – ნიშანდობლივად უჩვენა ის ადგილი და ასე უთხრა, – ერთი თეთრი შინდი იდგება. იქ აუშენეო მონასტერი ღმერთის დედას. როცა შუამთაში ჩამოიყვანეს, დასასვენებლად გააჩერეს. თინათინმა ნახა ის ადგილი, ყველაფერი ენიშნა გამოცხადებიდან, თეთრი შვინდიც. ქორწილის შემდეგ ააშენა შუამთის ეკლესია და დააყენა მოძღვართმოძღვარი.[194] ორი ძე შეეძინა: ალექსანდრე და ვახტანგი.[195] გარდაიცვალა თინათინი და დაიკრძალა თავის აშენებულ ეკლესიაში. ქმრის გვერდით იმიტომ არ დაიკრძალა, რომ ლევანი მეძავი კაცი იყო. შემდეგ ლევანმა სხვა ცოლი მოიყვანა, შამხალ ყარამუსალის ასული. მისგანაც შეეძინა სამი ვაჟი: გიორგი, ელიმირზონი და ქაიხოსრო.[196]

ქართლის მეფე დავითი კი თავის [სამფლობელოში] იყო. გარკვეული დროის შემდეგ მონაზვნობა მიიღო. სამი ვაჟი ჰყავდა: ლუარსაბი,[197] დემეტრე და რამაზი.[198] მეფობა თავის უმცროს ძმას, გიორგის დაუტოვა. გარკვეული ხნის შემდეგ, ქრისტეს აქეთ 1527[199] [წელს], ქალაქ თბილისში გარდაიცვალა მეფე დავითი.

მეფე გიორგი, 81[200]

მცირე ხნით გიორგი მეფობდა. იმჟამად კათოლიკოსი იყო მელქისედეკი, მისი ძმა. მაშინ ხონთქარმა კაცი რომ გამოუგზავნა მეფე გიორ-

გის, იმერეთის მფლობელ ბაგრატსა და კახეთის პატრონ ლევანს. [შემოუთვალა]: „ქრისტეს საფლავი და თქვენი რჯულის წმიდა ადგილები ურჯულოებმა დაიპყრეს და შებილწეს. მოდით, თქვენი მხედრობით, გააძევეთ ისინი და [ეს ადგილები] თქვენთვის მომიციაო“. ეს რომ გაიგეს მეფე გიორგიმ, იმერეთისა და კახეთის მფლობელებმა და მათმა ყველა ქვეშევრდომმა, გაიხარეს, შეკრიბეს მხედრობა და გაემართნენ.

იერუსალიმში რომ ჩავიდნენ, გაიგეს იქ მყოფებმა ამათი მისვლა, კაცი გამოუგზავნეს და ასე შემოუთვალეს: „თუ სტუმრები ხართ, მაშ მტრობა რაღა�ა. სტუმრების პირობაზე ბევრი ხართ, ხოლო თუ საომრად მოხვედით, ცოტანიო“. ამათ კი აცნობეს, ომისთვის მოვედითო. ეს რომ გაიგეს, გამოვიდნენ და დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ღმერთმა და ქრისტეს საფლავმა ქართველებს მისცა ძლევა და გაიმარჯვეს. გაქცეული [ურჯულოები] შევიდნენ ქალაქში და გამაგრდნენ. გამოედევნენ ქართველები, წაართვეს ციხესიმაგრე და ქალაქი. მრავლად ამოწყვიტეს ყველა იქ მყოფი,[201] გაათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველი წმიდა ადგილი. აცნობეს ხონთქარს ეს ამბავი და გამოუგზავნა ხალათები და მრავალი წყალობა. ხონთქარმა შეუვალი სიგელით მისცა მათ ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვრის მონასტერი და სხვა ყველა მონასტერი. გაიხარა მეფე გიორგიმ, ბატონმა ბაგრატმა და ლევანმა. წამოვიდნენ თავის მხარეში, ჩამოვიდნენ მშვიდობით გამარჯვებულები და იზეიმეს.

ამის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგი მიემხრო ხონთქარს,[202] ეს რომ შეიტყო იმერეთის მფლობელმა ბაგრატმა, შეკრიბა თავისი იმერლების ლაშქარი. კაცი გაუგზავნა კახაბერ გურიელს[203] და ისიც ბაგრატს გაჰყვა. გადაიარეს მთა და მურჯახეთში თავს დაესხნენ ყვარყვარე ათაბაგს. ათაბაგიც დაუხვდათ, შეიბნენ და დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. განდევნეს ათაბაგის მებრძოლები. კახაბერ გურიელის მერიქიფემ ისაკ ართუმელაძემ [ცხენიდან] ჩამოაგდო ყვარყვარე ათაბაგი, შეიპყრო და მიჰგვარა გურიელს. გურიელმა კი მიჰგვარა ბაგრატს იმერეთის მფლობელს. ქრისტეს აქეთ 1534[204] [წელს], ბაგრატი დაეუფლა საათაბაგოს. [ქვეყნიდან] გადაიხვეწა ოთარ შალიკაშვილი[205] და თან წაიყვანა ქაიხოსრო, ყვარყვარე ათაბაგის შვილი.[206]

ამ დროს გამოჩნდა შაჰ-ისმაილი,[207] შიხის ძე. როცა თემურ-ლენგი გამოვიდა ასპარეზზე, დაატყვევა შამის [მოსახლეობა] და იქიდან არდაველში გადავიდა. იქ იყო ერთი ვიღაც შიხი, გრძნეულების მოქმედი.[208]

მუსლიმებს მისი დიდად სჯეროდათ, სასწაულთმოქმედად ჰყავდათ. თემურ-ლენგს ქებით მოახსენეს ამ შიხის შესახებ და თვითონ მივიდა მის სანახავად. რაღაც ბოროტისმიერი სასწაული აღასრულა თემურ-ლენგის თვალწინ. მოეწონა თემურ-ლენგს მისი საქმე, უბრძანა, რასაც ისურვებ, მოგცემო. მაშინ თემურ-ლენგს თან ჰყავდა შამიდან დედა-ბუდიანად [წამოყვანილი] მრავალი ხალხი. შიხმა ეს მრავალრიცხოვანი [ხალხი] სთხოვა ამგვარი სიტყვით: „შამელები, რომლებიც დაგიტყვეევებია, მუსლიმები არიან. მაჰმადს არ დაუდია რჯულად, რომ მუსლიმმა დაატყვევოს მუსლიმი. ეს [ხალხი] მომეცი, რომ გავათავისუფლოო“. შეისმინა თემურ-ლენგმა შიხის ვედრება, მთლიანად მისცა ტყვეობაში მყოფი ოჯახები, მისცა ქალაქი არდაველი და არდაველის მთელი შემოგარენი. შიხმა კი გაათავისუფლა შამელი ტყვეები. ზოგიერთი მათგანი თავისთან გააჩერა, ზოგი კი წავიდა შამის ქვეყანაში.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ ირანი კუთხეებად დაიშალა, სათითაოდ გაინაწილეს ამ ქვეყნის მთავრებმა. ზოგიერთი მათი ამბავი ვრცლად არის აღწერილი სპარსეთის ისტორიაში. ეს შიხი არდაველში იჯდა, მთელ სპარსეთში კი ომიანობა იყო. შიხის შვილიშვილი შირვანის მბრძანებელმა მოკლა. ერთი ვაჟი დარჩა და იგი დაეუფლა არდაველს. ისიც თავისი უვარგისობის გამო მოკლეს, რაც ვრცლადაა აღწერილი სპარსეთის ისტორიაში. დარჩა [ერთი] შვიდი წლის ვაჟი – შაჰ-ისმაილი. თავრიზის მეფემ მოსაკლავად დაუწყო დევნა. შაჰ-მლუს [ხალხმა][209], წაიყვანა და გადამალა. სრულწლოვანი რომ გახდა, მოიყვანეს, დაეუფლა თავის სამფლობელო არდაველს. მას შემდეგ დაიწყო ბრძოლა ყველას წინააღმდეგ და მთელი სპარსეთი დაიპყრო.

მეფე ლუარსაბი[210]

იმხანად მონაზვნობა მიიღო ქართლის მეფე გიორგიმ. თავისი ვაჟი არ დარჩა. ქრისტეს აქეთ 1542[211] [წელს], მეფობა დაუტოვა ლუარსაბს, თავის ძმის შვილს, ღვთისმოყვარე, ურჯულო მტერთა გამანადგურებელ და ბრძოლაში უშიშარ კაცს. იმჟამად ბაგრატ მუხრანბატონმაც მიიღო მონაზვნობა. დარჩა ოთხი ძე: ვახტანგი, ერეკლე, არჩილი და აშოთანი.[212] ლუარსაბი დაეუფლა ქართლის ქვეყანას. მაშინ კათოლიკოსი იყო გერმანე,[213] თბილელი [მღვდელთმთავარი] – დომე[ნ]ტი, მროველი – გედევანი.

სპარსეთის ქვეყანას რომ დაეუფლა შაჰ-ისმაილი,[214] მერე ქართლში შემოსვლა მოინდომა და აღჯაყალაში[215] ჩამოვიდა. შაჰ-ისმაილის შემო-

სევის ამბავი რომ შეიტყო, [მეფემ] მრავლად შეკრიბა თავისი მხედრობა და თბილისში გამაგრდა. შაჰ-ისმაილმა ლუარსაბ მეფის საბრძოლო მზადების შესახებ რომ გაიგო, თავისი სარდალი ყარაფირი გამოგზავნა დიდი ლაშქრით. შემდეგ გადაწყვიტა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით მიაშველა მისკარბაში ელიასბეგი. მერე იფიქრა, იქნებ დამარცხებულიყო მისი ლაშქარი, თვითონაც ადგა და წამოვიდა. ეს რომ გაიგო მეფე ლუარსაბმა, თავისი მხედრობით გამოვიდა თბილისიდან, თელეთის ღელეში დაბანაკდა და იქ დარაზმა თავისი მხედრობა. ყარაფირი რომ მოვიდა, შეებნენ ერთმანეთს და ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. ისე შეერკინნენ ქართლელები, რომ მათი მხნეობის ამბავი სპარსეთის ისტორიაში ვრცლად არის აღწერილი. ურიცხვი ყიზილბაში განადგურდა ქართლელების ხელით. აჯობეს ქართლელებმა და განდევნეს ყიზილბაშები.

მათი გაქცევისას ელიასბეგ მისკარბაშიც მოვიდა, გაქცეული ლაშქარიც მოაბრუნა და თავისი მხედრობითაც შემოუტია ქართლელებს. წინანდელზე უფრო ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, ქართლელებმა ისევ ურიცხვი ყიზილბაში ამოწყვიტეს. ყიზილბაშების გაქცევისას შაჰ-ისმაილი ამოვიდა თელეთის მთაზე, რომელიც მდებარეობს ტაბახმელის მხარეს. გადმოიხედა და დაინახა ამოწყვეტილი და გაქცეული თავისი მხედრობა, ქართლელები კი მათზე ლომებივით გათამამებულები. შეწუხდა და [ბრძოლაში ჩაბმა] უბრძანა ყარა ყოინლუს,[216] თავის მხედრობას. ჩამოვიდა, ზურგის მხრიდან შემოუტია ქართლელებს ყარა ყოინლუმ. ქართლელები ომით ძალიან დაღლილები იყვნენ. დამარცხდა ქართლის მხედრობა და უკან გამობრუნდა.

წამოვიდა მეფე ლუარსაბი ზემო ქართლში, უნდოდა თავიდან შეეგროვებინა ლაშქარი და თავს დასხმოდა შაჰ-ისმაილს. ვეღარ შეძლო, რადგან ქართლელები მიმოფანტული იყვნენ და ჯარი ვეღარ შეკრიბა. მაშინ წამოვიდა შაჰ-ისმაილი და მოადგა თბილისის ციხეს, ბევრი წყალობა აღუთქვა თბილისის ციხისთავს. ენდო ციხისთავი და ჩააბარა ციხე. შევიდა ციხესიმაგრეში და თბილისიც[217] დაიპყრო შაჰ-ისმაილმა. თავისი ხელით დალეწა და შემუსრა ხატ-ჯვრები და ხიდის ყურეში ააგო თავისი რჯულის მეჩეთი.[218] გაბრუნდა და წავიდა თავის მხარეში, ციხეში კი მცველები დატოვა. ციხისთავს რომ არ ჩაებარებინა ციხე და ცოტა ხანს გამაგრებულიყო, მოვიდოდა მეფე ლუარსაბი, შემოუტევდა შაჰ-ისმაილს და, თუკი ღმერთი ინებებდა, დიდად დააზარალებდა. შაჰ-ისმაილის წასვლის შემდეგ მოვიდა მეფე ლუარსაბი და ისევ დაეუფლა ქართლს.

ამ დროს მოკვდა შაჰ-ისმაილი და მის ნაცვლად შაჰ-თამაზი[219] ავიდა ტახტზე. ჭკვიანი და სიმდიდრით სავსე[220] კაცი იყო შაჰ-ისმაილი. მან აღიარა შიას რჯული,[221] დაიწყო ოსმალების რჯულის გინება, განადიდა ალიას[222] სახელი და თავისი თავი ალის ძედ გამოაცხადა. იმ დროიდან აღიარეს ყიზილბაშებმა [იგი] იმამის[223] ძედ. ღმერთის შესაფერის პატივს მიაგებენ დღევანდელ დღემდე და ლოცულობენ მასზე არა მხოლოდ მისი მეფობის გამო, არამედ [იმიტომაც], რომ იმამის ძედ მიაჩნიათ. რაც შეეხება მის შვილებს, როცა მის ნაცვლად მისი ძე შაჰ-თამაზი გამეფდა, ძალზედ გამდიდრდა. უფრო მეტი ქვეყნები დაიპყრო, რომლებიც გადაურჩა შაჰ-ისმაილს.

იმხანად თბილისის ციხე ლუარსაბ მეფეს ჰქონდა აღებული და გამაგრებული. ყარაბაღში ყოფნისას შეიტყო ეს ამბავი შაჰ-თამაზმა, ფარულად შეკრიბა თავისი რჩეული ჯარი და გამოემართა მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ. იმჟამად გარდაეცვალა ლუარსაბ მეფეს მცირეწლოვანი ვაჟი და მცხეთაში წაიღო დასაკრძალად. სიყვარულის გამო მეფე და დედოფალი თან გაჰყვნენ [მცხეთაში]. იმ ღამით შემოვიდა თბილისში შაჰ-თამაზი. ღვთის განგებას რომ არ დაეფარა მეფე ლუარსაბი, თავის ვაჟის [ცხედარს] რომ არ გაჰყოლოდა [მცხეთაში], დედოფალთან ერთად ხელში ჩაუვარდებოდა [მტერს]. შაჰ-თამაზის შემოსევის ამბავი რომ გაიგო, სახიზარს მიაშურა და ჯარი ვეღარ შეკრიბა. ამის გამო შაჰ-თამაზი დარჩა თბილისში, ყველანი გასახიზნად მოემზადნენ. ხოლო ქალაქი თბილისი დაიპყრო შაჰ-თამაზმა და დედაბუდიანად ამოწყვიტა ყველა.

როცა თბილისის ციხისთავმა გულბადმა დაინახა, [ქალაქში] მოულოდნელად შემოსული შაჰ-თამაზი, შეეშინდა ლუარსაბ მეფისა, არ ამიკლოსო [მტრის] შემოსევის ვერ შეტყობის გამო. გამოვიდა ზემო ციხიდან[224] და ეახლა შაჰ-თამაზს. ციხის მცველებმა რომ გაიგეს ეს ამბავი და ციხისთავის წასვლა, ზოგიერთი მათგანი შინ წავიდა, ზოგიც შაჰ-თამაზს ეახლა. შაჰ-თამაზმა ბევრი საჩუქრები მისცა, ქრისტიანული რჯული დაათმობინა, დაიპყრო თბილისის ციხე, გაამაგრა და თვითონ ყარაბაღში წავიდა.

ეს რომ შეიტყო ლევან კახეთის მეფემ, ისიც დაუზავდა [შაჰ-თამაზს]. წავიდა შაჰ-თამაზი სომხეთის ნახჭევანში და სომეხი განდგომილები დაიმორჩილა. იმხანად სამცხეში იმყოფებოდა იმერეთის მბრძანებელი ბაგრატი. [ისიც] ეახლა მას,[225] რადგან ოთარ შალიკაშვილი და ყვა-

რყვარე [ათაბაგის] ვაჟი ქაიხოსრო ხონთქართან იყვნენ წასულები და მათგან მხარდაჭერა ჰქონდათ. ბაგრატიც იმიტომ ეახლა შაჰ-თამაზს, რომ მისი შემწეობა მიეღო. თვითონ შაჰ-თამაზი მოუცლელი იყო და ჯარი ვერ მიაშველა. ბევრი წყალობა მისცა, გამოისტუმრა და თვითონ ქვემოთ წავიდა.[226]

ბაგრატი დაბრუნდა სამცხეში. ოთარ შალიკაშვილსა და ქაიხოსროს, ყვარყვარეს ძეს, ხონთქარმა დიდი ლაშქარი გამოუგზავნა. სარდლად დაუყენა მუსტაფა ფაშა, თან დიდი ზარბაზანიც გამოატანა და მოადგნენ ზემო ქართლს. ეს რომ ბაგრატმა გაიგო, მოუხმო გურიელს. მოვიდა გურიელი და დაირაზმნენ ხონთქრის მხედრობის წინააღმდეგ. ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, უკუაქციეს ოსმალთა მხედრობა, მუსრი გაავლეს და გარბოდნენ ოსმალები. მოკლეს მუსტაფა ფაშა, ხელში ჩაიგდეს მათი საგანძური და თოფები.

ამის შემდეგ წავიდნენ ხონთქართან ოთარ შალიკაშვილი და ყვარყვარეს ვაჟი ქაიხოსრო. მეტად დაღონდა ხონთქარი მისი ჯარის დამარცხების გამო. შემოუსია [საქართველოს] აზრუმისა და დიარბექირის ფაშა და ურიცხვი ლაშქარი. ეს რომ შეიტყო იმერეთის მბრძანებელმა ბაგრატმა, დახმარება სთხოვა ქართლის მეფე ლუარსაბს, დადიანსა და გურიელს. ლუარსაბ ქართლის მეფეს, მართალია, არავინ ეხმარებოდა ურჯულოებთან ბრძოლაში, მაგრამ თვითონ, რაც კი შეეძლო, თავს არ ზოგავდა. მიდიოდა და [ყველას] ეშველებოდა, რადგან გული შესტკიოდა საქართველოზე, როგორც მამა [ზრუნავს ხოლმე] შვილებზე. შეკრიბა თავისი მხედრობა და წავიდა ბაგრატთან. მაშინ ბაგრატს არ შეუერთდა დადიანი. თავისი ჯარით მოვიდა გურიელი, იმერლები და მესხებიც შეუერთდნენ. ხონთქრის ჯარი შემოვიდა ბასიანში, ესენიც მოვიდნენ. ქართლელებმა ბრძოლაში მეწინავეობა მოინდომეს. მესხები არ შეეგუვნენ ამას, რადგან უწინაც ჩვენ ვიყავითო და წესი გვაქვსო მეწინავეობისა. ახლაც წესით, ჩვენ უნდა ვიყოთო. ქართლელები არ დაჰყვნენ და შეუტიეს [მტერს], ქრისტეს აქეთ 1545 [წელს][227]. ძლიერი ბრძოლა გაიმართა და ორივე მხრიდან დაიხოცნენ. მესხებმა კი, ქართლელების მეწინავეობის გამო, პირი იბრუნეს, არ გაჰყვნენ ქართლელებს. [ბრძოლაში] მოკლეს გურიელის ვაჟი ქაიხოსრო. სულ მთლად შემოემტვრათ ქართველებს აბჯარ-საჭურველი, აღარ ჰქონდათ საბრძოლო იარაღი. დამარცხდა საქართველოს ჯარი. გამოიქცნენ და ყველა თავის მხარეს გაემართა. ბაგრატი იმერეთში წავიდა, მეფე ლუარსაბი კი ქართლში.

მაშინ შემოიჭრნენ ურუმები[228], ვინც კი შეიპყრეს, უმოწყალოდ დახოცეს. გურიელი[ც] თავის სამფლობელოში წავიდა და ყველა თავის მხარეს გაემართა.

ურუმები დამკვიდრდნენ სამცხეში და ოთარ შალიკაშვილის განზრახვით, ჩადგნენ სამცხის ციხესიმაგრეებში. ასე ეუბნებოდა ოთარი: „თუკი დაეუფლებით სამცხის ციხესიმაგრეებს, ეს ქვეყანა თქვენი სამკვიდრებელი გახდებაო“. მაშინ მესხებმა ათაბაგად დასვეს ქაიხოსრო, ყვარყვარეს ვაჟი. [იგი] მუხრანბატონის მძახალი გახდა – აშოთან მუხრანბატონის ასული მოიყვანა ცოლად, სახელად დედისიმედი. ეს ქალი ურცხვი, თავნება და ამაყი იყო. როცა დაინახეს ათაბაგმა და ოთარ შალიკაშვილმა, რომ ოსმალებმა დაიპყრეს სამცხის ციხესიმაგრეები, მეტად ძალმომრეობდნენ და უსამართლოდ იქცეოდნენ სამცხეში, მაშინ ათაბაგმა და ოთარმა თავისი ქვეყნისთვის სასარგებლო რამ მოიფიქრეს, შაჰ-თამაზთან გაგზავნეს ელჩი და ასე შეუთვალეს: „ძველი დროიდან ეს ქვეყანა, სამცხე, სპარსეთის მეფეებს ეკუთვნოდა. ახლაც, თუკი მოისურვებთ, გაქვთ საიმისო ძალაუფლება, რომ [კვლავ] თქვენი გახდეს. დაგვეხმარე, ნულარ დაანებებ ოსმალებს ჩვენს თავს, ისევ თქვენი გახდეს ჩვენი ქვეყანა და უწინდელივით შენს მორჩილებაში ვიყოთ“. ეს რომ გაიგო შაჰ-თამაზმა, გაუხარდა და დიდი ჯარით წამოვიდა სამცხეში. როცა ამის შესახებ შეიტყო სულთანმა სულეიმანმა,[229] ისიც მრავალრიცხოვანი ლაშქრით წამოვიდა, ასე გადაწყვიტა: რადგან ოთარმაც მიღალატა და ათაბაგმაც და აღარ უნდათ, რომ მათი მბრძანებელი ვიყო, ახლა მეც იქ ჩავალ, დავანგრევ და გავაპარტახებ მათ ციხესიმაგრეს, ქაჯეთის ციხეს და არ დავუთმობ სპარსელებს იმ ქვეყანასო.

გაიგო შაჰ-თამაზმა ხონთქრის წამოსვლის ამბავი. არ შეეძლო მას სულთან სულეიმანთან შებრძოლება. ასეთი გამოსავალი მონახა და ოთარს შემოუთვალა: „ეს იცოდე, რომ რაც არ უნდა კარგი საქმე [გამიკეთო], არაფრის გულისთვის მე შენ ცოცხალს არ დაგტოვებო“. ეს წერილი მიიღო ოთარმა, სულთანს გაუგზავნა და ასე მისწერა: „თქვენც მიწყრებით და ყაენიც უფრო მეტად არის ჩემზე გულმოსული. ახლა მე რაღა ვქნა, ღმერთი იყოს მსაჯული თქვენსა და ჩემ შორისო“. ინება ღმერთმა, შეიბრალა სულთანმა და უკან გაბრუნდა. აღარ მოვიდა სამცხეში და შინ გაბრუნდა.

როცა იმერეთის მფლობელი ბაგრატი[230] დაბრუნდა თავის სამფლობელოში, ლევან დადიანი[231] ხონის ჭალაში მიიწვია. უღალატა და

შეიპყრო ლევან დადიანი იმის გამო, რომ ურუმებთან ბრძოლაში არ დაეხმარა. [მისი] შეპყრობის შემდეგ, კაცი გაუგზავნა, ასე შეუთვალა: „დადიანი დავიჭირე და ჩემს ხელშია. წავიდეთ ოდიშში, დავლაშქროთ, ნახევარი შენი იყოს, ნახევარი ჩემიო“. ეს რომ გურიელმა გაიგო, ასე იფიქრა და თქვა: „დადიანი დაუტყვევებია, ოდიშს დაიპყრობს და მერე ჩემს ქვეყანასაც წამართმევს, სულ გააერთიანებსო [დასავლეთ საქართველოს]. ბაგრატსაც სწორედ ეს უნდოდა და აღარ დაუჭირა მხარი გურიელმა. მეფემ კი ასე გადაწყვიტა: არ უნდა გაერთიანდნენ გურიელი და ოდიშის მკვიდრნი, რომ მერე ჩემ წინააღმდეგ შური არ იძიონო. დადიანისთვის თვალების დათხრა უნდოდა, მაგრამ აღარ დაუშანთა თვალები და გელათის სამრეკლოში გამოამწყვდია. ქაიხოსრო ათაბაგმა[232] გაიგო დადიანის დატყვევების ამბავი და ხოფილანდრე ჩხეიძე მიუგზავნა. [მან] გამოაპარა იქიდან და ჩაიყვანა ათაბაგთან. მიიმხრო ათაბაგმა გურიელი, ჩაიყვანა ოდიშში და იქაურობას დააპატრონა.

მაშინ გაუწყრა ხონთქარი გურიელს – ბასიანის ბრძოლაში ბაგრატს რომ არ გამოჰყოლოდი, იმდენ ხალხს ვერ ამომიწყვეტავდაო ბაგრატი. შემოუსია ჯარი, კატარღებითა და ნავებით მოვიდნენ ბათუმში და დაიწყეს ციხის შენება. შეკრიბა გურიელმა თავისი მხედრობა და გაემართა ოსმალებთან საომრად. ღმერთმა ხელი მოუმართა და გაიმარჯვა. ხმელეთიდან განდევნა, ზღვაში შევიდნენ ნავებით, ღელვა დაიწყო და ჭოროხის გაღმა გადავიდნენ. წყალდიდობა იყო, ჭოროხში ცხენებით ვეღარ გავიდნენ, მოადგნენ გონიოს და დაიწყეს ციხის შენება. გაძლიერდნენ ოსმალები, ჭანეთი ამოწყვიტეს, გურიელს წაართვეს და თვითონ დაიკავეს.

იმხანად იმერეთს განაგებდა ბაგრატი, [მას] ჰქონდა იმერეთი. კაცი გაუგზავნა გურიელმა ლევან დადიანსა და როსტომს:[233] „თუკი ესენი გამაჩანაგებენ, ამის შემდეგ თქვენც დიდ უბედურებას მოგიტანენო“. მაშინ შეკრიბა დადიანმა თავისი ჯარი და აფხაზები, წამოვიდა და რიონის ყურეში[234] დაიბანაკა. ბაგრატმა რომ გაიგო, დადიანი გურიელს ეხმარებოდა, უფრო მეტად შეკავშირდებიანო [იფიქრა]. გურიელის დასახმარებლად ხუთასი კაცით გაგზავნა თავისი ძმა ვახტანგი[235] და სთხოვა – ეცადე, დადიანი გურიელს [არ] დაეხმაროსო. წავიდა ვახტანგი, ჩამოვიდა საჯავახოში და შეუთვალა დადიანს: „მე ხომ შენი ძმადნაფიცი ვარ, ეს იცოდე, რომ ჩემი ძმა და გურიელი შეთანხმებული არიან. როგორც კი ჩამოხვალ გურიაში, თავს უნდა დაგესხან და მოგ-

კლანო“. ეს რომ მეგრელებმა გაიგეს, შეშინებულები აღარ წამოვიდნენ რიონიდან. ვახტანგი კი ჩამოვიდა გურიელთან ბათუმში. იქ დახვდნენ როსტომ გურიელი[236] და გურულები. რაკიღა დადიანი ვეღარ დაეხმარა, კატარღა და ნავები ვერ იშოვეს და ვერც გაღმა მხარეს გადავიდნენ. ოსმალებმა გაიგეს ეს ამბავი, ააშენეს ციხეები და დაიპყრეს ჭანეთი. ვახტანგი კი შინ გამობრუნდა.

იმხანად გარდაიცვალა ბაგრატი,[237] გელათში დაკრძალეს. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა გიორგი, მისი ძე.[238] თორმეტი წლის მანძილზე განაგებდა როსტომი გურიას. ისიც გარდაიცვალა და დაკრძალეს შემოქმედში. როსტომს სამი ვაჟი ჰყავდა, უმცროსს გიორგი[239] ერქვა. ის დასვეს გურიის მთავრის ტახტზე. მისი ერთი და დადიანის ძეს ჰყავდა ცოლად. როსტომ გურიელი რომ გარდაიცვალა, მაშინ დადიანის ვაჟი გაეყარა თავის ცოლს, ბიძამისს წაართვა ქალი, თვითონ შეირთო და განარისხა ღმერთი. გამოხდა ხანი და ისევ შეკავშირდნენ გიორგი გურიელი და დადიანი. გურიელმა შეირთო დადიანის ასული. ცოტა ხანში გურიელიც გაეყარა დადიანის ქალს, რადგან უწინ მის დას გაეყარა [დადიანის] შვილი. იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ შეიტყო დადიანისა და გურიელის გადამტერების ამბავი. ერთი ქვრივი რძალი ჰყავდა, გურიელს მისცა თავისი ქალის მაგიერ და ესენიც [...].[240]

მაშინ დაიწყეს შუღლი და ბრძოლა დადიანის წინააღმდეგ. არ შეეძლო დადიანს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. გადაიხვეწა და სტამბოლში ჩავიდა, სულთანს[241] ეახლა, დახმარება სთხოვა. დაეხმარა სულთანი დადიანს, არზრუმისა და ტრაპიზონის ჯარი მისცა. წამოვიდნენ, მოადგნენ სატყეპელას.[242] გურიელმა შეიტყო, რომ დადიანს სულთანი დაეხმარა და დიდი ჯარით გამოგზავნა. ასეთი გამოსავალი ნახა, დაუწყო ხვეწნა დადიანს, შუაკაცი გაუგზავნა, ათასი ფლური[243] მისცა დადიანს სისხლის ფასად და შერიგდნენ.

ახალი გამეფებული იყო იმერეთის მბრძანებელი გიორგი, მტკიცედ ვერ ეპყრა თავისი საბრძანებელი. მაშინ თავისთან დაიბარა გიორგიმ ჯავახ ჭილაძე, უღალატა და მოკლა. ეს გაიგო გიორგი გურიელმა და ძალიან ეწყინა. შერიგდნენ დადიანი და გურიელი, დაანებეს [მეფეს ჯავახ ჭილაძის ღალატი]. ნახევარი [საჯავახო] გურიელმა დაიკავა, ნახევარი კი დადიანმა.

იმხანად გარდაიცვალა დადიანი. ისე მოხდა, რომ ნადირობისას ჯაიანმა ცხენი აძგერა და მოკლა დადიანი.[244] მაშინ დადიანის ტახტზე

დასვეს გიორგი, მისი უფროსი ძე.[245] ეს გაიგო გურიელმა, გადაიბირა მამია, მისი უმცროსი ძმა,[246] ჩაიყვანა გურიაში და თავისი და შერთო ცოლად. მერე ლაშქარი მისცა გურიელმა, თვითონაც წავიდა და ჩავიდნენ ზუგდიდში. გამართეს ბრძოლა, გურიელმა გაიმარჯვა, ჩამოაგდეს გიორგი დადიანი, დადიანის ტახტზე დასვეს მისი ძმა მამია, გურიელი კი გაბრუნდა თავის მხარეს. გიორგი დადიანმა შეკრიბა აფხაზების, ჯიქებისა და ჩერქეზების ლაშქარი. გურიელმაც ისევ ათხოვა ჯარი მამიას, თავის სიძეს და გამართეს ბრძოლა. ისევ მამიამ გაიმარჯვა და გაიქცა გიორგი დადიანი.

გიორგი დადიანმა მოლაპარაკება გამართა იმერეთის მბრძანებელ გიორგისთან. დახმარების პირობა მისცა იმერეთის პატრონმა გიორგიმ. გიორგი დადიანმა შემოუთვალა: „რაკიღა ერთი ჩერქეზის ქალი თქვენ გყავთ და ერთიც გურიელს, მესამე და კი, თქვენ რომ ზრდით, გასათხოვარია, მე მომეცით, აბა სხვა რით გენდოთო“. გიორგი ბატონმა გურიელს ჰკითხა: „მივცე [ჩერქეზის ქალი] თუ არაო?“ გურიელმა უპასუხა: „მე მის ქალს გავეყარე და სისხლის ფასი გამომართვა, იგი ჩემს დას გაშორდა და სისხლის ფასი მომცესო“. ეს პირობა შეუთვალეს გიორგი დადიანს. დათანხმდა დადიანი სისხლის ფასის მიცემაზე. ვერცხლის ფული არ ჰქონდა, გაქცეული იყო. რაც გურიელს ჰქონდა გადახდილი სისხლის ფასი, იმის გირაოდ მისცა ხოფი და მისცეს მესამე ჩერქეზი და გიორგი დადიანს. სამივე ერთმანეთის ქვისლი გახდა და დამოყვრდნენ. მამია დადიანმაც, რადგან უფროსი ძმა იყო, დაუთმო, წესით მას ეკუთვნოდა დადიანის ტახტი და იმანაც დაანება. მამია დადიანს ლომკაც ჭილაძისა და რევაზისეული[247] [მამული] მისცეს და შერიგდნენ. მას შემდეგ დამყარდა მშვიდობა სამ საბატონოს შორის.

ეს რომ გაიგო დათულიამ, დადიანის ბიძამ, შეკრიბა საჯავახოელები და გამოემართა, რომ ეღალატა გიორგი დადიანისთვის. შეიტყო ეს საქმე დადიანმა, ვეღარ უღალატა და გაბრუნდა დათულია უკან საჯავახოში. მაშინ გიორგი დადიანმა, მისმა ძმამ, მამიამ და გიორგი ბატონმა შეუთვალეს გიორგი გურიელს, ასე მისწერეს: „რადგან დათულიამ ღალატი გამოიჩინა, ახლა შენ უმუხთლე მაგას, მოკალი და საჯავახო დაიპყარიო“. გიორგი გურიელი ასე მოიქცა: შეიპყრო დათულია, დაატყვევა ოზურგეთში და საჯავახოს თვითონ დაეპატრონა. ისევ შეუთვალეს გურიელს, მოკალიო, მაგრამ გურიელმა არ მოკლა. შემდეგ თვითონ გაგზავნეს კაცი და მოაშთვეს დათულია.

იმხანად გარდაიცვალა გიორგი დადიანი. ისევ მამია დადიანი დაეუფლა ოდიშს და ავიდა დადიანის ტახტზე. დადიანს ერთი ვაჟიშვილი დარჩა, ლევანი ერქვა. ღმერთი განარისხა გიორგი გურიელმა – წაართვა ის ბავშვი დედამისს, წამოიყვანა და შხეფის ციხეში გამოამწყვდია. ბავშვმა ტყვეობას ვერ გაუძლო, გადმოვარდა გალავნიდან და გარდაიცვალა. იმერეთის მბრძანებელს, დადიანსა და გურიელს ერთმანეთში მშვიდობა და ერთობა ჰქონდათ.

როცა სულთანი სულეიმანი[248] უკან გაბრუნდა, მაშინ შაჰ-თამაზი სამხრეთით იყო. ქართლის მეფემ, კახეთის ბატონმა და ათაბაგმა ადარბადაგანის რბევა და აოხრება დაიწყეს. იმხანად შაჰ-თამაზს განუდგა შაქის მფლობელი, ასან ბეგის ძე, სახელად დავრიშ მაჰმადი. სულთანი სულეიმანი უკან რომ გაბრუნდა, შაჰ-თამაზმა ყარაბაღში შეკრიბა ჯარი. ასანბეგი შაჰ-თამაზის მორჩილი იყო, ხოლო მისმა ძემ, დავრიშ მაჰმადმა, აღარ ისურვა მორჩილება და განუდგა. ამის გამო შაჰ-თამაზმა ყარაბაღში შეკრიბა ჯარი და კაცი გამოუგზავნა კახეთის ბატონ ლევანს, დახმარება ითხოვა მისგან. წამოვიდა ლევანი, ეახლა შაჰ-თამაზს და დაემორჩილა. როდესაც ასან-ბეგი, დავრიშ მაჰმადის მამა, შაჰ-ისმაილის მორჩილებაში იყო, მაშინ ლევანი შაქში თავს დაესხა ასან-ბეგს, მოკლა და დაარბია შაქი. ამის შემდეგ მოიყვანეს შაქის მცხოვრებლებმა მისი ვაჟი, დავრიშ მაჰმადი და მბრძანებლად გაიხადეს. მას შემდეგ მტრობა ჰქონდათ კახეთის ბატონ ლევანსა და დავრიშ მაჰმადს. ესენი რომ შეიკრიბნენ, მერე გაგზავნა შაჰ-თამაზმა შირვანში თავისი ჯარი. ეს შეიტყო დავრიშ მაჰმადმა, თავს დაესხა და მრავალი მოლაშქრე დაუხოცა. ქრისტეს აქეთ 1546[249] [წელს], როდესაც შაჰ-თამაზმა გაიგო, რაც დავრიშ მაჰმადმა გააკეთა, მოაგროვა [ჯარი] და გაემართა შირვანისკენ. შაქის მცხოვრებლებმა გაიგეს შაჰ-თამაზის მისვლის ამბავი, ძალიან შეშინდნენ. მაშინ გაუგზავნა შაჰ-თამაზმა წერილი დავრიშ მაჰმადს: „მოდი ჩემთან და მიპატიებია შენი დანაშაულიო“. მან არ შეისმინა, გაამაგრა თავისი ციხესიმაგრეები და ომისთვის მოემზადა. გაიგო შაჰ-თამაზმა მისი ამბები, გაგზავნა კახეთის ბატონი ლევანი, სხვა ხანები, თავისი ორი სარდალი და ჯარი. ჩავიდნენ შაქში, მთლიანად ააოხრეს დასახლებული და ცარიელი [ადგილები] და მოადგნენ იმ ციხესიმაგრეს, სადაც დავრიშ მაჰმადი იმყოფებოდა. გარკვეული დროის შემდეგ ვეღარ შესძლო ციხის შენარჩუნება, ღამით გაიპარა და უნდოდა ჩუმად გადახვეწილიყო. როცა დავრიშ მაჰმადი გამოვიდა,

გაიგო ლევან ბატონმა, დაედევნა, დაეწია, გამართეს ბრძოლა და გაიმარჯვა ბატონმა ლევანმა. ლევანის მოლაშქრეებმა მოკლეს დავრიშ მაჰმადი. მისი თავი ლევანმა შაჰ-თამაზს მიართვა. მრავალი წყალობა მისცა შაჰ-თამაზმა ლევან ბატონს. გამოგზავნა თავის მხარეში ლევან ბატონი, თვითონ კი ყარაბაღს გაემართა.

ჩავიდა ყარაბაღში, მაინც არ დაიოკა ლუარსაბ მეფის მტრობა და ისევ თბილისისკენ გამობრუნდა. ააოხრა თბილისი და მისი შემოგარენი. აიღო თბილისის ციხე და იქ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. ლუარსაბს კი ვერაფერი დააკლო. ქართლზე იმიტომ იყო გადამტერებული, რომ ლუარსაბ მეფე, თავისი ზეობის დროს, არც ყაენს დაემონა და არც ხონთქარს. იმიტომ, რომ თუკი ისიც დაემორჩილებოდა, სხვა ყველა ისედაც დამონებული იყო, ქვეყანა გათათრდებოდა და მოხარკედ გადაიქცეოდა. ამიტომ მრავალჯერ ამოწყვიტა ლუარსაბ მეფემ, როგორც ხონთქრის, ასევე ყაენის ჯარი.

ამჯერად ასეთი რამ მოიფიქრა შაჰ-თამაზმა – შეუთანხმდა ქაიხოსრო ათაბაგს[250] და მისი მონათესავე [ქალი] სთხოვა ცოლად. ათაბაგს თავისი [გასათხოვარი] არავინ ჰყავდა. ათაბაგის მონათესავე იყო ოთარ შალიკაშვილი, ამიტომ მისი თანხმობით გამოართვა ქალი და, როგორც თავისი ნათესავი, გაუგზავნა ყაენს და ყაენმა ცოლად შეირთო. ცოლად რომ მიიყვანა, შეუყვარდა ყაენს და შეეწყვნენ ერთმანეთს ყაენი და ათაბაგი. შეიტყო ლუარსაბ მეფემ, რომ ათაბაგი დაემორჩილა შაჰ-თამაზს, შეუთანხმდა ივჯუს და შერმაზანს,[251] შემოიკრიბა ესენი და თავს დაესხა ქაიხოსრო ათაბაგს, მრავალი თემი წაართვა და აუოხრა. ქაიხოსრომ შაჰ-თამაზს მისწერა, რომ „მოვიდა მეფე ლუარსაბი, ააოხრა ჩემი სამფლობელო და აზრუმის ფაშა ისკანდერიც [სალაშქროდ] მოდისო“. შაჰ-თამაზმა შაქი რომ დაიპყრო, ის ჯარი ჯერ კიდევ არ ჰყავდა დაშლილი. ეს რომ გაიგო, წამოვიდა [საომრად]. შემოეგება ქაიხოსრო ათაბაგი, წინ გაუძღვა და შეიყვანა სამცხეში. შაჰ-თამაზმა მისი ძე, მირზა-ისმაილი გაგზავნა კარში. ჩაივიდა მირზა-ისმაილი, დაიპყრო ციხესიმაგრეები, ამოწყვიტა და განდევნა კარის მცხოვრებლები, ვინც კი ოსმალები იყვნენ. შევიდა სამცხეში შაჰ-თამაზი, დაიპყრო ციხესიმაგრეები და განდევნა ოსმალები. ზოგიერთები, ათაბაგისგან განდგომილები, ერთ ციხესიმაგრეში იყვნენ. აიღო ეს ციხე და დაატყვევა. ეკლესია, რომელიც იქ იყო, შემუსრა, ხატ-ჯვრები დალეწა. ეს რომ შეიტყვეს ომანმა და შერმაზანმა, შეეშინდათ და ეახლნენ

შაჰ-თამაზს. ივჯუზიც ეახლა. შაჰ-თამაზთან დააბეზღეს ივჯუზი და შერმაზანი, ესენი თქვენს ხელისუფლებას არ სცნობენო. ორივე სიკვდილით დაასჯევინა შაჰ-თამაზმა, ხოლო მათი მამულები ქაიხოსრო ათაბაგს მისცა.

ზემო ქართლში ყველა საქმე მოიგვარა, მერე კი გამოემართა მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ. ჩამოიარა თრიალეთი და ააოხრა. წამოვიდა საბარათიანოზე და ისიც ააოხრა. მოვიდა და მოადგა ბირთვისის ციხეს. მცირე ხნით იქ დაბანაკდა. ციხის სიმტკიცე რომ დაინახა, დაეთათბირა მეციხოვნე ბარათაშვილებს, ბევრი წყალობა აღუთქვა და მიინდო ისინი. მერე კი აღარ დაინდო, ზოგი დაატყვევა, ზოგსაც კი თავისი მამული დაუმტკიცა.

მეფე ლუარსაბს ასეთი ჩვევა ჰქონდა, თუკი ჯარი ეყოლებოდა, არ მოერიდებოდა, რაც არ უნდა დიდი ჯარი ყოფილიყო [მტრისა]. ხოლო, თუკი ჯარი არ ჰყავდა, დააცდიდა და თვალყურს ადევნებდა. სადაც მოიხელთებდა მოთარეშეებს, ან მცირე რაიმე ჯარს, დაირაზმებოდა, გაემართებოდა და ძლიერ ბრძოლას გაუმართავდა. მცირერიცხოვანი მხედრობით თათრების დიდ ჯარს ამოსწყვეტავდა ხოლმე.

შაჰ-თამაზი გადავიდა გორში. აიღო გორის ციხე, ვერის ციხე[252] და გარშემო არსებული ყველა ციხესიმაგრე. მერე მიადგა ატენის ციხეს, რომელიც საცივის თავში მდებარეობს, რადგან მასში იმყოფებოდნენ ლუარსაბ მეფის დედა და მრავალი თავადი მათი ოჯახებით. ამის გამო ძლიერი ბრძოლა გაუმართა და გარკვეული დროის შემდეგ, ქრისტეს აქეთ 1556[253] [წელს], აიღო ატენის ციხე. დაატყვევა ლუარსაბ მეფის დედა, ბევრი თავადის ოჯახი და ბევრიც სხვა ტყვე ჩაიგდო ხელში. ყველანი დაატყვევა და წავიდა. გაიგო მეფე ლუარსაბმა დედამისისა და მისი თავადების ტყვედ ჩავარდნის ამბავი, უკან გაჰყვა, დაეწია [მტრის] ჯარის ბოლო ნაწილს, ბევრი ყიზილბაში გაწყვიტა და მრავალი ნადავლი წაართვა, მაგრამ დედამისის გათავისუფლება ვერ მოახერხა. როცა ერევანში ჩავიდა შაჰ-თამაზი, მაშინ მიხვდა ლუარსაბის დედა, რა შეურაცხყოფაც მოელოდა, საწამლავი დალია, თავი მოიკლა და არ დაამცირებინა თავი. უკან გამობრუნდა დედამისის დატყვევებისა და ქვეყნის აოხრების გამო დამწუხრებული მეფე ლუარსაბი. შაჰ-თამაზიც წავიდა თავის მხარეში და თბილისის ციხეც მას დარჩა.

მაშინ [შაჰმა] ყაზახში და შამშადილში თავისი ხანი დასვა. უწინ ამ ქვეყანას რანი ერქვა. სულთანი დასვა [ასევე] განძაში, ბარგუშათში და

შაქში. განძის სულთანი დაადგინა უფროსად და დაავალა: „თუკი ლუარსაბ მეფემ თბილისის ციხეს ბრძოლა დაუწყოს, თქვენ უნდა დაეხმაროთო თბილისის ციხის მცველ თათრებს“.

ამის შემდეგ ლუარსაბი გულჯავრიანი იყო იმის გამო, რომ [თბილისის] ციხე და შემოგარენი ადგილები თათრებს ჰქონდათ დაპყრობილი. შეკრიბა მხედრობა და წამოვიდა მათ წინააღმდეგ. საბარათიანოს მხარეს, რაც კი ადგილები და ციხესიმაგრეები ეჭირათ თათრებს, წაართვა და ყოველ მათგანს თვითონ დაეუფლა თბილისის ციხის გარდა. ეს შეიტყო განძის სულთანმა შავერდიმ, შეკრიბა ყარაბაღის ჯარი, ყველას მოუყარა თავი, ვის შესახებაც შაჰ-თამაზს ჰქონდა ნაბრძანები და წამოვიდა მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ. ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, ლუარსაბ მეფემ მინდორში შებრძოლება არ ისურვა, გარისში გადავიდა.[254] ლუარსაბ მეფეს სამი ვაჟი ჰყავდა: სვიმონი, დავითი და ვახტანგი.[255] ყიზილბაშები უკან გაჰყვნენ. მაშინ ლუარსაბი დაუძლურებული იყო მოხუცებულობის გამო. სვიმონი, მისი ძე, თავისთან მიიყვანა. გაატანა სვიმონს თავისი ლაშქარი, თვითონ კი უკან დადგა ეპისკოპოსებისა და მოხუცებულ საეროთა ამალის თანხლებით. მოვიდნენ ყიზილბაშები. როგორც კი სვიმონ ბატონიშვილმა და ქართლელებმა დაინახეს [მტერი], ისე შემოუტიეს, როგორც ლომებმა კანჯრის ჯოგს. შეუტიეს ქართლელებმა და თავგამეტებით იბრძოდნენ, ურიცხვი ყიზილბაში ამოწყვიტეს და განდევნეს მათი ლაშქარი.

შავერდი სულთანი და სხვა ყიზილბაში მხედრები გაიქცნენ და ტყეებში გაიფანტნენ. მაჰმად სულთანი შეშინებული დაეხეტებოდა ტყეში. მაშინ გადაეყარა მცირე ამალით მდგომ ლუარსაბ მეფეს. მეტი გამოსავალი არ ჰქონდა სულთან მაჰმადს, წასასვლელი გზა აღარ ჰქონდა და შემოუტია მეფე ლუარსაბს. ისე გამხნევდნენ ეპისკოპოსები და მოხუცებული ერისკაცები, რომლებიც თან ახლდნენ მეფეს, თითქოს ოცდაათი წლისები გახდნენ. შეუტიეს ყიზილბაშებს და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. გააქციეს მაჰმად სულთნის რაზმი და მრავალ მათგანს გაავლეს მუსრი. დაინახა ლუარსაბ მეფემ მაჰმად სულთანი. შუბიც გადამტვრეული ჰქონდა მეფეს და სხვა ყველა საბრძოლო იარაღი დალეწილი. ცხენით შეუტია, თავისი მერანი აძგერა სულთან მაჰმადის ბედაურს, დაბლა დასცა ცხენიცა და მხედარიც. შემდეგ სხვასაც შეუტია. გზაზე რაღაც თხრილი დახვდა. მიწის ნაპრალში ჩაუვარდა ფეხი მის ცხენს. ცხენი წამოექცა მეფე ლუარსაბს. მოეჭრა ვიღაც ყიზილბაში, სახელად ზაქირი, ჩასცა მახვილი და სა-

სიკვდილოდ განგმირა[256] მეფე. თვითონ მოახტა ლუარსაბ მეფის ცხენს და გაქუსლა. გამოედევნენ ქართლელები, დაეწივნენ, ისიც მოკლეს, მაჰმად სულთანიც და ვინც კი ყიზილბაში გადაეყარათ, მახვილით ამოწყვიტეს.

სვიმონი ყიზილბაშებს დევნიდა და მუსრს ავლებდა. მიუტანეს ბატონიშვილს[257] [მეფის] ამბავი და მოვიდა მამამისთან. ყიზილბაშები კი წავიდნენ განძაში. ლუარსაბმა რამოდენიმე დღე კიდევ იცოცხლა. და გარდაიცვალა ლუარსაბი – ვახტან გორგასალის მსგავსი წამებული მეფე[258]. ამდენი რომ არ ებრძოლა მეფე ლუარსაბს, ახლა საქართველო მთლიანად გათათრებული იქნებოდა. რაც კი დღეს საქართველოს სახელი და დიდებაა, სულ მისი ხმლის დამსახურებაა. ლუარსაბი იყო ბრძენი და ღვთისმოშიში კაცი, კეთილმორწმუნე და ღვაწლმრავალი, ომში მხნე და გაბედული მებრძოლი, ლომივით ძლიერი, კარგი სარდალი. აიღო [სვიმონმა] მისი პატიოსანი სხეული და დაკრძალა მცხეთაში, ღვთის მიერ აღმართულ სვეტიცხოველში, მის განსასვენებელში. დიდი ზარი და გლოვა დაიწყეს ქართლელებმა. მეფე ლუარსაბი გარდაიცვალა, ქრისტეს აქეთ 1517[259] [წელს].

სვიმონ მეფე[260]

მამამისის წილ სამეფო ტახტზე ავიდა სვიმონ მეფე. იქვე მცხეთაში აკურთხეს. იმხანად კათოლიკოსი იყო ნიკოლოზი. გარდაიცვალა კათოლიკოსი ნიკოლოზი და აღსაყდრდა დომენტი.[261] შემდეგ სვიმონ მეფე კახეთის მბრძანებელ ლევანს დაუმძახლდა. ბატონმა ლევანმა თავისი ასული, შამხლის ქალისგან შეძენილი, მიათხოვა და გადაიხადეს დიდებული ქორწილი[262]. ხუთი წლის განმავლობაში მშვიდობა სუფევდა.[263] [სვიმონი] დაეუფლა ქართლს და კარგადაც პატრონობდა. შემდეგ ამანაც დაიწყო ბრძოლა. შეკრიბა თავისი მხედრობა და ჩამოვიდა ციხედიდში. აცნობა თავის ცოლისძმას, კახეთის უფლისწულ გიორგის და დახმარება ითხოვა მისგან. ჩამოვიდა გიორგი, მისი ცოლის ძმა და შეუერთდა ციხედიდში. ეს გაიგეს სპარსელებმა და საჩქაროდ გამოემართნენ ფარულად. მაშინ ხუნანი ქვიანი ვაშლნარი იყო და თელეთი აოხრებული. მოვიდნენ და იაღლუჯას [მთაზე] დაბანაკდნენ. იქიდანაც ფარულად წამოვიდნენ. მაშინ თბილისის ციხე თათრებს ჰქონდათ დაკავებული. მათ არ გათქვეს და ღამით გამოემართნენ.

სვიმონ მეფეს გამოეპარა [მტრის მოძრაობა]. მუხათგვერდში დარაჯად იდგა ფარეშად გერმანოზიშვილი. აღდგომის ღამე იყო, სოფელ

მუხათგვერდში ავიდა, რომ აღდგომის დღესასწაულსა და წირვას დასწრებოდა, მერე კი ისევ დაბრუნებულიყო და გზის მცველად დამდგარიყო. ამასობაში შემოვიდნენ ყიზილბაშები, ვერ გაიგო ფარეშადმა და ქრისტეს აქეთ 1570[264] [წელს], თავს დაესხნენ სვიმონ მეფეს. ძლიერი ბრძოლა გაიმართა. თავდადებით იბრძოდნენ ქართლელები და მეფე სვიმონი. მაშინ მოკლეს გიორგი, ლევან [კახ]ბატონის შვილი, ამოწყვიტეს თავადები, აზნაურები და მრავალი მსახური. ორჯერ უფრო მეტი ყიზილბაში გაწყდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ ქართველები. გაიქცა სვიმონ მეფე და მისი მხედრობა, ყიზილბაშები კი გაბრუნდნენ გამარჯვებულები და წავიდნენ თავის მხარეს. დიდი გლოვა გაიმართა ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების გამო. წაიღეს და დაკრძალეს ალავერდში, მის საძვალეში.

დავითმა, სვიმონ მეფის ძმამ, რომ დაინახა, რაც მოხდა (ეს დავითი იყო უღმერთო და წუთისოფლის მოყვარე კაცი, მეძავ-მემრუშე. მის გულში არ იყო ზრუნვა სულისა და სამშობლოსთვის. ამბობენ, რომ მამამისის, მეფე ლუარსაბის, სიკვდილშიც იყოო გარეული), უღალატა თავის ძმასა და ქვეყანას, წავიდა ყაენთან და ყაზვინში ეახლა შაჰ-თამაზს. თან გაჰყვა ზოგიერთი თავადი, აზნაური და მსახური. გათათრდა და უწოდეს დაუდ-ხანი. იქ დიდი პატივი მიაგო შაჰ-თამაზმა, თავისი ძმა უწოდა და ასწავლა მაჰმადის რჯული. გამოგზავნა თბილისში და ქართლის მხარეებში, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდა. აცნობა განძის სულთანს, რომ დახმარებოდა მას.

ჩამოვიდა დაუდ-ხანი თბილისში და დაეუფლა მას. ამ ამბის გამო ჯავრობდა სვიმონ მეფე და მთელი ქართლი. შეკრიბა ჯარი სვიმონ მეფემ და ქრისტეს აქეთ 1568[265] [წელს], გაემართა დაუდ-ხანის წინააღმდეგ საომრად. მოვიდა სვიმონ მეფე დიღომში. ეს გაიგო დაუდ-ხანმა, ყაენის დახმარებით გაძლიერდა, შეკრიბა, რაც კი მხედრობა ჰყავდა თბილისსა და მის შემოგარენში, ქართლის [სხვა ადგილებში], წამოვიდა და დიღომში წინ დაუხვდა სვიმონ მეფეს. დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და გამართეს ძლიერი ბრძოლა. დაუდ-ხანის მრავალი მებრძოლი განადგურდა და ღმერთმა გამარჯვება სვიმონ მეფეს მისცა. გაიქცა დაუდ-ხანი და შევიდა თბილისის ციხეში. მოადგა გარედან სვიმონ მეფე, დაეუფლა მთელ შემოგარენ ადგილებს და დიდი ხნით დაბანაკდა [თბილისის ციხესთან]. შეაწუხეს [მეციხოვნე ყიზილბაშები]. გარკვეული დროით ალყაში ჰყავდათ.

შეწუხდა დაუდ-ხანი, კაცი გაგზავნა სარდალ ჰუსეინ ბეგთან ყარამანლუში, აცნობა მისი შევიწროების ამბავი და დახმარება ითხოვა მისგან. ჰუსეინ ბეგმა რომ გაიგო, სწრაფად წამოვიდა. სვიმონ მეფემ ვერ შეიტყო მისი მოსვლა და შევიდა [ჰუსეინ ბეგი] თბილისის ციხეში. იმედი მიეცა დაუდ-ხანს და გაუხარდა. გაიგო ეს სვიმონმა, გამოერიდა და ტაბახმელაში ავიდა. ეს რომ დაუდ-ხანმა დაინახა, გათამამდა და საბრძოლველად გამოვიდა. ტაბახმელაში დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. გალომდნენ სვიმონ მეფე და ქართლელები, მუსრი გაავლეს დაუდ-ხანის ურიცხვ მხედრობას და დაიფრინეს მისი ლაშქარი. [ისევ] მოადგა სვიმონ მეფე [თბილისის] ციხეს და შეავიწროვა დაუდ-ხანი. სვიმონ მეფემ დასახმარებლად უხმო მის მომხრე ქართლელებს, მათ კი არ ისურვეს მასთან მისვლა. დაინახა სვიმონ მეფემ, რომ მაგარი იყო ციხე და უკან გამობრუნდა.

დაუდ-ხანმა შაჰ-თამაზს აცნობა ეს ამბავი. მაშინ მიმართა შაჰ-თამაზმა ჩერქეზებს, საშამხლოს მცხოვრებლებსა და შაქის სულთანს, რომ წამოსულიყვნენ შაქელებისა და ყარაბაღელების ლაშქრით. გამოემართა საშამხლოს სულთანი მრავალრიცხოვანი ლაშქრით და შემოვიდა ქართლში. გაიგო სვიმონ მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა და ჩავიდა აწუფისში, ისინი კი ფარცხისში დადგნენ. კახაბერ ყორღანაშვილი წავიდა, განჯაში მიეგება [მტერს] და იქიდან წამოუძღვა, გზას ასწავლიდა. ეძნელებოდათ ყიზილბაშებს ქართლში შემოსვლა, ყორღანაშვილმა კი გაუადვილა საქმე, ასე უთხრა: „მე მომეკითხოს თქვენი სისხლი[266], თუკი თქვენ რაიმე დაგიშავდეთო“ და წამოიყვანა. სვიმონ მეფემ რომ გაიგო, ფარცხისში მათი მოსვლის ამბავი, [თვითონაც] იქ ჩავიდა და დაირაზმა. გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ორივე მხრიდან მრავალი [მებრძოლი] დაიღუპა. სვიმონ მეფემ ერთ ყიზილბაშს შეუტია, ლახვარი[267] ჩასცა და მოკლა. სხვებსაც შეუტია და ჩამოშორდა თავის მხედრობას. მაშინ აცნობა კახაბერ ყორღანაშვილმა ყიზილბაშებს, რომ სვიმონ მეფე ჩამოშორებოდა თავის მხედრობას. ეს რომ ყიზილბაშებმა გაიგეს, შემოეხვივნენ სვიმონ მეფეს. შეიპყრეს სვიმონ მეფე[268] და გამოიქცა ქართლის მხედრობა.

წაიყვანეს სვიმონ მეფე შაჰ-თამაზთან. რომ მივიდა, შაჰ-თამაზმა დიდი პატივი სცა სვიმონ მეფეს, ბევრი საჩუქარი მისცა და დიდი ხნის მანძილზე აიძულებდა რჯულის მიტოვებას. სვიმონ მეფემ არ დათმო ქრისტეს რჯული და მტკიცედ იდგა. ამის გამო დაიჭირა [შაჰმა] და ალამუთის ციხეში[269] ჩააგდო.

მაშინ, ქრისტეს აქეთ 1576[270] [წელს], გარდაიცვალა ლევან ბატონი, კახეთის მბრძანებელი და მის ნაცვლად კახეთში ტახტზე ავიდა ალექსანდრე[271], მისი პირმშო ძე. შამხლელი ქალის ნაშობი ელიმირზონ ლევანის ძე და ხოსრო-მირზა ალექსანდრეზე ნაკლები არ იყვნენ, სვიმონ მეფის მოყვრობით იყვნენ უწინ გათამამებული და გაძლიერებული. მიემხრო ზოგიერთი კახელი, რადგან [ასეთი] ჩვეულება აქვთ.[272] თორღვას [ციხეში] შევიდნენ ელიმირზონი და ხოსრო-მირზა. ეს გაიგო ბატონმა ალექსანდრემ, იმანაც შეკრიბა თავისი ჯარი და გაემართა მათ წინააღმდეგ. მივიდა და დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, გაიმართა ძლიერი ბრძოლა, და ორივე მხრიდან ბევრი მებრძოლი დაიღუპა[273]. ორივე ძმა – ელიმირზონი და ხოსრო-მირზა მოკლეს და კახეთი დაიმკვიდრა ალექსანდრემ. ერთი ძმა ჰყავდა, დედამისის, გურიელის ქალის, ნაშობი, ისიც გარდაეცვალა თავისი სნეულებით და დარჩა ბატონი ალექსანდრე უთვისტომოდ.

დაუდ-ხანი საბარათიანოს დაეუფლა და დმანისის ხევში ციხესიმაგრეში გადავიდა. სვიმონ მეფის ცოლი, კახეთის ბატონის ასული, დედოფალი ნესტან-დარეჯანი კავთისხევში იყო და თან ჰყავდა მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი. ქსნის ერისთავმა და ამილახორმა დაინახეს, დედოფალ ნესტან-დარეჯანის ქმარი ალამუთის ციხეში იჯდა, მისი ძმები კი ალექსანდრემ ამოწყვიტა (ალექსანდრე არ სწყალობდა მას, რადგან დედამისის გაჩენილი არ იყო), დრო იხელთეს, შეესივნენ დედოფალ ნესტან-დარეჯანს, ააწიოკეს და წაართვეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდა. დაუდ-ხანსაც არ ანაღვლებდა [მათი ხვედრი]. მას შემდეგ არის გამონათქვამი, რომელსაც ახლაც გაიგონებთ ქართლში: „ვაი, სვიმონ მეფის ქონებასაო“.

საჩინო ბარათაშვილი სპასპეტი იყო, ყოველგვარი სიკეთით შემკული კაცი. სვიმონის ერთგულების გამო არ ემორჩილებოდა არც დაუდ-ხანს, არც ყიზილბაშებს. ერთ დღეს კოჯრის გზაზე მოდიოდა, გელიყარის ხევის თავს რომ მოადგა, კახაბერ ყორღანაშვილი შემოხვდა წინ, რომელიც შემოუძღვა ყიზილბაშებს და შეაპყრობინა სვიმონ მეფე. იცნო საჩინომ კახაბერ ყორღანაშვილი, დაიჭირა და გადააგდო გელიყარის კლდიდან. ქვევით რომ მიგორავდა, თვითონვე ამბობდა ამ ლექსს: „ყორღანოღლი ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“.

კახეთის ბატონ ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა ამილახორის ასული. ხუთი ვაჟი ჰყავდა: დავითი, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე და რო-

სტომი და ერთი ასული – ნესტან-დარეჯანი.[274] ნესტან-დარეჯანი მიათხოვა მანუჩარ დადიანს,[275] მამიას ძეს და ბევრი მზითი გაატანა. მისი ძე, ერეკლე, ალექსანდრეს თანამზრახველი გახდა[276] და სტამბოლში წავიდა. გაიგო შაჰ-თამაზმა სტამბოლში მისი წასვლის შესახებ, განრისხდა, ეგონა ალექსანდრე ბატონისგან იყო ეს საქმე. ურიცხვი ჯარით წამოვიდა შაჰ-თამაზი ალექსანდრეს წინააღმდეგ და ჩამოვიდა ყარაბაღში. შეწუხდა ბატონი ალექსანდრე.

[იმხანად] სახლთუხუცესი იყო ჩოლოყაშვილი. მან უთხრა კახელებს და ალექსანდრე ბატონს, რომ „რაც ამის გამო ცოდვა მოხდეს, ყველას მოეკითხოს და მე გადავარჩენო კახეთს ამოწყვეტისგან“. მაშინ მთელმა კახეთმა წერილობით დაუმოწმა, რომ რაც კი ამ საქმეში ცოდვა იყოს, ჩვენ მოგვეკითხოსო. ასე განიზრახა [სახლთუხუცესმა]: გარდაიცვალა ქაიხოსრო ათაბაგი, მცირეწლოვანი ძე დარჩა, მანუჩარი. არ შეეძლო მანუჩარს ზემო ქართლის მართვა და [ქვეყანას] დედისიმედი განაგებდა. ასე გადაწყვიტა კახეთის ბატონის სახლთუხუცესმა ჩოლოყაშვილმა, დედისიმედი უღმერთო და უვარგისი ქალიაო და შეატყობინა: „ვარაზას მანდ მოჰყავსო ყაენი შაჰ-თამაზი, სამცხის ამოწყვეტა და შენი ძის, მანუჩარის, სიკვდილი უნდაო. მრავალჯერ დაგირბია[277] სამფლობელო, თვითონ უნდა დაეპატრონოს მაგ ქვეყანას და მანდ გაბატონდესო. შეიპყარი ვარაზა, მოკალი და მერე ყაენი შაჰ-თამაზი ვეღარ შემოვა, უკან გაბრუნდება, წავა და გადაგირჩებაო სამფლობელო“. ეს გაიგო დედისიმედმა და დაიჯერა, რადგან უჭკუო და უმეცარი, გარყვნილი და ღვთის შიშის არ მქონე ქალი იყო. ღალატით შეიპყრო ვარაზა შალიკაშვილი და მოკლა.

ვარაზა იყო ოთარ შალიკაშვილის ძე და შაჰ-თამაზ ყაენის ცოლისძმა. გაიგო შაჰ-თამაზმა მისი სიკვდილის ამბავი, გაწყრა, კახეთს შეეშვა და სამცხის დასარბევად წამოვიდა. შემოვიდა სამცხეში, ააოხრა და ამოწყვიტა, მრავალი ბოროტება დაატეხა თავს. ამის შემდეგ გამობრუნდა და წამოვიდა. ოსმალეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა და მისწერა: „დავზავდეთ, რადგან რჯულით მაჰმადის მოსავნი ვართ“. მაშინ ომი ოყო მათ შორის. დაუჯერა სულთანმა და შერიგდნენ. მაშინ გაიყვეს ქვეყნები. სულთანს დარჩა იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი (ვიდრე ქართლის საზღვრამდე), კარი (აბოცისა და ერევნის საზღვრამდე), სომხეთი ბაღდადამდე, რომელსაც ახლა ქურთისტანს უწოდებენ. ხოლო შაჰ-თამაზს დაუტოვა ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანის აქეთა მხარე.[278] დაუზავდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ მოსვენე-

ბით იყო შაჰ-თამაზი. აღარავის შეეძლო მისი მტრობა და მოსვენებული იყო გარკვეული დროით.

[კახეთის] ბატონმა ალექსანდრემ [შაჰს] გაუგზავნა კონსტანტინე,[279] თავისი ვაჟი, მრავალი ძღვენი [მიართვა] და თავის მართლება შეუთვალა – ჩემი ვაჟი, ერეკლე, ჩემს დაუკითხავად წავიდაო სტამბოლში. შეწყალება სთხოვა და წავიდა. [შაჰმა] შეისმინა ალექსანდრე ბატონის ვედრება, დაუჯერა და გაბრუნდა თავის მხარეს.

გარკვეული დროის შემდეგ მოკვდა შაჰ-თამაზი, ტახტზე ავიდა მისი ძე ისმაილ-მირზა.[280] მან ალამუთის ციხიდან გამოუშვა სვიმონ მეფე და თავისთან მიიყვანა. სისხლისმსმელი კაცი იყო ეს ისმაილ-მირზა და მრავალი ხალხი ამოწყვიტა. შეიძულეს ყიზილბაშებმა და რჯულით სუნიტობასაც აბრალებდნენ. ექვსი თვე გააჩერეს თავის პატრონად, მერე კი მოკლეს. მის მაგიერ მისი ძმა, შაჰი ხუდაბანდა[281] დასვეს ყაენის ტახტზე.

ხუდაბანდა შაჰი იყო უძლური და უსინათლო კაცი. ყიზილბაშების რიგზე ვერ მართავდა სამეფოს. იმხანად [საომრად] გამოვიდა ხონთქრის ჯარი. დაიპყრო თავრიზი, ერევანი, განჯა, ყარაბაღი და მთელი ადარბადაგანი ვიდრე სულთანიამდე.

გარკვეული დროის შემდეგ, ქრისტეს აქეთ 1579[282] [წელს], [სალაშქროდ] დაირაზმა ხონთქრის გამზრდელი ლალა ფაშა. დაუხვდა მანუჩარ ათაბაგი, ქაიხოსროსა და დედისიმედის ძე (მას ცოლად ჰყავდა სვიმონ მეფის და). დაუხვდა მანუჩარ ათაბაგი, თავს დაესხა რომელიღაც მოთარეშე [რაზმსა] და [ოსმალების] ჯარის ნაწილს. ცოტაოდენი დახოცა, მერე ვეღარ შეძლო გამკლავება და ქართლში გადმოვიდა თავის სიდედრთან. ლალა ფაშამ ამოწყვიტა მთელი სამცხე, დაიპყრო ციხესიმაგრეები.

შეიტყო ეს ამბავი შაჰ-ხუდაბანდამ. [მაშინ] შაჰ-ხუდაბანდას[283] დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმა. [საპყრობილიდან] გამოიყვანა სვიმონ მეფე, როგორც ქართველი ქალების წესია, ლეჩაქის მოხვევა, იმანაც ასე მოიხვია, რადგან ისიც ქართველი იყო, გაუგზავნა თავისი ლეჩაქი და შეუთვალა: „მეფეო სვიმონ, თუ გინდა, ეს ლეჩაქი აიღე, თუ არადა ხმალს მოჰკიდე ხელი, ჩვენც გვიშველე და შენს საბრძანებელსაცო“. მისცა [ყაენმა] მრავალი საბოძვარი, სამეფო შესამოსელი, გამოგზავნა თავის ქართლში და [სვიმონიც] წამოვიდა. დავითმა რომ გაიგო, ვეღარაფერი გააწყო, რადგან ყიზილბაშებმა მას ზურგი აქციეს და სვიმონ მეფეს მიემხრნენ. ქართლელებსაც არ უყვარდათ [დაუდ-ხანი], სვიმონ მეფე ერჩიათ. ვეღარც ქართლში გაჩერდებოდა და ვერც ყიზილბაშებს

ენდობოდა. გაუგზავნა კაცი ლალა ფაშას, რაც კი ქართლში ციხესიმაგრეები იყო, ყველა გადასცა. მათი მეციხოვნეები ჩააყენა და თვითონ სტამბოლში წავიდა ხონთქართან.

სვიმონი ქართლში ჩამოვიდა, ქრისტეს აქეთ 1579[284] [წელს]. აიღო გორის ციხე, დაიკავა ქართლი და სომხითი, საბარათიანო, ლორე და ყველა ციხესიმაგრეები, [თბილისის] ციხის გარდა. ქსნის ერისთავსა და ამილახორს მისი შიში ჰქონდათ, რადგან დედოფალს უდიერად მოექცნენ. დაუწყეს პატიების თხოვნა. ქსნის ერისთავმა, დამცირების სანაცვლოდ, მეჯუდისხევი და ახალგორი მისცა, ამილახორს კარბი და კასპი ჩამოართვა. კახაბერ ყორღანაშვილის ცოლ-შვილი და ოჯახობა შეიპყრეს და გელიყარის კლდეზე გადაყარეს, თან ზემოხსენებულ ლექსს ამბობდნენ. სხვები, მისი ნათესავები, გაიქცნენ. ზოგი ყიზილბაშებთან წავიდა, ზოგიც ზემო ქართლში.

დაუდ-ხანს მისი მეუღლისგან ერთი ვაჟი დარჩა, სახელად ბაგრატი.[285] შუღლი ჰქონდა [გულში] კახეთის ბატონ ალექსანდრეს. [ჯერ ერთი] ცოლის ძმები დაუხოცა სვიმონ მეფეს, [მეორეც] ალექსანდრე დავითის ცოლის ნათესავიც იყო. ამ ორი მიზეზის გამო ემტერებოდა სვიმონ მეფეს. როცა სვიმონ მეფე დედოფალთან ერთად დიღომში იმყოფებოდა[286], თავს დაესხა ალექსანდრე კახეთის ბატონი. თვითონ სვიმონ მეფემ ძლივს უშველა თავს.[287] რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი აუწიოკა. ხოლო ცოლის სამოსელი საცვლები,[288] შუბის წვერზე შემოახვია და ისე წაიღო.

წამოვიდა დევნილი სვიმონ მეფე და შეყარა ქართლის მხედრობა. ალექსანდრეს მარტყოფის ზემოთ ჰქონდა ბანაკი მოწყობილი, ჭოტორში. საომრად დარაზმული რომ წამოვიდა სვიმონ მეფე, ალექსანდრეს კაცი გამოუგზავნა, ასე შეუთვალა: „შენ რომ გაუფრთხილებლად, ავაზაკივით მოხვედი და თავს დამესხი, მე ესე ხომ ვერ მოვიქცევი. თუ კაცი ხარ დამხვდი. დათქმულ დღეს მოვალო“. ამ სიტყვაზე მივიდა სვიმონ მეფე, ქრისტეს აქეთ 1582[289] [წელს]. ეკვეთნენ ერთმანეთს, გაიმართა ძლიერი ბრძოლა და გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. გაიქცა ალექსანდრე, ხოლო კახელი თავადები ერთბაშად ყველა დაატყვევა სვიმონ მეფემ. წამოვიდა გამარჯვებული სვიმონ მეფე და შემოვიდა მცხეთაში. იქ დააფიცა კახელი წარჩინებულები ამგვარი ფიცით: „ღმერთმა კახელ კაცს არასოდეს მისცეს გამარჯვება ქართლელ კაცზეო“. [მერე] ხალათები მისცა და გაუშვა.

ამის შემდეგ შემოესია [ქართლს] ხონთქრის სარდალი მეჰმად ფაშა.[290] ჩამოიარა ზემო ქართლი, აიღო გორის ციხე და შიგ მცველები ჩააყენა. თვითონ გამოემართა და მუხრანში ჩამოვიდა. იქ სვიმონ მეფე დაუხვდა თავისი შეკრებილი ლაშქრით. დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, ძლიერი ბრძოლა გაიმართა. ქრისტეს აქეთ 1582[291] [წელს], ღვთის შეწევნით გაიმარჯვა სვიმონ მეფემ, დევნილმა ფაშამ კი ქალაქის ციხეს შეაფარა თავი.

ჩამოვიდა სვიმონ მეფე დიღომში, იქ გაჩერდა, ოჯახებით შეკრიბა თავისი თავადები, თვითონაც დედოფალთან ერთად მივიდა. წარჩინებულები და მათი ცოლებიც თან იახლა. წავიდა, ლილოს ტბის ზევით მაღალ გორაკზე დაბანაკდა, თან ახლდა თავისი ჯარი და მხედრობა. ქალაქის ციხიდან ურუმების ნახირი გამოვიდა, სვიმონ მეფემ მცირე რაზმი შეუსია და დაატაცებინა ნახირი. მენახირეებმა დაინახეს, გაიქცნენ და ციხეში მყოფ ურუმებს შეატყობინეს. გამოვიდა ურუმების მრავალრიცხოვანი ჯარი. დაინახა ეს სვიმონ მეფემ, თვითონაც შეუტია თავისი მხედრობით და შეიბნენ. დედოფალი და წარჩინებულთა ცოლები კი უყურებდნენ. ამოწყვიტა სვიმონ მეფემ ურუმები, მრავალი დახოცეს, ციხის კარამდე მიჰყვნენ. დახოცეს, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. მაშინ გამობრუნდა გამარჯვებული სვიმონ მეფე, დაისვენა და მცირე ხნით მოილხინა.

იმხანად ისევ შეკრიბა თავისი ლაშქარი [სვიმონ მეფემ] და დაიძრა ლორეს ასაღებად. მიადგა ლორეს, გამოვიდა იქაური ფაშა, დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ღვთის შეწევნით გაიმარჯვა სვიმონ მეფემ, ქრისტეს აქეთ 1586[292] [წელს]. მრავალი ურუმი ამოწყდა – ოთხას სამოცდაცამეტი კაცი. აიღო ლორეს ქვაბულები, დაიპყრო ლორე, მაგრამ ციხე იმავე ურუმებს დარჩა.

გამოხდა ხანი, ცოტაოდენი დაისვენა [სვიმონმა], მერე ისევ შეკრიბა [მხედრობა], წამოვიდა და მოადგა ლორეს ციხეს. იერიში მიიტანა და პირველ აპრილს აიღო. დაიპყრო ლორე, გამობრუნდა იქიდან და შინ დადგა.

გარკვეული დროის შემდეგ გამოვიდა და ტაბახმელაში დაბანაკდა. გაიგო ჰასან ფაშამ,[293] რომელიც ქალაქის ციხეში იდგა, ჯარი შეკრიბა და გამოვიდა, უნდოდა თავს დასხმოდა სვიმონ მეფეს. ეკვეთნენ ერთმანეთს და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ღვთის შეწევნით გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. ერთ კაცს შეუტია მეფემ, ის კაცი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. დაედევნა სვიმონ მეფე, გაქცეული კაცი კი ტაბახმელის ხევში

გადაიჩეხა. ასე ამბობენ, არ მომკვდარაო ის კაცი, ცხენიანად ვინც გადავარდა. ხუთასამდე ურუმი გაწყდა იქ.

მაშინ წამოვიდა სვიმონ მეფე და მოადგა თბილისის ციხეს. აიღო თბილისის ციხე და თვითონ დაეუფლა ქალაქს. ვინც კი ურუმები იყვნენ თბილისის ციხეში, ყველა ამოწყვიტა. შეიტყო ეს ხონთქარმა, გამოგზავნა ლაშქარი და ერთი სარდალი.[294] წამოვიდა [ურუმთა სარდალი], მოადგა ლორეს, აიღო ლორეს ციხე და დაიპყრო. მოვიდა და ხატისოფლის ბოლოს დაბანაკდა.[295] ეს გაიგო სვიმონ მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა, მივიდა და [მდინარე] ხრამის მეორე ნაპირზე დაბანაკდა. ასეთი ხერხი იხმარა მაშინ სვიმონ მეფემ: ელჩის ტანსაცმელში გამოეწყო, მივიდა ფაშასთან[296] და სვიმონ მეფის სახელით ეს სიტყვები გადასცა: „სვიმონ მეფე მოგახსენებთ, მეყოფა ყაენის გულისთვის ამდენი ხმლის ქნევა და ომი. თუ გინდათ, თქვენ იყავით ჩემი ბატონი, თუ არადა ის იყოსო. ახლა კი თქვენთვისაც უმჯობესი იქნება და ჩვენთვისაც, თუ შევრიგდებით და მოვრჩებით ამდენ ბრძოლებსო“. ფაშამ ეს რომ გაიგო, გაუხარდა. შემოუთვალა, კარგად დაგიბარებია, შერიგება სჯობსო. გამოგზავნა სვიმონ მეფე და მოვიდა თავის ჯარში. მაშინ სვიმონმა დაზვერა მთელი მათი ძალები, ბანაკი და ვითარება. ღამით შემოუარა ხატისოფლის გორებს და თავს დაესხა ურუმებს. ამოწყვიტა და გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. ზოგი დახოცეს, ზოგი შეიპყრეს და ზოგმაც გაქცევით უშველა თავს.

გამარჯვებული სვიმონ მეფე თბილისში ჩამოვიდა, [ისევ] შეკრიბა თავისი მხედრობა და მიადგა დმანისს, რადგან მაშინ დმანისი ურუმების ხელში იყო. ამოწყვიტა დმანისში მყოფი ყველა ურუმი და მთლიანად დაეუფლა იქაურობას. საერთოდ გარეკა ქართლიდან ურუმები, გორისა და ლორეს გარდა [მთელ ქართლს] თვითონ დაეუფლა. მანუჩარ ათაბაგიც გაბრუნდა თავის საბრძანებელში, დაიმკვიდრა ზემო ქართლი და საათაბაგო. მეტჯერ ვეღარ შემოვიდნენ ურუმები ქართლში.

იმხანად ყაენი შაჰ-ხუდაბანდა ტახტიდან ჩამოაგდეს ყიზილბაშებმა, მისივე ყმებმა და მის ნაცვლად დასვეს შაჰ-აბასი,[297] მისი ძე. შაჰ-აბასმა დაიპყრო თავრიზი და რაც კი ადარბადაგანის [მიწები] იყო, ყველაფერს დაეუფლა, ერევნისა და ბაღდადის გარდა.

იმხანად გაძლიერდა სვიმონ მეფე, მეტად გამდიდრდა. ყაენი ბევრ [საბოძვარს] აძლევდა, ბევრიც ომებში იშოვა, თავისი ქვეყნებიდანაც ბევრი შემოსავალი ჰქონდა. აღარსად ჰყავდა მტრები. კახეთის ბატონს

წამოეზარდა ვაჟი და მასაც მოესწრნენ შვილები. მისი შვილები და კახეთის ბატონიშვილი ერთმანეთის ახლობლები და ნათესავები იყვნენ. რაკიღა ორივეს ვაჟები ერთმანეთს არაფერს ეცილებოდნენ და ტკბილად იყვნენ, მამებიც შერიგდნენ, მოსვენებით იყვნენ და მშვიდობით განაგებდნენ თავის სამფლობელოებს.

იმხანად მტერი აღარავინ ჰყავდა სვიმონ მეფეს, გაძლიერდა და იმერეთის დაუფლება მოინდომა. შეკრიბა ჯარი და გაემართა იმერეთში. იმჟამად გარდაიცვალა იმერეთის მბრძანებელი გიორგი. კონსტანტინე, მისი ძე, ავიდა ტახტზე. ისიც გარდაიცვალა და ლევანი,[298] მისი ძმა, გახდა [იმერეთის] ბატონი. მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში მას და მანუჩარ დადიანს.[299] მანუჩარს ალექსანდრე კახ-ბატონის ასული ნესტანდარეჯანი ჰყავდა [ცოლად]. დიდი პატივითა და მზითვით მიათხოვა. მისგან შეეძინა ერთი ვაჟი, სახელად ლევანი ერქვა. ბავშვის გაჩენის შემდეგ გარდაიცვალა ქალი. [დადიანმა კი] ათაბაგის ქვრივი ასული შეირთო, ვახტანგ გურიელის ყოფილი ცოლი, ქაიხოსროს დედა, რომელიც შემდეგში გურიის მთავარი გახდა და ოდიშშიც იგი ბატონობდა. გურიაში გარდაიცვალა გიორგი გურიელი და ვახტანგი, მისი ძე, ავიდა გურიის მთავრის ტახტზე. არც ერთი მათგანი არ დაეხმარა იმერეთის მბრძანებელ ლევანს სვიმონ მეფესთან ბრძოლაში.

[ლევანმა] შეკრიბა, ვინც კი ჰყავდა და გოფანთოში დაბანაკდა. სვიმონ მეფეც დაიძრა მის წინააღმდეგ, შემოიკრიბა ზემო იმერეთის მცხოვრებნი და ჩავიდა გოფანთოში. ქრისტეს აქეთ 1592[300] [წელს], გოფანთოში შეებნენ ერთმანეთს და გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა. გაიმარჯვა სვიმონ მეფემ და გაიქცა ლევანი, იმერეთის მფლობელი, თავს უშველა. სვიმონ მეფე კი დაეუფლა იმერეთს. ზოგიერთს მძევლები გამოართვა, ზოგიერთი კი ვერ ჩაიგდო ხელში. ქართლის ამბავიც აფიქრებდა, რადგან გორის ციხეში ურუმები იდგნენ. ისევ ქართლში დაბრუნდა სვიმონ მეფე. ლიხის მთა გადმოიარა და ჯარს დაშლის ნება მისცა. როცა სვიმონ მეფე ქართლში გადმოვიდა, იმერეთის მბრძანებელი ლევანი ისევ დაბრუნდა და დაეუფლა იმერეთს. იმხანად ლევანი და დადიანი ერთმანეთთან დამდურებული იყვნენ იმის გამო, რომ, როცა სვიმონ მეფემ ბრძოლა გაუმართა ლევანს, დადიანი მას არ დაეხმარა. წყენის უწინდელი მიზეზიც ჰქონდათ. [ლევანმა] საყვედურები დაუწყო და ისეთი მტრობა ჩამოვარდა მათ შორის, რომ აქეთ ეს დაირაზმა საომრად და იქით ის. ბრძოლა გამართეს, გაიმარჯვა დადიანმა და ლევან ბატონი

ხელში ჩაიგდო. წაიყვანა და პატიმრობაში გარდაიცვალა [ლევანი], ამავე ქორონიკონში, 1592[301] [წელს].

ეს გაიგო სვიმონ მეფემ, ისევ შეკრიბა თავისი ლაშქარი, გადავიდა იმერეთში და, ქრისტეს აქეთ 1593[302] [წელს], შევიდა ქუთაისში. ბაგრატს, იმერეთის მბრძანებლის ძმიშვილს,[303] [ქუთაისის] ციხე გამაგრებული ჰქონდა. მიადგა [სვიმონი] და წაართვა ციხესიმაგრე. ისიც გამოიყვანა, მძევლები აიყვანა, თვითონ დაეუფლა იმერეთს და წამოვიდა.

იმერეთის ბატონი ლევანი უძეოდ დარჩა. მისი ძმის, კონსტანტინეს ვაჟ როსტომს გარდა,[304] სხვა არავინ ჰყავდა [მემკვიდრე]. როსტომმა მანუჩარ დადიანთან[305] დაიწყო მოლაპარაკება დახმარებისა და შერიგების პირობით. დათანხმდა დადიანი, მოვიდა და დააპატრონა იმერეთს. მოადგნენ იმერლები ქუთაისის ციხეს და ამის შემდეგ ისიც აიღეს.

გაიგო ეს ამბავი სვიმონ მეფემ, შეკრიბა ლაშქარი, გადავიდა [დასავლეთში], აიღო კვარას, კაცხისა და სკანდას ციხე. მოადგა ქუთაისს და მისი ციხეც აიღო. როსტომმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა, გაიქცა და მანუჩარ დადიანთან წავიდა. სვიმონ მეფემ ოდიშზე მიიტანა იერიში, ჩავიდა და ოფშკვითში დაიბანაკა დიდი დიდებულებითა და მრავალრიცხოვანი მხედრობით. მანუჩარ დადიანმა კაცი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „შეურიგდი როსტომს და მეც შენი ყმა გავხდები. ამას იმერეთი დაანებე, დაგვიმონე და ქვეყანა შენ დაგრჩებაო“. შუამავლის [ნათქვამი] მოისმინა სვიმონ მეფემ, გაჯავრდა და შეუთვალა: „მოვდივარ და დამხვდიო“. ეს რომ გაიგო მანუჩარ დადიანმა, მანაც შეკრიბა თავისი ჯარი. ზოგიერთი იმერელი გაჰყვა როსტომს [ოდიშში], ისინიც თან წაიყვანა. მოვიდა და გამთენიისას თავს დაესხა სვიმონ მეფეს.

ამხედრდა სვიმონ მეფე და მისი ლაშქარი. სვიმონ მეფეს ორი რჩეული ცხენი ჰყავდა, ერთს ფალავანი ერქვა, მეორეს – შურდანი. თუ ფალავანზე შეჯდებოდა, ესე იგი იცოდა, რომ გაიმარჯვებდა. ომში გამოცდილი იყო, მრავალი ბრძოლა ენახა და გადაეტანა. შეატყობდა, რომ გაიმარჯვებდა, ფალავანზე შეჯდებოდა. ხოლო თუ შეატყობდა, რომ ომში გამარჯვება მას არ ერგებოდა, მაშინ შეჯდებოდა შურდანზე და გამობრუნდებოდა ხოლმე. მისი ამგვარი ჩვევის შესახებ იცოდა ერთმა ვიღაც თურქისტანიშვილმა,[306] რომელიც სვიმონ მეფესთან ერთად იყო გაზრდილი. ყველაფერი იცოდა. გაძნელდა ომი და შეატყო მეფემ, გამარჯვება დადიანს რჩებოდა, მაშინ მოითხოვა, სათადარიგო [ცხენი], შურდანი მომგვარეთო. მაშინ მოახსენა თურქისტანიშვილმა:

„მეფევ, წასვლის დრო ხომ არ არის, შურდანი რატომ მოითხოვეო“. წინ გაიწია თურქისტანიშვილმა და თქვა: „აქედან შუბის გატყორცნის გარეშე არ წავალო“. შეუტია, ჩამოაგდო ერთი მხედარი და გულსრულად იყო წაგებულ ომში თურქისტანიშვილი.

მარტო წამოვიდა სვიმონ მეფე. [უწინ], როცა [იმერეთში მომავალმა] სვიმონ მეფემ კოლბეურის[307] მთა გადმოიარა, მივიდა მასთან ერთი კოლბეურელი დედაკაცი და შეეხვეწა, ჩემი შვილი თან იახლეო. მეფემ ასე მიუგო: „დედაკაცო, მე ხალხით მთვრალი ვარ [იმდენი მყავს]. ხალხი აღარ მჭირდებაო“. სვიმონ მეფე რომ დამარცხდა, მარტო წამოვიდა ისე, რომ ერთი კაციც აღარ ახლდა. მაშინ ის დედაკაცი გაკაფულ ჭალას თოხნიდა. [ღვთის] განგებით ისე მოხდა, რომ სვიმონ მეფე ისევ იმ დედაკაცს გადაეყარა. იცნო დედაკაცმა და მიხვდა, რომ დამარცხებული იყო. მოახსენა: „მეფეო, ვეჭვობ, მაშინ ხალხმრავლობით მთვრალი რომ იყავი, ახლა გამოფხიზლებულხარო“. მეფემ ეს რომ მოისმინა, ღმერთს მადლობა შესწირა, სწრაფად წამოვიდა, გადმოიარა [ლიხის] მთა და ჩამოვიდა ქართლში.

იბრძოლა თუქრისტანიშვილმა და ისიც წამოვიდა. ჩამოვიდა მეფე კავთისხევში და ერთი უპოვარი გლეხკაცის სახლს მიადგა. დაღლილი იყო მეფე და მასთან ითხოვა დასვენება. ერთი ქალი გამოვიდა, ვერ იცნო, შეუძღვა და [სახლის] კართან გააჩერა, რადგან იმ ქალის ქმარი ლაშქარში იყო. ნადიმი გაუმზადა, მოართვა. მიირთვა მეფემ. [ქალმა] დანაყრება შეატყო, მაშინღა ჰკითხა მეფისა და მისი ჯარის ამბავი: მეფე რა იქნაო. სვიმონ მეფემ კი მიუგო: „არ ვიცი, რა დაემართაო მეფეს“. ეს სიტყვა რომ გაიგონა ქალმა, მეტად დაღონდა, მოიწყინა და ატირდა. მერე თავისი ქმრის ამბავი ჰკითხა. მიანიშნა, ასეთი და ამნაირი კაცი იყო, ის რაღა იქნაო. იმაზეც უთხრა მეფემ, არ ვიციო. მაშინ ქალმა უთხრა: თუ ღმერთმა ინება, მეფე გადარჩა და მშვიდობით არის, ჩემი ქმარიც მისი ჭირის სანაცვლო იყოსო და სხვები, ვინცა მყავს, ისინიცო. მეტად ესიამოვნა სვიმონ მეფეს იმ ქალისგან ასეთი ერთგულებით ნათქვამი. მცირე ხნის შემდეგ წყალობით აავსო მეფემ ეს ქალი. ქმარიც მოუვიდა და აზნაურობა მისცა. ქვლივიძეები ახლაც შეძლებული ხალხია.

როცა ლორეში მდგომმა ურუმებმა მეფის დამარცხების ამბავი გაიგეს, მაშინ გამოვიდნენ ციხიდან, დაარბიეს ქართლის არე-მარე, ტაშირში დადგნენ და ზეიმობდნენ. სვიმონ მეფემ ცოტაოდენი მხედრობა

შეკრიბა, თავისი ლაშქარი, რომელიც ქართლში იყო დატოვებული. წავიდა მეფე, მიეჭრა ურუმებს ლორეში, გაიმარჯვა და ამოწყვიტა. აიღო ციხე და გამარჯვებული წამოვიდა. ისევ დაეუფლა ლორეს ციხეს, გამობრუნდა და შინ დაბრუნდა.

გარკვეული დროის შემდეგ ზემო ქართლს მიაშურა, გორიჯვარს მიადგა. მაშინ ურუმები იდგნენ გორის ციხეში. გორიჯვრის [გორაზე] წამოჯდა სვიმონ მეფე და დაიწყო ღვინის სმა. როცა ყაენს სვიმონ მეფე ალამუთის ციხეში ჰყავდა დატყვევებული, მაშინ მიეჩვია თრიაქის ჭამასა და ღვინის [გადამეტებულ] სმას. მას შემდეგ ეწეოდა თრიაქს. მაშინაც, გორიჯვარზე რომ იყო, თრიაქი შეჭამა და გამხიარულდა. გორისკენ გაიხედა და დაინახა, რომ ახალი მწვანილი ამოსულიყო. თანაც გაზაფხულის პირი იყო. რომ გამხიარულდა აფიონი[308] მოუნდა, რადგან აფიონის მჭამელებს, როგორც წესი, საჭმელი მოშივდებათ ხოლმე. ქართლელებიც თან ახლდნენ. თქვა მეფემ: „ეს როგორ გეკადრებათ ქართლელებს, მწვანილი მინდა და თქვენ გორიდან მწვანილი ვერ მოგიტანიათო“. წავიდნენ ქართლელები, ჩავიდნენ გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწვანილი. ციხიდან ურუმებმა სროლა აუტეხეს. ბევრს ისროდნენ, მრავალი ქართლელი ამოწყვიტეს, წარჩინებულიცა და მდაბიოც. მაშინ მოკლეს გოჩა ბატონიშვილი, სვიმონ მეფის პაპის ძმის შვილიშვილი[309] და სხვა მრავალი თავადი ამოწყვიტეს. მაშინ აძაგეს სვიმონ მეფე უჭკუობის გამო, რადგან მწვანილის გულისთვის ამდენი კარგი ხალხი ამოწყვიტეს. მას ყიზილბაშებიცა და ოსმალებიც დელუ-სვიმონს ეძახდნენ, რაც ითარგმნება, როგორც შლეგი სვიმონ ხელმწიფე. დაინახა სვიმონ მეფემ, რაც ურუმებმა გააკეთეს, გაწყრა, შეკრიბა ჯარი, მცირე დროში შემოადგა გორს, აიღო ციხე და ყველა ოსმალო ამოწყვიტა, ვინც კი გორის ციხეში იყო.[310]

ეს რომ ხონთქარმა გაიგო, გაწყრა, გამოგზავნა სარდალი ჯაფარ ფაშა[311] და კიდევ მრავალრიცხოვანი ჯარი. მოვიდნენ, ნახიდურის მინდორზე დადგნენ და დაბანაკდნენ. იქ შეკრიბა სვიმონ მეფემაც თავისი ჯარი.[312] მივიდა და დადგა საღირაშენის თავში. ცოტა ხნის შემდეგ თვითონ წავიდა მარტო, ათიოდე მხედართან ერთად, [მტრის] ჯარის დასაზვერად და ერთი მეებნე წაიყვანა თან. მივიდა და ნახიდურის თავზე გადმოდგა, [სადაც] პატარა ეკლესიაა, იქიდან უმზერდა და ამოწმებდა ოსმალების ჯარს, რომელშიც იყვნენ ურუმები,[313] რომ თავს დასხმოდა. რომ დაზვერა, მექანარეს უთხრა, აეხმიანებინა ება-

ნი. უნდოდა შეეტყო მეფეს, რამდენად უშიშრად იდგნენ. ქანარის ხმა გაიგეს ურუმებმა, იფიქრეს, ნამდვილად სვიმონ მეფე მოვიდაო, დაიწყეს აღჭურვა და შესხდნენ ცხენებზე. ეს რომ დაინახა სვიმონ მეფემ, თავისი ჯარისკენ გამობრუნდა. ოსმალებიც მისი ქანარის ხმაზე უკან დაედევნენ. ფარცხისში გზად მომავალს ტალახი[314] შეხვდა. მისი ცხენი სველ ლამში ჩაეფლო. სანამ ცხენზე შეჯდებოდა და მოაგვარებდა თავის საქმეს, ამასობაში ოსმალებიც წამოეწივნენ. იცნეს მეფე და გარს შემოეხვივნენ. მეფეს თავი ისე ეჭირა, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა,[315] მაგრამ მარტო იყო და ვერაფერს გახდა. ქრისტეს აქეთ 1600[316] [წელს], შეიპყრეს მეფე. სვიმონ მეფის ვაჟი, გიორგი, ლაშქარში იყო. შემდეგ აიყარნენ [ოსმალები] და წავიდნენ. მეფეც თან წაიყვანეს. სწრაფად წავიდნენ, რადგან ქართლელებისა და მისი ვაჟის, გიორგის, შიში ჰქონდათ, ამას უსიკვდილოდ არ გაგვატანენო. ეს რომ ქართლელებმა და გიორგიმ გაიგეს, უკან დაედევნენ, გამალებით მისდიეს, მაგრამ ვეღარ დაეწივნენ. ურუმები კი ჩავიდნენ ლორეში, აიღეს ლორეს ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენეს. წავიდნენ, წაიყვანეს სვიმონ მეფე და სტამბოლში ჩაიყვანეს.

გიორგი მეფე[317]

გიორგი, მისი ძე, პატრონობდა ქართლს. კაცი გაგზავნა სტამბოლში და მამამისისთვის გამოსასყიდი შესთავაზა. ამასაც ამბობენ, რომ ხონთქარი დიდ წყალობასა და დიდებას სთავაზობდა სვიმონ მეფეს, ოღონდ ქართლი და[მი]ბეგრე და ჩემი ყმა გახდიო, მაგრამ არ დაჰყვა მეფე. სვიმონ მეფემ ქართლს ყაენის ბეგარა დააკისრა – თითო გლეხის კომლს ერთი მარჩილი. ამ ვერცხლის ფულით ყიდულობდა შვიდ ტყვეს და უგზავნიდა ყაენს. მას შემდეგ აქვთ ქართლელებს დაკისრებული ტყვეების [გაგზავნა], ხონთქრის [ბეგარა] კი არ დაიდო. გამოსასყიდი შესთავაზა, კაცი გამოუგზავნა მის ვაჟს, გიორგის და რაც კი მათ გამოსასყიდს შეჰპირდა, ის ფული სთხოვა. მაშინ გაუგზავნა გიორგიმ ქონება, რაც მამისგან დარჩა, ან თავისი გააჩნდა, რაც კი ქართლის წარჩინებულებს ებადათ და რაც ეკლესია-მონასტრებისა იყო – ყველაფერი გაუგზავნა. სანამ ეს საგანძური ჩავიდოდა, სვიმონ მეფე ტყვეობაში გარდაიცვალა, საგანძური კი იქ დარჩა.

მეფე გიორგი ლორეს ციხეს მოადგა, აიღო და დაეპატრონა ლორეს. ამის შემდეგ, ქრისტეს აქეთ 1614[318] [წელს], გარდაიცვალა იმერეთის

მბრძანებელი როსტომი.[319] [კანონიერი] ძე არ დარჩენია. მხევლისგან ჰყავდა ერთი ვაჟი, გიორგი. მის ნაცვლად [ის] დასვეს იმერეთის პატრონად.[320] მანუჩარ დადიანიც გარდაიცვალა. ერთი ძე ჰყავდა, სახელად ლევანი, კახ-ბატონის ასულის, ნესტან-დარეჯანისგან [შეძენილი]. ლევანი, პაპამისს, კახეთის ბატონ ალექსანდრეს, თავისთან ჰყავდა წამოყვანილი და ზრდიდა. მანუჩარ დადიანი რომ გარდაიცვალა, ოდიშიდან კაცი გამოგზავნეს, სთხოვეს მისი [დაბრუნება] და წაიყვანეს. ჩაიყვანეს იქ, დასვეს დადიანის ტახტზე და ძლევამოსილი გახდა. კახეთში კი ალექსანდრე იჯდა.

იმხანად ერევნის ასაღებად წამოვიდა ყაენი შაჰ-აბასი. საშველად და ერევნის ასაღებად იხმო [ქართლის] მეფე გიორგი და კახეთის მფლობელი ალექსანდრე. ორივე წავიდა თავისი მხედრობით. [ერევნის ციხეს] სამი მხრიდან თვითონ [შაჰ-აბასი] მიადგა თავისი ჯარით, ერთი მხრიდან კი ესენი დააყენა. როცა ყაენმა იერიშის მიტანა ბრძანა, მაშინ ყველაზე მეტად ქართველებმა გამოიდეს თავი, გადავიდნენ გალავნებზე და ძლიერი ბრძოლა გამართეს. სანამ ყიზილბაშები შევიდოდნენ, ქართველებმა აიღეს ციხის კოშკები. დაანახეს ყაენს თავისი ძალა და გამბედაობა და აიღეს ციხე. მაშინ დაეუფლა [შაჰი] ერევანს.

შემდეგ ყაენმა გიორგი მეფეს უთხრა: „ხონთქარი ხომ ჩემი მტერიც არის და შენიც. ახლა, რაკიღა მე გავისარჯე და აქ მოვედი, ლორე ჩემი იყოსო“. გიორგი მეფემ ჯერ შორს დაიჭირა თავი, მაგრამ, რაკიღა აიძულა, სხვა გზა აღარ ჰქონდა და დაუთმო. მაშინ დაიპყრო შაჰ-აბასმა ლორეს ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. გაბრუნდა და წავიდა თავის სამეფოში. ასე მოექცა შაჰ-აბასი მეფე გიორგის იმ სამსახურის სამაგიეროდ, რაც მამამისმა და თვითონ გაუწიეს [ყიზილბაშებს]. შაჰ-აბასი ცბიერი და მზაკვრობის მოყვარე კაცი იყო, ხალხის მაცდური და მატყუარა.

როცა გიორგი მეფე და კახეთის ბატონი ალექსანდრე თავის სამფლობელოში დაბრუნდნენ, მაშინ ალექსანდრე ბატონის ვაჟებმა, დავითმა და გიორგიმ, მეფე გიორგის ნახვა და მასთან სტუმრობა მოისურვეს, რადგან გიორგი მეფის ბიძაშვილები იყვნენ დედის მხრიდან. ჩავიდნენ, მეფე ავლაბარში შეეგება, წამოიყვანა და მიიღო. ძალზედ გაიხარეს ერთად ყოფნით, რამოდენიმე დღით მოილხინეს. მერე ისევ დაუძახა თავისთან სანადიმოდ. დავითი მივიდა, გიორგიმ კი ღვინის უსმელობა მოიმიზეზა, ღვინო მწყენსო და არ წავიდა. ისინი წავიდნენ [სა-

ნადიმოდ]. მაშინ გიორგიმ, [კახეთის უფლისწულმა] საიდუმლოდ იხმო მისი თანმხლები ხალხი, რადგან თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ეს უკეთური საქმე – ბელზებელის შუღლით [შეპყრობილს] მისი უფროსი ძმის, დავითის, მოკვლა სურდა. დავითი მრისხანე და ამაყი კაცი იყო, გიორგი კი კარგი შესახედაობის მქონე, ყმებისთვის კეთილი და უხვი კაცი. ამის გამო მას უფრო ემხრობოდნენ, ვიდრე დავითს. ფიქრობდა გიორგი, რომ ღვინით მთვრალები, როცა იქნებოდნენ, დავითი და მისი თანმხლები კახელები, მაშინ აღასრულებდა თავის ბოროტ განზრახვას. ყველაფერი გაანდო მასთან მყოფებს, შემოიფიცა კახელები, დრო იხელთა და უთხრა ყმებს: „გამომყევით, მოვკლავ ჩემს ძმას და მე დავეპატრონებიო კახეთს“.

როცა თავისი ყმები შემოიფიცა, იქ იყო ერთი ღვთისმოშიში კაცი, სახელად ბარძიმ ჩოლოყაშვილი. იგი სწრაფად წამოვიდა და ყველაფერი დავითს აცნობა. საიდუმლოდ აუწყა, რაც კი გადაწყვიტა მისთვის გიორგიმ, მისმა საკუთარმა ძმამ. ეს რომ შეიტყო დავითმა, მაშინვე ადგა სუფრიდან, გამოვიდა და კახელები ყველანი თან გამოჰყვნენ. ძმის კარავში შევიდა, დაინახა, რომ გიორგი იარაღს ისხამდა. მაშინ ჰკითხა: „ძმაო, რატომ იღებ იარაღსო“ და ვერაფერი მიუგო. მაშინ შეიპყრო გიორგი, თავისი ძმა და ყველა კახელი, ვინც კი მასთან იყო შეფიცული. ვეღარც მეფე გიორგიმ უსაყვედურა ამ საქმის გამო დავითს, რადგან მართალი იყო. წამოიყვანა თავისი ძმა და თორღვას ციხეში ჩააგდო, ხოლო მასთან შეთქმული თორმეტი ყმა ჭოეთის ციხიდან გადმოყარა და დახოცა. სხვა შეთქმულები კი დააპატიმრა. ტახტიდან გადააყენა მამამისი და თვითონ დაეუფლა მის საბრძანებელს. ექვსი თვე განაგებდა [ქვეყანას], მერე უწია ღვთის რისხვამ, რადგან მამას უსამართლოდ მოექცა და გარდაიცვალა. ისევ მამამისი ალექსანდრე ავიდა ტახტზე, გაათავისუფლა ციხიდან მისი ძე, გიორგი და თავისთან მიიყვანა, რადგან მის გარდა სხვა ძე აღარ ჰყავდა.

დავითს ცოლად ჰყავდა აშოთან მუხრანბატონის ასული, დედისიმედის[321] და, ქეთევანი, რომელმაც შემდეგში იმარტვილა. გონიერი იყო ეს ქეთევანი. როდესაც მისი ქმარი გარდაიცვალა, დაინახა, რომ კახეთი გიორგის დარჩა. ქეთევანს დავითისგან ერთი ძე, თეიმურაზი ჰყავდა. ეშინოდა ქეთევანს, რადგან ახსოვდა, როგორ შეიპყრო დავითმა მისი ძმა გიორგი და ციხეში ჩააგდო. შიში ჰქონდა მისი [მეუღლის] ძმის გამო[322]. გიორგის შიშით თავისი ბავშვი ყაენთან გაგზავნა, რადგან თა-

ვისი მაზლის, გიორგის შიში ჰქონდა. ამიტომ გაგზავნა ყაენთან და თან გაატანა შერმაზან ჩოლოყაშვილი. ჩავიდნენ შაჰ-აბასთან. შაჰ-აბასმა ისე შეითვისა, როგორც თავისი ძე.

შაჰ-აბასს საქართველოს დაპყრობა უნდოდა. მრავალჯერ სცადა, ბევრი ხერხი იხმარა, რომ დაეპყრო საქართველო, მაგრამ ვერ შესძლო. ასეთი რამ იღონა: კახეთის ბატონ ალექსანდრეს თავისი ვაჟი კონსტანტინე ჰყავდა გაგზავნილი [სპარსეთში]. შაჰ-აბასმა იგი აღზარდა და მაჰმადის რჯული შეასწავლა. ამ კონსტანტინეს ხელით ხალათი გამოუგზავნა ალექსანდრეს, მამამისს. თან გამოატანა შირვანის ჯარი და ასე დაარიგა კონსტანტინე: „დავითი გარდაცვლილა, მამაშენს შენ მეტი აღარავინ დარჩა. წადი, დახოცე მამაშენი და შენი ძმა და კახეთს შენ დაეუფლეო“.

წამოვიდა და ჯარიც თან წამოიყვანა. [კახეთს] რომ მოუახლოვდა, კაცი გამოუგზავნა მამამისს და ასე შემოუთვალა: „ყაენმა ხალათი გამოგიგზავნა. მეც ნება მომცა და გამომიშვაო შენს სანახავად“. მაცნე რომ მივიდა, ისე ძალიან გაუხარდა [ალექსანდრეს], რომ გრემში მყოფი წამოვიდა და ბაზარში შეეგება თავის ვაჟს. იქ შეხვდნენ ერთმანეთს. იქ მოისხა მხრებზე ხალათი ალექსანდრემ და ძალიან გაიხარა თავის ძესთან შეხვედრითა და მისი ნახვით. რამოდენიმე დღე შვებასა და ლხენაში გაატარეს. ერთ დღეს [კონსტანტინემ] მამაცა და ძმაც თავის კარავში მიიწვია და ასე უთხრა: „ყაენისგან დაბარებული საქმე მაქვსო თქვენთან“. დაითხოვა ხალხი და შევიდნენ მის კარავში. [მხოლოდ] რუსთველი [ეპისკოპოსი] და მისი ძმა დარჩა მასთან. როგორც კი ასე დაიმარტოვა, მაშინ შეპირებული ჰყავდა ყიზილბაში ჯარისკაცები, შემოცვივდნენ კარავში და ღალატით დახოცეს. მაშინ, ქრისტეს აქეთ 1615[323] [წელს], მოკლა მამამისი, თავისი ძმა, რუსთველი [ეპისკოპოსი] და ყორჩიბაში, მისი ძმა.[324]

ასეთი უკეთური საქმე ჩაიდინა. მერე ბოროტებას ბოროტება შემატა, კაცი გაუგზავნა თავის რძალ, ქეთევანს, დავითის ქვრივს, თეიმურაზის დედას და შეუთვალა: „ცოლად შეგირთავ, შენც დამთანხმდი, რადგან ასეთია მაჰმადის რჯულის წესი და ადათიო“. ეს რომ გაიგო ქეთევანმა, მეტად შეწუხდა, იხმო თავისთან ზოგიერთი კახელი [წარჩინებული], გააცნო საქმის ვითარება და მხარდაჭერა სთხოვა. მაშინ კახელებმა პირობა მისცეს და შეჰფიცეს, რომ შენ გარდა სხვა ბატონი არ გვინდაო. შეიკრიბნენ, წავიდნენ და ბრძოლა გაუმართეს. ღმერთ-

მა ქეთევანს მისცა გამარჯვება, დაამარცხა კონსტანტინე. კახელებმა მოკლეს კონსტანტინე და გააქციეს ყიზილბაშების ჯარი.

ყიზილბაშთა ლაშქარი რომ განდევნეს, აცნობეს ეს ამბავი შაჰ-აბასს. ეს რომ გაიგო, თავისთან იხმო შაჰ-აბასმა თეიმურაზი, კახეთის უფლისწული, რომელიც ქეთევანს, დედამისს, ჰყავდა პატარაობაში გაგზავნილი. [ყაენმა] მეტად აძაგა კონსტანტინე, აუგად მოიხსენია და უთხრა თეიმურაზს: „კონსტანტინემ დახოცა თავისი მამა და ძმა. ახლა კი თვითონ ისიც მოკლეს. ახლა შენთვის მომიცია კახეთი, წადი ჩაფრად[325] და დაეუფლე კახეთსო“. ეს იმიტომ გააკეთა შაჰ-აბასმა, რომ ძალიან ეშინოდა, ქართლის მეფემ არ დაიპყროსო კახეთი. ამიტომ გამოგზავნა თეიმურაზი ჩაფრად. მაშინ წამოვიდა თეიმურაზი ჩაფრად, ჩამოვიდა კახეთში და მოვიდა დედამისთან. ძალიან გაიხარეს და გამხიარულდნენ კახელები. [კახეთის] ბატონი გახდა თეიმურაზი. მაშინ ცამეტი წლისა იყო.

მეფე ლუარსაბი[326]

იმხანად გარდაიცვალა მეფე გიორგი. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ლუარსაბი, მისი მცირეწლოვანი ვაჟი. მაშინ ქართლი ძალზე გაღარიბებული და უპოვარი იყო. ურუმების უწინდელი ლაშქრობებისა და აოხრების გამო იყო იავარქმნილი. უფრო მეტად კი, როცა სვიმონ მეფე დაატყვევეს ურუმებმა, მაშინ [გაღარიბდა]. დიდძალი ქონება გამოიტანეს, არაფერი დაზოგეს ქართლელებმა თავისი ბატონის გამოსახსნელად. ამიტომ ძალზე გაღარიბებული და გაჭირვებული იყო ქართლი. კახეთი კი ძალზედ შეძლებული და მდიდარი იყო. გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა, ორი მშვენიერი და საყვარელი ასული დარჩა. ერთს ხორეშანი ერქვა, მეორეს – თინათინი. როცა გამეფდა პატარა ლუარსაბი, მაშინ ყაენმა შაჰ-აბასმა მისი და სთხოვა ცოლად. მისცა თავისი და თინათინი და ცოლად ჰყავდა შაჰ-აბასს.

იმჟამად კარგად პატრონობდა თეიმურაზ ბატონი კახეთს. როცა თხუთმეტი წლისა გახდა, გურიელის ასული ითხოვა ცოლად. პატიოსანი და დიდებული ქორწილი გადაიხადა. გარკვეული დროის შემდეგ ორი ვაჟი შეეძინა. ერთს ერქვა ალექსანდრე, მეორეს – ლევანი. შემდეგ გარდაიცვალა თეიმურაზ ბატონის ცოლი, გურიელის ქალი. დამწუხრდა და დიდად იგლოვა ბატონმა თეიმურაზმა და მთელმა კახეთმა. დიდ მწუხარებაში იყვნენ. შეიტყო შაჰ-აბასმა კახეთის ბატონის გლოვისა

და მწუხარების შესახებ, გამოუგზავნა კაცი და შემოუთვალა: „გავიგე შენი ასეთი მწუხარებისა და გასაჭირის შესახებ. მოდი ჩემთან, მნახე და მოილხინე. ბევრ საჩუქარსა და წყალობას მოგცემო“.

წავიდა თეიმურაზი და ჩავიდა ყაენთან. ძალიან კარგად დახვდა ყაენი, ბევრი [საჩუქარი] მისცა და მწუხარებიდან გამოიყვანა. მეტად ილხენდნენ და ნადიმობდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ყაენმა საიდუმლოდ იხმო ბატონი თეიმურაზი და უთხრა: „მეფე ლუარსაბს მისი და, ხორეშანი, სთხოვე და ცოლად შეირთე. ჩემი ქვისლი იქნები და ლუარსაბის მოყვარე. აღარ იქნება შენსა და მას შორის შური და მტრობაო“. თეიმურაზ მეფემ უარი უთხრა, რადგან ნათესავები იყვნენ – [ის ქალი] მისი პაპიდაშვილი იყო. ამიტომ გადაჭრით უთხრა უარი. არ შეისმინა მისი შაჰ-აბასმა, გაუწყრა და რაკიღა დაჟინებით მოსთხოვა, დაჰყვა თეიმურაზი, დაემორჩილა და ხორეშანის შერთვაზე დასთანხმდა. გამოგზავნა შინ და ჩამოვიდა თეიმურაზი კახეთში. ყაენმა კი ლუარსაბს მოსწერა, დაუმოყვრდიო თეიმურაზს. სთხოვა ქალი თეიმურაზმა. ვერც ლუარსაბი გადავიდა ყაენის სიტყვას და გაატანა თავისი და, ხორეშანი. წაიყვანა ქალი თეიმურაზმა და გადაიხადა დიდებული ქორწილი.[327]

იმხანად ხონთქარი სულთან მურადი[328] ბაღდადთან იყო მისული ყირიმის ჯარის თანხლებით. როცა ხონთქარმა სულთან მურადმა ბაღდადის საქმეები მოაგვარა, მერე ყირიმის ჯარს [წამოსვლის] ნება მისცა. მაშინ ერთმა ვინმემ თათარხანებს რჩევა მისცა, რადგან მივდივართ, ქართლის გზა ძალიან კარგია, ჩვენთვისაც მარჯვეა, იქ გავიაროთ, ნადავლიც ბევრი ვიშოვოთ და უვნებლად ვიმგზავროთო. დაახლოებით სამოცი ათასი კაცი წამოვიდა ქართლზე. მაშინ ლუარსაბ მეფე ცხინვალში იმყოფებოდა.

იმხანად განდიდებული იყო ქართლის მოურავი გიორგი სააკაძე, რომელიც იყო თბილისის მოურავი. იმდენად გამდიდრებული იყო, რომ მეფის შემდეგ მეორე კაცი იყო. მას შეაგონეს ქვეყნის არევის მოყვარე და მეშფოთე ხალხმა: „მეფე მოკვლას გიპირებს, რადგან ეჯავრება შენი სიმდიდრე და განცხრომაო“. მოურავმა ეს რომ გაიგო, დაიწყო თათბირი და ლაპარაკი. მაშინ გაუგზავნა მეფემ კაცი და შეუთვალა: „რისი გაკეთება გინდა, რომ არ ჩერდები, ყოველდღე უჩუმრად თათბირობო“. მოურავმა კი მროველი [ეპისკოპოსი] დიმიტრი ავალიშვილი[329] გაუგზავნა და შეუთვალა: „მოკვლასა და ღალატს მიპირებ. რას მემართლები, რა დამიშავებია, რომ მიწყრები და ჩემი სიკვდილი გინდაო“. მეფემ ფიცით უარყო და დააჯერა: „არ მინდაო შენი სიკვდილი“.

სწორედ მაშინ მოუვიდათ ამბავი თრიალეთში თათარხანის შემოსვლის შესახებ. არ დაიჯერეს, იარალი გაგზავნეს: წადი, სიმართლე გაიგე, გზები შეკარი და დროულად გაგვაგებინე ვითარება, მართლა ხომ არ შემოვიდნენო. მაშინ მეფე მცირე ამალით იყო. წარჩინებულ ქართლელთაგან არავინ ახლდა, რადგან [ყველა] თავისთვის იყო. წამოვიდა მეფე და ცხირეთში გაჩერდა. წავიდა იარალი, ჩახერგა გზები და ერთ გამოსასვლელ ადგილზე თვითონ ჩადგა. შეუმჩნევლად წამოვიდნენ თათრები თავზე, მძინარეები ამოწყვიტეს და დახოცეს, ერთი მათგანიც ვერ გადაურჩათ. წამოვიდნენ თათრები, მოვიდნენ, გადაწვეს მანგლისი და კველთა.

კველთაში შეიპყრეს ერთი მღვდელი, სახელად თევდორე, პატიოსანი, ღვთისმოშიში და თავისი მეფის ერთგული კაცი. [სოფელ] გოსტიბეს თავში რომ მოვიდნენ, თევდორე მღვდელს ლახტით დაუწყეს ცემა, ეუბნებოდნენ: „გაგვიძეხი მეფისკენო“. მეფის მოკვლა უნდოდათ. მღვდელმა გულში ასე იფიქრა: „ჩემი ორი დღის სიცოცხლისთვის ამას რატომ ვაკეთებ. ახლა, რომ წავიყვანო, მეფე მოვაკვლევინო და ქართლიც ააოხრონ, მე რაღა მეშველება და ჩემ სულსო“. გამოუძღვა წინ მღვდელი და ქვენადრისის გზით ჩამოიყვანა. ერთაწმინდა და ცხირეთი საკმაოდ შორს მოიტოვეს. მაშინღა გაიგეს ყირიმელებმა, რომ მეფისგან ძალიან შორს იყვნენ, თავი მოჰკვეთეს თევდორე მღვდელს და წმიდა მოწამეთა დასში შეირაცხა.

ერთაწმიდა და ახალქალაქი მოიცვეს [თათრებმა]. გადმოხედა ცხირეთიდან მეფემ და მისმა მხედრობამ, რადგან ცხინვალიდან წამოსულიყო მეფე და ცხირეთში იმყოფებოდა. დაინახეს მრავალრიცხოვანი ჯარი. მაშინ [მეფეს] თან ახლდა გიორგი მოურავი და ზაზა ციციშვილი. მოახსენა მოურავმა მეფეს, რომ „ნუ აჩქარდები და ვნახოთ ღმერთი როგორ მოაგვარებს საქმესო“. მოურავი გაბედული კაცი და კარგი სარდალი იყო, ჭკვიანი და გონიერი. წამოვიდა მოურავი, გარშემო ადგილებში მებრძოლები ვინც იყვნენ [შეკრიბა], მოვიდა და შემოუერთდა მეფეს. სხვებიც [შეკრიბა], საბარათიანოში და ვინც კი იყო მისი მომხრე ქართელი. შეაგროვა თავისი ჯარი, რამდენიც ჰყავდა, ზაზაც თან ახლდა და წამოვიდა მოურავი ყირიმის ჯარის წინააღმდეგ. ჩავიდა ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. იქ დახვდნენ ყირიმელები. შეუტია მოურავმა და მრავალი ჯარისკაცი დახოცა. ბევრი მარცხი და ზარალი მიაყენა. ზაზა ციციშვილმა ერთი დიდებული ფაშა მოკლა. ჩამოქვეითდა და თავსა სჭრიდა. ამასობაში ბევრი ყირიმელი წამოადგა თავს. ეს რომ დაინახა, ზაზამ

მოჭრილ თავს წვერში ჩაავლო კბილები, მოახტა ცხენსა და წამოვიდა. იმ დღისით კიდევ მრავალჯერ მოიხვეჭეს სახელი. დაბრუნდნენ და მოართვეს მეფეს მრავალი [მოჭრილი] თავი და ნადავლი.

ამის შემდეგ აიყარნენ თათარხანები და საციციანოსაკენ გაემართნენ. მეფემ წერილები გაუგზავნა ერისთავებს, მუხრანბატონსა და შიდა ქართლის მთელ მოსახლეობას, რომ შეეგროვებინათ თავისი ჯარი და სურამის ბოლოს დახვედროდნენ. ყირიმელები კი წავიდნენ და ჩავიდნენ დოესში. [ისინი] რომ მიდიოდნენ, მაშინ გორიდან ერთი გორელი ტერტერა მოდიოდა თავის გზაზე წყნარად. არემარეს ათვალიერებდა ტერტერა. დაინახა დოესი და მისი ველები ჯარით იყო სავსე. მიხვდა ტერტერა, რომ ქართველები არ იყვნენ. შეატყო, რომ ვიღაც ურჯულოები იყვნენ და ქვეყნის მაოხრებლები. სწრაფად გაბრუნდა უკან ტერტერა, გაიქცა გორისკენ, გადავიდა მტკვრის ხიდზე, მთლიანად აყარა ხიდის ფიცრები და წყალში გადაყარა, აშალა ხიდი. ყირიმელები უკან გამოედევნენ, მაგრამ ხიდი აყრილი დახვდათ. ძალიან გაუძნელდათ და ვეღარ გადავიდნენ ხიდზე. შეწუხებულები გაბრუნდნენ უკან და დაადგნენ საციციანოს გზას. შევიდნენ საციციანოში, ცეცხლს მისცეს და გადაწვეს. წავიდნენ და ბრბონაში დაიბანაკეს. იქ სახლები დაშალეს, მტკვარზე ხიდი გადეს და ზედ გადავიდნენ. წავიდნენ და გაჩერდნენ ტაშისკარის ბოლოს, ნახვეტარში.

წამოვიდნენ ლუარსაბ მეფე და მოურავი და ახალდაბაში ჩამოვიდნენ. მტკვარი მაშინ ადიდებული იყო, რადგან ივნისის თვე იყო, ფონი არ უჩანდა. ის ღამე მხურვალე ლოცვასა და ვედრებაში გაატარეს და ღმერთს მიანდეს საქმე. გადაწყვიტეს, მტკვარში ფონის მონახვა და შიგ გავლა. გათენდა და შევიდნენ წყალში. სავსე იყო მაშინ მტკვარი და კალაპოტში ვერ ეტეოდა. ღვთის საფარველი იცავდა მათ, ისე უვნებლად გადალახეს, არაფერი დაშავებია არც ხალხს და არც ტვირთს. ისე გავიდნენ [წყალში], როგორც ისრაელის შვილები მეწამულ ზღვაში. მალვით ჩამოჰყვნენ მტკვრის ნაპირებს ისე, რომ ყირიმელებმა ვერაფერი გაიგეს. ჩამოჰყვნენ, ჩამოვიდნენ და შეუერთდნენ სურამის ბოლოს მდგარი ქართლელები. მაშინ ურჩია მოურავმა: „თხრილის ნაპირებზე გარშემო მეთოფეები შემოვახვიოთ, ცხენოსნები კი მინდვრიდან მივიდეთო“. დაუჯერეს მოურავს და ისე შეუტიეს, როგორც გადაწყვიტა.

ორივე მხრიდან დიდი ომი გამართეს. დიდი თავგამოდებითა და გაბედულებით შეიბნენ. ალბათ, ძველი დროის გმირებიც ძნელად თუ შეს-

ძლებდნენ ისეთ ბრძოლას, მეფე, მოურავი და ქართლელები როგორც იბრძოდნენ მაშინ. ღმერთმა ლუარსაბ მეფეს მისცა გამარჯვება, როგორც უწინ აბრაამსა და გედეონს. აღსრულდა უფლის ბრძანება, მოსე წინასწარმეტყველმა რომ უთხრა ლევიტელებს: „ხუთმა თქვენგანმა დაამარცხოს ასი და ასმა თქვენგანმა ათი ათასი (ლევიტ. 26, 8) და მოციქულ პავლეს ნათქვამი: „ძმანო, ღვთისმოყვართა ყოველივე განუმარჯვოს კეთილად“(რომ. 8, 28). ასევე ამათაც ღვთის იმედად დიდი გამარჯვება მიიღეს, ისე გაიმარჯვეს ურჯულოებზე, რომ მთლიანად გაავლეს მუსრი და მიმოიტაცეს მათი ბანაკი.[330] რაც კი ქართლში ტყვეები და ნადავლი ეშოვათ, ისიც წამოიღეს და მათი კუთვნილიც მრავალი წაართვეს. რამდენი ყირიმელიც შეიპყრეს, ყველა მახვილით ამოხოცეს. ძლივს გადაურჩნენ ცოტანი. გაქცევით უშველეს თავს. შეშინებულები და ნაგვემნი მოსაკიდელისკენ გაემართნენ. თავი შეაფარეს მოსაკიდელის ტყესა და გამაგრებულ ადგილებს, გზის გასაგრძელებლად ღონე არ შესწევდათ. სოფელ მოსაკიდელში მცხოვრები დედაკაცები პოულობდნენ ტყეში დამალულ ყირიმელებს, იჭერდნენ, ართმევდნენ თავსაბურავს და თუკი რამ ებადათ, შეიბრალებდნენ და გაუშვებდნენ ხოლმე. ასეთი გამარჯვება მიანიჭა ღმერთმა ქართველებს.

დაბრუნდნენ გამარჯვებულები და ნადავლით აღვსილნი, ჰქონდათ ზეიმი და სიხარული. მაშინ გადაწყვიტეს, ვინც კი ყირიმელები დაეხოცათ, დააჭრეს თავები, ყაენს გაუგზავნეს და მიულოცეს გამარჯვება. გარასპი ფავლენიშვილს გაატანეს. ჩავიდა და მიართვა ყაენს [მოკვეთილი] თავები. ძალიან ესიამოვნა [შაჰს] და მეფის მადლიერი დარჩა. მრავალი წყალობა გამოუგზავნა და იმანაც მოულოცა გამარჯვება.

ამის გამო კიდევ უფრო გამდიდრდა მოურავი. ასეთი რამ იღონა: რაკიღა ლუარსაბ მეფეს ცოლი არ ჰყავდა, თანაც ყმაწვილი კაცი იყო, გადაწყვიტა მოურავმა, მიიწვია მეფე, კარგად და თავმომწონედ გაუმასპინძლდა. ღვინის სმაში მეტად გამხიარულდა ლუარსაბ მეფე. მოურავს ერთი და ჰყავდა, მეტად ნაზი და ლამაზი. ღვინის მწდედ დაუყენა მეფეს. ძალიან მოეწონა და გულში ჩაუვარდა. მოურავს წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი თავის გულში, რადგან უწინ მოურავმა მეფეს ღალატი დასწამა, ფიქრობდა არ დამინდობსო და ასე გადაწყვიტა: მოეწონება მეფეს ჩემი და და შეიყვარებსო. მოინდომებს ჩემს დას და ცოლად გავატან. თუ ცოლად არ ისურვებს, მაშინ ჩემი მომხრეები ვინც არიან, ყველანი უფრო მეტად მე დამიჭერენ მხარს, მეფეს ორ-

გულობას დაუწყებენ და ასე წავახდენო. ხოლო თუ ცოლად შეირთავს, ჩემი მტრები დაუწყებენ ორგულობას, მეფე ჩემ გარეშე უძლური იქნება, ხელში რომ ჩამივარდება, რაც მენდომება, გავაკეთებო. გადაწყვიტა ეს ჩანაფიქრი. მოილხინეს და მეტად გალაღდნენ. მოეწონა მეფეს ეს ქალი. მეორე დღეს კაცი გამოუგზავნა მეფემ და ცოლად სთხოვა მოურავს მისი და. მაშინ მოურავმა მოხერხებულად მოიგო: „მეფეო, მე შენი ერთი უბრალო ყმა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ დრომ ხელი შემიწყო და თქვენი მრავალი წყალობით გამდიდრებული ვარ და მეტად დიდი სახელი მაქვს, ჩემი მტრები ჩემს დას დედოფლად არ აღიარებენ. არც არავინ გირჩევს ჩემს [დამოყვრებას], დამიწყებენ დაბეზღებას და აგამხედრებენო ჩემ წინააღმდეგ“. მისი შუაკაცი უკან გაგზავნა, შემდეგ აცნობა მოურავმა დედა დედოფალს, ისევ მოხერხებულად შეეხვეწა: „თქვენი შვილი მეფე ლუარსაბი ჩემს დას ცოლად მთხოვსო, ჩემი ნებით არ ვაძლევ და დამეხმარეთ, რომ თავი დავაღწიო ამ საქმესო“. შეიტყო ეს მეფემ, არ დაუჯერა და ცოლად შეირთო მოურავის და. დედა დედოფალი ლიპარტიანის ქალი იყო, მარიამი ერქვა. ქორწილის შესახებ რომ გაიგო, მეტად დაღონდა, მაგრამ ვეღარაფერი გააწყო. მოიყვანა ულამაზესი ქალი და რამდენიმე თვე ჰყავდა.

მაშინ ქართლის თავადები და დიდებულები და ისინი, ვისაც არ უყვარდათ მოურავი, განაწყენდნენ და დაიწყეს მოურავის ბეზღობა. ეუბნებოდნენ მეფეს მოურავის მტრები: „მოურავი მეტად კარგი კაცია, მაგრამ ჩვენ ძალზედ ჩამოგვივარდება, უგვარო არისო. ჩვენი ცოლშვილი და ჩვენი თავი იმათ ყმებად რატო გავუხადოთო“. ყველაზე მეტად სუფრაჯმა[331] შადიმან ბარათაშვილმა დაიწყო მოურავზე აუგის ლაპარაკი, არ ჩერდებოდა. მართალია, არ უნდოდა მეფეს მოურავის გაწირვა, მაგრამ ძალიან აიძულებდნენ სიტყვით. გამუდმებით შეაგონებდნენ მეფეს, დაერღვია კანონიერი წმიდა ქორწინება, საშინლად დაეგმო წმიდა სახარება და რწმენით არ შეეწყნარებინა [სიტყვები]: „ვინც ღმერთმა შეაუღლა, ადამიანები ნუ განაშორებენო“(მათე 19, 6). მეტად მართალი იყო მეფე, [არ] უნდოდა ღვთისაგან მოცემული მეუღლის გაშვება, მაგრამ ძალიან აიძულეს სიტყვით, დაჰყვა მეფე მათ რჩევას და ბრძანა განქორწინება.

ამაზე რომ დაიყოლიეს მეფე, მერე გაბედეს მოურავის მთლიანად ამოწყვეტა და ბოლოს მოღება. ატყობდნენ მეფეს, რომ სიყმაწვილის გამო, რასაც მოვახსენებთ, ვერ გვეწინააღმდეგებაო. ბოროტებას

ბოროტება შეჰმატეს და მოახსენეს: „რაკი განეშორები და მიატოვებ მოურავის დას, ვიცით, რომ ამას მოურავი არ შეეგუება, მეტად სახელოვანი კაცია, ორგულობას დაგიწყებს და [ამას] ბევრი ცუდი მოჰყვებაო“. ურჩიეს ეღალატა და მოეკლა მოურავი. მაშინ ლუარსაბ მეფე წავკისს ზემოთ იმყოფებოდა. იხმეს მოურავი და მიიწვიეს, ყარაიის ველზე ვნადირობთ, მოდით ვინადიმოთო. სწრაფად მოვიდა მოურავი, არ იცოდა, რა ჰქონდათ მისთვის გადაწყვეტილი. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა მეორე დღეს ღალატით მოეკლა მოურავი. გადაწყვიტეს ეს საქმე, მაგრამ ღმერთმა გამოააშკარავა მათი განზრახვა, რითაც იხსნა მეფე ლუარსაბი უდანაშაულო კაცის სისხლისა და მკვლელობისაგან. მოვიდა მოურავთან ფარეშთუხუცესი[332] ბააკა ხერხეულიძე და გასცა მეფე. მეფემ რომ გაიგო ფარეშთუხუცესის [საქციელი], რაც არასდროს გაუკეთებია გონიერ კაცს, რომ თავისი მეფის საიდუმლო გაეცეს, შეიპყრო ფარეშთუხუცესი და ცხვირი და ტუჩები დააჭრევინა. რაც ამის ქვემოთ არის დაწერილი, სამეფო ოჯახის აღმოფხვრა და ქართლის აოხრება, ყოველივე ბააკას სიტყვის გამო მოხდა.

გაიგო მოურავმა ეს საქმე. შიშველი გაიქცა, შეკაზმული ცხენით. გაიარა გელიყარის გზა და ჩავიდა ნოსტეში. აიყარა ცოლშვილიანად და გავიდა დიდგორის მთაზე. მისი ყმებიც თან გაჰყვნენ. მეფემ ჯარი შეუსია, მოვიდნენ ნოსტეში, დაიკავეს იქაურობა და ყოველ მხარეს შეკრეს გზები. ამხედრდა მოურავი, მთა-მთა წამოვიდა ცოლშვილიანად. უგზოდ გადმოლახა მთები, მდევრებმა საერთოდ ვერ გაიგეს, ისე ჩამოვიდა მცხეთაში. საბაჟოს გზაც შეკრული დახვდათ და ხიდიც გადაკეტილი. მაშინ, მცველების უჩუმრად, ღამით არაგვის ზემოთ გადალახა ადიდებული მტკვარი. ცხენდაცხენ ცურვით გაიყვანა ცოლშვილი უვნებლად ისე, რომ წყალმა არაფერი დაუშავათ. ფონს გავიდა, მხურვალედ თაყვანი სცა ღვთის მიერ აღმართულ სვეტიცხოველს და წავიდა ნუგზარ არაგვის ერისთავთან.

ნუგზარ არაგვის ერისთავის მამა-პაპამ ხევის პატრონი თექთურმანიძე ამოწყვიტა და ხევს დაეუფლა. მას შემდეგ მისცა მეფემ ზოგს ხადა, ზოგს მთიულეთი, ზოგს კიდევ დუშეთი და ანანური. და გადაიქცნენ ხევის ერისთავებად. ნუგზარ ერისთავის ასული ჰყავდა მოურავს. ნუგზარმა რომ შეიტყო მოურავის ამბავი და მასთან მისი წამოსვლის შესახებ, მუხრანის სოფელ მისაქციელში შეეგება, წაუძღვა და მიიყვანა თავის სახლში, დუშეთში. მოურავი გამოცდილი და მოხერხებული

კაცი იყო. ბევრი შეაგონა, აუხსნა შექმნილი ვითარება და ურჩია ნუგზარს თან გამომყევიო. ნუგზარ ერისთავმაც დაუჯერა და გადაწყვიტეს ყაენთან წასვლა. იქ [დუშეთში] მეფისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ და ნუგზარიც თან გაჰყვა. წამოვიდნენ იქიდან და ლილოში ჩამოვიდნენ. იქიდან გადავიდნენ ყურყუტაზე, მტკვარში ფონს გავიდნენ და ჩავიდნენ აღჯაყალაში. აღჯაყალაში მყოფმა თათრებმა გაიგეს მათი მისვლის შესახებ, გაიხარეს და დიდი პატივი სცეს.

რამოდენიმე ხნით იქ გაჩერდნენ, მოურავმა ცოლ-შვილი იქ დატოვა და თვითონ წავიდა ყაენ შაჰ-აბასთან. შაჰ-აბასი შეხვდა, ძალიან გაიხარა, მრავალი ნიჭი და საბოძვარი მისცა. მაშინ შაჰ-აბასი ყანდაჰარის ასაღებად გაემართა. იქ გაიყოლა [მოურავი]. ბრძოლაში და ციხის აღებაში მეტად გამოიჩინეს თავი [ქართველებმა]. დაბრუნდა იქიდან შაჰ-აბასი და ბაღდადს გაემართა. იქაც თან წაიყვანა [მოურავი]. იქაც კარგად, მხნედ, მამაცურად და გაბედულად იბრძოლეს. იქაური საქმეები რომ მოაგვარა შაჰ-აბასმა, წამოვიდა და დაბრუნდა ისპაჰანში. მაშინ შეჰპირდა მოურავი, ქართლსა და კახეთს დაგაპყრობინებო. შაჰ-აბასსაც ეს უნდოდა და მისცა წამოსვლის ნება.

გარკვეული დროის შემდეგ, [ქართლის] მეფისა და კახეთის ბატონის უჩუმრად და მოულოდნელად [ყაენი] ჩამოვიდა განჯაში. განჯაში რომ ჩამოვიდა, კაცი გამოუგზავნა თეიმურაზ კახ-ბატონს და შემოუთვალა: „შენი შვილი გამომიგზავნეო“. გაიგო ეს ამბავი თეიმურაზმა. იცოდა, რომ შაჰ-აბასი ვერაგი, დაუნდობელი და მოხერხებული იყო. იმასაც ფიქრობდა თეიმურაზი, მასთან გაზრდილი ვარ, მაგრამ მეც არ დამინდობსო. არ უნდოდა შვილის გაგზავნა. იცოდა, რომ არც მას დაინდობდა და არც მის შვილს. მაგრამ კახელებმა დაიჟინეს, არ მოეშვნენ, მეტად ძალა დაატანეს და მაშინღა გაუგზავნა გურიელის ქალისგან შეძენილი ვაჟი, ალექსანდრე. დედამისი ქეთევანიც თან გააყოლა, [რადგან] ფიქრობდა, უფრო მეტ პატივს დამდებს და არაფერს დაუშავებსო ჩემს შვილს. თან შეეხვეწა, არ გასწყრომოდა.

ჩავიდა ქეთევან დედოფალი, დიდი პატივი სცა [შაჰმა]. მისი შვილიშვილი ალექსანდრე რომ დაინახა, უთხრა ყაენმა: „ძიძა ხომ არ ვარ, ასეთი პატარა ყმაწვილი რომ გამოგზავნა, უფროსი შვილი რატომ არ გამომიგზავნაო. თუ ჩემი შერიგება უნდა, უფროსი შვილი გამომიგზავნოსო“. კაცი გაუგზავნა და უფროსი შვილი მოსთხოვა. არ უნდოდა კახეთის ბატონ თეიმურაზს უფროსი შვილის გაგზავნა, ქეთევან

დედოფალმაც შემოუთვალა, ნუ გამოუგზავნიო. არ უნდოდა თეიმურაზს გაგზავნა, მაგრამ კახელები არ მოეშვნენ, შეაგონებდნენ: „რაც შენ იქ იყავი, რა დაგიშავდა, რისთვის უნდა ააოხრებინო ქვეყანაო?“ რაკიღა არ დაეხსნენ კახელები, მერე უფროსი შვილი ლევანიც გაუგზავნა. ისიც რომ ჩავიდა, მერე ისევ გამოუგზავნა კაცი შაჰ-აბასმა თეიმურაზს: „რადგან ასეთი ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი, მნახე და მრავალ წყალობას მოგცემო“. მოუტანეს ეს ამბავი. მაშინ თეიმურაზ ბატონმაც დააჯერა გული და კახელებიც მიხვდნენ, რომ [ყაენს] მათი ამოწყვეტა უნდოდა.

მაშინ შეუთანხმდნენ ქართლის მეფე ლუარსაბს: „რადგან მოყვრებიც ვართ და ქვეყნისთვისაც ასე ჯობს, მოდი გავერთიანდეთ ამ საქმეში. შენც იცი, ყაენი შაჰ-აბასი საქართველოსთვის ავგული არის, მოურავიც ხომ შენი მტერია, მას მოჰყავს ყაენი და ქვეყნის დაღუპვა უნდათ, გავერთიანდეთო“. მაშინ შეკავშირდნენ და ერთმანეთს მტკიცე ფიცი მისცეს. თეიმურაზმა შეკრიბა კახელები და გამაგრდა. გაიგო ეს შაჰ-აბასმა. თვითონ წამოვიდა და შემოვიდა კახეთში. შეკრიბა თეიმურაზმა თავისი მხედრობა. შაჰ-აბას ყაენმაც წინ დაუხვედრა ჟალეთში თავისი ლაშქარი. შაჰ-აბასი თვითონ წამოვიდა თეიმურაზ ბატონის წინააღმდეგ. ვერ შეძლო თეიმურაზმა შებრძოლება და უკან გამობრუნდა. თავს დაესხა ჟალეთში მდგომ ყიზილბაშებს, რომლებსაც გზა ჰჰონდათ შეკრული, მხნედ შეება. ღმერთმა ძლევა მისცა და გაიმარჯვა ბატონმა თეიმურაზმა. ყველანი მახვილით ამოწყვიტა და მუსრი გაავლო. წამოვიდა, ჩამოვიდა მუხრანში და შეხვდა ლუარსაბ მეფეს.

თავიდან თურმე ასეთი რჩევა მისცა მოურავმა ყაენ შაჰ-აბასს: „ზამთარში შედიო ქართლში. ხიზანი მთებში ვერ შევა და, რასაც გინდა, იზამო. ხოლო თუ მთებს შეაფარებენ თავს, თოვლი და სიცივე ამოწყვეტავთო“. დაუჯერა შაჰ-აბასმა მოურავის ნათქვამს, ხუთ იანვარს შემოიჭრა, ქრისტეს აქეთ 1624[333] [წელს]. აიღო თორღვას ციხე და კახეთის მთელი საგანძური ხელში ჩაიგდო შაჰ-აბასმა. თავისი ხელით დალეწა ალავერდის წმიდა გიორგის [ხატი], შემუსრა პატიოსანი ხატები და ჯვრები, ძვირფასი თვალ-მარგალიტი შემოსძარცვა და თავის მეძავებს, ცოლსა და ხარჭებს მისცა, მათ სამკაულად გახადა. შეურაცხყო კახეთის წმიდა ეკლესიები და წამოვიდა ქალაქ [თბილისის] წინააღმდეგ.

მაშინ გადაწყვიტეს ქართლელებმა ომი, მაგრამ ველარაფერს გახდნენ და ვერც წინააღმდეგობა გაუწიეს მრავალრიცხოვან ჯარს. ლუარ-

საბ მეფე და კახეთის ბატონი თეიმურაზი იმერეთში გადავიდნენ. შემოეგება იმერეთის მფლობელი გიორგი,[334] მეტად დაიახლოვა, დააბინავა და შეიფარა. შაჰ-აბასი კი გორში ჩამოვიდა და იქ გაჩერდა. კაცი გაუგზავნა შაჰ-აბასმა იმერეთის მბრძანებელს და შეუთვალა: „ეგ ორივე მეფე გადმომეცი და აგავსებ მრავალი ძღვენითა და საბოძვარითო“. ეს რომ გაიგო იმერეთის მბრძანებელმა, ელჩებად გამოუგზავნა აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია[335] და ლევან აბაშიძე. ბევრი საჩუქრებიც გამოუგზავნა და ასე შემოუთვალა: „ჩემგან არ მოხდება ამათი გაცემა. [თქვენმა] ხელმწიფებამ კი იმდენი მოწყალება გამოიჩინოს და პატივი გვცეს, რომ ესენი ისევ შეირიგოს, თვითონ კი წაბრძანდეს და დაანებოს ამათ თავისი მამული და საბატონოო“.

ჩამოვიდნენ მალაქია კათოლიკოსი და ლევან აბაშიძე. თან ახლდათ ყაენის გაგზავნილი კაცი. მოვიდნენ, ყაენი მეტად კარგად შეხვდათ და დიდი პატივი სცათ. გაიგო, რომ იმერეთის მბრძანებელი გიორგი არ გადასცემდა [ლუარსაბ] მეფესა და თეიმურაზს. სხვა რომ ვეღარაფერი გააწყო შაჰ-აბასმა, მაშინ ხერხი იხმარა: დაიბარა მალაქია კათოლიკოსი, ლევან აბაშიძე და შეუთვალა იმერეთის მბრძანებელ გიორგის: „რადგან შუამდგომლობ, [იცოდე], რომ მე მეფე ლუარსაბის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არც არაფერს ვემდურები და არც მაგის დასაღუპავად ვარ ჩამოსულიო. ბატონი თეიმურაზი არის ჩემი მტერი, მაგას არც შევირიგებ და არც მინდა. მეფე ლუარსაბს კიდეც შევირიგებ, თუ მოვა და შემირიგდება და წყალობითაც მოვექცევიო“. მათ ეს სიტყვა დააბარა და გაუშვა. [მერე] მოიხმო ლუარსაბის გამზრდელი შადიმან სუფრაჯი. ტირილი დაიწყო შაჰ-აბას ყაენმა და თქვა: „მე მეფე ლუარსაბს როგორ დავღუპავო. სვიმონ მეფის შვილიშვილსა და გიორგი მეფის ძეს მე ცუდსა და შეუფერებელს როგორ ვაკადრებ, მაგრამ თეიმურაზმა შეაცდინა და მოატყუაო. იცოდე, თუ ლუარსაბ მეფე მოვა და შემირიგდება, დიდი წყალობით მოვექცევი და გავამდიდრებო. საშინელი ფიცი დადო, საფიცარი მისცა და ბევრი იტირა. დაინახა შადიმანმა შაჰ-აბასის ამდენი ტირილი და ფიცი, გული დააჯერა, რომ ლუარსაბ მეფეს ყაენი დიდი სიკეთით მოეპყრობა და კიდეც შეირიგებსო. ამაში მეტად დარწმუნდა, მაგრამ ამ ყველაფერს საცდურ ხრიკად იყენებდა შაჰ-აბასი. მაშინ გაუგზავნა ყაენმა [ლუარსაბს] შადიმან სუფრაჯი და თან გააყოლა ერთი ერთგული და სანდო ხოჯა. მისწერა წერილი თავისი ფიცით და გაუგზავნა ძვირფასად მოჭედილი ხმალი.

მაშინ შაჰ-აბასს ცოლად ჰყავდა ლუარსაბ მეფის და. იმასაც მიაწერინა წერილი და მოიხმო ლუარსაბ მეფე, რადგან მეფის დაც მოატყუა. მრავალი საბოძვარი მისცა მალაქია კათოლიკოსსა და ლევან აბაშიძეს, ყელამდე აავსო.

ჩავიდნენ მეფე ლუარსაბთან და იმერეთის მბრძანებელ გიორგისთან, მოახსენეს საქმის ვითარება და ყაენის დანაბარები, ყველაფერი გადასცეს. შადიმანმაც აჩვენა [შაჰის] ფიცი, ხოჯამ ხმალი მიართვა და გადასცეს მისი დის გაგზავნილი წერილი. მაშინ კი დააჯერა გული ლუარსაბ მეფემ და გაემზადა წამოსასვლელად. იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ შეატყობინა ლევან დადიანსა[336] და მამია გურიელს[337] (მამია გურიელი იყო ვახტანგ გურიელის[338] ძე). მოვიდნენ ისინი და ერთად შეიკრიბნენ. ურჩევდა ბატონი თეიმურაზი და მთელი იმერეთი – ყიზილბაშებმა ბევრი ტყუილები იციან, დაუნდობელი ხალხია, შენც არ დაგზოგავენ, ნუ წახვალო. მან არ შეისმინა და წამოვიდა[339].

გზაზე გარკვეულ მანძილზე გამოაცილეს, გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და გაბრუნდნენ უკან. ისინი იქით წავიდნენ, მეფე ლუარსაბი კი წამოვიდა გორში ყაენ შაჰ-აბასთან. იგი წინ კი არ მიეგება, არამედ სანადიროდ ამხედრდა ცხენზე და ისე შემოხვდა გზაზე. პატივი სცა ლუარსაბს, თავისთან მიიყვანა, მეტად გაიხარა ყაენმა შაჰ-აბასმა და დიდი პატივი სცა. გარკვეული ხნით ინადიმეს. შემდეგ გულში იფიქრა ყაენმა შაჰ-აბასმა, ეშინოდა, ქართლელებმა აზრი არ შეაცვლევინონ და ამბოხება არ განაახლოსო. გარკვეული დროის შემდეგ შაჰ-აბასმა თბილისში წასვლა მოისურვა, უთხრა ლუარსაბ მეფეს: „წავიდეთ თბილისში, იქაც მოვილხინოთ და ვინადიმოთო. შენ იქ დაგტოვებ და მე წავალო“. თბილისში რომ ჩავიდნენ, იქ უთხრა: „წავიდეთ ყარაიის ველზე, ვინადიროთ, თან ვინადიმოთ და მოვილხინოთ. შენ უკან დაგაბრუნებ და მე წავალო“. ყარაიაში რომ ჩავიდნენ, დიდი სანადირო მახე[340] შემოავლეს [იქაურობას]. ჰარემებიც თან ახლდნენ. ჰარემებისთვის კარავი [გაშალეს], შუაში თეთრი [ქსოვილი] შემოავლეს. თვითონ შაჰ-აბასი და ლუარსაბი შევიდნენ კარავში და სანადიროდ მოემზადნენ. ლუარსაბ მეფე კარგი შესახედაობის კაცი იყო. სხვა არავინ გამოსულა ისეთი კარგი, ყოველგვარი ღვთისნიერებითა და ვაჟკაცური ზნეობით სრულყოფილი და უნაკლო. ინადირეს ყარაიაში. ლუარსაბ მეფემ თავის კართან ცხრამეტი [ნადირი] მოკლა. ეს რომ შაჰ-აბასმა ნახა, უფრო მეტად აღეგზნა შუღლი მის გულში და გადაემტერა. მართალია პირში

დიდად აქებდა და ეფერებოდა, გულში კი ძალზედ ემტერებოდა და ბოროტს განუმზადებდა.

მაშინ მეფის დამაც საიდუმლოდ მოსწერა წერილი და დაარიგა: „ამას ასე ნუ დაენახვებით, სიკარგესა და მშვენიერებას ნუ აჩვენებთ, ვიცი ამისი ზნე, შურიანი და მზაკვარი კაცია, გულს მოუკლავს შენი სიკარგე. პირდაპირ ვერაფერს გეტყვის, მაგრამ მაინც მოერიდე და ფრთხილად იყავიო“. მეფე ლუარსაბმა კი უთხრა: „ახლა რაღა ვქნა, რაც არ უნდა უვარგისად მოვაჩვენო თავი და ვიფრთხილო, ვიცი, აღარ გამათავისუფლებს. და რაკიღა აღარ გამიშვებს, ისევ კარგად დავენახები, ასე სჯობიაო“. [ყაენს] ფარულად ძალიან შურდა მისი. მაშინ უთხრა შაჰ-აბასმა: „რადგან ასეთი კარგი მონადირე ხარ და სწორუპოვარი მშვილდოსანი, ყარაბაღი ძალზედ კარგი სანადირო და სანადიმო ადგილია, წავიდეთ და იქაც ვინადიმოთ, ვინადიროთ და მოვილხინოთო“. და იქაც წაიყვანა. გარკვეული დროის შემდეგ კი უთხრა: „გილანი, მაზანდარანი და მისი შემოგარენი ადგილებიც კარგი სანადიროა, იქაც წავიდეთ და გავერთოთო“.

აშრაფში რომ ჩაიყვანა, მაშინ რჯულის დათმობა მოსთხოვა. მან ყურად არ იღო და არ უარყო თავისი რჯული. მაშინ განრისხდა შაჰ-აბასი და ბოროტ ხვედრს განუმზადებდა მეფე ლუარსაბს: ბევრ წყალობას აღუთქვამდა, ლიქნითა და მზაკვრული სიტყვებით, ეგონა აცდუნებდა და გადაიყვანდა თავის რჯულზე. თავისი ვერაგობით ცდილობდა დაერწმუნებინა, მაგრამ ვერ აჯობა. ფუჭი გამოდგა მისი სიცრუე, ვერ აიხდინა გულის წადილი. უფრო აღივსო შურით, როგორც დავითი ამბობს: „უმზირნ ცოდვილი მართალსა და იღრჭინის მის ზედა კბილნი მისნი, ხოლო უფალმან ეცინის მას, რამეთუ წინასწარ ხედავს მას“ (ფსალ. 36, 12-13) და ამის მომდევნო. მაშინ მოისმინა იმ მტარვალისგან მეფე ლუარსაბმა მრისხანე სიტყვები, მაგრამ არაფრად ჩააგდო მტარვალის რისხვა. იყო, როგორც ანდამატი, როგორც შეუძვრელი კლდე და უშიშარი, როგორც ლომი თავის სამყოფელში. წარმავალი ქვეყნიერების საზრუნავს არც იხსენებდა, ზეცად აღაფრენდა თავის გულსა და გონებას. როგორც ცის ლაჟვარდში მფრენი ორბი, ისე ეშურებოდა განახლებას (შდრ. ფსალ. 102, 5), რომ შეემოსა სულიერი შესამოსელი, განეგდო ეს ხრწნადი თმის საფარველი და შეემოსა ის უხრწნელი, რომელიც წმიდა მხნე მარტვილებს აქვთ შემოსილი. წარმოთქვამდა მოციქულის სიტყვებს: „მაქვს გულისთქმა, გავიდე და ქრისტესთან

ვიყო“ (შდრ. ფილიპ. 1, 23) ფიქრობდა წმიდა მოწამეთა მხნეობასა და ღვაწლზე, მათ გვირგვინსა და საზღაურზე. საღმრთო მოშურნეობა ჰქონდა და უფრო მეტად ჰბაძავდა მეფეთა შორის წარჩინებულ მარტვილ მეფე არჩილსა[341] და ვახტანგ [გორგასალს]. ამბობდა მოციქულის სიტყვას: „თუკი მოვკვდე[ბით] ქრისტესთვის, მწამს, რომ მასთან ვიცოცხლებთ“ (შდრ. 2 ტიმ. 2, 11) და რადგან იმ სახიერმა თავისი სიკვდილით გვიხსნა ჯოჯოხეთის ქვესკნელისაგან, ჩვენც მოვალენი ვართ, რომ სისხლი დავსთხიოთ მისთვის და მისი გულისთვის არ დავზოგოთ თავი. ოღონდ ღირსმყოს იმ სახიერმა, რომ არათუ ერთგზის და ორგზის გარდავიცვალო მისთვის, არამედ მრავალგზის, რომელმაც მიბრძანა საუფლო ხმით: „ნუ გეშინია [იმათი], ვინც ხორცს მოგიკვდინებენ, ხოლო სულის მოკვლა არ შეუძლიათ“ (შდრ. მათე 10, 28) და ასევე: „ვინც მე მაღიარებს ადამიანების წინაშე, მეც ვაღიარებ მას ჩემი ზეციერი მამის წინაშე“ (შდრ. მათე 10, 32). რადგან იგი აღმითქვამს იმ დაუჭკნობელ გვირგვინსა და საზღაურს, „რომელიც თუალს არ უხილავს და ყურს არ მოუსმენია, კაცს გულში არ ჰქონია“ (შდრ. 1 კორ. 2, 9). ესეც ვიცი, რომ სიკვდილის ვალი მაქვს და შეუბღალავად უნდა ამოვუშვა სული და განვაშორო ხორცს. მეგულება ამ თიხოვანი ცომის გარდაცვალება და დარღვევა ამ ჩემი კიდურებისა და აღნაგობისა[342]. ნამდვილად სასიკეთო იქნება ჩემთვის, თუკი სწრაფად გადავლახავ ამ საძლეველ ასპარეზს, მოვაკვდინებ მიწიერი [სხეულის] ასოებს და უკვდავს შევიმოსავ. რაკი უეჭველად ასე იქნება, რაღატომ დავყოვნდე და არ ვიჩქარო უკვდავი და მშვენიერი სიძის ქორწილში შესვლა? უკვე მზად არის, რომ თავისი ხელით მომცეს უხრწნელების გვირგვინი. აჰა, ჟამი შეწყნარებისა და დღე ღვთის სათნო.

თავიდანვე იცოდა, უწყალო და ულმობელი რომ იყო მტარვალი შაჰ-აბასი. მხურვალე გულითა და ცრემლების ნაკადულით ევედრებოდა [ღმერთს] და სულ უფრო მეტ დღეებს განლევდა მარხვაში. ისევ აიძულა შაჰ-აბასმა სარწმუნოების მიტოვება და არ დაჰყვა. მაშინ ბრძანა ჩაეგდოთ იგი იმ ციხეში, რომელსაც გულაბყალას ციხეს ეძახიან. იქ ჰქონდა ჩაფიქრებული მისი გათავება. მეფე ლუარსაბმა აუწყა მასთან მყოფ ქართველებს, რომლებიც თან ახლდნენ და ამგვარი ბრძანებით დაუტოვა მთელი თავისი ანდერძი: „აჰა, ვტოვებ ამ წუთისოფელს და თქვენც გშორდებით. მივდივარ ჩემი უფალი ღმერთის წინაშე, ვისთანაც მსურდა, მაგრამ ნუ დამივიწყებთ. ეს სიტყვა მოიხსენიეთ და ცრემლით მი-

გლოვეთ, ვინც ხართ ჩემთან ერთად გაზრდილები და ჩემი გამზრდელები. ნუ უგულებელმყოფთ ტკბილ პატრონს, ჩემს ყმურ მეგობრობასა და სიყვარულს. მსურს თქვენგან, რომ ქართული წესით დაიწყოთ ჩემი დასაკრძალავი გლოვა და მოთქმა და ასე დამიტიროთ, რადგან ამის მერე, არა მგონია, ისევ გავიგონო თქვენი ხმა. არამედ მოველი ანგელოზებრივი სიხარულისა და ზატიკობის ხმის გაგონებას“.

მაშინ დაიწყეს ქართველებმა მოთქმა და გოდება, როგორც რაქელი დასტიროდა თავის შვილებს და არ ეძიებდა ნუგეშს (შდრ. იერემია 31, 15). გოდებდნენ ქართული წესით. წამოწოლილი იყო ლუარსაბ მეფე, ქართველები კი მისტიროდნენ თავზარდამცემი ხმითა და უნუგეშო ცრემლით. ასევე პასუხობდა მეფე ლუარსაბი, მათი განშორებით გამწარებული. ასე აღასრულეს მიცვალებულის წესი და იყო დიდი მოთქმა-გოდების ხმა. მაშინ იხმო მასთან მყოფი ეპისკოპოსი მღვდლებისა და დიაკვნების თანხლებით. უბრძანა ქრისტეს წმიდა საიდუმლოთა, ცხოველსმყოფელი სისხლისა და ხორცის, მობრძანება. ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და გამსჭვალა მისი გონების თვალები. მწყურვალივით დაეწაფა ნექტარს და აღმოაცენებდა თვალებიდან ცრემლების ნაკადულს და ნილოსივით რწყავდა მისი სულის იფქლის ხნულებს და წარმოთქვამდა ამ ფსალმუნს: შენთვის მოვკვდები, ქრისტე ღმერთო ჩემო, როგორც დასაკლავი ცხვარი (შდრ. ფსალ. 43, 22). ახლა კი ღირსი გამხადე, ვეზიარო შენს წმიდა საიდუმლოებს“. მაშინ ეზიარა შიშითა და კრძალვით. ზიარების შემდეგ ჰმადლობდა ღმერთსა და ამბობდა: „შენ იცი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რომ არც ანგარებით და არც სიმდიდრის სიყვარულით არ მიმიტოვებია ჩემი მამული და სამყოფელი. არც არავის შეეძლო ჩემი შეპყრობა. ვერც გამომიყვანდნენ იმ სიმაგრეთაგან, სადაც ვიმყოფებოდი. მაგრამ ამ ბოროტი მტარვალის მცდელობითა თუ ხრიკებით, ეშმაკისა და მისი მოყვარული და მსახური ბოროტი ხალხის მზაკვრობით წამოვედი და მოვედი ამ ჯალათთან. უფრო მეტად დამწუხრებული ვიყავი და გული შემტკიოდა საქართველოს გაპარტახების გამო, წმიდა ხატ-ჯვრების შებილწვისა და წმიდა ტაძრების დაქცევის გამო. მე რომ ამათგან თავი დამეღწია, მაშინ, როგორც იერუსალიმი ნაბუქოდონოსორის ხელში[343], ისე შეიბილწებოდა და მოოხრდებოდა [ქვეყანა] ამათგან. საქართველოსაც ამას განუმზადებდა ეს მტარვალი, სრულიად უნდოდა გაჩანაგება, მაგრამ მოვინდომე და შენი ბრძანების შესმენით, წინასწარ გადავწყვიტე ეს საქმე, რადგან ბრძანე წმიდა სახ-

არებაში: მწყემსმა კეთილმა დადოს თავისი სული მისი ცხვრებისთვისო (შდრ. იოანე 10, 11). ჯამაგირით დადგენილი კი არ გავხდი, რომ მიმეტოვებინა ჩემი ცხვარი, გავქცეულიყავი და მხეცების შესაბილწი და შესაჭმელი გამეხადა სიწმიდეები და ქართლის არემარე, არამედ შენს ბრძანებას მინდობილმა თავი გავწირე ქვეყნისათვის და აწიოკებას გადაურჩა ჩემი ხალხი. ყოველივე ეს შენ უწყი, რადგან იცი გულისა და გონების ზრახვანი. არ მენანება მეფობა და გვირგვინოსნება ჩემი, არც მშვენიერება, მოხდენილობა და ჩემი ჭაბუკური სიძლიერე, არც ჩემი უებრობა და მშვენიერი აღნაგობა, არც მარჯვედ გამოსვლა ასპარეზობაზე და ჩემი კარგი ტანადობა, არც მხნეობა ბრძოლაში და მკლავის სიმაგრე, არც მოედანზე ცხენის ნავარდი და ჭენება, ნადირის მარჯვედ ხოცვა. მკლავის მოუღლელობა და ყველა ჩემი მოიმედის გადამეტება; არც დიდება, პატივი და მრავალგვარი საჭმელ-სასმელი და ნადიმი, სანიმუშო ლხინი და მხიარული საუბრები, ქცევა და სიმღერა; სამეფო საწოლი, ტახტი და გვირგვინოსნება. ეს ყველაფერი დამითმია შენი სიყვარულის გამო და ახლა გევედრები, უფალო, ჩემი სული, გული და გონება აღამაღლო შენამდე, რომ არაფრად ჩავაგდო ქვესკნელში დამნთქმელი და ამაო ამქვეყნიური სიამეები, რამეთუ შენ გშვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ეს სიტყვები რომ დაასრულა, მაშინ მიავლინა თავისი ჯალათები მტარვალმა შაჰ-აბასმა, ტყვესავით გაგზავნეს იგი გულაბყალას ციხეში და იქ ჩააგდეს. მცირე დროის შემდეგ კაცი გაუგზავნა იქ მყოფ ხანს, რომელსაც ჰყავდა დატყვევებული ლუარსაბ მეფე და შეატყობინა, რომ მოეხრჩო. შეიტყო იმ ხანმა ლუარსაბის სასიკვდილო განაჩენის შესახებ, ძალზედ დამწუხრდა, ებრალებოდა მისი სიჭაბუკე და ვაჟკაცობა. მაშინ შევიდნენ ჯალათები და აუწყეს მეფე ლუარსაბს მტარვალი შაჰ-აბასის ბრძანება. ეს რომ გაიგო, ამ ფსალმუნის წარმოთქმა დაიწყო: „იყოს სახელი უფლისა კურთხეული ამიერიდან და უკუნისამდე“ და ევედრებოდა მრავალმოწყალე ღმერთს. ამის შემდეგ უთხრა წმიდა ლუარსაბმა ჯალათებს: „შეასრულეთ, რაც ნაბრძანები გაქვთ“. აიღეს მშვილდის საბელი, გამოაბეს ყელზე და მოაშთვეს. ამგვარად სრულყო თავისი მარტვილობა, წმიდა მოწამეების კრებულს შეერთო და ახლა იხარებს მოუკლებელი და გამოუთქმელი სიხარულით. ამჟამად ლუარსაბ მეფე-მარტვილის წმიდა ნაწილები განისვენებენ გულაბყალას ციხეში.

ხოლო ბატონი თეიმურაზის დედა, ქეთევანი და მისი ორი ვაჟი, ალექსანდრე და ლევანი, შირაზში გაგზავნა [შაჰმა] და იქ დაატყვევეს. როცა დაბრუნდა შაჰ-აბასი, ველარავინ დასვა ვერც ქართლისა და ვერც კახეთის ბატონად, რადგან ლუარსაბს არც შვილი ჰყავდა და არც ძმა. კახეთი შაჰ-აბასმა ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანიშვილს ჩააბარა, ქართლი კი უბატონოდ დარჩა. თავადები განაგებდნენ თავ-თავის მხარეს და ერთმანეთში უფროს-უმცროსობა ჰქონდათ[344]. ნოდარმა და დავითმა ერთგულება გამოიჩინეს, იმერეთიდან ჩამოიყვანეს ბატონი თეიმურაზი და კახეთის ტახტი მისცეს. არაგვის პირამდე გამოაცილეს თეიმურაზ ბატონი იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ, დადიანმა და გურიელმა. ჩავიდა კახეთში ბატონი თეიმურაზი, ისინი გაბრუნდნენ და იმერეთში წავიდნენ, თავის სამკვიდროში. თეიმურაზ ბატონი ავიდა კახეთის ტახტზე და განაგებდა [ქვეყანას].

გაიგო შაჰ-აბასმა თეიმურაზის დაბრუნების ამბავი. განრისხდა, ვეშაპივით გამძვინვარდა და მრავალრიცხოვანი ჯარით გამოგზავნა ალი ყული-ხანი. სთხოვა, ყოველი მხრიდან შეეკრა გზები, რომ არ გაჰქცეოდა. [შემდეგ] თვითონაც გამოემართა, რადგან უნდოდა, პირადად დასხმოდა თავს. წამოვიდა ალი ყული-ხანი და არაგვზე გზები შეკრა. გაიგო ეს ბატონმა თეიმურაზმა, შეკრიბა ლაშქარი, მივიდა და შუადღისით წიწამურს ზემოთ დაესხა თავს. ძლიერი ბრძოლა გაიმართა და დიდი გაიმარჯვება მოიპოვა ბატონმა თეიმურაზმა. ღმერთმა გამარჯვება მისცა და შუადღიდან მოკიდებული დაბინდებამდე ხოცავდნენ თათრებს. გაიმარჯვეს თეიმურაზ ბატონმა და კახელებმა, გააქციეს [მტერი]. გაიგო ეს ამბავი შაჰ-აბასმა, უფრო მეტად გამძვინვარდა და თვითონ წამოვიდა. ჩამოვიდა შაჰ-აბასი, ველარ შესძლო თეიმურაზმა შებრძოლება და იმერეთში გადავიდა. ზოგიერთი კახელი ცოლ-შვილით აიყარა და თან გაჰყვა თეიმურაზს.

ბაგრატ მეფე[345]

შაჰ-აბასი კახეთზე გამოვლით შემოვიდა ქართლში. ქრისტეს აქეთ 1619[346] [წელს], ქართლის ბატონად დასვა ბაგრატი, სვიმონ მეფის ძმისშვილი, [რომელიც] კახ-ბატონის მოგვარე ქალის ნაშობი იყო.

მაშინ შეუთანხმდა შაჰ-აბასი ლეკებს, კაცი გაუგზავნა და შეუთვალა შემდეგი: „მინდა ტყვედ წავასხა და მთლიანად გავაჩანაგო აქაურობა. მე კახეთის [მოსახლეობას] ავყრი და ვინც კი მანდ ქალი თუ კაცი

შემოიხიზნოს, დაატყვევეთო“. წავიდა, ჩაიარა კახეთი და ამოწყვიტა [ხალხი]. წავიდა და ააოხრა, სხვები აყარა და თან წაასხა, ზოგიც ლეკებმა ამოწყვიტეს და დაატყვევეს. ზოგიერთებმა თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს შეაფარეს თავი და გადარჩნენ. სხვები ააოხრეს და ამოწყვიტეს. ვინც კი შეიპყრეს, ცოლ-შვილიანად აჰყარეს საცხოვრებელი ადგილებიდან და ფერეიდანში გარეკეს. ზოგიერთი ახლაც მეთოფეებად ჰყავთ მეწინავე [ჯარში]. დღევანდელ დღემდე მეთოფეები არიან, წინ მიუძღვიან ხოლმე ყაენს. მაშინ შემუსრა და დალეწა რაც კი ხატჯვრები გადაურჩა უწინ. წამოიღო თავისი ნაძარცვი და [წამოასხა] ტყვეები. იქ პატრონად დაადგინა ფეიქარხანი, რომელიღაც ლაშქარი მისცა და ელების [ტომის ხალხი][347]. თვითონ წავიდა განრისხებული და ჩავიდა ისპაჰანში.

მაშინ გაუგზავნა კაცი შირაზის ხანს და დაიბარა თეიმურაზ ბატონის ვაჟები, ალექსანდრე და ლევანი. მიჰგვარეს, დაასაჭურისა ორივე და თავისთან დაიტოვა. ერთი ძმა, ლევანი, ჭკუიდან გადავიდა, ასე დაეხეტებოდა შეშლილი. მეორე, ალექსანდრე, კი გარდაიცვალა. რაც შეეხება ქეთევანს, კაცი გაგზავნა იმამ ყული-ხანთან და ასე შეუთვალა: „თუ გათათრდება ქეთევან დედოფალი, არაფერი აწყენინო, ხოლო თუ არ გათათრდება, აწამე და სიკვდილით დასაჯეო“. იმამ ყული-ხანმა ეს რომ გაიგო, უკან გამოუგზავნა მაცნე და ასე მოახსენა: „ბებერი ქალია, ახლა იგი არ გათათრდება. რაში გჭირდებათ ამისი გათათრება, შეეშვით, მისი მოკვლა თქვენი სირცხვილი იქნებაო“. ეწყინა შაჰ-აბასს, კაცი გაუგზავნა, არ მოხდებაო [დედოფლის შეწყალება]. მაშინ დაუწყო იმამ ყული-ხანმა ქეთევანს შეგონება, აცნობა ყაენის შემონათვალი და უთხრა, გათათრდიო. ქეთევანი არ დაჰყვა. მაშინ შეიპყრეს მისი თანმხლები [ხალხი] ერთად და თვალწინ გაუთათრეს. [ქეთევანს] თან ახლდა ერთი იმერელი მღვდელი, ისიც გაუთათრეს.

ხელ-ფეხი შეუკრეს და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი. გახურებული შანთებით დააგლიჯეს ძუძუები, გახურებული მარწუხები შემოაწყვეს დაფლეთილ ხორცზე და დაგლიჯეს. გაახურეს ლურსმნები, დაუყარეს ქვეშ და ზედ გაატარეს. დააწვინეს და შიშველ სხეულზე ზედ დააყარეს გახურებული ლურსმნები. ასევე გახურებული შამფურები გაუტარეს მუცელსა და მკერდში, გახურებული ქვაბი ჩამოამხეს თავზე. მერე გახურებულ დიდ ქვაბში ჩასვეს და თავსახურიც დააფარეს. გახურებული ბარები შემოაწყვეს შუბლზე, თავის ქალა ააგ-

ლიჯეს და ბევრი ტანჯეს. ასე შეავედრა თავისი წმიდა სული უფალს[348] და შეირაცხა წმიდა ქალწულმოწამეთა კრებულში. მოვიდა ნათელი და ყველას სამხილებლად ზედ დაადგა. ამას შეესწრნენ კათოლიკები. კათოლიკებმა აიღეს წმიდა ქეთევანის წმიდა ნაწილები და თავისთან წაიღეს, როგორც სიწმიდე, ხოლო ხელი და მკლავი თეიმურაზ ბატონს გამოუგზავნეს. ამგვარად აღასრულა თავისი ღვაწლი და მარტვილობა წმიდა ქეთევანმა. მისი ცხოვრება ვრცლად არის დაწერილი მის მეტაფრასში. მიწაზე, სადაც აწამეს, აღარ ამოდის ბალახი და ისე გამოიყურება ის ადგილი, რომ ვისაც ეს ამბავი არ უნახავს, ატყობს, აქ რაღაც მომხდარაო.

ქართლის [სამეფო] ტახტზე ბაგრატი ავიდა. იგი მაჰმადის რჯულზე იყო გადასული და არც მეფობის ღირსი არ იყო. განჯის ხანის და სხვა ხანები უმაგრებდნენ ზურგს. ბაგრატმა ვერ მოახერხა ქართლის მართვა და ვერც ზემო ქართლს დაეუფლა ქალაქის ზემო მხარეს. ქართლელებსაც არ უყვარდათ და თათრობის გამო არც კი მოიხსენებდნენ [მის სახელს].[349] საბარათიანოს ბატონს ეძახდნენ და ასე იყო.

როცა ბატონი თეიმურაზი იმერეთში იმყოფებოდა, მაშინ იქ დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. მაშინ ბატონმა თეიმურაზმა კაცი გაუგზავნა ხონთქარს, შეევედრა, სარჩო სთხოვა. ხონთქარმა სხვა ვერაფერი გააწყო, გონიოსა და ახალციხის შემოგარენი მიწები მისცა სარჩოდ. სანამ ხონთქრის კაცი ჩამოვიდოდა, ბატონი თეიმურაზი ველარ გაჩერდა იმერეთში და მამია გურიელთან[350] წავიდა. მაშინ ჩამოვიდა ხონთქრის გამოგზავნილი კაცი და უკან გაბრუნდა. [თეიმურაზი] ჩავიდა ხონთქრის მიერ მოცემულ მამულში. იმხანად ათაბაგი იყო მანუჩარ ათაბაგის ძე, სახელად მანუჩარი[351], სვიმონ მეფის დისშვილი. ბატონმა თეიმურაზმა ცოლ-შვილი ოლთისში დატოვა კახეთის სახლთუხუცეს ნოდართან ერთად, თვითონ კი, შვიდი კაცით, ხონთქართან წავიდა. მათი გამგზავრების შემდეგ შეიტყო ყაენმა ბატონი თეიმურაზის ხონთქართან წასვლის ამბავი და ის, რომ ცოლ-შვილი საათაბაგოში ჰყავდა დატოვებული. შემოუთვალა ამირგუნა-ხანს, ერევნის ხანს და ასეთი წერილი გამოუგზავნა: „ბატონი თეიმურაზი ხონთქართან წავიდა, თავისი ცოლ-შვილი კი საათაბაგოში დატოვა. შეკრიბე ჯარი, წადი და თავს დაესხი. აუწიოკე ოჯახი და ქონება, მისი ცოლ-შვილი აქ გამომიგზავნეო“.

წამოვიდა ამირგუნა-ხანი, ზამთარი იყო და დიდი თოვლი იდო მთაზე. გადათხარა მთაზე [დადებული თოვლი] და წამოვიდა. იმ ღამით

სიზმარი უნახავს ხორეშანს, თეიმურაზ ბატონის ცოლს, თითქოს ყიზილბაშები დაესხნენ თავს და აიკლეს მისი ხიზნები და ქონება. როგორც კი გაიღვიძა ქალბატონმა ხორეშანმა, იმავე ღამეს აიყარა ქალაქ ოლთისიდან და ციხესიმაგრეში შევიდა. ვინც ჰყავდა და რაც გააჩნდა, ყველა შეხიზნა ციხეში, რადგან უწინ ციხის ქვემოთ იდგნენ. წამოვიდა ამირგუნა-ხანი იმ ღამეს, ჩამოვიდა, სადაც თეიმურაზ ბატონის ცოლ-შვილი იმყოფებოდა, თავს დაესხა იმ სოფელს. დაარბია სოფელი და მიმოიტაცა, მეტი ვერაფერი გააწყო, გაბრუნდა და წავიდა. შეიტყო [მომხდარი] ნოდარ სახლთუხუცესმა. საათაბაგოში მცირე რაზმი შეკრიბა, თვითონ ვინც ჰყავდა, ისინიც [წაიყვანა] და დაედევნა. დაეწია ამირგუნა-ხანს, ბევრი ხალხი ამოუწყვიტა, გააქცია და ბევრი ნადავლი იშოვა. გამობრუნდა და მოვიდა გამარჯვებული ბატონ თეიმურაზის ცოლ-შვილთან.

სტამბოლში ჩავიდა თეიმურაზ ბატონი. ხონთქარი იყო სულთან-იბრაჰიმი[352]. დიდი პატივი სცა ბატონ თეიმურაზს. თეიმურაზ ბატონმა ჯარი სთხოვა. მაშინ ყიზილბაშებსა და ურუმებს შორის ფიცი იყო დადებული, შერიგებულები იყვნენ. ქვეყნები რომ გაიყვეს, მაშინ დადეს პირობა, რომ ერთმანეთს აღარ ეომებოდნენ. ამიტომ არ დაუჭირა მხარი ხონთქარმა, სარჩოდ მისცა სანჯაყები, მრავალი წყალობა უყო, გამოისტუმრა და დაბრუნდა უკან ბატონი თეიმურაზი.

იმხანად ხონთქრის მამულში მრავლად იყვნენ ჯალალები. ხონთქრისგან განდგომილი ხალხი [გზაზე] წინ დახვდა ბატონ თეიმურაზს. ამას შვიდასი კაცი ჰყავდა, მათ კი თვლა არ ჰქონდათ და მრავალნი შეებრძოლნენ ბატონ თეიმურაზს. ღმერთმა მისცა გამარჯვება და გაიმარჯვა ბატონმა თეიმურაზმა, მრავალი ჯალალი ამოწყვიტა. ერთ დღეში შვიდჯერ გამართეს ბრძოლა და შვიდჯერვე მან გაიმარჯვა. ისე მოუმართა ღმერთმა ხელი, რომ შვიდასი კაცი ახლდა და არც ერთი არ დაუკარგავს. იმათ კი მრავალი ამოუწყვიტა და გამარჯვებული დაბრუნდა ცოლ-შვილთან. ცოტა ხნის შემდეგ გონიოში გაემართა და იქ იმყოფებოდა.

იმხანად, ქრისტეს აქეთ [...] წელს, მოკვდა საბარათიანოს ბატონი ბაგრატი,[353] დავითის ძე. გაიგო შაჰ-აბასმა მისი სიკვდილის შესახებ. არ ჰქონდა კახეთის გამგებელ ფეიქარ-ხანის იმედი, რომ კარგად მოაგვარებდა კახეთისა და ქართლის საქმეებს. იმდროისთვის მოურავი უკვე დიდი ხანი იყო, რაც გვერდში ედგა შაჰ-აბასს და მრავალი სამსახური ჰქონდა მისთვის გაწეული. გულით მიენდო და მრავალი წყალობაც

მისცა, ფიქრობდა, რომ მოურავს ჩემს იქით გზა არ აქვსო. უბრძანა მოურავს: „მინდა წახვიდე საქართველოში. თან გაგატან ყარჩიხა-ხანს დიდი ჯარით და პატარა სვიმონ-ხანს, ბაგრატის ძეს. წადი, პირველად ჩადი და მთლიანად ააოხრე კახეთი, [მერე] გააპარტახეთ ქართლი და მახვილით გაავლეთ მუსრი. აყარე [მოსახლეობა] და აქ ჩამომირეკეო“. აღუთქვა დიდი წყალობა და მრავალი საბოძვარი. ამასობაში კარგა ხანი გავიდა და მოურავი ისევ იქ იყო.

იმხანად ისპაჰანში იმყოფებოდა ერთი ვიღაც, ხოსრო-მირზა ერქვა. ხოსრო-მირზა იყო დიდი სვიმონ მეფის ძმის დავით მეფის ხარჭის ნაშობი. როცა დავითი ყაენ შაჰ-აბასთან იყო ჩასული, მაშინ წავკისიდან თან წაიყვანა ერთი ქალი და ხარჭად ჰყავდა. დავითისგან დაორსულდა ეს ქალი, გააჩინა ვაჟი და დაარქვა ხოსრო-მირზა. როცა დაუდ-ხანი ყაენმა ქართლში გამოგზავნა, იქ დატოვა პატარა ბიჭი, ხოსრო-მირზა და დედამისი. ობოლი იყო ხოსრო-მირზა და დედამისის გარდა, სხვა არავინ იყო მისი შემწე. ორივემ, დედა-შვილმა, მაჰმადის რჯული მიიღო და დიდ სიღატაკეში ცხოვრობდნენ, არანაირი შეძლება არ გააჩნდათ. მაშინ ხოსრო-მირზა მივიდა მოურავთან და მცირედი რაღაც აჩუქა. მოურავმა, როგორც კი დაინახა ხოსრო-მირზა, ფეხზე წამოდგა, გაუთავისუფლა თავისი ადგილი, მიიყვანა, დასვა და დიდი პატივი სცა. იმხანად მოურავი ყაენს ძალიან დიდ პატივში ჰყავდა, ყველა ყიზილბაში ემორჩილებოდა და მრავალი მათგანი ახლდა თან. ყიზილბაშებმა რომ დაინახეს ხოსრო-მირზას ასეთი პატივისცემა, ჰკითხეს მოურავს: „ვინ არის ეს კაცი, რომ ასეთი დიდი პატივი ეცით“. მოურავმა კი აცნობათ, რომ „ეს არისო დაუდ-ხანის, ჩემი პატრონის ძე“. მაშინ გაიგეს ყიზილბაშებმა ეს ამბავი და დიდ პატივს მიაგებდნენ ხოსრო-მირზას. ყაენიც ბევრ სიკეთეს უკეთებდა ხოსრო-მირზას. ისპაჰანის მოურავობა მისცა და ქართლის ბატონის მეტოქედ ჰყავდათ.

სვიმონ მეფე[354]

გაემზადა მოურავი, წამოვიდა და თან გამოატანეს პატარა სვიმონ მეფე. მრავალრიცხოვანი ლაშქრით ჩამოვიდნენ ქართლში. აკეთებდა მოურავი იმ საქმეს, რაც ყაენისგან ჰქონდა დავალებული. სვიმონ მეფე რომ გამოგზავნა ყაენმა, მაშინ ცოლად მისცა ყორჩიბაშის ასული, სახელით ჯანბანუმი. ჩამოვიდნენ ქართლში, შეხვდნენ ქართლელები, ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარი რომ დაინახეს, იფიქრეს და თქვეს: „რა-

ღაც საქმის გამო არის ამხელა ჯარი გამოგზავნილიო“. მოურავმა არ გაამხილა [მიზეზი], დიდი ფიცით დააჯერათ, რომ „ეს მრავალრიცხოვანი ჯარი ქართლისთვის საშიში არ არის, ამაზე ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენი საქმე მე მომანდეთო. მაშინ გული დაიმშვიდეს ქართლელებმა, წავიდნენ და მუხრანში გაჩერდნენ. კაცი გაგზავნეს და მოუხმეს კახელებს. ღართისკარში შემოუერთდნენ კახელები. მოურავმა დიდი ბოროტება ჩაიდინა: ყარჩიხა-ხანმა თავის კარავს ფანჩატურები შემოავლო. დაიბარა: „მოვიდნენ კახელები და ხალათებს დავურიგებო“. მიადგნენ კახელები კარავს. შეჰყავდათ კახელები და თავებსა სჭრიდნენ. გარეთ მდგომ კახელებს კი ეგონათ ხალათების გამო იქ დასხდნენო. ბევრის დახოცვის შემდეგ მიხვდნენ კახელები რაშიც იყო საქმე და ხმლები იშიშვლეს. თათრები მოერივნენ, გამოიქცნენ კახელები და ცოტანი ძლივს გადაურჩნენ. ამის შემდეგ გარკვეული დროით მუხრანში იდგნენ და ემზადებოდნენ, რადგან ქართლის მოსახლეობის აყრა უნდოდათ.

მოურავს ჩვევა ჰქონდა, ქორის დასაგეშად წავიდოდა ხოლმე. ერთ დღესაც ლოჭინის ხევში გავიდა ქორის დასაგეშად. დაინახა, რომ ერთი შიკრიკი მოდიოდა. იცნო, ყაენის მალემსრბოლი იყო. დაუძახა მოურავმა მაცნეს, რომ მასთან მისულიყო, მაგრამ მან არ დაუჯერა. რაკიღა არ დამორჩილდა შიკრიკი, ცხენით წამოეწია, შეიპყრო, ძალით გაჩხრიკა და უპოვა წერილი. წაიკითხა, ასე მოეწერა ყაენს ყარჩიხა-ხანისთვის: „კახელებს რომ მუსრს გაავლებთ, აყარეთ ქართლელები და გამორეკეთ, ხოლო მოურავს ღალატით გააგდებინე თავი და გამომიგზავნეო“. ეს რომ წაიკითხა მოურავმა, მოკლა მალემსრბოლი. მისი სიცრუე მის თხემზე დაუხვდა (შდრ. ფსლ. 7, 16). ძალიან შეწუხდა და გამოსავალს ეძებდა.

ნუგზარ ერისთავი მაშინ მოურავის მოყვარე და მეგობარი იყო. მის ვაჟს, ზურაბს ჰქონდა ერისთავობა. ზურაბ ერისთავს ცოლი ისპაჰანში ჰყავდა დატოვებული. პაატა, მოურავის შვილიც, იქ ისპაჰანში იყო დარჩენილი. მაშინ მოურავმა ურჩია ზურაბს: „მოდი, ქართლს ნუ ამოვწყვეტთ, თორემ სულსაც დავკარგავთ და მერე ჩვენც არ დაგვინდობენო“. ბევრი ლიქნის, თათბირისა და ბევრი კამათის შემდეგ, ზურაბმა თავისი ცოლი გაწირა, მოურავმა კი თავისი შვილი, პაატა. ზურაბი რომ გადაიბირა მოურავმა, მერე ურჩია ყარჩიხა-ხანს: „გავგზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი, დავიბაროთ ქართლის მთელი მოსახლეობა, შევიპყროთ და ყაენს გავუგზავნოთო“. დაუჯერა

ყარჩიხა-ხანმა და გაგზავნეს ანდუყაფარ ამილახორი, ზურაბ ერისთავი და სხვა ქართველები.

დაიბარეს ქართლის მოსახლეობა და იქ შეკრიბეს. [შეთქმულების შესახებ] მოურავისა და ზურაბ ერისთავის გარდა, სხვამ არავინ იცოდა. წამოვიდნენ ზურაბ ერისთავი და ანდუყაფარ ამილახორი. მოურავმა თავისიანებთან დააყენა პაატა ხერხეულიძე[355], თავისი ვაჟი ავთანდილი, ელია დიასამიძე და პაპუნა ვაშაყიშვილი. ზურაბი და ანდუყაფარი მოვიდნენ და არაგვის პირას გაჩერდნენ. მაშინ გაგზავნეს ხალხი და მთელი ქართლი იქ მიიხმეს. რომ შეგროვდნენ, ზურაბ ერისთავმა ფარულად იხმო ქართლელები და ასე უთხრა: „ჩვენ ყაენ შაჰ-აბასისგან ასე გვაქვს დაბარებული, კახელები ხომ დავხოცეთ, ქართლელები კი, ვინცა ხართ, აგყაროთ და ყაენთან გაგგზავნოთ. ახლა ჩვენ ამას ვფიქრობთ, ყიზილბაშები ქვეყნის აოხრებას ლამობენ, მოდით, მოვაწყოთ შეთქმულება, ამოვწყვიტოთო ყიზილბაშები და ნუ ამოვაგდებთ ქართლს“. ანდუყაფარს არ ენდობოდნენ, რადგან სვიმონ მეფის ცოლისდა ჰყავდა ცოლად, ყაენის ნათესავი. თვითონაც მაჰმადის რჯულზე იყო გადასული, ძალიან ცდილობდა ყიზილბაშებისთვის და მათი დიდი ერთგულება ჰქონდა. ქართლელებმა რომ გაიგეს, მეტად განცვიფრდნენ და შეწუხდნენ. პირობა მისცეს ზურაბ ერისთავს და მტკიცედ შეჰფიცეს, რომ „რასაც თქვენ გვიბრძანებთ, იმას გავაკეთებთო“. რომ შეიფიცნენ, რაკიღა არ ენდობოდნენ ამილახორს, შეიპყრეს ცოლ-შვილიანად, გაგზავნეს და არშის ციხეში გამოამწყვდიეს.

მაშინ შეიკრიბნენ ქართლელები და ზურაბ ერისთავი და აცნობეს დიდ მოურავს. გათენებისას მოვიდნენ და თავს დაესხნენ ყიზილბაშებს. მეტად სასახელოდ მოიქცა იმ ღამეს მოურავი: მივიდა და თვითონ განგმირა შუბით ყარჩიხა-ხანი. მისმა შვილმა ავთანდილმა კი ყორჩიბაშის შვილი მოკლა. დაუშინეს [თოფები] და მთლიანად ამოწყვიტეს ქართველებმა ყიზილბაშები. ასე მისცა ღმერთმა ქართველებს ძლევა და გაიმარჯვეს: ამოწყვიტეს [მტერი], განდევნეს და იყო დიდი გამარჯვება. ისინი რომ გაიქცნენ, მაშინ გამარჯვებული ქართლელები ფეიქარ ხანის წინააღმდეგ დაიძრნენ, რომელიც კახეთში იჯდა. ფეიქარ ხანს ცოლად ჰყავდა ლელა ბატონიშვილი. უნდოდათ თავს დასხმოდნენ ფეიქარ ხანს, მოეკლათ, წაერთმიათ ლელა ბატონიშვილი და ზურაბ ერისთავისთვის მიეთხოვებინათ. წავიდნენ, გაიგო ფეიქარ ხანმა და გაიქცა. გამოუდგნენ, ბარდამდე[356] სდიეს და ვეღარ დაე-

წივნენ. მაშინ მოარბიეს ქართლელებმა ბარდა და განძა, გააჩანაგეს, ბევრი ალაფი იშოვეს, დაბრუნდნენ და თან წამოიღეს. გონიოში კაცი გაუგზავნეს ბატონ თეიმურაზს და მოიხმეს. მოიყვანეს და კახეთის ტახტზე დასვეს. ქართლის გამგებლად დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო მუხრანბატონი დაადგინეს. მაგრამ მათ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ, თავადები ცალ-ცალკე პატრონობდნენ ქართლს.

მაშინ მოთავე და პირველი კაცი მოურავი იყო. მთელი ქართლი მას ემორჩილებოდა, რადგან თვითონ ზურაბ ერისთავი და ვინც კი იყო ქართლის წარჩინებული, თავს დებდნენ დიდი მოურავისთვის და ყმებივით ემონებოდნენ. მაშინ დაუმძახლდა ზურაბ ერისთავი თეიმურაზ ბატონს, თავისი ასული, დარეჯანი, ცოლად მისცა ზურაბ ერისთავს. ზურაბ ერისთავი პატარაობიდანვე მოურავის გაზრდილი იყო და ერთმანეთის დიდი ერთგულება ჰქონდათ. იცოდნენ, თუკი ისინი ერთმანეთს დაშორდებოდნენ, მაშინ საქმე წაუხდებოდათ. ამიტომ უჯერებდნენ ერთმანეთს.

შაჰ-აბასმა რომ შეიტყო ეს ამბავი, ანდუყაფარ ამილახორისა და მისი ცოლის შეპყრობა და ციხეში ჩაყრა. მეტად განრისხდა და გამოგზავნა ისა-ხან ყორჩიბაში. დიდი ძალებით გამოემართნენ, ჩამოვიდნენ და ალგეთში დაბანაკდნენ. მაშინ გაერთიანდნენ ქართლელები და კახეთის მბრძანებელი თეიმურაზი შეკრებილი კახელებით. მოვიდნენ, კოჯორში გაჩერდნენ და წავიდნენ ქართლელები. იმჟამად ხონთქარი გაჯავრებული იყო მანუჩარ ათაბაგზე[357]. ველარ გაუჩერდა ურუმებს, სამასი კაცით ახალდაბაში წამოვიდა. ეს ამბავი რომ გაიგო მანუჩარ ათაბაგმა, სამასი რჩეული მებრძოლით წამოვიდა და შემოუერთდა. ძალიან გაუხარდათ ქართლელებსა და კახელებს. წავიდნენ და განთიადის ჟამს თავს დაესხნენ ყორჩიბაშს. მათ წინასწარ იცოდნენ, თოფხანა მომზადებული ჰქონდათ. მივიდნენ ქართველები და თოფები დაუშინეს. ისეთი კვამლი დადგა, იმათი ჯარი ველარ დაინახეს. კვამლი რომ გაიფანტა, შეუტიეს ქართველებმა და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. თოთხმეტი ათასი ყიზილბაში გაწყდა, ცხრა ათასი ქართლელი და კახელი, ზურაბ ერისთავისა კი – ცხრაასი. წინამძღოლებიდან დაიღუპნენ აღათანგ ხერხეულიძე და მისი შვიდი ნათესავი, ბაადურ ციციშვილი, კახი და დავითი, შვიდი ჩოლოყაშვილი[358] დაიღუპა და ცხრა მაჩაბელი. დანარჩენები, – აზნაურიშვილები, მსახურები და გლეხები, – მრავლად გაწყდნენ. გაიმარჯვეს ქართველებმა და გაიქცნენ ყიზილბაშები, გატეხილ ხიდამდე მისდიეს. ძალიან ბევრი დახოცეს. ზურაბ

ერისთავი შუბლში იყო დაჭრილი, თოფი ჰქონდა მოხვედრილი, გული მისდიოდა. მეფემ, მოურავმა და სხვა თავადებმა ნახეს და დაუცადეს.

მაშინ შაბადა-ხანი თავისი ჯარით წინწყაროში იდგა. წამოვიდა და მოადგა ნაომარ ადგილს. დაინახა, რომ ცოტა ხალხი იყო ერთ ადგილზე შეკრებილი. იცნო შაბადა-ხანმა, რომ ქართველები იდგნენ. შემოუტია და გაჩაღდა პირვანდელზე უფრო ძლიერი ბრძოლა. ფიცხლად იბრძოდნენ ქართველები. იმ დღისით ბატონმა თეიმურაზმა დაამტვრია ყველა საბრძოლო იარაღი და აღარაფერი შემორჩა. ბეჭდებიც დაემტვრია მუშტი-კრივში. მოურავმა იმ დღისით ისე იომა და [ისეთი] საქმეები აკეთა, რომ უწინდელი გმირებისგანაც არ გაგონილა, რაც იმ დღისით მოურავმა იომა და სახელი დატოვა. ძლიერ იბრძოლეს იქ აღათანგ ხერხეულიძემ, კახი ასლანიშვილმა და დავითმა[359] და ორივე იქ დაიღუპა. შემდეგ ძლიერ იბრძოლა თეიმურაზ მუხრანბატონმა, ქაიხოსროს ძმამ და ისიც იქ მოკლეს. თეიმურაზ მუხრანბატონი მოკლეს, ხმამაღლა დაიძახეს, თეიმურაზი მოკლესო. ეს რომ გაიგეს ქართლელებმა, იფიქრეს, ბატონი თეიმურაზი მოკლესო. მაშინღა გაიქცნენ დაღლილი ქართლელები. ათაბაგი და მისი ყმები მეტად მხნედ და ძლიერ იბრძოდნენ. დაინახა ათაბაგმა მისი გამზრდელი ერევნის ხანი ამირგუნა-ხანი, შეუტია, ხმალი დაჰკრა ჩალმიან თავში, გაუპო გვირგვინი, ღრმად დაჭრა თავში და ცხენიდან ჩამოაგდო. შემოსძახა ამირგუნა-ხანმა: „დალოცვილო (?), რისთვის მკლავ, ჩემი გაზრდილი არ ხარო“? ეს რომ გაიგო ათაბაგმა, გაუშვა, წავიდა და გაიქცა. ეს დაინახეს ყიზილბაშებმა, მაშინღა გაბრუნდნენ უკან. თვითონ ყორჩიბაშიც გატრიალდა და დაბრუნდა უწინდელი ბრძოლის ველზე. ბატონი თეიმურაზი და ქართველები გაბრუნდნენ თავ-თავის მხარეს.

ნოსტეში ჩავიდა მოურავი და შემოიკრიბა თავისი ჯარის დარჩენილი ნაწილი. მაშინ ქალაქის ციხიდან გამოვიდნენ მოთარეშე თათრები და ლისი დაარბიეს. წავიდა მოურავი, რადგან ლისი მას ეკუთვნოდა, ბატონის ნაწყალობევი [იყო]. მივიდა მოურავი სამოცი კაცით, გულმესისხლედ შეება და ამოწყვიტა. ღმერთმა გამარჯვება მისცა და შვიდასი კაცი განდევნა და ამოწყვიტა. თავის ცოლ-შვილს კაცი დაუყენა და სამცხეში გაგზავნა. თვითონ გავიდა, წიწამურის გზები ჩახერგა, ღართისკარის გზაც შეკრა და იქ მომავალი ყიზილბაშები ამოხოცა.

ყიზილბაშები ცდილობდნენ, უნდოდათ გამოეყვანათ არშის ციხიდან ანდუყაფარ ამილახორის ცოლი. ეს ქალი ყაენის შვილიშვილი იყო, სვი-

მონ მეფის ცოლისდა. ზურაბთან დაიწყეს მოლაპარაკება, გადმოგვეციო ეს ქალი, რადგან არშის ციხეში ჰყავდათ, რომელიც ხევის ციხე არის. ყორჩიბაში ეთათბირა ზურაბ ერისთავს: „გზა მომეცი, ჯარს გავგზავნი, იმ ქალს გამოვიყვან და ჩემთვის წავალო“. ფიცი მისცა ზურაბ ერისთავმა: „გზას დაგანებებ და არ შეგებრძოლები. შესვლით ჩემს მამულზე გამოიარე, ჩამოვლისას კი ქსანზე წამოდი, [თორემ] ჩემს მამულს მეტად ძალა დაადგებაო“. ყორჩიბაშმა ზემოხსენებული ხოსრო-მირზა[360] დააყენა ჯარის მეთაურად. წავიდნენ, შევიდნენ, გამოიყვანეს [ქალი], გადმოიარეს ლომისა და ქსანზე უნდოდათ ჩამოვლა. მაშინ პირობა დადეს ზურაბ ერისთავმა, იესე ერისთავმა, გიორგი მოურავმა და ერისთავის ძმამ, ქსანზე გზები შეკრეს, დაუხვდნენ და ისე ამოწყვიტეს, რომ ისეთი გამარჯვება არავის გაუგონია. ისე ამოწყვიტეს, რომ ქსანი სისხლით შეიღება და სისხლისფერი მოდიოდა. ხოსრო-მირზა გადარჩა, ქალი ვერ წაართვეს, ჯარი ამოუწყვიტეს, ძალით წაართვეს სალარო და ბარგი. მოვიდა ხოსრო-მირზა და მოიყვანა ქალი ყორჩიბაშთან. მოურავი კი სამცხეში წავიდა, ცოლ-შვილს მიხედა.

წამოვიდა ყიზილბაშების ჯარი, დაიკავა საბარათაშვილო და სომხითი. ითარეშა და იქ ჩადგა. გარკვეული დროის შემდეგ ყორჩიბაშმა ჯარი გაგზავნა მოურავზე თავდასასხმელად. მოურავი სანადიროდ მთაზე იყო [ასული], გადმოიხედა და დაინახა ყიზილბაშების ჯარი. ასპინძა ავსილი იყო ჯარით. შეუტია მოურავმა, ღმერთმა გამარჯვება მისცა და ამოწყვიტა თათრების ჯარი. იმათ ბევრი [ნადავლი] დააყრევინა, თორემ ამათი ვერაფერი წაიღეს, წავიდნენ და გაიქცნენ.

იმხანად ხერთვისი და სამცხის სხვა რამოდენიმე ციხე ყიზილბაშებს ეჭირათ. მივიდა მოურავი, აიღო ხერთვისის ციხე და სხვა ციხეები, იქ მყოფი ყველა ამოწყვიტა. მაშინ გაგზავნა ხონთქართან გიორგი ქავთარიშვილი და შეუთვალა: „ეს ციხეები ყიზილბაშებს ეჭირათ, ახლა მე წავართვი, გამოგზავნეთ თქვენი ჯარი და ჩააყენეთ ამ ციხეებშიო“. ხონთქარი დიდად მადლიერი დარჩა და მრავალი წყალობა გამოუგზავნა. გამოგზავნა იანიჩრები[361] და ჩააყენა იმ ციხეებში.

ყორჩიბაშმა გაამაგრა თბილისის ციხე და ქრისტეს აქეთ 1628 [წელს], იქ დატოვა სვიმონ მეფე. თვითონ ყორჩიბაში გაბრუნდა, წავიდა და თან წაიყვანა ქალი. ყორჩიბაშის წასვლის შემდეგ სვიმონ მეფე ვერ გამოდიოდა ციხიდან და ვერც ქართლს მართავდა. ისევ დაბრუნდა მოურავი და ზურაბ ერისთავთან ერთად კვლავ დაეუფლა ქართლს.

ისევ ქაიხოსრო მუხრანბატონი[362] დასვეს ქართლის მბრძანებლად, [მაგრამ] ისევ ისინი პატრონობდნენ და განაგებდნენ ქართლს.

მაშინ მოკვდა შაჰ-აბასი. ხოსრო-მირზასთვის, ქართლში მისი დიდი დამსახურების გამო, ყულარაღასობა[363] ჰქონდათ მიცემული და ყულარაღასი იყო. შაჰ-აბასი რომ მოკვდა, მაშინ აირივნენ ყიზილბაშები. კარის ბეგლარბეგებს უნდოდათ ირანში არეულობა. ხოსრო ყულარაღასმა გაამაგრა სასახლე. გამოიყვანა შაჰ-აბასის შვილი შაჰ-სეფი[364] და ყაენად დასვა. მხარში დაუდგა, განუმტკიცა ხელისუფლება და ყაენის ძალიან ერთგული დარჩა. ყაენიც სწყალობდა მას.

აღზევდა ზურაბ ერისთავი, მოურავს აღარ ერთგულებდა, თანაც თეიმურაზ ბატონის სიძეც იყო. ამის გამო მედიდურობდა. ეწყინა მოურავს მისი თავნებობა და ამანაც დაივიწყა მათი [მეგობრობა]. ამის გამო ჩამოვარდა დიდი შური და მტრობა. ზურაბი ბატონ თეიმურაზს მიემხრო, მოურავი – ქართლის გამგებელ ქაიხოსროს. მთელი ქართლი ქაიხოსროს გარშემო დარაზმა მოურავმა. [მარტო] ეს ორი ერისთავი, ზურაბი და იოთამ ამილახორი არ ემორჩილებოდა. ერთმანეთთან დაპირისპირებული იყვნენ. მოურავმა კაცი გაგზავნა და დახმარება ითხოვა იმერეთის მბრძანებელ გიორგისგან. დაეხმარა, გამოგზავნა გიორგიმ თავისი მხედრობა.

საათაბაგოში მაშინ საფარ-ფაშა იჯდა, რადგან, როცა მანუჩარ ათაბაგი ქართლში იმყოფებოდა, მაშინ [საფარ-ფაშა] წავიდა ხონთქართან. შეიწყალა ხონთქარმა და მისცა საათაბაგო თავისი მოსახლეობით. უკან რომ დაბრუნდა, მაშინ წინ დახვდა საფარ-ფაშა მანუჩარ ათაბაგს. მანუჩარის ნათესავი იყო, მაგრამ ფარულად მოწამლა და მოკლა ათაბაგი. თვითონ წავიდა საფარ-ფაშა [ხონთქართან] და გათათრდა. [ხონთქარმა] საფარ-ფაშას მისცა საათაბაგო. წამოვიდა და დაბრუნდა საათაბაგოში. ათაბაგის ზოგიერთი თავადი იმხანად უკვე გათათრებული იყო. საფარ-ფაშა რომ მოვიდა, ვინც კი ქრისტიანი თავადი იყო, ყველა გაათათრა. მას შემდეგ დაიწყეს თათრობა.

საფარ-ფაშას მოურავმა ჯარი სთხოვა და დაეხმარა. იმხანად ბატონი თეიმურაზი და ზურაბ ერისთავი ერთად იმყოფებოდნენ დუშეთში, ზურაბ ერისთავის კარზე. შეკრიბა მოურავმა ჯარი და თავს დაესხა დუშეთში ბატონ თეიმურაზს. მთელი კახეთი იქ იყო [შეკრებილი], ზურაბ ერისთავის ლაშქარი და [მთელი] საამილახვრო. ბაზალეთში ეკვეთნენ ერთმანეთს[365], ისე ფიცხლად [იბრძოდნენ], კაცი არ დარჩა, რომ არ დაჭრილიყო. მრავალი თავადი დაიღუპა. თვითონ ბატონი

თეიმურაზიც დაიჭრა იმ დღისით. მოურავი დამარცხდა იმ დღისით და თვითონაც დაიჭრა.

წამოვიდნენ ქაიხოსრო გამგებლის ცოლი, მისი ძმა თეიმურაზი და მათი ვაჟი და იმერეთში გადავიდნენ. მოურავის ცოლი და ვაჟები სამცხეში წავიდნენ. თვითონ მოურავი და ქაიხოსრო გამგებელი კი ხონთქართან გაემართნენ. წყალობა გამოიჩინა ხონთქარმა მოურავის მიმართ, სანჯაყები მისცა. მოურავმა თავისი ცოლი და შვილი იოთამი სანჯაყში დატოვა. დაგმო მოურავმა თავისი რჯული, გამაჰმადიანდა, ჯარი სთხოვა ხონთქარს და შეჰპირდა: წავალ, დავიკავებ ქართლს, მთლიანად გავათათრებ და დაგიმონებ ყმებსო. ხონთქარი იმხანად ყაენთან დაზავებული იყო და უპასუხა: „ერთი განდგომილი ქვეყანა მაქვს, იმის წინააღმდეგ გაგგზავნი, თუ მასზე გაიმარჯვებ და დაიპყრობ, მერე მაგ [საქმესაც] გადაგიწყვეტავო“. გაგზავნა და თან გაატანა აზამ ვეზირი დიდი ჯარით.

ჩავიდნენ, იქაც ძალიან კარგად მოიქცა მოურავი: შეებრძოლა და გაიმარჯვა. აზამ ვეზირს ხონთქრის და ჰყავდა ცოლად. ეს ამბავი რომ მოუვიდა ხონთქარს, ძალზედ ესიამოვნა. დიდი სახელი მოიხვეჭა მოურავმა და გახმაურდა მისი ამბავი. ეწყინა ხონთქრის დას, რომელიც ჰყავდა ვეზირს და წერილი მისწერა: „რაშია საქმე და როგორ გეკადრება, რომ სულ მოურავის სასახელო ამბები მოდის და შენი არაო“. მაშინ უღალატა ვეზირმა: მიიპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიც, [მისი] შვილებიც, ქაიხოსრო გამგებელიც და ვინც კი ჰყავდათ, ყველა ამოუწყვიტა. ერთი შვილი ჰყავდა თან, ავთანდილი, ისიც მოუკლეს. თან ჰყავდა [ასევე] გორგასალი და მისი შვილი ბეჟანი. გამოიყვანეს ბეჟანი მოსაკლავად, შეეხვეწა [გორგასალი] და ქრთამი მისცა იასაულს, ჩემს შვილს კი ნუ მოჰკლავ, მე მომკალიო. ჩემი თავი მიათვალე ანგარიშში და მაგას ნუ მოკლავო. დაუჯერა ჯალათმა, აღარ მოუკლა შვილი, თვითონ გორგასალი მოკლა, თავი მოაჭრა, მიიტანა და სათვალავში გაატარა. ბეჟანი გადარჩა და წამოვიდა. მოურავის ცოლი და შვილი იოთამი აზრუმის მხარეში დარჩნენ. თეიმურაზ მუხრანბატონისა[366] და ქაიხოსროს ვაჟები წამოვიდნენ იმერეთიდან და ჩამოვიდნენ მუხრანში. თეიმურაზ ბატონმა გაიგო მუხრანში მათი ჩამოსვლის ამბავი, დაუწყო მტრობა, არ მორჩა მათ შუღლს და იმყოფებოდნენ ერთ გლეხის კაცთან სიღარიბითა და გაჭირვებით.

იმხანად უფრო მეტი ძალაუფლება შეიძინა ზურაბ ერისთავმა, არაფრად აგდებდა ბატონ თეიმურაზს. მაშინ დაიჭირა საქმე პატარა სვიმონ

მეფესთან. სვიმონ მეფე თბილისის ციხეში იმყოფებოდა. დიდი ფიცი მისცა ზურაბ ერისთავმა და გამოიყვანა ციხიდან. მხარში ამოუდგა ზურაბ ერისთავი, ტახტზე აიყვანა და ქართლი მის მხარეს გადაიბირა. წამოიყვანა ზემო ქართლში და იქ იმყოფებოდა. სვიმონ მეფე ზურაბს მამას ეძახდა და მისი მორჩილი იყო, არაფერს აკეთებდა მის გარეშე.

თეიმურაზ ბატონმა დაინახა ზურაბ ერისთავის საქციელი და განდგომილება, დააკლდა ძალაუფლება და გასაქცევიც აღარსად ჰქონდა. მაშინ გაემზადა და წავიდა ყაენთან, როგორც თავიდან ჰქონდა გადაწყვეტილი. უფადარში[367] ჩავიდა, იქ დაწერა ეტრატზე ასეთი სიტყვები [და გამოგზავნა]: „არ შეიძლება სიმამრის მიერ სიძის გაწირვა, რადგან ჩემი შვილი და სიძე ხარ. ახლა მე ყაენთან წამოვედი და ამის შემდეგ ვნახავო შენი და სვიმონ მეფის ერთობას“. ზურაბ ერისთავმა რომ მოისმინა ეს ნათქვამი და შეიტყო ყაენთან თეიმურაზ ბატონის წასვლის ამბავი, თავისთვის გადაწყვიტა, რადგან ასეთი სურვილი ჰქონდა ზურაბ ერისთავს, რომ ბატონი თეიმურაზი კახეთის მბრძანებელი ყოფილიყო, სვიმონ მეფე ქართლისა და თვითონ ორივეზე ჰქონოდა გავლენა, უმისოდ ვერაფერი გაეკეთებინათ. ჩქარობდა თავისი საქმის წარმატებას და თუ რომელიმე არ იქნებოდა მისი სურვილის დამყოლი, ერთს, მეორეს მოწინააღმდეგედ გამოიყენებდა და, რომელიც მისი მორჩილი იქნებოდა, იმას გაიხდიდა პატრონად. ეს საქმე ღმერთის ბრძანების წინააღმდეგია, რომ ამბობს: შეუძლებელია ორი ბატონის მსახურება (შდრ. მათე 6, 24; ლკ. 16, 13). როცა დარწმუნდა თეიმურაზ ბატონის გამგზავრებაში, მაშინ მიიღო თავისი თავის დამღუპველი ბოროტი გადაწყვეტილება, ეშმაკის შურით სვიმონ მეფის მკვლელი გახდა – ღალატით მოკლა საწოლში მძინარე. თავი მოჰკვეთა და თეიმურაზ ბატონს გაუგზავნა. აქ დასრულდა დიდი მეფე ლუარსაბის მოდგმა. ზურაბ ერისთავმა, მისი თავის გაგზავნის შემდეგ, ჩაიყვანა ბატონი თეიმურაზი და ქართლ-კახეთში მბრძანებლად დასვა.

მცირე დროის გასვლის შემდეგ გაიხსენა თეიმურაზ ბატონმა წახეთის სულთნის[368] დანაშაული. რადგან, როცა ყაენი შაჰ-აბასი მოვიდა კახეთის გასაჩანაგებლად და ააოხრა მთელი კახეთი, მაშინ წახეთის სულთანი დაეხმარა და მრავალი ბოროტება გაუკეთა კახეთს. ამიტომ ბატონმა თეიმურაზმა ფარულად მოიხმო ქართლ-კახეთის მხედრობა, გაილაშქრა და წავიდა წახეთის წინააღმდეგ. როცა ალონში[369] ჩამოვიდა, წაიბორძიკა ცხენმა, რომელზეც თეიმურაზ ბატონი იჯდა და ხელი

მოიტეხა. თვითონ აღარ შეეძლო, ზურაბ ერისთავი დააყენა მეთაურად და გაატანა ჯარი. წავიდნენ, უჩუმრად შევიდნენ და თავს დაესხნენ წუხეთის სულთანს, მახვილით ამოხოცეს ყველა იქ მყოფი. ააოხრეს და გააჩანაგეს სულთნის მთელი ქვეყანა და თემები. თვითონ ის სულთანიც შეიპყრეს და მოკლეს. წამოიღეს ბევრი ნადავლი და მათი ნატაცები. დაბრუნდნენ გამარჯვებულები და მოვიდნენ ბატონ თეიმურაზთან. ესიამოვნა თეიმურაზ ბატონს და ძალზედ გამხიარულდა.

ამასობაში გამოხდა ხანი და გაიხსენა ზურაბ ერისთავის უწინდელი უკეთურება. დიდი შუღლი ჰქონდა მის მიმართ, მარჯვე დროს ეძებდა, რომ რაიმე ბოროტება შეემთხვია მისთვის და გადაწყვიტა მისი მოკვლა. არ მოერიდა სიძის სიყვარულს, არც მისი ასულის დარეჯანის ქვრივობას. მუხრანში [იმყოფებოდა] მაშინ ბატონი თეიმურაზი. იქ სურდა ეღალატა ზურაბ ერისთავისთვის. მოიხმო ბატონმა თეიმურაზმა საიმედო ყმები[370] და გაანდო თავისი გულის საიდუმლო, ასე თქვა: „რადგან იმდენად გაძლიერდა ზურაბ ერისთავი, რომ არ უნდა ქართლსა და კახეთს მბრძანებელი ჰყავდეს, ვისაც მოისურვებს, დააყენებს, ხოლო ვინც არ უნდა, ზოგს მოჰკლავს, ზოგს განდევნის, ახლა მინდა მისი მოკვლა და თქვენ არ გაამხილოთ ეს საიდუმლო. როცა მე მისი მოკვლის [ბრძანებას] გამცნობთ, თქვენ ურჩობა არ დამიწყოთო“. ასე შეაგულიანა თავისი ყმები, გაგზავნა კაცი და მოიხმო ზურაბ ერისთავი. მოვიდა იგი, გაერთნენ, ლხინობდნენ და ვერაფერს მიხვდა ერისთავი. ერთ დღესაც, [როცა იქ] ისხდნენ მისი ყმები, ანიშნა ბატონმა თეიმურაზმა. მათ ერისთავის უჩუმრად აიღეს ხმლები, ნადიმზე მჯდომს უღალატეს და მოკლეს. მასზე აღსრულდა უფლის ბრძანება: რომელმაც აიღოს მახვილი, მახვილით დაიღუპოს (შდრ. მათე 26, 52). შური იძია ბატონმა თეიმურაზმა, წავიდა დუშეთში, წამოიყვანა თავისი ასული დარეჯანი, მოვიდა და მუხრანში დადგა.

მაშინ განიზრახა იმერეთის მბრძანებელის ალექსანდრე გიორგის ძის მძახალი გამხდარიყო. [გიორგის] სამი ვაჟი ჰყავდა: ალექსანდრე, მამუკა და ნაბოლარა, სახელად ბერი. თავისი ასული დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ყოფილი ცოლი, გაატანა ალექსანდრეს, იმერეთის მბრძანებლის ვაჟს. მოიხმო იმერეთიდან და ჩამოიყვანა მუხრანში, სოფელ ქინძარაში. ქინძარას მცირე ეკლესიაში უკურთხა გვირგვინი და ქორწილი გადაიხადა. ალექსანდრეს პირველად გურიელის ქალი ჰყავდა ცოლად. რაღაც ცილი დასწამა გურიელის ქალს და ამის გამო გაშორდა

ალექსანდრე. ცოლად შეირთო დარეჯანი და წაიყვანა იმერეთში. იმხანად იმერეთის მბრძანებელ გიორგისა და დადიანს ერთმანეთის შური ჰქონდათ. მტრობა და შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში და ერთმანეთს უოხრებდნენ სამფლობელოებს.

ბატონმა თეიმურაზმა შეკრიბა თავისი ჯარი, წავიდა და ულიკოსორში ლეკებს დაესხა თავს, რადგან ისინი კახეთს ესხმოდნენ თავს, ავაზაკობდნენ, ხალხს ხოცავდნენ, ტყვეები მიჰყავდათ და ჰყიდიდნენ. ამის გამო შური იძია ბატონმა თეიმურაზმა. შეიჭრა, გაიმარჯვა და მახვილით გაავლო მუსრი ყველა იქ მცხოვრებს. წამოვიდნენ იქიდან მტრებისგან დაუმარცხებელნი და დაბრუნდნენ კახეთში.

აღარავინ ჰყავდათ ქართლელებს მკვიდრი მეფე და არც ბატონიშვილები, მხოლოდ მცირედ ემორჩილებოდნენ კახეთის მბრძანებელ თეიმურაზს და განიცდიდნენ ქართლის მეფეების ამოწყვეტას. ამიტომ, რაკიღა [ტახტის] მემკვიდრეებზე იმედს ვეღარ დაამყარებდნენ, დროებით ეგუებოდნენ ვითარებას. დაჰყვებოდნენ [თეიმურაზს] ლაშქრობასა და ნადირობაში. არ წუხდნენ, [ქართლი] რომ მას ჰქონდა დამკვიდრებული და მის ზურგს უკან ამბობდნენ: „დღეს არის და ხვალ აღარ იქნებაო“.

იმჟამად ქართლიც კახეთის ბატონ თეიმურაზს ჰქონდა დაკავებული. ამიტომ აწყობდა ლაშქრობებს, რადგან მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ძალმომრეობდა მის ყველა მოწინააღმდეგეზე. ძველი შური იძია მის მტრებზე. ისევ მოიხმო ქართლელები და კახელები, შეიკრიბნენ ყველანი და წავიდა ყარაბაღის გასაჩანაგებლად და ასაოხრებლად. მოულოდნელად თავს დაესხნენ, იავარყვეს და ააოხრეს მთელი ყარაბაღი. წამოასხეს ტყვეები და ბევრი ნადავლი წამოიღეს. ძლევამოსილნი წამოვიდნენ და დაბრუნდნენ კახეთში.

იმხანად განჯას განაგებდა უნდილაძის გვარის კაცი, დაუდხანი ერქვა, ყიზილბაშებში იყო გაზრდილი. მის ძმებსა და ახლო ნათესავებს იცნობდა ყაენი შაჰ-აბასი. მის კარზე მრავალგვარად ნამსახურები, ყაენის მხარდამჭერები და ერთგულები იყვნენ. ბევრ სიკეთეს უკეთებდა ყაენი შაჰ-აბასი მათ. მაგრამ მაინც მათი უნდობლობისა და სიბოროტის ჩვევამ იმარჯვა, როგორც ნათქვამია: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. მათი ჩვეულება მართლაც არის მათ რჯულზე უფრო მტკიცე. შაჰ-სეფიმ შეიპყრო დაუდ-ხანის ძმა და თავი მოჰკვეთა, მის შვილს თვალები დათხარა და ექვსი ძმისშვილი მოუკლა. ეს რომ

დაუდ-ხანმა შეიტყო წამოვიდა განჯიდან და კახეთში ჩამოვიდა ბატონ თეიმურაზთან. თან ჰყავდა ყაჯრის ჯარი მათი ცოლ-შვილით. ივრის პირზე დაასახლა [თეიმურაზმა]. ეს რომ შეიტყო ყაენმა შაჰ-სეფიმ, შაჰ-აბასის ძემ, ძალიან ეწყინა.

როსტომ მეფე[371]

მაშინ იყო ერთი როსტომ სააკაძე, ყაენის კარზე აღზრდილი. როსტომ სააკაძე გამოჩენილი კაცი იყო და ყიზილბაშებისგან მეტად პატივცემული. [ყაენმა] სპასალარობა მისცა, გამოგზავნა ქართლში და თან გამოატანა ქართლის მბრძანებლად ხოსრო-მირზა, დაუდ-ხანის ძე, რომელიც უწინ ვახსენეთ. ხოსრო-მირზას მისცა ყაენმა ქართლი და უწოდა როსტომ-ხანი. ორივე ერთად გამოგზავნეს როსტომ-ხანი და სპასალარი როსტომ სააკაძე. კახეთი კი სელიმ-ხანს მისცა და ისიც თან გამოაყოლა. გამოემართნენ, ჩამოვიდნენ და დაიბანაკეს ხუნანში, სადაც არის გატეხილი ხიდი. ეს რომ შეიტყო ბატონმა თეიმურაზმა, შეკრიბა თავისი ჯარი, მოვიდა და საფურცლეში დადგა. ცოლ-შვილიანად მოიხმო ბარათაშვილები, მორეკა მუხრანში და იქ დატოვა. ბარათაშვილებმა გაიგეს ხუნანში როსტომ მეფის მოსვლის ამბავი, ცოლ-შვილი დატოვეს და როსტომ მეფესთან წავიდნენ. მეტად განრისხდა ბატონი თეიმურაზი ბარათაშვილების წასვლის შესახებ როცა გაიგო, უნდოდა ცხვირ-პირი დაეჭრა ბარათაშვილების ცოლ-შვილისათვის, მაგრამ ხორეშან დედოფალმა არ დაანება. ვეღარ გაჩერდა ბატონი თეიმურაზი მუხრანში, არც ის შეეძლო, რომ როსტომ მეფისთვის გაეწია წინააღმდეგობა. მაშინ ცოლ-შვილით გადავიდა იმერეთში და ზოგიერთი კახელიც თან გაჰყვა.

იმხანად მუხრანს ფლობდა ვახტანგი, თეიმურაზის ძე. ამათი წასვლის შემდეგ ადგა ვახტანგი და მივიდა როსტომ მეფესთან. გაიგეს ყიზილბაშებმა ბატონი თეიმურაზის წასვლის ამბავი და მდევარი დაადევნეს. ბატონმა თეიმურაზმა და ზოგიერთმა კახელმა იმერეთში გადაასწრეს, ზოგს კი პერანგაზე წამოეწივნენ. ზოგი მოკლეს, ზოგი შეიპყრეს, დაატყვევეს გახიზნულები, წამოვიდნენ და დაბრუნდნენ როსტომ სპასალართან. ძალიან ბევრნი იყვნენ ყიზილბაშები, მოიყვანეს და დასვეს როსტომ მეფე ქართლში. ქართლელები მასთან შეიკრიბნენ, ხოლო სელიმ-ხანი ჩაიყვანეს და დასვეს კახეთში. მაშინ ააშენეს გორის ციხე და შიგ მცველები ჩააყენეს. მეციხოვნეები სურამის ციხეშიც

ჩააყენეს. როსტომ მეფეს დამხმარედ მისცეს ლორეს, ყაზახისა და შამშადილოს ხანები. სელიმ-ხანს კი დამხმარედ დაუდგინეს განჯისა და ყაჯარის ჯარები.

როსტომ მეფე მეტად მდიდარი და შეძლებული იყო, რადგან ყაენი ბევრს სწყალობდა. ყულარაღასი იყო და ისპაჰანის ტარუღა[372]. დიდად სწყალობდა ყაენი როსტომ მეფეს, მრავალ [ძღვენს] უგზავნიდა, როსტომ მეფე კი ქართლელებს ურიგებდა ლეინის ხალათებსა და პატარ-პატარა საჩუქრებს, რადგან მაშინ ქართლელი [მამაკაცები] არ იცვამდნენ [მუსლიმურ] კაბებს და არც მორთვა უყვარდათ. ამ მცირედი საჩუქრებით შემოიკრიბა ქართლელები და მოიპოვა მათი ნდობა. მაშინ ქართლელები გულწრფელები იყვნენ, არ ჰქონდათ შეთვისებული ყიზილბაშური ხრიკები და მატყუარობა. როსტომ მეფეს კი ხალხი ჰყავდა, მოხერხებული და მიზანდასახული კაცი იყო. იმხანად ვინც კი იყვნენ სპარსეთში დატყვევებული და გათათრებული ქართლელები, ყველა დააბრუნა ქართლში[373]. ქართლის გათათრება უნდოდათ. ყიზილბაშურ წესებს მისდევდა და ყიზილბაშურად მოაწყო თავისი კარის წესები. მოხელეებად და მსაჯულებად თათრები დააყენა ქართველი მოხელეებიც არ დაითხოვა,[374] დიდებულად იქცეოდა.

იმხანად ქართლის მეფეთა სასახლე [თბილისის] ციხეში იყო, სადაც წმიდა ნიკოლოზის საყდარი დგას. როსტომმა დატოვა [ეს სასახლე], იქ ყიზილბაში მიმბაში[375] დასვა. თვითონ გამოვიდა და დასახლდა მტკვრის პირას, ანჩის საყდარსა და სიონს შორის. იქ ციხეშიც ააგო მეჩეთი, აბანოს პირდაპირ, ხევის გადმოღმა და თავის სასახლეშიც ააშენა მეჩეთი. ასევე გააშენა ბაღი იჩიტუნტრუხის[476] კლდის ქვემოთ და იქაც ააშენა მეჩეთი.

იმხანად ერისთავად იჯდა დათუნა არაგვის ერისთავი და არ ერთგულებდა როსტომ მეფეს. თეიმურაზთან ეჭირა საქმე და როსტომ მეფის სამსახურშიც იყო. ეს ხრიკი რომ შეუტყო როსტომ მეფემ, ჯარი შეკრიბა, შევიდა მუხრანში და შეუთვალა დათუნა ერისთავს: „მომეცი პირობა, რომ ყაენთან წახვალ, ხელს შეგიწყობ და გაგგზავნი, თუ არადა შემოვიჭრები და სამფლობელოს აგიოხრებო“. არ შეეძლო როსტომ მეფისთვის წინააღმდეგობის გაწევა, წამოვიდა მეფესთან და მოვიდა. უღალატა როსტომ მეფემ, თავი მოჰკვეთა და ყაენს გაუგზავნა. აცნობა, რომ ეს მაჩხუბებდაო ბატონ თეიმურაზთან. თვითონ კი შეიჭრა მის საერისთავოში. დათუნა ერისთავს ჰყავდა ძმა, ზაალი. მან შეკრიბა თავისი ჯარი, წინ დაუხვდა, გაიმარჯვა და უკან გამოაბრუნა.

მაშინ გაუგზავნა კაცი ზაალმა ბატონ თეიმურაზს, გაუგზავნა მძევლები და საშინელი ფიცით შეუთვალა: „მოდი და მბრძანებლად გაგხდიო“. თეიმურაზ ბატონს მოუვიდა კაცი, არ შეეძლო ქართლზე წამოსვლა. იმერეთიდან დვალეთზე გადმოვლით ჩამოვიდა ანანურში და იქ გაჩერდა. ხალხი მიუჩინეს, ემტერებოდნენ როსტომ მეფეს, მაგრამ ვერსად ჩაიგდეს ხელში. სიფრთხილეს იჩენდა და ქალაქის ციხეში იყო. მაშინ კი ერთგულად დაუდგა მხარში ზოგიერთი მდაბიო ქართლელი. ციხესიმაგრეში იჯდა და ვერ მტრობდნენ.

სელიმ-ხანი მოსაბრუნში იჯდა, კახეთის ქვეყანაში. იქ ააშენა სახლი. რაკი დაინახეს, რომ როსტომ მეფეს ვერაფერი დააკლეს, მერე სელიმ-ხანს მიუხდნენ და თავს დაესხნენ. თვითონ სელიმ-ხანმა გაასწრო, ვერ შეიპყრეს, სხვები კი, მისი ყმა თათრები, ვინც კი ჩაიგდეს ხელში, დახოცეს, ზოგი დაატყვევეს. წამოვიდა ბატონი თეიმურაზი და კახეთი დაიკავა. მაშინ კახეთი დაუძლურებული იყო, ვერ გაჩერდა როსტომ მეფის შიშით, წავიდა, ანანურთან დადგა და იქიდან ქართლშიც მოქმედებდა.

იმხანად როსტომ მეფემ და დადიანმა დამოყვრება გადაწყვიტეს. მაშინ ლევან დადიანი და იმერეთის მბრძანებელი ერთმანეთს ემტერებოდნენ, დიდი შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში. ამიტომ მოინდომა დადიანმა როსტომ მეფესთან დამოყვრება. როსტომ მეფემაც იმის გამო მოისურვა დადიანთან დამოყვრება, რომ ბატონი თეიმურაზი მისი მტერი იყო და იმერეთში გამაგრდებოდა ხოლმე. [უნდოდა] დადიანი მისთვის გადაემტერებინა. არავინ ჰყავდათ ისეთი, რომ ერთმანეთისთვის გაეყოლებინათ. დადიანს ჰყავდა და, სახელად მარიამი, იგი სვიმონ გურიელს[377] ჰყავდა ცოლად. მარიამი ათაბაგის ასულის გაჩენილი იყო. მაშინ დაგმო ღმერთი სვიმონ გურიელმა, ეშმაკის შურით აბორგებულმა მოკლა მამამისი მამია გურიელი[378], საწოლში მყოფი მოკლა ღალატით. ლევან დადიანმა რომ გაიგო, მოიმიზეზა ეს ამბავი და შეუთვალა სვიმონ გურიელს: „რადგან ეს ბოროტი საქმე ჩაიდინე, მე ჩემს დას შენ აღარ დაგიტოვებო“. შეკრიბა ჯარი ლევან დადიანმა და თავს დაესხა ლანჩხუთს. იქიდან სვიმონ გურიელმაც შეკრიბა ჯარი. სვიმონ გურიელი მხნე და გაბედული კაცი იყო, ისიც ჩავიდა ლანჩხუთში. შეიბნენ და გაიმარჯვა ლევან დადიანმა. შეიპყრო სვიმონ გურიელი, თვალები ამოუშანთა და წაართვა მარიამი, თავისი და. გურიის მთავრის ტახტზე ქაიხოსრო[379] დასვა, გურიელის ბიძაშვილი. ქაიხოსრო მარიამ დედოფლის ძმა იყო დედის მხრიდან. როსტომ მეფეს კაცი გამოუგზა-

ვნა და აღუთქვა ქალს მოგცემო. ესიამოვნა როსტომ მეფეს და გაემზადა ქალის წამოსაყვანად. შემოიკრიბა ქართლელები და წამოვიდა. იმხანად ლევან დადიანი მეტად ძლიერი იყო, როგორც ქონებით, ისე ჯარით. აქედან როსტომ მეფე წავიდა მრავალრიცხოვანი მხედრობით, იქიდან კი დადიანი შეკრებილი [ამალით] და თან წამოიყვანა მარიამი, თავისი და. იმერეთის მბრძანებელ გიორგის შიში ჰქონდათ. წამოვიდა სამიქელაძეოზე, გამოიარა ფოკე, გადმოლახა რიონი, ამოიარა საჩხეიძეო და მოვიდა დადიანი კაკას-ხიდთან. როსტომ მეფეც სამცხის გავლით წამოვიდა. კაკას ხიდზე შეხვდნენ ერთმანეთს როსტომ მეფე და დადიანი, ერთმანეთთან პირისპირ დაბანაკდნენ, სიახლოვით.

მაშინ შეკრიბა თავისი მხედრობა იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ და ისიც წავიდა მათ წინააღმდეგ, შებრძოლება გაბედა, არ შეეშვათ. ისიც მათ სიახლოვეს მივიდა და დადგა. გიორგიმ თავისთვის იფიქრა და გადაწყვიტა, მსუბუქად წავალ და დავთირავ მათ ჯარსო და წავიდა. იმერლებმა ურჩიეს, მარტო ნუ წახვალო, მაგრამ თავისი არ დაიშალა. ათი კაცით წავიდა და მაღლობიდან გადახედა მათ ჯარს. შეუტყო ეს საქმე ლევან დადიანმა, გაგზავნა თავისი მხედრები, ნახეს გიორგი, რომ მცირე რაზმით იყო, შეუტიეს, შეიპყრეს და მიიყვანეს დადიანთან. მაშინ ქრისტეს აქეთ 1632[380] [წელი] იყო. დადიანს ესიამოვნა, მეტად გამხიარულდა და დაატყვევა, ქალი კი როსტომ მეფეს გაატანა. წამოვიდა როსტომი და წამოიყვანა. დადიანიც გაბრუნდა უკან და თან წაიყვანა გიორგი. ციხეში ჩააგდო და ტყვეობაში ჰყავდა. ალექსადრე[381] გიორგის ძე მამისის ნაცვლად დაეუფლა [იმერეთს]. იმავე გზით წამოვიდა როსტომ მეფე, რომლითაც ჩავიდა. მაშინ გათათრებული იყო ათაბაგი, ამიტომ ათაბაგად აღარ იხსენიებდნენ, არამედ ფაშას ეძახდნენ ოსმალურად. მაშინ ფაშა იყო იუსუფ-ფაშა, საფარ-ფაშას ძე[382]. მან გზა მისცა როსტომ მეფეს, გამოიარა ოცხე და ჩამოვიდა ქართლში. გადაიხადა მეფური, დიდებული ქორწილი. ალექსანდრემ, გიორგის ძემ, დადიანს მამამისის გათავისუფლება სთხოვა და გამოსასყიდი შესთავაზა. დადიანმა ჩიხორსა და ჩხარში მცხოვრები სომხები მოსთხოვა საფასურად. აჰყარა და მისცა, რაც მოითხოვა, გაათავისუფლა მამამისი და ჩამოიყვანა იმერეთში. ცოტა ხანი კიდევ იცოცხლა გიორგიმ და გარდაიცვალა. ტახტზე მის ნაცვლად ავიდა ალექსანდრე, მისი ძე.

ამის შემდეგ დადიანი მეტად მძლავრობდა იმერეთზე. ისე გაუჭირდა ალექსანდრეს, რომ ქუთაისს გალავანი შემოავლო, შიგნით იჯდა და ლე-

ვანს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ყოველ საუფლო დღესასწაულზე, – შობას, ახალ წელს, ნათლისღებას, აღდგომას, – შემოიჭრებოდა დადიანი და არბევდა იმერეთის ქვეყანას. ზოგს ხოცავდა, ზოგს ატყვევებდა და ჰყიდიდა, ან დაიტოვებდა და თავს გამოასყიდებინებდა. ამ დროს შემოიღო ლევან დადიანმა ტყვეებით ვაჭრობა და გამოსასყიდის [აღება]. მანამდე ტყვეებით ვაჭრობა არ ყოფილა. დადიანი ძალიან მდიდარი იყო, მთელი აფხაზეთი ემორჩილებოდა. შარვაშიძეები მისი ყმები იყვნენ და ლაშქრობებში თან ახლდნენ დადიანს. როსტომ მეფეც ძალიან გაძლიერდა და ველარაფერი დააკლეს მტრებმა. ამასობაში გაიარა სამმა წელიწადმა.

მაშინ განუდგნენ ბატონ თეიმურაზს ზაალ არაგვის ერისთავი და ქსნის ერისთავი. ესენი ემხრობოდნენ მას და ამეფებდნენ კახეთში. მაშინ კახეთი გაჩანაგებული იყო, ლტოლვილი ხალხიც დაბრუნდა და მას შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო აღშენება და დასახლება. იმხანად ბატონი თეიმურაზი ხან შეურიგდებოდა ყაენს და საჩუქრებს გაუგზავნიდა, ხან ისევ განუდგებოდა. კახეთში იმყოფებოდა და ასე მეფობდა.

მაშინ ბატონმა თეიმურაზმა იფიქრა და გადაწყვიტა, რომ დაეპყრო დიდოეთი. უნდოდა იქიდან რუსეთისკენ გაეხსნა გზა, რუსეთის მეფისგან ზურგი გაემაგრებინა და იქიდან რუსული ჯარი შემოეყვანა – ასეთი წადილი ჰქონდა. შეკრიბა ჯარი და დაიძრა დიდოეთისკენ. დიდოეთის მოქცევა უნდოდა, შეიჭრა დიდოეთში, აიღო ზოგიერთი კოშკი და ადგილი. დიდოელებმა ლეკებისგან ითხოვეს დახმარება. მაშინ ლეკები ძალიან ემტერებოდნენ კახელებს, რადგან ბატონი თეიმურაზი დაესხა თავს და ბევრი უბედურება დაატეხა ლეკებს. თავიდანვე მტრობა ჰქონდათ, ამიტომ ემტერებოდნენ ლეკები კახელებს. უშველეს ლეკებმა დიდოელებს და დაეხმარნენ, სიმაგრეში დაუხვდნენ ბატონ თეიმურაზს, დაუშინეს საგორავები, ქვები და ისრები. მრავალი [ხალხი] ამოუწყვიტეს და გამოდევნეს ბატონი თეიმურაზი. ვინც კი ჰყავდა გამორჩეული ეპისკოპოსი და წარჩინებული, ყველა იქ ამოუწყვიტეს. კახეთში ჩამოვიდა და იტირა: „ვაი, ეპისკოპოს-დარბაისლებ ამოწყვეტილსო“.

ამასობაში გამოხდა ხანი. შეთქმულება მოაწყვეს ზაალ ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, ნოდარ ციციშვილმა, კათოლიკოსმა ევდემოზ დიასამიძემ, გიორგი გოჩაშვილმა და კიდევ ზოგიერთმა სხვა ქართლელმა. ამათ გადაწყვიტეს, განდგომოდნენ როსტომ მეფეს. ევდემოზ კათოლიკოსი უფრო ცდილობდა იმიტომ, რომ დათუნას,

თეიმურაზ ბატონის შვილს, ცოლად ჰყავდა მისი ძმის ასული. კაცი გაუგზავნეს ბატონ თეიმურაზს, შეჰფიცეს, დიდი პირობა მისცეს და მოიხმეს: „ისევ დაბრუნდი ქართლში და ბატონად გაგხდითო“. ამის გამო შეკრიბა ნოდარმა ჯარი და წავიდა. შეიტყო ეს ამბავი როსტომ მეფემ, შეკრიბა ჯარი და ისიც წამოვიდა ნოდარის წინააღმდეგ. მოვიდა და დაბანაკდა საჯავახიანოში. ნოდარმა რომ გაიგო როსტომ მეფის წამოსვლის შესახებ, გაიქცა და წავიდა. უკან დაედევნა როსტომ მეფე. იმხანად ნოდარს თან ახლდა ორი ძმა, ჩხეიძეები, ხიზანები იყვნენ და ნოდართან ცხოვრობდნენ. როსტომ მეფე რომ წამოეწია ნოდარს, შემოუბრუნდნენ ძმები ჩხეიძეები, შეებრძოლნენ და ისინიც დახოცეს. ნოდარი კი გაიქცა და შევიდა ატენის ციხეში. მივიდა როსტომ მეფე და ალყაში მოაქცია. ველარც იქ გამაგრდა ნოდარი და ზემო ქართლში გაეშურა, რომელიც არის საათაბაგო. როსტომ მეფემ აიღო ციხე და დალეწა, წამოვიდა იქიდან და ცხირეთში გაჩერდა. მიიხმო დედოფალი მარიამი და იქ იმყოფებოდნენ.

ევდემოზ კათოლიკოსიც იქვე იმყოფებოდა როსტომ მეფესთან. ისევ შეუთვალა კათოლიკოსმა ბატონ თეიმურაზს: „ნოდარის წასვლის გამო საქმეს რატომ წაახდენ, უკან რატომ გაბრუნდიო“? მაშინ თეიმურაზ ბატონს ზაალ ერისთავი შეუერთდა, მოვიდნენ და მუხრანში გაჩერდნენ. ისევ გაუგზავნა კათოლიკოსმა კაცი: „ნულარ აყოვნებთ, მოდით და გაგაკეთებინებთ, რაც გინდათო“. ეს საქმე შეიტყო ვახტანგ მუხრანბატონმა, სწრაფად გაუგზავნა კაცი როსტომ მეფეს და აცნობა საქმის ვითარება. მაშინ დედოფალი გაგზავნა გორის ციხესიმაგრეში, თვითონაც უკან გაჰყვა. მივიდნენ გორის ციხეში და იქ გამაგრდნენ. ბატონი თეიმურაზი უფლისციხეში ჩამოვიდა, ველარაფერი გააწყო, გამობრუნდა და წამოვიდა. წინ დაუხვდა ვახტანგ მუხრანბატონი, ბევრი ზარალი მიაყენა და წავიდა კახეთში. შეიპყრო როსტომ მეფემ ევდემოზ კათოლიკოსი, გაგზავნა ქალაქის ციხეში და დაატყვევა. გარკვეული დროის შემდეგ იქვე ციხეში მოაშთობინა. გიორგი გოჩაშვილი შეიპყრო და თვალები დასთხარა. სხვები, ვინც კი როსტომ მეფის ორგულები იყვნენ, ზაალ ერისთავისა და იოთამ ამილახორის გარდა, ზოგი დაახეიბრა, ზოგს მამულები ჩამოართვა და გააძევა თავისი სამკვიდროდან. იოთამ ამილახორი, ხან როსტომ მეფეს ემხრობოდა და ხან ბატონ თეიმურაზს. საითკენაც დროს იმარჯვებდა, იქით დადგებოდა.

ეს საქმე რომ მოაგვარა როსტომ მეფემ, შეკრიბა ქართლის ჯარი და ყიზილბაშები, რომლებიც ყაენმა [დამხმარედ] დაუდგინა, ისინიც შეკრიბა და წამოვიდა კახეთში ბატონი თეიმურაზის წინააღმდეგ. მაშინ ბატონი თეიმურაზი მცირე ამალით იდგა მაღაროში, კახელები თავთავისთვის იყვნენ[383]. თავს დაესხა როსტომ მეფე. ვიწრო გასასვლელებში აუტეხა სროლა ბატონმა თეიმურაზმა. რამდენიც შეეძლო იომა ბატონმა თეიმურაზმა. ვეღარ გამაგრდა როსტომ მეფე, გამოიქცა და თბილისში ჩამოვიდა. აღარ დაედევნა ბატონი თეიმურაზი, მისი მრავალი საქონელი ჩაიგდო ხელში, აიკლო, წამოიღო, წამოვიდა და მოვიდა თავის სახლში. დაინახეს ზაალ ერისთავმა და იოთამ ამილახორმა, რომ ამ დამარცხებითაც ვერაფერი დააკლეს, მოლაპარაკება დაიწყეს როსტომ მეფესთან და ეხვეწებოდნენ: „შევრიგდეთ და გვიმსახურეო“. როსტომ მეფემ ასე უპასუხა ზაალ ერისთავს: „თუკი წახვალ ყაენთან, შეგირიგდები, ხოლო თუ არ წახვალ, ჩემთან საქმე არა გაქვსო“. დაჰყვა ზაალ ერისთავი, მოიყვანა და შეირიგა. გაგზავნა ყაენთან და კარგი წერილები მისწერა ყაენს. ყაენთან რომ ჩავიდა ზაალ ერისთავი, დიდი პატივი სცა. როსტომ მეფის შუამდგომლობით, კარგად მიიღო და ბევრი წყალობა მისცა – წელიწადში სამასი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა, გაათათრა და ქართლში გამოუშვა. მოვიდა როსტომ მეფესთან და მას შემდეგ მისი ერთგული იყო.

იმ დროიდან დაიწყო ქართლის წეს-ჩვეულებებმა შეცვლა. ყველამ შეიყვარა ანგარება და სიმდიდრე, ჯამაგირი და ყაენისაგან მამულის მიღება. შემოიღეს ყიზილბაშური ჩაცმულობა, ქართლის დიდებულები და თავადები ყაენისგან მდიდრდებოდნენ და რაყამით შოულობდნენ მამულებს. თვითონ როსტომ მეფის სურვილი ასეთი იყო, რომ ყაენის დაუკითხავად არავის არაფერი მისცემოდა. თუკი ვინმეს დაწინაურება უნდოდა, ყაენს დაეკითხებოდა. ყაენის მორჩილი და მაჰმადის რჯულის მოყვარე კაცი იყო როსტომ მეფე. მან ააშენა ყიზილბაშური სასახლე. ლამაზად და მშვენივრად ააგო. შემოიღო [ხალიჩებისა და ფარდაგების] დაფენა, [ყიზილბაშური] ჭამა-სმა, თავმოწონება და ხალიჩებზე მორთხმა. მთლიანად ყიზილბაშურ წესებზე გადავიდნენ. გამრავლდა მის კარზე სიძვა და უწმიდურება, სოდომ-გომორული ცოდვა, მეძავობა და მრუშობა. ასევე მოისურვა ციხის გამაგრება და შიგნით მყოფი თათრების გათავისუფლება. გაძლიერდნენ თათრები და გაუთავხედდნენ ქართლელებს. ვინც იყო ქართლელი, მათი წესის მოყვარული, მეძავი და

სიბილწისმოქმედი, დიდ პატივს სცემდა როსტომ მეფე, [რჩევას] ეკითხებოდა და ყურს უგდებდა. ხოლო თუკი ვინმე იყო სიმართლისმოქმედი, გულწრფელი და ცოდვასმორიდებული, მას საერთოდ არ სცემდა პატივს, ცუდ და შეუფერებელ კაცად მიიჩნევდნენ.

დღითიდღე სმასა და განცხრომაში იყვნენ, სულისათვის კი საერთოდ აღარ ზრუნავდნენ. მოიყვანა მეჩანგეები და მგოსანი ქალები. აქებდნენ ქართლელი წარჩინებულები, მათაც ასევე გაიჩინეს მეჩანგე ქალები, ბლომად მხევლები და აღარ იყო სირცხვილი სიძვისა და მეძავობისა. ქართლელებმაც ისწავლეს ყიზილბაშურად ჭამა-სმა, დიდ სირცხვილად მიაჩნდათ მაგიდასთან სუფრის უფლობა (თამადობა) და არა ხალიჩებზე მორთხმა. ვისაც არ შეეძლო ამ წესების მიყოლა, გაღარიბდნენ, გაყიდეს მამა-პაპის დანატოვარი მამულები და აგარაკები. [ძვირფასად] იმოსებოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და შვილებზე საერთოდ აღარ ზრუნავდნენ. მაშინ შემოიღეს თავადებმა ზოგიერთ ადგილში ტყვეებით ვაჭრობა. ვინც იყო ობოლი და ქვრივი, გამოიყვანდნენ, გაჰყიდიდნენ და გამრავლდა ცოდვა.

სამღვდელო ეპისკოპოსების ერთგულება იმით მოიპოვა [როსტომ-ხანმა], რომ ყველას ჯამაგირი დაუწესა, თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა. ამიტომ უზრუნველად იყო სამღვდელოთა კრებული. აა-შენა წმიდა კათოლიკე ეკლესია – მცხეთის გუმბათი[384] და კიდევ რამდენიმე სხვა გაპარტახებული ეკლესია. ასევე ააგო გატეხილი ხიდი. იყო ჭამა-სმის მოყვარე, ბევრ საჩუქრებს გასცემდა სმის დროს. მის დროს ერისკაცებში არ იყო სულიერი საზრუნავი. არამედ იყვნენ გაფუფუნებული და ხორციელების მოყვარულნი. თვითონ სამღვდელონი და მღვდელთმთავრებიც მიდრკნენ წესიერებისგან და აღერივნენ ერისკაცებს, იერემის გოდებისაებრ, რადგან იყვნენ ღვინის მოყვარე, სმისა და შვების, განცხრომის [მოყვარე], უმღეროდნენ ერთმანეთს სიძვა-მრუშობასა და მეძავობას. ამის გამო მოუძლურდა სარწმუნოება და შეიბღალა ეკლესიის წესები, რადგან აღარ ეძიებდნენ სულიერ ღვაწლს, არამედ ხორცისთვის ზრუნავდა ყველა.

როცა მოკლა კათოლიკოსი ევდემოზ დიასამიძე,[385] მაშინ როსტომ მეფემ, თავისი წინასწარი გადაწყვეტილებითა და მთელი საქართველოს მღვდელთმთავრებისა და სამღვდელო დასის გამორჩევით, კათოლიკოსობა მისცა ქრისტეფორე ურდუბეგაშვილს.[386] ქრისტეფორე კათოლიკოსი იყო სიმართლის მოყვარე კაცი, მშვიდი, თავმდაბალი, გულტკ-

ბილი, ყველას მიმართ მწყალობელი, სიწმიდის მოყვარე, სახით სახიერი და ღირსი თავისი ხარისხისა და წოდებისა. ამავე დროს აღზრდილი იყო საერო-ვაჟკაცურ ლაშქარ-ნადირობაში და [ამის] გამოცდილებაც ჰქონდა. მაგრამ წიგნიერი არ იყო, მცირედი სწავლა-განათლება გააჩნდა. კარგად განაგებდა წმიდა კათოლიკე ეკლესიას.[387]

როსტომი [ყაენისადმი] ყოველგვარ ძღვენს უფრო მეტს გზავნიდა. მეტადრე იმ სიტყვას გადავიდა, რომელიც დატოვა სვიმონ მეფემ; [უწინ] ამ წესით ხდებოდა: ან ებრაელის შვილი, ან ნაყიდი [ყმა], ან ოსი იგზავნებოდა [ყაენთან]. ამან კი გამოიყვანა ქართლელი გლეხების, აზნაურებისა და დიდებულების ასულები და ვაჟები და მათ აგზავნიდა. ამ დროიდან შემოიღეს ეს [წესი] და ქართლის ყველა მეფე ასე იქცეოდა, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

მთელი ქართლი დაიმორჩილა როსტომ მეფემ, მეტად ერთგულები იყვნენ. შეკრიბა თავისი მხედრობა, მივიდა და საფურცლეში დადგა. იქიდან მოუხმო ყიზილბაშ ხანებს, რომლებიც ყაენის მიერ მის [დამხმარეებად] იყვნენ დადგენილი. მოვიდნენ და შეუერთდნენ ისინიც. და დაიძრა ბატონ თეიმურაზის წინააღმდეგ,[388] რადგან მაშინ ბატონი თეიმურაზი თიანეთში იმყოფებოდა. ბიძინა სუფრაჯმა ურჩია ბატონ თეიმურაზს: „გაგზავნე დავითი, შენი ვაჟი, მე თან გავყვები და კახელების ნაწილიც გაგვატანე. ჩავალთ ქიზიყში და იქიდან გავუმართავთ ბრძოლას როსტომ მეფესო“. დაუჯერა ბატონმა თეიმურაზმა და გაგზავნა დავითი, თავისი ძე. გაიგო როსტომ მეფემ და მანაც გაგზავნა ყიზილბაშების ჯარი მათ წინააღმდეგ, თვითონ კი ბატონ თეიმურაზს შეუტია. სარდლებად დააყენა ვახტანგ მუხრანბატონი და ზაალ ერისთავი და გაატანა ქართლის ჯარი. ჩავიდნენ ესენი უღლისში, იქიდან ბატონი თეიმურაზი წამოვიდა, ატყდა დიდი ბრძოლა და თოფის სროლა გამეტებული. მაშინ თოფი მოარტყეს სახლთუხუცეს რევაზ ჩოლოყაშვილს, რომელიც იყო კარგი კაცი და საუკეთესო სარდალი. იგი იყო ბატონ თეიმურაზის [ლაშქრის] წინამძღოლი. მას მოარტყეს თოფი და სასიკვდილოდ დაჭრეს. რომ მიხვდა, კვდებოდა, არ დაფანტა ჯარი, თავისი ვაჟები დააყენა იქ, თვითონ კი გაბრუნდა სახლთუხუცესი და მივიდა ბატონ თეიმურაზთან. მაშინ ასე დალოცა ბატონი თეიმურაზი: „მე ვკვდები შენი სამსახურისა და ერთგულებისათვის და ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო“. გამოეთხოვა, ყელზე მოეხვია და ორივემ ბევრი იტირა. წავიდა სახლთუხუცესი, იმავე ადგილს

დაუბრუნდა, სადაც იბრძოდა და იქ გარდაიცვალა. დაინახეს კახელებმა, რომ დაიღუპა იგი, უმეთაუროდ დარჩნენ, შეშინდნენ, უკან დაიხიეს და წავიდნენ. უკან გაბრუნდა ბატონი თეიმურაზიც და წავიდა.

იქ კი ყიზილბაშები და დავითი, თეიმურაზ ბატონის ძე, შეიბნენ. გაიმარჯვეს ყიზილბაშებმა, მოკლეს დავითი და მისი ჯარიც ამოწყვიტეს. მაშინ მეტად შეწუხდა ბატონი თეიმურაზი, საერთოდ აღარ ჰქონდა გამაგრებისა და წინააღმდეგობის გაწევის ძალა. გაგზავნა დედოფალი ხორეშანი, რომელიც როსტომ მეფის მამის ძმის შვილიშვილი იყო. მოვიდა იგი როსტომ მეფესთან და შეწყალება სთხოვა. როსტომ მეფემ გაიგო მისი მოსვლა, დიდი პატივი სცა და შეუსრულა თხოვნა – გზა მისცა, წინ წაუმძღვანა ქრისტეფორე კათოლიკოსი და ბარგიც მან გადაუტანა იმერეთში. კახეთს თავი დაანება ბატონმა თეიმურაზმა და იმერეთში ჩავიდა. მოეგება მისი სიძე ალექსანდრე,[389] იმერეთის მბრძანებელი. ჩაიყვანა, დააბინავა და კარგად მიიღო. მაშინ გააგებინეს ბატონ თეიმურაზს მისი ძის დავითის [დაღუპვის ამბავი]. ტირილი და დიდი გლოვა დაიწყეს. როსტომ მეფე კი მთლიანად დაეუფლა კახეთს. პატრონობდა ქართლსა და კახეთს. დათუნას თავი ყაენს გაუგზავნა და მიულოცა გამარჯვება. აღარაფერი აფიქრებდა როსტომ მეფეს, იყო შვებასა და ლხენაში.

იმხანად სამცხეში გარდაიცვალა უსუფ-ფაშა[390] და მის ნაცვლად [ტახტზე] ავიდა როსტომ-ფაშა,[391] მისი მხევლისგან შეძენილი ძე. მაშინ მოიწია ღვთის რისხვა საათაბაგოზე მათი ცოდვების სიმრავლის გამო: კაცი გამოგზავნა ხონთქარმა და როსტომ-ფაშას ცოლს მაჰმადის რჯულის მიღება აიძულეს. ქალმა ეს რომ გაიგო, ძალიან შეძრწუნდა, თავზარი დაეცა. გადაწყვიტა თავი მოეკლა და სარწმუნოება არ დაეთმო. კლდეზე უნდოდა გადავარდნა, მაგრამ არ გაუშვეს. მერე თავის მოშთობა გადაწყვიტა, მაგრამ ვერც ეს აღასრულა, რადგან შეპყრობილი ჰყავდათ და აღარაფერი შეეძლო. ძალიან რომ გაუჭირდა იმ ქალს, მაშინ თქვა: „თუკი საათაბაგოში მცხოვრებ ყველა ქალსა და კაცს გაათათრებ, მერე მეც გავთათრდები. თუ არადა თავს მოვიკლავ და ამას არ გავაკეთებო“. მაშინ გაათათრეს ყველა და ისიც გათათრდა. ყველა იქაურმა მიატოვა ქრისტიანული რჯული და მაჰმადიანები გახდნენ. მას შემდეგ მოიწია საათაბაგოზე ღვთის რისხვა: შეიბილწა წმიდა ეკლესიები. ყველაფერი ურჯულო თათრებმა მოშალეს და მიმოიტაცეს. დაეუპატრონნენ და წმიდა მონასტრები ნახირისა და ცხვრ-

ის სადგომად გახადეს. ეკლესიის მსახურებმა, სამღვდელო კრებულმა, ეპისკოპოსებმა და ბერ-მონაზვნებმა მიატოვეს თავისი სამყოფელი, თან წამოიღეს წმიდა ხატ-ჯვრები, [წმიდა] ნაწილები და წამოვიდნენ ზოგი ქართლში, ზოგი გურიასა და იმერეთში და დამკვიდრდნენ ქართლისა და იმერეთის მიდამოებში. ვინც კი დარჩნენ იქ ქრისტიანები, ისინიც ძალადობითა და იძულებით გადაიყვანეს თავის მხარეს და ამ დრომდე თანდათანობით განდგნენ ქრისტიანობისგან. ახლა საერთოდ აღარ მოიძებნებიან იქ მორწმუნენი, კლარჯეთის მდაბიოების გარდა, ჯავახეთი რომ ჰქვია.

როსტომ მეფეს ვაჟი არ ჰყავდა. უძეობა მეტად ადარდებდა. მისი ზოგიერთი მრჩევლის წინასწარი თათბირით, კაცი გაგზავნეს ისპაჰანში და ჩამოიყვანეს სპარსეთიდან ლუარსაბი, ვახტანგის ძის თეიმურაზის [ვაჟი], რომელიც სპარსეთში იყო დარჩენილი. რჯულით მაჰმადიანი იყო. იგი იშვილა როსტომ მეფემ. სულელი, თავშეუკავებელი და დაუფიქრებელი კაცი იყო, რაც არ ეკადრებათ საქართველოს მეფის შვილებს. ზრდიდნენ და კარგად ასწავლიდნენ, უყვარდა მეფეს.

ბატონი თეიმურაზი კი იმერეთში იმყოფებოდა. მაშინ ლევან დადიანი აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო, და მრავალრიცხოვანი ლაშქრით მეტად ჩაგრავდა იმერეთის მბრძანებელ ალექსანდრეს. გალავანი ააშენა და ასე იმყოფებოდა ქუთაისში. იქ იჯდა თვითონ თავისი ძმებით და იმერეთის წარჩინებული თავადების ოჯახებით. ყველა თავისთან ჰყავდა დადიანის შიშით სიმაგრეში თავშეფარებულს, რადგან ძალიან მძლავრობდა, შუღლით თავს ესხმოდა და აჩანაგებდა ზემო და ქვემო იმერეთის მიწებს. არსად დარჩა დაბები, შენობები და ციხესიმაგრეები, რომ თავს არ დასხმოდა. შობა-ნათლისღების საუფლო დღესასწაულებისა და ახალი წლის გარდა, სხვა დროს, არაფერს აკეთებდა. მაშინ არ ანებებდა თავს ქვეყანის აოხრებას, მუსრს ავლებდა და ატყვევებდა მრავალ [ხალხს], ჰყიდიდა შეპყრობილ ტყვეებსა და დარჩენილ ხალხს. აჰა, ღვთის უწყალო რისხვა ამ ბოროტმოქმედებზე, რადგან მან [ლევან დადიანმა] შემოიღო წესად ბოროტი მტრის [ეშმაკის] მიერ გადმონთხეული იუდაებრივი გესლი, რომელმაც ვერცხლზე გაყიდა შემოქმედი და თავისი მოძღვარი. მას შემდეგ დაწესდა იმერეთში, ოდიშსა და გურიაში ურჯულო და ღვთის მოწინააღმდეგე ხალხზე ქრისტესმიერ ნათელღებული ტყვეების გაყიდვა. ნუ დაუშვას ღმერთმა ქართლში ეს ბოროტი საქმე. იქ კი უფრო მეტად გამრავლდა და ზღ-

ვარს გადავიდა ეს ცოდვა, ვიდრე დღევანდელ დღემდე. ვაი მე, რამეთუ თვით იქ მყოფი მღვდელთმთავრებიცა და სამღვდელონი შეერივნენ ამ ბოროტ სნეულებას. [ეს] არ იყო ლევან დადიანამდე და ალექსანდრემდე, მათ დროს შემოვიდა მათი სულის წარსაწყმედელად.

ეს ასე მოხდა, ახლა კი ზემოთქმულს დავუბრუნდეთ. გააჩანაგა დადიანმა მთელი იმერეთი, ალექსანდრეს კი, იმერეთის მბრძანებელს, არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა და დაპირისპირება, ვერც იმ გალავნიდან გამოდიოდა. მამუკა, მისი უმცროსი ძმა, მოწიფული ჭაბუკი იყო, მშვენიერი და ახოვანი, მამამისის მსგავსი, ვაჟკაცობით განთქმული, მოქნილი და უებრო მხედარი. იმ დროს თითქმის არსად გაზრდილა მისი ტოლი ზნესრული და გოლიათივით გაბედული. მამუკა თავისი მცირერიცხოვანი რაზმით გამოდიოდა გალავნიდან, დაზვერავდა დადიანის მოთარეშე ჯარს, ჩაუსაფრდებოდა, დაუხვდებოდა პატარა რაზმით და მრავალს გაავლებდა მუსრს, ბევრს შეიპყრობდა, დაატყვევებდა და დაბრუნდებოდა ხოლმე გამარჯვებული. მათ მსგავსად ჰყიდიდნენ თათრებზე დატყვევებულ ხალხს. ერთ დღესაც, კიდევ რომ შემოიჭრა დადიანი და მოაოხრა ქვეყანა, ჩვეულებრივ გაეგება პატარა რაზმით დადიანის მოთარეშეებს და მხნედ შეუტია. მაშინ სიჩქარისგან წაექცა ცხენი და ქვემოთ დაეცა. შეუტიეს მეგრელებმა, შეიპყრეს, წაიყვანეს და მიჰგვარეს დადიანს. გამხიარულდა დადიანი მისი შეპყრობის გამო. წაიყვანეს და ოდიშის ციხეში ჩააგდეს.

ეს რომ შეიტყო ალექსანდრემ, იმერეთის მბრძანებელმა, მეტად დადარდიანდა. ამგვარი გამოსავალი მონახა, სთხოვა ბატონ თეიმურაზს, რომ ოდიშში წასულიყო დადიანთან. დაჰყვა ბატონი თეიმურაზი ალექსანდრეს, თავის სიძეს და წავიდა. რომ ჩავიდა, ლევან დადიანი წინ მიეგება, კარგად გაუმასპინძლდა, დიდი და ხელმწიფური სუფრა გაუშალა. გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, რადგან ერთმანეთის ახლობლებიც იყვნენ: ლევანი თეიმურაზის მამიდაშვილი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ უთხრა თავისი მისვლის მიზეზი და ხვეწნა დაუწყო მამუკას გამოსახსნელად და გასაშვებად, რომ აღარ ჰქონოდათ ერთმანეთში შუღლი და მტრობა. იქ იმყოფებოდა პაატა წულუკიძე. წუწკი იყო, კოჭლი, ლევან დადიანის ნათესავი და თანამოაზრე. იგი უწინ მეფე ალექსანდრემ გააძევა თავისი მამულიდან, ლტოლვილი ჩავიდა ოდიშში, გაერთიანდა ლევან დადიანთან და ძალიან ემტერებოდა იმერეთის მბრძანებელ ალექსანდრეს. დადიანს უნდოდა პატივი ეცა ბატონი თეიმურაზისთვის და გაეშ-

ვა მამუკა, მაგრამ ეს შუღლით სავსე [კაცი], ნებას არ აძლევდა. დადიანი ისე უჯერებდა, რომ არაფერს აკეთებდა მის გარეშე. პაატა წულუკიძემ მზაკვრული ენით დაარწმუნა დადიანი. დადიანმაც გადათქვა მამუკას გაშვება და აუწყეს ბატონ თეიმურაზს: „ვერ მოხდება ჩვენგან მისი გაშვებაო“.[392] გარკვეული ხნით კიდევ დარჩა იქ ბატონი თეიმურაზი, აღარც მან დაიჟინა, წამოვიდა და ჩამოვიდა იმერეთში, თავის სიძესთან.

მაშინაც არ შეეშვა [დადიანი] ბოროტებას. არც ღვთის რისხვისა შეეშინდა. შუღლს იმ მართალი [კაცის] სიკვდილიც დაამატა – ციხეში ამოუშანთა თვალები მამუკას და გარდაიცვალა. იმხანად მძიმედ დაავადდა უკურნებელი სენით და გარდაიცვალა გიორგი,[393] თეიმურაზის შვილიშვილი, რომელსაც ალექსანდრე ზრდიდა. ისიც გარდაიცვალა და დიდად იგლოვეს, აღასრულეს გლოვის წესი. თითქმის შვიდი წელი იმყოფებოდა იქ ბატონი თეიმურაზი.

როსტომ მეფე კი მშვიდობიანად მეფობდა, არაფერზე არ ფიქრობდა ლხინის, დროსტარებისა და მოსვენების გარდა. თავისი დღე და წუთისოფელი სიხარულით, ნადირობითა და ნადიმობით გაატარა. იმხანად ზოგიერთი სანადირო ადგილი შემოიარა. ხუნანში იყვნენ, გატეხილ ხიდთან და თან ჰყავდა მის შვილად წოდებული ლუარსაბი. სთხოვა როსტომ მეფეს, ყარაიაში გაეშვა სანადიროდ. მეფემ ნება დართო და წავიდა. თან გაჰყვნენ მისი მსგავსი ჭაბუკები, ქართლელი ახალგაზრდები. იქ რომ მივიდნენ, გამოირეკეს ტყე და გამოვიდა ირმების ჯოგი. ატეხეს ძლიერი სროლა, აირივნენ და ერთმანეთს დაუშინეს ყველამ, წარჩინებულმაც და უგვარომაც, სანადიროც გააფუჭეს. ამ სროლაში თოფი მოხვდა ლუარსაბს და იქვე გარდაიცვალა. როსტომ მეფემ რომ შეიტყო, შეწუხდა, იგლოვეს და იტირეს, როგორც წესია.

იმხანად ბატონი თეიმურაზი ისევ იმერეთში იმყოფებოდა. ძალიან უჭირდა, არ გააჩნდა სიმდიდრე და საზრდელი. სამოცდაათი წლისა იყო, დაუძლურებული და აღარ შეეძლო როსტომ მეფესთან ბრძოლა მეტისმეტი უძლურების გამო. ძალიან შეჭირვებული იყო, არც საზრდელი ჰქონდა და არც საჭირო ნივთები. მაშინ გაგზავნა ერეკლე, თავისი შვილიშვილი, რუსეთის ხელმწიფესთან[394]. გზაზე ავაზაკები დახვდნენ, მახვილით გაავლეს მუსრი ერეკლეს ყმებს, თვითონ ძლივს გადარჩა ისე, რომ არ დაუჭრიათ. ერეკლე ახალგაზრდა ჭაბუკი იყო. მოსტაცეს მხევლები და ბარგი. წაიყვანეს რუსეთში და მივიდა ხელმწიფესთან. ამასობაში გავიდა დრო და თვითონ ბატონი თეიმურაზიც

წავიდა რუსეთში[395]. სამოცდათორმეტი წლისა იყო. ჩავიდა და დიდი პატივი სცა რუსეთის ხელმწიფემ[396]. დახმარება და ჯარი სთხოვა ქართლისთვის. ხელმწიფემ [უარის] მიზეზი უთხრა: „ჯერ არ გვცალიაო“. თეიმურაზმა რომ დაინახა, არ ეხმარებოდა, გარკვეული დროის შემდეგ გამოემშვიდობა და წამოვიდა. ბევრი საჩუქარი მისცა ხელმწიფემ. იმხანად [უკვე] ძალიან დაუძლურებული იყო ბატონი თეიმურაზი. გამოემართა და ჩამოვიდა ასტრახანში. მაშინ იმერეთში გარდაიცვალა მისი შვილიშვილი, ლუარსაბი[397], ყმაწვილი კაცი, მშვენიერი და კარგი შესახედავი. კაცი მოვიდა ასტრახანში, გააყოლეს იქ და დიდი გლოვა და მწუხარება გადაიხადა. ერეკლე კი რუსეთის ხელმწიფესთან დატოვა.

იმხანად ლევან დადიანიც მოკვდა. ჯარი შეკრიბა იმერეთის მბრძანებელმა ალექსანდრემ და ოდიშში ჩავიდა. წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. დაიპყრო ოდიში და ბევრი უბედურება დაატეხა თავს. შური იძია იმის გამო, რაც უწინ გაუკეთათ დადიანმა, როგორც წმიდა სახარება ბრძანებს: „რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, [იმავეთი] მოგეწყვებათ თქვენ“ (შდრ. მათე 7, 2) და [იგივე] დაგემართებაო. აიკლო დადიანის ქონება, მთელი მისი საგანძურები და რაც კი გააჩნდა, ყველაფერი დაისაკუთრა, მრავალი მეგრელი დაატყვევა. მთელი ოდიშიდან მრავალი [ჩავარდა] იმერლების [ხელში]. ოდიშის წარჩინებულებს შვილები გამოართვა მძევლებად, თვითონ დიდებულებიც შეიპყრო, თავები გამოასყიდვინა და მათი ვაჟები მძევლებად გამოირეკა. დადიანის ტახტზე დასვა ლევან დადიანის ძმისშვილი, ვამიყი[398]. დიდი ნადავლით წამოვიდა ალექსანდრე და დაბრუნდა იმერეთში. სამფლობელო გაუყო დადიანს: უნაგირას [მთის] აქეთ [არსებულ მიწებს] ალექსანდრე დაეუფლა, უნაგირას გადაღმა მხარე დადიანს დაუტოვა.

ვამიყ დადიანი შეუფერებელი სიდიდის უგვანი კაცი იყო. დადიანს ასევე ჰყავდა ძმისშვილები, მამუკა და ლიპარიტი. ისინი არაფრად აგდებდნენ [ვამეყ] დადიანს და არც ემორჩილებოდნენ, რადგან არ იგუეს მისი დადიანობა. წავიდნენ, შეევედრნენ ათაბაგ როსტომ-ფაშას[399], როსტომ მეფესთანაც დაიწყეს მოლაპარაკება, დასახმარებლად იხმეს და ჯარი სთხოვეს, რადგან მარიამ დედოფალი ამათი ახლო ნათესავი იყო. როსტომ მეფემ გაატანა ავალიშვილი, ციციშვილები და სხვა მრავალი მოლაშქრე. როსტომ-ფაშამაც გაატანა საათაბაგოს ჯარი. წამოვიდნენ და ჩავიდნენ გურიაში. ქაიხოსრო გურიელიც[400] თან გაჰყვა ჯარით. ჩავიდნენ ოდიშში და იქაურებიც შეუერთდნენ. გაიგო

ეს იმერეთის მბრძანებელმა ალექსანდრემ, შეკრიბა თავისი ჯარი, წავიდა და ცხენისწყალი გადალახა. მიქელაძე და ჭილაძე ადრეც ლევან დადიანს ახლდნენ, წავიდნენ, მივიდნენ მამუკასთან და ლიპარიტთან. ისინიც ჩამოვიდნენ და შეიკრიბნენ ბანძაში. იქ გამართეს ბრძოლა და გაჩაღდა ძლიერი ომი. გაიმარჯვა ალექსანდრემ, იმერეთის მბრძანებელმა, ოდიშის ბევრი თავადი ამოხოცა, ტყვეებად ჩაიგდო ქართლის თავად-ზნაურები და მესხები. ყველას გამოახსნევინა თავები და ვინც კი იყვნენ განდგომილი მეგრელები, ყველა დაიმორჩილა და შემოირიგა. ისევ მტკიცედ დაეუფლა ოდიშს. დადიანის [ტახტზე] ვამიყი დასვა.

მიადგა ქაიხოსრო გურიელს. ვეღარ შეეწინააღმდეგა ქაიხოსრო გურიელი, მოვიდა და მანაც შეწყალება სთხოვა ალექსანდრეს. გურიელიც შეირიგა, ქეთევანი, თეიმურაზ ბატონის შვილიშვილი, გაატანა ცოლად ქაიხოსრო გურიელს და დაიმოყვრა. ქაიხოსრო გურიელი იყო მხნე, ახოვანი და ბრძოლაში გამოცდილი კაცი. ამ დროს დაბრუნდა ბატონი თეიმურაზი. მაშინ გარდაიცვალა ქალბატონი დედოფალი ხორეშანი და აღარავინ ჰყავდა, რადგან ერეკლე რუსეთში გაუშვა.

ამავე დროს მოკვდა როსტომ მეფეც. როსტომ მეფეს ნაშვილები ლუარსაბი რომ გარდაეცვალა, შემდეგ ვახტანგ მუხრანბატონს მოჰკიდა ხელი და იშვილა. ძალიან უყვარდა როსტომ მეფეს. მარჯვე [კაცი] იყო, მხნე, ახოვანი და წარმატებული. დაუძლურდა როსტომ მეფე და აღარ შეეძლო ქართლის შემოვლა. ყაენთან გაგზავნა ვახტანგ მუხრანბატონი და წერილი გაუგზავნა ყაენს. ყაენი ძალიან უჯერებდა როსტომ მეფეს და ქართლის ჯანიშინობა[401] მისცა. ყაენთან ჩავიდა ვახტანგი, დიდი პატივი სცა და მეტად დააფასა. მაჰმადის რჯულის მიღება მოსთხოვეს. თავიდან ბევრი იუარა, მაგრამ სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მაშინღა დამორჩილდა. გაათათრეს, გამოგზავნეს ქართლის ჯანიშინად და დაბრუნდა ქართლში. მაშინ დაუძლურებული იყო როსტომ მეფე, აღარ შეეძლო, მთლად საწოლს იყო მიჯაჭვული, ილხენდა, ისვენებდა და ქართლს ასე მართავდა.

ვახტანგი იყო კონსტანტინე მეფის შთამომავალი, მეოთხე თაობა კონსტანტინეს შემდეგ. კონსტანტინეს შეეძინა დავით მეფე[402], გიორგი[403], ალექსანდრე მეფე[404], ბაგრატი[405] და მელქისედეკ კათოლიკოსი[406]. დავით მეფემ მუხრანი მისცა ბაგრატს, თავის ძმას. ბაგრატმა შეიპყრო ავ-გიორგი. ბაგრატს შეეძინა ვახტანგი[407] და აშოთანი[408], – მამა მარტვილი ქეთევან დედოფლისა და დედისიმედის, რომელიც იყო ათაბაგის

ცოლი. [ასევე ბაგრატს შეეძინა] არჩილი[409] და ერეკლე[410]. ამ სამ ძმას ვაჟი არ ჰყავდა. ვახტანგს კი შეეძინა თეიმურაზი[411] და ქაიხოსრო[412], ქართლის გამგებელი. თეიმურაზს შეეძინა ვახტანგი, რომელსაც სპარსელებმა შაჰნავაზი[413] უწოდეს და კონსტანტინე[414].

როსტომ მეფემ ეს ცხოვრება დიდ შვებასა და განცხრომაში გაატარა. მერე სიბერით მოუძლურდა და სნეულებამ დარია ხელი. ვახტანგ ჯანიშინმა კაცი გაგზავნა და აცნობა ყაენს როსტომ მეფის დაუძლურებისა და სნეულების ამბავი. იმხანად მოკვდა ყაენი შაჰ-სეფი[415] და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ძე შაჰ-აბასი[416]. შაჰ-აბასმა კაცი გამოგზავნა, ჩამოვიდა თბილისში და ინახულა დასუსტებული და დასნეულებული როსტომ მეფე. მაშინ მოკვდა როსტომ მეფე, წაიღეს და დამარხეს ყუმში. ხოლო მარიამ დედოფალი, ყაენის ბრძანებით, [როსტომის სასახლიდან] თბილისის ციხეში გადაიყვანეს, ქრისტეს აქეთ [...წელს].[417]

მაშინ ჩამოვიდა შეკრებილი [მხედრობით] ზაალ ერისთავი და ავლაბარში დადგა. იმხანად კახეთს მურთუზალ ყული-ხანი და ზაალ ერისთავი განაგებდნენ. მურთუზალ ყული-ხანს ზურგს ის უმაგრებდა. ზაალ ერისთავის უკითხავად, არაფერი ხდებოდა კახეთში, რადგან როსტომ მეფეს ჰყავდა დადგენილი იგი კახეთის გამგებლად. ზაალ ერისთავს ერწო-თიანეთი ეპყრა. ქართლს განაგებდა ვახტანგი, შახნავაზად წოდებული. იგი მართავდა ქართლს. თათრებს ციხედ ჰქონდათ გადაქცეული ალავერდის მონასტერი, შიგ იდგნენ და კახეთის სხვა მრავალი ადგილიც ჰქონდათ დაპყრობილი. ბახტრიონი ციხედ ჰქონდათ. მრავალი ელი[418] ჩამოსახლდა კახეთში ცოლ-შვილით და ბევრ ბოროტებას უკეთებდნენ კახეთის მოსახლეობას. უნდოდათ მთელი კახეთის გათათრება და ელების ჩამოსახლება. ყარაღაჯში მურთუზალ-ხანი იჯდა.

იმხანად ზაალ ერისთავი შეკრებილი [ლაშქრით] იდგა ავლაბარში. ვახტანგი ზაალ ერისთავის მოყვარე იყო. ვახტანგის ასული ზურაბს, ზაალ ერისთავის ძეს, ჰყავდა ცოლად. მაგრამ მოყვრობითაც ვერ მიიმხრო, დიდი შუღლი და მტრობა ჰქონდა ზაალ ერისთავს ქართლის გამგებლის ვახტანგის მიმართ. როცა როსტომ მეფე გარდაიცვალა, ქართლის გამგებელმა ვახტანგმა კაცი გაგზავნა ყაენთან და ქართლის ტახტი სთხოვა. მაშინ ზაალ ერისთავმაც, – მისმა მძვინვარე მტერმა, – გაგზავნა კაცი ყაენთან და მისი გათავისუფლება სთხოვა.[419] იმხანად

ქართლი ძალზედ დამონებული ჰქონდა ყაენს. არავის შეეძლო ყაენის უკითხავად და დამოუკიდებლად ემართა ქართლი. ყაენმა ვახტანგს მისცა ქართლის მეფობა. იმ დროს ძალიან გამდიდრებული და ძვირფასეულობით განებივრებული იყო ზაალ ერისთავი. მაშინ მოუვიდა შაჰნავაზს ყაენისგან ქართლის ბატონად დამტკიცების რაყამი.[420] ეს რომ გაიგო, წავიდა არაგვის ხეობაში, განუდგა და აღარ ემორჩილებოდა მეფე შაჰნავაზს.

მეფე შაჰნავაზი[421]

შაჰნავაზ მეფეს ცოლად ჰყავდა როდამი,[422] ყაფლანის ასული, ძალიან კარგი და ყოველგვარი სიკეთით შემკული ქალი. სრულად განსწავლული როგორც საღმრთო, ისე საერო [ცოდნით]. მშვენიერი [იყო როდამი], ქალები შენატროდნენ. როცა ყაენმა ქართლი მეფე შაჰნავაზს უბოძა, მაშინ მოსწერა, რომ მარიამ დედოფალი შეერთო ცოლად. წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ყაენს, ძალაც აღარ ჰქონდა და შეირთო მარიამ დედოფალი. გადაიხადეს დიდებული ქორწილი და ორივე ჰყავდა ცოლად. როდამისგან შეეძინა ვაჟები და ასულები და გამეფდა შაჰნავაზი.

თვითონ მეფე შაჰნავაზი გასაოცარი კაცი იყო, საქმეში ძლიერი და წარმატებული. ოთხი თვისება ჰქონდა: სწორუპოვარი ბრძენი იყო, საოცრად ბედნიერი, სწორუპოვარი მამაცი სარდალი, შესახედავად – მკაცრი, გულით კი მეტად მოწყალე. ღმერთმა მისი მსგავსი ვაჟები და ასულები მისცა: არჩილი[423] უფროსი იყო. იგი იყო მოხდენილი, მშვენიერი, ბურთის თამაში და ისრის სროლა ემარჯვებოდა. ყველას ისარზე ერთი მტკაველით უფრო გრძელი ისარი ჰქონდა. სხვა არავინ იყო მისი მსგავსი. მეორე შვილი, გიორგი[424], გოლიათივით ძლიერი [იყო], ზედმიწევნით იცოდა და ემარჯვებოდა სამხედრო საქმე. ისეთი სიტყვა ჰქონდა, მტრებს მოყვრებად აქცევდა. ალექსანდრე[4725] ყაენის გაზრდილი იყო. ისეთი იყო, რომ ყაენის ყველა ყმა მას, როგორც ყაენს, ისეთ პატივს სცემდა. ლევანი[426] ბრძენი და მეცნიერი კაცი იყო, საქმის წინასწარგანმჭვრეტი, სამეცნიერო წიგნებით განსწავლული. ლუარსაბი[427] სამხედრო საქმის მცოდნე იყო, სულეიმანი – წესიერი კაცი. ძმების სიკარგეს ასულთა [სიკეთე] აღემატებოდა: ანუკა[428] ყაენმა წაიყვანა ცოლად და მთელ ირანში მისი სიკეთე ისე იყო განფენილი, თუკი ქალი რამეს კარგს გააკეთებდა, იტყოდნენ, ანუკა ბატონიშვილისგან აქვს

ნასწავლიო. დიდი მშვენიერებით თამარი[429] დედას ჰგავდა – მოღვაწე, მართალი, ღვთისა და კაცის მოსაწონი, საღმრთო [საქმეთა] გამკეთებელი და ეკლესიების [მაშენებელი].

ძალზედ ეწყინა ზაალ ერისთავს, როცა გაიგო, რომ გაძლიერდა მეფე შაჰნავაზი და სწყალობდა ყაენი, ძალიან ეწყინა. ყაენისგანაც ნაწყენი დარჩა და შაჰნავაზ მეფესაც ორგულობა დაუწყო. განუდგა და დუშეთში იმყოფებოდა. მტკიცედ ეპყრა საერისთავო და კახეთსაც განაგებდა. გულში ჰქონდა, რომ კახეთის ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო. არ ეგუებოდა შაჰნავაზის მეფობას.

იმხანად გარდაიცვალა [იმერეთის] მბრძანებელი ალექსანდრე.[430] გამოიყვანეს ბაგრატი,[431] მისი ძე, რომელიც გურიელის ასულისგან შეეძინა, რომელსაც მრუშობაში დასწამეს ცილი. ბაგრატი ოდიშში იმყოფებოდა. ჩამოიყვანეს იმერლებმა და ბატონად გაიხადეს. ბატონი თეიმურაზი კი სკანდას ციხეში დარჩა. [...] ალექსანდრესა და ბაგრატის დედინაცვალი.[432] დარეჯანმა, მოიყვანა თავისი ძმისშვილი ქეთევანი. [ამგვარად] მამიდამ მიათხოვა იგი ბაგრატს, თავის გერს და სიძედ გაიხადა. იმხანად ქაიხოსრო[433] გურიელი მოკლა მისმა ყმამ მაჭუტაძემ და ბატონად გაიხადა მისი ბიძაშვილი დიმიტრი გურიელი[434]. გიორგი, ქაიხოსრო გურიელის ვაჟი, ლტოლვილი წავიდა ახალციხის ფაშასთან და იქ შეინახა ფაშამ. [დარეჯანმა ქეთევანი] მისცა ბაგრატს, თავის გერს და იყვნენ მშვიდობით. გარკვეული დროის შემდეგ იმერლებმა წააჩხუბეს დარეჯანი და მისი გერი ბაგრატი. დიდი შუღლი ჩამოაგდეს მათ შორის. ზოგი იმერელი [წარჩინებული] დარეჯანს მიემხრო, ზოგი კი ბაგრატს. თავიდან იმერლები გულწრფელები და თავისი ბატონის ერთგულები იყვნენ. კახელები რომ ჩავიდნენ იმერეთში და დიდი ხანი იქ იმყოფებოდნენ, [მათ მიბაძეს]. კახელები ჩვეულებრივ შურიანები და ერთმანეთის მტრები იყვნენ, მრავალი მზაკვრობისა და შფოთის მოქმედნი, თავხედები და ამპარტავნები, ჩაცმა-დახურვისა და სიკოხტავის მიმხედველნი და მოყვარულები. თავიდანვე ასეთი ჩვევა ჰქონდათ მათ და იმერლებმაც მათ მიბაძეს. ისწავლეს კახელების ჩვევები და კიდევაც გადააჭარბეს მათ. მას შემდეგ დამკვიდრდა იმერეთში შინააშლილობა და ერთმანეთის გაუტანლობა. ისე გადაჰკიდეს იმერლებმა ერთმანეთს დარეჯანი და მისი გერი ბაგრატი, [რომ] უარყო ღმერთი დარეჯანმა, იხელთა დრო, უღალატა ბაგრატს, თავის გერსა და სიძეს, შეიპყრო და თვალები ამოუშანთა. მოიყვანა ალექსანდრე

ბატონის შორეული ნათესავი, ვახტანგი, რომელსაც ჭუჭუნაშვილს ეძახდნენ და ის დაისვა ქმრად[435].

მაშინ მოკვდა როსტომ ფაშა და ტახტზე ავიდა მისი ძე ასლან ფაშა. ხონთქარი მათ ეკითხებოდა და მათი რჩევით განაგებდა იმერეთს. ისინი განაგებდნენ და მართავდნენ [იმერეთს]. მაშინ გამოემართა ასლან ფაშა ჯარით და ჩამოვიდა იმერეთში. წინააღმდეგობა ვერავინ ვერ გაუწია. თან წამოიყვანა ჭუჭუნაშვილი, ქეთევანი და დარეჯანი, მამიდა და ძმისშვილი. ესენი წამოიყვანა ასლან ფაშამ და ოლთისში დააბინავა დიდი პატივით. თვალებდათხრილი ბაგრატი კი იქვე იმერეთის მბრძანებლად დასვა. გავიდა ხანი, იმერლებმა და დადიანმა მოლაპარაკება დაიწყეს მეფე შაჰნავაზთან, რომ არ დაემორჩილებოდნენ ბაგრატს. იქიდან დადიანი შემოესია და დაიპყრო იმერეთი. წავიდა მეფე შაჰნავაზი და ფცისწყალზე დადგა.

მაშინ ზაალ ერისთავი არ ემორჩილებოდა მეფე შაჰნავაზს, განდგომილი იყო, ამიტომ ვეღარ ჩავიდა იმერეთში. მეფე შაჰნავაზს თან ახლდნენ ოთარი, ედიშერი და იასონი – გიორგი არაგვის ერისთავის ვაჟები. გიორგი, ოთარის მამა, ზურაბ ერისთავის ძმა იყო. გიორგი ამაყი და თავნება კაცი იყო, არ ემორჩილებოდა თავის ძმას. შეიპყრეს ზურაბ ერისთავმა და ბატონმა თეიმურაზმა და ორივე თვალი დასთხარეს. გიორგის ცოლად ჰყავდა შაჰნავაზ მეფის და. ამ ქალისგან გიორგის შეეძინა ვაჟები: ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუა და დათუნა. მათ მოახსენეს მეფე შაჰნავაზს: „რადგან ბიძაჩვენი თქვენ მიმართ ასეთი ორგული და ურჩი არის და ჩვენთვისაც მრავალი სიავის მოქმედი, – დაგვჩაგრა და ჩვენი მშობლიური მამულის პური არ გვაჭამა, – თანხმობა მოგვეცი, წავალთ და მოვკლავთო“. დასთანხმდა მეფე შაჰნავაზი და წავიდნენ დუშეთში.

მაშინ მთელი კახეთი ურჯულო აგარიანებს ჰქონდათ დაპყრობილი და ბევრ ბოროტებას უკეთებდნენ კახეთის მოსახლეობას. ააოხრეს და შებილწეს წმიდა ეკლესიები. იმხანად ერთი კახელი ხუცესი მარტო მიდიოდა კახეთში თავის გზაზე. გზაზე ამ მღვდელს რამოდენიმე თათარი შემოხვდა. შეიპყრეს ხუცესი ურჯულოებმა და ქრისტეს რჯულის მტრებმა. ძალით გათოკეს ხუცესი, ბილწი საქმე დამართეს, სოდომური ცოდვა რომ არის, და გაუშვეს. წავიდა ეს ხუცესი და ჩავიდა დუშეთში. ერთად ისხდნენ ზაალ ერისთავი და მისი ცოლი. დაუჩოქა ხუცესმა და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარ, კახეთის გამგებელი. მთელი კახ-

ეთი ააოხრეს ურჯულო თათრებმა, მე გზაზე დამიჭირეს და უხამსობა შემამთხვიეს, ხელებშეკრული გამხრწნეს და ისე მომექცნენ, მისი თქმაც კი უხამსია. ახლა შენ გაეცი ღმერთს ამის პასუხი. შენ უნდა უპასუხო, რადგან შენ გაქვს კახეთი ჩაბარებული". ეს რომ ზაალ ერისთავმა გაიგო, მეტად შეწუხდა. იმხანად ზაალ ერისთავი ყაენის მოურავი იყო.

მაშინ [ზაალმა] ფიცით მიიმხრო ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარი და კახელი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი. შეფიცულები გახდნენ თუშები – მთის ხალხი. შალვა ქსნის ერისთავი მისი სიძე იყო. მათთან გაატანა ზურაბი, თავისი ძე. ერთ ღამეს წავიდნენ და ბახტრიონში თავს დაესხნენ სულთანს[436]. ამოწყვიტეს და მუსრი გაავლეს ბახტრიონის ციხეში მყოფ ელებს და ვინც იქ იყვნენ. გაჰყვნენ იქიდან ხოცვით და ჩავიდნენ ალავერდში. ვინც იქ იყვნენ თათრები და ელები, ვინც ესახლნენ, ყველა ამოწყვიტეს მახვილით. დედაბუდიანად ამოჟლიტეს, აკვანში მწოლი ბავშვებიც დახოცეს. კახეთში, სადაც კი თათრები და ელები ესახლნენ, ყველა ამოწყვიტეს. არსად დატოვეს [ადგილი], სადაც ყველა არ მოეკლათ. ზოგი გაიქცა, წავიდა და განდევნეს. კახეთში თათრები აღარსად იყვნენ, ყარაღაჯის გარდა. მაშინ ყარაღაჯში იჯდა მურთუზალი-ხანი. გაიმარჯვეს და ბევრი ნადავლი იშოვეს. გაათავისუფლეს კახეთი თათრებისგან და ვეღარსად ნახავდით თათარს. წამოვიდნენ და დაბრუნდნენ ზაალ ერისთავთან გამარჯვებულები.

შეიტყო ეს ამბავი ყაენმა შაჰ-აბასმა და ძალიან გაწყრა. მაშინ მოიწერა ყაენმა, რომ დაემხოთ, მოეკლათ ზაალ ერისთავი და ისინიც დაეხოცათ, ვინც გარეული იყვნენ თათრების სისხლისღვრაში. მაშინ ვითარებით ისარგებლეს ოთარმა და მისმა ძმებმა. ზაალ ერისთავის ღალატის ცდაში იყვნენ. ერთ დღესაც ზაალ ერისთავი დუშეთში იყო, ტალავერში იჯდა უსაჭურველოდ, არავინ ახლდა. დრო იხელთეს და მივიდნენ. ერისთავი კამათელს აგორებდა. მაშინ მოკლეს ღალატით ზაალ ერისთავი ოთარმა და მისმა ძმებმა, მისი ვაჟები კი გაიქცნენ და ჩავიდნენ სამცხეში. მეფე შაჰნავაზმა უკან დაადევნა ხალხი. ტბისყურზე წამოეწივნენ, ხალხი დაუხოცეს და ორი ძმა, ზურაბი და ნაბერალი, შეიპყრეს და მოჰგვარეს მეფეს, მან კი ყაენს გაუგზავნა.

შალვა ერისთავი, ელიზბარი, მისი ძე, და სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი არ მივიდნენ მეფე შაჰნავაზთან, არამედ ყარაღაჯში წავიდნენ მურთუზალ ყული-ხანთან. მან შეიპყრო და ყაენს გაუგზავნა. ზურაბმა, ზაალ ერისთავის ძემ, მცირე ხანი ისპაჰანში დაჰყო და გარდაიცვალა.

მისი უმცროსი ძმა ყაენმა გაათათრა და თავისთან დატოვა. სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარი გადასცეს დახოცილების პატრონებს, როგორც არის თათრების წეს-ჩვეულება, – მკვლელს მის მოსისხლეს გადასცემენ ხოლმე, – და მათი ჩვეულების კვალობაზე აღასრულეს სამართლი. აიძულეს მაჰმადის რჯულის მიღება სუფრაჯ ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვასა და ელიზბარს. მაშინ დიდი მხნეობა გამოიჩინა ამ სამმა მარტვილმა. უფრო მეტი მონდომებით სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი იღვწოდა მოწამეობისთვის. გაკიცხეს და შეაგინეს მაჰმადის რჯული. ბიძინა ჩოლოყაშვილი ამხნევებდა შალვასა და ელიზბარს, ეუბნებოდა: „ნუ შევდრკებით და ნუ შევუშინდებით, არამედ ქრისტეს გულისთვის სიკვდილისთვის გადავდოთ თავი. რადგან სიკვდილი ჩვენი სურვილის მიუხედავად მაინც მოგველის, ვერავინ ვერ აღუდგება წინ სიკვდილს. აჰა, ეს არისო სასუფეველში შესვლის დრო“. სამივემ აღიარა ქრისტეს სარწმუნოება და უარყო მაჰმადის რჯული. ხოლო მათ მახვილებით ნაკუწებად დაჭრეს ისინი, ნაწილი თოფებით დახვრიტეს, ნაწილიც მახვილებით დაჭრეს. დაასრულეს მოწამეობრივი სარბიელი და გახდნენ გვირგვინოსნები, როგორც უწინდელ [დროთა] სხვა მარტვილები და იხარებენ ზეცათა სასუფეველში[437].

როცა ზაალ ერისთავი მოკლეს, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ერისთავობა მისცა ოთარს, ქართლის მსაჯულად ედიშერი დაადგინა, იესეს კი ქსნის ერისთავობა მისცეს. მტკიცედ დაეუფლა შაჰნავაზი ქართლს, მეტად ერთგულები იყვნენ ოთარ ერისთავი, ედიშერ ქართლის მსაჯული, იესე ქსნის ერისთავი და მთელი ქართლის დიდებულები. დაიერთგულა მთელი ქართლი და ბევრს სწყალობდა მათ. მაშინ შერიგდნენ მეფე შაჰნავაზი და ვამიყ დადიანი[438], გაიყვეს იმერეთი: ბუჯას გაღმა მხარე ვამიყ დადიანს დაუთმო, ბუჯას გამოღმა მხარეს კი თვითონ მეფე დაეუფლა. მეფობდა შაჰნავაზი სამივე სამეფოში: ქართლში, კახეთსა და იმერეთში. ასე განდიდდა და აღზევდა მისი მეფობა და სიმდიდრე საქართველოში. გაამდიდრა თავისი სამეფოს ყველა მცხოვრები. ვინც კი იყვნენ გლახაკები და ღარიბები, სიუხვით აივსნენ მისი წყალობითა და საბოძვარით. თუკი ვინმეს აკლდა მიწები, ან ყმები, ან ძვირფასეულობა, ყველა გაამდიდრა. მეტად გამდიდრდა და განებივრდა ქართლის მოსახლეობა. სადაც იყო მიტოვებული ფუძე მთაში თუ ბარში, ყველგან ხალხი დამკვიდრდა, უდაბური ადგილები აშენდნენ, მრავალი დაბა და

დიდ-დიდი თემები შესძინა ქართლის სამეფოს. ვისაც ვალები ჰქონ-დათ, მევახშეებისგან გაათავისუფლა. წმიდა ეკლესიები უფრო მეტად დააწინაურა მიწების შეწირვით და ყოველგვარი სამკაულით მორთო. ღარიბთა და სნეულთათვის მეტად მოწყალე და ქველმოქმედი იყო: ტყვეები გამოიხსნა, ქვრივ-ობლებს სწყალობდა, იყო მიუკერძოებელი მსაჯული და [გლახაკთა] შემწე, ყველასთვის სამართლიანი და მოწყ-ალე იყო; სასამართლოში პირუთვნელი, უქრთამო, უტყუარი სამართ-ლის აღმსრულებელი. უხვი, უშურველი და უტყუარი, ერთგულთათვის წყალობის უხვად მიმნიჭებელი, ურჩებისა და ორგულების ძლიერ შემ-რისხველი; დიდებისა და სახელის მაძიებელი, მტერთაგან უძლეველი და ძლიერი მოწინააღმდეგე; თავისი მოწინააღმდეგეთა უშიშრად შემტევი, რაზმების მოწყობის კარგი მცოდნე სარდალი, შეჯიბრში უებრო მოას-პარეზე, სწორუპოვარი ყოველგვარ სამამაკაცო ზნეობაში. ასე კარგად მართავდა თავის სამივე სამეფო-სამფლობელოს. თვითონ ბედნიერად მეფობდა და განაგებდა თავის სამფლობელოებს.

იმხანად გარდაიცვალა ქრისტეფორე კათოლიკოსი და აღსაყდრა მის ნაცვლად დომენტი[439], თავისი ბიძაშვილი, უნაკლო მოღვაწე კაცი. მან ააღორძინა ეკლესიის რჯული და წესი.

[შაჰნავაზს] ექვსი ვაჟი და ორი ასული შეეძინა როდამისგან, მეტად ღირსეული, რჯულიერი მეუღლისგან. მის ასულებს ერქვათ ანუკა და თამარი; ვაჟებს კი – პირმშოსა და საყვარელს, არჩილი, [შემდეგ] გიორგი, ლუარსაბი, ალექსანდრე, ლევანი და სულეიმანი. ძალზედ სასახელოები და პატიოსნები გაზარდა მეფემ თავისი ძეები და ასულე-ბი, მრავალგვარი ფუფუნებით, სახელმწიფო [საქმეებისა და] სიბრძნის ცოდნით. თავდაპირველად საღმრთო წერილის განმარტებანი შეას-წავლა, უფრო მეტად კი საერო და ყოველგვარი სამხედრო ვაჟკაცური გამოცდილება მისცა. ისე [აღზარდა] მამაკაცური ზნეობით, რომ საქართველოში მათსავით არასდროს გაუზრდიათ, არც მეფისა და არც დიდებულთა შვილები.

როსტომ მეფის დროს ქართლის ქვეყანა მეტად განუდგა საღმრთო წერილის სწავლებას. თვითონ სამღვდელოთა კრებულიც კი თითქმის საერთოდ აღარ ზრუნავდა საღმრთო სწავლებაზე და [აღარ] ეძიებდა [მას]. არამედ უფრო მეტად ამქვეყნიური და ხორციელი საქმეების არ-ჩევით მიატოვეს და მიივიწყეს მთლიანად ღვთივსულიერი და საღმ-რთო სწავლებანი, რომელთა შეთვისებაც უფრო მეტად საჭირო იყო

და არა მიტოვება. ამ დროს კი ისევ დაიწყეს ბოროტებისგან სიკეთის ქვეყანაში შემობრუნება: [დაიწყეს] სწავლა და გულმოდგინე წვრთნა ღვთივ-სულიერ საქმეთა კეთებაში. გამშვენდნენ წმიდა ეკლესიები და მონასტრები. შაჰნავაზ მეფის ძეების ღვაწლით ეკლესიის ყველა წესი აღორძინდა ქართლში. ეს სიტყვები ძველი დროიდან თქმულა: „დრონი მეფობენო". მარიამ დედოფალმა შეამკო ეკლესიები ხატების პერანგებით, ჯვრებით, წირვისათვის საჭირო ჭურჭლითა და თვალ-მარგალიტით [მორთული] შესამოსელით. დედოფალს დიდ პატივს სცემდა ყაენი და მთელი საქართველო, კაცი თუ ქალი, მთავარი და დიდებული. იყო ყოველმხრივ შემკული სიკეთით, რომლის მსგავსი თამარ მეფის შემდეგ აღარავინ [გამოჩენილა] .

[მეფე გიორგი][440]

...თამაზ სარდალი და სხვები მივიდნენ და დაემორჩილნენ ნაზარალიხანს. იმხანად ძალიან ავიწროებდნენ ლეკები კახეთს. დაუსრულებელი ავაზაკობითა და ქურდობით მტრობდნენ. ამიტომ გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ კახელებმა. ქალბალიხანმაც ნება მისცა, შეკრიბა მთელი კახეთის მოსახლეობა და შეიჭრნენ ჭარში. ლეკებიც ჩადგნენ თავის სიმაგრეებში. ხალხი მეტად დაზარალდა ლეკებისგან: მრავალი თავადი, აზნაური და უფრო მეტი გლეხი დაიღუპა. ხმლით ამოხოცეს, გამოაძევეს და მიიტაცეს მათი საქონელი. ასე წამოვიდნენ გამოდევნილები. მაშინ ნაზარალიხანმა ურჩია ქალბალიხანს და გაგზავნეს ყაენთან პაპუა მუხრანბატონი[441], დავით ქსნის ერისთავი და სარდალი თამაზი თავის ვაჟ მამუკასთან ერთად. ისპაჰანში რომ ჩავიდნენ, პაპუა მუხრანბატონი, თამაზ სარდალი და ქსნის ერისთავი, შეიპყრეს და ქირმანში გაგზავნეს. ქაიხოსრო, მეფის ძმისშვილი, კარგად არ მიიღო ნაზარალიხანმა, წაართვა მისი კუთვნილი სოფლები და მამულები. ამის გამო აღარ დაიმცირა თავი და წავიდა ყაენთან, რადგან ქალბალიხანი ეხმარებოდა. მესტუმრე(?) [გააყოლა] და პატივით გაგზავნა. ჩავიდა ქაიხოსრო ისპაჰანში, გაუხარდა ყაენს, მასაც პატივი სცა და მამამისსაც.

შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში ერევნის ხანსა და ქალბალიხანს. ამიტომ გადაწყვიტა ერევნის ხანმა, წერილი გამოუგზავნა გიორგი მეფეს, რომ მისი თავდებობითა და შუამდგომლობით შერიგებოდა იგი ყაენს. უთხრა, რომ: „არაფერი ცუდი არ გაგიკეთებია მისი ყიზილბაში

მეომრებისთვის, ამიტომ მე ვიქნები შენი თავდები, რომ არ აგო პასუხი, არამედ უფრო მეტი სარგებელი, წყალობა და მრავალჯერ მეტი სიკეთე უნდა მიიღო ყაენისგანო“. იგივე პირობას აძლევდა და დიდი მონდომებით ეთათბირებოდა მეფეს ქალბალიხანიც. თავისი სიტყვით ცდილობდა, რომ შეერიგებინა ყაენთან. მაგრამ მეფემ არ მოისურვა მისი [შუამდგომლობა], ერევნის ხანს მიენდო და მას დაუმეგობრდა. ეს აუწყა ყაენს ერევნის ხანმა. მეტად გაუხარდა შაჰსულთან ჰუსეინ ყაენს გიორგი მეფის შერიგება და ერევნის ხანს თოფანჩგიაღასობა უწყალობა, რაც ყველა მეთოფის უფროსობას ნიშნავს და მიიყვანეს ყაენის კარზე.

მაშინ მეფე გიორგიმ გაგზავნა ყაენთან ზურაბ ზურაბიშვილი და მივიდა თოფანგჩიაღასთან. ჩავიდა ისპაჰანში, გაუხარდა თვითონ ყაენსა და ყველა მის დიდებულს, გიორგი მეფის [დესპანის] მისვლა[442]. სწრაფად შეუსრულეს მეფეს ყველა თხოვნა და გამოუგზავნეს რაყამები და წყალობა. გამოგზავნეს მალემსრბოლი, ჩამოვიდა იმერეთში, წერეთლის სახლში, საჩხერეში. ყაენის ბრძანებით გამოგზავნეს ერევნის ნაიბი და სხვა დიდებულები, რომ ხელმწიფის საკადრისი დიდი დიდებითა და პატივით მომსახურებოდნენ მეფეს, განწესებით მიერთმიათ შესაფერისი ულუფა და სანოვაგე და გაემზადა წასასვლელად.

იმერეთის მბრძანებელ ბაგრატს ერთი უკანონო შვილი ჰყავდა. მას დაუჭირა მხარი იმერეთის ზოგიერთმა თავადმა. აცნობეს ხონთქრის ვეზირ-აზამს და ქრთამით მოიგეს მისი გული. მისცეს ხელისუფლება, ჩამოიყვანეს და ბატონად გაიხადეს. ეს კაცი მეფობისთვის შეუფერებელი და უღირსი იყო. დაამხეს არჩილ მეფე. გიორგი აბაშიძემ თავისი ასული მიათხოვა, ალექსანდრეს ყოფილი ცოლი. არჩილ მეფე ზრამაგაში გადავიდა.

ამ დროს მოვიდა გიორგი მეფესთან ყაენის მსახური. გადაიარა მთა და ჩავიდა ალში. ქართლში დატოვა თავისი ძმა სულეიმანი მისი ცოლშვილით და ნიკოლოზ კათოლიკოსი. იმხანად იმერეთში გარდაიცვალა გივი ამილახორი, ყოველმხრივ კარგი კაცი. ანდუყაფარი, მისი ძე და ესენი, ყაენის ბრძანებით დატოვეს ქართლში. წავიდა მეფე ისპაჰანში და თან წაიყვანა გიორგი არაგვის ერისთავი. ყიზილბაშებს ბევრი ძღვენი[502] მოართვა და დიდი პატივით ჩავიდა ისპაჰანში[443].

მეორე ტექსტი[444]

ტახტზე ავიდა მეფე ადარნასე[445] და განაგებდა ქართლის სამეფოს. იმხანად გარდაიცვალა ქსნის ერისთავი ვირშელი. დარჩა შვილი, სამი წლის შალვა. მეფემ გაზარდა იგი მამამისის პატივისცემის გამო. შემდეგ გარდაიცვალა მეფე ადარნასე და დარჩა ძე, ექვსი წლის ვახტანგი.

გამეფდა დავითი, ადარნასეს ძმა და განაგებდა ქართლის სამეფოს. ბიძამისმა, დავით მეფემ, არაფერი მისცა ვახტანგს, თავის ძმისშვილს. არ მიატოვა იგი მამამისის გაზრდილმა შალვამ და ზრუნავდა ამ ბავშვზე. დავითი დაყვავებითა და მრავალი დიდების მინიჭებით [ცდილობდა] შალვასთან [შეთანხმებას], მაგრამ იგი არ დაჰყვა. გაამაგრა ციხეები და ერთგულ ყმებს ჩააბარა. მეფის ძეს თვითონ გაჰყვა ურდოში. მაშინ დავით მეფემ შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, შირვანელი თათრები და ყველა, ვინც კახეთში და მუხრანში იმყოფებოდა და მოადგა შალვას საერისთავოს ცხრა ხევს. ჩამორეკა დვალები, ხადელ-ცხვატელები,[446] და ყველანი ქვემო მთიულეთიდან. ციხესიმაგრეების გარდა მთელი ცხრაძმის ხევი გადაწვეს და ააოხრეს. უტევდნენ ქუენიფნევის, ქარჩოხის, ქოლოთისა და ისროლის ციხეებს, მაგრამ ვერ აიღეს. შვიდი წელი გაგრძელდა მათი ომი. მეციხოვნეებს ისე გაუჭირდათ, რომ ტყავის თასმების ჭამა დაიწყეს. ასეთ დროს დაბრუნდნენ ვახტანგი და შალვა სპარსელების ურიცხვი ჯარის თანხლებით. მაშინ დავითი ბაზალეთში იმყოფებოდა. მათი მოსვლის შესახებ შეიტყო, დარიალის ციხეს მიაშურა და უკან გაჰყვა მთელი ჯარი. შევიდნენ არაგვის ხეობაში, გადაიარეს ჯვართა ყელი და ჩავიდნენ დარიალში. გველეთის ციხეში მიადგნენ დავითს. შალვა ხადაში გაჩერდა და ისე ძლიერ იბრძოლა, რომ ერთ დღეში ცხრა ციხე აიღო და დაანგრია. იმ ერთ კვირაში ოცდახუთი ციხე დააქცია, თხუთმეტი არაგვს გაღმა. მაშინ მისცა დავითმა ვახტანგს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გველეთიდან. შალვა კი დვალეთის ხეობებისკენ[447] გაემართა და მთლიანად ააოხრა. ერთ ბნელ ღამეს თავს დაესხნენ ბოვდაელები[448], ჩასაფრებულები დაუხვდნენ. შეიტყო შალვამ მათი მოსვლის ამბავი. შეიმწყვდია ისინი კლდოვან ხრამთან და ერთიც ვერ გადაურჩა. მრავალ დვალს გაავლეს მუსრი. გადაწვეს და ააოხრეს დვალეთის ყველა ხეობა. შემუსრეს და დაანგრიეს ყველა ციხესიმაგრე თრუსოდან აჩაბეთამდე. წავიდა სპარსელების მთელი ჯარი. მეფემ მისცა შალვას თრუსო, ღუდა, გა-

გასძენი, მლეთა, არახუეთი, ქანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორი, დიღომი, გავაზი, აწრის ხევი, ბექუშე და თავის ყველა დიდებულზე უფრო უმჯობესად მიიჩნევდა. იმხანად გარდაიცვალა დავით მეფე. იმავე წელს ვახტანგ მეფეც მიიცვალა.

გამეფდა გიორგი, დავითის ძე და განაგებდა ქართლის სამეფოს. ნავროზ აბაზაძე კი სპარსეთში წავიდა. მაშინ მეფემ უბრძანა შალვას, ალყაში მოექცია ლოწობნის ციხე. მიადგა შალვა ლოწობანს, ოთხი დღე სასტიკი იერიში მიჰქონდა და მეხუთე დღეს აიღო. მაშინ მოაბრძანა ორი მეტად მშვენიერი ხატი. გიორგი მეფემ მაღაროში გაილაშქრა. ძალზედ დააზარალეს, ვიწრო ხეობებში ბევრი საგორავები [დაუშინეს] და მეტად დაღონებული დაბრუნდა. მეორედაც წავიდა ყველიერის კვირაში. ძალიან ციოდა. საგორავების შიშით მთის გაყინული გზით წამოვიდნენ. მაშინ უფრო მეტად დაზარალდა, რადგან ეცემოდნენ ცხენები და ხალხი მხეცების მსგავსად სისხლში ამოსვრილი მისდევდა. შალვა მასთან არ იყო მას ამ ლაშქრობაში, მხოლოდ მისი ძეები ახლდნენ. ცამეტი ვაჟი ჰყავდა, გულადი და გონიერი. წავიდა შალვა თავისი ლაშქრით და მივიდა. ძირითადი ლაშქარი ღამით ჩაასაფრა, გამთენიისას კი მცირე რაზმით გამოვიდა. გადაწვა და მოაოხრა მათი ქვეყანა. აბჯრის მეტი ლაშქარს არაფერი წამოუღია ნადავლად და წამოვიდნენ. უკან დაედევნა იმ ქვეყნის ლაშქარი. გამოსცდნენ ჩასაფრებულებს და მთლიანად გამოვიდა დამალული ლაშქარი. შალვაც მობრუნდა და ვიწრო ადგილას შეიმწყვდია. ორმოცდათხუთმეტი კაცი მოკლეს და ბევრი შეიპყრეს. მერე ისევ ჩავიდნენ, იქ დაბანაკდნენ, მოაოხრეს და გადაწვეს მთელი მათი ქვეყანა. წამოვიდნენ გამარჯვებულები დიდძალი ალაფით. [ეს მოხდა] ქორონიკონსა 17, ქრისტეს აქეთ 1284[449] [წელს].

იმხანად მოვიდა ამბავი, რომ იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრეს. ძალიან დაღონდა მეფე გიორგი. ხმელეთის გზით გაგზავნა ეგვიპტელთან დიდი ძღვენით შალვა ერისთავის ძე, რომელსაც სახელად პიპა ერქვა. ეახლა პიპა ეგვიპტელს, მან სიხარულით მიიღო ძღვენი და მისცა იერუსალიმის [ტაძრის] კლიტეები. მივიდა პიპა ქრისტეს საფლავზე, ეამბორა, წირვა გადაახდევინა და ეზიარა. მოილოცა წმიდა ადგილები, შეკრიბა წმიდათა ნაწილები და მშვენიერი ხატები. იმავე გზით, ხმელეთით დაბრუნდა უკან და მოვიდა მეფესთან. მოიტანა წყალობისა და მისი ყველა თხოვნის აღსრულების სიგელი. მეტად გაიხარა მეფე გიორგიმ, რადგან კლიტეები ქართველებს გადმოეცათ.

მაშინ შემოადგა გორში მყოფ ოსებს და სამი წელი ებრძოდა. ვირშელი და მისი ლაშქარი ყველა ჯარზე უკეთ იბრძოდა. მეტისმეტად აქებდნენ. ეს შეშურდათ არაგვის ხეობის მთიულებს და თქვეს: „თუკი გაშლილ ადგილზე ბრძოლაში უკეთესები არიან, ავიდეთ ლომისას მთაზე, იქ შეგვებრძოლონ და ვნახავთ ვინ არის უმჯობესიო“. მაშინ დათქვეს შეხვედრა და დაემუქრნენ ერთმანეთს. გორის აღების შემდეგ შეატყობინეს ერთმანეთს და ავიდა ვირშელი, მთელი თავისი ლაშქრით, ლომისას მთაზე.[450] მთიული არაგველები კი ღოჯისთავს დადგნენ. ლომისაში ჩამოსვლას ეუბნებოდნენ, ისინი კი ღოჯისთავის ციხის ტყესა და კლდის ქარაფებს არ მოშორდნენ. მაშინ მოვიდა დავითი, გიორგი [მეფის] ძე და არ მისცა ბრძოლის ნება, ყველა თავ-თავისკენ გაუშვა. ქართლის ყველა აზნაური წავიდა იმ სამი ხეობის აზნაურების გარდა. მაშინ წამოვიდა ვირშელი და ჩამოვიდა ვაჩეში. ლაშქარი კი წყაროებთან, მუხებთან და წისქვილებთან ჩამოჰყვა გვერდით. ეს რომ გაიგეს არაგველმა მთიულებმა, უკან გამოჰყვნენ და ამოვიდნენ ლომისაზე. უფლისწული დავითი მუხლზე დაჩოქილი ევედრებოდა, ლომისაში ვინც იყვნენ, ხატები დაუსვენეს წინ და ევედრებოდნენ, რომ არ დასდევნებოდნენ, მათ კი არ შეისმინეს. დიდი ლანძღვა-გინებით მოსძახოდნენ და ბევრი საგორავები დაუშინეს.

მაშინ ვირშელმა შეკრიბა ამ სამი ქვეყნის პატარა ლაშქარი და მიმართა: „ახლა აღარ იქნება ომი, რადგან დაიშალა ჩვენი ლაშქარი. ისევ შევკრიბოთ ჩვენი ჯარი და მერე შევებრძოლოთო მათ“. ეს არ ისურვა მცირე ლაშქარმა. ასე თქვეს: „ჩვენი ტანმორჩილი მამა-პაპა სჯაბნიდა მათ ახოვან და უფრო მრავალრიცხოვან მამა-პაპას. ხოლო, თუკი ჩვენი მამების შვილები არ ვართ, მაშ რაღატომ გვაქვს მათი მამული?“ მაშინ გაიხადეს ფეხზე, წინ გაიძღოლეს დროშა და აღმართეს ლომისას ორ ქედზე. ერთ ქედზე ჩამოვიდნენ ცხვატელგარელები და ყველა მათი მხარდამჭერი. გადმოყარეს ურიცხვი საგორავი და ისევ უკან ავიდნენ. ფარებით ისე იყვნენ დაფარულები, როგორც სიპი ქვით. ქვები და შუბები დაუშინეს წვიმასავით და ბევრი ისრები, როგორც ხშირი სეტყვა. ღმერთს იფიცებდნენ, რომ ქვემთ გამოტყორცნილი ისარი ფარსა და ჯაჭვისპერანგიან კაცში გადიოდა და ნახევრად ერჭობოდა მიწაში. იშიშვლეს ხმლები, მიეჭრნენ, აიღეს, შეუდგნენ მთის აღმართს და დაღმა მოგორავდნენ. მათ შორის უმჯობესი ის იყო, რომელიც აბჯარსა და ტანსაცმელს გადაყრიდა და შიშველი გარბოდა. მაშინ ერი-

სთავმა ვირშელმა რაკიღა დაინახა ასე დაუძლურებული მისი მებრძოლები, ბრძანა, არ დაეხოცათ, არამედ შეეპყროთ და განედევნათ. კვალში ჩაუდგნენ და გადაჰყვნენ არაგვს გაღმა. მოვიდა ერისთავი ლომისაში და ყველა გაუშვა, ვინც კი ჰყავდა ხელში ჩაგდებული. ბევრი შესაწირავი მისცა ლომისას. თავისთან ისტუმრა დავით უფლისწული.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი. სიკეთის მოძულე ეშმაკმა, როგორც არის მისი წესი და ჩვეულება, ქრისტიანების წინააღმდეგ აამხედრა თურქები. შეკრიბა უთვალავი ხალხი და ხოსია ბაედარის ძის წინამძღოლობით შემოვიდნენ ქართლში. ბრძოლა გამართეს ქართველებმა და თურქებმა. მოკლეს გიორგი მეფე და მასთან ერთად იოანე ქვენიფნეველი და ქართლის ყველა დიდებული მთავარი. მთლიანად ამოწყვიტეს ლაშქარი, დაარბიეს საქართველო და წაიყვანეს ტყვეები რვა აგვისტოს 61 ქორონიკონში (1373 წ.).

მის ნაცვლად გამეფდა დავითი, მისი ძე და განაგებდა საქართველოს ერთიან სამეფოს. გარდაიცვალა დავითი და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა გიორგი, მისი ძე. გამეფდა ბაგრატი და განაგებდა საქართველოს სამეფოს. იმხანად წმიდა კათოლიკე ეკლესიის მეთაური იყო[451] და კარგად მწყსიდა კეთილი მწყემსი, სანატრელი და ყოვლადწმიდა[452] კათოლიკოს-პატრიარქი ელიოზი.

იმხანად, თავდაპირველად თურქეთის ქვეყანაში, ასპარეზზე გამოვიდა მტარვალი თემურ-ლენგი. სახელად უწოდეს თემური. კოჭლი იყო, სპარსულად „ლენგი“ კოჭლს ნიშნავს. თემურ-ლენგი წარმომავლობით ჩინყიზის გვარისა იყო, სამარყანდიდან. ამიტომ უწოდებდნენ ჩინყიზს.

უწინდელ დროში თურქეთის ქვეყანაში იყო ერთი იქაური მდიდარი კაცის ასული. მეტისმეტად მდიდარი იყო ეს ქალი, ძალზედ ბევრი ძვირფასეულობა და მონები [გააჩნდა]. რომელიღაც ელისა და ლაშქრის მბრძანებელი იყო. ისე მართავდა თავის ელსა და მხედრობას ეს ქალი, რომ ქმარი არ ჰყავდა. ბელიარისეული საოცრება შეემთხვა, ანტიქრისტესებრივი ჩასახვა[453] [მოხდა მასში] – ეს ქალიც მამაკაცის გარეშე დაორსულდა. ყველამ გაიგო მისი დაფეხმძიმების ამბავი. ეს ამბავი შეიტყო მისმა მხედრობამ. დიდ აუგად, გასაკიცხად და სირცხვილად ჰქონდათ, რადგან იმ ქვეყანაში მეტად წარჩინებული იყო [ეს ქალი]. ვეღარ აიტანეს მისი სირცხვილი მისმა ჯარისკაცებმა და ყმებმა. ერთ დღეს შეიკრიბნენ მის სამყოფელთან, [კაცი] შეუგზავნეს და შეუთვალეს: „ჩვენი პატრონი

და მბრძანებელი ხარ. რატომ გააკეთე ესეთი საქმე და ესეთ სირცხვილში ჩაიგდე თავი“. მან კი დიდად იუარა, უპასუხა: „თუკი დაიჯერებთ ჩემს ნათქვამს, იცოდეთ, რომ მამაკაცისგან არა ვარ დაორსულებული. ხოლო თუკი სარწმუნოდ არ მიგაჩნიათ, მეთვალყურენი დააყენეთ ჩემს სასახლეში, ისინი გაიგებენ, ვინც მოდის ჩემთან და ამით დარწმუნდებითო“. ასეც მოიქცნენ, დაუყენეს მცველები და მოთვალთვალეებმა დაინახეს ნათლის მსგავსი, ბნელეთის მთავრის მზაკვრობა, რომელიც თავისი მოჩვენებითობით თითქოს სინათლედ გარდაიქცევა ხოლმე (შდრ. 2 კორ. 11, 14) და უფრო მეტად მისი ნების აღმსრულებლებზე ზემოქმედებს ასე. მცველებმა დაინახეს ის ნათლის მსგავსი, რომელიც მივიდა იმ ქალთან და მსგავსი მსგავსთან დაწვა. ასე იქცეოდა ყოველ ღამე. მცველებმა [ხალხს] აუწყეს მათ მიერ ცხადად დანახული. მაშინღა დაიჯერეს ეს ამბავი. მოილოგინა ქალმა და ვაჟი გააჩინა. გაიზარდა, უწოდეს ძე ნათლისა, მას შემდეგ ეძახიან ჩინყიზს. როცა გაიზარდა, თურქების მეფე გახდა. მას შემდეგ მეფობს იქ მისი მოდგმა.

თემურ-ლენგიც წარმომავლობით ჩინყიზის მოდგმისა იყო, თურქების მეფის საყვარელი ყმა და მხედართმთავარი, თავისი ასულიც მიათხოვა. ამის გამო მეტად გაძლიერდა, პატრონობდა თავის ლაშქარს და სხვებიც ბევრი დაიპყრო. იმ ქვეყნის ხალხში მეტად სახელგანთქმული გახდა. ხრიკებით დრო იხელთა თავისი სურვილის ასახდენად, მოკლა თურქების მეფე, მისი ძეებიც ყველა მახვილით ამოწყვიტა და თვითონ დაეუფლა მთელი თურქეთის ქვეყანას, შემდეგში კი ინდოეთსა და ირანსაც. უფრო მეტად გაძლიერდა და მისთვის წინააღმდეგობის გამწევი აღარავინ ჩანდა. მისი თავგადასავალი ვრცლად არის აღწერილი სპარსულ წიგნებში. სომხებსაც აქვთ დაწერილი, გარკვეული განსხვავებით. ამდროიდან უფრო მეტად გაძლიერდა თემურ-ლენგი და თითქმის მთელი ქვეყნიერება დაიპყრო, მასაც ისე აეწყო საქმეები, როგორც ალექსანდრე მაკედონელს. ეს მისი სიკეთის გამო კი არ მოხდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთია წუთისოფლის ჩვევა. იგი, ვინც მთელი ქვეყნის მბრძანებელი იყო, ახლა ისიც მტვერი და ნაცარი გამხდარა და სულით ქვესკნელშია ჩასული.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთქმულს. დაიპყრო თემურ-ლენგმა მთელი აღმოსავლეთის ქვეყნები და წამოვიდა მრავალრიცხოვანი ძალებით, ურიცხვი ჯარით, რომელიც მთელი ქვეყნის ველებს დაჰფარავდა. ასე ჩამოვიდა სომხეთში და დაიკავა მთელი სომხეთი. მოუტანა

მათ უბედურება, ხოცვა, ტყვეობა და მთლიანად გააჩანაგა სომხეთი, როგორც ეს სომხების ისტორიაში არის ვრცლად აღწერილი. დაიპყრო მთელი სომხეთი, მრავალი დაატყვევა, მათი უმრავლესობა მახვილით ამოხოცა, სხვა ყველა ძალით დაიმორჩილა და თავის საბრძანებლად გაიხადა. იქიდან გაემართა და დაიპყრო კარი, აიღო მათი ყველა ციხესიმაგრე, მახვილით ამოწყვიტა ყველა, ვინც კი წინააღმდეგობა გაუწია და არ დაემორჩილა. ერთი ზამთარი იქ დაბანაკდა, რადგან ძალზედ ცივი ზამთარი იყო. წავიდა ათაბაგიც და დაემორჩილა, რადგან არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დიდი პატივი სცა ათაბაგს. მაშინ წავიდა ვირშელი, შერდიას შვილი. წინ გამოუძღვა მთელი ჩაღნელების, ქვეშნელების, სიყალშელების, ნალროელების, ინდოელებისა და სრულიად სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქარს.

ზამთრის შემდეგ, დიდი რისხვითა და გულისწყრომით, როგორც ზღვის დიდი ტალღები, გამძვინვარებული წამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან საქართველოს დაპყრობა უნდოდა. ასეთი იყო მისი სინდისის სურვილი. გადმოიარა აბოცი, წამოასხა ტყვეები და სრულიად გააჩანაგა მთელი მხარე. იქ არ შეყოვნდა, წამოვიდა და 20 ქორონიკონში, ქრისტეს აქეთ 1393[454] [წელს], დიდი საშინელებისა და უბედურების [თესვით] გადმოიარა თრიალეთი და საბარათიანო. ვის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა? ურიცხვი მხედრობა და ლაშქარი ჰყავდა, რომელსაც ვერ იტევდა ქართლის მთები, ველები და მთელი არემარე. მუსრი გაავლო მთელ თრიალეთს, საბარათიანოსა და მის შემოგარენს. დაატყვევა იმ ადგილების მცხოვრებნი, დალეწა ყველა ციხესიმაგრე და გოდოლი. არ დარჩენილა სოფელი, რომ მთლიანად არ აეოხრებინოს. საქართველოს არასდროს დასტეხია თავს ისეთი უბედურება, როგორიც მან მოუტანა.

ეს ამბავი შეიტყო ბაგრატ მეფემ, მეტად შეწუხდა. გამოსავალს ეძებდა, რადგან არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და შევიდა თბილისის ციხეში. მაშინ ადგა გიორგი მეფე და სამწევრისში ჩავიდა. როცა გაიგო, რომ თემური თბილისს მოადგა, აიყარა გიორგი მეფე [და გადავიდა] ლიხის მთის იქით. ერისთავი ვირშელი ბეხუშის ციხეში შეიკეტა ოჯახთან ერთად, თან წაიყვანა ელიოზ კათოლიკოსი ტაძრის ყველა მსახურითა და ხიზნებით, ნახირითა და ცხვრის ფარით და იქ გამაგრდა.

თემურ-ლენგს ეგონა, რომ მივიდოდა, დაემორჩილებოდა მეფე ბაგრატი, როგორც ათაბაგი და სხვა ბევრი დაემორჩილა. მაგრამ [მისი

მხრიდან] წინააღმდეგობის გაწევისა და გამაგრების შესახებ გაიგო. მეტად განრისხდა ის მტარვალი, ამაყი და ამპარტავანი. მივიდა და ალყა შემოარტყა თბილისის ციხეს. თავის ყველა სპასპეტსა და სპასალარს უბრძანა, ებრძოლათ ძლიერ და თავგანწირვით. ქართლის ზოგი დიდი თავადი არ იმყოფებოდა ციხესიმაგრეში ბაგრატ მეფესთან ერთად. თავის სახიზრებსა და ციხესიმაგრეებში იყვნენ შესულები და თან ჰყავდათ ზოგიერთი რჩეული ჭაბუკი, როლებიც სულ თან ახლდნენ ხოლმე მეფეს. მტარვალმა თემურ-ლენგმა კი თბილისის მთელი შემოგარენი დაიკავა. ციხის აღება და მისი გალავნების დანგრევა უბრძანა თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს. მაშინ ბეფე ბაგრატი ღმერთს მიენდო და მისი მოწყალების დიდი იმედით გადაწყვიტა შებრძოლებოდა მათ. ასე თქვა: „მეტად უმჯობესია და სანატრელი ქრისტეს სარწმუნოებით გარდაცვალება, ვიდრე მტარვალის მორჩილება და მის მიერ ძალით შეპყრობაო“. ასე შეიჭურვა ქრისტეს სარწმუნოების ფარითა და მუზარადით (შდრ. ეფეს. 6, 16-17), გამოვიდა თემურ-ლენგთან შესახვედრად და შესაბრძოლებლად. როგორც გავაზი წეროების გუნდს და როგორც ლომი პირუტყვის ჯოგს, ისე შეუტია მეფემ და ქართველთა მხედრობამ მათ ბანაკს. ორივე მხრიდან ძლიერი ბრძოლა გამართეს, ორივე მხარეს ბევრი მებრძოლი დაიღუპა. გაცილებით უფრო მეტი თემურ-ლენგის მოლაშქრენი დაიხოცნენ. ვერ შეძლეს მათი განდევნა, მათი ლაშქრების სიმრავლის გამო. მეტად დაიღალნენ ქართველები ფიცხელი ბრძოლითა და ხოცვა-ჟლეტით, ბევრი ქართველიც მოკლეს და ასე შებრუნდნენ იქვე თბილისის ციხეში.

ამის შემდეგ მეტად გამძვინვარდა თემურ-ლენგი, რადგან ვერ აიხდინა თავისი სურვილი. ასეთი რამ იღონა: რკინით გააკეთეს ჩელტები, აიფარეს და ისე შეუტიეს თბილისის ციხეს. ასე ძალით შეანგრიეს და აიღეს ციხე, მთლიანად დაარბიეს. ვინც კი ციხეში იყო. ზოგი მოკლეს, ზოგი დაატყვევეს. მაშინ შეიპყრეს თვითონ ბაგრატ მეფე, დედოფალი ანნა და მათი თანმხლები ყველა ქართველი. გაიხარა თემურ-ლენგმა მათი შეპყრობით, დაატყვევა ბაგრატ მეფე და მასთან მყოფი ყველა ქართველიც. თვითონ დაეუფლა ციხეს და თავისი ჯარისკაცები ჩააყენა შიგ.

ბაგრატ მეფეს მაჰმადის რჯულის [მიღება] აიძულა თემურ-ლენგმა, ბევრ წყალობას ჰპირდებოდა, ძმასავით მოპყრობასა და მისი სამეფოს ისევ დაბრუნებას. ცბიერი სიტყვით იმედოვნებდა, თავის რჯულს მიაღებინებდა. მაგრამ საერთოდ არ დაემორჩილა, რადგან მტკიცე იყო

თავის სარწმუნოებაში ბაგრატ მეფე. მცირე ხნით დარჩა აქ თემურ-ლენგი. მერე აუწყეს, რომ ყარაიაში მრავალი ნადირია, [კარგი] თავ-შესაქცევი [ადგილიაო] და წავიდა ყარაიაში. ინადირეს და კარგად გაწყვიტეს, მრავალი ნადირი დახოცეს. უზრუნველად გაატარეს დრო განცხრომაში. შემდეგ გადაწყვიტა ყარაბაღში წასვლა. აიყარა, წავიდა და თან წაიყვანა დატყვევებული ბაგრატ მეფე. ყარაბაღში რომ ჩავი-და, გარკვეული დროით იქ დაბანაკდა.

ბოროტებას ეძიებდა, რადგან შურითა და ხდომით იყო სავსე, რომ-ლის „თხლე არ გამოცალა“ (შდრ. ფსალ. 74, 9). ასპიტის გესლი გადმო-დიოდა მისი ბაგეებიდან. გულში ჰქონდა და ნატრობდა, რომ მთლიანად გაეჩანაგებინა საქართველო, რადგან ბაგრატ მეფე დაპატიმრებული ჰყავდა და სხვა არავიზე ჰქონდა ეჭვი, რომ წინააღმდეგობა გაეწია მის-თვის. თავისი წარჩინებულებიდან ერთი [კაცი] გამოარჩია სპასალარ-ად, მისცა ურიცხვი ჯარი და გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ. უბრძანა, მთლიანად აეოხრებინა და ბოლო მოეღო ქართლისთვის. უფრო მეტად წმიდა ეკლესიების, ციხესიმაგრეებისა და შენობა-ნაგე-ბობების შესახებ უთხრა: „დაექციათ და დაენგრიათ საძირკვლამდე. ხოლო მოხუცებული მამაკაცები და ქალები, განსაკუთრებით კი სამ-ღვდელონი, ვისაც კი შეიპყრობდნენ, ყველა მახვილით დაეხოცათ, სხ-ვები დაეტყვევებინათ და წამოეყვანათ. ცეცხლით გადაებუგათ წმიდა ეკლესიები, ქართლის ყველა სოფელი და ნაგებობა“. ეს დაავალა და განამტკიცა თავისი სარდლები და მთელი ჯარი უმოწყალო მტარვალ-მა თემურ-ლენგმა.

მაშინ, ქორონიკონში ქრისტეს აქეთ 1393 [წელს], წამოვიდნენ და სწრაფად მოუახლოვდნენ ქართლის არემარეს. შემოვიდნენ, მთლიანად დაიკავეს თბილისი და ქართლის ყოველი მხარე. [ისე] უწყალოდ გაავ-ლეს მუსრი, როგორც უწინ, ეგვიპტელებზე ღმერთის რისხვით მოვ-ლენილმა სასიკვდილო სნეულებამ. ასე ამბობენ: ჟამიც აღარ მობრუნ-დებაო მეორედ[455]. ნამდვილად, შავ ჭირზე გაცილებით უფრო ბორო-ტები გამოდგნენ ესენი, რადგან შავი ჭირი ყოვლადმოწყალე ღმერთის ზეციური ბრძანებით მოივლინება ხოლმე ხალხზე, ჩვენი ცოდვების გამრავლების გამო და როგორც მოწყალე მამა საყვარელ შვილს, ისე ასწავლის, რომ შეინანონ და სინანული დაიწყონ. ღვთის განგებით მისით[530] დახოცილთა გვამები, ყველა მღვდლების მიერ გაპატიოსნ-დება ხოლმე, წესს აუგებენ და წმიდა ეკლესიებში არის დაწესებული

მათი დაკრძალვა, გარდაცვლილი სულების პატივისა და შვებისათვის. ის სასიკვდილო სნეულება საერთოდ არ შეეხება მღვდლებს. ასე არიან მღვდლები დაცული გამანადგურებელი სენისგან. წმიდა ეკლესიებისა მეტად ეშინია გამანადგურებელ შავ ჭირს და ძრწის. მაგრამ მაშინ შავ ჭირზე უფრო ბოროტები აღმოჩნდა საქართველოსთვის თემურ-ლენგის ლაშქარი. არათუ მთელი ხალხის ამოწყვეტა არ იკმარეს, არამედ წმიდა ეკლესიები და იქ არსებული სამღვდელოთა კრებულიც ცეცხლში დაიწვეს.

მაშინ მიატოვეს ქართლის ქვემო მხარეები და ზემოთ გაემართნენ შიდა ქართლში, რომელსაც ახლა ზემო ქართლი ჰქვია, რადგან მათი პირველი შემოსევისას, შიდა ქართლი ისე დარჩა, ტყვეები არ წაუყვანიათ. მაშინ მივიდნენ ეს ურჯულოები მცხეთის წმიდა კათოლიკე ეკლესიაში, რომლის შურითაც უფრო მეტად იყვნენ აღვსილები. ვაი იმ დღისა და ჟამისთვის, რომელიც დაგვიდგა, ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო. აჰა წარმოგვიდგა ჩვენ გოდების აღმწერელად რამადან მომავალი ღვთაებრივი იერემიას ტირილის ხმა, [რომელიც] ასე ამბობს: „განიშორმა უფალმა თავისი საკურთხეველი, განაბნია თავისი სიწმიდენი, მტრის ხელით შემუსრა მისი ტაძრების ზღუდე, ბრძოლის ხმა გაისმა უფლის სახლში, როგორც დღესასწაულის დღეს, და მიწაზე დაეცნენ მისი ბჭეები, წარწყმიდა და წარმართთაგან შემუსრა მისი საკეტურები, მისი მეფე, და მისი მთავრები. და ა[ღა]რ არის რჯული, და მისმა წინასწარმეტყველებმაც ა[ღა]რ მიიღეს ხილვა უფლის მიერ“ (შდრ. გოდება იერემიასი 2, 7-9). ყველაფერი ისე გააკეთა უმოწყალო მტარვალმა თემურ-ლენგმა საქართველოში, რაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დამართა იერუსალიმს. ამან გადააჭარბა კიდეც, რადგან მან სოლომონის ტაძრის დანგრევა ვერ გაბედა, მხოლოდ ბევრი ძვირფასი ჭურჭელი წაიღო ტაძრიდან. ხოლო თემურ-ლენგმა იმხელა ბოროტება ჩაიდინა, რომ მთლიანად წაიღო წმიდა საკათედრო ტაძრის ძვირფასეულობა და მორთულობა. ამასაც არ დასჯერდა, არამედ თვითონაც გაბედა ბილწი ხელით დაენგრია და დაერბია სვეტიცხოველი შიგნიდან და გარედან [მისი] გალავნები და პალატები. ყველა ნაგებობა მთლიანად გააჩანაგეს თემურ-ლენგის მებრძოლებმა. შემდეგ აიყარნენ და წავიდნენ.

სადაც გაიარეს, გადაწვეს და ააოხრეს სოფლები და შენობა-ნაგებობები ზემო მხარის მიდამოებში. ასეთი ბოროტებით მიადგნენ ქვათახევს, იქაურობაც დაიკავეს და აიყვანეს ტყვეები. მრავალი უბე-

დურება დაატრიალეს ეკლესიის გარეთ. მოინდომეს წმიდა ეკლესიის ცეცხლით გადაწვა და დანგრევა, რადგან ეკლესიაში თავშეფარებული იყვნენ ყველანი, იქ მყოფი წმიდა მღვდლები, დიაკვნები, საბერო ჩოხით შემოსილები, მღვდელ-მონაზვნები, ღარიბ-ღატაკნი, უღვთოდ დავრდომილნი და მონაზონი დედები, რომლებიც იქ მოღვაწეობდნენ, თავადაზნაურთა ასულები და დედები. ყველა ეს მონაზონი გამოიყვანა, ტანზე აასხა მეჩანგეების საკრავები, ჩამოჰკიდა ეჟვნები და ზარ-ზანზალაკები, ფეხები გაუკრა და ცეკვა-თამაში დააწყებინა. ერთმა მონაზონმა ამოიოხრა: „ვაი ჩვენს მოხუცებულობას, ეს რა გვეჟღარუნებაო“. შემდეგ, რომელნიც მოინდომეს, თან წაიყვანეს. [ხოლო] ვინც ქრისტეს სარწმუნოება არ მიატოვა და წინააღმდეგობა გაუწია, ასევე გლახაკები და დავრდომილები ვინც იყვნენ, ყველას შეუკრეს ხელ-ფეხი და დააწყვეს შუა ეკლესიაში. ცის ქუხილივით ისმოდა მათი ვაებისა და მოთქმის ხმა. იმათ კი ყველამ, უკეთურებით ავსილებმა, ტაძრის შიგნით და გარეთ დიდი ცეცხლი აანთეს. დაწვეს ქვათახევის ღვთისმშობლის ტაძარი და იქ მყოფი წმიდა და სამგზის სანატრელი სამღვდელოთა დასიც, რომლებიც შიგნით ცეცხლში აღესრულნენ, მოწამეობრივი ღვაწლითა და გვირგვინებით შემკულები ახლა ხარობენ ღმერთის წინაშე და ლოცულობენ ჩვენთვის. მათი დამწვარი წმიდა სხეულების ჩრდილები დღევანდელ დღემდე ადამიანების შესახედაობის მსგავსად ჩანან წმიდა ტაძრის შიგნით, იატაკზე. მარტვილობის სურვილითა და ზეცათა სასუფევლის ტრფიალებით გადაწყვიტეს მათ, რომ ქრისტესათვის სიკვდილისა და ტანჯვის ღირსი გამხდარიყვნენ. აქ მცირედი დაითმინეს და იქ საუკუნოდ ნეტარებენ ზეცაში უჭკნობელ ყვავილებში. იმ ურჯულოებმა კი შემოიარეს შემოგარენი ადგილები და ყველა დაატყვევეს.

შემდეგ წავიდნენ, მიადგნენ რუისს და იქ დაბანაკდნენ. მთლიანად მოედვნენ შიდა ქართლს, გადაწვეს და ააოხრეს. შემოიარეს შიდა ქართლის მთელი არემარე და კავკასიის მთებში არსებული ციხესიმაგრეებისა და კოშკების გარდა, ყველა აიღეს. მაშინ მთლიანად დააქციეს რუისის დიდი ეკლესია, ღვთაების საყდარი, საძირკვლიანად დაანგრიეს. არსად დარჩენილა სოფელი და დასახლება, მათ რომ არ აეყვანათ ტყვეები. ასე აღასრულეს თემურ-ლენგის ბრძანება მისმა მეომრებმა, როგორც უწინ ნაბუზარდანი, მეფე ნაბუქოდონოსორის მთავარი ქონდაქარი, მოექცა იერუსალიმში იუდეველებს. ასეთი უკეთურება ჩაიდინა, იერუსალიმიდან ბაბილონში გადაასახლა იუდეველები, სიონ-

ის შვილები, როგორც ამბობს იერემია წინასწარმეტყველი: „შემოვიდა იერუსალიმში ნაბუზარდან ქონდაქართუხუცესი, ბაბილონის მეფის უახლოესი მსახური. გადაწვა უფლის სახლი, მეფის სახლი და მთელი ქალაქის სახლები. და ყველა დიდებული სახლი ცეცხლში დაწვა“ (შდრ. იერემია 52, 12-13). ეს ყველაფერი ჩვენზე აღასრულა უწყალო თემურ-ლენგმა და მისმა მხედრობამ, რადგან შეასრულეს ყველაფერი, რაც მან ბრძანა. შემდეგ ადგნენ, წავიდნენ იქიდან და ჩაიარეს კახეთზე. იქიდანაც წამოიყვანეს ტყვეები და მიმოიტაცეს. ბევრი დაატყვევეს, ზოგი მახვილით ამოწყვიტეს, ცეცხლს მისცეს ყველა შენობა-ნაგებობა, დაბრუნდნენ თემურ-ლენგთან და მიულოცეს გამარჯვება.

იმხანად ჩავიდა თემურ-ლენგი შაქში. შეუერთდა იმ ადგილის ყველა მცხოვრები, ძალით დაიმორჩილა და არავის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ყველას მბრძანებელი გახდა. მაშინ შემოიკრიბა და შეუერთდა მთელი კავკასია და ლეკები, შირვანელები და გილან-მაზანდარანელები. თან ჰყავდა შეპყრობილი ბაგრატ მეფე და მასთან მყოფი ყველა ქართველი. დიდი იმედი ჰქონდა თემურ-ლენგს და ცდას არ აკლებდა, რომ თავის რჯულზე გადაეყვანა ბაგრატ მეფე. ბევრ წყალობასა და დიდ პატივს ჰპირდებოდა, [აღუთქვამდა], რომ ისევ მისცემდა საქართველოს [„]ხოლო თუკი არ დამიჯერებ და არ შეისმენ ჩემს ნათქვამს, ვბრძანებ, რომ წამებით მოგკლან შენ და ყველა ქართველი, ვინც დავატყვევე“. ბაგრატ მეფე არ ზრუნავდა თავის თავზე, ქრისტეს სარწმუნოებისთვის მწარე სატანჯველსა და სიკვდილს ეძიებდა. არ ისურვა და ჭკუაშიც არ დაუჯდა მათდამი მორჩილება და თავისი რჯულის მიტოვება. მაგრამ ქართველების გათავისუფლებისათვის, მისი მიზეზით რომ არ დაეხოცა ისინი უწყალო მტარვალს, მონახა გამოსავალი. გაჭირვებით მიიღო გადაწყვეტილება და ოსტატურად, თითქოს დაჰყვა მათ სურვილს, გულით კი მეტად შორს იყო [მათგან]. მოკლე დროში უმჯობესი საქმე რომ გაეკეთებინა. რომ გამოეშვათ და გათავისუფლებულიყვნენ მათგან, ამიტომ დაჰყვა თემურ-ლენგის ნებას.

როცა თემურ-ლენგმა გაიგო ბაგრატ მეფის დამორჩილების შესახებ, დიდი სიხარულით გაიხარა. სასწრაფოდ გაგზავნა კაცი, საპყრობილედან გაათავისუფლა და თავის კარზე მიიყვანა. დაიახლოვა და დიდი პატივი სცა. ქართველებიც ასევე გაათავისუფლა ბორკილებისგან. მაშინ მიანიჭა ბაგრატ მეფეს წყალობა, მრავალი საბოძვარი მისცა, ხალიჩები და საწოლები და სხვა მრავალი ნივთი და სამკაული – ყველაფერი მისი

მეფური სიმდიდრის საკადრისი. ბევრი საჩუქრითა და ძღვენით მოიგო მისი გული. ძმასავით პატივს სცემდა და უსაზღვროდ შეიყვარა მაჰმადის რჯულზე მისი გადასვლის გამო. ბაგრატ მეფე კი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით აღიარებდა მათ რჯულს, მხურვალე გულით მტკიცედ იდგა ქრისტეს სარწმუნოებაზე. ფარულად თავისთვის მდუღარე ცრემლით ევედრებოდა ღმერთს, რომ გამოეშვათ მათ. მაშინ ყველა [იქ მყოფ] ქართველს იძულებით დაათმობინეს სარწმუნოება და გადავიდნენ მათ რჯულზე. უფრო მეტად ამის გამო იყო დამწუხრებული ბაგრატ მეფე, რომ ქართველები განუდგნენ ქრისტეს სარწმუნოებას და მიატოვეს იგი. მაშინ მეტად მოსწონდა თემურ-ლენგს ბაგრატ მეფე, ყურს უგდებდა და უჯერებდა მის ნათქვამს და თავისი სინდისის საიდუმლოს აღარ უმალავდა. თემურ-ლენგის მრჩეველი გახდა. იმხანად მთელი აღმოსავლეთი დაპყრობილი ჰქონდა თემურ-ლენგს, აღარავიზე ჰქონდა ეჭვი, რომ წინააღმდეგობას გაუწევდა, რადგან თავისთან ჰყავდა ბაგრატ მეფე და მთელი საქართველო თავის საბრძანებლად ჰქონდა გადაქცეული. ასე იკვეხნიდა ბაგრატ მეფისა და საქართველოს დამორჩილების გამო, რომ მთელი ქვეყნიერების დაპყრობა შეეძლო. ამიტომ მეტად პატივდებული იყო მის მიერ.

ერთ დღეს, მარტოები იყვნენ თვითმპყრობელი ურჯულო მბრძანებელი თემურ-ლენგი და მეფე ბაგრატი და საუბრობდნენ. მაშინ ლიქნით უთხრა ბაგრატ მეფემ თემურ-ლენგს: „რადგან ასე დავრწმუნდი თქვენი რჯულის სიმტკიცეში, ახლა მეც ვირწმუნე და ასე მსურს, რომ სრულად დავუმორჩილო თქვენს რჯულს საქართველოს მოსახლეობა. თუ გინდა თქვენს რჯულზე მათი მოქცევა, მომეცი ახლა შენი მრავალრიცხოვანი ლაშქარი, მე წავალ ჩემს სამეფოში, საქართველოში, მოვუხმობ საქართველოს ყველა მცხოვრებს: დიდებულებსა და მდაბიოებს, მთიულებს, ოსებს, დვალებს, სვანებსა და აფხაზებს – ყველა მათგანს მე მივაღებინებ თქვენს რჯულს, თქვენი ბრძანების მორჩილად და მოხარკეებად გავხდი მათ. ეს რომ გაიგო თემურ-ლენგმა დიდად გამხიარულდა, დაიჯერა მისი ნათქვამი და უფრო მეტი პატივი სცა, ბევრი საბოძვარი მისცა, საგანძური და სამეფო საჭურჭლე. შეამზადა ლაშქარი, თორმეტი ათასი ნარჩევი კაცი, დაუდგინა სარდალი და ათასისთავები. დაავალა თემურ-ლენგმა, რომ დამორჩილებოდნენ ბაგრატ მეფეს და წინააღმდეგობა არ გაეწიათ მისი სიტყვისთვის.

წამოვიდა ბაგრატ მეფე, მასთან მყოფი ქართველებიც და თემურ-

ლენგის თორმეტი ათასი მოლაშქრე. ისე გადაწყვიტა ბაგრატ მეფემ, როგორც უწინ აქიტოფელმა აბესალომისთვის, ოღონდ პირიქით, იგი არათუ ბილწი საქმის თანამოაზრე გახდა, არამედ შური რომ ეძია იმ ბოროტებისა და უკეთურებისათვის, რაც უწინ თემურ-ლენგმა ჩაიდინა საქართველოში. წამოვიდა და მოუახლოვდა საქართველოს მიწებსა და საზღვრებს. მარჯვე დროს ეძებდა, რომ საფრთხე შეექმნა თემურ-ლენგის მხედრობისთვის.

იმ დროს სრულიად საქართველოს განაგებდა გიორგი, ბაგრატ მეფის პირმშო ძე. ბაგრატ მეფემ წინასწარი განზრახვით ფარულად გაგზავნა მალემსრბოლი, მისი სანდო ერთი მხედარი კაცი, გიორგისთან, თავის ძესთან და ასე მისწერა: „ყოვლად ძლიერი ღმერთის ძალით თავი დავაღწიე თემურ-ლენგის საფრთხეს. ახლა მოვდივარ შურის საძიებლად იმ სიბოროტისთვის, რაც მან უწინ დაგვატეხა ჩვენ და საქართველოს. მომყავს თემურ-ლენიგის ჯარი, დაახლოებით თორმეტი ათასი კაცი. მეტად რჩეულები, მისი წარჩინებულები, დიდძალი განძითა და საჭურჭლით აღვსილები. ასეთი იყო ჩემი სინდისის ნება-სურვილიო“.

როგორც კი აცნობა გიორგის, თავის ძეს, მაშინვე გადმოვიდა გიორგი მეფე ლიხთ იმერეთიდან. შეიტყო, რომ დვალები განდგომოდნენ ქსნის ერისთავს. განრისხდა და გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. შევიდა აჩაბეთის გზით, დაიწყო მათი დატყვევება და გაჩანაგება, ააოხრა მთელი დვალეთი. მაშინ იხმო საქართველოს მხედრობა და მთლიანად შეკრიბა. გამოემართა, მოვიდა და დადგა ერთ ვიწრო და გამაგრებულ გზაზე, სადაც წინასწარ შეუთანხმდა მეფე ბაგრატი. როცა მოუახლოვდა ბაგრატ მეფე იმ ადგილს, სადაც ჩასაფრებული იყვნენ, ალყაში მოაქციეს თემურ-ლენგის ჯარი. მაშინ კი შეუტიეს ქართველებმა, როგორც ქარისგან გამძაფრებული ხანძარი მოედება ხოლმე ველის მდელოებსა და ჭალა-ტყეებს. როგორც ხე – ცულით დაჩეხეს მათი ბჭეები (შდრ. ფსლ. 73, 5-6) და მახვილით ამოწყვიტეს ისინი. თავს დაატყდათ საშინელი ღვთის რისხვა. როგორც მეფე ეზეკიამ ილოცა ღვთისადმი სენექერემისთვის,[456] გამოვიდა უფლის ანგელოზი და გაანადგურა ასურელთა ბანაკში ას ოთხმოცდახუთი ათასი წარჩინებული კაცი (შდრ. 4 მეფეთა 19, 35), ამის მსგავსი ღვთის რისხვა დაატყდა თავს თემურ-ლენგის ჯარს. მათაც ისე გადაუხადეს სამაგიერო, როგორც მოექცნენ საქართველოს, როგორც იტყვის დავითი: „ბაბილონის ასულო, უბადრუკო, ნეტარია, ვინც მოგიზღავს შენ იმის სამაგიეროს, რაც

შენ მოგვიზღე ჩვენ“ (შდრ. ფსლ. 136, 8) და ამის შემდგომი [სიტყვები]. ამოწყვიტეს თემურ-ლენგის მთელი ჯარი, დაახლოებით თორმეტი ათასი და ერთი მათგანიც ვერ გადაურჩათ. წამოიღეს ქართველებმა ნადავლი და მათი ალაფი. გამარჯვებულები იყვნენ სიხარულსა და შვებაში. უფრო მეტად გახარებულები იყვნენ ბაგრატ მეფისა და მასთან მყოფი ქართველების ხილვის გამო. ისეთი გამარჯვება მისცა ღმერთმა ქართველებს, ისე გაანადგურეს თემურ-ლენგის თორმეტი ათასი რჩეული მხედარი, რომ მათგან თორმეტი კაციც არ დაჰკლებია საქართველოს ამ ბრძოლაში.

ასეთი ამბავი შეიტყო თემურ-ლენგმა, გაუძნელდა, რადგან მთლიანად დაიკარგა მისთვის მთელი [ეს] სახელმწიფო და საბრძანებელი. სული ეხუთებოდა და შურით განიხერხებოდა. მოეძალა ბოროტი გულის სიტყვები. არ გაახმაურა მაშინ ეს ამბავი. იქვე, შაქში გამოიზამთრა თავისი ლაშქრით. გარკვეული დროით იქ იმყოფებოდა. როგორც კი მარტის თვე დადგა, შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი, ზღვის ქვიშაზე უფრო მრავალი, უწინდელზე უფრო ბევრი. მოიხმო შარვან-შაჰი მისი ლაშქრით და ისიც მოვიდა ურიცხვი მხედრობით. წამოვიდა თემურ-ლენგი დიდი ძალითა და თავზარდამცემი საშინელებით, საყვირებით, დაფდაფების ცემითა და ბუკების ტკრციალით. ასე ჩამოვიდა ბარდავში. იქ დატოვა თავისი საჭურჭლე და მძიმე ბარგი, რომელიც არ გამოადგებოდა [ბრძოლაში]. აარჩია მეომარი მხედრობა, ასე გამოემართა და მოადგა მდინარე მტკვარს. ნავებით გადო ხიდი და ზედ გადმოიარეს.

მაშინ ადრე გაზაფხული იყო, წვიმდა და მთებიდან მონაბერ ქარს თოვლიც მოჰქონდა. იქ აღარ შეყოვნდნენ, სწრაფად შემოვიდნენ დასახლებულ ადგილებში. მეფე ბაგრატმა და გიორგიმ, მისმა ძემ, შემოიკრიბა საქართველოს მხედრობა, რომელნიც ღვთის რწმენითა და იმედით სასიკვდილოდ თავის გაწირვას არ მოერიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასი ათასით უფრო მეტი იყვნენ, მაინც არ შეშინდნენ, არც შედრკნენ. მეფე ბაგრატი, გიორგი, მისი ძე და მისი ერთგული ქართველთა მხედრობა მყისვე სწრაფად გაემართა მათკენ.

ახლა [კი] იხილეთ საქართველოს ჩინებულო და რჩეულო მკვიდრნო, მაშინდელი მხნეობა, გახელება და რჯულის სიმტკიცე. თუ როგორი თავდადება და გულოვნება გამოიჩინეს ურჯულოების მიმართ, რომ არ დამცირებულიყო საქართველო. ისე უნდოდათ მაშინ მათთან ბრძოლა, როგორც მხეცების ხოცვა და ასპარეზობაზე გართობა.[457] იქ მივიდნენ

ქართველები, სადაც დაბანაკებული იყო [მტერი], ვიდრე იგი ქართლის დასახლებულ ადგილებში შემოვიდოდა. ისინი წინ შემოეგებნენ და [ისე] შეუტია ქართველთა მხედრებმა, როგორც ლომმა კანჯარის ჯოგს, როგორც მგელმა შეკრებილ თხებს. ეკვეთნენ ერთმანეთს, ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა იქიდანაც და აქედანაც. ეჰა, მომართეს რჩეულ და სანაქებო ქართველ ჭაბუკებს, დღე და ღამე სიხარულსა და განცხრომაში [რომ არიან], პირველივე შეტაკებისას უკან დაიხიეს მათ [თემურ ლენგის მებრძოლებმა] და [ქართველებმა ისინი] შეანარცხეს ერთმანეთს. როგორც შევარდნებისგან აშლილი ჭილყვავების გუნდი, ისე გამოიყურებოდა თემურ-ლენგის ლაშქარი. მაგრამ მათი სიმრავლის გამო, მათი ბანაკის ბოლოში მყოფებმა ვერც კი გაიგეს მათი მეწინავე რაზმების ასეთი ძლიერი ბრძოლა.

მეტად მოსაწონი უნდა ყოფილიყო მაშინ შორიდან მაყურებელი ხალხისთვის ახალგაზრდა ქართველი ყმაწვილკაცების[458] სიმამაცე და სიმარდე, რომელიც ძველი დროის ბუმბერაზებისა და ჭაბუკების ომის შესაფერისიც კი იყო. რომლებიც მათგან იღებდნენ სიმწვავესა და მკვეთებელ ისრებს, ხმლების ფეთებასა და ჰოროლების ხეთქებას, მოუღალავი მკლავების სიმაგრეს. ასე გაგრძელდა ომი. თემურ-ლენგს თავიდანვე მცველები ჰყავდა დაყენებული, რომ არ გაეშვათ გაქცეულები. მაშინღა შეიკრიბნენ ერთ გუნდად, რადგან ფიცხელი ბრძოლის გამო მეტად შეძრწუნებულებს გაქცევა და უკან გაბრუნება უნდოდათ. თემურ-ლენგმა კი უკან გაბრუნებას თავგანწირვა და სიკვდილი ამჯობინა. მაშინ იშიშვლა ხმალი და თვითონ გამოვიდა შესარკინებლად, დიდი ხმით შემოუძახა თავის მხედრობას. მისი მებრძოლებიც გამხნევდნენ და ომის გაჭიანურებასთან ერთად [კიდევ უფრო] შემოუტიეს, რადგან ქართველთა მხედრობა მეტად დაქანცული იყო. შემოელეწათ საომარი აბჯრები, მაგრამ ისევ ფიცხლად იბრძოდნენ, ბევრ მათგანს ავლებდნენ მუსრს და ღვრიდნენ მათ სისხლს. მთელი ქართული მხედრობა ცხენიან-კაციანად მეწამულად ჩანდა. ორივე მხრიდან ურიცხვი მხედრობა განადგურდა. ხუთჯერ მეტი თემურ-ლენგის მოლაშქრე მოისრა. ბრძოლის გახანგრძლივებასთან ერთად ქართველებს აღარ შეეძლოთ მათთან შერკინება მეტისმეტი დაღლილობის გამო. აღარც იარაღი შერჩენოდათ, აღარც მათ ცხენებს შეეძლოთ სირბილი.

მე ისე არ შემიძლია აღვწერო და შევასხა ქება ქართველი ჭაბუკების მხნეობასა და გულადობას, როგორი ქებაც სპარსელების წიგნებშია

დაწერილი ქართული მხედრობის შესახებ. მაშინ უკან გამობრუნდნენ ბაგრატ მეფე და ქართველები და მიაშურეს შეუვალ მთებს. უკან დაედევნა მათ თემურ-ლენგი და მთელი მისი ჯარი. მიუვალ ადგილებში ქართლიდან წინასწარ იყვნენ გასული ხიზნები, ზოგი კავკასიონის მთებში, ზოგიც სხვა [მხარეს] იმერეთის შეუვალ ადგილებში. აღარავინ დარჩა ქართლში, შენობებშიც არ იმყოფებოდნენ ხიზნები, ყველა მთებში იყო შეხიზნული. ბაგრატ მეფემ და გიორგიმ, მისმა ძემ, სწრაფად მიმართეს სახიზრებს, ქართველებიც ცალ-ცალკე წავიდნენ.

მაშინ შემოვიდა [თემურ-ლენგი] ქართლში უსაზღვრო მრისხანებით. მაგრამ, როგორც ეგონა, ვერ აისრულა თავისი გულის წადილი, ვერ იპოვა ხიზნები. შემოიარეს მთელი ქართლი, მოაოხრეს და ცეცხლს მისცეს ყველა დასახლება, უფრო მეტად [კი] წმიდა ეკლესიები და მონასტრები დააქციეს და ცეცხლით გადაბუგეს. ეს მეორედ დაატეხა თავს ბოროტება წმიდა ეკლესიებს.

მცირე დროის შემდეგ წავიდა თემურ-ლენგი და ისევ ყარაბაღში გაბრუნდა. რამდენიმე ხნით იქ გაჩერდა. მეფე ბაგრატი კი ისევ დაეუფლა თავის სამეფოს და კარგად განაგებდა. ცოტა ხნის შემდეგ სარწმუნოებითა და სინანულით გარდაიცვალა ბაგრატ მეფე და ქრისტეს აქეთ [... წელს[459]] მის ნაცვლად სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი, მისი ძე. [ასევე] იმხანად გარდაიცვალა ყოვლად სანატრელი კათოლიკოსი ელიოზი და მის ნაცვლად აღსაყდრდა გიორგი კათოლიკოსი. დიდად გლოვობდა მეფე გიორგი და აღასრულეს დაკრძალვის წესი. ამის შემდგომ დაეუფლა გიორგი მეფე სრულიად საქართველოს, იმერსა და ამერს და ერთიანად მეფობდა სრულიად საქართველოში. როგორც კი გაიგო ეს ამბავი მტარვალმა თემურ-ლენგმა, რომ გარდაიცვალა ბაგრატ მეფე და გამეფდა მისი ძე გიორგი, ისევ აივსო შუღლითა და უზომო მრისხანებით. არ მოსწყინდა ამდენი სიავე და უკეთურება, არც თავისი გულისწყრომა დაიოკა.

მაშინ მეწინავედ გამოგზავნა თავისი სარდალი, სახელად ყარალათი, შემდეგ კი თვითონაც წამოვიდა ურიცხვი ჯარით. მრავალი საბოძვარი დაურიგა თავის მხედრობას, დააცარიელა მთელი თავისი ხაზინა და საგანძური. ასე დაიერთგულა თავისი მხედრობა. ქრისტეს სამწყსოს ასაოხრებლად გაახელა ისინი, როგორც მხეცები. ქრისტეშემოსილ მეფეზე [სიბრაზით] აღრჭენდნენ მათ ბილწ კბილებს. მაშინღა გამოემართა და ჩამოვიდა ყარაბაღში, საშინელებითა და მრავალრიც-

ხოვანი ლაშქრით. ვერც ქალაქები და ვერც დაბები ვერ იტევდა მის მხედრობას. თვლა არ ჰქონდა [მის] ჯარს. ასე წამოვიდა გულისწყრომით აღძრული, მოადგა საქართველოს საზღვრებს და იქ დაბანაკდა.

ერთი კაცი გამოუგზავნა გიორგი მეფეს და მოსწერა: „მამაშენი, ბაგრატ მეფე, ერთგულად არ დამემორჩილა, უკეთურად მოიქცა, მზაკვრულად ჩამოაცილა ნაწილი ჩემს სამეფოს და როგორც ქურციკი საფრთხეს, ისე გაექცა ჩემს მახეებს. მახვილით ამოწყვიტა ჩემი რჩეული მხედრობა, რიცხვით თორმეტი ათასი, ერთიც ვერ გადაურჩა. ამის შემდეგ მაინც რომ დამმორჩილებოდა ერთგულად, უწინდელ შურს არ ვიძიებდი. ახლა კი შენ დაუფლებიხარ საქართველოს ჩემი ნებართვის გარეშე. ეს ქვეყანა ჩემი ხმლით მაქვს დაპყრობილი და ჩემს საბრძანებელს წარმოადგენს. ახლავე მოდი ჩემთან და იყავი ბრძანების მორჩილად [აღმსრულებელი], ისე, როგორც მონების წესია მათი მეპატრონეების მიმართ [მორჩილება]. მეც კეთილისმოქმედი ვიქნები შენ მიმართ და იყოს მშვიდობა ჩვენ შორის. ხოლო, თუკი არ მოისურვებ ჩემს მორჩილებას, უწინდელზე უარეს მრავალ უბედურებას შეგამთხვევ შენცა და შენს ხალხსაც და მთლიანად გავაჩანაგებ შენს სამეფოს“.

ეს რომ გაიგო გიორგი მეფემ, აბუჩად აიგდო მისი ამპარტავნება და ქედმაღლობა. ასე შეუთვალა: „რადგან სარკინოზი[460] ხარ და რჯულით ბარბაროსი, არ იცი წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, როგორც ამბობს: „უფალი ამპარტავანთ შემუსრავს, ხოლო მდაბალთ მოსცემს მადლს“ (შდრ. იაკობ 4, 6; იგავი 3, 34). ეს იცოდე, რომ მე შენზე ნაკლები და პატარა მეფე არა ვარ. არ იცი, რომ დავით წინასწარმეტყველის ძირიდან ვართ აღმოცენებული და მის გამო ღვთისაგან ცხებულობით არის განწესებული ჩვენი, ბაგრატიონების მეფობა და ვართ შთამომავლები დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა, რომლის შესახებაც ბრძანა ღმერთმა, რომ: „ერთგზის მივეცი ფიცი ჩემს წმიდა დავითს, და მე არ ვეცრუები მას“ (შდრ. ფსალ. 88, 36), „შენი მუცლის ნაყოფისგან დავსვა შენს საყდარზეო“ (შდრ. ფსალ. 131, 11) . ეს ის დავითია, რომელმაც ერთი შურდულით მოკლა გოლიათი[461] და შემუსრა მისი ქედმაღლობა. ამიტომაც, მრავალმოწყალე ღვთის განგებულებით, მკვიდრად ვმეფობთ მთელ საქართველოში. ასე ვართ გათავისუფლებულები და ზეცათა მეუფის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გარდა, სხვა მეფე არ გვყავს მბრძანებლად. შენი მეფობა კი აქაც სწრაფად წარმავალია და გადაშენებადი, იქ კი საუკუნოდ მოგელის დაუშრეტელი ცეცხლი, რო-

მელიც გამზადებულია ეშმაკისათვის და შენი მსგავსი [მათი] ყველა მსახურისთვის. მზაკვრობითა და ბელზებელის ხრიკებით დაგიპყრია მთელი აღმოსავლეთი, გყავს მრავალრიცხოვანი ლაშქარი და ურიცხვი მხედრობა. სამჯერ მოხვედი და გააჩანაგე ჩემი სამკვიდრო სამეფო და ღვთისმშობლის, ჩვენი წმიდა დედოფლის წილხვდომილი სამწყსო. და ეს შენი ძლიერებით კი არ მოხდა, არამედ ჩვენი ცოდვების გამრავლების გამო სამართლიანად გვასწავლა ჩვენ ღმერთმა. ამდენი სიავე ჩაიდინე და ვერ გაძეხი ჩვენი სისხლით, ისევ გსურს ჩვენი ხორცის შეჭმა ძვლებთან ერთად. ახლა კი, რადგან ასეთი სიამაყით იქადნები და მოდიხარ ჩვენ წინააღმდეგ, მოდი, თუ არა ხარ სეფექალი და დიაცი. შენ თუ არ მოხვალ, მე მოვალ ღვთის ძალითა და ჩემი რჩეული მხედრობით. სამჯერ შენც გინახავს და შენმა მრავალრიცხოვანმა მხედრობამაც იცის ქართველი ჭაბუკების გამხეცება და საბრძოლო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ შენი მრავალრიცხოვანი ძალებით ბევრი ბოროტება მოაწიე ჩვენს თავს, არც ჩვენგან წასულხარ უვნებელად“. ასე გაგზავნა თემურ-ლენგის ელჩი.

გიორგი მეფემ სწრაფად შეკრიბა მთელი თავისი სამეფო, რჩეული მხედრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, მესხები და კახელები, მთელი ქართლი და გამოემართა. მივიდა თემურ-ლენგთან ის ელჩი, სრულად გადასცა გიორგი მეფის ნათქვამი და დიდად შეაქო გიორგი მეფისა და მისი მხედრობის სიმხნე და გულადობა. ამ სიტყვებზე უფრო მეტად გამძვინვარდა, როგორც ბოროტი მხეცი, აიყარა თავისი მრავალრიცხოვანი ძალებით და ისიც გამოემართა. ეკვეთნენ ერთმანეთს, გაშმაგებით, როგორც ცეცხლმა თივას, ისე შეუტიეს ქართველებმა. აჰა, ძლიერი ომი გაჩაღდა იქიდან და აქედან. დიდად სახელოვნად გამოჩნდა საქართველოს მხედრობა, მუსრს ავლებდა და ატყვევებდა [მტერს]. გაჭიანურდა ბრძოლა. შეაძრწუნეს თემურ-ლენგის მხედრობა, მაგრამ ლაშქართა სიმრავლის გამო ადგილიდან დაძვრა არ შეეძლოთ. ისეთი მხნეობა გამოიჩინა საქართველოს მხედრობამ, რომ მოხდენილად შეიჭრებოდნენ მათი რაზმების შუაგულში, ასე ამოწვდილი მახვილებით ავლებდნენ მუსრს და თავიდან ბოლომდე გაუვლიდნენ. შემდეგ კი, მათგან უვნებლები, ისევ უკან გამოივლიდნენ ხოლმე ისმაიტელთა ბანაკში. ასე სახელოვნად გამარჯვებულები მოდიოდნენ ღვთივგვირგვინოსანი გიორგი მეფის წინაშე და ულოცავდნენ გამარჯვებას. მაშინ ძალიან შეწუხდა მტარვალი თემურ-ლენგი, რადგან ამისთანა მარცხი

და ზიანი მას არასოდეს მიუღია. ისეთი მხნეობითა და ლომგულობით შეებნენ, მახვილით ურიცხვ მხედრობას გაავლეს მუსრი ქართველებმა, მაგრამ მათი სიმრავლის გამო, არ ცოტავდებოდნენ.

თემურ-ლენგს გამოცდილი ჰქონდა, იცოდა, რომ ქართველები ომში ფიცხები იყვნენ და მალე იღლებოდნენ. ამიტომ იცდიდა, ვიდრე ძალიან არ დაიღალნენ ომისგან ქართველები. ხოლო, როცა ბრძოლა შენელდა და მზეც ჩასასვლელად გადაიხარა, დაინახა თემურ-ლენგმა ქართველთა მხედრობის მეტისმეტი დაქანცულობა, მკლავის დაღლა და საომარ აბჯართა დალეწვა. მაშინ კი სასიკვდილოდ გაწირა თავი, დიდი ხმით შემოუძახა თავის მხედრობას, ისინიც გაამხნევა და ასე შემოუტიეს ქართველთა ლაშქარს. რამდენიც შეეძლოთ ისევ შეებრძოლნენ [ქართველები], მაგრამ აღარ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა მეტისმეტი დაღლილ-დაქანცულობის გამო. მაშინღა აჯობეს ისმაიტელთა ლაშქარმა, თემურ-ლენგმა და აგარიანებმა. უკუიქცნენ ქართველები, მთებსა და ციხესიმაგრეებში გადაიხვეწნენ.

მაშინ წამოვიდა თემურ-ლენგი და პირველად თბილისის ციხეს მოადგა. ძლიერ გამაგრებული იყო თბილისის ციხე, რადგან შიგ ქართველთა მხედრობა იდგა. ძლიერი იერიში მიიტანა, მეციხოვნენიც ძალუმად ებრძოდნენ. მთლიანად დაიკავა თემურ-ლენგმა თბილისის შემოგარენი. მაშინ მოინდომეს ძალით დაენგრიათ ციხე. სწორედ ასე დააქციეს გალავნები და რამოდენიმე ხანში აიღეს თბილისის ციხე და ასევე ქართლის ყველა ციხესიმაგრე. დაიპყრო [თემურ-ლენგმა] ქართლი, ჩააყენა თბილისის ციხეში ხორასნელი მოლაშქრენი, თვითონ აიყარა, წამოვიდა და მუხრანში გაჩერდა.

კვლავ შემუსრეს წმიდა ეკლესიები და მონასტრები, ააოხრეს ყოველი დასახლება და ცეცხლით გადაბუგეს. მაშინღა ეახლა ზოგიერთი ქართველთაგან, რომელთაც არ გააჩნდათ საიმედო სახიზრები. იყო ქართლში ერთი მთავარი და მეტად წარჩინებული [კაცი], სახელად ჯანიბეგი. ამ ჯანიბეგის მამულში ჩადგა თემურ-ლენგი, ააოხრა, გადაწვა და დააქცია. მაშინ ისიც ეახლა, დაუზავდა და გარკვეული ხნით იქ დარჩა.

მოიარეს [ურჯულოებმა] მთელი ქართლი, მოაოხრეს და გადაწვეს. ძალიან უნდოდა გიორგი მეფის შეპყრობა, ყველაფერი იღონა, მაგრამ ამაოდ. ჯანიბეგი რომ ეახლა, აიყარა და წავიდა. მივიდა, სადაც თავისი ბარგი და მძიმე ტვირთი ჰქონდა. მაშინაც არ დაიოკა გიორგი მეფის მიმართ ბოროტი შუღლი და გულისწყრომა. ფიქრობდა, რომ ისევ

ჩამოვიდოდა საქართველოში და დაიპყრობდა. ამიტომ დააყენა ამირ-სპასალარად ხოჯა შიხალი და ამირჯანშა, გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ და თან გამოატანა ურიცხვი მხედრობა. ყოველ მათგანს უბრძანა, ცალ-ცალკე გამაგრებულიყვნენ და მთლიანად აეოხრებინათ, გადაებუგათ და დაექციათ ყოველივე, რომ აღარ დამკვიდრებულიყო საქართველოს მოსახლეობა იქ.

წამოვიდნენ ისინი და შემოვიდნენ ქართლში. ისევ დაიწყეს უკეთურება და ბოროტება, გადაწვა, ნგრევა, დატყვევება და ხოცვა-ჟლეტა. უფრო მეტად წმიდა ეკლესიებს მოექცნენ დიდი უკეთურებით. ძალიან უნდოდათ მეფე გიორგის შეპყრობა და ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ შეძლეს და მეტად ააოხრეს ქართლი. მაშინ შეიპყრეს მეფე გიორგის ზოგიერთი კაცი. ეკითხებოდნენ, თუ სად იმყოფებოდა იგი, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ და ვერ მოახერხეს მათგან საქმის ვითარების შეტყობა. მაშინღა წამოვიდნენ და მოვიდნენ თემურ-ლენგთან. აცნობეს, რომ ვერ შეიპყრეს მეფე გიორგი. დაღონდა და ძალიან მოიწყინა. ცოტა ხნის შემდეგ აიყარა, ჩავიდა ყარაბაღში და იქ დაბანაკდა.

იმ მხარეში, ჯალალის ქვეყანაში, ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად თირ-სულთანი,[462] რჯულით მუსლიმი. როცა თემურ-ლენგი ყარაბაღში ჩავიდა, თირ-სულთანმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ბევრი მტრობა შეამთხვია პირადად თემურ-ლენგსა და მის მხედრობას. განდგომილი იყო მათგან და არ ემორჩილებოდა თემურ-ლენგს. რამდენიც შეეძლო, ებრძოდა მათ. ვეღარ შესძლო მასთან შერკინება, წამოვიდა დევნილი და მოვიდა მეფე გიორგისთან. მეფემ დიდი პატივი სცა, კარგად მიიღო. მისი მოკავშირე გახდა და უჯერებდა მას. გარკვეული დროით მასთან დარჩა. ამასობაში უფრო მეტად გაძლიერდა თემურ-ლენგი. შეიტყო ეს გიორგი მეფემ და დიდად ზრუნავდა საქართველოს საქმეების მოგვარებაზე. მაშინღა გადაწყვიტა, რომ აჯობებდა, თუკი თემურ-ლენგს დაემორჩილებოდა. ეთათბირა მის მრჩეველ წარჩინებულებს. გადაწყვიტეს დასაზავებლად კაცის გაგზავნა. ეს რომ გაიგო თირ-სულთანმა, რაც შეეძლო უშლიდა ამის გაკეთებას, ძალიან არ უნდოდა, რომ ეს მომხდარიყო, რადგან არ უნდოდა დამორჩილებოდა თემურ-ლენგს. არ დაუჯერა მეფემ, გაგზავნა კაცი და მოიხმო უწინ მოსული ელჩი, რომელიც გამოგზავნა თემურ-ლენგმა მეფე გიორგისთან. მას იცნობდა მეფე, რჯულით მუსლიმი იყო, სახელად ისმაილი ერქვა. თემურ-ლენგის მომხრე იყო. მას მოუხმო და გაგზავნა თემურ-ლენგთან და-

ზავებისა და მშვიდობისყოფისათვის. მორჩილების პირობა შეუთვალა. ეს რომ გაიგო თემურ-ლენგმა, დიდი სიხარულით გაიხარა. ისევ ის ელჩი გამოგზავნა უკან და ასე შემოუთვალა გიორგი მეფეს: „მეტად კარგი საქმე გადაგიწყვეტია შენი თავისთვისა და შენი სამეფოსთვისაც. დროა შეწყდეს ამდენი უბედურება. ამიერიდან დავდებ ზავს და თუკი მოხვალ ჩემთან, მეც აღარ გავიხსენებ უწინდელ მტრობას, რაც ჩაიდინე ჩვენ მიმართ. არამედ, შენი თავმდაბლობისა და მორჩილების სანაცვლოდ, მრავალ სიკეთეს გაგიკეთებ. ძმურ პატივისცემასა და მრავალ საბოძვარს მიიღებ ჩემგან“.

ის კაცი გამოგზავნა და თავისთვის იფიქრა: „ვიცი, რომ [გიორგი მეფეს] ხრიკები აქვს ჩაფიქრებული ამ საქმეში. ჩემი შეცდენა უნდა, როგორც უწინ მამამისმა ბაგრატ მეფემ გააკეთა და მახვილით ამოწყვიტა თორმეტი ათასი რჩეული მხედარი. ეს ვეღარ მოხდება და სარწმუნოდაც არ მიმაჩნია ეს ამბავი. მზაკვრობით უნდა ჩემი გაცურებაო“.

მაშინ გაემზადა და ურიცხვი მხედრობით წამოვიდა საათაბაგოს წინააღმდეგ, იმიტომ, რომ პირველ ომში ივანე ათაბაგი რჩეული მხედრობით თან ახლდა გიორგი მეფეს და მას ემორჩილებოდა. უწინდელ მტრობას იხსენებდა ეს მტარვალი და გამოემართა ივანე ათაბაგის დასასჯელად. მოვიდა და დაბანაკდა ზემო ქართლში, რომელსაც საათაბაგო ჰქვია. ვეღარ გაუწია წინააღმდეგობა ივანე ათაბაგმა, ციხესიმაგრეებს მიაშურა. მაშინ ბევრი უბედურება დაატრიალა, მრავალი სული ამოწყვიტა მახვილით, მრავალი დაატყვევა, დააქცია წმიდა ეკლესიები და ცეცხლით გადაწვა ყველა დასახლება, თემები და სოფლები. მთლიანად გააჩანაგეს ზემო ქართლი. მოიავაზაკა და წამოიღო წმიდა ეკლესიების მრავალი ნივთი, ხატები და [წმიდა] ნაწილები. ყველაფერი აიკლეს და შემუსრეს. შეპყრობილი ქრისტიანებიდან ნაწილი დახოცეს, ხოლო ვინც კი მიატოვა თავისი სარწმუნოება, თან წაიყვანეს.

მერე წამოვიდა იქიდან, გადმოლახა კლარჯეთის მთა და მოადგა მანგლისს. იქ დაბანაკდა ორი თვით. მოვიდა ქართლის საზღვრებთან მოსახლე რჯულით მაჰმადიანი, ისმაიტელი ხალხი. გიორგი მეფეზე და ქართულ მხედრობაზე გაბოროტებულები მოვიდნენ თემურ-ლენგთან და ასე მოახსენეს: „ამიერიდან აღარ შეგვიძლია ქართლის საზღვრებთან ცხოვრება, გადაგვასახლეთ სხვა ქვეყნის მხარეს და იქიდან გადაგიხდით ხარკს. რამდენი ბოროტებაც თქვენ მათთვის გაგიკეთებიათ, ისინი უფრო მეტს გვიკეთებენ ჩვენ. ახლაც, აქედან რომ წახვალთ,

ისინი უეჭველად თავს დაგვესხმებიან და ჩვენზე იყრიანო ჯავრს“. ეს რომ გაიგო, ძალზედ შეებრალა ისინი თემურ-ლენგს. მაშინ უბრძანა ამირშიხ ნურადინს, თავის ამირსპასალარს, მთლიანად აეოხრებინა ქართლის ის მხარეები, რომლებიც ესაზღვრებოდნენ ისმაიტელებს. თან გამოატანა დიდი მხედრობა და გამოგზავნა ესენი მათ გასანადგურებლად. იქ რომ ჩავიდა, ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს. მეტად კარგად შეერკინნენ ქართველები, მრავალი მოკლეს და ამოწყვიტეს. ისევ გაგზავნა თავისი სხვა ამირსპასალარი თემურ-ლენგმა და გაატანა მრავალი მოლაშქრე. ისინიც მივიდნენ, შეებრძოლნენ და სიმრავლით გაიმარჯვა თემურ-ლენგის მხედრობამ. ძლიერ შეერკინენ ქართველები, ხუთი დღე ებრძოდნენ და მეტი ველარ შეძლეს, აართვეს ციხესიმაგრეები, რადგან იქ [არც] სხვა ქართველები არ იმყოფებოდნენ და არც მეფე გიორგი, არამედ [მხოლოდ] ისინი ებრძოდნენ, რომლებიც თათრებს ესაზღვრებოდნენ და თავს ესხმოდნენ [ხოლმე]. როცა მათ სახიზრებს მიაშურეს, [მტერმა] ხიზნებს ველარ მიაგნო. გადაწვეს ყველა დასახლება და დაბრუნდნენ თემურ-ლენგთან.

მაშინ მოვიდა თემურ-ლენგთან ფრანგების ელჩი და მოართვა ხელმწიფის ძღვენი. იმხანად მისმა მხედრობამ ასევე გამარჯვება მოიპოვა ბერძნებზე. შეიპყრეს კეისრის პირმშო ძე და მოჰგვარეს თემურ-ლენგს. დიდად გაიხარა და მრავალი საბოძვარი მისცა თავის მხედრობას. როცა კეისრის ვაჟს შეხვდა, ისიც ძალიან შეიყვარა და შეითვისა. შეიწყალა მისი სიჭაბუკე და მშვენიერება. მასაც მისცა მრავალი საბოძვარი და სამეფო შესამოსელი. ასევე გაგზავნა იგი თავის სამეფოში და უვნებლად გაუშვა.

ორი თვის შემდეგ ისიც აიყარა მანგლისიდან. წავიდა და შევიდა არაგვის ხეობაში. დაიპყრო, დალეწა და აიღო ციხესიმაგრეები, ყველა ადგილი გააჩანაგა და მოაოხრა. ხიზნებს ვერ მიაგნო, რადგან ყველანი მთებში იყვნენ თავშეფარებული. შემდეგ წამოვიდა იქიდან, გარკვეული ხნით უკან გაბრუნდა სალაშქროდ, დაიპყრო სიასის ქვეყანა და სხვა მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა ძალით. ყველა მოხარკედ გაიხადა.

ამის შემდეგ ისევ დაეუფლა საქართველოს მეფე გიორგი. შეიტყო ეს თემურ-ლენგმა, [ისევ] არ დაცხრა შუღლისა და ბოროტი გულისწყრომისგან. კვლავ შეამზადა ურიცხვი მხედრობა და გამოგზავნა თავისი ძეები: სულთანი ჰუსეინი, ფირ-მაჰმად ამირში, აბუბექირი; სხვები თავის წარჩინებულთაგან: ჯანშა და თემურ-ხოჯა, აღბუღა, სეიდ-

ხოჯა, შიხალის შვილი, სხვა მრავალი თავადი და ურიცხვი მხედრობა. წამოვიდნენ, ჩამოვიდნენ ერზინჯანში და მოადგნენ ერზინჯანის ციხესიმაგრეს, რადგან იმხანად იგი საქართველოს მეფეს ეჭირა. ძლიერი ბრძოლა გაუმართეს მეციხოვნეებმა. თავდაპირველად ვერ აართვეს ციხე. გარკვეული ხნით იქ გაჩერდნენ და შემდეგ აიღეს. დამხმარე რადგან არავინ ჰყავდათ, ძალზედ გაუჭირდათ და თვითონვე დაანებეს [ციხე]. გამოვიდნენ მეციხოვნენი და ციხისთავი და შეწყალება სთხოვეს. წამოიყვანეს ციხისთავი და უფროსი მეციხოვნენი და მიჰგვარეს თემურ-ლენგს, ხოლო მისი ძეები გამოემართნენ საქართველოს წინააღმდეგ. ჩამოვიდნენ მანგლისში და იქ დაბანაკდნენ.

ეს ამბავი გაიგო გიორგი მეფემ. ელჩი გაგზავნა, მუდარით შესთხოვა მშვიდობა, დაზავება ითხოვა მათგან. აღუთქვა მორჩილება და შერიგება. შეისმინეს თემურ-ლენგის ძეებმა და აცნობეს თემურ-ლენგს. გაიგო თემურ-ლენგმა გიორგი მეფის დამორჩილების შესახებ და მანაც ისურვა მათ შორის მშვიდობის ჩამოგდება. აუწყა თავის ძეებს, თავისთან მიიხმო და წავიდნენ. მაშინ გაგზავნა თემურ-ლენგმა თავისი ვაჟები დიდი ძალებით ბაღდადის წინააღმდეგ. მივიდნენ და აიღეს ბაღდადი. დაიპყრეს არაბეთი. მრავალი თემი მოაქცია თავის საბრძანებელში და წამოიღეს ბევრი ნადავლი. მაშინ თემურ-ლენგი თავრიზში იმყოფებოდა. წამოვიდა, რომ ენახა ის ციხე, რომელიც უწინ აიღეს მისმა ძეებმა. ციხესიმაგრე, რომელსაც ალინჯა დაერქვა. წამოვიდა უთვალავი მხედრობით, მრავალი ბარგითა და მრავალფერი კარვებით. მივიდა და ნახა ციხე ალინჯა. ხელახლა გაამაგრა იგი, წამოვიდა და დადგა გელაქუნის ტბასთან. ეს რომ შეიტყო გიორგი მეფემ, გამოუგზავნა თავისი ძმა და მრავალი ძღვენი. ასე შეუთვალა: „უწინაც მოგახსენეთ და ახლაც იგივე პირობას გაძლევთ, როგორც თქვენ გსურთ, ისე ვემორჩილებით თქვენს ბრძანებას და სადაც გნებავთ, გამოგყვებით ლაშქრობაში, [ოღონდ] ამიერიდან შევრიგდეთ და ვიქონიოთ ერთმანეთში თანხმობა. კმარა, ამიერიდან დაცხრეს გულისწყრომა და აღარ გავიხსენოთ მომხდარი ამბები“. დაჰყვა თემურ-ლენგი, შეისმინა [მისი] და ეს შეატყობინა: „რადგან დაგვაჯერე შენს მორჩილებაში[463], აღარ ვიძიებ შურს უწინდელი საქმეების გამო. ამიერიდან აღარ გაბედოთ შენ და შენმა მხედრობამ, რომ შეაწუხოთ, თავს დაესხათ და დაარბიოთ ის მაჰმადიანები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან ცხოვრობენ და ვიყოთ ერთმანეთში მშვიდობიანად“. შემდეგ აიყარა, წავიდა ბარ-

დავში, ერთი წელი იქ დარჩა, მოაგვარა თავისი ყველა საქმე თემურ-ლენგმა და კვლავ მოისურვა საქართველოზე თავდასხმა.

წამოვიდა და ისევ მანგლისში ჩამოვიდა. მაშინ სომხითის მხარეში[464], იმ ადგილებში, რომელსაც მარტიანი ერქვა, იმყოფებოდა ერთი თავადი, სახელად ესაია. მას პირობა ჰქონდა მიცემული თემურ-ლენგისთვის, რომ ეახლებოდა, მაგრამ ველარ მივიდა და [თემური] უკეთურებას განუმზადებდა. თავადმა ესაიამ რომ გაიგო, ძალზედ შეწუხდა. წავიდა შიშით შეპყრობილი და მივიდა თემურ-ლენგის ძესთან. ევედრებოდა, რომ ეშუამდგომლა მამამისთან. საჩუქრად ძვირფასეულობას შეჰპირდა. მაშინ შეიწყალა შარუხმა, თემურ-ლენგის ძემ, მივიდა მამამისთან და დიდად დაეხმარა. მიმადლა მას იგი. მაშინ მისცა თემურ-ლენგს დიდი ძღვენი და მეფის საკადრისი ძვირფასეულობა. მიიყვანა შარუხმა თემურ-ლენგის ძემ იგი მამამისთან შესარიგებლად. თემურ-ლენგმა რომ დაინახა, რისხვით მიმართა: „როგორ გაბედე ჩემთვის წინააღმდეგობის გაწევა და ურჩობაო?“ მაშინ წარდგა იგი მის წინაშე, დიდი ხვეწნა-მუდარით და მისი ძის სიკეთის გამო აპატია, შეიწყალა და ხალათი უბოძა. თავად ესაიას მშვენიერი ასული ჰყავდა. თემურ-ლენგის ძემ აბუბექირმა გაიგო, ეტრფიალა და ცოლად ითხოვა. გაატანა და მას შემდეგ სწყალობდნენ.

მერე აღბუღას ძე ივანე ათაბაგი წავიდა. ისიც მრავალი ძღვენით მივიდა თემურ-ლენგთან. ისიც შეიწყალა, პატივი სცა და უხვად დაასაჩუქრა. სომხითის, სამცხისა და კარის ყველა თავადი ეახლა. გაიგო ეს მეფე გიორგიმ და დიდი ძღვენით გაგზავნა კონსტანტინე, თავისი ძე.[465] მხურვალედ ევედრებოდა, შეისმინა მისი და ისიც შეიწყალა. აიყარა იქიდან, წავიდა ქურთისტანის ქვეყანაში და დაიპყრო ქურთისტანი.

კვლავ უკეთურებასა და ბოროტებას განუმზადებდა საქართველოს. მოწადინებული იყო, რომ გაეთათრებინა მეფე და სრულიად საქართველო. შირვანის მბრძანებელი შიხ ბარაიმი გამოგზავნა, რომ გაერკვია საქართველოს მთელი ბეგარა და გადასახადები. მცირე დროის შემდეგ თვითონაც გამოემართა და ჩამოვიდა კარში. ეს შეიტყო მეფე გიორგიმ და გაგზავნა ესაია, სომხითის მთავარი. იგი აახლა თემურ-ლენგს, რომ არ შემოსულიყო ქართლში. მოსავლის აღებისა და მომკის დრო იყო. ხვეწნა-მუდარით შეუთვალა: „რაც მშვიდობა და თანხმობა დავამყარეთ, მას შემდეგ არანაირი ურჩობა არ გაგვიწევია. არც თვითმპყრობელ გვირგვინოსნებს ეკადრებათ პირობის დარღვევა. შეიწყალე ახლა ეს ქვეყანა და ნულარ გააჩანაგებ. რასაც გვიბრძანებთ, მზად ვართ

თქვენი სამსახურისა და მორჩილების აღსასრულებლადო“. გაგზავნა და თან გაატანა მრავალი ძღვენი და ხელმწიფის საკადრისი საჩუქარი. ესაია, გიორგი მეფის თავადი, რომ მივიდა, მიართვა ძღვენი და ფეშქაში. მდაბლად მოახსენა ხვეწნა-მუდარა, მაგრამ თემურ-ლენგმა არ შეისმინა, არც ძღვენი და ფეშქაში მიიღო, რადგან მეტად განრისხებული იყო და ისევ სწყუროდა საქართველოს აოხრება.

შემოუთვალა მეფე გიორგის: „თუ დაზავება გინდა, თუ არ გინდა, რომ გაჩანაგდეს საქართველო, სიცოცხლე თუ გინდა, ახლავე მოდი ჩვენთან, მიიღე ჩვენი რჯული და დიდ პატივსა და სიყვარულს მიიღებ ჩვენგან. არც შენს სამეფოს გავანადგურებ, აღარც ხარკს ავიღებ, სხვა ბევრ წყალობასა და საბოძვარსაც მოგცემ და იყოს სამუდამო მშვიდობა ჩემსა და შენ შორის. ხოლო თუკი არ დამემორჩილები, ავაოხრებ და სულ მთლად გავაუდაბურებ მაგ შენს ქვეყანას. ხოლო თუ არ გინდა ირწმუნო ჩემი რჯული, მოდი ჩემთან, დაიდე ხარკი, რამდენიც შეგეძლოს, მშვიდობით და კარგად გავიცნოთ ერთმანეთი და როგორც გსურს ისე დაბრუნდი შენს სამეფოში ჩვენგან მოცემული მრავალი წყალობა-საბოძვრით. როგორც კეისრის ძე გავუშვი, შენც ასევე მშვიდობით დაბრუნდები“ – ამ პირობით გამოუგზავნა შუაკაცი.

ის რომ წავიდა, მაინც არ დაიოკა მზაკვრობა და ბოროტი შუღლი. ფიქრობდა: „თუკი საქართველოს მოსახლეობა მოსავალს აიღებს და თავის ჭირნახულს დააბინავებს, მერე ვეღარაფერს დავაკლებ მათ, რადგან გაიხიზნებიან გამაგრებულ ადგილებშიო“. აიყარა, წამოვიდა და მოადგა საზღვრებს. მაშინ ყველამ საჩქაროდ აიღო თავისი მოსავალი და გაიხიზნენ მიუვალი მთების სახიზრებში. მტარვალი თემურ-ლენგიც მოვიდა მრავალრიცხოვანი და ურიცხვი მხედრობით, დიდი სისასტიკით, ცეცხლითა და ნგრევით შემოვიდა ქვემო ქართლში. მეფე გიორგი გამაგრებულ ადგილებში შევიდა. ჩავიდა თემურ-ლენგი შიდა ქართლში, დაბანაკდა და მოაოხრა ყველა დასახლება, მუსრი გაავლო წმიდა ეკლესიებს. მაინც ვერ აისრულა თავისი ბოროტი გულის წადილი. მეფე გიორგის შეპყრობა და ტყვეების აყვანა უნდოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

გარკვეული ხნით იქ დარჩა, [შემდეგ] აიყარნენ, წავიდნენ და მიადგნენ ბირთვისის ციხეს. ძალიან კარგად იყო იგი გამაგრებული. ბირთვისის ციხეში ქართლის წარჩინებული თავადები იდგნენ, რიცხვით ოცდაათნი. ციხისთავს ნაზალი ერქვა. ასევე მრავლად იყვნენ ქართლელი აზნ-

აურები და მსახურები. თემურ-ლენგის მოლაშქრენი შიშით ძრწოდნენ და მეტად წუხდნენ, უარობდნენ ციხის აღებას, რადგან მრავალჯერ მიეღოთ მათგან ზიანი. იცოდნენ, რომ მაგარი ციხე იყო, ხორაგით სავსე. უფრო მეტად კი მეციხოვნეთა გააფთრება და ბრძოლის სიფიცხე [აფიქრებდათ], რადგან მრავალი მოლაშქრე დაუხოცეს და იმ ციხიდან ბევრი უბედურება ნახეს. თემურ-ლენგმა გაიგო [ციხის] ასეთი სიმტკიცის შესახებ, ძალზედ შეძრწუნდა, ეთათბირა მის მრჩევლებს და გადაწყვიტეს იერიშის მიტანა, ასე თქვეს: „არსად დარჩენილა ციხესიმაგრე, რომ არ აგვეღოს. შენთვის ესეც ადვილი [ასაღებიაო]“.

მაშინ მიადგა ციხეს მრავალრიცხოვანი მხედრობა, მეციხოვნე რჩეული ჭაბუკებიც გამოვიდნენ, შეუტიეს და შუა გააპეს, როგორც ორლესულმა მახვილმა ბალახისმჭამელი ნადირი. მრავალი სული ამოწყვიტეს ხმლით, უხვად დაღვარეს სისხლი, როგორც ძლიერი წვიმის დროს წამოსული აქაფებული ნიაღვრები. თემურ-ლენგის მხედრობამ დაინახა მეციხოვნეთა ასეთი გააფთრება, მაშინვე გაქცევით უშველა თავს და უკან დაიხია იქიდან. ერთი მხრიდან ფარულად ლაშქარი ჰყავდა ერთ ადგილზე [ჩასაფრებული]. უკან დაედევნენ ქართველები და ისინიც ერთმანეთს შეანარცხეს. გაიქცნენ ორივე მხრიდან დარბეული ისმაიტელი მოლაშქრენი. ამოწყვიტეს და დიდად დააზარალეს. ასე მობრუნდნენ გამარჯვებულები და ბევრი ნადავლით აღვსილები შევიდნენ ციხეში. ეს რომ თემურ-ლენგმა გაიგო, თვითონაც წამოვიდა დიდი ძალებით, გამძვინვარებული, მრისხანე გულით, მოვიდა და დაიკავა ციხის მთელი გარემო. გარშემო ციხეები ააგო თავის შესაფარებლად და შეაყენა შიგ მრავალი მოლაშქრე. თვითონ წინა მხრიდან მიადგა ციხის კარიბჭეს და იქაც ააშენა ციხე. ბრძანება გასცა, რომ მედგრად შებრძოლებოდნენ. ორივე მხრიდან მიადგნენ ციხის კუთხეებს. მეციხოვნენი შიგნით მტკიცედ და აუღელვებლად იდგნენ და იბრძოდნენ, როგორც შეეძლოთ. გავიდა ერთი კვირა და ვერ შეძლეს აღება.

ერთი კლდე იყო და იქიდან იპოვეს ვიწრო ასასვლელი. თემურ-ლენგის ლაშქარში იყო ერთი ეგვიპტელი კაცი, სახელად ბეგიჯანლი. მან მოახერხა და ღამით შეიპარა ციხეში. თან აიყვანა ერთი თხა, დაკლა ციხეში, იქ დატოვა და თითონ წამოვიდა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ციხეში მყოფებს დაენახათ, მათი შესაძლებლობა. ეს გაიგეს მეციხოვნეებმა, უფრო მეტად განმტკიცდნენ და უშიშრად იყვნენ. აცნობეს თემურ-ლენგს კლდეზე არსებული ასასვლელის შესახებ. მაშინ მეტად

გაიხარა, ყველას უბრძანა ბამბის კიბეები დაეწნათ. ისევ გაგზავნეს ეგვიპტელი კაცი კლდეზე ასაძრომად. დაწნული კიბის წვერი კლდის თავს გამოაბა მაგრად და იმავე ღამეს სათითაოდ შეიპარა თემურ-ლენგის მრავალი მოლაშქრე ისე, რომ მეციხოვნეებმა ვერ გაიგეს. შემდეგ, შიგნიდან მივიდნენ ციხის კართან, ფარულად გახსნეს ციხის კარი და ასე შეუტიეს თათრებმა შიგნიდან და გარედან.

მაშინღა გაიგეს ქართველებმა და ფიცხელი ბრძოლა გამართეს. გულმდუღარედ დაერივნენ ქართველები, შუაზე გააპეს მრავალრიგად დაწყობილი მათი რაზმი. ქუხილის მსგავსად ესმოდათ მნახველებს აბ-ჯრების ხეთქებისა და კვეთების ხმები. ძლიერი ბრძოლა გაუმართეს ქართველებმა, უმრავლესობა დახოცეს და დაჭრეს. ბოლოს გამარჯვე-ბა ისევ თემურ-ლენგს დარჩა ჯარის სიმრავლის გამო. აიღო ბირთვი-სის ციხე. მრავალი დიდებული და აზნაური მიჰგვარეს შეპყრობილი და ხელში ჩაგდებული. თვითონ ციხისთავიც, სახელად ნაზალი, შეპყ-რობილი მიჰგვარეს. ყველას თავები მოჰკვეთეს. ციხისთავ ნაზალის ცოლი შარვანის სულთანს მისცა. თავის სხვა მოლაშქრეებსაც უხვად მიანიჭა წყალობა. უფრო მეტად კი მას, რომელმაც მოხერხებით აიღო ციხე. ციხეში მყოფთაგან მრავალი ამოწყვიტა და უფრო ბევრი ტყვედ წაიყვანა. ციხისთავად ერთი თავისი წარჩინებული დააყენა, რომელს-აც მაჰმადი ერქვა. მისცა მას ბევრი მებრძოლი და ჩააყენა ბირთვისის ციხეში. უბრძანა მათ, გადაეწვათ და აეოხრებინათ იქაური მცხოვრებ-ნი, უფრო მეტად კი წმიდა ეკლესიები დაენგრიათ. თვითონ შამში წა-ვიდა, ხოლო ტყვეები და ნადავლი მთლიანად გაგზავნა სამარყანდში. ქორონიკონი იყო 90[466]. მას შემდეგ ვეღარ შესძლო საქართველოში შემოსვლა და ღვთის შეწევნით ნუღარც მოხდება მისი დაბრუნება, რადგან [ღმერთი] კეთილისმოქმედი, მოწყალე და შემწე იყო წმიდა ეკლესიებისა და საქართველოში მცხოვრები ქვრივ-ობლებისთვის. შვიდჯერ გააპარტახა საქართველო[467] ბოროტმა და ღვთისაგან შერის-ხულმა. ამის შემდეგ კი გაჩერდა.

წავიდა თემურ-ლენგი. გიორგი მეფე ისევ დაეუფლა აოხრებულ საქართველოს და დაიწყო აღდგენა. მაშინ წავიდა მტარვალი თემურ-ლენგი და დაიპყრო თურქეთი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზი, ადარბა-დაგანი. დაატყვევა ბურსსში მჯდომი ხონთქარი, რომელსაც სახელად ბაიაზეთი ერქვა. იგი იყო ოსმანის მოდგმისა. მუჰამედის გამოჩენიდან ექვსი წლის შემდეგ, ასპარეზზე გამოვიდა ერთი კაცი, სახელად ოსმა-

ნი. რჯულით სუნიტი იყო. მან დაიწყო ავაზაკობა და შემოიკრიბა სხვა მრავალი ყაჩაღი და თანაშემწე. მეტისმეტად გამდიდრდა მრავალი ნაყაჩაღარით და დაიპყრო მთელი არაბეთი და ანატოლია. სატახტოდ ჰქონდა ბურსა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა თემურ-ლენგმა. ზემოხსენებული ოსმანის ძეები ფლობდნენ ბურსას და ბაიაზეთიც ოსმანის შთამომავალი იყო. შეებრძოლა თემურ-ლენგი და დაამარცხა. შეიპყრო ხონთქარი ბაიაზეთი და რკინის გალიაში ჩასვა. თავიდან ასე ჰყავდა დატყვევებული. დაიპყრო ბურსა და მისი შემოგარენი. კეისარიც დაემორჩილა მას, მიართვა მრავალი ძღვენი და ხარაჯა მისცა თემურ-ლენგს. რუსეთიც დაიპყრო. შემდეგ გამოემართა და ჩამოვიდა თურქეთში. იქ დასნეულდა და ბოროტი იგი და ბოროტად დაიღუპა.

მაშინ გაუნაწილა ქვეყნები თავის ძეებს: ზოგს ინდოეთი მისცა, ზოგს ხორასანი, ზოგს ადარბადაგანი. მას შემდეგ მეტად ვეღარ შემოვიდნენ მისი ძეები საქართველოში, რადგან ჩამოვარდა მათ შორის შუღლი და ბრძოლა. მაშინ მოისვენა საქართველომ და იწყეს აღმშენებლობა.

მეფობდა გიორგი მეფე და გარდაიცვალა. მოკლეს მეგრელებმა იმერეთის მეფე გიორგი. ამავე წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ დიდი და ტახტზე ავიდა კონსტანტინე ბაგრატის ძე. შვიდი წელი იმეფა და მოკლეს ჩალაღაში. თემურ-ლენგის შემოსევისას დიდოეთში გახიზნეს დავითი – ბაგრატის ძე და გიორგის ძმა. გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა, მაშინ ქართლელებმა და კახელებმა დიდოეთიდან ჩამოიყვანეს და გაამეფეს ქართლ-კახეთში. მაშინ კეთილად მწყემსავდა საქართველოს კათოლიკოსი ბასილი. დავითმა კარგად და მშვიდობიანად იმეფა. გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა გიორგი, მისი ძე. ცოლად ჰყავდა ნათია, ქუცნა ამირეჯიბის ასული[468]. შეეძინა სამი ვაჟი: ალექსანდრე, ბაგრატი და გიორგი. იმხანად კათოლიკოსი იყო გიორგი. გარდაიცვალა გიორგი კათოლიკოსი და აღასაყდრეს კათოლიკოსი ელიოზი. გარდაიცვალა ელიოზ კათოლიკოსი და აღასაყდრეს მიქაელი. გარდაიცვალა კათოლიკოსი მიქაელი და აღასაყდრეს დავითი.

ალექსანდრე დიდი[469]

კარგად და მშვიდობიანად მეფობდა გიორგი და გარკვეული დროს შემდეგ გარდაიცვალა. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ალექსანდრე, მისი ძე[470]. ქორონიკონი იყო 100 (1412 წ.). იმხანად კათოლიკოსი იყო დავი-

თი. გარდაიცვალა დავითი და აღასაყდრეს ელიოზი.[471] გარდაიცვალა ელიოზი და აღასაყდრეს კათოლიკოსი თევდორე.[472] მიიცვალა თევდორე კათოლიკოსი და აღასაყდრეს კათოლიკოსი შიო.[473]

ეს მეფე საქართველოს სხვა მეფეებს აღემატებოდა. იყო კეთილი კაცი, სრულად აღსავსე საღმრთო და საერისკაცო ზნეობის ცოდნით. სურვილი ჰქონდა ისევ აეშენებინა და უწინდელივით აღედგინა წმიდა ეკლესიები და საქართველო. მაშინ მთელი საქართველო ურჯულო თემურისგან იყო უნუგეშოდ განადგურებული. მთლიანად იყო აოხრებული დედაქალაქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია.[474] ასევე ყველა ეკლესია, საყდარი და ყველა ციხესიმაგრე მთლიანად საძირკვლიანად იყო დანგრეული და აოხრებული. ყველა ქრისტიანი დედაბუდიანად ჰყავდა ტყვეობაში. ასეთ გაჩანაგებულ საქართველოში გამეფდა. მის გამეფებამდე გამუდმებული ტყვეობა, რბევა და ოხრება ჰქონდა ჩვენს ქვეყანას. საქართველოს [მოსახლეობა] მეტად შემცირებული იყო მრავალი ტყვეობისა და რბევის გამო. არსაიდან გამოჩნდა ნუგეშისმცემელი, ვიდრე ალექსანდრე დიდი არ გამეფდა. მან დაიწყო ბრძოლა ურჯულოთა წინააღმდეგ. მრავალი ბრძოლითა და ზეგარდმო შეწევნით საქართველოდან განდევნა ყველა ურჯულო.

ქორონიკონი 102[475]: ალექსანდრე მეფე და ივანე ათაბაგი კოხტაში შეებრძოლნენ ერთმანეთს. თურქებმა ახალციხე ამოწყვიტეს.

დიდი გაჭირვებით გაზარდა მეფე ალექსანდრე ბებიამისმა რუსამ, ქუცნა ამირეჯიბის ყოფილმა ცოლმა. მან დიდი ღვაწლითა და გულმოდგინებით დაიწყო წმიდა სვეტიცხოვლის აშენება. თავდაპირველად ტაძრის სვეტების აგება და შემკობა დაიწყო, მაგრამ ისე გარდაიცვალა ამ წუთისუფლიდან, რომ ვეღარ დაასრულა მისი მშენებლობა. როგორც ალექსანდრე მეფეს სურდა, სწორედ ისე გადაწყვიტა და გაისარჯა: ოცდაოთხი წლისამ დაიწყო სვეტიცხოვლის აგება. თავიდან ააშენა, გააფართოვა, დაასრულა, ყოველგვარი სამკაულით შეამკო და გაამშვენა. პატრიარქად დაადგინა მიქაელი[476]. მრავალი წმიდა და პატიოსანი მონაზონი, მღვდელი, მგალობელი და მოწესე შეკრიბა. რაც კი ძველი დროიდან შემოსავალი ჰქონდა გაჩენილი, დაწესებული აღაპები იქნებოდა თუ სხვა საეკლესიო ქონება, ან ნაქონი მამულები, ამათ ბევრი მიუმატა და უფრო მეტად გაზარდა. ქართლ-კახეთში და სადაც მისი მკვიდრი მამულები იყო, რომლებიც უწინდელ ხელმფიფეთ, მამაპაპასა თუ დედა-შვილებს ჰქონდათ დაწესებული და შეწირული, ამა-

ნაც საჭიროდ ჩათვალა და ყველაფერი შესწირა. ასევე, სადაც ჰქონდა მოოხრებული სოფლები, ყველა აუშენა. მთელ საქართველოში შესწირა უდაბნოები, მონასტრები და ეკლესიები, სოფლები, აგარაკები, აზნაურები და გლეხები. ასევე ააშენა მცხეთაში მთავარანგელოზების სახელობის პატარა ეკვდერი[477] [თავის] დასაკრძალად.

ქორონიკონი 119 (1431 წ.) : ალექსანდრე მეფემ აიღო ლორე. ასევე გადაწყვიტა მთელ საქართველოში ციხეებისა და საყდრების აგება, ააშენა და გააფართოვა. იმხანად მის კარს შემოსავალი არსაიდან ჰქონდა. ამიტომ, საქართველოში კომლზე ორმოცი თეთრი მალი დააწესა. ას ოცდარვა ქორონიკონს (1440 წ.) დაასრულა საქართველოს ყველა ციხის, საყდრისა და მონასტრის სრულად აღდგენა და შემკობა. შემდეგ მის მიერ დაწესებული მალიც თვითონვე გააუქმა[478]. ყველა ქრისტიანი დიდ მშვიდობასა და მყუდროებაში ჰყავდა. თათრებიდან მოჰყავდა ხალხი და [აქ] ასახლებდა. ასე მართავდა საქართველოს.

ქორონიკონი 130 (1442 წ.): ქართლსა და იმერეთში მეფედ დასვა ვახტანგი,[479] პირველი შვილი. ცოლად შერთო ფანასკერტელის ასული, თაყა ფანასკერტელის და, დედოფალი სითიხათუნი. თვითონ კი მეფე ალექსანდრემ მონაზვნობა მიიღო, სახელად უწოდეს ათანასე. ქვითკირის დიდი სენაკები და სახლები აიშენა მცხეთაში მის მიერ აგებულ მთავარანგელოზის ეკვდერთან. იქ იმყოფებოდა სასოებითა და მოღვაწეობით, სანამ ცოცხალი იყო. როცა ვახტანგი, პირველი შვილი, ქართლსა და იმერეთში გაამეფა, მასთან დააყენა დიმიტრი, მისი უმცროსი ძმა.

ქორონიკონი 133 (1445 წ.): კახეთში მეფედ დასვა გიორგი, დიმიტრის უმცროსი ძმა[480]. ცოლად შერთეს ნესტან-დარეჯანი, იმერეთის მეფის ასული. მაშინ, როცა ალექსანდრე დაეუფლა იმერეთს, გააძევეს იმერეთის მეფე ბაგრატ კონსტანტინეს ძე.

მტარვალი თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ, ხონთქარ ბაიაზეთის ძეები ისევ დაეუფლნენ არაბეთსა და ანატოლიას. ისევ გაიხადეს სატახტო ქალაქად ბურსა და დაიბრუნეს მთელი მათი სამკვიდრო მამულები. უფრო მეტადაც გაძლიერდნენ და დაიწყეს ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ. ნელ-ნელა გაკადნიერდნენ მათზე და უკვე მთელ საბერძნეთზე მძლავრობდნენ. შემდეგ გადაწყვიტეს დიდი სატახტო და სამეფო დედაქალაქის კონსტანტინოპოლის აღება. განუწყვეტელი ძლიერი ბრძოლები ჰქონდათ ერთმანეთთან. აჯობეს ოს-

მალებმა და ხონთქარმა სულთან მაჰმადმა. უკან დაიხიეს ბერძნებმა. მძვინვარე თავდასხმებით მეტად შეავიწროვეს კეისარი, ალყაში მოაქციეს სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი. აჯობეს ოსმალებმა და აიღეს კონსტანტინოპოლი. ქორონიკონი იყო 132, ქრისტეს აქეთ 1445 [წელი][481]. იმხანად კეისარი იყო კონსტანტინე პალეოლოგი. პატრიარქი გარდაცვლილი იყო. დაიპყრეს ოსმალებმა მთელი საბერძნეთი და დაეუფლნენ მას. როცა კონსტანტინოპოლი აიღეს, მაშინ დაბნელდა მზე. ეს ამბები ვრცლადაა აღწერილი საბერძნეთის ისტორიაში. და იყო გამუდმებული ძლიერი ბრძოლები.

ასევე შუღლი და ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთში თემურ-ლენგის ძეებს. მეტად ემტერებოდნენ ისინი ერთმანეთს. მაშინ განთავისუფლებული იყო საქართველოს მოსახლეობა, იყვნენ მშვიდობით და მოსვენებით. ამავე ქორონიკონში[482] ჯანშა ყაენი[483] თავს დაესხა ახალციხეს. ამავე ქორონიკონს გარდაიცვალა ივანე ათაბაგი.

ქორონიკონი 133 (1445 წ.): ალექსანდრე მეფემ კახეთში დასვა გიორგი,[484] დიმიტრის უმცროსი ძმა და მისცა მთების მხარე ზემო ადგილები. იქიდან [მოკიდებული] არაგვს გამოღმა [მიწები] ხევძმარამდე. შემდეგ, ხევძმარადან გაყოლებით ლილოს სერამდე და რაც ლილოს სერიდან ნაკადულები შეერთვის მარტყოფის წყალს. [აქედან] გაყოლებით ამართულამდე. ამართულადან აჯისუმდე. აჯისუდან მტკვრის შესართავამდე და მის ქვემოთ, მტკვრის გამოღმა მხარე და შაქისი შირვანის საზღვრამდე.

[ათანასე ალექსანდრეყოფილმა] მცირე ხანი კიდევ იცოცხლა და მერე აღესრულა მოხუცებული. მაშინ კათოლიკოსი იყო შიო. ალექსანდრე რომ გარდაიცვალა, მაშინ დაბრუნდა იმერეთში ბაგრატ მეფე, იმერეთის მეფე კონსტანტინეს ძე. გამოაძევა ვახტანგი, ალექსანდრე მეფის ძე და დაეუფლა იმერეთს.

ქორონიკონი 135 (1447 წ.): ბრძოლა გამართეს ყვარყვარემ[485] და აღბუღამ.[486] ამავე ქორონიკონში გარდაიცვალა ვახტანგი. ძე არ დარჩენია. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა დიმიტრი, მისი უმცროსი ვაჟი. ცოლად ჰყავდა დედოფალი გულანშარი. მეფობდა კარგად და მშვიდობისმყოფელი მეფობით. გარდაიცვალა შიო კათოლიკოსი და კათოლიკოსად დასვეს დავითი,[487] ალექსანდრე მეფის ძე.

ქორონიკონი 141 (1453 წ.): გარდაიცვალა დიმიტრი მეფე, დარჩა ვაჟი – კონსტანტინე. ამის შემდეგ ქართლის ტახტისთვის ბრძოლა გაიმართა კახეთის მბრძანებელ გიორგისა და ბაგრატს შორის. ბაგრატი

ალექსანდრე მეფის ძმა იყო, კახეთის მბრძანებელი გიორგი კი, ზემოთ რომ ვახსენეთ – მისი შვილი. აჯობა გიორგიმ ბაგრატს და გამეფდა ქართლში. ცოტა ხანი იყო და მერე გააძევეს გიორგი. ტახტზე აიყვანეს ბაგრატი, ალექსანდრე მეფის ძმა და მეფე გიორგის [ბიძა]. კახელებმა კი მეფედ გამოაცხადეს [გიორგი]. ამიერიდან კახელები მეფეს უწოდებენ კახეთის მბრძანებელს. როცა ქართლის სამეფო ტახტს ბაგრატ მეფე დაეუფლა, დაიმორჩილა ქართლელები და მესხები, შეკრიბა ლაშქარი, ჩავიდა კახეთში, დაიმორჩილა კახელები, გააძევა თავისი ძმისშვილი და დაეუფლა კახეთს.

მესამე ტექსტი[488]

ღმერთის სახელით ახლა შევუდგეთ ბაგრატიონთა მეფობის ისტორიის [თხრობას].

ქორონიკონი 142 (1454 წ.): გამეფდა ბაგრატი, გიორგის ძე, ალექსანდრე მეფის ძმა. ცოლად ჰყავდა დედოფალი ელენე. ჰყავდათ ვაჟები – ალექსანდრე და დავითი. მეფეთ მეფე ბაგრატის ზეობისას ქრისტიანები მეტად მოსვენებით იყვნენ. იმხანად ცხოვრობდა დიდებული ყაენი ასანბეგი, ორივე საყაენოს მბრძანებელი. დიდი თემურის შემდეგ საქართველო აღარასოდეს იყო დარბეული. იყო აღმშენებლობა და სიწყნარე. იმხანად საქართველოში არც ხარაჯა იყო, არც მალი. საქართველოს ყველა სამეფო და კუთხე გათავისუფლებული იყო თურქების მონობისაგან. მეფე ბაგრატი იყო მდიდარი და სახელგანთქმული. იგი ფლობდა ქართლს, სომხითს, ემორჩილებოდნენ ლორეს პიტიახშები, კახეთის, შარვანისა და სამცხის [მბრძანებლები];[489] [მორჩილებაში] ჰყავდა იმერლები, მეგრელები, გურულები, აფხაზები, სვანები, ჯიქები და კავკასიის მთის მცოხვრებნი. მის დროს განდგნენ დადიანი და გურიელი. აიყოლიეს მეგრელები და აფხაზები. გაერთიანდნენ და აღარ ემორჩილებოდნენ ბაგრატ მეფეს. გაწყრა მეფე, შეკრიბა ლაშქარი, მივიდა და ცხენისწყალთან დაბანაკდა. მეორე მხრიდან ისინი მოადგნენ, დაირაზმნენ და შეიბნენ. ინება ღმერთმა, გაიქცნენ დადიანი და მეგრელები. დახოცეს, დაატყვევეს და მუსრი გაავლეს ქართლელებმა. გამოედევნენ, შეიჭრნენ [ოდიშში] გადაწვეს და დააქციეს ციხესიმაგრეები. დაბრუნდნენ გამარჯვებულები და თან წამ-

ოიყვანეს ტყვეები და მძევლები. ამ დროს მოუცლელი იყო მეფე. ლიხს იქით იყო [გადასული] და ქართლელებიც თან იახლა.

ქორონიკონი 144 (1456 წ.): ყაენმა უზუნ-ჰასანმა შეკრიბა [ჯარი], ჩამოვიდა სომხითში, მოადგა საბარათიანოსა და ორბეთის ძირს. მეტად კარგად დახვდნენ ბარათაშვილები, გამაგრდნენ და ვერაფერი დააკლეს. მოვიდნენ და თბილისი აიღეს. თვითონ ყაენი მუხრანში გაჩერდა. აივსო ქართლი ლაშქრით, მთელი ქართლი მოოხრდა. დაიბარა ყაენმა ბარათაშვილები, მათი ნდობა მოიპოვა, შეხვდა და შეიწყალა. მრავალი [ძღვენი] მისცა, ყელამდე აავსო. მაშინ აიყარა ყაენი, წავიდა და გამოუშვა შეწყალებული ბარათაშვილები, მრავალი საბოძვარი მისცა. ამის შემდეგ გავიდა წლები.

ქორონიკონი 150:[490] შემდეგ ყაენი უზუნ-ჰასანი შემოვიდა სამცხეში, ყვარყვარეს დაეხმარა. ჩიხორში ბძოლა გამართეს ბაგრატ იმერთა მეფესთან და ყვარყვარე ათაბაგმა გაიმარჯვა.

ქორონიკონი 151 (1463 წ.): ქართველთა მეფემ თავრიზში გაილაშქრა და თემურა ააოხრა.

ქორონიკონი 153:[491] ყვარყვარემ შეიპყრო იმერეთის მეფე ბაგრატი და ციხეში ჩააგდო.

ქორონიკონი 1[5]3:[492] 21 წელს,10 ოქტომბერს გარდაიცვალა ათაბაგი ბაადური.[493] დასაბამიდან ექვსი ათას ცხრაას ოთხმოცდაორ ქორონიკონში.

ქორონიკონი 164 (1476 წ.): უზუნ-ჰასანმა კვლავ შეკრიბა ურიცხვი ხალხი და დიდი ძალებით შემოესია სამცხეს. შეიტყო ამის შესახებ ყვარყვარემ და მისმა ორმა ძემ. პირდაპირ შებრძოლება არ შეეძლოთ მათი ჯარის სიმრავლის გამო. გადაწყვიტეს, სამიდან ერთი წასულიყო და დაეცხრო იმ მტარვალის გულისწყრომა, რომ აღარ ჩამოსულიყვნენ სამცხის ქვეყანაში. ჩამოვიდა სამცხეში, მერე აწყურს მიადგნენ. მრავალი ქრისტიანი ამოწყვიტეს – მღვდლები, მონაზვნები და საერონი. მთელი სამცხიდან წაიყვანეს ტყვეები. აიბარგა ყაენი და დაბრუნდა თავის საყაენოში. დაატყვევეს აწყურის ღვთისმშობლის ხატი და თავის ქვეყანაში წააბრძანეს. ენით აუწერელი დიდი გლოვა და მწუხარება იყო მთელ მესხეთში. ადგა ყველა და ქართლში ჩავიდა. შვიდი წელი იქ მწირობდნენ.

გარდაიცვალა კახეთის მეფე გიორგი, ალექსანდრე მეფის ძე და მის ნაცვლად გამეფდა ძე მისი ვახტანგი.[494]

გავიდა ცოტა დრო და კონსტანტინე წავიდა თათრებში. ქართველ წარჩინებულთაგან სხვამ ვერავინ გაბედა თათრებში წასვლა და ბატონის ხლება. მეტად ერთგულად და მაგრად იდგნენ ბარათაშვილები. სწორედ ისინი გაჰყვნენ თან და ემსახურებოდნენ. მზეჭაბუკიც[495] წაჰყვა, ყვარყვარეს პირმშო ძე.[496]

გაწყრა ღმერთი საქრისტიანოს ამოწყვეტის გამო, ღვთის დაშვებით სასიკვდინე სენი დაემართა ყაენს.[497] ღმერთმა [ასე] განაგო და მოკვდა ყაენი უზუნ-ჰასანი. ხელისუფლება მიიღო მისმა ძემ, სულთანმა. იაღუბი, მისი ძმა, ტახტს ეცილებოდა. მიატოვეს თათრებმა თბილისი და სომხითი, ბაგრატ მეფემ კი დაიკავა. თავს დაესხნენ ბარათაშვილები, ააწიოკეს ელები და ბევრი თათარი დახოცეს.

სულთანი და თათრების რჯულის მოძღვრები [მზეჭაბუკს] თავის სარწმუნოებას უქადაგებდნენ. მზეჭაბუკმა არაბულიც იცოდა, სპარსულიცა და თათრულიც. ისე იცოდა მათი ენები და მწერლობა, რომ ყველაფერში საფუძვლიანად ერკვეოდა. საღმრთო სიტყვები ამოდიოდა მისი პირიდან. მათი რჯულისაც ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა და მათივე რჯულის წიგნებით დაადუმა მათი უდიერი ბაგეები. ამის გამო მას შემდეგ ვეღარავინ გაბედა მასთან სიტყვის დაძვრა. ამგვარი ძლევაც მიეცა [ღვთისგან]: იმ ურჯულო მთავარს ერთი კაცი ჰყავდა, ფალავნების უფროსი, დიდი და ბუმბერაზი. სახელად მალანი ერქვა. ყველა კაცს დაახლოებით ერთი წყრთით,[498] ან უფრო მეტით აღემატებოდა სიმაღლეში. იმ მრავალრიცხოვან ხალხში არავინ გამოჩნდა, ვინც მას შეერკინებოდა. ერთხელ მან მოისურვა მზეჭაბუკის გამოცდა. ეს რომ გაიგო, აღარ დააყოვნა. არამედ, როგორც ლომი სწრაფად შეებრძოლა, ღმერთსა და ყოვლადწმიდა აწყურის ღვთისმშობელს მინდობილმა აიყვანა და სასირცხვილოდ დასცა მიწაზე. ეს დაინახა მთელმა ლაშქარმა და დიდებულმა ხალხმა, მეტად გაკვირდნენ და ვერაფრის თქმა ვეღარ შეძლეს. ეს და სხვა უფრო მეტი სიმხნე-გაბედულება შეიძინა. ბრძანა ღმერთმა და დიდი პატივით გამოგზავნა სულთანმა კონსტანტინე და მზეჭაბუკიც თან გამოატანა. ყაენისგან შეწყალებული დაბრუნდა კონსტანტინე თათრებიდან. ამის შემდეგ იაღუბმა აჯობა სულთანს, დაეუფლა საბრძანებელს და ეშმაკის განზრახვით ყაენი გახდა იაღუბ-ბეგი, ასან-ბეგის შვილიშვილი. ამასობაში გავიდა დრო, წუთისოფელმა თავისი ბეგარა არ დაიკლო, რაჭაში გარდაიცვალა ბაგრატ მეფე. დიდი გლოვა და მწუხარება იყო სამეფოში. აიღეს

[მისი ცხედარი] და დაკრძალეს გელათში, მათ განსასვენებელში. და კიდევ გავიდა დრო.

ქორონიკონი 166 (1478 წ.): გამეფდა კონსტანტინე,[499] ალექსანდრე მეფის ძის, დიმიტრის ვაჟი. კარგად მეფობდა, აღარ იყო შეწუხება თათრებისგან. დაიმორჩილა იმერლები, მეგრელები და აფხაზები; ემსახურებოდა ათაბაგი და კახელებიც ემორჩილებოდნენ. არავინ აწუხებდა ქრისტიანებს, იყო მშვიდობა და სიწყნარე.

დავუბრუნდეთ ზემოთქმულს. მაშინ, როცა უზუნ-ჰასანი ძლიერი ლაშქრით შემოვიდა და უცხო ქვეყანაში წააბრძანეს აწყურის ღვთისმშობლის ხატი, ღვთის ასეთი რისხვა მოიწია: არც დედაკაცი და არც პირუტყვი აღარ შობდა, არც ხე იძლეოდა ნაყოფს და აღარც მიწა აღმოაცენებდა. დიდი კვლევა-ძიება იყო მათ შორის ამ უცნაური ამბის გამო. ამბობდნენ: „ეს რა არისო?“ ზოგი ამბობდა: „შემთხვევით მოხდაო“, სხვები კი რაღაც სხვა მიზეზს ამბობდნენ. ხოლო იმ ქვეყნის უბრძნესმა კაცებმა ასე თქვეს: „როცა საქართველოში ვილაშქრეთ, მაშინ ერთ დიდ საყდარში დიდი პატივით შემკობილი რაღაც ფიცარი ვნახეთ და წამოვიღეთ. მაშინდელი ჩვენი მგზავრობისას უცნაური სასწაული ვიხილეთ მისგან. საღამოთი ბარგში ყველაზე ღრმა ადგილზე ჩავასვენეთ. რომ გათენდა, ამოსულიყო სიღრმიდან, მაღლა მჯდომარე ჩანდა და მზესავით ბრწყინავდა. უეჭველად მან მოახდინა ეს ამბავი ჩვენს ქვეყანაში და თუ გვინდა ამ უბედურებისგან თავის დაღწევა, მოვძებნოთ ის და მათ ქვეყანაში გავუშვათო“. მაშინ მოძებნეს ეს წმიდა ხატი. როცა იპოვეს, ასე იფიქრეს: „მოდით, გაუხედნავ ჩოჩორს დავაკრათ [ზურგზე], თუკი სწორად წავა თავისი გზით, გავიგებთ, რომ ამისგან არის ეს ყველაფერი; ხოლო თუკი სხვა მხარეს გატრიალდება, ესე იგი რაღაც შემთხვევითობაა და ამის მიზეზით არ არისო“.

როგორც კი ეს წმიდა ხატი ჩოჩორს აჰკიდეს, ისე გამართულად დაადგა სამცხეში მომავალ გზას, როგორც საუკეთესო მხედარი აღვირით ხელში მიმავალი. დაინახეს უცხოტომელებმა ეს სასწაული, დიდად გაიხარეს და პატივით გამოგზავნეს. თან გამოჰყვა ძალზედ ბევრი ცხენი, რომელთა ჩაზნექილი ზურგები დღესაც მეტყველებს მაშინდელი სასწაულის შესახებ. ხოლო უცხოტომელებმა თავი არ შეიწუხეს მათი ცხენების გულისთვის, რადგან იმ უზომო ჭირისგან გათავისუფლებას მოელოდნენ. [აწყურის ხატი] საღმრთო განგებულებით მოკლე დროში ჩამოვიდა სამცხეში, იმ ადგილზე, რომელსაც ახლა ელავსი

ჰქვია. დიდებული სასწაული მოხდა, რადგან მაშინვე განათდა მთელი სამცხე და უწინდებურად გაბრწყინდა. როგორც კი დაინახა ყველამ, როგორ ანაზდად შეცვალა ბნელი ნათელმა, გაიხედეს იმ ადგილისკენ და ელვასავით ბრწყინავდა ყოვლადწმიდის ხატი. გაკვირვებულებმა თქვეს: „რა არის ეს, ელვასავით მბრწყინვალეო?“. მას შემდეგ ეწოდა იმ ადგილს ელავსი. შეიკრიბნენ ყველანი, მივიდნენ და ნახეს ჩოჩორზე მჯდომი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მანათობელი ხატი და მრავალი ცხენი მის გარშემო. გაუკვირდათ უცნაური და საოცარი ელვის გამო, ადიდეს ღმერთი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, მხურვალე ცრემლებით შეჰღაღადეს: „კურთხეულია მოსვლა შენი, სახიერი ღმერთის დედაო. რატომ დაგვტოვე ამდენი ხანი ბნელში ისინი, ვინც შენ მიერ ვიხილეთ შენი ძის ღვთიური ნათელი?“

როგორც კი ქართლში მყოფმა მესხებმა გაიგეს, რომ სასწაულებრივად დაბრუნდა ხატი და სამცხეს ნათელი მოეფინა, დიდი სიხარულით გაიხარეს და თქვეს: „უსათუოდ ყოვლადწმიდის ხატი მობრძანდა, ავდგეთ და წავიდეთ ჩვენს ქვეყანაშიო“. კონსტანტინე მეფე კი აჩერებდა და არ აძლევდა წამოსვლის ნებას. როგორც კი დრო იხელთეს, ერთ ღამეს ადგნენ და მთელი მათი ოჯახებით წამოვიდნენ. გაიგო მეფემ მესხების წამოსვლის ამბავი, ამხედრდა და თავისი ლაშქრით გამოედევნა, როგორც ოდესღაც ფარაონი ისრაელს. წამოეწივნენ იმ ადგილზე, რომელსაც არადეთი ჰქვია. შემოუბრუნდნენ მესხები აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელით და დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. შეიბნენ კონსტანტინე მეფე, ყვარყვარე ათაბაგი და მესხები. ქორონიკონი [იყო] 171, აგვისტოს თვის 13 [რიცხვი] (1483 წ.). გაიმარჯვეს ათაბაგმა და მესხებმა. ისეთი გამარჯვება მოიპოვეს მესხებმა ქართლელებზე, რომლის მსგავსი არსად გაგონილა. მეფის მრავალი წარჩინებული დახოცეს. გაქცეული მეფე კი მცირეოდენი მხედრობით გადარჩა და თავისთან გაბრუნდა. ძლევაშემოსილი მესხები გამობრუნდნენ მშვიდობით, ადიდებდნენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და ჩამოვიდნენ სამცხეში. ამის შემდეგ გავიდა ორი წელი. მერე კი, როგორიც არის ეშმაკის წესი და ჩვევა, სიკეთის მოძულე ეშმაკმა ქრისტიანების წინააღმდეგ აამხედრა თათრები. შეკრიბა თურქმანების ურიცხვი სიმრავლე და გამოემართნენ სამცხისკენ.

ქორონიკონი 173 (1485 წ.). მოვიდნენ [თურქმანები] და მოადგნენ ტაშირს. შემოუთვალეს ქართლის მეფეს, რომ ქვემო ქართლის

მკვიდრნი თავს დაესხნენ სამცხეს. ეს გაიგეს ყვარყვარემ[500] და მისმა ძეებმა, მზეჭაბუკმა[501] და ბაადურმა,[502] შეკრიბეს თავისი მხედრობა და ჩადგნენ კლდოვანი მთის გამაგრებულ ადგილში რადგან, როგორც კი მოუახლოვდებოდნენ, მყის დარაზმულიყვნენ და შებრძოლებოდნენ. მთელ მათ დანარჩენ თემებსა და სამფლობელოებს უბრძანეს ციხეს-იმაგრეებში შესვლა და გამაგრება. წმიდა დედაქალაქის[503] ეპისკოპოს-საც უბრძანეს, რომ აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ციხ-ეში, საგანძურის საცავში დაესვენებინათ.

ასე გააკეთეს [და შემდეგ], 174 (1486 წ.) ქორონიკონში, ურიცხვი ხალხ-ით მოვიდა იაღუბ ყაენი. მის ერთ თავადსა და ლაშქარს უბრძანა, რომ სამცხე დაეკავებინა. ჩავიდნენ და მთლიანად დაიკავეს, გააჩანაგეს სამ-ცხის ქვეყანა. მერე მოადგნენ ციხე-ქალაქ ახალციხეს. დიდი ხანი უტევდ-ნენ, ვეღარ გაუძლო სიმაგრემ, გატეხეს ციხე და გადაწვეს ქალაქი. ხელში ჩაიგდეს მეციხოვნე წარჩინებული მესხები. მერე აიყარნენ და მოადგნენ ციხე-ქალაქ აწყურს. გადაწვეს აწყური და ააოხრეს ქალაქი. ვერ შეძლეს ციხის ბრძოლით აღება და წასვლა გადაწყვიტეს. ეთათბირნენ მეციხ-ოვნეებს, მშვიდობა აღუთქვეს, რომ არ დააქცევდნენ საყდარსა და ციხეს. ამ პირობაზე ენდნენ და გამოვიდნენ. შესცდნენ ციხის მცველები, მაწ-ყვერელი [ეპისკოპოსი] და მასთან ერთად სხვა წარჩინებულები. ითათბი-რეს, აიღეს ციხის კლიტეები და თხოვნისა და ბრძოლის გარეშე მიართვეს იმ უღმერთო მთავარს. მან მეტად გაიხარა და აღუთქვა, რომ არაფერს ავნებდა მათ. დანებდნენ. როგორც კი შევიდნენ ციხეში, შეუტიეს, როგორც მხეცებმა და მიმოიტაცეს საყდრის მთელი საგანძური. დედაბუ-დიანად ამოწყვიტეს მახვილით ურიცხვი ხალხი, სხვები კი ტყვედ წაიყ-ვანეს. ხოლო ჩვენი ყოვლადწმიდა სასოების (იმედის) ხატი, პატიოსანი თვლებით შემკობილი, ჩვენი ცოდვების გამო დაატყვევეს და ურჯულო მთავარს მიჰგვარეს. იგი მეტად გააკვირვა ხატის მორთულობამ და თვ-ლების სიძვირფასემ. თავისი ბილწი ხელით გაძარცვა ხატის სამკაული. ამის შემდეგ აანთეს ძალიან დიდი ცეცხლი და შიგ ჩააგდეს. ცეცხლი მი-ნავლდა, მაგრამ ხატს საერთოდ არ შეეხო, ნაიარევიც არ დააჩნდა, რაც მრავალმა ნახა და ჩვენი თვალითაც [ვიხილეთ]. ეს სასწაული ნახა მათ ლაშქარში მყოფმა ერთმა რჯულით არამართლმადიდებელმა ქრისტიან-მა. აიღო ყოვლადწმიდის ხატი და შეახვია წმიდა ფილონში.

მაშინ ბრძანა ყაენმა სომხითის დარბევა. ბარათაშვილმა იხმო მისი რჩეული ლაშქარი, ფარულად მივიდა, დმანისში და ქვეშისხევში მოუ-

ლოდნელად დაესხა თავს. უამრავი ნადავლი და ტყვე წამოასხეს. ცნობილი გახდა ბარათაშვილების ამბავი – მცირერიცხოვანი ლაშქრით გზა გადაუღობეს, ღმერთმა ინება და ისე გაიმარჯვეს, რომ ერთმა ქართველმა ასი და ორასი მოკლა. დახოცეს, ამოწყვიტეს და დაატყვევეს. ცოტანი გამოექცნენ, კარგი ცხენები ვისაც ჰყავდათ. თვითონ კარგი [კაცი], კარგად იყო სულხან ბარათაშვილი. ერთი ისეთი წარჩინებული მოკლა, რომ ყაენის კარზე მისი სადარი არავინ იყო. სხვებს, [მისგან] დახოცილებს, თვლა არ ჰქონდათ. ვინც გადაიხვეწნენ, ყველანი ყაენთან მივიდნენ. დაღონდა და დადარდიანდა ლაშქრის ამოწყვეტის გამო. ამის შემდეგ აიყარა ყაენი და წავიდა სამცხიდან. სექტემბრის თვეში, 25 [რიცხვში] დაატყვევეს აწყურის ღვთისმშობელი, ხალხი და [ყველაფერი], რაც კი ციხესიმაგრეში იყო. მრავალი სული წაასხეს თან და გაბრუნდა ყაენი თავის საყაენოში.

ზემოთ რომ ვახსენეთ, [იმ] ქრისტიანმა, რჯულით არამართლმადიდებელმა კაცმა, მათ ქვეყანაში წაასვენა [ხატი]. ეს გაიგეს ყვარყვარემ, მისმა მეუღლემ და ძეებმა, განრისხდნენ ციხის გამცემებზე. მაწყვერლისა და სხვა ყველა შინაგამცემის სიკვდილით დასჯა ბრძანეს. ბუნებითი მოწყალებისგან იძლია [ყვარყვარე], აღარ დასაჯა სიკვდილით, არამედ ქვეყნიდან განდევნა. ამის შემდეგ მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი. მონახეს პონტოელი [კაცი], ქალაქ ტრაპიზონიდან, სახელით სიმონი. იმხანად ტბეთის საყდრის საჭეთმპყრობელი იყო. ბოლოს მას უბოძა მაწყვერელობა.

როგორც ზემოთ ვთქვი, იმ კაცს დიდი პატივით ჰქონდა [შენახული] ჩვენი ყოვლადწმიდა მფარველის აწყურის ღვთისმშობლის ხატი. გამოეცხადა იმ კაცს და უთხრა: „თუკი არ წამიყვან ჩემს ქვეყანაში, დიდ უბედურებას შეგამთხვევო“. სწრაფად წამოვიდა ის კაცი და ყოველივე აუწყა პატრონ ყვარყვარესა და მანუჩარს. მათ დიდი სიხარულით გაიხარეს და სწრაფად გაგზავნეს სარწმუნო ხალხი. გამოიხსნა [ხატი] პატრონმა მანუჩარმა. როცა მივიდნენ, იცნეს, დაემხნენ [მის წინაშე] და თაყვანი სცეს. აიღეს და წამოასვენეს ის წმიდა ხატი. აიყვანეს და დაასვენეს აწყურში, თავის საყდარში.

ამასობაში გავიდა მცირე ხანი და ყაენმა გამოგზავნა ხალიბეგი. დაიწყო ქაოზიანებისა და არჯაყელის ციხის აშენება. გაწყრნენ ბარათაშვილები, არ მისცეს საშუალება და დაუწყეს სამაგიერო მტრობა და წყენა. გაგულისდა ყაენი და ლაშქარი მიაშველა ხალიბეგს. შეიკრიბნენ და მოადგნენ თბილისს. მრავალი დღის განმავლობაში ებრძოდნენ და ვერაფერი

დააკლეს, რადგან მტკიცედ იდგნენ. ყოველდღე იყო ბრძოლები, მაგრამ ციხის აღების ძალა არ ჰქონდათ. მერე შეიკრიბნენ ბარათაშვილები, შემოუთვალეს მეფე კონსტანტინეს და შველა ითხოვეს მისგან. გაგზავნა მეფემ ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახი ჯავახიშვილი ცოტაოდენი აზნაურებითა და ლაშქრით. წინ გაუძღვნენ ბარათაშვილები, მივიდნენ და თავს დაესხნენ ჭანდრებში მდგომ თათრების მონაპირე ჯარს. განდევნეს და დახოცეს ისე, რომ მაცნეს გარდა ერთიც ვერ გაექცათ. ყელამდე აივსნენ აბჯრებით, ალაფითა და ბარგით. ეს გაიგეს ქალაქში მდგომმა თურქმანებმა, დაეხსნენ თბილისის ციხეს და ქვევით დაუყვნენ. კუმისის ბოლოს გზა გადაუღობეს, შეებნენ მეწინავე ლაშქარს, გააქციეს და ისე ამოხოცეს, რომ თათრებს თავებს სჭრიდნენ და ვენახის ღობეებსა და მარგილებზე აცმევდნენ. მერე განრისხდა ღმერთი, ზემოდან მოულოდნელად დაესხნენ ჩასაფრებულები, შუაში შეიყარნენ და, რაც ქაიხოსრო ბარათაშვილმა და ჯავახმა ჩაიდინეს, უწინდელი დროის გმირებსაც არ გაუკეთებიათ. ისე მოხდა, რომ ულუსის ლაშქარზე ომითა და ხმლით წამოვიდნენ. [მათი] ლაშქარი მსუბუქად დაზარალდა, თვითონ კი გადარჩნენ ღვთის ნებითა და შეწევნით. ამის შემდეგ წავიდა თურქმანების შერცხვენილი ლაშქარი და ორბეთის ძირში დადგა. ეცადნენ თათრები, მაგრამ სულ ბარათაშვილები და ორბეთისძირელები იმარჯვებდნენ.

ამის შემდეგ ადგნენ ხალიბეგი და ყაენის სხვა თავადები, მივიდნენ და დახმარება სთხოვეს ყაენს. ერთი წელი გავიდა, ჯარი მიაშველა. ძალები მოიკრიბა [ხალიბეგმა] და დაიძრა სომხითისა და ორბეთის ძირის წინააღმდეგ. წამოვიდა კოჯრის ციხეზე, ალყაში მოაქცია, დაუწყო ბრძოლა და თოფის სროლა. მოიმწყვდიეს შიგნით სოლოღაშვილები.[504] დიდი ხანი იყო ბრძოლა, შეაწუხეს მტრებმა თოფის სროლით და ცოტათი ციხეც დაანგრიეს. ვეღარ გაუჩერდნენ, რადგან დამხმარეც აღარ ჰყავდათ. ერთ ღამეს შეწყდა თოვა, გამოვიდნენ ციხიდან, ციხე ცარიელი დააგდეს და თვითონ მთებსა და სიმაგრეებს მიაშურეს. რომ გათენდა, ნახეს თათრებმა დაცლილი ციხე, შევიდნენ შიგნით და ვერავინ იპოვეს. მიადგნენ და დააქციეს. ციხის აღება რომ შეიტყო, დადარდიანდა მეფე, რადგან შეყრილი [ლაშქრით] ნიჩბის წყალთან იდგა.

ამის შემდეგ ადგნენ თათრები და მოადგნენ თბილისის ციხეს. ყოველდღე იყო ბრძოლები, ესროდნენ თოფებს, მაგრამ ციხის ასაღებად საკმარისი ძალა არ გააჩნდათ, რადგან ბარათაშვილები ედგნენ მხარში [მეციხოვნეებს]. მეფე ხალხს მოუწოდებდა, მაგრამ არ უშველეს. იმერლები

განდგომილები იყვნენ, მესხებმაც არ უშველეს. ამის გამო ომი ვერ გაბედა მეფემ. დიდი ხანი იყვნენ ქალაქს მომდგარი. თათრებს ომი მობეზრდათ. ციხეს ვერაფერი დააკლეს. მერე დარაზმეს ლაშქარი, გადაწყვიტეს ორბეთის ძირის დარბევა. აარჩიეს ათას ხუთასი მხედარი, მსუბუქად შეიარაღებული მრავალი მოლაშქრე და გამთენიისას მიადგნენ ორბეთის ძირს. თავს დაესხნენ, აიკლეს და ამოწყვიტეს მთის სოფლები. იშოვეს ურიცხვი განძი, ტყვეები და ალაფი. ამასობაში შეიტყვეს ბარათაშვილებმა. ენაგეთში იყვნენ ისინი და მათთან ერთად იყვნენ ქაიხოსრო თურმანიძე და მეფის ცოტაოდენი სხვა ყმები. გაისმა [ბრძოლის] ხმა და ისე შემოუტიეს, როგორც ვეფხვებმა. აქედან სულხან ბარათაშვილი და მისი ძმები წამოვიდნენ, იქიდან სხვა ბარათაშვილები მიეწივნენ უკან. შეებრძოლნენ, გააქციეს, მიიმწყვდიეს ხევებსა და ღრანტეებში, ისე დაუწყეს ხოცვა, როგორც ქათმის ვარიებს. ღმერთმა გამარჯვება ქრისტიანებს მისცა. ურიცხვი ამოწყვიტეს, რადგან არ იყო სიკვდილის განცდა. სისხლის ნაკადული მოდიოდა. ვინც სიკვდილს გადაურჩა, ხელში ჩაიგდეს. ერთი ისეთი თავადი დაატყვევა მერაბ ბარათაშვილმა, რომ ყაენის კარზე მას არავინ სჯობდა და ყაენის ახლობელიც იყო. ისეთი გამარჯვება მისცა ღმერთმა ბარათაშვილებს, რომ თითო ტყვე ქალს სამი და ოთხი მუსულმანი მოჰყავდა ყელზე დოლბანდგამოდებული.

თავდაპირველ ბრძოლას ვეღარ მიასწრეს ქაიხოსრო ჯავახმა, ქავთარ სოლოღაშვილმა და სხვა წარჩინებულებმა. უკნიდან თავს დაესხა მდევარი და რჩეული, შედარებით დიდი ლაშქარი. აქედან არც ამათ დაუთმეს გზა. შეიბნენ, ოცი კაცი სამასამდე თათარ მხედარს ხმლით წინ გადაუდგა. ღმერთმა ინება და მშვიდობით გადარჩნენ. ორ-სამჯერ დაუჭრეს ცხენები. ჩამოყრილები ისევ ამხედრდნენ. ჩვენი ქართველებიდან ერთი თურმანიძის მეტი არავინ დაგვაკლდა, ისიც ჯარმა გათელა. დიდი ულუსის ლაშქრიდან შედარებით ცოტანი წავიდნენ მაცნედ. სხვა ყველა დახოცეს და ტყვედ ჩაიგდეს. ეს რომ გაიგეს ქალაქში მდგომმა თათრებმა, შეშინდნენ, მიატოვეს ციხე და უკან გაბრუნდნენ. ბარათაშვილებს რომ არ გაემარჯვათ, ქალაქსაც ძალით წაართმევდნენ და ქართლშიც შემოიჭრებოდნენ. ამ დროს ინება ღმერთმა, წყალობით მოხედა ბარათაშვილების შეჭირვებას და მას შემდეგ თათრები ვეღარ ბედავენ ძალმომრეობასა და რბევას. გატყდნენ და შეშინდნენ ღვთის შეწევნით.

რამოდენიმე დღე გავიდა წმიდა ხატის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ. „არ დატოვა უფამა ცოდვილთა კვერთხი ნაწილსა ზედა მარ-

თალსა” (შდრ. ფსალ. 124, 3), არამედ „ვინ იტყვის შენს ძლიერებას უფალო, ან ვინ გახდის მოსასმენად შენს ქებულებას“ (შდრ. ფსალ. 105, 2) – ყოვლადწმიდა დედოფალმა საშინელი რისხვა მოუვლინა იაღუბის სახლს, მის თვისტომებს და მთელ მის გვარს. მცირე ხანში მთლიანად განადგურდნენ, მოისპნენ და გადაშენდნენ. ასეთი სიკვდილი ხვდა უღმერთო იაღუბს – რომელი ხელითაც გაბედა წმიდა ხატისთვის მახვილის შეხება, იმავე ხელით შეაზავა მომაკვდინებელი სასმელი. კარგი [დასალევი] ეგონა ღვთის სასჯელით შემცდარს. თვითონ შესვა იქიდან და თავის დედასა და ძმასაც გაუწოდა. იმათაც მიიღეს, მოსვეს, რადგან მათგან ურჩობა არ გამოდიოდა. როგორც კი შესვეს, ერთიანად და ერთდროულად დაიხოცნენ მტანჯველი სიკვდილით. მათთან ერთად გადაშენდნენ მათი სახლის სხვა მთავრები და წარჩინებულები. ზოგი მახვილით, ზოგი კი უცნაური სიკვდილით. მას შემდეგ მთლიანად დაემხო მათი ხელისუფლება. თუმცაღა ჩვენი ცოდვების სამხილებლად, ღვთის დაშვებით მოვიდნენ, ღვთის სახლი და წმიდა ჭურჭელი დათრგუნეს, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავისი ხატის შეურაცხყოფა არ მოითმინა და ისეთი რისხვა მიუვლინა, რომ მათი მოდგმა ჩვენს დრომდე საერთოდ გადაშენდა.

ქორონიკონი 177 (1489 წ.): ახალციხეს თათრები შემოესივნენ. ამავე წელს ალექსანდრე ბაგრატის ძემ აიღო ქუთაისი.

ქორონიკონი 179(1491 წ.): 10 სექტემბერს 54 წლისა გარდაიცვალა ქალბატონი დედისიმედი, ყვარყვარე ათაბაგის მეუღლე.

ქორონიკონი 183 (1495 წ.): 23 თებერვალს დაიბადა ბაგრატი, ალექსანდრეს ძე. კახეთის მეფე ვახტანგი და მისი ძმა ბატონი ალექსანდრე კახელებმა წაჰკიდეს და დაამდურეს ერთმანეთს.[505] შფოთში იყვნენ, დიდი ხანი შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში და ვერ რიგდებოდნენ. მერე კონსტანტინე მეფემ და დოროთეოს კათოლიკოსმა უშუამდგომლეს და 188 ქორონიკონში (1500 წ.) შერიგდნენ კახეთის მეფე ვახტანგი და მისი ძმა ბატონი ალექსანდრე. ამავე ქორონიკონში[506] 1 ივნისს 82 წლისა, გარდაიცვალა დიდი ბატონი ყვარყვარე.

ქორონიკონი 190 91502 წ.): 6 მაისს, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ათაბაგი, ბატონი ქაიხოსრო.[507]

ქორონიკონი 191 (1503 წ.): გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე[508]. მის წილ ტახტზე ავიდნენ დავითი[509], მისი ძე და დედოფალი ნესტან-დარეჯანი, დავით ბარათაშვილის ასული.

ქორონიკონი 193 (1505 წ.): გარდაიცვალა გელათის დიდი მონასტრის წინამძღვარი მანასე.

ქორონიკონი 197 (1509 წ.): აგვისტოს თვის 6 [რიცხვში], ალექსანდრე ბაგრატის ძემ აიღო გორი. ამავე წელს, ნოემბერის თვე იყო, 23 [რიცხვი], ქუთაისს შემოესივნენ თათრები. შიგნიდან და გარედან გადაწვეს გელათის დიდი მონასტერი, ქუთაისი, საყდარი[510] და სხვა ეკლესიები. ციხე ვერ აიღეს. ტყვედ წაასხეს აურაცხელი ქრისტიანი.

ქორონიკონი 198 (1510 წ.): 12 მარტს გარდაიცვალა დედოფალი თამარი. ამავე წლის 1 აპრილს გარდაიცვალა მეფეთ მეფე ალექსანდრე[511]. ამავე წელს გამეფდა იმერეთში მისი ძე ბაგრატი[512]. ამავე წელს ძლიერი ბრძოლა გაიმართა ქართლის მეფე დავითსა და ბაგრატს შორის. ბევრი რბევისა და ტყვობის გამო ქართლი ძალაგამოცლილი იყო. გორი ალექსანდრეს, ბაგრატის მამას, ჰქონდა აღებული და დაკავებული. ამ დროს დავით ქართლის მეფეს დაეხმარნენ კახეთის მეფე ვახტანგი[513] და ათაბაგი მზეჭაბუკი.[514] დავით მეფემ ვერ მიასწრო [ბრძოლას]. ივნისის თვეში, 3 [რიცხვში], მოხისში შეებრძოლა ბაგრატი ვახტანგსა და მზეჭაბუკს და გაიმარჯვა. ამავე წელს, 3 ნოემბერს გარდაიცვალა ქალბატონი ელენე დედოფალი, ალექსანდრეს დედა. ამავე წელს აღესრულა კახეთის მეფე ვახტანგი. მის ნაცვლად კახეთში გამეფდა ალექსანდრე, მისი ძმა.

ალექსანდრე კეთილი და ღვთისმოყვარე კაცი იყო, წმიდა ეკლესიების დიდი შემწე და ხატ-ჯვრების შემამკობელი. ალექსანდრემ და დედამისმა, დედოფალმა ნესტან-დარეჯან ბაგრატიონმა ალავერდის დაქცეული და დაძველებული სამხრენი[515] და გუმბათები[516] აღადგინა, მოახატვინა და შეამკო ხატ-ჯვრებით, წიგნებითა და საეკლესიო მორთულობით. ამის შემდეგ მთელი კახეთის საეპისკოპოსო საყდრები[517] შეამკო და შესწირა ყოველგვარი საეკლესიო სამკაული. ორი ძე ჰყავდა. უფროსს გიორგი ერქვა, უმცროსს – დიმიტრი. ამ გიორგიმ ბრძოლა დაუწყო ქართლს, რადგან ქართლის დაპყრობა უნდოდა. მამამისი ალექსანდრე და ძმა დიმიტრი ევედრებოდნენ: „ძმები არიან, არ უნდა შეეცილო და დაიპყრო ქართლი, შენთვის კახეთიც საკმარისიაო“. ნება არ დართეს, საფურცლეში წინ გადაუდგნენ. ამის გამო შუღლით აივსო გიორგი და საფურცლის ჭალაში ღალატით მოკლა მამამისი ალექსანდრე. აიღეს და დამარხეს კახეთის მეფეების საძვალეში, ალავერდის საყდრის შიგნით, უკანა ეკვდერში. მერე შეიპყრო დიმიტრი, თავისი ძმა და

თვალები დასთხარა. ქორონიკონი იყო 199 (1511 წ.). შემდეგ ცოლთან და შვილთან ერთად გამოაძევა დიმიტრი. ჩამოვიდა [დიმიტრი] მცხეთაში, სვეტიცხოველს შემოეკედლა და იმყოფებოდა რამდენიმე ხნით. ამ საქციელისთვის უწოდეს ავ-გიორგი. მამამისი ალექსანდრე რომ მოკლა გიორგიმ, შემდეგ თვითონ დაეუფლა კახეთს.

ქართლში მეფობდა დავითი, მშვიდობისმოქმედი და ღვთივსათნო კაცი. დავით მეფეს ჰყავდა ძმები – გიორგი, ბაგრატი, ალექსანდრე და მელქისედეკი მონაზონი. იმჟამად კათოლიკოსი იყო დოროთეოსი.[518] ავ-გიორგიმ შუღლით აღმართა მახვილი დავით მეფეზე[519] და მრავალი უკეთურება გაუკეთა ქართლს. დავით მეფე და მთელი მისი მხედრობა ერიდებოდა ავ-გიორგის სახლობას. ამის გამო უფრო მეტად გათავხედდა ავ-გიორგი. თავს ესხმოდა ქართლს, მრავალგზის ითარეშა ქართლში. ძირითადად ტყვეები მოჰყავდა ზემო ქართლიდან იმერეთის საზღვრამდე. თვითონ დავით მეფე ატენის ციხეში იყო შემწყვდეული. მრავალი დღის განმავლობაში ებრძოდა და ვერ წაართვა ატენის ციხე. გაბრუნდა შინ და თან წაიღო ბევრი ნადავლი.

მაშინ უთხრეს დავით მეფეს მისმა უმცროსმა ძმებმა: „ამის შემდეგ აღარ შეგვიძლია ამ კაცის ბოროტების მოთმენა. აქამდე კახეთიც ჩვენს მამებს ეჭირათ, მთელი კახეთი ჩვენი სახლის საბრძანებელს იყო დამორჩილებული. ახლა კი ისე გაგვიკადნიერდა, რომ ქართლსაც დაეუფლა და უნდა მთლიანად დაიპყროს. ახლა ჩვენც აღვსდგეთ მათ წინააღმდეგ და ვებრძოლოთ მათო“. მაგრამ დავით მეფე არ დათანხმდა, რადგან მისი მოსახელე დავითის მსგავსად,[520] როგორც [ის იყო] საულისთვის მშვიდი, [ისე ესეც] მშვიდი იყო და შურისძიება არ იცოდა. რაკიღა არ დაუჯერა, მაშინ ბაგრატმა, მისმა უმცროსმა ძმამ, დავით მეფეს საუფლისწულოდ სთხოვა მუხრანი და დროშა. დარაჯად გამოითხოვა ქსნის ერისთავი და არაგვის ხეობა. ხოლო დავით მეფემ მისცა.

ამგვარად წამოვიდა [ბაგრატი], ჩამოვიდა მუხრანში, მტვერის ციხეში, რომელიც ციხისძირის თავში არის და იქ დადგა. ეს რომ ავ-გიორგიმ გაიგო, რამდენის გამოყვანაც შეეძლო, შეკრიბა თავისი მხედრობა, წამოვიდა და მოადგა მტვერის ციხეს. სამი თვე ებრძოდა და ვერ შეძლო აღება. მაშინ ავ-გიორგიმ ერთი ხელადა ღვინო გაუგზავნა ბაგრატს და ასე შეუთვალა: „ამდენი ხანია მაგ ციხეში ხარ გამოკეტილი. წესი არ არის, რომ მეფის ძეს ღვინო შემოაკლდეს. აიღე ეს ღვინო, დალიე და გამხნევდი, რადგან პური და ღვინო ახარებს კაცის

გულს“ (შდრ. ფსალ. 103, 15). ბაგრატს გადასცეს ეს სიტყვა და ღვინოც [მასთან ერთად]. მაშინ ციხეში ახალი ორაგული ჰქონდა. ღვინის წილ ორაგული გამოუგზავნა და შემოუთვალა: „ამდენი ხანია [მდინარე] ქსნის პირას დგახარ და ორაგული არ მოურთმევიათ შენთვის. ჩვენ კი ასეთი „გაჭირვებული“ ცხოვრება გვაქვს. ახლა ეს მიირთვი და დარწმუნდი, რომ არ შეგიძლია ამ ციხის აღებაო“. მოართვეს ავ-გიორგის ორაგული. მაშინ მიხვდა, რომ მტკიცე ციხე იყო, სანოვაგით სავსე. მისი მხედრობაც შეწუხდა. მაშინღა აიყარა და შინ გაბრუნდა.

მცირე ხნით იქ გაჩერდა. შემდეგ გამოემართა ზემო ქართლში. ძლიერ გააჩანაგა, ბევრი ნადავლი წამოიღო და უშიშრად წამოვიდა. გაიგო ეს ბაგრატმა, მუხრანის ბატონმა. შეკრიბა თავისი მცირეოდენი მხედრობა და იმ ხევში ჩაუსაფრდა, ძალისსა და ჭაპურს შორის რომ მდებარეობს. ავ-გიორგის მხედრობის ერთი ნაწილი წინ იყო წამოსული [თავისი] ნადავლით. ხოლო ავ-გიორგი უკან მოჰყვებოდა ნადირობითა და გართობით. როცა მოუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ბაგრატი იყო ჩასაფრებული, მაშინ შეუტიეს გულსრულად, სწრაფად დაემხო მისი სილაღე და ამპარტავნება. ძალისში გამართეს ბრძოლა. თვითონ ბაგრატმა შეიპყრო [ავ-გიორგი], შეიხსნა სარტყელი და მხრები გაუკრა. ავ-გიორგი ენაბრგვნილი იყო. უთხრა ავ-გიორგიმ ბაგრატს: „ვის ეკადრება შეპყრობა და მხრების გათოკვა?“ მიუგო ბაგრატმა ავ-გიორგის: „ჯერ ეს გაგიკეთე და ახლა გეტყვი, რაც დაგემართება, ვინ ხარ, რა კაცი ხარ, რეგვენი და ჭკუანაკლული“. ავ-გიორგისთან მყოფი ზოგიერთი კახელიც შეიპყრეს, სხვები გაიქცნენ. წაართვეს ნადავლი, რომელიც მათ მრავლად ჰქონდათ წამოღებული.

201 ქორონიკონში, ქრისტეს აქეთ 1514 [წელს],[521] წაიყვანეს შეპყრობილი ავ-გიორგი და მტვერის ციხეში ჩააგდეს. ბაგრატმა ეს ამბავი შეატყობინა თავის ძმას, მეფე დავითს და გაიხარა დიდი სიხარულით. მცირე ხნის შემდეგ იმ ციხეში მოაშთვეს ავ-გიორგი და მოკვდა. მისი სიკვდილი შეიტყო მეფე დავითმა და შეწუხდა. მაშინ აიღეს მისი გვამი, წაიღეს მცხეთაში და მთავარანგელოზის ეკლესიაში ჩრდილოეთის მხარეს დამარხეს. წესი აუგეს და ჯეროვნად მიხედეს, როგორც მიცვალებულის წესია.

ავ-გიორგის ერთი ძე დარჩა. ბავშვს სახელად ლევანი ერქვა. ამის შემდეგ გაილაშქრა დავით მეფემ კახეთში. დაიპყრო მთელი კახეთი და მტკიცედ ეპყრა გარკვეული დროით. ჯეროვნად განაგებდა მეფე დავი-

თი ქართლ-კახეთს. ეს ბავშვი, ლევანი, დედამისთან ერთად გარსევან ჩოლოყაშვილის სახლში იმყოფებოდა. ლევანის დედა გარსევან ჩოლოყაშვილის ნათესავი იყო, რომელიც კახ-ბატონის სახლთუხუცესი იყო. შემდეგ აცნობეს დავით მეფეს ამ ყმაწვილის შესახებ, რომ ლევანი გაიზარდა კახეთში. გაგზავნა თავისი ძმა ბაგრატი, ქსნის ერისთავი და ამილახორი, რომ სადაც იყო მოეძებნათ ეს ყმაწვილი. მაშინ დაიწყეს ძებნა კახეთში, დიდებული თუ მდაბიო ხალხის სახლებში. გაუგზავნეს ბრძანება, ყველა შემოიფიცეს, რომ გაეთქვათ, სად იმყოფებოდა ეს ყმაწვილი. ასე შემოიარეს კახეთის ზოგიერთი მხარე. მაშინ წაიყვანეს ლევანი მოსკოვის კნიაზთან. დედამისი, ელენე დედოფალი კი, მაღრანის ციხეში აიყვანეს და გაამაგრეს ციხე. შემდეგ გარსევან ჩოლოყაშვილის სახლშიც მივიდნენ ბაგრატი, ქსნის ერისთავი და ამილახორი. იმ ღამით ჯეროვნად გაუმასპინძლდა, მეორე დღეს კი შეჰფიცა გარსევანმა, რომ „ვინც თქვენი თვალით ნახეთ, იმათ გარდა სხვა არავინაა ჩემს სახლშიო“.

გარკვეული დროით [მოსკოვის კნიაზთან] იმყოფებოდა. მერე დაბრუნდა ლევანი რუსთა მხედრობით, შემოვიდა კახეთში და ჩადგა ოჩონის ციხეში, რომელიც ივრის სათავეში დგას. მაშინ მთელი კახეთი შეიკრიბა მასთან, [ერთგულება] შეჰფიცეს, შეუერთდნენ ლევანს, წამოიყვანეს, მეფედ დასვეს და დაეუფლა ლევანი კახეთს. ეს ამბავი შეიტყო დავით მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა და გაემართა კახეთის წინააღმდეგ. გადაიარა გომბორი და ჩავიდა კახეთში. მაშინ ისევ დაეუფლა კახეთს, მთელი კახეთი შემოეგება. გაიქცა ლევანი, წავიდა და იმ ციხეში შევიდა, მაღრანის თავში რომ დგას. მიადგა დავით მეფე და დაიკავა ციხის შემოგარენი. ძლიერი ბრძოლა გაუმართა.

ამ დროს მოვიდა ოსმალების ურიცხვი მხედრობა და ააოხრა მთელი სამცხე. მესხები ვერ აღუდგნენ წინ. წამოვიდნენ იქიდან და შემოვიდნენ ქართლში. ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა, რადგან მთელი ქართლი სალაშქროდ იყო კახეთში წამოსული. დავით მეფემ გაიგო ოსმალების შემოსევის ამბავი. ჯერ არ გაახმაურა, რადგან მეტად შეჭირვებული ჰყავდა მეციხოვნეები და მცირე დროში ეგულებოდა ციხის აღება. დავით მეფემ გაგზავნა შუაკაცები, ამილახორი და მთავარეპისკოპოსი და ციხის ჩაბარება მოითხოვა. მაშინ დიდ გასაჭირში იყვნენ ციხეში მყოფები, არ შეეძლოთ ციხის გამაგრება. როცა ლევანის დედამ გაიგო ამილახორისა და მთავარეპისკოპოსის მისვლის ამბავი, ციხის დანებე-

ბის გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდათ. როცა მთავარეპისკოპოსი და ამილახორი შევიდნენ ლევანის დედის სანახავად, ადგა ლევანის დედა და მთავარეპისკოპოსს საამბოროდ მიეგება. რომ მიუახლოვდა, მთავარეპისკოპოსმა უჩუმრად ჩაილაპარაკა: „გამაგრდით, რადგან ამაღამ ალყას მოვხსნით ციხეს და ქართლში გავბრუნდებითო“. სიხარულით წავიდა ლევანის დედა, ვითარება აცნობა მეციხოვნეებს და გაამხნევა ისინი. მეორე დღეს ციხის ჩაბარება მოითხოვეს. მათ გადაჭრით იუარეს ციხის დანებება და მტკიცე პასუხი შემოუთვალეს. მაშინ წამოვიდნენ შუაკაცები და აუწყეს დავით მეფეს.

საჩქაროდ აიყარა მეფე დავითი და წამოვიდა ურუმებთან საომრად. ჩამოვიდა ზემო ქართლში. ძლიერი ბრძოლა გაუმართეს ოსმალებს და მრავალმოწყალე ღვთის ძალით ქართლელებს დარჩათ გამარჯვება. ოსმალთაგან მრავალი ამოწყვიტეს, სხვები შეიპყრეს და დაატყვევეს, წაართვეს მათი ალაფი და ნადავლი; ზოგიერთები კი განდევნილები დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში.

მაშინ, როცა დავით მეფე წამოვიდა, ისევ ლევანი დაეუფლა კახეთს. მთელი კახეთიც მასთან შეიყარა. ლევანი მაშინ შვიდი წლისა იყო. შეიტყო დავით მეფემ, რომ [ლევანი] დაეუფლა კახეთს, შეკრიბა მხედრობა და ისევ კახეთის წინააღმდეგ წამოვიდა. ჩამოვიდა საგარეჯოში, მთლიანად შემოუერთდნენ გარეჯელები და იმის აქეთ მცხოვრები კახელები. მაშინ ლევანი ქიზიყში იდგა, ზოგიერთი კახელი [წარჩინებული] ახლდა თან. დავით მეფეც ჩავიდა ქიზიყში და ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს. ლევანის სიმართლემ გაიმარჯვა, რადგან ასეთი მოწყალეა ღმერთი ქვრივ-ობოლთა მიმართ. მცირე ლაშქრით გაიმარჯვა ლევანმა დავით მეფეზე. გამოიქცა და წამოვიდა ქართლში. მაშინ ლევანი მტკიცედ დაეუფლა კახეთს.

მცირე დროის შემდეგ, კახეთის მბრძანებელი ლევანი გურიელს[522] დაუმოყვრდა. ცოლად მოიყვანა გურიელის ასული, რომელსაც თინათინი ერქვა. თინათინმა, გურიელის ასულმა, სიყმაწვილეში ჩვენებაში ნახა, რომ ერთ წარჩინებულ კაცს მიჰყავდა იგი ცოლად. გზაზე ერთი დღით დაისვენეს. იმ ადგილზე, სადაც გაჩერდნენ, დაინახა, ერთი შინდი იდგა, თეთრი შინდი. აუწყა ერთმა მღვდელმა, რომ იმ ადგილზე, სადაც თეთრი შინდი იდგა, ღმერთის დედისთვის აეშენებინა მონასტერი. ასეთი ჩვენება იხილა. როცა კახეთის მფლობელმა ლევანმა გურიელს მისი ასული თინათინი ცოლად სთხოვა, გამოატანა გურიელმა და წამოიყვა-

ნეს კახეთში. შუამთაში ჩავიდნენ, იმ დღისით იქ დაისვენეს. დაათვალიერა გარემო გურიელის ასულმა თინათინმა და დაინახა შუამთაში ის თეთრი შინდი, რომელიც უწინ ჩვენებაში ნახა. გაახსენდა ის ხილვა და შინდი, რომელიც ეკლესიის ადგილის მიმანიშნებლად იდგა. მაშინ გულისხმაჰყო და ირწმუნა ეს განგებულება. ქორწინების შემდეგ მალევე დაიწყო შუამთაში ღვთის დედის მონასტრის აგება. დიდი მონდომება გამოიჩინა და რამდენიმე ხანში ააშენა. დაასრულა და შეამკო სრული სამონასტრო წესითა და სამკაულით. შესწირა აგარაკები და დაბები, დაუდგინა მოძღვართმოძღვარი და თავის დასამარხად გაამზადა.

გურიელის ასულმა თინათინმა ორი ძე შვა: ერთს ალექსანდრე ერქვა, მეორეს – ვახტანგი.[523] შემდეგ გარდაიცვალა თინათინი, გურიელის ასული. ანდერძი დატოვა, რომ არ დაემარხათ მისი გვამი ლევანის, მისი ქმრის გვერდით, არამედ შუამთაში, მის მიერ აშენებულ მონასტერში დაეკრძალათ. ასეც მოიქცნენ. თავისი ქმრის გვერდით არ დაიმარხა იმიტომ, რომ ლევანი სიძვა-მრუშობის მოყვარული იყო. შემდეგ ლევანმა სხვა ცოლი მოიყვანა, შამხლის ასული. ყარამუსალი ერქვა იმ შამხალს. შამხლის ასულისგან სამი ძე შეეძინა: გიორგი, ელიმირზონი და ქაიხოსრო.[524] ქართლის მეფე დავითი კი კარგად და მშვიდობიანად მეფობდა.

ქორონიკონი 206 (1518 წ.): დაიძრა ყაენი და ულუსებით წამოვიდა ქრისტიანულ საქართველოზე. ატყვევებდა ყველა ხატსა და ჯვარს. პატრონმა მეფე დავითმა რამაზი, თავისი შვილი გაგზავნა, ყაენს წინ მიაგება და იხსნა საქრისტიანო. რამდენიმე ხანი დაჰყო, შემდეგ კი, მოხუცებულმა, უკეთესი აირჩია და მონაზვნობა მიიღო. სახელად უწოდეს დამიანე. სამი ძე ჰყავდა: ლუარსაბი, დიმიტრი და რამაზი.[525]

ქორონიკონი 207 (1519 წ.): მაისის თვეში, 6 [რიცხვში] გარდაიცვალა გელათის დიდი მონასტრის მოძღვართმოძღვარი, პატრონი ილარიონი. გორიჯვრიდან აქ გელათში გადმოასვენეს[526]. ამავე ქორონიკონში მუცლის ტკივილით გარდაიცვალა ბაგრატ მეფის შვილი. დამიანე, მეფე დავით-ყოფილი, სინანულსა და ღვთისადმი ვედრებაში იყო. მცხეთაში აიშენა სენაკი და სიმართლით იმყოფებოდა. მაშინ იყო ქორონიკონი 214. კათოლიკოსი იყო მელქისედეკი[527], დავით მეფის ძმა.

ქორონიკონი 214 (1526 წ.): ბაგრატ იმერეთის მეფეს[528] მისცეს არადეთის წყალს გაღმა მდებარე ქართლის [მიწები]: ალი, სურამი და ახალდაბა. ამავე წელს ქალაქ თბილისში გარდაიცვალა მეფე დავითი. დაკრძალეს მცხეთაში. ამავე წლის 25 მარტს ლუარსაბმა, მისმა ძემ,

იქორწინა და ცოლად შეირთო თამარი, ბაგრატ მეფის ასული. ლუარსაბი მეფობდა ბაგრატის ძალითა და შეწევნით. ყაენი იყო შაჰ-ისმაილი, იმ შიხის მეოთხე შვილიშვილი, რომელიც უწინ გამოჩნდა არდაველში. შაჰ-ისმაილი დაეუფლა თავის სამკვიდრო არდაველს. იქიდან დაუწყო ბრძოლა სპარსეთს და დაიპყრო სპარსეთი.

ქორონიკონი 216 (1528 წ.): გარდაიცვალა იმერეთის ბატონიშვილ ვახტანგის ცოლი და კახეთის მეფის ასული ხვარამზე.

ქორონიკონი 217 (1529 წ.): 10 იანვარს გარდაიცვალა გერასიმე ქუთათელი. ამავე წელს აღსაყდრდა სვიმონი, მისი ძმისშვილი. წავიდა და ეკურთხა ბიჭვინთის საყდარში. ამავე ქორონიკონში ბაგრატ მეფეთ მეფემ, აფხაზეთის კათოლიკოს აბაშიძის[529] ბრძანებით, ლიხთ-იმერეთი სამ საეპისკოპოსოდ გაყო. ინება ღვთივგვირგვინოსანმა მეფეთ მეფე ბაგრატმა და დედოფალთა-დედოფალმა ელენემ და დიდი და ცათა მსგავსი საყდრის, ახალი იერუსალიმის, გაენათის ეპისკოპოსად [დასვა] მელქისედეკ საყვარელიძე. საუკუნო არის მათი სახსენებელი. იმავე დროს, იგივე პატრონმა ხონის ეპისკოპოსად განაწესა მანუელ ჩხეტიძე. იმავე აფხაზეთის კათოლიკოსის ხელით [აკურთხეს] ბიჭვინთის საყდარში. იყო 217 ქორონიკონი. 20 ივნისს აფხაზეთში წავედით საკურთხებლად და 20 ივლისს დავბრუნდით. ამავე დროს მონაზვნობა მიიღო გიორგიმ, დავით მეფის ძმამ. სახელად უწოდეს გერასიმე. ბაგრატიც, მეფე დავითისა და გიორგის ძმა, რომელიც იყო მუხრანის მფლობელი, მონაზონი გახდა. სახელად უწოდეს ბარნაბა. როცა ბაგრატ მუხრანბატონი, მონაზონი გახდა, ოთხი ძე დარჩა: ერეკლე, არჩილი, აშოთ[ან]ი და ვახტანგი[530]. მაშინ მტკიცედ განაგებდა ქართლს ლუარსაბ მეფე. კათოლიკოსი მელქისედეკი ადრევე გაძევებული იყო და არმაზის მონასტერში იდგა. კათოლიკოსი იყო გერმანე[531], თბილელი – დომენტი, მროველი – გედეონი.

ქორონიკონი 219 (1531 წ.): 11 ივლისს გარდაიცვალა სარგის მხეციძე.

როცა სპარსეთის ქვეყანა დაიპყრო შაჰ-ისმაილმა, მაშინ გამოემართა და განიზრახა საქართველოს დაპყრობა. მოვიდა დიდი ძალითა და ურიცხვი მხედრობით. აღჯაყალაში დაბანაკდა. გაიგო ეს მეფე ლუარსაბმა, შეკრიბა თავისი მხედრობა, თბილისში დადგა და გაამაგრა ციხე-ქალაქი. შაჰ-ისმაილმა ურიცხვი მხედრობით გამოგზავნა ამირსპასალარი ყარაფირილი. ცოტა ხნის შემდეგ გამოგზავნა ასევე მიშკარბაში ელიასბეგი ურიცხვი მხედრობით. მათ შემდეგ კი თვითონაც

წამოვიდა. მაშინ გამოვიდა თბილისიდან მეფე ლუარსაბი და თელეთის ღელეს მიაშურა, იქ განალაგა თავისი მხედრობა. მოვიდა ამირსპასალარი ყარაფირი, შეებნენ ერთმანეთს, ძლიერი ბრძოლა გაიმართა. როგორც ლომები მხნედ იბრძოდნენ ქართლის მხედრები, ურიცხვი თათარი ამოწყვიტეს. პირი იბრუნეს და გარბოდნენ, როგორც ლომებისგან დაფანტული კანჯრის ჯოგი. მიშკარბაში ელიასბეგი წინ შემოხვდა გაქცეულ ყიზილბაშებს. ისევ უკან შემოაბრუნა გაქცეულები და თავისი მხედრობით დაირაზმნენ ქართველების წინააღმდეგ. ისევ გაიმართა ძლიერი ბრძოლა, პირვანდელზე უფრო ფიცხელი. ღვთის შეწევნით ისევ ქართლელებმა აჯობეს. უფრო ბევრს გაავლეს მუსრი, ვიდრე უწინდელ ომში. განდევნეს, უკან მიჰყვნენ ქართლელები, მუსრს ავლებდნენ და მრავალი ამოწყვიტეს. შაჰ-ისმაილიც მოვიდა მთელი თავისი ძალებითა და უფრო მრავალრიცხოვანი მხედრობით. ტაბახმელის მხრიდან მოადგა თელეთის მთას. [ზევიდან] გადმოხედა შაჰ-ისმაილმა და დაინახა ძალზედ არეული და დაფანტული თავისი მხედრობა. [მისი] უმეტესობა დახოცილი და მათ უკან [დაინახა] ქართლელები, როგორ ფიცხლად სდევნიდნენ და სჩაგრავდნენ მათ. შეწუხდა ამის გამო შაჰ-ისმაილი. შეტევაზე გადმოვიდა შაჰ-ისმაილი და მისი მხედრობა – ყარაყოინლუ. მაშინ ქართლელები წინა მხარეს აღმოჩნდნენ, შაჰ-ისმაილი და მისი მხედრობა კი მათ უკან. დიდი ომისგან დაღლილმა ქართლელებმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, [ისევ] გაუმართეს ძლიერი ბრძოლა, მაგრამ გაჭიანურებულ ომში დამარცხდა ქართლელების მხედრობა. მაშინ გამოიქცა მეფე ლუარსაბი. მოვიდა ზემო ქართლში, ისევ უნდოდა მხედრობის შეკრება და ბრძოლა, მაგრამ დროულად ვეღარ შესძლო [ხალხის] შეგროვება, რადგან დაიფანტნენ ქართლელები.

წამოვიდა შაჰ-ისმაილი, მოადგა თბილისის ციხეს და ძლიერი იერიში მიიტანა. დიდი წყალობა აღუთქვა თბილისის ციხისთავს. ამით დაიყოლია ციხისთავი და ჩააბარა ციხე. ციხესაც დაეუფლა და ქალაქსაც. მრავალი უკეთურება ჩაიდინა, მუსრი გაავლო წმიდა ეკლესიებს, შებილწა სიწმიდენი, დალეწა მრავალი ხატი და ჯვარი. თავისი ხელით შემუსრა სიონის ღვთისმშობლის [ხატი] და გაძარცვა ქართველ მეფეთაგან სასოებით შეწირული ძვირფასი სამკაული. ამ უღმერთომ კადნიერად შეახო თავისი ბილწი ხელი, შემუსრა და ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტი თვითონ წაიღო. გააშიშვლა [ხატის] წმიდა ფიცარი

ურჯულო მტარვალმა შაჰ-ისმაილმა და თბილისის ციხეში არსებული ხიდის თავში, გასასვლელში დადო.[532] შეიპყრეს მრავალი ქრისტიანი, მოიმწყვდიეს იმ ხიდზე და ძალით აიძულებდნენ ფეხით გაეთელათ ხატი. ზოგიერთმა ქრისტიანმა გადაჭრით განაცხადა უარი ხიდზე გასვლასა და ჩვენი წმიდა დედოფლის ხატის გათელვაზე. მრავალმა არჩია სიკვდილი და არ დააბიჯა ხატს. წარეკვეთათ წმიდა და ყოვლადქებული თავები და ახლა ილხენენ უჭკნობელ ყვავილნარში ორმოც წმიდა მოწამესთან ერთად.[533] ზოგიერთი ქრისტიანი კი ხორციელი უძლურებით შედრკა და მოაკლდა სასუფეველს, რადგან ვერაფერი შეიძინეს და კრებულიდან ხელცარიელი გამოვიდნენ.

როცა აღასრულა მთელი თავისი უკეთურება ურჯულო მტარვალმა შაჰ-ისმაილმა, მაშინ გადააგდეს მდინარე მტკვარში ჩვენი წმიდა დედოფლისა და ღვთისმშობლის ხატი. ხატი წყალმა წაიღო და ქვემოთ გამორიყა მდინარიდან. ეჰა, საკვირველება და ხატის სასწაული, ვინაიდან არ განშორდა თავის ტაძარს. მდინარეში ერთი ტირიფის ხე იდგა. მის ძირზე მიყრდნობილი პირაღმა დასვენებული იხილა კახეთში მიმავალმა ერთმა მწყემსმა. წყლიდან გამოიტანა და მეტად გაუხარდა. თაყვანი სცა მწყემსმა [ხატს], აიღო და კახეთის მბრძანებელ ლევან ბატონს მიართვა. დიდად გაიხარა [ლევანმა] და მრავალი წყალობა მიანიჭა მწყემსს. დაიწყო ხატის ხელმეორედ შემკობა. რაც შეეძლო, დიდი მონდომება გამოიჩინა და შეამკო ისე, როგორიც დღეს გამოიყურება სიონის ღვთისმშობელი. ამ ხატზე წარწერილია ლევან კახბატონის ამბავი. როცა დაასრულა ხატი, დიდი პატივით გამოგზავნა სიონში. მას შემდეგ, ვიდრე ამ დრომდე, არის ლევანისაგან სამკაულასხმული.

შაჰ-ისმაილმა თავისი რჯულის მეჩეთი ააშენა ხიდის ყურეში. თავისი მცველები ჩააყენა, გაამაგრა ციხე და წავიდა. ამასობაში შეკრიბა თავისი მხედრობა მეფე ლუარსაბმა და წამოვიდა შაჰ-ისმაილის წინააღმდეგ. უნდოდა ისევ გაემართა ბრძოლა მასთან, მაგრამ ციხის აღებისა და შაჰ-ისმაილის წასვლის ამბავი გაიგო და მეტად დადარდიანდა. მაშინ მეფე ისევ დაეუფლა ქართლს. იმავე დროს საშინელი ღვთის რისხვა ეწია შაჰ-ისმაილს და ბოროტი ბოროტად გატიალდა. ტახტზე მის ნაცვლად ავიდა მისი ძე, შაჰ-თამაზი. მზაკვარი კაცი იყო შაჰ-ისმაილი. მან აირჩია შიას რჯული და დაიწყო ოსმალების რჯულის ძაგება და გინება. გაავრცელა ალიას სახელი და თავის თავს ალიას ძე უწოდა.[534] იმ დროიდან მოკიდებული აღიარეს ყიზილბაშებმა იმამის

ძედ. [რაც] დღემდე სჯერათ და მტკიცედ არიან დარწმუნებული.

მამამისზე მეტად გამდიდრდა შაჰ-თამაზი. დაიპყრო მრავალი უცხო ქვეყანა, რომელიც მამამისს არ ეკუთვნოდა. მეფე ლუარსაბი კი დაეუფლა თბილისს, აიღო თბილისის ციხე და გაამაგრა. ყარაბაღში იმყოფებოდა შაჰ-თამაზი, [როცა] შეიტყო თბილისის ციხის აღების ამბავი. შეკრიბა მრავალი რჩეული მხედარი და ფარულად გამოემართა თბილისზე თავდასასხმელად.

იმხანად თბილისში გარდაიცვალა ლუარსაბ მეფის მცირეწლოვანი ვაჟი. წაიღეს პატარა ბავშვი მცხეთაში, თავის ძვალთშესალაგში. მეფე და დედოფალიც თან გაჰყვნენ. რომელ დღესაც გავიდნენ თბილისიდან, იმავე ღამეს შემოვიდა შაჰ-თამაზი თბილისში და მთლიანად დაიპყრო ქალაქი. ღვთის ზეციური განგებულებით გადაურჩნენ დიდ განსაცდელს მეფე, დედოფალი და მათთან ერთად მყოფი ქართლელები. ეს ამბავი რომ შეიტყო მეფემ, ციხესიმაგრეებს მიმართა. ასევე სახიზრებს მიმართა მთელმა ქართლმა. ამის გამო ვეღარ შეკრიბა მეფემ თავისი მხედრობა, რადგან ქართლელები გახიზნულები არ იყვნენ და ყველანი გასახიზნად წავიდნენ.

მაშინ მრავალი უკეთურება დაატეხა თავს შაჰ-თამაზმა თბილისს: ხელში ჩაიგდეს და გაძარცვეს მეტეხის ხატი – წმიდა ღვთისმშობლის სახე და მრავალი სული ამოწყვიტეს. ციხისთავ გულბაათს მეტად შეეშინდა თავისი მეფის: „ამ საქმის გამო მეფემ პასუხი მე რომ მომთხოვოსო“, [იფიქრა]. გამოვიდა ციხიდან და ეახლა შაჰ-თამაზს. მრავალი წყალობა მიანიჭა. სხვა მეციხოვნეთაგან, ზოგი სახლებში წავიდა, ზოგიც ყიზილბაშებს შეუერთდა. მაშინ ციხისთავმა გულბაათმა და სხვა მეციხოვნეებმა მიატოვეს თავისი სარწმუნოება და გადავიდნენ მაჰმადის რჯულზე. დაეუფლა შაჰ-თამაზი ციხეს და გაამაგრა. თვითონ გაბრუნდა და ყარაბაღში წავიდა. მაშინ დაუზავდა [მას] კახეთის მფლობელი ლევან ბატონი. წავიდა შაჰ-თამაზი ნახჭევანში, სომხეთის ქვეყანაში, დაიმორჩილა ყველა ურჩი და ქვეშევრდომებად გაიხადა.

ქორონიკონი 221(1533 წ.): მამია დადიანი და მამია გურიელი საზღვაო [გზით] ნავებით წავიდნენ ჯიქეთში საომრად. იანვარის თვეში ოცდაათ [რიცხვში] შეიბნენ. პირველ დღეს ამათ გაიმარჯვეს. მეორე დღეს, პარასკევს, ღმერთი გაუწყრა მეგრელებს, უღალატეს, გამოიქცნენ და მიატოვეს დადიანი, გურიელი და გურიელის ლაშქარი. შემოუტიეს ჯიქებმა და შეიბნენ: ბევრი მოკლეს დადიანმა, გურიელმა

და გურიელის მოლაშქრეებმა. [ჯიქებმა] დახოცეს გიორგი, გურიელის ძე და მისი აზნაურები. ომისგან დაღლილები შეჩვენებულმა ცანდიამ გაიტყუა. გააშიშვლეს დადიანი, სრულიად შიშველი დაჭრეს გურიელი, მისი სამი ძმა და ეპისკოპოსები. მისი ლაშქარი კი დაატყვევეს. წავიდა მალაქია კათოლიკოსი, გამოიხსნა ცოცხლები და დახოცილები, ფულით გამოისყიდა.

ქორონიკონი 223 (1535 წ.): დაიბადა ალექსანდრე ლევანის ძე. ამავე ქორონიკონში მურჯახეთში გამართეს ბრძოლა. იგ აგვისტოს, ხუთშაბათ დღეს, ახალქალაქში შეიბნენ მეფეთ მეფე ბაგრატი და ათაბაგი ყვარყვარე. ბევრი ხალხი დაიხოცა. მეფემ გაიმარჯვა, ხელში ჩაიგდო ყვარყვარე და მისი ლაშქარი. მთლიანად დაიპყრო საათაბაგო ალექსანდრეს ძემ. იმხანად იმერეთის მბრძანებელი ბაგრატი სამცხეში იმყოფებოდა. სომხითის დაპყრობის შესახებ რომ გაიგო, ისიც გამოემართა და მოვიდა შაჰ-თამაზთან შემდეგი მიზეზის გამო: როცა ბაგრატმა დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი და დაიპყრო ბაგრატმა საათაბაგო, მაშინ გაიქცა ოთარ შალიკაშვილი და თან წაიყვანა ყვარყვარე ათაბაგის ძე ქაიხოსრო. ჩავიდნენ სტამბოლში და დახმარება სთხოვეს ხონთქარს. შეიწყალა ხონთქარმა და მისცა მრავალრიცხოვანი ჯარი, თოფები და დიდი ზარბაზნები. ამირსპასალარად მუსტაფა ფაშა დაუყენა და გამოგზავნა ისინი ბაგრატთან საომრად. ეს ამბავი შეიტყო იმერეთის მბრძანებელმა ბაგრატმა, ამიტომ წავიდა შაჰ-თამაზთან. ახალგაზრდა თან არავინ წაიყვანა. თმაჭაღარა კაცები, – დიდებულები და გლეხები, მოხუცებულები, მისი მსგავსი ხალხი, გონიერები და თმაჭაღარები, – აარჩია და წაიყვანა.

შაჰ-თამაზი აიდარბეგში იმყოფებოდა, [იქ] მივიდა ბაგრატი. დიდი პატივი სცა ყაენმა და წინ დაისვა მის თანმხლებ მოხუცებულებთან ერთად. მშვილდის მოზიდვა უბრძანა ყაენმა ბაგრატს. მოუტანეს ბაგრატს ძნელად მოსაზიდი მშვილდი. ბაგრატმა არ იკისრა, პატარა წვრილი ჯოხის ნატეხი ეჭირა და იმით მოზიდა [მშვილდი]. ყაენმა გაიცინა, დიდძალი საბოძვარი მისცა და გამოისტუმრა. ბაგრატმა მისგან ოსმალების წინააღმდეგ დახმარება და ძალის მიშველება ითხოვა. მაშინ შაჰ-თამაზი მეტად მოუცლელი იყო, ვერ ათხოვა ჯარი, მრავალი საბოძვარი მისცა და ასე დაეხმარა. იმერეთის მბრძანებელი ბაგრატი წავიდა სამცხეში. მაშინ კაცი გაგზავნა ბაგრატმა და გურიელს დახმარება სთხოვა. წამოვიდა გურიელი თავისი მხედრობით და მოვიდა ბაგრატთან.

ქორონიკონი 225 (1537 წ.): დაიბადა სვიმონ მეფე, ლუარსაბის ძე.

ქორონიკონი 231 (1543 წ.): მოვიდნენ ხონთქრის ფაშები, 22 ათასი [მეომრით] და მთლიანად ამოწყვიტეს ტაო. თავს დაესხა ბაგრატ მეფე, დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, ძლიერი ბრძოლა გაიმართა. ღმერთმა ბაგრატს მისცა გამარჯვება. განდევნეს ოსმალები, მახვილით ამოწყვიტეს მრავალი. მოკლეს თვითონ მუსტაფა ფაშა, სხვა ოსმალები კი გაიქცნენ. მრავალი საგანძური იშოვეს და მტკიცედ დაეუფლა [ბაგრატი] საათაბაგოს. ამის შემდეგ ისევ წავიდნენ ხონთქართან ოთარ შალიკაშვილი და ქაიხოსრო, ათაბაგის ძე. ხონთქარმა გაიგო [მისი ჯარის დამარცხება] და მეტად დადარდიანდა. ისევ გამოგზავნა არზრუმისა და დიარბექირის ფაშები და სხვა მრავალი [ფაშა]. შეკრიბა ურიცხვი მხედრობა და ასე დაიძრა სამცხისკენ.

ეს გაიგო ბაგრატმა, კაცი გაუგზავნა ლუარსაბ მეფეს და დახმარება ითხოვა. კეთილი კაცი იყო ლუარსაბ მეფე, მეტად ზრუნავდა საქართველოზე, აშფოთებდა ურჯულოთა თავდასხმები და საქრისტიანოს დასუსტება. მაშინ მოიხმო ქართლის მხედრობა და გაემართა ბაგრატის დასახმარებლად. ლუარსაბ მეფემ მრავალჯერ სთხოვა დახმარება ურჯულოთა წინააღმდეგ იმერლებს, მესხებსა და კახელებს, მაგრამ ისინი არ დაეხმარნენ. [ლუარსაბი კი] იმდენად გადამეტებით ზრუნავდა მათზე, როგორც მამა არის შვილებისთვის ტკბილი და ლმობიერი. ესეც ტკბილი და ლმობიერი იყო მათთვის და წყენას არ იხსენებდა.

იგი რომ წამოვიდა [ბაგრატთან], მაშინღა გამოემართა გურიელი თავისი მხედრობით. ყველანი სამცხეში შეიკრიბნენ. 233 ქორონიკონში (1545 წ.) ურიცხვი ოსმალო მოადგა ბასიანს. ესენიც იქ მივიდნენ, სადაც ოსმალები იყვნენ დაბანაკებული. თათბირი გაიმართა ქართლელებსა და მესხებს შორის. ქართლელებმა თქვეს და გადაწყვიტეს [ბრძოლაში] მეწინავეობა, მაგრამ მესხებმა ითაკილეს, ამბობდნენ: „ძველი დროიდან ბრძოლაში მეწინავეობა მესხებისთვის არის განწესებული. ახლაც ჩვენ უნდა მივიდეთ [პირველები], რადგან ძველი დროიდან გვაქვსო ასეთი წესი და რიგი“. ქართლელები უფრო მეტად გაჯიუტდნენ. დაიწყეს ცილობა ერთმანეთში და დიდი შური აენთო.

აჰა იხილეთ, მსმენელებო, ქართლის რჩეული მხედრების გაბედულება და გაალმასება, თუ როგორც მოექცნენ მაშინ ლომ-ვეფხვებივით გამხეცებულები ურჯულოებს. ცის ელვა-ქუხილივით შეუტიეს ქართლელებმა. ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. სოხოსტას [ველზე] გამა-

რთეს ბრძოლა იმერეთის მეფე ბაგრატმა, ქართლის მეფე ლუარსაბმა, ათაბაგმა პატრონმა ქაიხოსრომ და მთელმა საქართველომ. ორი ფაზა იყო.[535] მეფეები გამოიქცნენ. მაშინ ბოროტი შურით აღვსილმა მესხებმა განდგომა გადაწყვიტეს და აღარ გაჰყვნენ ომში. მესხების განდგომა რომ გაიგეს, უფრო მეტი თავგანწირვა აჩვენეს ქართლელებმა და იმერლებმა. გაგრძელდა ომი. მრავალი დაეცა იქიდან და აქედან. უფრო მეტი ოსმალო გაწყდა, ოთხჯერ მეტი. მაშინ მოკლეს გურიელის ვაჟი ქაიხოსრო და სხვა მრავალი ქართლელი და იმერელი. დიდი სახელი მოიხვეჭეს, მთელი საომარი საჭურველი შემუსრეს და ისე დარჩნენ, რომ საბრძოლო იარაღი აღარ ჰქონდათ. დილიდან შებინდებამდე გაგრძელდა ფიცხელი ომი. მაშინ, [მტრის] მხედრობის სიმრავლის გამო, უკან დაიხია ქართველთა მხედრობამ. დაქანცულმა ქართველებმა აჯობეს ოსმალებს და გაიქცნენ.

დევნილი ლუარსაბ მეფე ქართლში წამოვიდა, ბაგრატი კი იმერეთში. სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს, აიღეს სამცხის ყველა ციხესიმაგრე, ტახტზე აიყვანეს ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე და გახდა ათაბაგი. მაშინ შემოიკრიბა მთელი მესხეთი, დიდებულები და მდაბიოები. მთავარი იყო ოთარ შალიკაშვილი. ქაიხოსრო ათაბაგი ბაგრატ მუხრანბატონს დაუმოყვრდა. ცოლად მოიყვანა ბაგრატის ასული დედისიმედი და იქორწინა. თავნება და ამპარტავანი ქალი იყო, უსირცხვილო და ღვთის შიშის არმქონე.

ქორონიკონი 234: აწყურის ღვთისმშობელი ციხისჯვარში ტყვედ წაასვენა იმერეთის მეფე ბაგრატმა.

ქორონიკონი 23[...][536]: ტაოს ქვეყანა დაიკავეს თათარმა ურუმებმა.

ქორონიკონი 241 (1546 წ.): არტანუჯი წაგვართვეს ურუმებმა, არსიანამდე დაეუფლნენ ფარნაკანს, დაიკავეს მთელი არტაანი და ააშენეს ფარნაკანი. აწყურის ღვთისმშობლის შეწევნით სამცხეში ვერ გადმოვიდნენ. მეტად ძალმომრეობდნენ მთელ მესხეთზე და ვეღარ შეძლეს ოსმალთა ბოროტების ატანა. მაშინ ოთარ შალიკაშვილმა, ათაბაგმა და მთელმა მესხეთმა შუაკაცი გაგზავნა ირანის თვითმპყრობელ შაჰ-თამაზთან. დიდად ემუდარებოდნენ, მას მიემხრნენ და დახმარება სთხოვეს. აღუთქვეს მორჩილება და ყმობა უწინდელის მსგავსად. შაჰ-თამაზმა რომ გაიგო, მეტად გაიხარა და საათაბაგოსკენ გამოემართა ურიცხვი მხედრობით. სწრაფად ჩამოვიდა ყაენი შაჰ-თამაზი. ბატონი ქაიხოსროც მოვიდა. ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, აწყური, ასპინძა,

ვანათი და მთელი სამცხის ციხეები აიღო [შაჰმა]. ვარძიის ღვთისმშობელი და ყველა ციხე ბატონ ქაიხოსროს გადმოსცა. წავიდა ყაენი და ჩავიდა სომხითში, დახოცა [...][537] და ვახუშტი დიასამიძე ტყვედ წაიყვანა ამან მარიამობის თვეში. ამავე ქორონიკონში აწყურის ღვთისმშობელი ციხისჯვარიდან ტყვედ წაასვენეს იმერეთში.

ეს ამბავი გაიგო ხონთქარმა სულთან სულეიმანმა. ისიც წამოვიდა მესხების წინააღმდეგ დიდი ძალითა და გულისწყრომით. მაშინ შაჰ-თამაზმა ვეღარ შესძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ასეთი მზაკვრობა მოიფიქრა: გულისწყრომით შეუთვალა ოთარ შალიკაშვილს, მრისხანე წერილი გაუგზავნა, თავის მოკვეთითა და მათი ქვეყნის მთლიანად ამოგდებით დაემუქრა. იმიტომ მოსწერა ასეთი წერილი, რომ ოთარს ხონთქრისათვის გაეგზავნა, შაჰ-თამაზი ჩემი მტერია, ასე მემუქრებაო და ამგვარად გადარჩენოდა ხონთქარს. როგორც კი ოთარმა წერილი მიიღო, მაშინვე გაუგზავნა სულთან სულეიმანს. აცნობა, რომ მართალი იყო და ყაენის შემოსევაში ბრალი არ ჰქონდა. მაშინ [წყალობით] მოხედა ღმერთმა მესხებს, შეიბრალა სულთანმა, გაბრუნდა თავის მხარეს და ყაენიც წავიდა.

იმერეთის მბრძანებელ ბაგრატს დადიანთან დიდი შუღლი ჰქონდა, რადგან მაშინ, როცა ბაგრატს ურუმებთან ბრძოლა ჰქონდა, დადიანი არ დაეხმარა მას. ამიტომ გადაწყვიტა, მოიწვია ლევან დადიანი ხონის ჭალაში, ღალატით შეიპყრო იმერეთის მფლობელმა ბაგრატმა და დააპატიმრა. მაშინ აცნობა გურიელს ეს ამბავი, მიიწვია ოდიშის დასალაშქრად და შეჰპირდა ნახევარ სამეგრელოს. გურიელმა არ დაუჯერა, თავის გულში თქვა: „ოდიშიც რომ დაიპყროს, აღზვავდება და მერე უეჭველად მეც დამიწყებსო მტრობას“. როცა ბაგრატმა გაიგო, რომ გურიელი არ მოვიდოდა, უნდოდა თვალები ამოეშანთა დადიანისთვის, მაგრამ გადაიფიქრა და გელათის სამრეკლოში დააპატიმრა. შეიტყო ქაიხოსრო ათაბაგმა დადიანის შეპყრობის ამბავი, წააქეზა ხოფილანდრე ჩხეიძე, გამოაპარა დადიანი და ათაბაგთან ჩაიყვანა. ათაბაგმა და გურიელმა კი წაიყვანეს და ოდიშის მთავრად დასვეს. ისევ დაეუფლა დადიანი ოდიშს.

ამის შემდეგ გაუწყრა ხონთქარი გურიელს, გაუხსენა უწინდელი მტრობა, როცა მიემხრო იგი ბაგრატს და ამოწყვიტეს ხონთქრის მრავალი მხედარი. ამის გამო დიდძალი მხედრობა გამოგზავნა გურიის წინააღმდეგ. შემოვიდნენ ბათუმში და დაიწყეს ციხის შენება. მაშინ

შეკრიბა გურიელმა თავისი მხედრობა და წამოვიდა მათ წინააღმდეგ. ღმერთმა ძლევა მისცა და გაიმარჯვა გურიელმა. [ოსმალებმა] დატოვეს ბათუმი და ზღვაში შევიდნენ ნავებით. დიდი ღელვა ატყდა და ჭოროხს გაღმა გარიყა ისინი. ადიდებული იყო მდინარე ჭოროხი, გურიელმა და მისმა მხედრებმა ვეღარ გადალახეს ცხენებით. მივიდნენ [ოსმალები] გონიოში და დაიწყეს ციხის შენება. გამაგრდნენ ოსმალები, დაიწყეს ძალმომრეობა, ამოწყვიტეს და დაიპყრეს ჭანეთი.

გურიელმა ბაგრატისა და ლევან დადიანისგან ითხოვა დახმარება. მაშინ დადიანმა მთლიანად შეკრიბა აფხაზები და მეგრელები და წამოვიდა. ბაგრატმაც გაგზავნა თავისი ძმა ვახტანგი და იმერელი მხედრებიც გაატანა, ხუთასი კაცი. დააბარა ბაგრატმა თავის ძმას ვახტანგს: „იმას ეცადე, რომ დადიანი და გურიელი არ გაერთიანდნენ. თუკი ისინი გაერთიანდებიან, ბევრ ბოროტს შეგვამთხვევენ ჩვენ. ეცადე, რომ დადიანი არ შეხვდესო გურიელს“. მაშინ დადიანი რიონის სათავეში იდგა. როცა ვახტანგი საჯავახოში ჩავიდა, შეატყობინა დადიანს: „შენც იცი, რომ მე შენთან შეფიცული ვარ და არაფერს დაგიფარავ. ეს იცოდე, რომ ჩემმა ძმამ ბაგრატმა და გურიელმა პირი შეკრეს შენ წინააღმდეგ. გურიაში თუ ჩამოხვალ, შენი ღალატი უნდათო“. ეს რომ გაიგეს მეგრელებმა, შეშინებულებმა აღარ ისურვეს გურიაში ჩამოსვლა. ვახტანგი კი ჩავიდა როსტომ გურიელთან ბათუმში. რაკიღა დადიანი არ ჩავიდა, გურიელმა ვეღარ შესძლო ოსმალებთან ბრძოლის გამართვა. ვეღარც გაღმა გავიდნენ, რადგან ნავები არ ჰქონდათ. მაშინ უფრო მეტად გაძლიერდნენ ოსმალები და ააშენეს ციხეები. ვახტანგი კი იმერეთში წამოვიდა.

ამის შემდეგ გარდაიცვალა იმერეთის მბრძანებელი ბაგრატი და დამარხეს გელათში. იმერეთს მისი ძე გიორგი დაეუფლა. როსტომი გურიას განაგებდა 12 წელიწადი. ისიც გარდაიცვალა და დაიმარხა შემოქმედში. სამი ძე ჰყავდა: უფროსს გიორგი ერქვა, ის დასვეს გურიელად. როსტომ გურიელის ასული ცოლად ჰყავდა დადიანის ვაჟს. მისი სიკვდილის შემდეგ გაუშვა ის ქალი დადიანის ვაჟმა. დიდი უკეთურება ჩაიდინა, თავის ბიძას ცოლი წაართვა და თვითონ შეირთო. გამოხდა ხანი, ისევ გაერთიანდნენ გიორგი გურიელი და ლევან დადიანი. გურიელმა დადიანის ასული შეირთო ცოლად. მცირე ხნის შემდეგ ისიც გაეყარა დადიანის ასულს. შური იძია. ეს გაიგო იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ, შეუთანხმდა გურიელს და გაერთიანდნენ. ქვრივი რძალი

ჰყავდა, დადიანის ჯიბრით გიორგი გურიელს მისცა ცოლად და დაიწყეს დადიანის მტრობა.

ვეღარ შესძლო დადიანმა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. გაიქცა და სტამბოლში გადაიხვეწა. ხვეწნა დაუწყო ხონთქარს და დახმარება ითხოვა მისგან. მისცა ხონთქარმა არზრუმისა და ტრაპიზონის მრავალრიცხოვანი მხედრობა. წამოვიდნენ და მოადგნენ სატყეპელას. გურიელმა, მხედრობის სიმრავლის გამო, ვეღარ შესძლო მათთან შებრძოლება. ხვეწნით გაუგზავნა შუაკაცი დადიანს. მისი ასულის გაშვებისთვის, სისხლის ფასი, ათასი ფლური გადაუხადა. შერიგდნენ დადიანი და გურიელი.

იმერეთის მბრძანებელმა გიორგიმ თავის სახლში მიიწვია ჯავახ ჭილაძე და ღალატით მოკლა. ეწყინათ ეს ამბავი გურიელსა და დადიანს, მივიდნენ, დაიპყრეს საჯავახო და გაიყვეს: ნახევარი დადიანმა დაიპყრო, ნახევარი გურიელმა. შემდეგ დადიანი სანადიროდ წავიდა. ჯაიანმა ცხენი აძგერა და მოკლა დადიანი. მისი უფროსი ძე გიორგი დასვეს დადიანის [ტახტზე]. მაშინ გადაიბირა გიორგი გურიელმა მისი უმცროსი ძმა მამია. ჩაიყვანა დადიანის ვაჟი მამია გურიაში და თავისი და შერთო ცოლად. მის დასახმარებლად ლაშქრობა მოაწყო გურიელმა. წავიდა ლაშქრით და ჩავიდა ზუგდიდში. ბრძოლა გაუმართა დადიანმა. გაიმარჯვა გურიელმა, განდევნა დადიანი, მთავრად დასვა მამია და წამოვიდა გურიელი შინ. მაშინ შემოიკრიბა გიორგი დადიანმა აფხაზთა მხედრობა და წამოვიდა. ჯიქები და ჩერქეზებიც მივიდნენ მასთან დასახმარებლად. გურიელმა ჯარი ათხოვა მამია დადიანს. შეებნენ ერთმანეთს, ისევ მამიამ გაიმარჯვა და გაიქცა გიორგი დადიანი.

ხვეწნა დაუწყო გიორგი დადიანმა იმერეთის მბრძანებელ გიორგის. დახმარება აღუთქვა იმერეთის მბრძანებელმა. მაშინ გიორგის, იმერეთის მფლობელს, ცოლად ჰყავდა ჩერქეზის ბატონის ასული. გურიელს კი მისი მეორე და ჰყავდა ცოლად. მათი მესამე და გასათხოვარი იყო და იმერეთის მბრძანებელ გიორგის სახლში ცხოვრობდა. მათი გაზრდილი იყო. ჩერქეზთა ბატონის ეს უმცროსი ასული სთხოვა გიორგი დადიანმა იმერეთის მფლობელს. [გიორგიმ] ეს ამბავი გურიელს აუწყა, მან კი ასე უპასუხა: „რადგან დადიანს ჩვენი გაერთიანება უნდა, მომცეს საპატივო და სასისხლო[538] ჩემი დის გაშვების გამო, როგორც მე გადავუხადე სასისხლო მაგისი დის გაშვებისთვის. იყოს მშვიდობა ყველა ჩვენთაგანს შორის და გახდეს დადიანი თქვენი და ჩემი ქვისლი და მოყვარეო“.

მაშინ დათანხმდა დადიანი და აღუთქვა გურიელს სასისხლოს მიცემა. თეთრი არ გააჩნდა და გირაოდ ხოფი მისცა. რაც გურიელს ჰქონდა გადახდილი სასისხლო, იმდენისავე მიცემა აღუთქვა. ამის გირაოდ მისცა ხოფი. მაშინ მისცეს ჩერქეზის ბატონის ასული და გაერთიანდა სამივე. ეს რომ შეიტყო მამია დადიანმა, უფროსობის გამო ისიც ლმობიერი გაუხდა თავის ძმას, დაუთმო და დაანება დადიანობა. მაშინ მამია დადიანს სარჩოდ მისცეს ლომკაც ჭილაძისეული და რევანოზისეული [მამული]. ასე შეეთვისნენ ერთმანეთს და მშვიდობა დამყარდა სამივე საბატონოში.

გაიგო ეს დათულიამ, გიორგი დადიანის ბიძამ, შემოიკრიბა საჯავახოელები და წავიდა გიორგი დადიანის საღალატოდ. მიუხვდა ამას დადიანი, ვეღარ უმუხთლა და გაბრუნდა დათულია საჯავახოში. დადიანმა და იმერეთის მბრძანებელმა აცნობეს გურიელს [დათულია] დადიანის ღალატი და ასე შეუთვალეს: „საჯავახო შენთვის დაგვითმია. დათულიას სამაგიერო მიუზღეო“. გურიელმაც უღალატა, შეიპყრო დათულია, დაატყვევა ოზურგეთში და საჯავახო თვითონ დაიკავა. მაშინ შეუთვალეს გურიელს, რომ მოეკლა დათულია. გურიელმა არ მოკლა და ასე უპასუხა: „შენს სახლიკაცს მე არ მოვკლავ, შენ მოკალიო“. შემდეგ ამათ გაგზავნეს კაცი და მოაშთვეს იგი. ამის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი დადიანი და ისევ მამიამ მიითვისა დადიანობა. [გიორგი] დადიანს ერთი ძე დარჩა, ლევანი ერქვა. განარისხა ღმერთი მამია დადიანმა, წაართვა დედამისს ბავშვი, წამოიყვანა და შხეფის ციხეში დაატყვევა. გამოუცდელი იყო ეს ბავშვი, ვერ გაუძლო ტყვეობას, შეწუხდა დედამისთან განშორების გამო და გადმოიგდო თავი ციხიდან. ასე აღესრულა იგი.

იმხანად შეთანხმდნენ ქართლის მეფე ლუარსაბი, კახეთის მბრძანებელი ლევანი და ქაიხოსრო ათაბაგი. პირი შეკრეს და დაუწყეს რბევა და ოხრება ადარბადაგანს, ყიზილბაშების ქვეყანას. მაშინ შაჰ-თამაზს განუდგა შირვანის მბრძანებელი, ასანბეგის შვილი დავრიშ მაჰმადი. შემოიკრიბა შაჰ-თამაზმა მრავალრიცხოვანი მხედრობა, მაშინვე წამოვიდა და მოადგა ყარაბაღს. კაცი გამოუგზავნა კახეთის მბრძანებელ ლევანს, [დახმარება] სთხოვა და მიიმხრო იგი. მივიდა ლევანი შაჰ-თამაზთან. განდგომილი იყო დავრიშ მაჰმადი, ასანბეგის ძე. მაშინ, როდესაც შაქი შაჰ-ისმაილს ეჭირა, თავს დაესხა ბატონი ლევანი ასანბეგს, მოარბია შაქი და მოკლა ასანბეგი. შემდეგ მოიყვანეს მისი ძე,

დავრიშ მაჰმადი და პატრონად გაიხადეს შაქის მცხოვრებლებმა. ემტერებოდნენ ერთმანეთს დავრიშ მაჰმადი და ბატონი ლევანი.

შაჰ-თამაზმა თავისი ლაშქარი შეუსია შირვანს. შეკრიბა დავრიშ მაჰმადმა თავისი მხედრობა. თავს დაესხა, მუსრი გაავლო შაჰ-თამაზის მრავალ ჯარისკაცს და გამოაქცია ისინი ქრისტეს აქეთ 1546 [წელს]. აიყარა შაჰ-თამაზი ურიცხვი მხედრობით და წავიდა შირვანში. წერილი გაუგზავნა შაჰ-თამაზმა დავრიშ მაჰმადს, რომ მასთან მისულიყო. აღუთქვა, წყენას აღარ გაიხსენებდა და ბევრ პატივს სცემდა. მან არ დაუჯერა, უფრო მეტად გაამაგრა ციხეები და მტკიცედ დადგა. მაშინ გაგზავნა [შაჰ-თამაზმა] ბატონი ლევანი მრავალრიხცოვანი მხედრობით მის წინააღმდეგ. მივიდნენ, შაქი მოაოხრეს, მთელი შაქი გააჩანაგეს და მოადგნენ ციხეს, რომელშიც დავრიშ მაჰმადი იმყოფებოდა. გარკვეული ხნით [იქ] იყო, ვეღარ შეძლო გამაგრება და ღამით გამოიპარა ციხიდან. ეს რომ გაიგო ბატონმა ლევანმა, დაედევნა, დაეწია და ბრძოლა გამართეს. გაიმარჯვა ბატონმა ლევანმა, მოკლეს დავრიშ მაჰმადი და დაბრუნდა გამარჯვებული. დავრიშ მაჰმადის თავი შაჰ-თამაზს მიართვა. მრავალი წყალობა მისცა [შაჰმა] ბატონ ლევანს და წამოვიდა თავისთან, კახეთში. მაშინ შაჰ-თამაზი წავიდა ყარაბაღში. მცირე ხნის შემდგომ ისევ თბილისის წინააღმდეგ გამოემართა. ბევრი ბოროტება ჩაიდინა, მთელი თბილისი ააოხრა. აიღო თბილისის ციხე და თავისი მცველები ჩააყენა შიგ. მეფე ლუარსაბს ვერაფერი ავნო. ისე იმეფა [ლუარსაბმა], არც ყიზილბაშებს დაემორჩილა და არც ოსმალებს. მრავალი გასაჭირი აჩვენა ორივეს და საქართველო ურჯულოებს მოხარკე მონად არ გაუხადა.

იმხანად მოინდომა შაჰ-თამაზმა ქაიხოსრო ათაბაგთან დამოყვრება. ათაბაგს ასული არა ჰყავდა. ოთარ შალიკაშვილს, რომელიც ათაბაგის ნათესავი იყო, გამოართვა ასული და თავისი [ქალის] ნაცვლად გაუგზავნა შაჰ-თამაზს. მან შეირთო ცოლად, მეტად შეიყვარა ეს ქალი და მას შემდეგ გახდა ათაბაგისთვის ძალზედ კეთილისმყოფელი. გაიგო ეს მეფე ლუარსაბმა, შეკრიბა თავისი მხედრობა, მიეჭრა ათაბაგს, წაართვა მრავალი დაბა და თემი, ააოხრა [მისი სამფლობელო] და დაბრუნდა გამარჯვებული. ქაიხოსრო ათაბაგმა აცნობა ეს ყოველივე შაჰ-თამაზს. იმხანად ათაბაგის სამტროდ წამოვიდა არზრუმის ფაშა ისკანდერი. ესეც აცნობა შაჰ-თამაზს. ქორონიკონი იყო 244 (1556 წ.).

ამის შემდეგ გამოვიდა ხონთქარი სულთან სულეიმანი. გზა გადაუღობა ყაენს, ააშენა კარი, გაბრუნდა უკან და ასიანში ჩამოვიდა.

შეკრიბა ყაენმა შაჰ-თამაზმა მრავალრიცხოვანი მხედრობა, წამოვიდა და შემოვიდა არტაანში. შაჰ-თამაზმა თავისი ძე მირზა ისმაილი გაგზავნა კარში. დაიპყრო კარი, აიღო ციხესიმაგრეები, ვინც კი ხონთქრის ყმა იყო, მახვილით გაავლო მუსრი და განდევნა. თვითონ დაეუფლა კარს. წამოვიდა ხონთქარი, ვინც კი იყო ათაბაგისგან განდგომილი, ყველა მახვილით ამოწყვიტა. აიღო მათი ციხესიმაგრეები, შემუსრა წმიდა ეკლესიები, მრავალი ხატი და ჯვარი. დაუმონა ათაბაგს ურჩი და განდგომილი [ხალხი]. მივიდნენ ომანი, შერმაზანი და ივჯუში, რომლებიც განდგომილები იყვნენ ათაბაგისგან. შეიპყრო შაჰ-თამაზმა, დახოცა ივჯუში და შერმაზანი და მათი მამული ათაბაგს მისცა.

იქაური საქმეები რომ მოაგვარა, მაშინ ურიცხვი მხედრობით უკან გამობრუნდა ყაენი ქართლის სამტროდ. ჩამოიარა თრიალეთზე და მოიალაფა. წამოვიდა საბარათიანოზე და ისიც ააოხრა. მაშინ მიადგა ბირთვისის ციხეს და ვერ აიღო. დიდი საბოძვარი აღუთქვა მეციხოვნეებს და გადაიბირა. ჩააბარეს ციხე. ვინც კი იყო ბარათაშვილი იმ ციხეში, [მაინც] არ დაინდო: ზოგი ამოწყვიტა, ზოგიც შეიწყალა და დააყენა თავის მამულში, სხვა მრავალი კი დაატყვევა. მაშინ, ძალზედ უნდოდა ლუარსაბ მეფეს ყიზილბაშებთან ომი, მაგრამ ვეღარ შეკრიბა თავისი მხედრობა. რაკიღა ჯარი აღარ ჰყავდა, ასეთი ჩვევა ჰქონდა – მცირე რაზმით თავს დაესხმებოდა მოთარეშეებს, ან ციხესიმაგრეში მყოფებს და ამგვარი მოქმედებით მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტა.

შაჰ-თამაზი ჩამოვიდა გორში. აიღო წედისის ციხე, ძალით აიღო, ვერის ციხე კი თავისით დაანება ფარსადანმა და მეციხოვნენი უვნებლად გადარჩნენ. იქიდან მოადგა ატენის ციხეს, რომელიც საცივის თავში მდებარეობს, რადგან მასში იმყოფებოდნენ ლუარსაბ მეფის დედა, და და სხვები, ბევრი თავადის ოჯახი. დაუწყეს ერთმანეთს სროლა და ბრძოლა: გარედან – ყაენის მომდგარმა ლაშქარმა, შიგნიდან კი ქართლელებმა. მრავალი ყიზილბაში დახოცეს. გაძნელდა ციხის აღება, რადგან ვერც სიბას მიტანა ხერხდებოდა, ვერც ძირის გამოთხრა, რიგიანად თოფსაც ვერ უმიზნებდნენ ვერც ერთი მხრიდან. თათრებმა ერთი მსახური დაიჭირეს, კავთისხეველი ბეთიაშვილი, ლუარსაბ მეფის დედის შინამოსამსახურე. სიკვდილის შიშით მან უთხრა: „თუ არ მომკლავთ, ციხეს აგაღებინებთო“. ამათაც ფიცი მისცეს, რომ არაფერს დაუშავებდნენ. მან ეს ამბავი უთხრა: „[ატენის ციხის] ჭაში წყალი დაშრა. [ციხეს] ჩრდილოეთის მხრიდან პატარა ნაკადული

ჩამოუდის. იმ წყაროს ჩუმად მისასვლელი გზა აქვს. გასწავლით, ის გადაუჭერით, ღონე გამოელევათ და ციხეს დაგანებებენო“. ასწავლა წყლის გზა. ყიზილბაშებმა წყალი ჩაუჭრეს. მეციხოვნეებს დამხმარე არსაიდან აღარ გამოუჩნდათ. უწყლოობამაც ძალა გამოაცალათ. მრავალი ყიზილბაში და ქართველი ამოწყდა ციხისთვის ბრძოლაში. დაბოლოს აიღეს ციხე. დედოფალი ნესტან-დარეჯანი, ლუარსაბ მეფის დედა, ასევე [მისი] და, და სხვებიც, მრავალი თავადის ოჯახობა, [დაატყვევა და წავიდა].

ქორონიკონი 244 (1556 წ.): ლუარსაბ მეფის დედა და და ფეხით გარეკეს ციხიდან, ვიდრე ზედა ველამდე. მერე მეაქლემეებს გადასცეს და წაიყვანეს. ლუარსაბ მეფე ხან აჩაბეთის ციხეში იყო, ხანაც იმერეთში. გააჩანაგა ყაენმა ატენის ციხე, [შემდეგ] აიყარა და ყარაბაღში წავიდა. ტყვეების უმრავლესობა თან წაიყვანა. გაიგო ეს ამბავი მეფე ლუარსაბმა, უკან დაედევნა ყიზილბაშებს. მრავალი თათარი ამოწყვიტა, ურიცხვი ნადავლი წაართვა, მაგრამ დედამისი ველარ გამოსტაცა. როცა შაჰ-თამაზი ერევანში ჩავიდა, მაშინ მიხვდა ლუარსაბ მეფის დედა, რა დამცირება და შეურაცხყოფა ელოდა, ამიტომ, ზოგიერთები ამბობენ, რომ: „შესვა საწამლავი, თავი მოიკლა და არ დაუშვა, რომ უჯეროდ მოქცეოდნენ“. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ: „სასჯელით და შეურაცხყოფით გარდაიცვალაო“.

უკან მობრუნდა ლუარსაბ მეფე, მეტისმეტად დამწუხრებული. შაჰ-თამაზიც წავიდა თავის მხარეში. დასვა ხანები ყაზახში და შამშადილში, განჯაში დასვა სულთანი. ასევე მათ ეჭირათ თბილისის ციხე. მთელი ეს [მხარე] განჯაში მჯდომ სულთანს ექვემდებარებოდა. გარშემო მყოფი ყიზილბაშები ყველა თბილისის ციხეს მიუჩინა, რომ აღარ დაეჭირა ლუარსაბ მეფეს.

ურჯულოთა ასეთი გაძლიერების გამო მეტად დამწუხრებული იყო მეფე ლუარსაბი. მთელი საქართველოს ძველ და ახალ მეფეებზე და მბრძანებლებზე უფრო მეტად ქებული იყო, [ჯერ] როგორც სარდალი, მერე, როგორც მამაცი, პურის უხვად გამცემი, სიმართლისმოქმედი; [სახელგანთქმული იყო] ყმების მორჩილებით, ცხენოსნობითა და ასპარეზობით. [იყო] ომში უშიშარი, ამაყი, ქრისტეს რჯულის მტკიცედ მპყრობელი. ურუმებსა და ყიზილბაშებს განსაკუთრებით მისი შიში ჰქონდათ. მეზობლები, როგორც ყმები, ისე ემსახურებოდნენ, [თვითონ] კი სხვებისადმი ყმობის პირობა არ იკისრა. ამიტომ გამოილაშ-

ქრა ყაენმა შაჰ-თამაზმა მის წინააღმდეგ ხუთჯერ. ვერასგზით ვერც დააცხრო, ვერც მოკლა, ვერც შეიპყრო, ვერც დაიმორჩილა. ცოტა [მტერს] ბრძოლას გაუმართავდა, ამოსწყვეტდა, ბევრს კი მოერიდებოდა, ღამით დაესხმოდა თავს, გზაზე წამოეწეოდა და ბევრ ზიანს მიაყენებდა. ვერ გაუძლო მეფე ლუარსაბის გონებამ საქართველოს მოოხრებას, რაც ზემოთ არის აღწერილი. ამიტომ შემოიკრიბა თავისი მხედრობა და დაუწყო [მტერს] ხდომა და რბევა, მრავალი ამოწყვიტა. რაც კი ადგილები ეჭირათ საბარათიანოში, ყველა წაართვა და დაიბრუნა, განდევნა და თბილისის ციხის გარდა, მთელი ქართლის მხარეებსა და თემებს დაეუფლა.

შავერდი სულთანი და განჯის ხანი ყაენს ამ ადგილების მცველებად ჰყავდა დაყენებული. ლუარსაბ მეფის ლაშქრის შეყრა რომ შეიტყო, იმანაც შეკრიბა ლაშქარი არაზს გამოღმა და წამოვიდა მეფის წინააღმდეგ. ეს გაიგო მეფე ლუარსაბმა, გორიდან გარის ვარხუნაში ჩავიდა, იქიდან შავერდი, სულთანი წამოვიდა და შემოვიდა ქართლში. იმ ღამეს მეფე ლუარსაბმა სიზმარი ნახა. მეორე დილას კათოლიკოსი, ქართლის თავადები და თავისი შვილები მოიხმო, ასე უთხრა: „სიზმარი ვნახე, მართალი და ნამდვილად დასაჯერებელი. უსათუოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშები გაიქცევიან, მაგრამ ამ ომში მე მომკლავენ და ჩემს მკვლელსაც ქართლელები მოჰკლავენო“. სამი ძე ჰყავდა მეფეს: სვიმონი, დავითი და ვახტანგი[539]. მაშინ ხელი მოჰკიდა სვიმონს, უფროს შვილს და ქართლელებს უბრძანა: „ამისთვის მიმიცია მეფობა და ღირსიც არისო“. შვილებსაც ასე უანდერძა: „უფროს ძმას დაემორჩილეთო“. ყველას უბრძანა, ფეხებზე ეამბორნენ [სვიმონს] და მეფედ აკურთხეს. ასეთი ანდერძი დაუტოვა: „ჩემი სიკვდილის გამო ნუ აიშლებით. ნურც ჩემი სიკვდილის ამბავს გაახმაურებთ. ყიზილბაშებს რომ გალახავთ, შემდეგ მცხეთაში მიმაბარეთო მიწას. ჩემს გლოვატირილს შეეშვით, ქვეყანას გაუფრთხილდით, შეინახეთო“.

მეფის სიზმარი რომ გაიგეს, ყველანი ერთიანად ატირდნენ, ასე მოახსენეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, ამჯერად ნუ შევებრძოლებით, მოვერიდოთო“. ეს სიტყვა მეფემ შორს დაიჭირა, ასე უპასუხა: „დღემდე ხონთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქციე, როგორ უნდა მოხდეს, რომ ახლა ერთ ყაჯარს ავარიდო თავიო“. ბევრს ევედრნენ ქართლელები, მაგრამ ლომგულმა მეფემ, თათბირს სიკვდილი არჩია.

შავერდი სულთანი დაწყობილი რაზმებით მოვიდა ახლოს. მეფემ მინდორში ბრძოლის გამართვა არ ისურვა და გარისში ჩავიდა. ქართლელებს თავისი უფროს ძე, სვიმონი ჩაუყენა სათავეში. სვიმონი თავისი მხედრობით მეწინავედ წავიდა, თვითონ მეფე კი უკანა მხარეს დადგა. თან ახლდნენ კათოლიკოსი, ეპისკოპოსები და მოხუცებული საერონი. ყიზილბაშები რომ მოვიდნენ, მაშინ, როგორც გამძვინვარებულმა ლომმა, ისე შეუტია მათ სვიმონმა და ქართლის მხედრობამ. ძლიერი ბრძოლა გაიმართა. ღმერთმა ქართლელებს მისცა გამარჯვება. თათრების ურიცხვი მხედარი ამოწყვიტეს, უკუაქციეს ისინი და გარბოდნენ. უკან მისდიეს და დაფანტეს. ერთიანად [ბრძოლის ველიდან] გასვლა ვეღარ შესძლეს და თელავდნენ ერთმანეთს. გზააბნეულები უღრანი ღელეებისა და ტყეებისკენ მიდიოდნენ. ერთ მხარეს სულთანი შავერდი-ბეგი გარბოდა, ხოლო შეშინებულმა სულთან მაჰმადმა თავისი მხედრობით ტყეს შეაფარა თავი. დღისით წასვლა აღარ შეეძლო.

მაშინ დაინახა მეფე ლუარსაბი ციტაოდენი ხალხით და შემოუტია მეფეს. ღვთის ძალით გამხნევდნენ მეფე, მასთან მყოფი ეპისკოპოსები და მოხუცებული საერონი. ჭაბუკებივით გახდნენ. ისევ გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა. აჯობა მეფემ და უკუაქცია ისინი. მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტეს. დაინახა მეფემ მაჰმად სულთანი. ჰოროლი აღარ ჰქონდა, რადგან ერთ კაცს ზედ გადაამტვრია. ააღელვა თავისი ტაიჭი მეფემ, აძგერა სულთან მაჰმადის ცხენს და მიწაზე დასცა. სხვასაც შეუტია. საბრძოლო იარაღი სულ მთლად დალეწილი ჰქონდა მეფეს. ცხენით იბრძოდა საჭურველის გარეშე. სხვა ყიზილბაშს რომ მისდევდა, რაღაც თხრილი იყო, მიწის ნაპრალი, მეფის ცხენს ფეხი ჩაუვარდა და წაექცა მეფეს ცხენი. მაშინ მიეჭრა ერთი ყიზილბაში, სახელით ზაქირი, მოუქნია მახვილი, თავში ჩასცა მეფეს და სასიკვდილოდ დაჭრა. შეჯდა მეფის ცხენზე და გაიქცა. ქართლელებმა რომ გაიგეს, გახელებით გამოედევნენ, დაეწივნენ. ისიც მოკლეს, მაჰმად სულთანიც და მთელი მისი მხედრობა ამოწყვიტეს.

ამ დროს სვიმონს დიდი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, განჯის სულთან შავერდის მისდევდა, [მტრის] მხედრობას მდელოზე ამოსული მხალივით ავლებდა მუსრს. აცნობეს სვიმონს ეს ამბავი. მაშინვე გამოტრიალდა, მოვიდა მეფესთან და მეტად შეწუხდა. ყიზილბაშები განჯაში გადავიდნენ, ხოლო სვიმონი მთლიანად დაეუფლა ქართლის მიწებს. მცირე ხანს კიდევ იცოცხლა ამ წყლულით მეფე ლუარსაბმა და ამავე

ჭრილობით გარდაიცვალა, როგორც წმიდა მოწამე ვახტანგი და მეფე დავითი.[540] აიღეს მისი წმიდა გვამი და დაკრძალეს მცხეთაში, მის განსასვენებელში, ღვთის მიერ აღმართულ სვეტიცხოველში და დაიწყეს ქართლელებმა გლოვა და მწუხარება. [ეს მოხდა] 246 ქორონიკონში, ქრისტეს აქეთ 1517 [წელს][541].

მამის ნაცვლად სამეფო ტახტზე ავიდა სვიმონი. იმხანად კათოლიკოსი იყო ნიკოლაოზი. წაიყვანეს სვიმონი მცხეთაში და აკურთხეს მეფედ. მცხეთიდან გორში ჩავიდა. ქალაქი [თბილისი] ყიზილბაშების ხელში იყო, დანარჩენი მოსახლეობა კი სვიმონ მეფეს ემსახურებოდა. მაშინ დაუმძახლდა სვიმონ მეფე კახეთის მბრძანებელ ლევანს. ლევანმა თავისი ასული მისცა, შამხლის ქალისგან შეძენილი. წამოიყვანა იგი სვიმონ მეფემ და გადაიხადეს დიდებული ქორწილი. და მტკიცედ ეპყრა ქართლი.

ქორონიკონი 248 (1560 წ.): თათრებმა შეიპყრეს არჩილი, ბაგრატ მუხრანბატონის შვილი. სვიმონ მეფემ ყიზილბაშებს შუღლი და მტრობა დაუწყო. თავისი მხედრობა შეკრიბა, რომ აეღო თბილისის ციხე. შეიტყო ამის შესახებ საზღვრის მცველმა ყარაბაღის ბატონმა. იმანაც შეკრიბა ლაშქარი არეზს გამოღმა და ქალაქის დასახმარებლად[542] წამოვიდა. გაიგო სვიმონ მეფემ, შეკრიბა ქართლის მხედრობა და ჩამოვიდა ციხედიდში. წერილი გაუგზავნა ცოლისძმას, კახეთის ბატონიშვილ გიორგის და დახმარება ითხოვა მისგან. წამოვიდა გიორგი თავისი მხედრობით და შემოუერთდა ციხედიდში. ეს ამბავი გაიგეს სპარსელებმა, შემოიკრიბეს მრავალრიცხოვანი მხედრობა და გამოემართნენ თბილისისკენ.

იმხანად ხუნანი გაუდაბურებული და უკაცრიელი, ქვიანი ვაშლნარი იყო. ერთ ღამეს მოვიდნენ, დადგნენ იაღლუჯზე და შემოვიდნენ თბილისის ციხეში, რადგან მათ ეჭირათ ციხე. იმხანად ქართლელებს [გზები] ჩახერგილი ჰქონდათ, რომ ყიზილბაშები მიპარვითაც არ დასხმოდნენ თავს. [მტერი] თბილისიდან ფარულად გამოვიდა და ციხედიდისკენ გაემართა. მეფემ წინასწარ დააყენა ყარაულად გერმანოზიშვილი. სოფელ მუხათგვერდში [ავიდა გერმანოზიშვილი] აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად. ფიქრობდა, ისევ იქ ჩავიდოდა და შეკრავდა გზებს. ამასობაში ყიზილბაშები ფარულად შევიდნენ მუხათგვერდში. მივიდნენ, სადაც სანგარი იყო, თხრილთან დაქვეითდნენ, გაასწორეს ის სანგარი და მოულოდნელად თავს დაესხნენ აღდგომა დღეს. აქედან ქართველები

დაირაზმნენ და იქიდან ყიზილბაშები. გახშირდა ბრძოლა და კვეთება ყიზილბაშების მეწინავე [რაზმებსა] და ქართველთა ლაშქარს შორის. მეტად თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველები, მრავალი ყიზილბაში მოკლეს. განჯის ხანმა ქართველების ასეთი თავგამოდებული ბრძოლა რომ დაინახა, ყიზილბაშებს უთხრა: „შორი გზა გვაქვს, რომ გავიქცეთ ვერსად წაუვალთ, დაგვეწევიან და დაგვხოცავენო. მუხანათურ სიკვდილს ისევ ის ვარჩიოთ, რომ ფიცხელ ომში ისევ ამათ შევაკვდეთო“. ყველამ დაიძახა: „ჰალა, ჰალა“ და შეუტიეს ხმალამოწვდილებმა. აქედან ქართველებმა წამოუშინეს. ორივე მხრიდან მტკიცედ იდგნენ, მაგრამ ყიზილბაში უფრო ბევრი მოკვდა და გაქცევასაც აპირებდნენ. კახეთის ჯარმა ტირილი და თავშიცემა დაიწყო, გიორგი ბატონიშვილი მოკლესო. ომი აღარ ანაღვლებდათ, მკვდარი გამოასვენეს ბრძოლის ველიდან და შეეშვნენ ომსა და ბრძოლას. ამის გამო ყიზილბაშებმა დრო იხელთეს, აშლილ და მოტირალ ლაშქარს კიდევ შემოუტიეს და ყიზილბაშებმა გაიმარჯვეს. სხვებიც მრავლად დახოცეს ქართლის თავადები, აზნაურები და უფრო მეტი მსახური ამოწყვიტეს. გამარჯვება ყიზილბაშებს დარჩათ და გაბრუნდნენ ქართველები ქრისტეს აქეთ 1570 [წელს], 249 ქორონიკონში.[543]

იმავე ღამეს შავერდი სულთანი ქალაქში შევიდა. სვიმონ მეფე თავისი ლაშქრით გორში გადავიდა. მოკლული კახეთის ბატონიშვილი გიორგი ლევანს მიუტანეს. მთელმა კახეთმა დაიწყო გლოვა და ტირილი ლევან ბატონის შვილისთვის. ასევე გორში დედოფალ ნესტან-დარეჯანს გაუმხილეს საყვარელი ძმის, გიორგი ბატონიშვილის დაღუპვის ამბავი. მოვიდა ქართლის ჯარი. იტირეს და იგლოვეს, ორმოცისთვის კი ბატონი დედოფალი და ქართლის თავადები ოჯახებით კახეთში ჩავიდნენ, ალავერდში, საყვარელი ძმის დასატირებლად და მამისთვის მისასამძიმრებლად. ორმოცამდე მამასთან იყო [ნესტან-დარეჯანი], იტირა, იგლოვა და ისევ ქართლში დაბრუნდა. ამავე წელსა და ქორონიკონში ბაგრატ მუხრანბატონის შვილი აშოთანი მოკლეს ფხოველებმა.

სვიმონ მეფეს უმცროსი ძმა ჰყავდა, სახელად დავითი. დაემდურა თავის ძმას, მეფე სვიმონს და წავიდა ყაენ შაჰ-თამაზის კარზე. ყაენი ყაზვინში იყო. დავითის ჩასვლა რომ მოახსენეს, ძალზედ ესიამოვნა, ყველა ბეგლარბეგი, ვინც კი კარზე ჰყავდა, წინ მიაგება. ერთი უფროსი ბარათაშვილი ახლდა თან, მის ძმაზე, მეფე სვიმონზე გამწყრალი იყო.

ამის გამო უფრო დიდი პატივი სცეს და შვილობის რაყამი უბოძეს. საფიხვნოში ყაენმა თავის სიახლოვეს დაისვა. როგორც ხელმწიფეს, ქვეშ გაუფინეს [ხალიჩა], ბალიში დაუდეს და ზედ დასვეს. მისი თავადები საფიხვნოში დასხეს, ალაგ-ალაგ შუაში ჩაუსხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დაგმო ღმერთი [დავითმა], გათათრდა და სახელად უწოდეს დაუდ-ხანი. მისი თანმხლებნიც გაათათრეს. სამეფო იარაღი, ყველაფერი, უბოძეს. მის თავადებსა და აზნაურიშვილებს ხალათები, სახარჯო,[544] ცხენები და იარაღი გაუკეთეს და უბოძეს. რაც ბატონსა და მის ყმებს მისცეს, სულ ცხრა ათასი თუმნისა იყო. ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს, რაყამში [ყაენის] შვილად მოიხსენიეს, მესტუმრე გამოაყოლეს თან და დიდი პატივით მდიდრულად გამოუშვეს. ყოველწლიურად თითო მოსაზღვრე ხანი თავისი ლაშქრით იყო ჩაყენებული ქალაქის ციხეში დავით მეფის დასაცავად.

მაგრამ სვიმონ მეფე თავს არ ანებებდა, არბევდა სომხით-საბარათიანოს, ქალაქის აღებასაც ცდილობდა, მაგრამ ვერ აიღო. ისევ შეკრიბა სვიმონ მეფემ ქართლის ქვეითი და ცხენოსანი ლაშქარი. ქრისტეს აქეთ 1568 [წელს], წამოვიდა დაუდ-ხანთან საბრძოლველად. მოვიდა და დადგა დიღომში. შეიტყო დაუდ-ხანმა, რომ სვიმონი ქალაქზე იერიშის მოსატანად წამოვიდა, იმანაც შეკრიბა სომხით-საბარათიანო, თათრები, ქალაქის მცხოვრებნი და ძმასთან საომრად გავიდა. დაინახა, რომ სვიმონ მეფეს უფრო დიდი ლაშქარი ჰყავდა. დიღომში შეებრძოლა. ძლიერი ბრძოლა გაიმართა. სვიმონ მეფეს ცოტაოდენი მოლაშქრენი დაუხოცეს, დაუდ-ხანისა კი ორი ათასი გაწყდა. აჯობა სვიმონის მხედრობამ და უკუაქცია დაუდ-ხანი. გამოქცეული ისევ ქალაქში შემოვიდა.

ყარამანალუს ხალიფა, ყიზილბაშების სარდალი, ჭკუანაკლები და ამაყი კაცი იყო. არ დაუჯერა დავით მეფეს, თითონ უნდოდა თავის გამოჩენა და სვმონ მეფეს ბრძოლა გაუმართა. ძლიერ და მეტად თავგამეტებით იბრძოდა, ბევრი ზიანიც მიაყენა, მაგრამ თვითონაც მოკლეს და ჯარიც ამოუწყვიტეს. ეს ამბავი დავით მეფემ ყაენს მისწერა და ლაშქარი სთხოვა. ყაენმა ბრძანება გასცა, სარდლად დანიშნეს ასან-ბეგი ყარამანლუ და დიდი ლაშქრით დავითს მოაშველა. დავით მეფემაც შეკრიბა თავისი ლაშქარი და სვიმონ მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა.

დიღომში იდგა სვიმონ მეფე. 255 (1567 წ.) ქორონიკონში გამართეს ბრძოლა. ძლიერი ბრძოლა გაიმართა. სვიმონ მეფის მხედრობიდან

ცოტაოდენი დაიხოცა, დაუდ-ხანისა კი ორჯერ მეტი ამოწყვიტეს. ღმერთმა სვიმონ მეფეს მისცა გამარჯვება. უკუაქციეს დაუდ-ხანი. დევნილი მარტო შევიდა თბილისის ციხეში. მისი მხედრობიდან, ზოგი დახოცეს, ზოგი შეიპყრეს.

მაშინ მოადგა სვიმონ მეფე თბილისის ციხეს. ეგონა, ქალაქის მოსახლეობა ჩემს მხარეს გადმოვაო, მაგრამ ქალაქელები არ მიემხრნენ ყაენის შიშით. ცოლ-შვილი იმათაც ციხეში შეაფარეს. ციხიდან დაიწყეს ბრძოლა, თოფებისა და ზარბაზნების სროლა. არც ბარათაშვილები გადმოვიდნენ მის მხარეს. ციხიდან დაუხოცეს ხალხი. გარკვეული დროით ადგნენ [ციხეს] და ძალზედ შეაწუხეს. კაცი გაგზავნეს [თბილისიდან]. შაჰ-თამაზის ამირსპასალარ ჰუსეინ-ბეგს აცნობა დაუდ-ხანმა თავისი გასაჭირი და დახმარება ითხოვა მისგან. მაშინ წამოვიდა ჰუსეინ-ბეგი ურიცხვი მხედრობით. ღამით შემოვიდა თბილისის ციხეში. სვიმონ მეფემ მისი მოსვლა ვერ გაიგო და სამადლოში წავიდა. ამასობაში ძალები მოიკრიბა დაუდ-ხანმა, გაკადნიერდა, გამოვიდა ციხიდან და სამადლოში ჩავიდა.

ქორონიკონი 256 (1568 წ.): დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ სვიმონ მეფე და დაუდ-ხანი. ძლიერი ბრძოლა გამართეს. მაშინ გალომდნენ სვიმონ მეფე და ქართლის მხედრები. ღმერთმა გამარჯვება მეფესა და ქართლელებს მისცა. ისევ გააქციეს დაუდ-ხანი, მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტეს, უფრო ბევრი შეიპყრეს და განდევნეს. ლტოლვილებმა თბილისის ციხეს შეაფარეს თავი. მივიდა სვიმონ მეფე, გარკვეული დროით მიადგა თბილისის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. წამოვიდა გამარჯვებული და ბევრი ნადავლით აღვსილი. დაუდ-ხანმა ეს ამბავი შაჰ-თამაზს აცნობა და ისევ დახმარებას შეევედრა.

მაშინ აუწყა შაჰ-თამაზმა შამხალს, რომელსაც ჩერქეზი ეწოდა და შაქის სულთანს, ყარაბაღელებსა და გარშემო მყოფ ყველა ყიზილბაშს, რომ დახმარებოდნენ დაუდ-ხანს. შეიკრიბა ურიცხვი მხედრობა და მოადგა ქართლის საზღვრებს. წავიდა კახაბერ ყორღანაშვილი და განჯაში წინ შეეგება მათ, რადგან ძალიან ეშინოდა ქართლში ყიზილბაშების შემოსვლის. ყორღანაშვილმა მათი სისხლი თავის თავზე აიღო,[545] წინ გამოუძღვა, რადგან მის გარეშე არ შეეძლოთ ქართლში შემოსვლა. მაშინ შეკრიბა სვიმონ მეფემ ქართლის მხედრობა და ჩავიდა ფარცხისში, რადგან იქ იდგნენ ყიზილბაშები. ქართლელებზე ათჯერ მეტი იყვნენ. შეუტიეს ქართლელებმა გულსრულად და გაიმართა ძლიერი

ბრძოლა. პირველივე შეტაკებისას უკუაქციეს ყიზილბაშები. გამხნევდა ქართლის მხედრობა, მუსრი გაავლო და დაატყვევა ისინი.

ამასობაში სვიმონ მეფე მიეჭრა ერთ შეჭურვილ ყიზილბაშს. ძლიერ უგმირა ჰოროლი და მიწაზე დაანარცხა, მოკლა იგი. სხვებსაც შეუტია ლაღად და ჩამოშორდა თავის მხედრობას. მაშინ იცნო იგი ყორღანაშვილმა, უთხრა ყიზილბაშებს: „ეს არის სვიმონ მეფეო". მისკენ გაემართნენ [ყიზილბაშები], მრავლად შემოერტყნენ გარშემო და შეიპყრეს სვიმონ მეფე 257 ქორონიკონში (1569 წ.). ქართლელებმა ვერ გაიგეს მისი შეპყრობა. ამის შემდეგაც დიდი სახელი გამოიჩინეს, იბრძოლეს და მრავალ ყიზილბაშს გაავლეს მუსრი. მეფის შეპყრობა როცა გაიგეს, ძალზედ დაღლილები იყვნენ ფიცხელი ბრძოლებით, იარაღი აღარ ჰქონდათ შერჩენილი, ყველაფერი დამტვრეული ჰქონდათ. მაშინ უკან გამობრუნდნენ ქართლელები.

წაიყვანეს [ყიზილბაშებმა] სვიმონ მეფე. შეპყრობილი შეიყვანეს ქალაქ თბილისში და დიდი პატივით გაგზავნეს ყაზვინში ყაენ შაჰ-თამაზთან. ყაენმა დიდი პატივი სცა და ბევრი საბოძვარი მისცა. აიძულა რჯულის დაგდება, მაგრამ სვიმონი არ დაჰყვა, მტკიცედ იდგა რწმენაზე. ამის გამო განრისხდა ყაენი, გაგზავნა და ალამუთის ციხეში ჩააგდო.

ქორონიკონი 2[6]1[546]: ავადმყოფობდა პატრონი ქაიხოსრო ათაბაგი და 51 წლის [ასაკში], თებერვლის 13 [რიცხვში] გარდაიცვალა ყაზვინში. [...][547] 29 ენკენისთვეში, სამშაბათ დღეს, მეცხრე ჟამს, მე-2 მთვარეს. ამავე ქორონიკონში ბაგრატ მუხრანბატონის შვილი არჩილი ყაზვინიდან გაგზავნეს შირაზში ღვინობისთვის 22 [რიცხვში], ხუთშაბათ დღეს.

იმხანად გარდაიცვალა კახეთის მბრძანებელი ლევანი ქრისტეს აქეთ 1575 [წელს], 2[6]3 ქორონიკონში.[548] მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ალექსანდრე, მისი პირმშო ძე. იგი დაეუფლა კახეთს. ალექსანდრე გურიელის ასულის ნაშობი იყო, ხოლო ელიმირზონი და ხოსრო-მირზა – შამხლის ასულმა გააჩინა უწინ, ლევანის მეფობის დროს. ელიმირზონი და ხოსრო-მირზა დედით სვიმონ მეფის ცოლს [ენათესავებოდნენ]. მათი სამშობლო იყო საშამხლო. ამ ორი მიზეზის გამო უფროს ძმას არ ერთგულობდნენ, სძულდათ [იგი]. ლევანის გარდაცვალების შემდეგ კახელები გაიყვნენ: ზოგი ალექსანდრეს მიემხრო, ზოგი ელიმირზონსა და ხოსრო-მირზას. ძველი დროიდან კახელებს ასეთი ჩვევა აქვთ. ჩამოვარდა დიდი შუღლი ძმებს შორის. მაშინ წავიდნენ ელიმირზონი

და ხოსრო-მირზა, შევიდნენ თორღას [ციხეში]. ალექსანდრემ შეკრიბა მისი წილი კახეთი და წავიდა მათ წინააღმდეგ. როცა მივიდა, დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, გაიმართა ბრძოლა. იმ ომში დახოცეს ელიმირზონი და ხოსრო-მირზა – ორივე ძმა და ძმისშვილები. ალექსანდრე დაეუფლა მთელ კახეთს.

დაუდ-ხანს ჰქონდა თბილისი და საბარათიანო. დმანისის ხევის ციხეში იჯდა. სვიმონ მეფის ცოლი, დედოფალი ნესტან-დარეჯანი, კავთისხევში იმყოფებოდა. ერთი მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა, რომელსაც სახელად გიორგი ერქვა. როცა ქსნის ერისთავმა და ამილახორმა დანამდვილებით შეიტყვეს სვიმონ მეფის დატყვევებისა და მისი ცოლის ძმების, კახეთის ბატონიშვილების, სიკვდილის ამბავი, მაშინ განარისხეს ღმერთი, იძლივნენ ანგარებითა და ვერცხლისმოყვარებით. შეესივნენ დედოფალ ნესტან-დარეჯანს და მიმოიტაცეს მისი საგანძური. ყველაფერი წაიღეს, რაც გააჩნდათ სვიმონ მეფესა და დედოფალ ნესტან-დარეჯანს. ყველას მიჰქონდა, დიდსა თუ მცირეს. ამ სიტყვას ამბობდნენ მეფის ერთგული ყმები, რაც დღესაც ანდაზად არის, მაშინდელი ნათქვამია ეს სიტყვა: „ვაჰმე, სვიმონ ბატონის ქონებაო“. წაიღეს სიმონ მეფისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის მთელი სიმდიდრე.

იმხანად საბარათიანოს ამირსპასალარი იყო საჩინო ბარათაშვილი, მეტად კარგი კაცი. იგი არ ემორჩილებოდა დაუდ-ხანს, რადგან სვიმონ მეფის ერთგული იყო. ერთ დღეს კოჯრის მხარეს მოდიოდა. გელიყარის თავს რომ მიადგა, იქ წინ შემოხვდა კახაბერ ყორღანაშვილი, რომელიც ყიზილბაშებს შემოუძღვა, როცა სვიმონ მეფე შეიპყრეს. იცნო საჩინო ბარათაშვილმა კახაბერ ყორღანაშვილი, დაიჭირა და გელიყარის კლდიდან გადააგდო. მიგორავდა ყორღანაშვილი და თვითონვე ამბობდა ამ ლექსს: „ყორღანასძე ქარაფიდან, ხელი ჰკრეს და გადაფრინდაო“.

კახეთის ბატონ ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა თინათინი, ამილახორის ასული. ხუთი ძე ჰყავდა ალექსანდრეს: დავითი, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. და ჰყავდა ერთი ასული [ჰყავდა] ნესტანი, რომელსაც დარეჯანი დაერქვა. ეს ნესტან-დარეჯანი [ალექსანდრემ] მიათხოვა მანუჩარ დადიანს, მამია დადიანის ძეს და ბევრი მზითებით გაგზავნა. ერეკლე, მისი ძე, არ დაემორჩილა მამამის ალექსანდრეს და წავიდა სტამბოლში. როცა შაჰ-თამაზმა გაიგო, განრისხდა და წამოვიდა, რადგან ეგონა, ალექსანდრე განმიდგაო. ურიცხვი მხედრობით

ჩამოვიდა ყარაბაღში. ძალიან შეწუხდა ალექსანდრე. მაშინ სახლთხუცესმა ჩოლოყაშვილმა რაღაც მოიფიქრა და უთხრა ალექსანდრესა და კახელებს: „თუკი ეს საქმე მრავალი ცოდვის მიზეზი გახდება, საერთოდ ყველას მოეკითხოს და მე ავარიდებ კახეთს შაჰ-თამაზის რისხვასო“. [ამაზე] მთელი კახეთის დიდებულებმა ხელწერილი მისცეს.

იმხანად გარდაცვლილი იყო ქაიხოსრო ათაბაგი. [ქვეყანას] ფლობდა მანუჩარი, მისი მცირეწლოვანი ძე. მაშინ, სახლთხუცეს ჩოლოყაშვილის წინასწარი განზრახვით, კაცი გაგზავნეს და მისწერეს დედისიმედს, ქაიხოსრო ათაბაგის ცოლს, რომ: „ვარაზ შალიკაშვილს შენი და მანუჩარის, შენი ძის, ღალატი უნდა, რადგან მაგას უნდა დაეუფლოსო საათაბაგოს. ყაენი მოჰყავს ურიცხვი მხედრობით საათაბაგოს წინააღმდეგ. ახლა, თუკი შეგიძლია, შეიპყარი ეგ და მოკალი, როგორც შენი ძის ორგული და მკვლელი. ვეღარ შემოვა შაჰ-თამაზი, წავა თავისთვის და უფრო მტკიცედ დაეუფლები მაგ ქვეყანასო“. დედისიმედი ჭკუით სულელი და უღვთო [ქალი] იყო. ეს ამბავი რომ გაიგო, ვერ მიხვდა კახელების მზაკვრობას. ამ სიტყვის დამჯერებელმა ღალატით შეიპყრო ვარაზა შალიკაშვილი, მოკლა და დაღვარა უდანაშაულო [კაცის] სისხლი.

ვარაზა იყო ოთარ შალიკაშვილის ძე. ქაიხოსრო ათაბაგს მრავალი ხნის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა. [იგი იყო] შაჰ-თამაზის ცოლისძმა. შაჰ-თამაზმა რომ გაიგო ვარაზას მოკვლის [ამბავი], მეტად განრისხდა. მაშინ აღარ წავიდა კახეთზე, არამედ საშინელი რისხვით შემოვიდა სამცხეში. მთელი სამცხე-საათაბაგო ამოწყვიტა და ბევრი ბოროტება ჩაიდინა.

კაცი გაგზავნა [შაჰმა] ხონთქართან. გადაწყვიტეს, რომ ერთმანეთში მშვიდობა ჰქონოდათ. მაშინ გაინაწილეს ქვეყანა და დაზავდნენ[549]. იმხანად ხონთქარს დარჩა იმერეთი, ოდიში, გურია და საათაბაგო ქართლის საზღვრამდე; დარჩა კარი აბოცისა და ერევნის საზღვრამდე და სომხეთი საზღვრამდე, რომელსაც ახლა თურქისტანს უწოდებენ, ვიდრე ბაღდადამდე. ხოლო შაჰ-თამაზმა დაიპყრო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანის აქეთ [არსებული მიწები]. მას შემდეგ ჰქონდათ ერთმანეთში თანხმობა და მშვიდობა, როგორც მაჰმადის ერთგულ მიმდევრებს.

ბატონმა ალექსანდრემ კონსტანტინე, თავისი ძე, გაგზავნა შაჰ-თამაზთან. თან გაატანა მრავალი ძღვენი, ბევრს ემუდარა და აცნობა ერეკლეს, მისი ძის, ურჩობის შესახებ: „ჩემს უნებართვოდ წავიდაო

ხონთქართან“. დაუჯერა შაჰ-თამაზმა ბატონ ალექსანდრეს, წავიდა თავის საბრძანებელში და თან წაიყვანა მძევლის მსგავსად კონსტანტინე, პატარა ბიჭი.

ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და 264 ქორონიკონში (1576 წ.), 15 მაისს, სამშაბათ დღეს მოკვდა ყაენი შაჰ-თამაზი. უსტა-ჯალუანებმა და იოთამის შვილმა, ალიხან-სულთანმა აიდარ-მირზას ტახტზე აყვანა მოიწადინეს. ჯარგაზ შამხალ ავშრები და ვინც მათი იყო, თავს დაესხნენ, მოკლეს აიდარ-მირზა, ამოწყვიტეს უსტა-ჯალუანი და კაცი გაგზავნეს ისმაილ-მირზას გამოსაყვანად. ამავე ქორონიკონში, სწორედ მაისის ოცდაორში შაჰ-თამაზის შვილი შაჰ-ისმაილი ყალყაას ციხეში იყო დატყვევებული. გამოიყვანეს სამშაბათ დღეს. ამავე მაისის 26 [რიცხვში] ქალაქ არდაველში ჩავიდა. 20 [რიცხვში] ყაზვინისკენ გაემართა. ყაენად დასვეს შაჰ-ისმაილი.

გამოიყვანა [შაჰმა] სვიმონ მეფე ალამუთის ციხიდან, ყაზვინში ჩააყვანინა და ქართლის მეფობა მისცა. სხვა მრავალი წყალობა[ც] მისცა, [მისი] სამეფო მორთულობა [საყაენოს] ყველა ქარხანაში შეუკვეთა. როცა ეს ამბავი ქალაქ თბილისში მდოგმ დავით მეფეს მოუვიდა, გაწყრა, ხონთქართან შიკრიკი გაგზავნა და ლაშქარი სთხოვა.

ამავე წელს, ივნისში, ყვარყვარე ათაბაგი, მისი ძმა, პატრონი მანუჩარი და მათი ბიძაშვილი, არჩილ მუხტანბატონის ძე, პატრონი ერეკლე მგელციხეში გადავიდნენ ყაენთან ელჩის გასაგზავნად. ავ-კარგად სამოცამდე კაცი გაიყოლა თან. სამწუბთ-ღელეში დავდექით. ოლადის ქვაბიდან აცნობა იასონ ბედიანიშვილმა კოკოლა ვარაზაშვილს, მის ძმას, ლაშქარასა და ბიძამის გურგაქს. თან გაიყოლეს ელია დიასამიძის შვილი ავთანდილი და მისი ძმა შერმაზანი, როსტომ ამატაკიშვილის ძე ამატაკი, ანდუყაფარი, მათი ძმიშვილი როსტომი და ამატაკის ვაჟი სეხნია. ესენი, ხუთასამდე კაცი, გაემზადნენ და წამოვიდნენ. ორთვალთ ხიდი გადმოიარეს, ბორგში ჩამოვიდნენ. იქ გვერდში დაიყენა იობ ფანასკერტელის შვილი ჯირასონი. [ერთი] კაცის საუბარს მოჰკრა ყური: „მართლა ბატონებზე თავდასასხმელად და დასახოცად ხომ არ მიდიანო“. წავიდა და უგუბოში მყოფ ყანდურალ დოლენჯიშვილს აცნობა: „თუ ბატონიშვილებს მართლა დახოცავენ, სწრაფად აცნობეო“. წამოვიდა ყანდურალი და ბატონებს აცნობა.

მამალმა, როცა იყივლა, ადგნენ ბატონები და ვინც იყვნენ, შეიკაზმნენ, ოცამდე კაცი იყო გამზადებული. ბარგი აჰკიდეს, დიდხანს

იქვე იტრიალეს და არ მოვიდნენ. უკან მობრუნდნენ ოხერათთავის სიმაგრეში. 30 ივლისს, შაბათ დღეს, განთიადისას ნასადგომევს დაესხნენ თავს. მეტი არაფერი დახვდათ, თუხარლიანთა კარავი და ბარგი დახვდათ, ის მიმოიტაცეს. ჯორები კიდევ მისცეს. ჩვენი და მათი კაცი გადაეკიდნენ [ერთმანეთს]. ერთი მოკლეს და ერთი ხელში ჩაიგდეს ჩვენებმა. წავიდნენ გაწბილებულები. დაიტრაბახეს: „რომ არ გაესწროთ, თავებს დავაყრეინებდით და მკვდრებს ასო-ასო დავჭრიდით; ისე ვიზავდით, ნაწამებსაც არ გავუშვებდით ცოცხლებსო“.

ხმა გავარდა. დაიწყო მოსვლა ჩვენმა ლაშქარმა. გაემართნენ პატრონი ყვარყვარე, პატრონი მანუჩარი და ერეკლე ღვთის სახელით და მოვედით თმოგვში. დავარბიეთ თმოგვის ქალაქი და იქვე ზედა თმოგვში ამოვედით. პატრონი, მათი დედა, დებორა [მონაზონი], დედისიმედ-ყოფილი, იქ მოვიდა. ორშაბათს ვანის ქვაბს მოვადექით, ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ. პარასკევ დღეს ავიყარეთ, ჩავდექით, დავირაზმეთ რჩეულიანებთან და კვირა დღეს ოლადის ქვაბი ავიღეთ. ამოვედით, კარწახში დავდექით 19 ივლისს, ხუთშაბათ დღეს.

ქორონიკონი 210[550]: ერეკლე გავამზადეთ, არჩილ მუხრანბატონის შვილი, 16 წლის სამი თვისა და სამი კვირის. მივეჭერით ფოსოს, სახლი გადავწვით და ამოვწყვიტეთ. ლაშქარი შევუსიეთ, დაქცეულთა ხიზნები და ალამი ჩავიგდეთ [ხელში].[551] მოვედით და პალაკაციოში დავდექით. იქიდან თეთრი ციხის შემოგარენი გადავწვით, ალაბუტი და კამროანი. ყაენთან ელჩი გავგზავნეთ.

ამავე თვეს, 20 ივლისს, შაბათ დღეს, ზემბად შალიკაშვილის ძემ, უწინ მათივე კუთვნილი, ოლთისის ციხე წაგვართვა ჩვენ. თათრები შუაში შემოვიდნენ, გამოვუდექით. მგელციხეს მოვაშურეთ, შერანშაიანთ წყაროსთან გავჩერდით. მერე აწყურში ჩავედით.

ამავე ქორონიკონში, ოცდათერთმეტ აგვისტოს ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიდან. ენკენისთვის ოთხ [რიცხვში] დიასამიძემ დემოთის [ციხის] საღალატოდ აზნაურიშვილები და მსახურები გაგზავნა. ვეღარ უღალატეს, ჩვიდმეტი ხელში ჩაიგდო ციხისთავმა აჯარ შალვაშვილმა. პატრონი მანუჩარი, პატრონი ერეკლე და მათი ბიძაშვილი მგელციხეში იდგნენ. თავს დაესხნენ შალიკაშვილების აზნაურიშვილებს. გაექცნენ აზნაურიშვილები. წამოეწია ერეკლე, [ერთი] მხედარი ჩამოაგდო და კარგი ცხენი დაისაკუთრა. ჩვენც წამოვედით სამცხიდან და შერანშიანთ წყაროსთან დავდექით.

ამავე 204 ქორონიკონში (1516 წ.) ივანობისთვის 24 [რიცხვში] ბატონი არჩილი შირაზიდან ყაზვინში ჩამოვიდა ცოლ-შვილით. მერე ჩავედით, ფოსო ამოვწყვიტეთ და შაჰთან ელჩი გავგზავნეთ. უკან დავბრუნდით, სამცხეში ჩამოვედით.

205 ქორონიკონში (1517 წ.), მარტის [თვეში] თავს დაგვესხა კოკოლა და აჩხის ქვაბული წაგვართვა. წავიდა ბატონი მანუჩარი და იმ წამსვე წაართვა. ერეკლე ახლდა თან. მერე გურგაქი განდგა, კოკოლამ თავის ძმისწულსა და ბატონ მანუჩარს ფიცი მისცა. ქაჯეთის ციხე მოუჭრა, მერე ფიცი გატეხა და ისევ განუდგა ბატონ მანუჩარს. უკან დაბრუნდა ბატონი მანუჩარი. გაზაფხულზე ისევ ჩავედით, ვეთათბირეთ და არ შემოგვიერთდნენ. დავურბიეთ ფოსო. ელჩი გავისტუმრეთ და უკან მოვბრუნდით.

ქორონიკონი იგივე: გავილაშქრეთ ღვთის სახელით. ენკენისთვის შუა რიცხვებში ქაჯეთის ციხეს მოვადექით. ღვინობის თვის ორ რიცხვში გურგაქი შემოგვიერთდა და ველი[ს ციხე] მოგვცა. გავბრუნდით, ურთის ციხე-საყდარი წავართვით. კოკოლას კუთვნილი იყო. ციხე დავაქციეთ. სიმაგრე, რაც იყო, გადავწვით, საყდარი დავტოვეთ. ფოსო დავარბიეთ და ელჩი გავგზავნეთ ყაენთან. მოვბრუნდით, მგელციხეში ამოვედით, მატა ბოსტოღანაშვილმა მისი უფროსი ძმა მოკლა, ათამირქა ერქვა. წამოვიდა ბატონი მანუჩარი, შეიპყრო მატაი, თვალები ამოუშანთა მას და მასთან მყოფ ყმებს. მობრუნდა ბატონი მანუჩარი, მგელციხეში ამოვიდა. ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარი იქ გაჩერდნენ. ბატონი დედისიმედი წამოვიდა. ახალციხეში ჩამოვიდნენ.

ქორონიკონი 206[552]: გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი. მისი მსგავსი არასოდეს არავის უნახავს. შაჰ-ისმაილი უმოწყალო და სისხლისმსმელი კაცი იყო. ამის გამო ყიზილბაშები არ შეეგუვნენ მის მბრძანებლობას. დაეთანხმნენ რჯულმეცნიერს და მეექვსე თვეს საწამლავით მოკლეს ყიზილბაშებმა ყაენი შაჰ-ისმაილი. გიორგობის თვის 23 [რიცხვში] მისი ძმა შაჰ-ხუდაბენდე აიყვანეს ტახტზე. შაჰი ხუდაბენდე უძლური კაცი იყო, უსინათლო. რიგიანად და კარგად ვერ წარმართა თავისი საქმე.

ქრისტეშობის თვის ოცდათერთმეტ [რიცხვში] სამშაბათ დღეს ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარი თმოგვს მოადგნენ. 5 იანვარს, კვირა დღეს, 206 ქორონიკონში პატრონი დედისიმედი და ბატონი ბექა ყველის [ციხეს] მოადგნენ. ამავე იანვრის ოთხშაბათს თმოგვი წაართვეს. აქეთ, იმავე დღისით, ყველის [ციხე] წავართვით. ოთხშაბათს, გიო-

რგობისთვის 7 [რიცხვში] ბატონ ერეკლეს ცხენი წაექცა. სათუო გახდა მისი გადარჩენა. ისე საშინლად დაეცა, უცნაურ ფათერაკს გადაურჩა. მეცამეტე დღეს სანადიროდ წავიდა, ქარაფის ძირში იჯდა. [კლდეს] ქვა მოწყდა, დაეცა, თითის წვერი ძვლიანად წააცალა. უშნოდ მოსტეხა, ორ თვეში ძლივს მოუშუშდა. ამის გამო არც თმოგვში იყო და არც ყველის [ციხეში].

შეკრიბა კოკოლამ [მხედრობა]. ყარახანი წამოვიდა თმოგვის დასახმარებლად. ვეღარ მოასწრო, ორივე ციხე წართმეული ჰქონდა. ყველის [ციხიდან] თმოგვში გადავიდა დედისიმედი. იქიდან ჯავახეთში გაემართა ბატონი მანუჩარი. ფოსო და ჯავახეთი დაარბია, გურგაქს ქაჯის ციხე გაუპარტახა. ახალციხეში წამოვიდნენ ბატონი ყვარყვარე და ბატონი მანუჩარი. ბატონი დედისიმედი თმოგვში დარჩა. თმოგვის ციხეს, რაც სჭირდებოდა, მიატანინა, გამართა. თვალშვენიერთან ელჩი გაგზავნა, შეატყობინა, რომ ციხეებს დაეპატრონა და ურუმების არევის შესახებ აცნობა.

ურუმების ამბავი საჩქაროდ გახმაურდა. პატრონი დედისიმედი შვილებთან ჩამოვიდა ახალციხეში. პატრონმა მანუჩარმა და პატრონმა ერეკლემ ლაშქარი შეკრიბეს, წავიდნენ და ურუმების მხარეს გადავიდნენ. პატრონი ყვარყვარე ცოტა უხასიათოდ იყო, ის ვეღარ წავიდა. ზღუდერში ჩავედით. ამასობაში, 26 თებერვალს, ოთხშაბათ დღეს, ოთმანიანიები, რვაასი კაცი, თავს დაესხა ყარასანს. მოხერხებულად გააბრუნა უკან. წამოადგნენ ურუმები და ათიოდე კაცი მოუკლეს. მობრუნდნენ, გორი გადაწვეს და იქვე დადგნენ. მობრუნდა ყარახანი, ექვსასი კაცი ახლდა, თავს დაესხა, ამოწყვიტა ურუმები და გააქცია ღვთის სახელით. გაიმარჯვა ყარახანმა, აივსნენ საქონლითა და იარაღით. მობრუნდა ბატონი მანუჩარი, აწყურში ჩამოვიდა.

ამავე ქორონიკონს მოვიდა ხონთქრის ჯარი. დაიპყრეს თავრიზი, ერევანი, განჯა, ყარაბაღი ვიდრე სულთანიამდე და მთელი ადარბადაგანი. ამავე ქორონიკონში, მაისის 21 [რიცხვში], ოთხშაბათ დღეს ერეკლე, არჩილ მუხრანბატონის შვილი, წავიდა სურამში ქართლის დედოფალ ნესტან-დარეჯანთან. ხელმოკლედ იყო დედოფალი და მასთან სამყოფად ჩავიდა. ამავე ქორონიკონში გარდაიცვალა აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე. ამავე ქორონიკონში, მაისის თვის 22 [რიცხვში], გარდაიცვალა მეფეთ მეფე გიორგის შვილი ბაგრატი. მისი დედა, შარვაშიძის ქალი, დედოფალი რუსუდანი გარდაიცვალა დ აგვისტოს.

ამავე ქორონიკონში, მარიამობის თვის 7 [რიცხვში], ხუთშაბათ დღეს, ხონთქრის ლაშქარი და ლალა ფაშა მოადგნენ მგელციხეს. გამართეს ბრძოლა. სამშაბათამდე ყოველდღე ბრძოლაში იყვნენ. მეციხოვნეები იყვნენ როინ გოგორიშვილი, მისი ძმა ბერი მრუშნელი და მისი ძმისწული ზურაბი ძმებთან ერთად. ღვთის შეწევნით უკან გაბრუნდნენ და ციხე ისევ ჩვენ დავგრჩა. ჩვენებმა გაიმარჯვეს. პარასკევ დღეს, მარიამობის თვის 8 [რიცხვში], ქაჯეთის ციხე, ველი[ს ციხე] და თეთრციხე წაგვართვეს ურუმებმა. ქაჯეთის ციხის მცველები მთლიანად ამოხოცეს. 9 [რიცხვში], შაბათ დილას, ძურძანასა და წინწალს შორის შემოვიდნენ არზრუმისა და ვანის ფაშა, სულთანი, ყარახან ბაზუქლუ და ასევე მუღანლუს ბატონი. იქ შეგროვდნენ. მაჰმად სულთანი გორაკზე გადმოდგა, თავისიანები, ვინც ჰყავდა, გვერდში მოიყენა. სხვა ბატონები შეებრძოლნენ ურუმებს. პირველად ყიზილბაშებმა გაიმარჯვეს, შემდეგ ურუმები მოერივნენ და სძლიეს. გამოიქცა მაჰმად სულთანი, გადაიხვეწა.

იმავე კვირაში, მარიამობის თვის 19 [რიცხვში], პატრონმა მანუ-ჩარმა ქაჯეთის ციხეს შეუტია. ვერც ლაშქრის ბრძოლასა და ვერც ციხეების აღებას ვერ მიუსწრო. ამილახორის შვილი, ქოიარი, მიეგე-ბა არტაანში და ორი ციხე მან გადასცა ლალა ფაშას მარიამობის თვის ორ [რიცხვში]. აგრეთვე არფაქსადი შეჰპირდა ამას წინათ ექვს ციხეს. ხერთვისი და ხუთი ციხე მან გადასცა და პატრონ მანუჩარს თან გაჰყვა. მაშინვე აართვეს, ციხეები გამოართვეს და ხახული სანჯაყად მისცეს. პატრონმა მანუჩარმა, ამავე თვის17 [რიცხვში], თმოგვის ციხე ლალა ფაშას მისცა. ახალქალაქი უწინ წაართვეს, კოკოლას ციხიონი იდგა და იქიდან მისცა თმოგვი. გაიარეს, წავიდნენ ქალაქ თბილისზე.

17 [რიცხვში] დაუდ-ხანმა გადაწვა [ქალაქი], გაეცალა [იქაურობას] და ლორეში ჩავიდა. თბილისში ურუმები შევიდნენ, ფაშა დასვეს, გორში კი სანჯაყი. დაუდ-ხანი წავიდა ხონთქართან. იქ დიდი პატივი სცეს. ორი საფაშო მისცეს სარჩოდ და თვითონ [ხონთქრის] კარზე დატოვეს. მისი ორი შვილი, ბაგრატი და ხოსრო, მამას არ გაჰყვა. კახეთის ბატონის სიძე იყო ბატონი ბაგრატი, სიმამრთან გაჩერდა. უმცროსი ძმაც, ხოსრო-მირ-ზა, ძმასთან დარჩა. დაბოლოს ყაენის კარზე ჩავიდნენ. როცა თბილისში ფაშა დასვეს და გორში სანჯაყი[553], ერთად შეიკრიბნენ მუხრანბატონის შვილი პატრონი ვახტანგი, ელიზბარ ერისთავი და ბარძიმ ამილახორი. ლალა ფაშამ ლაშქარი შეუსია დედოფალსა და მთელ ქართლს. ესენი ეახლნენ და მათი ღვაწლით ლაშქარი უკან დააბრუნეს. თემობა აღარ

ამოწყდა. მათ მათი მამულები მისცეს. ოთხი დღე არ გააჩერეს და უკან დააბრუნეს. თავიანთ მამულებში მოვიდნენ. სომხითის მცხოვრებლებს ბევრი ზიანი მიაყენეს, ლაშქარი შეუსია ლალა ფაშამ. ამოიარეს ქართლი, წინ გადაუდგნენ იმერლები და მწარედ ამოწყვიტეს.

სხვა დროს ერეკლე, პატრონი არჩილის შვილი, მოიმწყვდიეს ბრძოლაში. მან გაიმარჯვა, საუცხოოდ იბრძოლა. ცხენი ქვევიდან მოუკლეს. თექვსმეტი ისარი მუზარადზე ჰქონდა ნასროლი, ორმოცამდე კი ჯაჭვის [პერანგზე]. ვერც ჯაჭვი და ვერც მუზარადი ვერ გაუჭრეს. ერთი ხმალი ხანჯლისთვის დაეკრა და ხანჯლის ტარი ზედ შერჩენოდა. ექვსი აზნაურიშვილი მძიმედ დაუჭრეს, დააწყლულეს. გამარჯვება ერეკლეს დარჩა. გამოაქციეს თათრები. უფრო მეტი ხალხი დახოცეს და ამოწყვიტეს[554]. ენკენისთვის პირველ [რიცხვში] იმერლებმა გამართეს ბრძოლა და გაიმარჯვეს. ქართლელებმა და ერეკლემ ენკენისთვის 10 [რიცხვში] გაუმართეს ბრძოლა და მთლიანად ამოწყვიტეს.

ორავჟანდაშვილი მოვიდა და პატრონ მანუჩარს ის მიუძღვა ლალა ფაშასთან. ახალქალაქიდან პატრონი მანუჩარი და ფაშა ქართლში გადავიდნენ. ორავჟანდაშვილი ქაიხოსრო აქეთ გამოგზავნა. 206 ქორონიკონი, ენკენისთვის 4 [რიცხვში], ხუთშაბათს, მასზე დავაქორწინეთ თამარ ბატონიშვილი. საშინელმა აწყურის ღვთისმშობელმა და წმიდა ნიკოლოზმა ქორწილი ბედნიერად მოუხდინოს. [პურის] ჭამა აგჰურიანში გაიმართა. თათრების შიშით მეტად უხალისო[555] ქორწილი იყო.

კახეთის მეფის, ლევანის ბატონის შვილი, პატრონი ალექსანდრეც მიეგება ლალა ფაშას, სართიჭალაში შეხვდა. შაქსა და შირვანზე წავიდნენ. ამასობაში შერა შანშაშვილი დაბრუნდა ყაენისგან, თვალმშვენიერთან იყო. ეს ამბავი ჩამოიტანა: „ყაენმა შეიტყო ლალა ფაშასთან მანუჩარის მისვლის შესახებ. თვალშვენიერს კაცები ჰყოლია გაგზავნილი. საცხოვრებელი დაატოვებინეს და ყორჩიბაშს ჩააბარეს. მარიამობის თვის 26 [რიცხვში], ორშაბათ დღეს შეიპყრესო თვალმშვენიერი“.

შირვანი დაიკავეს, ციხე ააშენეს, ოსმან ფაშა ჩააყენეს თავისი ლაშქრით და გამობრუნდნენ. ალექსანდრეს შვილი არაგვამდე გაჰყვა და დაბრუნდა. ლალა ფაშა მუხრანში ჩადგა და გორი გაამაგრა. ეს ამბავი შეიტყო შაჰ-ხუდაბანდამ. მაშინ შაჰ-ხუდაბანდას დედამ, ოთარ შალიკაშვილის ასულმა, გამოიყვანა სვიმონ მეფე, როგორც ქართველი ქალების წესია, ისე მოიქცა – ლეჩაქი გამოუგზავნა: „ქალების ეს თავსაბურავი შემომიხვევია შენი ხმლის ხის ტარზე. შენ იცი და შენმა ხმალ-

მა. ახლა გაძლევთ შენ შენს სამეფო ქართლს და სხვა მრავალ საბოძვარსაც. წადი და გაამაგრე ქართლი, რომ არ წაგვართვან ოსმალებმა. იყავი ჩვენი ხელმწიფის დამხმარე და ერთგულიო“. მისცეს ურიცხვი საბოძვარი და ასე გამოემართა მეფე სვიმონი.

ბაგრატ მუხრანბატონის ავადმყოფი შვილი არჩილი საკაცით მოიყვანეს ერთ შვილთან ერთად. ბევრი ტყვეები მოიყვანა თან. ღვინობისთვის შუა რიცხვებში მოვიდა. ლალა ფაშა ისევ ქართლში იდგა. მოვიდნენ სომხითში და დაილაპარაკეს. ავადმყოფი იყო და ამ მიზეზით ვეღარ შეხვდა. აიყარა ლაშქარი. ღვინობის თვის პირველ [რიცხვში], პარასკევ დღეს დაიწყო მოსვლა. აწყურში ვიდექით. ორშაბათს პატრონი მანუჩარი გამოუშვა, ადრე მოვიდა. სამშაბათს პატრონი ყვარყვარე წინ შეეგება. თვითონ ლალა ფაშაც მოვიდა და გაღმა [მხარეს] ლეკზე დადგა. ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გამოვიდა ციხიდან, ლალა ფაშას ეახლა. არ დაითვლებოდა იმდენი ლაშქარი და აქლემები იყო მოჯარული. შაბათს ცისკრის ჟამს აიყარა და წავიდა. მოტყუებით თან გაჰყვა პატრონი ყვარყვარე და აღარ დაბრუნებულა. პატრონი მანუჩარიც თან გაჰყვა. ათი დღის განმავლობაში ძლივს გაწმინდა ლაშქარი. სამშაბათ დღეს ამბავი მოვიდა – აღარ დაბრუნდაო პატრონი ყვარყვარე. უკან გაჰყვა პატრონი დედისიმედი, ჯაყამდე სდია, ვერ დაეწია. აზნაურიშვილები გაუყენა, ვეღარ დააბრუნა. ასე წავიდა დედასთან და ცოლ-შვილთან დაუმშვიდობებლად. ოლთისი სანჯაყად მისცეს, იქ მივიდა. პატრონი მანუჩარი აწყურში ჩამოვიდა.

დაბრუნდა სვიმონ მეფე, აიღო გორი და ქართლში ფეხი მოიკიდა. ვინც დედოფალსა და გიორგი ბატონიშვილს უღალატა, ზოგი მეფე დავითს გაჰყვა ურუმებთან, ზოგიც იმერეთსა და კახეთში გადაიხვეწა. ქსნის ერისთავის მამული, ნაწილი დედოფალ ნესტან-დარეჯანს მისცეს დამცირების საზღაურად, ნაწილიც ბატონიშვილს. ამილახორის [კუთვნილი] კასპი სვეტიცხოველს შესწირეს, აზნაურიშვილები მსახურებად დაიყენა და გორის მოურავობა სულხან თურმანიძეს მისცა. ტაძრად მიყვანების დღეს სვიმონ მეფემ ვახტანგ მუხრანბატონი ხელში ჩაიგდო და კეხვის ციხეში დაატყვევა. ლალა ფაშამ ლაშქარი და მირზა-ალი პატრონ მანუჩართან გამოგზავნა და ქართლს შეუსია. ქართლში ვერ ჩამოვიდნენ, სადგერში დადგნენ. ამოწყვიტეს სადგერი, წახდა წმიდა გიორგის განძი. მეორედ კიდევ მზვერავები გამოგზავნა. შეაგროვა [ლაშქარი] პატრონმა მანუჩარმა, მიეჭრა და დაარბია ზემო

ქართლი. კაცი მოვიდა პატრონ ყვარყვარესთან. ოლთისში აღარ გააჩერეს, არზრუმში ჩაიყვანეს, შობის წინა დღეს წაიყვანეს.

შაჰ-ხუდაბანდას შირვანში თავს დაესხა ცოლი ბეგუმი. შეიბნენ, ამოწყვიტეს მოლაშქრეები, ციხე გადაწვეს და დაანგრიეს. მთელი ხაზინა ხელში ჩაიგდეს. თათარხანი შეიპყრეს, ყაზვინში წაიყვანეს დატყვევებული. აჯობეს ყიზილბაშებმა. ოსმან ფაშა უკან დარჩა დამურყაფში. ბეგუმი ყაზვინში წავიდა. შეიპყრეს გამარჯვებული ბეგუმი, ისიც მოკლეს და თათარხანიც. ყაენმა დაახოცინა. ცოლის სიკვდილის შემდეგ ყიზილბაშებმა დაჩაგრეს შაჰ-ხუდაბანდა. ადრიბეჟანი და შირვანი ურუმებმა დაიკავეს. განჯის ხანი, შავერდი სულთანი, კახეთში ჩამოვიდა, ბატონ ალექსანდრეს შეაფარა თავი. იმან მინდობილი კაცი შეაპყრობინა და ხონთქარს გაუგზავნა.

ქორონიკონი 207 (1519 წ.): 23 მარტს პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარი არზრუმიდან კონსტანტინოპოლში გაემარნენ. 20 აპრილს, ორშაბათს, გადგნენ[556]. ამის შემდეგ ამბავი მოვიდა, ბატონი თვალმშვენიერი მარიამობის თვის ოცდასამ [რიცხვში] შეიპყრეს. ღვინობისთვის 1 [რიცხვში], ორშაბათ დღეს, ალამუთის ციხეში გადაიყვანეს დატყვევებული. ჟამიანობა დაიწყო.[557] 31 მაისს, შაბათ საღამოს, ხოსიტას, პატრონ ყვარყვარეს შვილს, საკანაფეში ცხელება დააწყებინა. ღვთის შეწევნით მოიხადა. ივნისის 19 [რიცხვში] ბატონ ბექას დაემართა ხურვება, ღვთის შეწევნით მანაც მოიხადა. ჩვენში ბევრს დაემართა ცხელება და არავის არაფერი დაუშავდა. მეორედ მოვიდა ლალა ფაშა, კარი ააშენა და ქალაქ თბილისში ლაშქარი გამოგზავნა, საგზალი შემოატანინა. მარიამობის თვის 26 [რიცხვში] პატრონ დედისიმედს დაემართა ცხელება, ხუთშაბათ დღეს. ორშაბათ დღეს ბერის პატრონს, ბასილის, ჟამიანობის გამო ხურვებამ მოუარა. საფარაში საბურთეზე დაემართა ცხელება. მაშინვე წაბრძანდა პატრონი დედისიმედი. ორივე, დედა-შვილი, ერთ კვირაში ჩაწვა [ლოგინად]. ენკენისთვის 3 [რიცხვში], პარასკევი რომ თენდებოდა, განრისხდა ღმერთი, გარდაიცვალა ბატონი ბასილი, ღამით მე-2 ჟამს, 15 წლისა და 22 დღისა. საკაცით წამოვიდა პატრონი დედისიმედი, ზღუდერში ჩამოვიდა. ღვინობის თვეში მახარებელი მოუვიდა, უსკუდარიდან პატრონის შვილების გამოშვება [შეატყობინა]. ამავე ქორონიკონში,[558] გიორგობის თვეში, პატრონი მანუჩარი ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ხონთქარმა ფაშობა და მთელი მისი მამული უბოძა. პატრონი ყვარყვარე ორი თვით თორთომში გააჩერებინა, არ გამოუშვა.

ქორონიკონი 268 (1580 წ.): იანვრის 8 [რიცხვში] პატრონი ბექა ვალედან გავგზავნეთ. წავიდა ლალა ფაშა. ბექა ოლთისში იდგა. ღვთისა და ხალხის წინაშე შეურცხვენილი პატრონი ყვარყვარე შეუვრდა ხონთქარს. ქართველობით[559] გამოუშვა, შეიწყალა მისი საბატონო. მარტში დაბრუნდა. ივანობის თვის შუა რიცხვებში ბექა მოიყვანეს. ორივე ბატონი თვითონ წავიდა ლორეში. დაარბიეს და გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ამის შემიდეგ, მეორე წელს, სინან ფაშა ჩამოვიდა. თბილისში წავიდა, ორივენი თან გაჰყვნენ. პატრონი ყვარყვარე თრიალეთიდან მოაბრუნა უკან. იმერეთში გაგზავნა შუაკაცად, პატრონი მანუჩარი კი თან წაიყვანა.

ქორონიკონი 268 (1580 წ.): ივანობისთვის დამდეგს გარდაიცვალა ბაგრატ მუხრანბატონის შვილი, ვახტანგ მუხრანბატონი.

ქორონიკონი 269 (1581 წ.): პატრონმა მანუჩარმა თებერვალში გვირგვინი იკურთხა[560]. ბექა კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. ამავე ქორონიკონში, მარიამობის თვის 4 [რიცხვში] პატრონი არჩილი ჩამობრძანდა აწყურში, დიდი ხნის უნახავი და-ძმები შევიყარეთ[561]. ღვინობისთვეში წაბრძანდა. ამავე ქორონიკონში, გიორგობის თვის 25 [რიცხვში], გარდაიცვალნენ პატრონი ყვარყვარე და ბაგრატ მუხრანბატონის შვილი არჩილი. ხოლო სვიმონ მეფემ კახაბერ ყორღანაშვილის ცოლ-შვილი და მთელი სახლეული გელიყარის კლდიდან გადააყრევინა და ზემოთქმულ ლექსს ამბობდნენ. მისი სხვა ნათესავები გაიქცნენ, ზოგი ყიზილბაშებში და ზოგიც საათაბაგოში.

დაუდ-ხანს ერთი ძე ჰყავდა თავისი მეუღლისგან, რომელსაც ბაგრატი დაარქვეს. დაუდ-ხანის წასვლის შემდეგ ისიც აღარ გააჩერეს ბიძამისთან, ყაენთან წაიყვანეს და იქ გათათრდა. ბაგრატის დედა ჩამომავლობით კახეთის ბატონ ალექსანდრეს ახლო ნათესავი იყო. შუღლი ჩამოვარდა კახეთის მბრძანებელსა და სვიმონ მეფეს შორის ელიმირზონისა და ხოსრო-მირზას დახოცვის გამო. ალექსანდრე მეტად მეგობრობდა დაუდ-ხანთან. ამ მიზეზით ალექსანდრე კახბატონი დიდად გადაემტერა სვიმონ მეფეს. იმხანად თბილისი და თბილისის ციხე ურუმებს ეჭირათ. სვიმონ მეფე დედოფალთან ერთად დიღომში იმყოფებოდა. კახეთის ბატონს მეტად ეშინოდა სვიმონ მეფისა – „ცოლის ძმების ამოწყვეტის გამო იქნებ შური იძიოსო“. ალექსანდრემ თავისი ძმები რომ დახოცა, ისინი სვიმონ მეფის ცოლის ძმები იყვნენ. ამგვარად, როცა ალექსანდრემ გაიგო, რომ იგი მცირე ამალით იმყოფებოდა

დიღომში, შეკრიბა კახელები, ღამით გამოემართა და მოულოდნელად თავს დაესხა სვიმონ მეფეს. სვიმონ მეფე თვითონ ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მაშინ შეესია და მიიტაცა მისი საგანძური და ქონება. დედოფლის, თავისი დის, საცვალი თვითონ ალექსანდრემ წამოაცვა უსირცხვილოდ თავისი შუბის წვერზე. ბევრი უკადრისი საქმე გააკეთა და წამოვიდა. მივიდა მარტყოფში და გაჩერდა იმ ადგილზე, რომელსაც ჭოტორი ჰქვია.

სვიმონ მეფემ შეკრიბა ქართლის მხედრობა და გულსრულად წავიდა ალექსანდრეზე თავდასასხმელად. წინასწარ გაუგზავნა კაცი და ეს შეუთვალა: „რაკიღა ისეთი უკეთურება იკადრე, რაც მეფეების წესი არ არის, მუხთლად თავ დამესხი მძინარეს მოულოდნელად, ახლა იცოდე, რომ წამოვედი შენ წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ კაცი ხარ, მამაცობაში გამოცდილი, დამხვდი, რადგან შეტყობინებული ომი სჯობია, ჩადენილ ღალატს“. მივიდა სვიმონ მეფე, შეიბნენ და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. გამარჯვება სვიმონ მეფესა და ქართლელებს დარჩათ. გაიქცა ალექსანდრე და შეიპყრეს კახელი თავადები, რომელთაგან ცოტანი ძლივს დაუძვრნენ ხელიდან. წამოვიდა გამარჯვებული სვიმონ მეფე და გამოირეკა შეპყრობილი კახელი წარჩინებულები. მცხეთაში სვეტიცხოველზე დაადებინა ფიცი. ასე დააფიცეს კახელები: „ღმერთმა, სიმართლის მოქმედმა, კახელ კაცს არასოდეს მისცეს გამარჯვება ქართლელ კაცზე, არც დიდებულს და არც მცირესო“. როცა ასე დააფიცეს, მერე უბოძა ყველა კახელს წყალობა და ხალათები. ასე გაუშვა ისინი უვნებლად და მას შემდეგ აღარ ემტერებოდა. სვიმონ მეფეს რომ მოენდომებინა, მაშინ მთელ კახეთსაც ხელში ჩაიგდებდა და ალექსანდრესაც. ეს ბრძოლა გაიმართა 2[6]9 ქორონიკონში, ქრისტეს აქეთ 1582 [წელს].[562]

ამის შემდეგ შემოიჭრა ხონთქრის დიდი ამირსპასალარი, მაჰმად ფაშა. ჩამოიარა ზემო ქართლი, აიღო გორის ციხე, თავისი მცველები ჩააყენა, თვითონ კი წამოვიდა და მუხრანში დაბანაკდა. იქ დაუხვდა სვიმონ მეფე შეკრებილი [ლაშქრით]. მაშინ გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ძლიერ ეკვეთნენ ქართლის მხედრები. შეიწყალა ღმერთმა და ქართლელებს მიეცა გამარჯვება. გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. მრავალი ოსმალო მხედარი ამოწყვიტეს, ურიცხვი შეიპყრეს, თვითონ ფაშა ძლივს გაექცა და ცოტაოდენი ხალხით თბილისის ციხეს შეაფარა თავი. [ეს მოხდა] ქრისტეს აქეთ 1582 [წელს].

სვიმონ მეფე დიღომში ჩამოვიდა. იქ მიიწვია ოჯახებით ქართლის ყველა თავადი. დედოფალთან შეიკრიბა ყველა წარჩინებულის ცოლი. აიყარნენ დიღმიდან და გავიდნენ ლილოს ტბასთან. იქ მაღალ გორაკზე გადმოდგნენ. ყველა დიდებული ახლდა თან, ქართლის მცირეოდენი მხედრობა, [ასევე] თვით დედოფალი და თავადების ოჯახები. თბილისის ციხიდან ძროხების ნახირი გამოვიდა. სვიმონ მეფემ მისი [თანმხლები] პატარა რაზმი შეუსია. გამოირეკეს ნახირი, ხალხი კი გაიქცა. გამოვიდა თბილისის ციხიდან ბევრი ოსმალო მხედარი. სვიმონ მეფე და ქართლის მხედრებიც დარაზმულები იყვნენ. სწრაფად შეუტიეს მათ, როგორც ლომებმა და პირველივე შეტაკებისას უკუაქციეს ოსმალთა მხედრობა. მრავალი მათგანი ამოწყვიტეს და უფრო მეტი შეიპყრეს. თვით დედოფალი და წარჩინებულთა სახლეულნი უყურებდნენ [თავისი] თვალით. გაქცეულ ოსმალებს დაედევნენ ქართლის მხედრები და ციხის კარამდე [მიჰყვნენ]. ხოცავდნენ და ატყვევებდნენ. ასე გამარჯვებულები გამობრუნდნენ. ნადავლით მოვიდა გახარებული სვიმონ მეფე დეოფალთან. ყველანი მხიარულობდნენ და ილხენდნენ.

ქორონიკონი 270 (1582 წ.): პატრონ მანუჩარს უღალატეს ურუმებმა. პატრონი გადარჩა. ორივე ფაშა მძიმედ დაიჭრა და გაიქცა. ქვეყანა ჩვენვე დაგვრჩა. მაშინ ყაენი განჯაში ჩამოვიდა, პატრონ მანუჩარს ჩალაბუთი გადმოსცა, პატრონ დედისიმედს კი ხუთი დიდი სოფელი.

ქორონიკონი 271 (1583 წ.): თვალმშვენიერი ორმოდან ამოიყვანეს და ყაენთან მიიყვანეს. ამავე ქორონიკონში, 24 მარტს, ბზობის კვირას, პატრონმა მანუჩარმა მეფეთ მეფის ბატონი სვიმონის ქალი, პატრონი ელენე მოიყვანა [ცოლად].

ქორონიკონი 272(1582 წ.): გარდაიცვალა კათოლიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ღმერთის ნებითა და ბრძანებით, 20 თებერვალს, შაბათ დღეს, კათოლიკოსი გახდა ლევან კახთა მეფის ძე.[563] ამავე ქორონიკონში[564] სარდალი ვარად ფაშა ჩამოვიდა ახალციხეში [ციხის] ასაშენებლად. ვეღარ გაჩერდა, წავიდა და მიწა-წყალი ჩვენვე დაგვრჩა.

მცირე ხნის შემდეგ [სვიმონ მეფემ] ისევ შეკრიბა თავისი მხედრობა და ლორეში წავიდა, რადგან ოსმალებს ეჭირათ იგი. როცა ჩავიდა, მაშინ [საომრად] გამოვიდა ფაშა დიდი ჯარით. დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ღმერთმა ისევ სვიმონ მეფეს მისცა გამარჯვება. მრავალი ოსმალო ამოწყვიტა, რიცხვით ოთხას სამოცდაათი. [ეს მოხდა] ქრისტეს აქეთ 1586 [წელს], 272[565]

ქორონიკონში. ლორეში დაახლოებით ცხრა სიმაგრე და გამოქვაბული აიღო, რომლებიც ოსმალებს ეჭირათ და თვითონ დაეუფლა [ყველას, ლორეს მთავარი] ციხის გარდა. მხოლოდ იგი ეჭირათ ოსმალებს. მაშინ, 1 აპრილს მიადგა ლორეს ციხეს და ივნისის 10 [რიცხვში] აიღო.

ამავე ქორონიკონში ყაენმა სამცხე ამოწყვიტა, ხოლო სვიმონ მეფემ დაიპყრო მთელი ლორე და გამარჯვებული წამოვიდა თავისთან. მცირე დროის შემდეგ [სვიმონმა] ისევ შეკრიბა [ლაშქარი] და ჩავიდა ტაბახმელაში. ეს რომ გაიგო ასან-ფაშამ, ფარულად გამოვიდა ციხიდან დიდი მხედრობით. შეიტყო ეს მეფემ, დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. ღმერთმა ქართლელებს მისცა გამარჯვება. მაშინ გალომებული სვიმონ მეფე ეკვეთა ერთ წარჩინებულ ოსმალო ბეგს, უკუაქცია. წავიდა ის კაცი და ცხენიანად გადავარდა ტაბახმელის ღრმა ხევში. ასე ამბობენ, რომ არ მომკვდარა ის კაცი. გაიქცნენ ოსმალები. ხუთასამდე ოსმალო გაწყდა მაშინ.

მიადგა [სვიმონი] თბილისის ციხეს. აიღო თბილისის გალავანი და უკანა ციხე. ამის შემდეგ აიღო თბილისის იქით [არსებული] დიდი ციხე, ქალაქი თბილისიც და მუსრი გაავლო ყველას, ვინც კი ციხეში იდგა. თვითონ დაეუფლა ყველაფერს. ეს რომ გაიგო ხონთქარმა, ძალზედ განიცადა. გამოგზავნა თავისი უფრო მრავალრიცხოვანი მხედრობა. ერთი წარჩინებულთაგანი დაუდგინა ამირსპასალარად. მოვიდა ლორეში, აიღო ლორეს ციხე და დაიპყრო ლორე. მოვიდა და ხატისოფლის ბოლოში დაბანაკდა. მაშინ შეკრიბა თავისი მხედრობა სვიმონ მეფემ, მივიდა და დაბანაკდა [მდინარე] ხრამს გაღმა. ხერხი იხმარა სვიმონ მეფემ, თვითონ გამოეწყო ელჩივით და სვიმონ მეფის სახელით მივიდა ფაშასთან. ლიქნით უთხრა: „თქვენც გაგიგიათ, რამდენი გასაჭირი, პატიმრობა და ტყვეობა მოაწიეს ჩემს თავს ყიზილბაშებმა. აღარ შემიძლია ახლა ამდენი სისხლი და ბრძოლა ხონთქართან და მის მხედრობასთან. ჩემი ნებით კი არ გავაკეთე ეს საქმე, ყიზილბაშებმა მაიძულეს. ამიერიდან აღარ მინდა ყიზილბაშების მონობაშიც ყოფნა. ყიზილბაშების მორჩილებას ხონთქრის მორჩილება ვარჩიე. თუკი თქვენც გსურთ, შევრიგდეთ ახლა და გვქონდეს მშვიდობა. აცნობეთ ხონთქარს ჩვენი დამონების შესახებ და ამის შემდეგ ვიქნებით მისი ბრძანების მორჩილები“. ფაშამ ეს რომ გაიგო, ძალზედ გაუხარდა და აცნობა სვიმონ მეფეს: „კარგად გადაგიწყვეტია. ჩვენც დასაჯერებლად მიგვაჩნია შენი სიტყვა. ახლავე შევთანხმდეთ და იყოს მშვიდობა და ერთობა ჩვენ შორის“.

წამოვიდა სვიმონ მეფე თავის ჯართან. მაშინ დაზვერა ოსმალთა ბანაკი. ყველაფერი ნახა, მათი ძალები, მათი მებრძოლების სიმრავლე და იმავე ღამეს წავიდა მათ წინააღმდეგ. შემოუარა ხატისოფლის გორას და თავს დაესხა ოსმალებს. მრავალი ამოწყვიტა მახვილით, სხვები, უფრო ბევრი, შეიპყრო და დიდი გამარჯვება მოიპოვა. მიმოიტაცეს მათი ბარგი, წამოიღეს ურიცხვი ნადავლი და გამარჯვებულები შემოვიდნენ თბილისში.

ცოტა დაისვენა. ისევ შეკრიბა ქართლის მხედრობა. მაშინ მისი სიძე, მანუჩარ ათაბაგიც მასთან იყო. წავიდა და მიადგა დმანისის ციხეს, რადგან იმხანად დმანისში და მის ციხეში მაგრად იდგნენ ოსმალები. აიღო ციხე, დაეუფლა დმანისის ხევსა და შემოგარენ ადგილებს, რომლებიც ოსმალებს ეჭირათ. მაშინ წავიდა მანუჩარ ათაბაგი და ისევ დაეუფლა საათაბაგოს. მეტად გაძლიერდა სვიმონ მეფე. იმხანად მოსვენებული იყო მეფე და მთელი ქართლი, რადგან ვეღარ შეძლეს ოსმალებმა ქართლზე თავდასხმა.

ქორონიკონი 275 (1587 წ.): დალაქმა მოკლა შაჰ-ხუდაბანდას შვილი ამზაი-მირზა. მაწყვერელი [ეპისკოპოსი] გაგზავნეს კონსტანტინოპოლში. მძევლებად მისცეს საპატიო ხალხი – ედიშერ შალიკაშვილი, ელია შალიკაშვილი და ამილახორის ძე ქოიარი. მძევლები აიყვანეს და პატრონი მანუჩარი ვეღარ ენდო. ამავე ქორონიკონში ახალციხე და გორი ააშენეს ურუმებმა[566]. აგვისტოში, დასაბამითგან შვიდი ათას ოთხმოცდათოთხმეტ წელს სვიმონ მეფე დასახმარებლად მოვიდა. აღარ შეებრძოლნენ, მესხების მიწა-წყალი დაარბიეს და წავიდნენ. ბევრი მოღალატეები ჰყავდა შეჩენილი პატრონ მანუჩარს. ვეღარ გაუჩერდა მათ. ცოლი ახალდაბაში წაიყვანა და წავიდა. პატრონი დედისიმედი, პატრონ ყვარყვარეს შვილი და პატრონი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში ჩადგნენ. ელია დიასამიძემ დემოთიას ციხეში საღალატოდ ჩააყენა სავალინაშვილი. უღალატეს, ციხე წაართვეს, ხელთ იგდეს ბევრი ქონება და საგანძური. ბეჟან გოგორიშვილმა ციხისჯვარი დაიბრუნა და ფაშას გადასცა. მოღალატეები შემოგვიჩინეს, ვეღარც ჩვენ გავუძელით და ახალდაბაში ჩავედით.[567]

გაზაფხულზე, მარტის შუა რიცხვებში, ყაენ ხუდაბანდას შვილი აბასმირზა გამოვიდა და შემოვიდა არდაველში. ოზბეგები ხორასანში შეიჭრნენ. დაბრუნდა, ისევ იქით წავიდა და თვალმშვენიერი თან წაიყვანა. თავრიზში რომ ჩავიდნენ, ომი გაიმართა. სამჯერ იბრძო-

ლა თვალმშვენიერმა, სამჯერვე გაიმარჯვა – კიდეც დახოცა, კიდეც დაატყვევა [მტრები]. ყაენს მიჰგვარა. ყაენმა მამულიც დიდი მისცა და ჯილდოც. მერე პატრონი მანუჩარი აღარ ენდო, ვეღარაფერი იღონა. დაგვიწყეს მოლაპარაკება. პატრონი დედისიმედი და მისი შვილი, პატრონი ქაიხოსრო გამოგზავნეს ახალციხის ფაშასთან შობის წინა დღეს. ყიზილბაშებმა განდევნეს ყაენი შაჰ ხუდაბანდა და მის ნაცვლად [ტახტზე] დასვეს მისი ძე შაჰ-აბასი. გამოვიდა შაჰ-აბასი, აიღო თავრიზი და მთელი ადარბადაგანი ერევნისა და ბაღდადის გარდა.

შაჰ-აბასი მეტად სწყალობდა სვიმონ მეფეს. კიდევ უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა სვიმონ მეფე. აღარ იყო მტრობა, რადგან დაზავდნენ კახეთის მბრძანებელი ალექსანდრე და სვიმონ მეფე. იმხანად გარდაიცვალა იმერეთის მბრძანებელი გიორგი და ტახტზე ავიდა კონსტანტინე. მოკლე ხანში კონსტანტინეც გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა ლევანი. ერთმანეთს ემტერებოდნენ მანუჩარ დადიანი და იმერეთის მბრძანებელი ლევანი. მანუჩარ დადიანს ცოლად ჰყავდა ნესტან-დარეჯანი, კახეთის ბატონის ასული. მანუჩარ დადიანს მისგან ერთი ძე ჰყავდა, რომელსაც ლევანი დაარქვეს. იმ დროს გარდაიცვალა ნესტან-დარეჯანი, დადიანის ცოლი და შეირთო ათაბაგის ასული თამარი.

როცა გაძლიერდა სვიმონ მეფე, გადაწყვიტა იმერეთის დაპყრობა. შეკრიბა ქართლის მხედრობა და წავიდა იმერეთის დასაპყრობად. ეს რომ გაიგო იმერეთის მბრძანებელმა ლევანმა, მანაც შეკრიბა იმერეთის მხედრობა, დადიანისა და გურიელის გარდა. წავიდა და გოფანთოში დაბანაკდა. სვიმონ მეფემ გადმოლახა ლიხის მთა და ჩამოვიდა გოფანთოში. დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. გაიმართა ძლიერი ბრძოლა და გაიმარჯვა სვიმონ მეფემ. გაიქცა იმერეთის მბრძანებელი ლევანი. მაშინ დაიპყრო იმერეთი სვიმონ მეფემ, დიდებულ თავადებს მძევლები გამოართვა და წავიდა ქართლში, რადგან იმხანად გორის ციხე ოსმალების ხელში იყო. ამიტომ ვერ დარჩა იმერეთში.

სვიმონ მეფე რომ წამოვიდა, მაშინ ისევ დაეუფლა ლევანი იმერეთს. შური იძია დადიანზე, რადგან არ დაეხმარა სვიმონ მეფის წინააღმდეგ [ბრძოლაში]. დაუწყეს ერთმანეთს მტრობა. შეკრიბა [ჯარი] აქეთ იმერეთის მბრძანებელმა ლევანმა, იქით – მამია დადიანმა. შეებრძოლნენ ერთმანეთს, გაიმარჯვა დადიანმა და შეიპყრო იმერეთის მბრძანებელი ლევანი. ოდიშში, ოფშკვითის ციხეში ჩააგდო. იქ გარდაიცვალა ლევანი ქრისტეს აქეთ 1592 [წელს], 278[568] ქორონიკონში.

ეს რომ გაიგო სვიმონ მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა, გადაიარა ლიხის მთა და ჩავიდა ქუთაისში ქრისტეს აქეთ 1593 [წელს], 279[569] ქორონიკონში. მაშინ ლევანის ძმისწული ბაგრატი ქუთაისის ციხეში იყო გამაგრებული. მიადგა სვიმონ მეფე ციხეს, აიღო, გამოიყვანა ბაგრატი, ლევანის ძმისშვილი და იმერეთის სხვა მრავალი თავადიც. გამოართვა მძევლები, მტკიცედ დაეუფლა იმერეთს და თან წამოიყვანა ბაგრატი. უძეოდ გარდაიცვალა იმერეთის მფლობელი ლევანი, შთამომავლობა არ დარჩენია. აღარავინ იყო მათ ოჯახში როსტომ კონსტანტინეს ძის გარდა.

როცა სვიმონ მეფე ქართლში წამოვიდა, როსტომმა დაიხმარა მამია დადიანი. ქალი მიათხოვა დადიანმა. წამოიყვანა იგი, გაამეფა და დაეუფლა როსტომი იმერეთს. მიადგნენ ქუთაისის ციხეს და ისიც აიღეს. როგორც კი სვიმონ მეფემ გაიგო ეს ამბავი, შეკრიბა [ლაშქარი] და წამოვიდა. ქრისტეს აქეთ ამავე ქორონიკონში[570] გადმოიარა მთა და ჩავიდა რაჭაში. აიღო კვარას ციხე, სკანდას ციხე და კაცხის ციხე. მივიდა ქუთაისში, აიღო ციხე და ისევ დაეუფლა იმერეთს. ვეღარ შეეწინააღმდეგა როსტომი და ოდიშში წავიდა დადიანთან.

მაშინ გაილაშქრა სვიმონ მეფემ დადიანის წინააღმდეგ. ჩავიდა ოფშკვითში და სანაქებოდ დაბანაკდა მრავალრიცხოვანი ძალებით. თან წაიღო სახელგანთქმული დიდ-დიდი ზარბაზნები, რომლებიც ახლაც არის ზუგდიდში. ერთი ყველაზე დიდი ზარბაზანი დღესაც არის რუხში. შუაკაცი გამოუგზავნა დადიანმა სვიმონ მეფეს, რომ პატივი ეცა მისთვის, შერიგებოდა როსტომს, მის სიძეს და მიეცა სარჩო მამული: „გახდეს შენი ყმა და შენი ბრძანების მორჩილი. მეც [ისე] დაგემორჩილები, როგორც შენი ერთი ერთგული თავადი, შენი ბრძანების მონამორჩილი. და ასე ერთიანად დაიმკვიდრე საქართველო, როგორც უწინ დავით აღმაშენებელმაო“.

გაკადნიერებულმა სვიმონ მეფემ არ გაიხსენა სოლომონის ნათქვამი: „რაჟამს ამაღლდე ღვთისაგან, მაშინ უფრო უნდა დაიმდაბლო შენი თავი“.[571] არ შეისმინა დადიანის განზრახვა, მათთვისაც მეტად სასარგებლო და საერთოდ ყველასთვის უმჯობესი. სიამაყითა და კადნიერებით აცნობა სვიმონ მეფემ: „არ გამოვა ეგ საქმე, თქვენთან საომრად ვარ მოსული. თუ შეგიძლია ჩვენთან შებრძოლება, აჰა ჟამი თქვენი მხნეობისაო“. ეს რომ გაიგო მამია დადიანმა, შემოიკრიბა მთელი ოდიში და იმერეთის ზოგიერთი თავადი, რომლებიც თან გაჰყვნენ

როსტომს [ოდიშში]. სწრაფად გამოემართნენ და გამთენიისას მოულოდნელად თავს დაესხა სვიმონ მეფეს. მაშინ ამხედრდა სვიმონ მეფე და მისი ლაშქარი. გაიმართა ძლიერი ბრძოლა. გაიმარჯვა დადიანის სიმართლემ და მიეცა გამარჯვება ქართლელებზე.

მეფეს ორი რჩეული ცხენი ჰყავდა: ერთს ფალავანი ერქვა, მეორეს – შურდანი. სვიმონ მეფე ბრძოლებში მრავალმხრივ გამოცდილი იყო. პირველსავე იერიშზე ატყობდა ჯარს: თუ გაიმარჯვებდა, ფალავანზე ამხედრდებოდა, ხოლო თუკი დამარცხდებოდა, მაშინ შურდანზე შეჯდებოდა და უკან გამობრუნდებოდა. საამ თურქისტანიშვილის მეტმა, ეს არავინ იცოდა. უყურებდა თურქისტანიშვილი მეფის საქციელს, რომელ ცხენს მოითხოვდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა. მაშინ მოითხოვა [მეფემ] შურდანი. ახალგაზრდა კაცი იყო თურქისტანიშვილი, ჭაბუკი. ეს რომ გაიგო, შეხედა მეფეს და მოახსენა: „მეფეო, რა არის მიზეზი შურდანზე რომ ჯდები? ნუ დაინახავენ ჩემი თვალები, რომ თქვენ, მრავალჯერ გამარჯვებული და სახელოვანი, გაიქცეთ. მე კი აქედან ცოცხალი თავით ისე არ წავალ, შუბი არ მოვიქნიოო“. მაშინ მხნედ შეუტია, სწრაფად შეიჭრა რაზმებში, ჰოროლი ჰკრა, [ცხენიდან] ჩამოაგდო კაცი და დიდი სახელი მოიხვეჭა დამარცხებულ ომში. სვიმონ მეფემ რომ დაინახა ომის გაძნელება და მამია დადიანის გამარჯვება, უკან გამობრუნდა და მარტო წამოვიდა წინ. ამოიარა იმერეთი და კოლიბაურში[572] ჩავიდა.

როცა სვიმონ მეფე მამია დადიანთან საომრად წამოვიდა, მაშინ კოლიბაურში დაბანაკდა. ერთმა კოლიბაურელმა დედაკაცმა სვიმონ მეფეს თავისი შვილი მიჰგვარა. ძალიან შეეხვეწა დედაკაცი, რომ თან ეახლებინა და წაეყვანა მისი შვილი. სვიმონ მეფემ არ მიიღო იგი და უბრძანა: „დედაო, ეს არ იცი, რომ ხალხით მთვრალი ვარო?“ ხოლო, როცა გამოქცეული მარტო წამოვიდა, ისევ იქ, კოლიბაურში ჩავიდა. მაშინ ის დედაკაცი გაკაფულ ჭალას თოხნიდა. დაინახა დედაკაცმა მარტო, ხალხის გარეშე მომავალი სვიმონ მეფე. მიეგება დედაკაცი და იცნო სვიმონ მეფემ. მიხვდა დედაკაცი სვიმონ მეფის დამარცხების ამბავს და მოახსენა: „ხელმწიფეო, ხალხით რომ მთვრალი იყავი, ვეჭვობ, ახლა კი გამოგფხიზლებიაო“. ეს რომ სვიმონ მეფემ მოისმინა, გაუკვირდა, ღმერთს მადლობა შესწირა და წამოვიდა.

წამოვიდა თურქისტანიშვილიც და ყველა ქართლელი. მრავალი დაეცა იქ, სხვები კი გამოქცეულები წამოვიდნენ. მრავალი საგანძური,

დიდი თოფები და ზარბაზნები დარჩა იქ, რომლებიც დღესაც არის ზუგდიდში. სვიმონ მეფემ კი გადაიარა ლიხის მთა, მარტომ, ხალხის გარეშე, ჩავლო ზემო ქართლი და კავთისხევში ჩავიდა. ძალიან დაიღალა და სიარული აღარ შეეძლო. ერთ იქაურ მდაბიო გლეხს მიადგა და ცოტა ხნით იქ ისურვა დასვენება. გამოვიდა სახლიდან ერთი ქალი. ვერ იცნო სვიმონ მეფე. მიიწვია და კარგად დააბინავა. ნადიმი გაუმზადა და მიართვა. ცოტა წაიხემსა. მერე მოახსენა ქალმა, ლაშქრისა და მეფის ამბავი ჰკითხა: „მეფე რა იქნა, ცოცხალი თუ არის, ომიდან მშვიდობით თუ გამოვიდაო“. მეფემ მიუგო: „მეფისა არაფერი ვიციო“. შემდეგ თავის ქმარზე ჰკითხა, მიანიშნა გარეგნობით მისი ქმარი. უპასუხა [სვიმონმა]: „არაფერი ვიცი მათი. არ ვიცი, რა შეემთხვა მეფის ლაშქარსო“. ქალმა ძალიან მოიწყინა, მეფეზე უფრო ტიროდა, ვიდრე თავისი ქმრისთვის, ამბობდა: „ოღონდაც ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედოს. სვიმონ მეფის ცოცხლად გადარჩენა გვაღირსოს და მთელი დანარჩენი მხედრობა მისი ჭირის სანაცვლო იყოსო“. მაშინ გულში ძალზედ გამხიარულდა მეფე ამ ქალის ერთგულების გამო და შინ წამოვიდა. შემდეგ მოვიდა ქალის ქმარი. მეფემ დიდი წყალობა მისცა ამ ქალის სიტყვების გამო. მიიღო ქონება[?],[573] სახელო[574] და სხვა მრავალი საბოძვარი. მას შემდეგ აზნაურობა მიიღო იმ კაცმა და დღესაც არიან [აზნაური] ქვლივიძეები.

ლორეს ციხეში მდგომმა [ოსმალებმა] გაიგეს სვიმონ მეფის დამარცხების ამბავი. გამოვიდნენ, აიკლეს ქართლის ზოგიერთი მხარე და ტაშირში დაბანაკდნენ. დიდად გახარებულები იყვნენ ოსმალები. სვიმონ მეფემ კი ისევ შეკრიბა ქართლის მცირეოდენი მხედრობა, რამდენიც იყო დარჩენილი და ფარულად წავიდა ლორეში ოსმალების წინააღმდეგ. დაირაზმნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. გაიმარჯვა მეფემ, აიღო ლორეს ციხე და მახვილით გაავლო მათ მუსრი. დაეუფლა ლორეს და გამარჯვებული წამოვიდა შინ.

ამის შემდეგ წამოვიდა ზემო ქართლში და მოადგა გორიჯვარს, რადგან იმხანად გორის ციხე ოსმალებს ეჭირათ. სვიმონ მეფე გორიჯვრის გორაზე წამოჯდა, ღვინოს სვამდა და თრიაქსაც ეწეოდა. ყიზილბაშებში შეიძინა ეს ჩვევა. ღვინითა და თრიაქით გამხიარულდა. გადახედა გორის ბოსტნებს და დაინახა ახალი მწვანილი. მაშინ უბრძანა მეფემ იქ მყოფებს: „აჰა, ჩემო რჩეულო ქართლის მხედრებო, ახალი მწვანილი მინდა მომართვათ, ეს თქვენი მხნეობის რა საკადრისიაო“.[575]

ეს რომ გაიგეს ქართლელებმა, მაშინვე აჩქარებით გავიდნენ გაღმა, გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწვანილი. მაშინ დაუშინეს ოსმალებმა თოფები და დიდი ზარბაზნები. ბევრი ხალხი დახოცეს, დიდებული და მდაბიო. მოკლეს გოჩა ბატონიშვილი, რომელიც სვიმონ მეფის პაპის ძმისშვილი იყო და სხვა მრავალი თავადი და აზნაურიშვილი ამოწყვიტეს მწარე ხახვის გულისთვის.

მაშინ დაგმეს სვიმონ მეფე. სვიმონის დაუფიქრებლობას უწინაც აძაგებდნენ, ვიდრე ტყვეობაში ჩავარდებოდა. ყიზილბაშები და ოსმალები დელუ-სვიმონს ეძახდნენ, რაც შლეგს ნიშნავს. ძალზედ განიცადა მეფემ ეს ამბავი. მცირე დროის შემდეგ შეკრიბა ქართლის მხედრობა და ალყაში მოაქცია გორის ციხე. იერიში მიიტანა გორის ციხეზე და აიღო იგი. ამოწყვიტა ციხეში მყოფი ყველა ოსმალო. ეს ამბავი ხონთქარმა რომ გაიგო, ძალიან განრისხდა, [რადგან] ამხელა მხედრობა ერთხელ კი არა, მრავალგზის ამოუწყვიტეს. გამოგზავნა თავისი ამირსპასალარი, ვეზირი ჯაფარ ფაშა და თან გამოატანა ურიცხვი მხედრობა.

წამოვიდნენ [ოსმალები] და ნახიდურში დაბანაკდნენ. სვიმონ მეფემ შეკრიბა თავისი მხედრობა, მივიდა და საღირაშენის თავს დადგა. [სვიმონმა] უკეთური საქმე გადაწყვიტა თავისთვის და თავის ჯარს არ აცნობა. თავისი თავის იმედად გააკეთა ეს საქმე და ღმერთისგან არ ითხოვა შეწევნა. ასე მოიქცა სვიმონ მეფე, მარტო, ათი ცხენოსნის თანხლებით, წავიდა და ერთი მესაყვირე მეებნე წაიყვანა თან. ოსმალთა ბანაკის დაზვერვა უნდოდა. ავიდა და გადმოდგა ნახიდურის წვერიდან, სადაც პატარა ეკლესიაა. იქიდან შეათვალიერა ოსმალთა ბანაკი. მაშინ უბრძანა მეფემ ქანარის დაცემა, რომ აერია მათი მხედრობა. ოსმალებმა საყვირის ხმა რომ გაიგეს, თქვეს, უსათუოდ სვიმონ მეფე მოვიდაო. მაშინვე აისხეს იარაღი, შესხდნენ ცხენებზე და გამოექანნენ აქეთკენ, სადაც მეფე იდგა. როგორც კი [ეს] დაინახა მეფემ, თავისი ლაშქრისკენ გამოიქცა. ისინი გამალებით დაედევნენ, დაეწივნენ და დაინახეს სვიმონ მეფე. მისი ცხენი ფარცხისის ბოლოს ტალახში ჩაეფლო და თვითონ [იქვე] იდგა. ამ დროს მივიდნენ ოსმალები და შუაში მოიქციეს. დაიწყო მარტომ ბრძოლა, რამდენიც შეეძლო, გამოაჩინა მხნეობა, მაგრამ მრავალი ოსმალო დაესხა თავს და შეიპყრეს იგი ქრისტეს აქეთ 1600 [წელს]. გაიგეს მეფე რომ იყო, ძალიან გაუხარდათ და სწრაფად გაიქცნენ. აიყარნენ და წავიდნენ ლორეში. შეიტყვეს ქართლელებმა ეს ამბავი. გიორგი, სვიმონ მეფის ძე, იქ იყო, ქართლის

[მხედრობაში]. უკან გამოუდგნენ ოსმალებს. გამალებით მისდიეს, მაგრამ ვეღარ დაეწივნენ. აიღეს ოსმალებმა ლორეს ციხე, ჩააყენეს თავისი მცველები, წავიდნენ და თან წაიყვანეს სვიმონ მეფე, ჩაიყვანეს სტამბოლში.

ქართლს განაგებდა გიორგი, მისი ძე. კაცი გაგზავნა სტამბოლში, გამოსასყიდი შესთავაზა მამამისისთვის. მათ [უფრო] ბევრი გამოსასყიდი მოითხოვეს და შეჰპირდნენ სვიმონ მეფის გათავისუფლებას. ხონთქარმა სვიმონ მეფეს მოსთხოვა ქართლზე ხარკის დადება და მისი ბრძანებისადმი მორჩილება. სვიმონ მეფე არ დასთანხმდა, რადგან მას ქართლში ყაენის ბეგარა ჰქონდა დაწესებული: ასი მარჩილი[576] გლეხის ერთ კომლზე. ამ თეთრით[577] ყიდულობდნენ შვიდ ტყვეს[578] და ყაენს უგზავნიდნენ. მაშინ გიორგიმ, სვიმონ მეფის ძემ, აიღო მამამისის მთელი საგანძური, ასევე თავისი, რაც გააჩნდა და კიდევ რაც მონასტრებისა იყო,[579] ან ქართლელ წარჩინებულებს ჰქონდათ, ერთად შეაგროვეს და გაგზავნეს სვიმონ მეფის გამოსასყიდად. ვიდრე [გაგზავნილი] ძვირფასეულობა ჩავიდოდა, სვიმონ მეფე საპყრობილეში გარდაიცვალა და ამდენი საგანძური იქ დარჩა.

იქვე სტამბოლში ერთი გორელი ვაჭარი იყო, გვარად დიაკვნიშვილი. მან მოიპოვა სვიმონ მეფის ძვლები, წამოიღო და მოართვა გიორგისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანს. დიდად იგლოვეს და დაკრძალეს მცხეთაში, მის განსასვენებელში. ვინც მისი ძვლები ჩამოიტანა, ის დიაკვნიშვილი, მთელი მისი სახლეულით გაათავისუფლეს და შესწირეს პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის მონასტერს[580] სვიმონ მეფის [სულის] სალხინებლად და შესაწევნელად. ახლაც არიან გორში დიაკვნიშვილები, ჯვრის მონასტრის ყმები.

გიორგი დაეუფლა ქართლს და რიგიანად მეფობდა. ამის შემდეგ შეკრიბა ქართლელები, გაილაშქრა ლორეზე. აიღო ციხე და დაეპატრონა ლორეს გიორგი მეფე. ამავე დროს, ქრისტეს აქეთ 1614 [წელს], გარდაიცვალა იმერეთის მბრძანებელი როსტომი. როსტომს ვაჟი არ დარჩენია. მხევლისგან ჰყავდა ერთი, რომელსაც გიორგი ერქვა. ის დასვეს მეფედ იმერლებმა. ამავე ხანებში გარდაიცვალა მამია დადიანიც. დარჩა ერთი ძე, სახელად ლევანი. იგი კახეთის ბატონის ასულს, ნესტან-დარეჯანს შეეძინა. ლევანი პაპამისმა, კახეთის მბრძანებელმა ალექსანდრემ, წამოიყვანა და კახეთში გაზარდა. მამია დადიანის შემდეგ ლევანი, მისი ძე, წამოიყვანეს მეგრელებმა და დადიანის [ტახტზე] აიყვანეს.

იმხანად ყაენი შაჰ-აბასი წამოვიდა ერევნის ასაღებად. ყაენმა მათი მხედრობით მიიხმო მეფე გიორგი და კახეთის მბრძანებელი ალექსანდრე და წავიდნენ. როცა ჩავიდნენ, შაჰ-აბასს ძალიან მოეწონა ქართლისა და კახეთის ლაშქარი. მთელ მის მხედრობას უბრძანა, იერიში მიეტანათ ერევნის ციხეზე. ყიზილბაშებზე უფრო მეტი მხნეობა გამოიჩინეს ქართველებმა. მეწინავეებად მივიდნენ და აიღეს ერევნის ციხე. დაიპყრო შაჰ-აბასმა ერევანი და ციხეში თავისი ლაშქარი ჩააყენა. მეფე გიორგის ლორე და მისი ციხე მოსთხოვა შაჰ-აბასმა. მეტად გაუძნელდა [გიორგის], რადგან არ შეეძლო შაჰ-აბასისთვის უარის თქმა და დაუთმო ლორე. დაეუფლა შაჰ-აბასი ლორეს ციხეს, ჩააყენა შიგ თავისი ლაშქარი და შინ გაბრუნდა. ყაენი შაჰ-აბასი მზაკვარი და ყოველგვარი სიბოროტით აღსავსე კაცი იყო. თავიდანვე ასეთი „წყალობა“ მიუზღო მეფე გიორგის, მამამისის ერთგულების სანაცვლოდ. მაშინ წამოვიდნენ გიორგი მეფე და კახეთის ბატონი ალექსანდრე თავის საბრძანებელში.

ცოტა ხნის შემდეგ წამოვიდნენ კახეთის ბატონ ალექსანდრეს ვაჟები, დავითი და გიორგი და ესტუმრნენ მეფე გიორგის, მათ მამიდაშვილს. წინ მიეგება ავლაბარში გიორგი მეფე და გაიხარეს ერთმანეთის ნახვით. წამოუძღვა, დააბინავა და კარგად გაუმასპინძლდა. დიდი სერი გაუშალა, იყო დიდი ლხინი და სანახაობა. ასე გაატარეს რამოდენიმე დღე. მერე ისევ შინ მიიწვია ისინი. წავიდა დავითი და რამოდენიმე კახელი იახლა თან. გიორგიმ კი ბევრი ღვინის სმისაგან ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ წავიდა. ისინი ლხინს დაუბრუნდნენ, ხოლო გიორგიმ, დავითის უმცროსმა ძმამ, ბოროტება განიზრახა თავისი ძმისთვის, ღალატით აპირებდა მის მოკვლას. ეს უკეთური გადაწყვეტილება გაუმხილა თავის ერთგულ ყმებს.

გიორგი იყო უხვი და ყმების მოყვარული კაცი. კახელების უმრავლესობა მის მხარეს იდგა და დიდი ერთგულება ჰქონდათ. მისი უფროსი ძმა, დავითი, ამაყი და მრისხანე კაცი იყო. ამიტომ კახელები გიორგისთვის მეტად ერთგულები იყვნენ. მაშინ შემოიფიცა გიორგიმ თავისი ერთგული ყმები და გადაწყვიტეს იმ ღამით ღალატით მოეკლათ დავითი, რადგან იმედი ჰქონდათ, ღვინით მთვრალ დავითს უღალატებდნენ. [გიორგიმ] დრო იხელთა სულის წარმწყმედელი, ძმის მკვლელობრივი გულის სიტყვების აღსასრულებლად.

მათ შორის იყო ერთი ღვთისმოყვარე კაცი, ჩოლოყაშვილი. მან არ დაფარა ეს საქმე, წავიდა და აცნობა დავითს მის წინააღმდეგ მომზადებული შეთქმულების შესახებ. დავითი მაშინვე წამოდგა სუფრიდან, წა-

მოვიდა, რადგან ვერ გაიგო ეს ამბავი გიორგი მეფემ. შევიდა დავითი თავისი ძმის, გიორგის, კარავში. დაინახა იარაღასხმული იდგა მისი ძმა კარავში. უთხრა დავითმა: „ძმაო, ვის წინააღმდეგ აგისხია საჭურველი, ვისთან მიდიხარ საბრძოლოდო?“ მან ვერაფერი უპასუხა. შეიპყრო იგი და მასთან ერთად შეთქმული კახელებიც. წაიყვანა ისინი და თორღას ციხეში ჩაყარა. მისი თორმეტი ყმა ჭოეთის ციხიდან გადმოყარა და დახოცა. თვითონ დაეუფლა კახეთს. ურჩობა გაუწია და წინ აღუდგა ალექსანდრეს, მამამისს. ძალით წაართვა კახეთი, თვითონ დაეპატრონა და ექვსი თვე მბრძანებლობდა. შემდგომ, მისი ურჩობის გამო, სწრაფად დაატყდა თავს ღვთის გულისწყრომა და გარდაიცვალა. შემდეგ ისევ ალექსანდრე დაეუფლა კახეთს. გამოიყვანა ციხიდან მისი შვილი, პატიმარი გიორგი, რადგან სხვა ძე, მის გარდა აღარ ჰყავდა.[581]

დავითს ცოლად ჰყავდა აშოთან მუხრანბატონის[582] ასული. ეს იყო ღვაწლმრავალი და სამგზის სანატრელი დედათა შორის, დიდებული დედოფალი და ყოვლადქებული მოწამე ქეთევანი. მას დავითისგან დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, თეიმურაზი. ძალზედ შეშინებული იყო ქეთევანი, ზრუნავდა თავის დედისერთა ვაჟზე, რომ გიორგის მტრობა არ გაეხსენებინა, იმის გამო, რაც დავითმა მრისხანებით გაუკეთა. ამიტომ ქეთევანმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და გაგზავნა თავისი ძე თეიმურაზი ყაენ შაჰ-აბასთან. [თეიმურაზს] თან გაჰყვა შერმაზან ჩოლოყაშვილი.[583] რომ ჩავიდნენ, შაჰ-აბასმა დიდი პატივი სცა, როგორც თავისი ძე, ისე შეითვისა, რადგან მაშინ ძალიან მოწადინებული იყო შაჰ-აბასი და ცდილობდა საქართველოს დაპყრობას.

უფრო ადრე ალექსანდრემ, კახეთის მბრძანებელმა, მისცა ყაენ შაჰ-აბასს კონსტანტინე, თავისი ძე. [ყაენმა კონსტანტინე] თავის რჯულზე გაზარდა. კონსტანტინე გამოგზავნა შაჰ-აბასმა და გამოატანა შირვანისა და ყარაბაღის ლაშქარი. კონსტანტინეს ხელით გამოუგზავნა ხალათი მამამისს, ალექსანდრეს. შაჰ-აბასმა თავისი მზაკვრობით აღჭურვა კონსტანტინე, უთხრა: „მამაშენის სახლში შენს მეტი აღარავინ არის დარჩენილი. წადი, უღალატე მამაშენსა და შენს ძმას, შენ დაეუფლე კახეთს, მეც შენი დამხმარე ვიქნები და ჩემგან ურიცხვ პატივსა და წყალობას მიიღებო“. ასე შეაცდინა ბოროტმა და გამოგზავნა მამისა და მისი ძმის მოსაკლავად. იმ უბადრუკმა კი მიიღო ეს ბოროტი განზრახვა. ჰოი, რა დიდი უგუნურებაა! სად გაგონილა, რომ სულელისა და შლეგის გარდა, [ვინმეს] შეეწყნარებინა მტრის შეგონება.

მაშინ გამოემართა კონსტანტინე. კახეთის საზღვრებს რომ მოუახლოვდა, კაცი გამოუგზავნა და აცნობა მამამისს ალექსანდრეს: „შაჰ-აბასის თანხმობით წამოვედი, რადგან ძალიან მინდა შენი ნახვაო“. ძალზედ გაუხარდა ალექსანდრეს, წავიდა, თან წაიყვანა გიორგი, თავისი ძე და წინ მიეგებნენ. ერთმანეთი რომ დაინახეს, დიდი სიხარულით გაიხარეს და ცოტა შეისვენეს.[584] მაშინ გადასცა კონსტანტინემ ის ხალათი, რომელიც შაჰ-აბასმა გამოგზავნა ალექსანდრესთვის. იყვნენ იქ შვებითა და სიხარულით. კონსტანტინეს კი ბოროტი გულისთქმა აშფოთებდა, თავისი მამისა და ძმის მკვლელი გახდა. ერთ დღეს უთხრა შირვანელ მხედრებს, გადაწყვიტა თავისი სულის წარწყმედა, მამისა და თავისი ძმის მკვლელობა. მაშინ იხმო ალექსანდრე და გიორგი [...].

გადამწერთა ანდერძი ბ:[585] ღვთის წყალობით დასრულდა ქალაქ თბილისში სვეტიცხოვლის დედნიდან ქართლის ცხოვრების ამ [წიგნის გადაწერა] ჩემი, უღირსი მღვდლის, ჯვრის საყდრის დეკანოზ იოანეს ხელით. აქამდე დაეწერათ და ამაზე უფრო სრული [ნუსხა] ქართლის ცხოვრებისა არსად იყო. მნახველებისგან შენდობით მოხსენიებას ვითხოვ, რადგან ძალიან დავიქანცე და ვეცადე უშეცდომოდ [გადამეწერა], რასაც თქვენც ნახავთ. [დასრულდა გადაწერა] აპრილის თვის 24 [რიცხვში], ქრისტეს აქეთ 1761 [წელს], ქართული ქორონიკონით 449 (1761 წ.).

ბპ:[586] ქ. სამი დედანი ვნახე. ამაზე მეტი არ ეწერა. სიტყვებიცა და წინადადებებიც ასე იყო დაწერილი. სხვა თუ არის სადმე [უფრო] ვრცელი [ნუსხა], ან თვითონ ამის მჭევრმეტყველებასა და სიტყვას დაიწუნებთ, თქვენ იცით და იმ [ნუსხამ]. მე, გადამწერი, წამკითხველისგან შენდობილი ვიყო, ცოდვილი ზაქარია, უღირსი მღვდელი, დეკანოზის ძე. აგვისტო, ქრისტეს აქეთ 1761[587] [წელი].

1. ძეგლი უსათაუროა. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მას მ. ჯანაშვილმა უწოდა. კ. გრიგოლიამ დაასაბუთა, რომ ახალი ქართლის ცხოვრება ამ თხზულებას კი არ ერქვა, არამედ ქართლის ცხოვრების კრებულს, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა რედაქცია. სახელწოდება ძველი და ახალი გულისხმობს კრებულის რედაქციულად განსხვავებულ ნუსხებს და არა სხვადასხვა ნაწილს. იგივე მოსაზრება გამოთქვა შ. მესხიამაც. შ. ხანთაძე: „ამდენად, ეს თხზულება ქართლის ცხოვრების გაგრძელებად უნდა იწოდებოდეს, როგორც ეს მართებულად აქვს ნახმარი ივ. ჯავახიშვილს თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში” (შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII ს-ში, ძირითადი წარმომადგენლები, თბ. 1985 წ., გვ. 34).
2. პირველი ტექსტი არის ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი გაგრძელება ქართლის ცხოვრებისა. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს ბაგრატ V-დან (გამეფდა 1360 წელს) ვიდრე ვახტანგ V შაჰნავაზამდე (1658-1675) (იხ. ქართლის ცხოვრება, 2, თბ., 1959 წ., გვ. 024), მოცემულ თხზულებას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს ქართლის ცხოვრების IV გაგრძელებას. აღნიშნავს, რომ იგი ვახტანგ VI-ის კომისიას ეკუთვნის (ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V-XVIII სს., თხზულებანი, ტ. 8, თბ. 1977 წ., გვ. 316).
3. გიორგი V ბრწყინვალემ იმეფა 1446 წლამდე.
4. ძვ. ტექსტშია: „ცხოვრებანი ქართველთანი“.
5. აქ სწავლულ კაცთა კომისია შეცდომას უშვებს. სინამდვილეში ბაგრატ V დიდი (1359-1393) არ ყოფილა გიორგი V ბრწყინვალის შვილი. ძეგლში არსებული მსგავსი შეცდომების შეს. იხ. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954 წ., გვ. 277.
6. 6. გიორგი VII (1393-1407). აქ და ქვემოთ ყველგან თარიღებს ვუთითებთ პირთა ანოტირებული ლექსიკონის” და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების” მიხედვით.
7. 7. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სწავლულ კაცებს ხელთა ჰქონიათ „ცხოვრება ბაგრატ მეფისა და კონსტანტინესი“, არა ჩანს ერთ ნაწარმოებად, თუ ორად. ქართლის ცხოვრების ხელნაწერი, სადაც ეს თხზულება ცალკე იქნება შეტანილი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 8, გვ. 320).
8. ძვ. ტექსტშია: „ესე ჰამბავნი მის ზემოთნი“.
9. გუჯარი = „დიდი სიგელი ეკლესიათ შეწირულობისა“ (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ. ელ. ვერსია. შემდგომში: ჩუბინ.); „წიგნი, დაწერილი“ (ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1973 წ. გვ. 103. შემდგომში: აბულაძე).
10. როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ ცნობები ამოღებული უნდა ყოფილიყო შერეფ ადდინ ალი იეზდის ცნობილი ნაშრომიდან „თემურის ვრცელი ისტორია“. აქ იგი მოიხ-

სენიება, როგორც „სპარსთა ცხოვრება“. (კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 269). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა ასევე, რომ „«სომეხთა ცხოვრება», რომელიც «სწავლულ კაცებს» ხელთა ჰქონიათ, გამორკვეული არ არის“ (ივ. ჯავახიშ-ვილი, თხზულებანი, 8, გვ. 320).

11. როგორც ჩანს, საუბარია ალექსანდრე I დიდზე (1411-1442), მაგრამ მეფე კონ-სტანტინე II (1478-1505), რომელიც აქ მის ძედ მოიხსენიება, სინამდვილეში მისი შვილიშვილი იყო.
12. როსტომი, იგივე ხოსრო-მირზა (1633-1658).
13. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, სწავლულ კაცთა კომისიას ხელთ ჰქონია გელათური ქორონიკონი, მაჩაბლიანთ საგვარეულო მატიანე (ქართლის ცხ-ოვრება, 2, გვ. 037). მომდევნო ტექსტებში გმოყენებულია ასევე ძეგლი ერი-სთავთა და მესხური დავითნის ქრონიკა (იქვე, გვ. 037-038).
14. ბაგრატ V (1360-1393).
15. რატომღაც ძველ ქართულ წყაროებში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთა-ვრები ძირითადად მხოლოდ კათოლიკოსებად მოიხსენიებიან. და ეს ასეა მას შემდეგაც, რაც საქართველოს ეკლესიას უკვე კათოლიკოს-პატრიარქები ედგნენ სათავეში. ქართულ წყაროებში არსებულ ამ ტერმინოლოგიურ ლაფ-სუსს, ალბათ, სათანადო შესწავლა სჭირდება. აქაც ძირითადად კათოლიკო-სად იხსენიება საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი.
16. კათოლიკოს-პატრიარქი ელიოზ გობირახისძე (XIV ს-ის 90-იანი წლების ბო-ლოდან-1419 წლამდე). იხ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რ. მე-ტრეველის გამოცემა, თბ., 2000 წ. გვ. 67-68.
17. თურქეთი აქ გულისხმობს მდ. სირ-დარიასა და ამუ-დარიას შორის მდებარე ტერიტორიას, ანუ თანამედროვე უზბეკეთსა და ტაჯიკეთს. აქედან იყო თემურ-ლენგი (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 3, თბ., 1979).
18. „ლენგი“ ტაჯიკური სიტყვაა (იქვე).
19. ძველ ტექსტში ყველგან არის „ლანგი“, „ლანგ-თემური“.
20. „გვარი” აქ ფართო გაგებით იხმარება, გვარტომობას აღნიშნავს. თემური (1336-1405) ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი იყო (ნარკვევები, 3, გვ. 670).
21. „ულუსი“ თურქული სიტყვაა და „ბანაკს ჰრქვიან“ (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, თბ. 1993 წ., გვ. 160. შემდგომში: საბა).
22. შეიძლება ასეც ვთარგმნოთ: „დასაცინი რატომ გაიხადე თავი“.
23. ძვ. ტექსტშია: „ელიარი“ შეცდომით წერია. „ბელიარი“ უნდა იყოს. მეორე ტე-ქსტშიც „ბელიარია“. ბელიარი ებრაული სიტყვაა, ნიშნავს ეშმაკს, ავს, მავნეს (ჩუბინ.). გიორგი ათონელი წერს: „მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხორებისა ბელიარ“ (აბულაძე).
24. ძვ. ტექსტშია: „ელოვანება“ ანუ ხრიკები.
25. თემურს ჰქონდა ქაშქადარის დუმენის უფროსობა. მონღოლური დუმენების სისტემა გულისხმობდა დუმენებად (ათი ათასეულებად) და ყოშუნებად (ათა-სეულებად) დაყოფას (ნარკვევები, 3, გვ. 371).

26. როგორც ჩანს, აქ საუბარია ხორეზმსა და ხორასანზე. შუა აზიის გაერთიანებისთვის წარმოებულ ომებში თემურმა რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო ხორეზმის წინააღმდეგ XIV ს. 80-იან წლებში კი უკვე მთელი ხორასანიც დაიპყრო (ნარკვევები, 3, გვ. 672).
27. სუნიზმი არის ისლამის მიმდინარეობა.
28. ქალაქი კარი, იგივე ყარსი, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს.
29. საუბარია ათაბაგ აღბუღა I-ზე (1374-1391).
30. ძველ ტექსტებშია: „ჩტჟგ” = 1393 წ. სინამდვილეში თემურის პირველი შემოსევა საქართველოში მოხდა 1386 წლის გვიან შემოდგომაზე და არა 1393 წლის გაზაფხულზე, როგორც აქ წერია.
31. აბოცი სასაზღვრო მხარე იყო ქართლის სამხრეთში.
32. მაშინ, როცა ეს თხზულება დაიწერა, საბარათიანოს საზღვრებში შედიოდა სოფლები: არმაზი, მუხათგვერდი, კარსანი, თელოვანი, მაჩხაანი, დიღომი, ველკეთილი, ყორანთა, დისველი, კრწანისი (იხ. სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხა შედგენილი 1720 წლის ახლო ხანებში, ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, თბ., 1990 წ., გვ. 327-328).
33. ძვ. ტექსტშია: „უბრძანა სპასპეტთა, სპასალართა და მებრძოლთა“. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სპასპეტი უფრო მაღალ სამხედრო წოდებას გულისხმობდეს, ვიდრე სპასალარი. თუმცა საბასთან, ჩუბინაშვილთან და აბულაძესთან სპასალარი და სპასპეტი განმარტებულია, როგორც ერთმანეთის სინონიმები. სარჯველაძესთან განმარტებული არ არის. „სპასალარი სპარსული სიტყვაა, ქართულად სპასპეტი ჰქვიან” (საბა).
34. მართალია, აქ „სრულიად ქართველნი“ წერია, მაგრამ სინამდვილეში ბაგრატ მეფესთან მთელი საქართველოს მხედრობა არ იყო შეკრებილი. როგორც მეორე ტექსტიდან ვგებულობთ, „რომელნიმე დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა იყვნენ ციხესა მას შინა მეფისა ბაგრატის თანა, არამედ წარსულ იყვნეს თჳს-თჳ(ს)ად სახიზარსა და სიმაგრესა შინა, და რომელნიმე თანა ჰყვეს რჩეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ჰზვებოდეს მეფესა“.
35. „ჩელტი“ არის „ლასტი“ (საბა), ჩელტი არის „ლახტივით“ (ჩუბინ.). „ფარები და ჩელთები“ (ეზეკია 23,14) (აბულაძე), სარჯველაძესთან განმარტებული არაა. როგორც ჩანს „ჩელტი” არის იგივე „ჩელთი”, ანუ ნახევრადწრიული ფორმების ფარი (იხ. ეზეკიელის წიგნის ძვ. ქართ. ვერსიები, თ. ცქიტიშვილის გამოცემა, თბ., 1976 წ., გვ. 271).
36. ეს მოხდა 1386 წლის გვიან შემოდგომაზე.
37. აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ თემურ-ლენგმა საქართველოს დედოფალი ანაც დაატყვევა. აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად მტერმა ხელში ჩაიგდო ასევე საყოველთაოდ ცნობილი ქართველი მეფეების ბიბლიოთეკა (მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის გამოცემა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 33, თბ., 1960 წ., გვ. 45).
38. ყარაიის ველები მტკვრის მარცხენა მხარეს, თბილისის სამხრეთით მდებარეობს.

39. ქ. ბარდა, იგივე ბარდავი.
40. შიდა ქართლი იგივე ზენა სოფელია. ლეონტი წერს, რომ მცხეთოსსა და მის შთამომავლობას ეპყრა „ქუეყანა არაგჳთაგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე... უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგჳთგან და არმაზითგან, ვიდრე ტასისკარამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰრქჳან შიდა-ქართლი“ (იხ. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955 წ., გვ. 10).
41. ქრისტეს აქეთ ჩტჟგ (1393) წელი იყო XIV მოქცევის პა (81-ე) ქორონიკონი (1393-1312=81). დათარიღება სათუოა. ქვათახევის დარბევის შესახებ სხვადასხვა თარიღი ივარაუდება. ესენია 1386, 1389 ან 1400 წელი.
42. ჯერ წერია შიდა ქართლი, ახლა კი „ყოველივე საქართველო“.
43. საუბარია სვეტიცხოველზე.
44. სოფ. რუისი მდებარეობს გორის დასავლეთით.
45. როგორც ჩანს, საუბარია ქ. ბარდავზე, სადაც გაჩერდა თემურ-ლენგი და საიდანაც გამოგზავნა სარდალი, საქართველოს ხელახლა დასარბევად.
46. შაქი და შირვანი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახელმწიფოები იყო.
47. იგულისხმება მთებში მცხოვრები ხალხები.
48. გილანი და მაზანდარანი ირანის ისტორიული მხარეებია.
49. მთიულეთი საქართველოს ისტორიული მხარეა. მდებარეობს თეთრი არაგვის ხეობაში.
50. დვალეთი – საქართველოს ისტორიული მხარე. დარიალის ხეობისა და მამისონის უღელტეხილს შორის მდებარეობს.
51. ეგნატაშვილების შესახებ ჩართული ცნობა კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ თხზულების შედგენაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბერ ეგნატაშვილს. ამ ცნობის თანახმად, თემურ-ლენგის გამუსლიმებულ ქართველ ტყვეთა შორის იყვნენ აზნაური ეგნატაშვილებიც.
52. იქვე, ანუ შაქში.
53. ქალაქი ბარდა, იგივე ბარდავი, მდებარეობს აზერბაიჯანში, ყარაბაღის ვაკეზე. ლეონტი მროველის თანახმად იგი დააარსა ბადროსმა, თარგამოსის ძემ („ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი“).
54. საუბარია შარვანის მბრძანებელ შეიხ იბრაჰიმ დერბენდზე (1382-1417) (იხ. ნარკვევები, 3, გვ. 680).
55. ქვეყნები აქ აღნიშნავს გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს.
56. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ელიოზ კათოლიკოსი და ბაგრატ მეფე თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ (1393 წ.). ეს შეცდომაა. ელიოზი მოქმედ კათოლიკოსად მოიხსენიება 1415 და 1419 წლების საბუთებშიც (კრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 67). ელიოზის შემდეგ გიორგი კი არა მიქაელ VI (1419-1426) აღსაყდრდა. როგორც ჩანს, აქ საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ გიორგი V-ზე, რომელიც სინამდვილეში უწმიდესი ელიოზის წინამორბედი იყო და მწყემსმთავრობდა საქართველოს XIV ს-ის 80-90-იან წლებში.

57. გიორგი VII მეფობდა 1393-1407 წლებში. ქვემოთ მეფეების რიგი არეულია. გიორგი VII მეორედაც მოიხსენიება ვინმე ალექსანდრეს შემდეგ (იხ. „გიორგი 72“).
58. ანუ ლიხის ქედს იქით და აქეთ, დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს.
59. ანუ ნარიყალა. წყაროებში თავიდან იგი იხსენიება კალას ციხის სახელით. მოგვიანებით შურის ციხეც ერქვა.
60. საუბარია დედაქალაქის გარშემო არსებულ ციხე-სიმაგრეებზე, რომლებიც ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდნენ.
61. საუბარია ჯანიბეგ ზედგინიძეზე. ჯანიბეგის სამფლობელო საამილახვროს შემადგენლობაში შედიოდა. მან თავიდან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ ბოლოს, როცა აღარ შეეძლო, დანებდა (ნარკვევები, 3, გვ. 696).
62. ხოჯას ორი მნიშვნელობა აქვს: „საჭურისი” და „დიდვაჭარი” (საბა).
63. უფლისწული თაჰერი იყო აჰმედ ჯალაირიანის ძე. მამამისი თემურ ლენგთან რომ დამარცხდა ბრძოლაში, შეუთვალა: „მართალია, ომში მკვლავმა მიმტყუნა, სამაგიეროდ გაქცევაში კოჭლობა არ მიშლის ხელსო” და გაქცევით უშველა თავს (ნარკვევები, 3, გვ. 696). უფლისწული თაჰერი მეორე ტექსტში მოხსენიებულია, როგორც თირ სულთანი.
64. ალყაში მოქვეული ალინჯას ციხიდან ბატონიშვილ თაჰერის გამოსაყვანად გიორგი VII-მ ლაშქარი გაგზავნა ნახჭევანში აზნაურ სარგისის მეთაურობით. სწორედ მან ჩამოიყვანა თაჰერი გიორგი მეფესთან (ნარკვევები, 3, გვ. 690).
65. ხარაჯა არის მიწის სათათრო გამოსაღებთა ზოგადი სახელი. ხარაჯა მიწის შემოსავლიდან აიღებოდა ნატურით (ზოგჯერ ფულით). ზოგიერთ შემთხვევაში წლიური შემოსავლის დაახლოებით 60 პროცენტს უდრიდა. სომხური წყაროები მას ხარაჯანს უწოდებენ.
66. მართლაც, გიორგი VII საერთოდ არ ხლებია თემურ-ლენგს.
67. ივანე ჯაყელი სამცხის ათაბაგი იყო 1391-1444 წლებში.
68. XVI საუკუნემდე ასე ეწოდებოდა საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილს. ზემო ქართლში შედიოდა შემდეგი ერთეულები: სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი და კოლა – მტკვრის ზემო წელზე, ხოლო კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი – ჭოროხის ზემო წელზე. XVI საუკუნიდან კი ზემო ქართლი ეწოდებოდა ძვ. შიდა ქართლის ტერიტორიას, უფრო მის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილს. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ზემო ქართლი პირვანდელი გაგებით უნდა იყოს ნახმარი.
69. მანგლისი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე.
70. ძველქართულში შეცდომითაა „უჴმობდეს“, აშკარაა „უჴდებოდეს“ უნდა იყოს.
71. „ფრანგი” კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარს ნიშნავს.
72. არაგვის ხეობა მდებარეობს ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
73. სიასის ქვეყანა, ალბათ, სივასს აღნიშნავს. სივასი თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთი ოლქია.
74. ძველ ტექსტს აქა-იქ აშკარად ეტყობა, რომ სპარსული წყაროა გამოყენებული. სპარსულიდან თარგმნისას ზმნისწინები ზოგან უცვლელად გადმოუტანიათ. ამიტომ არის, რომ წერია „წამოვიდნენ თემურ-ლენგთან“, მაშინ, როცა ქართულ წყაროში უნდა ეწეროს „წავიდნენ თემურ-ლენგთან“.

75. ალინჯის ციხე მდებარეობდა ნახიჩევანის მიდამოებში. იგი თითქმის ერთადერთი სიმაგრე იყო, რომლის წინააღმდეგ თემურ-ლენგმა ვერაფერი გააწყო მრავალი წლის განმავლობაში. მასში გიორგი VI-ის მოკავშირე ჯალაირიანები იყვნენ გამაგრებული. ამ ციხის შესახებ მეორე ტექსტშიც არის ცნობა (ნარკვევები, 3, გვ. 701-702).
76. გელაქუნის, ანუ სევანის ტბა მდებარეობს თანამედროვე სომხეთში.
77. გიორგი VII-ს ორი ძმა ჰყავდა დავითი და კონსტანტინე. სწავლული კაცები არ აკონკრეტებენ, კერძოდ, რომელი ეახლა თემურ-ლენგს. სხვა ცნობით, გიორგი მეფის ძმა მის დაუკითხავად მივიდა თემურ-ლენგთან.
78. ივანე ჯაყელი ათაბაგი იყო 1391-1444 წლებში, აღბუღა I-ის (1374-1391) შემდეგ. ხოლო აღბუღა II იყო ივანეს შემდეგ 1444-1451 წლებში.
79. ძველ ტექსტში შეცდომითაა „თეშქაში“, უნდა იყოს „ფეშქაში“. სარჯველაძესთან განმარტებული არაა, არც აბულაძესთან, ჩუბინაშვილთან და საბასთან.
80. მსახურები საზოგადოებრივი ფენაა.
81. კანჯარი = „ველური ვირი“ (საბა).
82. ძველ ტექსტში წინადადება გაუმართავია.
83. მეორე ტექსტშია „ბეგიჯანლი“.
84. ბაიაზეთ I – ოსმალეთის მეოთხე სულთანი, ტახტზე იყო 1389-1402 წლებში.
85. ოსმან I იყო თურქების პირველი სულთანი. მან დააარსა ოსმალების სახელმწიფო. სულთნის ტიტული მიიღო 1299 წელს. გარდაიცვალა 1326-ში. ბაიაზეთ I-ის მამა, მურად I, იყო ოსმან I-ის შვილიშვილი. ოსმან I-ის გამო ეწოდა მის სასულთნოს თურქ-ოსმალთა სახელმწიფო.
86. ქ. ბურსა მდებარეობს თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში.
87. ძველ ტექსტშია „ყაფაზა“. აბულაძესთან, სარჯველაძესთან, ჩუბინაშვილთან და საბასთან განმარტებული არაა. „ყაფაზას“ ვხვდებით ლავრენტი არდაზიანისა და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში, ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს გალიას: „ბულბულს – ყაფაზა, გრძნობას – აღვირი. აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...“ (ი. გრიშაშვილი, 100 ლექსი, ნ. გრიგალაშვილის გამოცემა, თბ., 2009წ., გვ. 81).
88. ძველ ტექსტში „ადრაბაგანი” ე. ი. ადარბაგანი, ანუ ირანის აზერბაიჯანი.
89. იგულისხმება დავით IX. აქედან მეფეების რიგი არეულია. სწავლულმა კაცებმა შეცდომა დაუშვეს, როცა 1393-1412 წლებში ოთხი მეფე მოიხსენიეს. თითქოს ცხრამეტი წლის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით მეფობდნენ გიორგი, დავითი, ალექსანდრე და გიორგი. თანაც ესენი თურმე ერთმანეთის შვილები იყვნენ. ისე გამოდის, თითოეულს ხუთ წელზე ნაკლები უნდა ემეფა. ვახუშტი ამის გამო წერს: „და ეს დაუჯერებელ არს ძეთა სხმად“ (კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954 წ., გვ. 277-278). სინამდვილეში გიორგი VII-ის შემდეგ ტახტზე ავიდა კონსტანტინე I (1407-1411), ხოლო მის შემდეგ ალექსანდრე I დიდი (1411-1442), ვახტანგ IV (1442-1446) და გიორგი VIII (1446-1466).

90. ძველ ტექსტში „ჩტნე“ = 1355 წ. ამ დროს დავით IX მეფობდა (1346-1359). გიორგი VII-ის შემდგომ ამ მეფის მოხსენიება შეცდომაა. სინამდვილეში დავითი გიორგი V-ს შემდეგ მეფობდა.
91. მეფეების თანმიმდევრობის არევის გამო აქ არეულია პატრიარქების რიგშიც. როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს პატრიარქი ბასილი V. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ბასილი V ექვთიმე III-ის შემდეგ აღსაყდრდა (საქ. კათ-პატრიარქები, გვ. 13).
92. შეცდომაა.
93. ძველ ტექსტში „ჩტნიბ“ შეცდომაა. „ნ“ (50) და „ი“ (10) ერთად არ უნდა იყოს. თუ 60-ის დაწერა უნდოდათ, წესით „ჲ“ უნდა ჩაესვათ. ჩტნიბ = 1362 წ(?).
94. უწმიდესი დოროთეოზ I (XIV ს. 60-იანი წლები). ვახუშტისთანაც ასეა. დოროთეოზ I ბასილი V-ის შემდეგ იყო (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 65).
95. გიორგი VII აქ შეცდომით იხსენიება (იხ. ზევით „გიორგი ით“). იგი ბაგრატ V-ის შემდეგ ავიდა ტახტზე. გაურკვეველია ვინ არის აქ მის წინ მოხსენიებული ალექსანდრე.
96. ძველ ტექსტში „ჩტჟგ” = 1393 წ. ამ დროს ტახტზე ავიდა გიორგი VII.
97. უწმიდესი გიორგი მეხუთე XIV ს. 80-90-იანი წლებში იყო (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 66).
98. უწმიდესი ელიოზი, გობირახისძე პატრიარქი იყო XIV ს-ის 90-იანი წლების ბოლოდან 1419 წლამდე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 67-68).
99. უწმიდესი მიქაელ VI (1419-1426 წწ.). შეცდომაა, ეს ბოლო ორი პატრიარქი გიორგი VII-ის მეფობის დროს არ ყოფილა.
100. უწმიდესი დავით II, ბაგრატიონი პატრიარქი იყო 1425/6-1429 წლებში (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 69-70).
101. ალექსანდრე I დიდი მეფობდა 1411/2-1442 წლებში.
102. ძველ ტექსტში „ჩუიბ“ = 1412 წ.
103. შეცდომაა, ალექსანდრე I გიორგი VII-ის ძე არ ყოფილა. მამამისი კონსტანტინე I იყო.
104. უწმიდესი ელიოზი, გობირახისძე. ნამდვილად მისი პატრიარქობის დროს გამეფდა ალექსანდრე I დიდი, მაგრამ ელიოზი უწმიდესი გიორგი V-ის შემდეგ აღსაყდრდა, ბასილი შეცდომით წერია მის წინ.
105. უწმიდესი თეოდორე III (დაახლ. 1429-1435 წწ.). აქ გამორჩენილია ორი პატრიარქი. ელიოზის შემდეგ ჯერ იყვნენ მიქაელ VI და დავით II. შემდეგ აღსაყდრდა თეოდორე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 67-70).
106. უწმიდესი შიო II (დაახლ. 1439-1443/7 წწ.). ვიდრე შიო აღსაყდრდებოდა პატრიარქი იყო დავით III (იქვე, გვ. 73).
107. საუბარია სვეტიცხოველზე.
108. ანუ ოჯახზე.
109. „შაური ათი(ს) ფოლის ვერცხლი“ (საბა). შაური არის „ათი ფული“ (ჩუბინ.); აბულაძესთან განმარტებული არ არის, არც სარჯველაძესთან.

110. ძველშია „მალი“. აბულაძესთან და სარჯველაძესთან განმარტებული არ არის. „მალი ხარკი მწვალებელთა“ (საბა). მალი = ხარაჯა (ჩუბინ.). „ხარაჯა“ = „მალი, თურქნი ესრეთ უხმობენ ხარკსა აღებულსა ქრისტეანეთაგან სარწმუნოების საზღაურად“ (ჩუბინ.). მალი და ხარაჯა, როგორც ცნობილია, მონღოლების დროინდელი გადასახადები იყო, მიწაზე დაწესებული. როგორც ჩანს, მონღოლების შემდგომ, ამ სიტყვების მნიშვნელობამ გარკვეულწილად ცვლილება განიცადა. როგორც საბასთან, ისე ჩუბინაშვილთან და აქაც (ანუ საკმაოდ გვიან) მალი და ხარაჯა უკვე სარწმუნოების გამო განწესებულ გადასახადს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ მალსა და ხარაჯას სულ სხვაგვარი მნიშვნელობებითაც ვხვდებით ძველ ქართულ მწერლობაში.
111. ვახტანგ IV მეფობდა 1442-1446 წლებში. სხვა ცნობით 1413-1422 წლებში.
112. ძვ. ტექსტშია: „ჩუით” = 1419 წ. შეცდომაა.
113. გიორგი VIII მეფობდა 1446-1466 წლებში. სხვა ცნობით გიორგი VIII მეფეთ-მეფე იყო 1446-1464 წლებში.
114. ძვ. ტექსტშია: „ჩუმე” = 1445 წ. შეცდომაა.
115. უწმიდესი დავით IV ჭავჭავაძე (1443/7-1459 წწ.).
116. ძვ. ტექსტშია: „ჩუმე” = 1445 წ. შეცდომაა, კონსტანტინოპოლი დაეცა 1453 წელს.
117. საინტერესოა, რომელი წყარო იგულისხმება.
118. აქედან იწყება ბაგრატ VI-ის ისტორიის თხრობა. რატომღაც მეორე სათაურიც არის ქვემოთ. აშკარაა, ვახტანგ VI-ის დროს მომხდარი დიდი სახელმწიფოებრივი უბედურების გამო ვეღარ მოხერხდა შავად დაწერილი თხზულების გამართვა. ამის თაობაზე წერდა ვახუშტი: თხზულება ისე დარჩა, რომ ვახტანგ VI-ს არ გაუსწორებიაო. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ამ და სხვა შეცდომებისა და გაუმართავი ადგილების არსებობა ტექსტში.
119. უზუნ-ჰასანი (1453-1478 წწ.) იყო აყ-ყონლუს თურქმანთა სახელმწიფოს მეთაური.
120. „ძველი ქართლის ცხოვრება” ეწოდება ქართლის ცხოვრების კრებულის ვახტანგამდელ რედაქციას. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „ძველ ქართლის ცხოვრებაში” ბაგრატ მეფის ისტორია შეტანილი ვერ იქნებოდა.
121. ბაგრატ VI ქართლსა და იმერეთში მეფობდა 1466-1478 წლებში. ბაგრატი გიორგი VIII-ის ბიძაშვილი იყო. იგი ჯერ იმერეთში გამეფდა 1463 წელს, ხოლო 1466-ში ქართლიც დაიკავა და გიორგის ტახტი წაართვა.
122. ძვ. ტექსტშია: „ჩუნე” = 1455 წ.
123. დავით V (1466-1479 წწ.) – ერთიანი საქართველოს ბოლო პატრიარქი (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 77-78).
124. ძვ. ტექსტშია: „მორჭმული“. „მორჭმა გასაქონლიანება“ (საბა). მორჭმული = „დოვლათიანი, სახელოვანი ჩინებული“ (ჩუბინ.); სარჯველაძესთან განმარტებული არ არის, არც აბულაძესთან.
125. უზუნ ჰასანი არის იგივე ჰასან-ბეგი, აყ-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს მმართველი. (ნარკვევები, 3, 736; საქ. ისტ. და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ. 1990 წ., გვ. 484).

126. „პიტიახში“ არის სპარსული სამოხელეო სახელი. რატომღაც აშკარად მოძველებული ტერმინია გამოყენებული. ამ დროს საპიტიახშოები, რა თქმა უნდა, არ არსებობდა.
127. ეს უნდა იყოს ლიპარიტ I (1414-1469), ან შამადავლე დადიანი (1469-1474).
128. საუბარია კახაბერ გურიელზე (1462-1483).
129. შეიძლება ასეც ვთარგმნოთ: საბარათიანოს მკვიდრნი.
130. ელები თურქმანული ტომის სახელია.
131. კონსტანტინე II ქართლის სამეფო ტახტზე იყო 1478-1505 წლებში. 1478-დან 1484 წლამდე იგი იმერეთშიც მეფობდა.
132. ძვ. ტექსტშია: „ჩუ҃ა“ = 1461 წ. შეცდომაა, სინამდვილეში 1478 წელს გამეფდა.
133. შეცდომაა, კონსტანტინე II ბაგრატის ძე არ ყოფილა. აქ კონსტანტინე I და კონსტანტინე II არის ერთმანეთში არეული.
134. ტაშირი იყო ქვემო ქართლის განაპირა ოლქი. მას ასევე ეწოდებოდა ლორე, რადგან მის ცენტრს ლორეს ციხე წარმოადგენდა.
135. ქვეშის ხევი ქვემო ქართლშია. „სომხურ გეოგრაფიაში“ (VII ს.) მოიხსენიება „ქვეშაფორი“, ანუ ქვეშის ხევი. მოგვიანებით მას დმანისხევი ეწოდა.
136. ჭანდრები/ჭანდარი არის ქარელის რაიონში, მდ. ხვედრულასთან (სძა, 5, გვ. 348, 411). ასევე არის მამკოდასთანაც, თბილისთან ახლოს. იქ დღეს ძველი ნამოსახლარები და ნაეკლესიარებია.
137. „მარგილი ხე წვერ-წათლილი დასარჭობი“ (საბა).
138. ძვ. ტექსტშია: „მოუდა ზემოთ ბუხუნი“. ბუხუნი = „ღორისა და ლომის რისხვის Ჩმა(Ა)“ (საბა). როგორც ჩანს, შეცდომაა. სხვა ტექსტშია „ბუსუნი”, რაც ჩასაფრებულ მტერს აღნიშნავს.
139. „დოლბანდი ეწოდება თათართ თავსახვევსა“ (საბა).
140. ძვ. ტექსტშია: „ჩაღდაულად”. ამ სიტყვის განმარტება ვერსად ვნახე.
141. ძველ ტექსტში ასეა. ვერ გავიგე რას ნიშნავს ეს ჩაღდაულები თუ ჩაღთაულები.
142. ანუ თბილისში
143. ძვ. ტექსტშია: „ჩუდ“ = 1404 წ. შეცდომაა, სინამდვილეში მეფე კონსტანტინე გარდაიცვალა 1505 წელს.
144. აქ შეცდომაა. წერია, რომ ეს ალექსანდრე იყო კონსტანტინე II-ის ძმა. სინამდვილეში მეფე კოსტანტინეს ძმას დავითი ერქვა. იგი 1475 წელს გარდაიცვალა ისე, რომ სამეფო ტახტზე არ ასულა. ალექსანდრე ერქვა ასევე კოსტანტინე II-ის ერთ-ერთ ძეს (გარდაიცვალა 1556 წელს). მაგრამ არც ის არ გამეფებულა. როგორც ჩანს, აქ შეცდომით საუბარი არის ალექსანდრე I დიდზე (1411-1442). თხზულების ამ მონაკვეთში სხვადახვა მეფეების ისტორიები ერთმანეთშია არეული. ზოგისა ორად არის გაყოფილი, ზოგისა ერთმანეთშია შერწყმული.
145. ძვ. ტექსტშია: „ჩუᲩ “ = 1465 წ. შეცდომაა, სინამდვილეში 1446-1466 წლებში ტახტზე იყო გიორგი VIII.
146. როგორც ჩანს, საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ V-ზე (1479-1488), იგი ტახტზე ავიდა პატრიარქ დავით V-ის შემდეგ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 79).

147. აქ კონსტანტინე II-ის ისტორიის მოყოლა თავიდან ხდება. შეცდომით წერია, თითქოს იგი იყო ალექსანდრეს ძე. სინამდვილეში ალექსანდრე I დიდი იყო მისი პაპა. მამამისი იყო დემეტრე (1414-1463), მაგრამ იგი მეფე არ ყოფილა.
148. თარიღი შეცდომითაა დასმული.
149. საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ აბრაამ II აბალაკზე (1451-1498 წწ.).
150. ყვარყვარე II ჯაყელი სამცხის ათაბაგი იყო 1451-1498 წლებში.
151. არეში თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მ. ჯანაშვილის დაკვირვებით „ეს ამბავი ვახუშტის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაუწერია თავის შრომაში“ (მ. ჯანაშვილი, შრომები, I, გვ. 42).
152. ხუნანი – აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. ხუნანის საერისთავო V ს-ში მოიცავდა ძოროფორს, კოლბოფორსა და გარდაბანს. მოგვიანებით ხუნანის ტერიტორია გაგის საერისთავოს შეუერთდა.
153. ძვ. ტექსტშია: „ჩუპდ“ = 1484 წ. შეცდომაა, სინამდვილეში არადეთის ბრძოლა 1483 წელს გაიმართა. ამ ბრძოლის შესახებ განსხვავებული ცნობებია ძველ ქართულ წყაროებში. მათი მიმოხილვა იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1948 წ., გვ. 136-143.
154. არადეთის ბრძოლა გაიმართა 1483 წელს. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II ჯაყელი შეებრძოლა ქართლის სამეფოს ლაშქარს. არადეთიდან მომავალ ყვარყვარეს ქართლის ფეოდალთა ერთმა ნაწილმა გადაუღობა გზა და მას მეფე კონსტანტინე II-ის მორჩილება მოსთხოვა. ბრძოლაში ქართლის მხედრობა დამარცხდა, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ამ დამარცხებით ისარგებლეს დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა წრეებმა და იქ ალექსანდრე II გაამეფეს – იმერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა.
155. ეს უცნაური სიტყვები ცხადი მოწმობაა იმისა, როგორი დაკნინებული იყო დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნება. თუკი სწავლულ კაცთა კომისია ასეთ ძნელადმისატევებელ შეცდომას უშვებს, მაშინ უსწავლელ და გაუნათლებელ ხალხზე რაღა უნდა ვიფიქროთ.
156. ძვ. ტექსტშია: „ურასა კჯცსა ზედა“. „ურა“ = „ახტა კიცვი უმწყსო ცხენი“ (საბა).
157. თხზულების ეს მონაკვეთი შეცდომით არის დასათაურებული. დავით X-ის ისტორიის თხრობა იწყება ცოტა ქვემოთ. აქ საქართველოს დაშლის შესახებ არის საუბარი. ისიც შეცდომაა, თითქოს დავით X-ის დროს დაიშალა საქართველო. როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII იყო.
158. ძველ ტექსტში ამ ადგილას, როგორც ჩანს, კორექტული შეცდომაა: „მაშიგან დაგჯწერი“.
159. ბაგრატი იმერეთის ერისთავი იყო 1455-1463 წლებში. 1463-1466 წლებში იგი მეფობდა იმერეთში. ხოლო 1466-1478 წლებში – ქართლსა და იმერეთში. ალექსანდრე, მისი ძე, მეფობდა იმერეთში 1484-1510 წლებში.
160. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების გაგრძელების” დაწერისას სწავლულ კაცთა კომისია მიზნად ისახავდა ჯერ არდაწერილი ისტორი-

ის აღწერას, ქართული სამეფო დინასტიების წარმომავლობის გარკვევასა და ქართული სამეფოების საზღვრების დადგენას.

161. ეს არის ბაგრატ იმერთა მეფე. ან ბაგრატ II (VI) (1434-1478), ან ბაგრატ III (1495-1565). აღსანიშნავია, რომ იმერეთისა და კახეთის მეფეებს სწავლული კაცები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მეფეებს არ უწოდებენ. მათ იხსენიებენ, როგორც „მპყრობელი“, „ბატონი“, „პატრონი“. მეფეებად მხოლოდ ქართლის გვირგვინოსნებს იხსენიებენ. როგორც ჩანს, ამით სწავლული კაცები მიანიშნებენ, რომ ქართლის ბაგრატიონები მათ უფრო ლეგიტილურ გვირგვინოსნებად მიაჩნდათ, ვიდრე იმერეთისა და კახეთის მბრძანებლები.
162. ვინ არის ეს დავითი, არ ვიცით. შეცდომა ჩანს. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, კახეთის სამეფო დინასტიის სათავის დამდები იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1466-1476 წწ.).
163. კახეთის ტახტზე ლევანის სახით ერთადერთი მეფე იჯდა 1518-1574 წლებში. მაგრამ იგი დავითის ძე არ ყოფილა, როგორც აქ წერია, არამედ მამამისი იყო ავგიორგი (1511-1513 წწ.).
164. ლევან კახთა მეფის ძე იყო ალექსანდრე II (1574-1605 წწ.).
165. ღომის ციხეს ასევე ზოტის ციხესაც უწოდებენ. ჩოხატაურის რაიონში მდებარეობს.
166. გურჯი-ბოღაზის ხეობა მდ. ევფრატის სათავესთან მდებარეობს. თურქული სახელია. თარგმანში საქართველოს ყელს ნიშნავს.
167. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრე I კონსტანტინე II-ის მამა არ ყოფილა.
168. სინამდვილეში კონსტანტინე II-ს შვიდი ძე ჰყავდა. აქ გამორჩენილია დემეტრე და ვახტანგი.
169. საუბარია სვეტიცხოველზე.
170. მელქისედეკ II ბაგრატიონს სამჯერ ეკავა კათოლიკოს-პატრიარქის საყდარი. დაახლოებით 1528-1529, 1540-1545 და 1548-1552 წლებში (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 89-90).
171. ძვ. ტექსტშია: „ჩფდ” = 1504 წელს. შეცდომაა. სინამდვილეში კონსტანტინე II გარდაიცვალა 1505 წელს.
172. დავით X ქართლში მეფობდა 1505-1525 წლებში. 1513-1518 წლებში მას ეკუთვნოდა კახეთიც.
173. ძვ. ტექსტშია: „ჩფიდ“ = 1514 წ. შეცდომაა. სინამდვილეში 1509 წელი უნდა ეწეროს.
174. იგულისხმება ოსმალეთის სულთანი ბაიაზეთ II (1481-1512 წწ.).
175. ეს მოხდა 1509 წელს (ნარკვევები, 4, თბ., 1973 წ., გვ. 94).
176. შეცდომაა. ამ დროს იმერეთის მეფე იყო ალექსანდრე II (1484-1510 წწ.) (იქვე). მისი ძე, ბაგრატ III მეფობდა 1510-1565 წლებში.
177. ალექსანდრე I კახეთის მეფე იყო 1476-1511 წლებში.
178. უსინათლო კაცი ვერ გამეფდებოდა, ამიტომ დააბრმავა, რომ ტახტში არ შესცილებოდა.

179. ავ-გიორგი მეფობდა კახეთში 1511-1513 წლებში.
180. როგორც ჩანს, საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ ბასილი VI-ზე. იგი ორჯერ იყო პატრიარქის ტახტზე 1517-1528 და 1529-1532 წლებში (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 87-89).
181. პატრიარქების რიგი აქ აშკარად არეულია. ბასილი VI-ის შემდეგ 1528 წელს მელქისედეკ II აღსაყდრდა, 1532 წელს კი ბასილი VI პატრიარქის ტახტზე უწმიდესმა მალაქიამ შეცვალა. დოროთეოზ III პატრიარქი იყო უფრო გვიან, 1589-1595 წლებში.
182. ძვ. ტექსტშია: „მომეც დროშა“. XVI საუკუნეში, როცა ჩამოყალიბდა მუხრანბატონების სათავადო, შიდა ქართლში შეიქმნა სამი სადროშო (ქართლის სამეფოში სულ ოთხი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, ანუ სასარდლო, იყო). შიდა ქართლში არსებული მესამე სადროშო მოიცავდა სამუხრანბატონოს, არაგვსა და ქსანს (ქსძ, 5, გვ. 21).
183. ძვ. ტექსტშია: „საღვინე“. „საღვინენი არიან: სურა, საწდე, ქიშა, ფაჩხი და მისთანანი; ჭურნი და წედანიცა საღვინედ ითქმიან“ (საბა). უფრო საფიქრებელია, რომ ერთ სურა ღვინოს გაუგზავნიდა.
184. ძვ. ტექსტშია: „ჩფიდ“ = 1504 წ. შეცდომაა. სინამდვილეში ავ-გიორგი 1513 წელს გარდაიცვალა.
185. ლევანი კახეთში მეფობდა 1518-1574 წლებში.
186. სახლთუხუცესი მეფის დიდმოხელე იყო. ასრულებდა სამეურნეო, საფინანსო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს.
187. აქაც და ქვემოთაც „მონა“ წერია.
188. მესამე ტექსტში სხვაგვარი ვერსიაა წარმოდგენილი, გარსევანმა ლევანი რუსეთში გაგზავნაო, წერია.
189. ანუ კახეთის ბარში.
190. ძველქართულში მხოლობით რიცხვშია – „მოციქული“.
191. ეს მოხდა 1518 წელს. ლევანი კახეთში მეფობდა 1518-1574 წლებში.
192. ეს მოხდა 1518 წელს.
193. საუბარია გურიის მთავარ მამია I-ზე (1512-1534 წწ.).
194. როგორც ჩანს, კახეთის სამეფოში შუამთის მონასტერს იგივე ადგილი ეკავა, რა მნიშვნელობაც დავით აღმაშენებლის სამეფოში გააჩნდა გელათს. მოძღვართმოძღვარიც სწორედ ამიტომ დაადგინეს შუამთაში.
195. სინამდვილეში პირველი ცოლისგან შეეძინა ხუთი ვაჟი (გიორგი, იესე, ალექსანდრე, ნიკოლოზი და ერეკლე), ვახტანგი მეორე ცოლისგან ჰყავდა.
196. სინამდვილეში მეორე ცოლისგან შვიდი ვაჟი შეეძინა: ელმირზა, დავითი, ქაიხოსრო, თეიმურაზი, ბაგრატი, კონსტანტინე და ვახტანგი.
197. ეს არის ლუარსაბ I. ქართლში მეფობდა 1527-1556 წლებში.
198. დავით X-ს მეოთხე ვაჟიც ჰყავდა, ადარნასე ერქვა.
199. ძვ. ტექსტშია: „ჩფკზ“ = 1527 წ. შეცდომაა, სინამდვილეში დავითი 1525 წელს გარდაიცვალა.
200. გიორგი IX მეფობდა 1525-1527 წლებში.

201. ძველ ტექსტში ასეა, ერთადაა „მრავალი“ და „ყოველი“. ეტყობა იგულისხმება, რომ ამოწყვიტეს ყველა მოწინააღმდეგე, თორემ დაუჯერებელია ისეთი ველურობა გამოეჩინათ, რომ მთელი იერუსალიმის მოსახლეობა ამოეწყვიტათ განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა. ეს ძალიან დაუჯერებელია.
202. საუბარია ყვარყვარე III ჯაყელზე (1518-1535 წწ.) ამ დროს ოსმალეთის სულთანი იყო სულეიმან II (1520-1566).
203. ამ დროს გურიის მთავარი იყო როსტომი (1534-1564 წწ.). კახაბერი უფრო ადრე, 1462-1483 წლებში იყო.
204. ძვ. ტექსტშია: „ჩფლდ” = 1534 წ. სინამდვილეში მურჯახეთის ბრძოლა გაიმართა 1535 წელს.
205. ოთარ შალიკაშვილი იყო ათაბაგ ყვარყვარე III-ის პირველი ვეზირი.
206. ეს არის ქაიხოსრო II. იგი მოგვიანებით, 1545-1573 წლებში იყო სამცხის მთავარი.
207. ირანის შაჰი ისმაილ I (1501-1524 წწ.) არის სეფიანთა დინასტიის დამაარსებელი.
208. ძვ. ტექსტშია: „მოქმედი გრძნებისა“. ესე იგი მჩხიბავი, მაცდური და ბოროტი სასწაულების მოქმედი.
209. შაჰ-მლუ სავარაუდოდ შაჰის გვარდიას თუ პირად მცველებს უნდა ნიშნავდეს.
210. ლუარსაბ I მეფობდა 1527-1556 წლებში.
211. ძვ. ტექსტშია: „ჩფმბ” = 1542 წ. შეცდომაა.
212. ბაგრატ მუხრანბატონს ათი შვილი ჰყავდა: ვახტანგი, არჩილი, აშოთანი, ერეკლე, ალექსანდრე, დედისიმედი, იონათანი, გულდაფარი, იოთამი და თეოდორა.
213. უწმიდესი გერმანე (1535-1546 წწ.) (იხ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 92-93).
214. შაჰ ისმაილმა 1503-1510 წლებში დაიმორჩილა თითქმის მთელი ირანი და მისი მეზობელი ქვეყნები.
215. აღჯაყალას სახელით ქართულ საისტორიო წყაროებში სხვადასხვა ადგილი იხსენიება. ერთი აღჯაყალა მდებარეობდა პალაკაციოში, ჩილდირის ტბის ნაპირზე (ეს იგივე თეთრი ციხეა). სხვა აღჯაყალა ქვემო ქართლის ისტორიულ პროვინცია გაჩიანში (იგივე სომხითში) იყო, მდ. დებედას ნაპირზე (მას გაგის ციხე ერქვა). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სწორედ გაგის ციხეზეა საუბარი.
216. ყარა ყოინლუ, ანუ შავბატკნიანები, მომთაბარე თურქული ტომები.
217. მესამე ტექსტში მოთხრობილია ჯალალედინის ისტორიის მსგავსი ამბავი.
218. შიიტური მეჩეთი ააგო.
219. შაჰი თამაზ I (1524-1576 წწ.).
220. ძვ. ტექსტშია: „კაცი ჭკუიანი და სავსე ხონჯითა“. „ხონჯა“ ძვ. ქართულის ლექსიკონებში (აბულაძე, სარჯველაძე) განმარტებული არ არის. როგორც ჩანს, „სავსე ხონჯითა“ აღნიშნავს შაჰ-ისმაილის სიმდიდრეს. „ხონჩა (სხვათა ენაა, ქართულად სიფლი და ტაბაკი ჰრქვიან“ (საბა).

221. ესე იგი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა შიიტური ისლამი. შიიზმი, სუნიტური ისლამისგან განსხვავებით, აღიარებს მხოლოდ ყურანს.
222. ძვ. ტექსტშია: „სახელი ალიასი“. ცოტა ქვემოთ წერია „ალი“.
223. იმამი – მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, ისლამური სახელმწიფოს მეთაური, რომლის ხელშიც მოქცეულია საერო და სასულიერო ხელისუფლება.
224. ზემო ციხე ნარიყალას ერქვა.
225. შაჰს ეახლა.
226. როგორც ჩანს სამხრეთისკენ წავიდა.
227. ძვ. ტექსტშია: „ჩფმე“ = 1545 წ. აქ აღწერილია სოხოისტას ბრძოლის ამბავი.
228. ურუმი ოსმალს ნიშნავს.
229. სულეიმან II (1520-1566 წწ.).
230. ბაგრატ III (1510-1565 წწ.).
231. ლევან I (1533-1572 წწ.).
232. ქაიხოსრო II (1545-1573 წწ.).
233. ძველ ტექსტში ასეა: „მიუვლინა კაცი გურიელმან დადიანს ლეონსა და როსტომს“. სინამდვილეში როსტომი თვითონ გურიელს ერქვა.
234. ძვ. ტექსტშია: „რიონის ლიმონში დაისადგურეს“. „ლიმენი“ = „ნავსადგური“ (სარჯველაძე).
235. ვახტანგის გარდა იმერთა მეფე ბაგრატ III-ს ჰყავდა სამი ძმა – დავითი, გიორგი და დიმიტრი.
236. როსტომ გურიელი (1534-1564 წწ.).
237. ბაგრატ III იმერთა მეფე (1510-1565 წწ.).
238. გიორგი II იმერთა მეფე (1565-1586 წწ.).
239. გიორგი II გურიელი (1564-1582 და 1587-1600 წწ.).
240. ძველ ქართულში ამ ადგილზე ტექსტი ნაკლულია.
241. როგორც ჩანს, აქ საუბარი უნდა იყოს სელიმ II-ზე (1566-1574 წწ.). თუმცა, ქვემოთ მოხსენიებულია სულეიმან II (1520-1566 წწ.).
242. სატყეპელას ასევე ერქვა სატრაპელა და სოტროპოლი, როგორც ამის შესახებ წერს პავლე ინგოროყვა. იგი მდებარეობდა გურიის სამთავროს სამხრეთ საზღვართან (პ. ინგოროყვა, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის გამო, თბ., 2003).
243. ფლური ოქროს ფულს ერქვა. ქართულ წყაროებში მოიხსენიება ვენეტიკური ფლური (ანუ ვენეციური დუკატი) და ოსმალური ფლური (ანუ ოსმალეთში მოჭრილი ოქროს მონეტა). როგორც დ. ჩუბინაშვილი განმარტავს, ფლური არის იგივე დრაჰკანი, ოქროს ფული.
244. საუბარია ლევან I დადიანზე (1533-1572 წწ.).
245. ეს არის გიორგი III დადიანი (1572-1582 წწ.).
246. მამია IV დადიანი (1582-1590 წწ.).
247. მესამე ტექსტშია „რევანოზისეული“.
248. სულეიმან II (1520-1566 წწ.).
249. ძვ. ტექსტშია: „ჩფმვ“ = 1546 წ.
250. ქაიხოსრო II (1545-1573 წწ.).

251. აქ ძვ. ტექსტში „იჯუ“ წერია, ქვემოთ კი „ივჯუზი“. მესამე ტექსტშიც მოიხსენიებიან შერმაზანი და ივჯუზი.
252. ვერის ციხე ატენის ხეობაშია.
253. ძვ. ტექსტშია: „ჩფნვ“ = 1556 წ. შეცდომაა. სინამდვილეში შაჰ-თამაზი 1554 წლის ზაფხულში შემოადგა ატენის ციხეს. ეს იყო მისი მეოთხე ლაშქრობა ქართლში.
254. აქედან იწყება თხრობა გარისის ბრძოლის შესახებ (1556 წ.).
255. ლუარსაბ მეფეს მეოთხე ვაჟიც ჰყავდა, ალექსანდრე.
256. ძვ. ქართულშია „სცა მახჯლი და სწელა სასიკუდინოდ“. ალბათ „სწყლა“ უნდა იყოს. „სწელა“ გამოწელვას, ნაწლავების გადმოყრევინებას ნიშნავს.
257. ძველ ტექსტში შეცდომითაა: „და მიართუეს ჰამბავი ბატონიშვილი.“
258. ძველი ქართული წყაროებიდან ჩვენთვის უცნობია ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის კანონიზაცია მოხდა თუ არა. აქ იგი წმიდა მოწამე მეფე ვახტანგ გორგასალს არის შედარებული. ეტყობა, იმის გამო, რომ ორივე ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა.
259. ძვ. ტექსტშია: „ჩფიზ” = 1517 წ. შეცდომაა, სინამდვილეში ლუარსაბ I გარდაიცვალა 1556 წელს.
260. სვიმონ I მეფობდა 1556-1600 წლებში.
261. შეცდომაა. 1556-ში, როცა სვიმონ I ავიდა ტახტზე, კათოლიკოსი იყო ზებედე I (1552-1556 წწ.), შემდეგ იყო დომენტი I (1556-1560 წწ.), შემდეგ ნიკოლოზ VII ბარათაშვილი (1561-1584 წწ.), ნიკოლოზ VIII ბაგრატიონი (1584-1589 წწ.), დოროთეოზ III (დაახლ. 1589-1595 წწ.) და დომენტი II (1596-1610 წწ.).
262. ეს მოხდა 1559 წელს. ლევან მეფის ასულს ნესტან-დარეჯანი ერქვა (ნარკვევები, 4, გვ. 116).
263. ძვ. ტექსტშია: „იყუნენ განსუენებით“. სიტყვასიტყვით: ხუთი წელი მოსვენებულები იყვნენ.
264. ძვ. ტექსტშია: „ჩფო“ = 1570 წ. შეცდომაა, სინამდვილეში ეს მოხდა 1561 წლის 6 აპრილს.
265. ძვ. ტექსტშია: „ჩფ҃ᲂ“ = 1568 წ. შეცდომაა, სინამდვილეში დიღომთან ბრძოლა გაიმართა 1567 წელს (ნარკვები, 4, გვ. 118).
266. ძვ. ტექსტშია: „სისხლი თქუენი ჩემსა ქედსა“. ეს სიტყვები ძალიან ჰგავს სახარების სიტყვებს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა“ (მათე 27,25). ეს მიანიშნებს, რომ სწავლულმა კაცებმა ყორღანაშვილი ქრისტეს ჯვარმცმელთა გვერდით დააყენეს, როგორც ქვეყნის გამცემი.
267. ჰოროლი = ლახვარი, შუბი (აბულაძე).
268. ეს მოხდა 1569 წელს.
269. ეს მოხდა 1569 წელს. ალამუთი („ალუჰ-ამუთ“) ნიშნავს არწივის ბუდეს. ალამუთი სპარსელების მთავარი ციხე იყო.
270. ძვ. ტექსტშია: „ჩფოვ“ = 1576 წ. შეცდომაა, სინამდვილეში ეს მოხდა 1574 წელს.
271. ალექსანდრე II კახეთში მეფობდა 1574-1605 წლებში.
272. ქართლის ცხოვრების გაგრძელებებში კახელები დახასიათებული არიან, როგორც შინააშლილობისა და ქიშპის მოყვარენი. აქაც სწორედ ამის შესახებ არის საუბარი.

273. თორღვას ბრძოლა გაიმართა 1578 წელს.
274. ალექსანდრე კახთა მეფეს მეორე ასულიც ჰყავდა, დედოფალი ანა. ქართლის მეფე ბაგრატ VII-ს (1616-1619 წწ.) მეუღლე.
275. მანუჩარ I (1590-1611 წწ.).
276. ძველ ტექსტშია „გაუარშივდა“. აბულაძესთან და სარჯველაძესთან განმარტებული არაა. „არშივი“ = „საჭმლის კერძი, კერძი“ (საბა); „წილი, კერძო“ (ჩუბინ.). როგორც ჩანს, გაარშივება ნიშნავს თანამზრახველად გახდომასა და საქმეში თანამონაწილეობას.
277. მოყივნება = დარღვევა (აბულაძე).
278. ამასიის 1555 წლის ზავის პირობები.
279. კახეთის ხანი კონსტანტინე I (1571-1605 წწ.).
280. ისმაილ II (1576-1578 წწ.).
281. შაჰი მუჰამედ ხუდაბანდა (1578-1588 წწ.).
282. ძვ. ტექსტშია: „ჩფოთ“ = 1579 წ.
283. საუბარია შაჰ მუჰამედ ხუდაბანდაზე.
284. ძვ. ტექსტშია: „ჩფოთ“ = 1579 წ. სინამდვილეში სვიმონი ქართლში დაბრუნდა 1578 წელს.
285. დაუდ-ხანს მეორე ვაჟიც ჰყავდა – როსტომი, იგივე ხოსრო-მირზა.
286. ძვ. ტექსტშია: „ხუბათა შინა“. ეს სიტყვა აბულაძესთან განმარტებული არ არის, არც სარჯველაძესთან, საბასთან და ჩუბინაშვილთან. „ჴუება“, ანუ „იწროება“/„შეჭირვება“ ხომ არ უნდა იყოს? დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით.
287. ძვ. ტექსტშია: „თჳთ მეფე სჳმონ თავკაცად ძლივ გარდაესწრა“. სიტყვასიტყვითი თარგმანი ცოტა უცნაური გამოდის: სვიმონ მეფემ პირველმა ძლივს გაასწრო.
288. ძვ. ტექსტშია: „საფარველი ცოლისა, რომელ არს სამოსელი წჳსისა“. „წჳსი“ სარჯველაძესთან განმარტებული არაა, არც აბულაძესთან, ჩუბინაშვილთან და საბასთან. როგორც ჩანს, შეცდომაა, „წჳვის საფარველი“ უნდა ეწეროს, ანუ საცვლები.
289. ძვ. ტექსტშია: „ჩფპბ“ = 1582 წ.
290. ჰადიმ მეჰმედ ფაშას მეთაურობით 20 000-იანი ოსმალური ლაშქარი 1582 წლის აგვისტოს ბოლოს შემოვიდა ქართლში (ნარკვევები, 4, გვ. 134).
291. ძვ. ტექსტშია: „ჩფპბ“ = 1582 წ.
292. ძვ. ტექსტშია: „ჩფპვ“ = 1586 წ. შეცდომაა, სინამდვილეში სვიმონმა 1585 წელს წაართვა ოსმალებს ლორე (ნარკვევები, 4, გვ. 138).
293. ჰადიმ ჰასან ფაშა იყო დიარბექირის ბეგლარბეგი (იქვე, 4, გვ. 134).
294. მთავარსარდალი ფერად (ფერჰარდ) ფაშა საქართველოს შემოესია 1548 და 1587 წლებში. ხატისოფლის ბრძოლა, რომელზეც ქვემოთ არის საუბარი, 1548 წელს მოხდა (იქვე, გვ. 137). როგორც ვხედავთ, თხრობისას ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცული არ არის.
295. ხატისოფელთან დაბანაკდა ფერად ფაშას მიერ 20 000-იანი ჯარით თბილისისკენ გამოგზავნილი რეზვან ფაშა (იქვე).

296. ვახუშტისთანაც ასეა, ელჩად გადაცმული სვიმონი მივიდა ფაშასთან.
297. ეს არის შაჰ-აბას I (1588-1629 წწ.).
298. იმერეთის მეფე გიორგი II-ს (1565-1585 წწ.) სამი ძე ჰყავდა – ალექსანდრე, ბაგრატი და ლევანი. ლევანი მეფობდა 1586-1590 წლებში.
299. მანუჩარ I (1590-1611 წწ.).
300. ძვ. ტექსტშია: „ჩფჟბ“ = 1592 წ. სინამდვილეში გოფანთოს ბრძოლა გაიმართა 1588 წელს (ნარკვევები, 4, გვ. 141).
301. ძვ. ტექსტშია: „ჩფჟბ“ = 1592 წ. შეცდომაა. ლევანი გარდაიცვალა შხეფის ციხეში 1590 წელს (იქვე).
302. ძვ. ტექსტშია: „ჩფჟგ“ = 1593 წ. შეცდომითაა დათარიღებული. სვიმონმა ქუთაისი აიღო 1590 წელს (იქვე, გვ. 141-142).
303. ბაგრატ თეიმურაზის ძემ გიორგი გურიელისა და ოსმალების მხარდაჭერით დაიკავა ქუთაისის ციხე.
304. კონსტანტინე ლევანის ბიძა იყო და არა ძმა. როსტომ კონსტანტინეს ძე მეფობდა 1590-1605 წლებში (ნარკვევები, 4, გვ. 140-141).
305. მანუჩარ I (1590-1611 წწ.).
306. მესამე ტექსტში წერია, რომ თურქისტანიშვილს სახელად საამი ერქვა.
307. მესამე ტექსტში კოლიბაური წერია.
308. ძვ. ტექსტშია: აფიონი = ამფიონი. აბულაძესთან განმარტებული არაა, არც სარჯველაძესთან, ჩუბინაშვილთან და საბასთან. „უსწორო კარაბადინში“ შხამიანი წამლების ჩამონათვალში ვხვდებით აფიონს: „შხამიანი წამლები დავსწერეთ, რომე რიდება უნდა და მიცემა არ უნდა... თუ ამ წამლებისაგან დაამატებ და ან მარტოსა მისცემდე, შხამათ შეერგების, თუ ღონე არ ჰქონდეს და მისცემდე, სიფრთხილით მიეც: მაზარიონი, სინა-მაქი, **აფიონი**, ფარფიონი,... ჯავზი, ხარბაყი, ქუნდუსა,... საყამუნია...“. ამფიონი = ოპიუმი.
309. გოჩა გარდაიცვალა 1590 წელს. იგი იყო დავით X-ის ძმის, გიორგი IX-ის ძე.
310. სვიმონ მეფემ გორის ციხე აიღო 1599 წელს, დიდმარხვის დღეებში (ნარკვევები, 4, გვ. 147-148).
311. ჯაფარ ფაშა იყო თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგი (იქვე, გვ. 148).
312. მეფეს ქართლის მხედრობის შეკრება დასრულებული არ ჰქონდა და იძულებული გახდა ნაჩქარევად ჩაბმულიყო ბრძოლაში, რომ მტერს თბილისი არ აეღო (იქვე).
313. ძვ. ტექსტშია: „მუნითგან უჭურეტდა და სჩხრეკდა ჯარსა ოსმალთასა, რომელსა იდგა ურუმნი“. როგორც ცნობილია, ურუმი და ოსმალო ერთმანეთის სინონიმებია. ეტყობა ურუმ-ოსმალების გარდა სხვა ეროვნების ხალხიც იყო მტრის ჯარში. სვიმონს ჩაფიქრებული ჰქონდა მოწინააღმდეგის ბანაკის იმ ნაწილზე მიეტანა იერიში, რომელიც ურუმ-ოსმალთაგან შესდგებოდა. ამით იგი აპირებდა მტრის ძირითადი ძალის განადგურებას, რადგან, როგორც ჩანს, ოსმალების ჯარში მყოფი სხვა ეროვნების მებრძოლებისგან იგი ნაკლებ წინააღმდეგობას მოელოდა.
314. ძველქართულშია „დახუდა ლია“. „ლია“ აბულაძესთან განმარტებული არაა. არც სარჯველაძესთან. საბასთან ლია = „საფლობი ტალახი“. ჩუბინაშვილთან ლია = ლამი.

315. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ერთმა გათათრებულმა ბარათაშვილმა იცნო სვიმონი და უთხრა ჯაფარ ფაშას, რომ ტალახში ჩაფლული მხედარი ქართლის მეფე იყო: „ლაშქარი აღარავინ შერჩომია და ისევე ამაყად ტალახში ჩაფლული ისარს ისვრისო“ (ნარკვევები, 4, გვ. 148).
316. ძვ. ტექსტშია: „ჩქ“ = 1600 წ. ამჯერად თარიღი სწორად არის დასმული. ჯაფარ ფაშამ 1600 წელს გაგზავნა სვიმონი სტამბოლში.
317. გიორგი X (1600-1606 წწ.).
318. ძვ. ტექსტშია: „ჩქიდ“ = 1614 წ. შეცდომაა, როსტომ იმერთა მეფე 1605 წელს აღესრულა.
319. როსტომი (1590-1605 წწ.).
320. გიორგი III (1605-1639 წწ.).
321. დედისიმედი, ქეთევან დედოფლის და, იყო ათაბაგ ქაიხოსრო II-ის ცოლი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შემონაზვნდა და ეწოდა დებორა.
322. ძველ ტექსტში წინადადება გაუმართავია.
323. ძვ. ტექსტშია: „ჩქიე“ = 1615 წ. შეცდომაა, ეს მოხდა 1605 წლის 12 მარტს.
324. თათბირში მონაწილენი იყვნენ რუსთველი ეპისკოპოსი, მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილი და სხვა ხუთი თავადი, რომლებმაც სცადეს ალექსანდრე მეფის დაცვა. ესენი ყველანი დახოცეს (ნარკვევები, 4, გვ. 250).
325. „ჩაფარი“ შიკრიკს ნიშნავს. აბულაძესთან განმარტებული არაა, არც სარჯველაძესთან, საბასთან და ჩუბინაშვილთან. როგორც ჩანს, „ჩაფარი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს იმას, რომ თეიმურაზი კახეთში უნდა ყოფილიყო, როგორც შაჰის წარმომადგენელი, მისი თვალი და ყური, მისი ნების აღმსრულებელი.
326. ლუარსაბ II (1606-1614 წწ.). სწავლული კაცები ლუარსაბ მეორის დედას მარიამის სახელით მოიხსენიებენ. ჩვენამდე მოღწეულია ლუარსაბ მეფის რამდენიმე სიგელი, საიდანაც ვგებულობთ, რომ სინამდვილეში მას თამარი ერქვა (კ. გრიგოლია, ნარკვევები, I, გვ. 278).
327. ძვ. ტექსტშია: „ქორწილი პატიოსანი“. პატიოსანი აქ რჯულიერს ვერ აღნიშნავს, რადგან ნათესავთა შორის სისხლის აღრევას ეკლესია არ აკურთხებს. ამიტომ „თვალი პატიოსანის“ ანალოგიურად „ქორწილი პატიოსანი“ ვთარგმნეთ, როგორც „ძვირფასი / დიდებული ქორწილი“.
328. იგულისხმება ოსმალეთის სულთანი ოსმან II (1618-1622 წწ.).
329. ეს ის დომენტი ეპისკოპოსია, მარტყოფის ბრძოლაში ხმლით რომ იბრძოდა.
330. აქ ძველ ტექსტში ბრჭყალები იხსნება. არ ვიცით შეცდომაა, თუ რომელიღაც წყაროდან მოხმობილი ციტატია. ბრჭყალები აღარ იხურება და ციტატის შემოსაზღვრა ჭირს.
331. სუფრაჯი იყო მოხელე, სამეფო სუფრის გამგე.
332. ფარეშთუხუცესი მოხელე იყო, შინამოსამსახურეების უფროსი.
333. ძვ. ტექსტშია: „ჩქკდ“ = 1624 წ. შეცდომაა, ეს 1614 წელს მოხდა (ნარკვევები, 4, 263-264).
334. გიორგი III (1605-1639 წწ.).

335. მალაქია II, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი (1619-1639 წწ.). იყო გიორგი II-გურიელის ძე. 1630-იანი წლებიდან იყო აგრეთვე გურიის სამთავროს გამგებელი. ააგო და შეამკო მრავალი ეკლესია-მონასტერი, მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებს. მისი ინიციატივით დაიწერა აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების დიდი დავთარი (იხ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 144-147).
336. ლევან II დიდი (1611-1657 წწ.).
337. მამია II გურიელი (1600-1625 წწ.).
338. ვახტანგ I გურიელი (1582-1587 წწ.).
339. წმიდა ლუარსაბ მეფე შაჰს ეახლა 1614 წლის ოქტომბერში.
340. ძვ. ტექსტშია: „ჯელგა“. აბულაძესთან განმარტებული არაა, არც სარჯველაძ-ესთან, საბასთან და ჩუბინაშვილთან. „ჯელგა“ მოიხსენიება „შაჰნამეში“: „ვითა **ჯელგა** შემოსდივა“. ვახტანგ VI („სალბუნად გულისა“): „დილას **ჯელგა** შემოხვიონ”... „შემოარტყან მინდორს **ჯელგა**”. თეიმურაზ II „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“: „მოვიდნენ მინდორს, სადაცა ბევრი ჯერანი დგებისა, გაგზავნონ **ჯელგა** ღამითვე, სულ გარე შემოერტყმისა“. როგორც ჩანს, ჯელგა გამოიყენებოდა ნადირობის დროს გარეული ცხოველების ჯოგის მოსამწყვდევად, ან განსაზღვრული მიმართულებით გამოსარეკად.
341. მესამე ტექსტში წერია დავითი და ვახტანგ მეფე.
342. ძვ. ტექსტშია: „დაჴსნად ნასხამთა ამათ და ანაქუსთა ჩემთა“. „ნასხამი“ = „ასო ასოთა მობმული“, „ნასხამად ითქმის საკუხი და ტყავ-კაბა მარებული“ (საბა); „ნასხამი“ = „ნაწევარი, სახსარი ასოთა“ (ჩუბინ.). სიტყვა „ანაქუსი“ რამდენჯერმე გვხვდება იოანე პეტრიწთან (იხ. მისი თარგმნილი „განმარტება პროკლესათჳს დიადოხოსისა...“). „ანაქუსი“ არის იგივე „აღნაქვსი“/„ანაქსჳ“ = „(მოქ)სოვილი“, „აქსოვილი“, „ტან-აყრილი“ (ჩვ. საუნჯე, ტ. 2, ლექსიკონი). ამგვარად, წმ. ლუარსაბ მეფის სიტყვები შეგვიძლია უფრო ხატოვნადაც ვთარგმნოთ: „მეგულება დარღვევა ჩემი ტყავის სამოსლის (ანუ ხორციელი სხეულის)“.
343. ძვ. ტექსტში ამ ადგილზე წინადადება გაუმართავია.
344. ძვ. ტექსტშია: „ბატონობდენ ურთიერთარს იგინი“. სიტყვასიტყვით: „ბატონობდნენ ერთმანეთზე“, ანუ ზოგი უფროსი იყო, ზოგი უფრო მდაბალი. ამიტომ ვწერ, რომ უფროს-უმცროსობა ჰქონდათ.
345. ბაგრატ VII, იგივე ბაგრატ-ხანი (1616-1619 წწ.).
346. ძვ. ტექსტშია: „ჩქით” = 1619 წ. შეცდომაა, სინამდვილეში ბაგრატ-ხანი 1616 წელს დასვეს ტახტზე.
347. ესენი მომთაბარე თურქმანები იყვნენ.
348. ქეთევანი აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს.
349. ორგვარად შეიძლება გავიგოთ: 1) ისე ეჯავრებოდათ, ნაცვალსახელით, ან რაღაც ეპითეტებით მოიხსენიებდნენ და მის სახელს არ წარმოთქვამდნენ. 2) საეკლესიო მსახურებისას არ მოიხსენიებდნენ მის სახელს. როგორც ჩანს, ერთიც იყო და მეორეც.
350. მამია II (1600-1625 წწ.).

351. მანუჩარ III (1607-1628 წწ.). მამამისი იყო მანუჩარ II ათაბაგი (1581-1607 წწ). აქ შეცდომით წერია, თითქოს მანუჩარ III იყო სვიმონ I-ის დისშვილი. სინამდვილეში იგი სვიმონ I-ის ასულის, ელენეს შვილი იყო.
352. იბრაჰიმ I ოსმალეთის სულთანი იყო 1640-1648 წლებში.
353. ზევით საბარათიანოს ბატონის სახელით მოხსენიებულია ბაგრატ VII, იგივე ბაგრატ-ხანი. იგი გარდაიცვალა 1619 წელს.
354. სვიმონ II, იგივე სვიმონ ხანი (1619-1625 წწ.).
355. პაატა ხერხეულიძეს მოიხსენიებს ასევე არჩილი იხ. „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, მე-600-ე სტროფი.
356. ქალაქი ბარდა მდებარეობს ყარაბაღის ვაკეზე.
357. მანუჩარ III (1607-1628 წწ.).
358. ძველ ტექსტში აზრი ბუნდოვნადაა გადმოცემული.
359. ძველ ტექსტში გაურკვევლადაა.
360. საუბარია როსტომ-ხანზე. სანამ ტახტზე ავიდოდა, მას ხოსრო-მირზა ერქვა. ზემოთ ვკითხულობთ: „იმხანად ისპაჰანში იმყოფებოდა ერთი ვიღაც, ხოსრო-მირზა ერქვა. ხოსრო-მირზა იყო დიდი სვიმონ მეფის ძმის დავით მეფის ხარჭის ნაშობი“
361. იანიჩარი თურქული სიტყვაა. რჩეული ქვეითი ჯარის მებრძოლს აღნიშნავს.
362. ქაიხოსრო მუხრანის ბატონი იყო 1625-1629 წლებში.
363. ყულარაღასი ნიშნავს შაჰის გვარდიის მეთაურს.
364. შაჰ-სეფი I ირანის ტახტზე იყო 1629-1642 წლებში.
365. ბაზალეთის ბრძოლა გაიმართა 1626 წელს.
366. თეიმურაზ I მუხრანბატონი (1605-1625 წწ.).
367. უფადარი იყო ძველი ქიზიყის, იგივე სიღნაღის, სამხრეთით (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, 4, თბ., 1973 წ., გვ. 1075).
368. წახეთი, იგივე წახური, წუქეთი, უწინ კახეთის მეფეს ემორჩილებოდა.
369. ალონი არის იგივე ალვანი. ალვანის ველი ახმეტის რაიონშია.
370. აქაც და ქვემოთაც წერია „მონები“.
371. როსტომ ხანი (1633-1658 წწ.). სვიმონ ხანის შემდეგ, ვიდრე როსტომს დანიშნავდნენ სპარსელები, 1625-1633 წლებში ქართლ-კახეთში მეფობდა თეიმურაზ I. აქ მისი მეფობა ცალკე გამოყოფილი არ არის.
372. ტარუღა სპარსული სამოხელეო სახელია. ქართულში შეესაბამება მოურავი.
373. ეს ცნობა არ არის სწორი. ყველა არ დაუბრუნებია.
374. ანუ ქართული სამოხელეო თანამდებობებიც არ მოშალა.
375. მიმბაში სპარსული სიტყვაა. ათასისთავს ნიშნავს (ჩვენი საუნჯე, ტ. 5, ლექსიკონი). XVI ს-ში ქართლში გვხვდება მინბაშის თანამდებობა. მინბაში თბილისის ციხისთავს ერქვა.
376. ძვ. ტექსტშია: „სიშიტურტუქს ქუემორე“. იჩიტუნტრუხის (იგივე „სიშიტურტუქის“) კლდე არის მამადავითის ეკლესიასთან. ესე იგი ბაღი გაუშენებია მთაწმინდის ფერდობზე, როგორც ჩანს, იმ ადგილზე, სადაც ახლა დაღვლარჭნილი გზა მიიკლაკნება პანთეონისკენ. ერთი მეჩეთი იქაც ჩაუდგამს.

377. სვიმონ I გურიელი (1625-1626 წწ.).
378. მამია II გურიელი (1600-1625 წწ.).
379. ქაიხოსრო I გურიელი (1641-1658 წწ.). აქ აღრევა ჩანს. სვიმონ I-ის შემდეგ გურიის მთავრის ტახტზე იყვნენ მალაქია I (1626-1639 წწ.) და ვახტანგ II (1639-1641 წწ.). შემდეგ იყო ქაიხოსრო I.
380. ძვ. ტექსტშია: „ჩქლბ" = 1632 წ. არასწორია, სინამდვილეში იმერეთის მეფე გიორგი III ტახტზე იყო 1639 წლამდე.
381. ალექსანდრე III (1639-1660 წწ.).
382. საფარ ფაშა (იგივე ბექა III) ტახტზე იყო 1628-1635 წლებში. იუსუფ I კი 1635-1647 წლებში.
383. კახელების ლაშქარი დაშლილი იყო.
384. ე. ი. ააგო მცხეთის წმიდა საკათედრო ტაძრის, სვეტიცხოვლის გუმბათი.
385. ევდემოზ I დიასამიძე (1632-1642 წწ.).
386. ქრისტეფორე II ურდუბეგისძე-ამილახვარი (1642-1660 წწ.).
387. ძვ. ტექსტშია: „წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა" იგულისხმება სვეტიცხოვლის (მცხეთის) საკათოლიკოსო, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია.
388. ეს მოხდა 1648 წელს.
389. ალექსანდრე III (1639-1660 წწ.).
390. იუსუფ I სამცხის ფაშა იყო 1635-1647 წლებში.
391. როსტომი ფაშა იყო 1647-1659 წლებში.
392. მამუკა გარდაიცვალა ტყვეობაში 1633 წელს.
393. გიორგი იყო თეიმურაზის უფროსი შვილიშვილი. იგი დავითსა და ელენე დიასამიძეს შეეძინათ 1636 წელს. გიორგი 1645 წელს გარდაიცვალა.
394. ეს მოხდა 1653 წელს.
395. თეიმურაზი მოსკოვში ჩავიდა 1658 წელს.
396. ამ დროს რუსეთის მეფე იყო ალექსანდრე მიხეილის ძე რომანოვი (1645-1676 წწ.).
397. ლუარსაბიც დავითისა და ელენეს ვაჟი იყო. იგი 1658 წელს გარდაიცვალა.
398. ვამიყ III (1658-1661 წწ.).
399. როსტომ ფაშა (1647-1659 წწ.).
400. ქაიხოსრო I (1641-1658 წწ.).
401. ჯანიშინი სპარსული სიტყვაა. აღნიშნავს მოადგილეს, ნაცვალს. სეფიანი შაჰები ჯანიშინობას აძლევდნენ ქართლის მეფის ნაცვლებს. ჯანიშინები ქვეყნის სრულუფლებიანი გამგებელები იყვნენ. ისტორიულ წყაროებში ჯანიშინები ასევე მოიხსენიებიან, როგორც ნაიბები, გამგეები.
402. დავით X (1482-1526 წწ.).
403. გიორგი IX (1486-1534 წწ.).
404. შეცდომაა, ალექსანდრე ისე გარდაიცვალა 1556 წელს, რომ ტახტზე არ ასულა.
405. ეს არის პირველი მუხრანბატონი.
406. მელქისედეკ II აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი იყო დაახლ. 1528-1529, 1540-1545 და 1548-1552 წლებში. კონსტანტინე II-ს სხვა შვილებიც ჰყავდა: დემეტრე, ვახტანგი და თარგამოსი.

407. ვახტანგი მუხრანბატონი იყო 1539-1580 წლებში.
408. აშოთანი 1561 წელს გარდაიცვალა.
409. არჩილი გარდაიცვალა 1581 წელს.
410. ერეკლე 1556 წელს გარდაიცვალა. ბაგრატ მუხრანბატონს სხვა შვილებიც ჰყავდა: ალექსანდრე, დედისიმედი, იონათანი, გულდაფარი, იოთამი და თეოდორა.
411. თეიმურაზი 1625 წელს გარდაიცვალა
412. ქაიხოსრო 1629 წელს აღესრულა. მესამე ვაჟიც ჰყავდა ვახტანგ მუხრანბატონს, ბაგრატი ერქვა.
413. ვახტანგ V შაჰნავაზი 1675 წელს გარდაიცვალა.
414. კონსტანტინე მუხრანბატონი იყო 1658-1667 წლებში. თეიმურაზ მუხრანბატონს სხვა შვილებიც ჰყავდა: ლუარსაბი, არჩილი, დავითი, ერეკლე, დარეჯანი და ელენე.
415. შაჰი სეფი I (1629-1642 წწ.).
416. შაჰი აბას II (1642-1666 წწ.).
417. აქ ტექსტი ნაკლულია. ეს მოხდა 1658 წელს, როცა მოკვდა როსტომ ხანი.
418. ელი – მეჯოგე, მომთაბარე ტომი.
419. ე.ი. ზაალ ერისთავმა ყაენს სთხოვა გაეთავისუფლებინა იგი ქართლის ბატონის (ვახტანგ მუხრანბატონის) მორჩილებისგან.
420. რაყამი არის უფლებრივად უფრო მაღლა მდგომი პირის მიერ მის მიმართ დაქვემდებარებული პირისთვის მიცემული წერილი, ბრძანება.
421. შაჰნავაზი, იგივე ვახტანგ V, მეფობდა ქართლში 1658-1675 წლებში.
422. როდამი იყო ბარათაშვილი.
423. არჩილი სხვადასხვა დროს იყო კახეთისა და იმერეთის მეფე.
424. გიორგი XI ქართლის მეფე გახდა.
425. ალექსანდრე 1711 წელს გარდაიცვალა.
426. ლევანი ქართლის ჯანიშინი იყო. გარდაიცვალა 1709 წელს.
427. ლუარსაბი გარდაიცვალა 1697 წელს.
428. ანუკა იყო შაჰ სულეიმანის ცოლი.
429. თამარი 1694 წელს გარდაიცვალა.
430. ალექსანდრე III (1595-1660 წწ.).
431. ბაგრატ IV (1660-1661, 1663-1665, 1667-1681 წწ.).
432. აქ ტექსტი ნაკლულია. წინადადებას დასაწყისი აკლია. როგორც ჩანს, საუბარია ალექსანდრე იმერთა მეფის მეორე მეუღლეზე.
433. ქაიხოსრო I (1641-1658 წწ.).
434. დემეტრე (1658-1665 წწ.).
435. ვახტანგ ჭუჭუნაშვილი იმერეთის ტახტზე პირველად იყო 1661 წელს, შემდეგ 1665-1666 წლებში. ჭუჭუნაშვილის ამბავი ვახუშტისთანაც და ფარსადან გორგიჯანიძესთანაც ზუსტად ასეა მოთხრობილი.
436. ბახტრიონის აჯანყება მოხდა 1660 წელს.
437. ბიძინა, შალვა და ელიზბარი აწამეს 1662 წელს.
438. ვამიყ III (1658-1661 წწ.).
439. დომენტი III (1660-1676 წწ.).

440. გიორგი XI (1675-1688, 1703-1709 წწ.). აქ ტექსტი ნაკლულია. დასაწყისი აკლია იმ თავსა თუ პარაგრაფს, საიდანაც იწყება მეფე გიორგი XI-ის ამბის აღწერა. მოცემულ თხზულებაში ისტორიის თხრობა ხდება ქართლის მეფეების ზეობის წლების მიხედვით. შესაბამისადაა დასათაურებული თხზულების ცალკეული მონაკვეთები. აქ კი, ნაკლული ადგილის შემდეგ, ისე გრძელდება თხრობა, რომ არსად არ ვხვდებით ახალ დასათაურებას. არადა, როგორც ცნობილია, პირველი ტექსტი მთავრდება მეფე გიორგი XI-ის სპარსეთში გამგზავრების აღწერით (1696 წ.). სწორედ ამის მიხედვით აღვადგინეთ კვადრატულ ფრჩხილებში თხზულების ამ მონაკვეთის სათაური.
441. პაპუა მუხრანბატონი (1692-1696 წწ.).
442. ამ ადგილზე ძველ ტექსტში აზრი გაუმართავია.
443. ისტორიის თხრობა წყდება გიორგი XI-ის სპარსეთში გამგზავრების აღწერით (1696 წ.). უეჭველია, თხზულებას ბოლო უნდა აკლდეს. იგი ვახტანგ VI-მდე იქნებოდა მოყვანილი, როგორც ეს არის აღნიშნული ამ გაგრძელების შესავალში (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 8, გვ. 316).
444. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელებას. იგი ეკუთვნის უცნობ ავტორს (ს. ყაუხჩიშვილი). ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელება ორ ნაწილად იყოფა. პირველი გაგრძელება, რომელსაც მეორე ტექსტი ეწოდება, იწყება გიორგი ბრწყინვალის წინარე ხანიდან და მოდის 1453 წლამდე. მეორე ნაწილის სათაური ასეთია: „სახელითა ღმრთისათა აქ ვიწყთ ცხოვრება ბაგრატოვანთა მეფობისა“. ამის გამო ეს ორი ნაწილი ცალ-ცალკე თხზულებებად მიიჩნიეს და ასევე გამოსცეს ჯერ ჩუბინაშვლმა, შემდეგ თაყაიშვილმა და ყაუხჩიშვილმა (შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII ს-ში, მთავარი წარმომადგენლები, თბ., 1985 წ., გვ. 34). ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ ორივე ნაწილი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის, რომ იგი ერთი თხზულებაა და მისი ავტორი მოღვაწეობდა XVIII ს-ის II ნახევარში (იქვე, გვ. 35). მეორე ტექსტში ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებულია „ძეგლი ერისთავთა“ (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 037-038).
445. ადარნასე აშკარად შეცდომით წერია. თ. ჟორდანიას აზრით, იგი შესაძლოა იყოს ვახტანგ III-ის (1302-1308 წწ.) მეტსახელი; მ. ბროსეს მიაჩნდა, რომ ეს ადარნასე სინამდვილეში არის დიმიტრი II (1271-1289 წწ.) (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 631).
446. ცხავატი – ტერიტორია სოფ. ქვეშეთის სამხრეთით, მთიულკარამდე (ახლანდელი სოფ. ხამუშა), თავდაპირველად ცხავატი, ხოლო შემდეგ ხადა-ცხავატი შეადგენდა მთიულეთს.
447. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დთვალეთის ხეობებია: კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროშო, ზახა, თრუსო.
448. აქ წყაროდ გამოყენებულია „ძეგლი ერისთავთა“. „ბოვდაელები“, მის რუსულ თარგმანში, ს. კაკაბაძის მიერ განმარტებული, როგორც „Шав двалеби“ ანუ „შავი დვალები“
449. ძვ. ტექსტშია: „ჩსპდ“ = 1284 წ. ქორონიკონი არ ემთხვევა: იზ(17) + 1312(XIII) მოქცევის დასასრული = 1329 წ.

450. ეს ადგილი გადმოღებულია „ძეგლი ერისთავთადან“ (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 038).
451. ანუ მცხეთის კათოლიკოსი იყო.
452. საინტერესოა, უბრალო შეცდომაა, თუ იყო დრო, როდესაც საქართველოს პატრიარქს ასეთი ტიტული ჰქონდა.
453. ძველ ტექსტშია „მიდგომილება ანტესებრივი“. რა იგულისხმება ამ გამონათქვამში? როგორც ეკლესიის მამები გვასწავლიან, ანტიქრისტე იშვება „შებილწული ქალწულისგან“ (ეფრემ ასური, უფლის მეორედ მოსვლის, ქვეყნიერების აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩენის შესახებ); იგი „სიძვისაგან იშვება“ (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა, 99-ე თავი); ხორციელის კვირის სვინაქსარში წერია, რომ წმიდა იპოლიტე რომაელის სიტყვით, იგი იშვება „ბილწი დედაკაცისგან“, „ცრუ-ქალწულისგან“. მსგავს გამონათქვამებს ეკლესიის სხვა მამებთანაც ვხვდებით.
454. ძვ. ტექსტშია: „ჩტჟგ” = 1393 წ. არ ემთხვევა ქორონიკონი კ. 1312+20=1332 წ.
455. ძვ. ტექსტშია: „ორგზის ჟამიც აღარ მოექცევისო“. როგორც ჩანს ასეთი გამოთქმა არსებობდა: ეპიდემია (ჟამიანობა) თუ ჩაივლიდა, მეორედ აღარ დაბრუნდებოდა.
456. საუბარია ასურეთის მეფე სენექერიმზე. მის შესახებ მოთხრობილია მეფეთა მეოთხე წიგნის XVIII თავში.
457. ძვ. ტექსტშია: „შექცევა ჯარაიასა შინა“. „ჯარაია“ აბულაძესთან განმარტებული არაა, არც სარჯველაძესთან, ჩუბინაშვილთან და საბასთან. როგორც ჩანს, „ჯარაია“ აღნიშნავს ჯარის საწვრთნელ, გასართობად გამართულ ასპარეზობას, „ომობანას“ (თუ შეიძლება ასე ვთქვათ). „ჯარაია“ ნამდვილი საბრძოლო შერკინებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ იგი მონაწილეებისათვის იყო უსაფრთხო. ამ სიტყვით მემატიანეს უნდა გახაზოს ქართული მხედრობის გულოვნება, რომელიც, როგორც გასართობ ასპარეზობაზე, ისე გავიდა საომრად მეტად მრავალრიცხოვან მტერთან.
458. ძვ. ტექსტშია: „ახალმოსაკეთა მათ მოყმეთა ქართველთა ჭაბუკთა“. „მოყმე“ აბულაძესთან განმარტებული არაა, არც ჩუბინაშვილთან; საბასთან და სარჯველაძესთან. „მოყმე“=„ჭაბუკი“ (ჩვენ დავწერეთ „ყმაწვილი“). „ვეფხისტყაოსნის” განმარტებისას („ნახეს უცხო მოყმე ვინმე“) ნ. ნათაძე წერს, რომ „მოყმე“=„მეომარი, რაინდი“.
459. ვახუშტის აზრით ბაგრატ მეფე გარდაიცვალა 1395 წელს, გიორგი VII-ის გამეფების თარიღი ჯერ კიდევ დაუდგენელია, აღნიშნავს ს. ყაუხჩიშვილი (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 459).
460. ანუ სარწმუნოებით არაბი, არაბების რჯულის მიმდევარი.
461. ეს ამბავი მოთხრობილია მეფეთა პირველი წიგნის XVII თავში.
462. ეს არის უფლისწული თაჰერი. აჰმედ ჯალაირინის ვაჟი. პირველ ტექსტში იგი მოიხსენიება, როგორც „სულთანი თ[ა]ირი“.
463. შეიძლება ასეც ვთარგმნოთ: „რადგან გადაწყვიტე, რომ დაგვემორჩილო“.
464. ე. ი. ქართლის სამხრეთ ნაწილში.
465. შეცდომაა, სინამდვილეში კონსტანტინე იყო მეფე გიორგი VII-ის ძმა.

466. ძვ. ტექსტშია: „ჟ“ ქორონიკონი = 1402 წ. (1312+90). შეცდომაა, სინამდვილეში თემურ-ლენგი 1403 წელს შემოესია საქართველოს უკანასკნელად.
467. სინამდვილეში რვაჯერ შემოესია საქართველოს. ძველი მეცნიერები თემურ-ლენგის შემოსევების სხვადასხვა რიცხვს ასახელებდნენ.
468. შეცდომაა, გიორგი წერია და საუბარია კონსტანტინე I-ზე.
469. ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.).
470. შეცდომაა, სინამდვილეში ალექსანდრე იყო კონსტანტინე I-სა და ნათია ამირეჯიბის ძე.
471. შეცდომაა, სინამდვილეში ელიოზი იყო უწმიდესი გიორგი V-ის შემდეგ.
472. შეცდომაა, სინამდვილეში ელიოზის შემდეგ იყო უწმიდესი მიქელ VI. თეოდორე III იყო უწმიდესი დავით II-ის შემდეგ.
473. აქაც შეცდომაა, სინამდვილეში თეოდორე III-ის შემდეგ იყო უწმიდესი დავით III, ხოლო შიო II იყო მის შემდეგ.
474. ანუ სვეტიცხოველი.
475. „რბ“ ქორონიკონი = 1414 წ. (1312+102). სინამდვილეში კოხტასთავის ბრძოლა 1415 წელს მოხდა.
476. უწმიდესი მიქელ VI (1419-1426 წწ.).
477. ეკვდერი = „სამწირველო მიშენებული ეკლესიასა თანა“ (ჩუბინ.).
478. ე. ი. მალი მოქმედებდა 1440 წლამდე.
479. ვახტანგ IV (1442-1446 წწ.).
480. გიორგი VIII (1446-1466 წწ.).
481. ძვ. ტექსტშია: ქორონიკონი და ჩუმე (1445) წ. არ ემთხვევა ერთმანეთს (1312+132=1444). საერთოდ შეცდომითაა დათარიღებული. სინამდვილეში კონსტანტინოპოლი დაეცა 1453 წელს.
482. იგულისხმება რლბ (132-ე) ქორონიკონი, ანუ 1444 წელი.
483. ჯანშა ყაენის (იგივე ჯეჰან-შაჰის) შემოსევის შესახებ უფრო ვრცელ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი.
484. პირველ ტექსტში წერია, რომ კახეთის მეფეების წარმომავლობა ვერ გავარკვიეთო.
485. ყვარყვარე II ჯაყელი (1451-1498 წწ.).
486. აღბუღა II ჯაყელი (1444-1451 წწ.).
487. ეს არის უწმიდესი დავით IV (ჭავჭავაძე). იგი საპატრიარქო ტახტზე იყო 1443/7-1459 წლებში. აქ იგი შეცდომით მოიხსენიება მეფე ალექსანდრეს ძედ. სინამდვილეში ალ. მეფის ძე იყო კათოლიკოსი დავით II (საქ. კათ. პატრიარქები, გვ. 74).
488. ს. ყაუხჩიშვილი ძეგლს უწოდებს ქართლის ცხოვრების მესამე გადამუშავებულ გაგრძელებას (ქართლის ცხოვრება, 2, თბ. 1959 წ., გვ. 07). ივ. ჯავახიშვილი ძეგლის ამ ნაწილს ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებად მიიჩნევს. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს 1452-1605 წლების ისტორიას (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 8, გვ. 316). როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, მეორე და მესამე ტექსტი ორი სხვადასხვა თხზულება კი არ არის, არამედ

ერთი თხზულების ორ ნაწილს წარმოადგენს. მესამე ტექსტში წყაროდ გამოყენებულია „მესხური დავითნის ქრონიკა“ (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 037).

489. ძვ. ტექსტშია: „მონებდეს ლორის პიტიახშნი, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა“. ლორეს, ცხადია, ერთი „პიტიახში“ ეყოლებოდა, მაგრამ მრ. რიცხვში პიტიახშების მოხსენიება ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, აღნიშნავს იმას, რომ ლორეს მხოლოდ ერთი რომელიმე პიტიახში კი არ ემორჩილებოდა ერთიანი საქართველოს მეფეს, არამედ მემკვიდრეობით, ვინც კი ავიდოდა ლორეს პიტიახშის ტახტზე, ყველა ემორჩილებოდა ქართველ გვირგვინოსანს. საინტერესო ჩანს აქ თვითონ ტერმინი „პიტიახში“. აშკარად მოძველებულად გამოიყურება მოცემული დროის საქართველოსთვის. როგორც ჩანს, უფრო სომხური ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი ერთეულის მბრძანებლის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამიტომ არ განვავრცობთ ამ ტერმინს კახეთის, შირვანისა და სამცხის მმართველებზე. ძველ ქართულში კი ისეა, თითქოს ამათაც პიტიახშები განაგებდნენ.

490. ძვ. ტექსტშია: „რნ” ქორონიკონი = 1462 წ. (1312+150). შეცდომაა, სინამდვილეში ჩიხორის ბრძოლა 1463 წელს გაიმართა.

491. ძვ. ტექსტშია: „რნგ” ქორონიკონი = 1465 წ. (1312+153).

492. ძვ. ტექსტშია: „რგ“. ცხადია, „რნგ“ უნდა ეწეროს, ანუ 1465 წელი.

493. ბაადურ ჯაყელი იყო ათაბაგ ყვარყვარე II-ის ვაჟი. მას ათაბაგად ვახუშტიც მოიხსენიებს, რაც არ დასტურდება.

494. შეცდომაა, სინამდვილეში ვახტანგი არ გამეფებულა, ტახტზე ავიდა მისი უფროსი ძმა ალექსანდრე.

495. ძველ ტექსტში შეცდომითაა: „და წარყვა **მზეჭაბუკსა“.** უნდა იყოს „**მზეჭაბუკცა**“.

496. შეცდომაა, სინამდვილეში ათაბაგ ყვარყვარე II-ის პირველი ვაჟი იყო ქაიხოსრო. მზეჭაბუკი მეორე შვილი იყო.

497. ძვ. ტექსტშია: „**იპრიანა ღმერთმან**“. ვთარგმნეთ, როგორც „**დაუშვა ღმერთმა**“ (და არა, როგორც „**ინება ღმერთმა**“), რადგან იგი შეეხება ყაენის სასიკვდილე სენით დაავადებას. ღმერთს კი ბოროტი არავისთვის არ ნებავს.

498. წყრთა = „ზომა იდაყვით თითის წვერადმდე“ (ჩუბინ.).

499. კონსტანტინე II ქართლ-იმერეთის მეფე (1478-1484 წწ.), ქართლის მეფე (1484-1505 წწ.).

500. საუბარია ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელზე (1451-1498 წწ.).

501. ათაბაგი მზეჭაბუკი (1500-1515 წწ.).

502. ბაადური, იგივე ათაბაგი ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.).

503. სამცხის დედაქალაქი იყო ახალციხე, ე.ი. ახალციხის ეპისკოპოსს დაავალეს.

504. მ. ჯანაშვილის დაკვირვებით, „ვახუშტის ეს ამბავი შეუმოკლებია“ (იხ. მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, I, ტფ. 1907 წ., გვ. 40).

505. შეცდომაა, ვახტანგი მეფე არ ყოფილა. კახეთის მეფე იყო ალექსანდრე I (1476-1511 წწ.).

506. როგორც ჩანს, შეცდომაა. სინამდვილეში ყვარყვარე II ჯაყელი გარდაიცვალა 1498 წელს.

507. შეცდომაა, სინამდვილეში ქაიხოსრო I ჯაყელი გარდაიცვალა 1500 წელს.
508. შეცდომაა, სინამდვილეში კონსტანტინე II გარდაიცვალა 1505 წელს.
509. ქართლის მეფე დავით X (1505-1525 წწ.).
510. იგულისხმება, როგორც ჩანს, ბაგრატის ტაძარი.
511. ალექსანდრე II იმერეთის მეფე (1484-1510 წწ.).
512. ბაგრატ III (1510-1565 წწ.).
513. ისევ მეორდება შეცდომა. ვახტანგი კახეთის მეფე არ ყოფილა. იგი ალექსანდრე I-ის ძმა იყო და 1484 წელს გარდაიცვალა.
514. მზეჭაბუკ ჯაყელი (1500-1515 წწ.).
515. ძვ. ტექსტშია: „სამჴრენი“. აშკარად არქიტექტურული ტერმინია. „**სამხარი** და სამხვეწლო“ = „**კარის ზევითი ქუდი კედელში მიკრული**“ (ჩუბინ.). „სამხარი”, როგორც ჩანს, იმიტომ ერქვა, რომ სიმძიმის გამო, მხრით საზიდი იყო. შესაძლოა, გვარი სამხარაძე სწორედ ამ ტერმინს უკავშირდებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ სამხარაძეთა წინაპარი ტაძართა მაშენებელი ყოფილა.
516. ძველ ტექსტში ასეა, მრ. რიცხვში. სინამდვილეში ალავერდს ერთი გუმბათი აქვს, ეტყობა, სამრეკლოს გუმბათიც იგულისხმება.
517. სხვადასხვა დროს კახეთში არსებობდა ცხრა ეპარქია: ნინოწმიდის, კაწარის, ერწოს (ანუ ჩელეთის), ხარჭაშნის, გიშის, ბოდბის, ჭერემის, ნეკრესისა და ალავერდის (ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918 წ., გვ. 37). იყო სხვა საეპისკოპოსოებიც. სწორედ ეს საკათედრო ტაძრები შეამკო ალექსანდრე კახთა მეფემ.
518. უწმიდესი დოროთეოზ II (1503-1505 და 1511-1516 წწ.).
519. ამ ადგილზე ძველი ტექსტი გაუმართავია.
520. იგულისხმება ბიბლიური დავით მეფე და მეფსალმუნე.
521. ძვ. ტექსტშია: „სა“ ქორონიკონი. ცოტა აცდენილია ჩფიდ (1514) წელს (1312+201=1513). სინამდვილეში ავ-გიორგი 1513 წელს შეიპყრეს.
522. იგულისხმება მამია I გურიელი.
523. ლევან მეფეს თინათინ გურიელისგან ასევე შეეძინა: გიორგი, იესე, ნიკოლოზი, ერეკლე, ქეთევანი და ელენე. ვახტანგი მეორე ცოლისგან შეეძინა.
524. გიორგი პირველი ცოლისგან ჰყავდა. მეორე ცოლისგან ასევე შეეძინა: დავითი, თეიმურაზი, ბაგრატი, ნესტან-დარეჯანი, კონსტანტინე, თეკლა და ვახტანგი.
525. ასევე ჰყავდა: ადარნასე და ორი ასული.
526. როგორც ჩანს, აქ წყაროდ გამოყენებულია გელათის დავითნი.
527. უწმიდესი მელქისედეკ II ბაგრატიონი (დაახლ. 1528-1519, 1540-1545, 1548-1552 წწ.).
528. ბაგრატ III (1510-1565 წწ.).
529. როგორც ჩანს, საუბარია კათოლიკოს მალაქია I აბაშიძეზე.
530. სხვა შვილებიც ჰყავდა.
531. შეცდომაა. უწმიდესი გერმანე სიზ ქორონიკონში 1529 წელს არ ყოფილა. იგი 1535-1546 წლებში მწყემსმთავრობდა.

532. ეს ამბავი ძალიან ჰგავს ჯალალ-ედ-დინის ისტორიას.
533. როგორც ჩანს, ორმოცი სებასტიელი წმიდა მოწამე იგულისხმება, რომელთა სახელობის ტაძარიც იდგა თბილისში მეტეხის ხიდთან. იოანე საბანისძე გვაუწყებს, რომ აბო თბილელს თავი მოჰკვეთეს „კართა ზედა წმიდათა ორმოცთა მარტჷლთა ეკლესიისათა“.
534. ძველ ტექსტში შეცდომით წერია: „იწოდა თავი **თჷსიმედ** ალიასა“.
535. ძველ ტექსტში ასეა. „ფაზა“ აბულაძესთან განმარტებული არ არის, არც სარჯველაძესთან და ჩუბინაშვილთან. საბასთან, უცხო შესატყვისობებში ვხვდებით მსგავს თურქულ სიტყვას: „ფაზარი“ = ფანზარი“ (შინაარსი მითითებული არ არის).
536. როგორც ჩანს, „სლ“ შეცდომით წერია. „ლ“-ს შემდეგ რომელიღაც ასო არის გამორჩენილი. დათარიღება უნდა ვივარაუდოთ 235-239-ე ქორონიკონებში, ანუ 1547-1551 წლებში (1312+235/1312+239).
537. აქ ძველი ტექსტი ნაკლულია.
538. ძვ. ტექსტშია: „მომცეს საუპატიო და სისხლი დისა ჩემისა განტევებისათჷს“ – „საუპატიო“ და „სისხლი“ იურიდიული ტერმინებია. „საუპატიო“, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა საზღაურს პატივისა და ღირსების შემლახავი საქციელისთვის. „სისხლი“ კი, როგორც ჩანს, სისხლის სამართლებრივი დანაშაულისთვის გადასახდელ საზღაურს გულისხმობს.
539. ასევე ჰყავდა მეოთხე – ალექსანდრე.
540. წმიდა მოწამე მეფე ვახტანი, რა თქმა უნდა, ვახტანგ გორგასალია. მაგრამ ვინ არის მოწამეობრივად აღსრულებული მეფე დავითი?
541. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ თარიღი ჩფიზ (1517 წ.) არ ემთხვევა ქორონიკონ სმვ-ს (246+1312=1558 წ.) (ქართლის ცხოვრება, 2, გვ. 510).
542. ანუ, უფრო ზუსტად, თბილისის ციხის ყიზილბაშური გარნიზონის დასახმარებლად.
543. ძვ. ტექსტშია: „ჩფო” წელი არ ემთხვევა სმთ ქორონიკონს (1312+249=1561).
544. „სახარჯო“ – აბულაძესთან, სარჯველაძესთან, საბასთან და ჩუბინაშვილთან განმარტებული არ არის. როგორც ჩანს, განსაკარგავად მოცემულ ფულს უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა, ყმებით, ან მიწებით დასაჩუქრებასაც გულისხმობდეს. აშკარაა, რომ „სახარჯო“ მატერიალურ წახალისებას წარმოადგენდა.
545. ძვ. ტექსტშია: „ყორღანაშვილმან იტვირთა სისხლი მათი“. ესე იგი, თუ საიმედო გზით ვერ შემოიყვანდა ქართლში და მათი სისხლი დაიღვრებოდა, ეს ყორღანაშვილს მოეკითხებოდა.
546. ძვ. ტექსტშია: „სა“. აშკარაა, უნდა იყოს „სჲა“, რადგან მის წინ დასმულია აქორონიკონი სნზ. სჲა ქორონიკონი = 1573 წ. (1312+261).
547. ძველი ტექსტი აქ არეულია. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების ორი სხვადასხვა თარიღი წერია ერთ წინადადებაში.
548. ძვ. ტექსტშია: „სგ“. უნდა იყოს „სჲგ“ რადგან მომდევნო ქორონიკონი არის სდ. ჩფოე (1575) წელი ემთხვევა სჲგ ქორონიკონს (1312+263).
549. საუბარია ამასიის ზავზე, რომელიც 1555 წელს გაფორმდა.

550. ძვ. ტექსტშია: „სი” (210-ე) ქორონიკონი = 1522 წ. (1312+210). აქედან ქორონიკონებ-ის თანმიმდევრულობა დაცული არ არის. წინამორბედი ქორონიკონი არის სჲდ.
551. ძვ. ტექსტშია: „ხიზანი და **ალამი**“. მგონი **ალაფი** უნდა ეწეროს.
552. ძველ ტექსტში შეცდომითაა „სვლ“. ასეთი რიცხვი არ არსებობს. აშკარაა, უნდა იყოს „სვ“, რადგან წინამორბედი ქორონიკონია „სე“ და მომდევნო „სვ“. სვ არის 206-ე ქორონიკონი, ანუ 1518 წ. (1312+206).
553. ძველ ტექსტში ასეა. უფრო მართებული იქნებოდა: „გორი სანჯაყად აქციეს“.
554. ძველ ტექსტში შეცდომაა: „უფროსი **ერთი** დაჯოცეს...“ უნდა იყოს: „**ერი** დაჯოცეს“.
555. ძვ. ტექსტშია: „დია ჩუენი უგუნებო ქორწილი იყო“. „ჩუენი“ აქ ზედმეტია.
556. ძვ. ტექსტშია: „გადგეს“. იქნებ, „დადგნენ“ უნდა ეწეროს.
557. ეპიდემია გავრცელდა.
558. იგულისხმება სზ (207-ე) ქორონიკონი, ანუ 1519 წ.
559. ქართველობით, ესე იგი ქრისტიანობით გამოუშვა. არ გაათათრა.
560. ჯვარი დაიწერა.
561. აქედან ვიგებთ თხზულების ამ მონაკვეთის ავტორის ვინაობას. იგი იყო არჩილის დედმამიშვილი.
562. ძველ ტექსტში შეცდომითაა „სთ“. გამორჩენილია „ჲ“. უნდა იყოს სჲთ, ანუ 269-ე ქორონიკონი. ეს ქორონიკონი ოდნავ აცდენილია ქრისტეს აქეთ ჩფპბ (1582) წელს (1312+269=1581).
563. საუბარია უწმიდეს ნიკოლოზ VIII-ს შესახებ.
564. ძვ. ტექსტშია: „სობ“ ე. ი. 272-ე ქორონიკონი = 1584 წ. (1312+272).
565. ძვ. ტექსტშია: „სოგ“ ქორონიკონი ცოტა აცდენილია ჩფპვ (1586) წელს (1312+273=1585).
566. იგულისხმება, რომ ციხეები გაამაგრეს.
567. ეს წინადადებაც გვაუწყებს ავტორის ვინაობის შესახებ.
568. ძვ. ტექსტშია: „სოᲩ“ ქორონიკონი არ ემთხვევა ჩფჟბ (1592) წელს (1312+278=1590).
569. ძვ. ტექსტშია: „სოთ“ ქორონიკონი არ ემთხვევა ჩფჟგ (1593) წელს (1312+279=1591).
570. იგულისხმება ზემოთ მითითებული სოთ ქორონიკონი. მაგრამ იგი 2 წლით არის აცდენილი იქვე დასმულ თარიღს.
571. შდრ. „უწინარეს სიმდაბლისა ამაღლდის გული კაცისა და უწინარეს დიდებისა დამდაბლდის“ (იგავ. 18,12).
572. პირველ ტექსტში კოლბეური წერია.
573. ძველ ტექსტშია: „ებოძა ყვა საჴელო“. თუშურ დიალექტში „ყვა“ = „ქუმელი“, ანუ დაშუშული და დაფქვილი ქერისა და ხორბლის ნარევი. „ყვას“ სხვაგვარი განმარტება ვერსად ვნახე. თუ განვაზოგადებთ თუშურ დიალექტში შემორჩენილი სიტყვის მნიშვნელობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ყვა“ ცხოვრება-ქონების, საქონლის, საჭმელ-სასმელის ქონებას აღნიშნავდა. თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ, ჩვენ შემთხვევაში, აზრი ასეთი გამოდის: სვიმონ მეფემ „უბოძა ქონება და სახელო“.

574. სახელოს (ანუ სამოხელეო ჩინის, წოდების) ფლობა იმ დროს მიწის ფლობასაც ნიშნავდა.
575. ძვ. ტექსტში წინადადება გაუმართავია. შეიძლება ასეც ვთარგმნოთ: ახალი მწვანილი მინდა, (არა მაქვს) და არ გეკადრებათო.
576. მარჩილი საქართველოში ვერცხლის ფულს ერქვა. მისი სახელი, როგორც ჩანს, ვენეციურ ვერცხლის „მარჩელოს" უკავშირდება. როგორც „დასტურ-ლამალიდან" ირკვევა XVIII ს-ში მარჩილი 12 შაურს ანუ 3 აბაზს შეადგენდა (ირ. ჯალაღანია).
577. თეთრი ასევე ვერცხლის ფულის აღმნიშვნელია.
578. როგორც ირკვევა, იმ დროს საქართველოში ერთი ტყვე დაახლოებით 14,3 მარჩილი ღირდა.
579. წესით, ეკლესია-მონასტრების საგანძური ხელშეუხებელი იყო. ეს ცხადად ჩანს შეწირულობის წიგნებიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობდა გა-მონაკლისი საგანგებო შემთხვევები.
580. იგულისხმება, როგორც ჩანს, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი.
581. იგულისხმება, რომ თავისთან აღარ ჰყავდა, თორემ კიდევ ერთი ძე შაჰთან ჰყავდა გაგზავნილი.
582. აშოთანი იყო ბაგრატ მუხრანბატონის ძე, მუხრანბატონების სახლის უფროსი და შიდა ქართლის სადროშოს სარდალი.
583. ეს მოხდა 1604 წელს. შერმაზან ჩოლოყაშვილი იყო კახეთის მეფის სახლთუხუ-ცესი.
584. იგულისხმება, რომ გზით დაღლილები შეხვედრის ადგილზევე, მეფის სასახლეში მისვლამდე, გაჩერდნენ დასასვენებლად.
585. რადგან „ბ" = 2, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე იქნე-ბოდა ანდერძი „ა" ანუ 1.
586. ძველში ასეა: „ქართულს ქორონიკონს უმთ. ბპ: ქ.". როგორც ჩანს, „ბპ"-ს წინ მთავრდება ერთი ანდერძი. „ბ" ანდერძის ავტორია ჯვრის საყდრის დეკანო-ზი იოანე, ხოლო „ბპ"-სი ზაქარია მღვდელი. ორივე ანდერძი 1761 წელს არის დაწერილი. ამით ჩანს, რომ ერთდროულად მუშაობდნენ.
587. ძვ. ტექსტშია: „ჩღ҃ა" = 1761 წ.

ტექსტი ძველი ქართულიდან
ახალ ქართულზე გადმოიტანა
და კომენტარები დაურთო
გიორგი მაჭარაშვილმა

შ ი ნ ა ა რ ს ი

უცნობი ავტორი. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 3

თამარის პირველი ქმარი 26

მეორე ქმრის ამბავი 32

მეფის პასუხი რუქნადინს 63

ბერი ეგნატაშვილი — ახალი ქართლის ცხოვრება

პირველი ტექსტი 77

მეორე ტექსტი..... 189

მესამე ტექსტი 220

შენიშვნები 281

ამავე სერიის **„მამული, ენა სარწმუნოება”**

მე-4 და მე-5 ტომში გამოსაცემად მზადდება

ქართლის ცხოვრების წიგნი

ვახუშტი ბაგრატიონის

„საქართველოს სამეფოს აღწერა”